ზურაბ ძლიერიშვილი

ნარდობის ხელშეკრულება

(თეორია და პრაქტიკა)

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი – 2016

რედაქტორი თეიმურაზ თოდრია

სამართლის დოქტორი, პროფესორი

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2016

© ზ. ძლიერიშვილი

ISBN 978-9941-25-059-0

წინათქმა

საქართველოში საბჭოური სამართლის სისტემის დაშლამ და თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ განსაკუთრებით შეუწყო ხელი კერძოსამართლებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბებას. ამის ნათელ გამოხატულებას წარმოადგენს საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსის მიღება (მიღებულია 1997 წლის 26 ივნისს, ძალაშია 1997 წლის 25 ნოემბრიდან), სადაც გამოიხატება მანამდე არსებული სამართლებრივი სისტემისათვის უცხო ფორმით ახსნილი კერძო სამართლის ცნება, არსი და საერთოდ, ნების ავტონომია.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილი აღიარებს და განამტკიცებს კერძო სამართლის ერთ-ერთ ფუძემდებლურ პრინციპს – მხარეთა კერძო ავტონომიას. კერძო ავტონომია ეკონომიკური წინსვლისა და კეთილდღეობის საფუძველი ხდება. უპირველეს ყოვლისა, ეს გამოიხატება ხელშეკრულების თავისუფლებაში, კერძოდ, კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომელიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ხელშეკრულებები პირობითად შეიძლება დავყოთ ოთხ ჯგუფად: ა) ქონების საკუთრებაში გადაცემის ტიპის ხელშეკრულებები; ბ) ქონების სარგებლობაში გადაცემის ტიპის ხელშეკრულებები; გ) სამუშაოს შესრულების ტიპის ხელშეკრულებები; დ)მომსახურების ტიპის ხელშეკრულებები.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ სამუშაოს შესრულების ტიპის ხელშეკრულებას მიეკუთვნება ნარდობის ხელშეკრულება, რომელიც დაკავშირებულია მენარდის ვალდებულებასთან – შეასრულოს ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო და გადასცეს შემკვეთს შეთანხმებული საზღაურის მიღების პირობით შესრულებული სამუშაოს შედეგი.

საქართველოში ყოველდღიურად იზრდება ნარდობის ხელშეკ-

რულების ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობა, ფართოვდება მისი გამოყენების არეალიც, როგორიც შეიძლება იყოს არა მარტო ახალი ნივთების დამზადება, არამედ გადაკეთება, შეცვლა, სამშენებლო ან სარემონტო სამუშაოები, საერთაშორისო თუ ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე გზების, გაზსადენების, ნავთობსადენების და ა.შ. გაყვანა. ყველაფერი ეს წარმოადგენს სწორედ იმ სფეროს, სადაც შესაძლებელია ნარდობის ხელშეკრულების გამოყენება.

ნაშრომში შედარებითი სამართლებრივი მეთოდის გამოყენებით განხილულია ნარდობასთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე საკითხები. განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი სასამართლო პრაქტიკას.

ნაშრომი წიგნად ვერ იქცეოდა და დღის სინათლეს ვერ იხილავდა მეგობრებისა და კოლეგების დახმარების გარეშე.

განსაკუთრებული მადლობა ნაშრომის სამეცნიერო რედაქტორს, პროფესორ თეიმურაზ თოდრიას, რომლის ფასდაუდებელმა რჩევებმა ხელი შემიწყო ნაშრომზე მუშაობისას.

უღრმესი მადლობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის თავმჯდომარეს ქალბატონ მზია თოდუას, უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლეებს – ქალბატონ ნინო ბაქაქურს, ქალბატონ ეკატერინე გასიტაშვილს, ბატონ ბესარიონ ალავიძეს და ბატონ პაატა ქათამაძეს, მოსამართლის თანაშემწეებს – ირინა როყვასა და გიგა ბლიაძეს, მოსამართლის რეფერენტებს – ილონა გაგუასა და ნათია კარანაძეს, აგრეთვე სამართლის დოქტორებს, პროფესორებს – ნუნუ კვანტალიანს, მარიამ ცისკაძეს, ზვიად როგავასა და ზვიად გაბისონიას, სამართლის დოქტორს – ნათია ჩიტაშვილს, სამართლის მაგისტრს – გიორგი წიქარიშვილს, რომლებთანაც საუბრები დამეხმარა განმემტკიცებინა ჩემი მოსაზრებები ნარდობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების მიმართ.

2015 წლის აგვისტო-სექტემბერში DAAD-ის სტიპენდიის ფარგლებში შესაძლებლობა მქონდა მემუშავა იენის უნივერსიტეტის (გერმანია) ბიბლიოთეკაში. განსაკუთრებული მადლობა იენის უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორს, ბატონ გერჰარდ ლინ-

გელბახს, კილის უნივერსიტეტის' სამართლის დოქტორ გიორგი სვანაძეს, იენის უნივერსიტეტის დოქტორანტ ირაკლი რობაქიძეს, აგრეთვე თსუ-ს დოქტორანტ მაგდა ტატიშვილს იმ გულისხმიერებისა და დახმარებისათვის, რომელიც მათ გამიწიეს უცხოენოვანი ბიბლიოგრაფიის მოძიებასა და ტერმინოლოგიური საკითხების დაზუსტებაში.

რასაკვირველია, წიგნი არ იქნება დაზღვეული ხარვეზებისაგან. მკითხველთა შენიშვნებს სიამოვნებით გავითვალისწინებ შემდგომ გამოცემებში.

ზურაბ ძლიერიშვილი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს
მოსამართლე, სამართლის დოქტორი,
პროფესორი.
იენა-თბილისი
2015-2016

აბრევიატურა

ქართულ ენაზე

გვ.	გვერდი
იხ.	იხილე
ა.შ.	ასე შემდეგ
მაგ.	მაგალითად
რედ.	რედაქტორი
სკ	სამოქალაქო კოდექსი
სსსკ	საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
სსკ	საქართველოს საგადასახადო კოდექსი
სუსგ	საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება (გადაწყვეტილება)
უნიდრუას პრინციპები	საერთაშორისო კომერციული ხელშ. პრინციპები
ტ.	ტომი
თბ.	თბილისი
იხ.	იხილეთ
შეად.	შეადარეთ
გსკ	გერმანიის სამოქალაქო კოდექსი

უცხო ენაზე

AT Allgemeiner Teil (ზოგადი ნაწილი)

BT Bessonder Teil (განსაკუთრებული ნაწილი)

Aufl. Auflage (გამოცემა)

Abs. Absatz (აბზაცი)

Bd Band (Bände) (ტომი)

BGB Das Bürgerliche Gesetzbuch (für die Bundesrepublik Deutschland) (გერმანიის სამოქალაქო კოდექსი)

BGHZ Entscheidungen des BGH in Zivilsachen (Band, Seite) (გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე)

BGH Bundesgerichtshof (გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლო)

Diss Dissertation (დისერტაცია)

Rn Randnummer (ნიშნავს ნომერს, რითაც აღინიშნება ტექსტის ნაწილები წიგნის გვერდის ველზე)

Hrsg Heraussgeber (გამომცემელი)

Hrsg herausgegeben (გამოცემული)

Einl. Einleitung (შესავალი ნაწილი)

CISG United Nations Convention for the Intrnational Sale of Goods საქონლის საერაშორისო ყიდვა-გაყიდვის შესახებ გაეროს კონვენცია

Komm Kommentar (კომენტარი)

S Seite (გვერდი)

NJW Neue JuristiSche Wochenschrift (ყოველკვირეული გერმანული იურიდიული ჟურნალი)

PECL Principles of European Contract Law (ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები)

Bamberger/Roth (Hrsg.) Bamberger Heins Georg/Roth Herbert (Hrsg.)

Bearbeiter Komentar züm Bürgerlichen Gesetzbuch	ბამბერგერ/როტის გადამუშავებული სამოქალაქო კოდექსის კომენტარი)
Staudinger/Bearbeiter	Staudinger, Iahn., Komentar züm Bürgerlichen Gesetzbuch mit Einfuhrungsetzen und Nebengesetzen (შტაუდინგერის გადამუშავებული სამოქალაქო კოდექსის კომენტარი)
Münch Komm BGB/	Münchener Komentar züm BGB, hrsg. v Prof. Dr. Kurt Rebam, Prof. Dr. Roland Rixecker und Prof. Dr. Dr. Dr. h.c. Franz Iürgen Säcker (გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიუნხენის კომენტარი)
Palandt/ Bearbeiter	Palandt, Oto., Komentar züm Bürgerlichen Gesetzbuch (პალანდტის გადამუშავებული სამოქალაქო კოდექსის კომენტარი)
ZFRV	Zeitschrift für Rechtsvergleichung (შედარებითი სამართლის ჟრნალი)
DCFR	Draft Common Frame of Reference (ერთიანი სახელმძღანელო პრინციპების პროექტი)
С.	страница (გვერდი)
ред.	Редактор (რედაქტორი)
отв.	Ответственный (პასუხისმგებელი)

შინაარსი

თავი I. ნარდობის ხელშეკრულების წარმოშობა და განვითარება 17

თავი II. ნარდობის ხელშეკრულების ცნება და ძირითადი ნიშნები 26

II.1. ნარდობის ხელშეკრულების ცნება 26

II.2. ნარდობის ხელშეკრულების ძირითადი ნიშნები 28

II.2.1 კონსენსუალური ბუნება 28

II.2.2. ორმხრივმავალდებულებელი ბუნება 29

II.2.2.1. ზოგადი დებულებები 29

II.2.2.2 ნარდობის ორმხრივმავალდებელი ბუნება 34

II.2.3 სასყიდლიანი ბუნება 38

თავი III. ნარდობის ხელშეკრულების ნამდვილობის წინაპირობები. 46

III.1. ზოგადი დებულებები 46

III.2. მხარეთა სამართალსუბიექტურობა 48

III.3. ნარდობის ხელშეკრულების შინაარსი 52

III.3.1 ნარდობის ხელშეკრულების არსებითი პირობები 52

III.3.2 ნარდობის ხელშეკრულების ჩვეულებრივი პირობები 53

III.3.3 ნარდობის ხელშეკრულების შემთხვევითი პირობები 54

III.3.4 ნარდობის ხელშეკრულების სტანდარტული პირობები 55

III.4. ნარდობის ხელშეკრულების ფორმა 58

თავი IV. ზოგადად სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების შესახებ 63

IV.1. ზოგადი დებულებები 63

IV.2. ვალდებულების არსებობის პრეზუმფცია 68

IV.3. ჯეროვანი შესრულება 72

IV.4. სამუშაოს კეთილსინდისიერად შესრულება 77

IV.5.ზოგადად ვალდებულების შესრულების ადგილის შესახებ ... 85

IV.5.1. ზოგადი დებულებანი 85
IV.5.2. ვალდებულების შესრულების ცალკეული ადგილი 86
IV.5.2.1. მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული შესრულების ადგილი 86
IV.5.2.2. კანონით განსაზღვრული შესრულების ადგილი 93
IV.5.2.3. ვალდებულების შესრულების ადგილის შეცვლა 98
IV.6. ზოგადად ვალდებულების შესრულების დროს შესახებ 102
IV.6.1. ზოგადი დებულებანი 102
IV.6.2. ვალდებულების შესრულების ცალკეული ვადები 105
IV.6.2.1. ვალდებულების შესრულების სახელშეკრულებო ვადები .105
IV.6.2.2 ვალდებულების შესრულების დროს განსაზღვრა კონკრეტული კალენდარული თარიღით 110
IV.6.2.3. ვალდებულების შესრულების დროის განსაზღვრა დროის გარკვეული პერიოდით 111
IV.6.2.4. ვალდებულების შესრულების დროის განსაზღვრა რაიმე გარემოების დადგომაზე მითითებით 114
IV.6.3. ვალდებულების შესრულების კანონისმიერი ვადები 118
IV.6.4. ვალდებულების შესრულების ნავარაუდევი და გონივრული ვადები 119
IV.6.5. ცალმხრივად განსაზღვრული ვალდებულების შესრულების დრო 131
IV.6.6. ვალდებულების შესრულების ვადის შეცვლა 132
IV.6.7. ვალდებულების ვადამდე (ვადაზე ადრე) შესრულება 134
IV.6.8. ვალდებულების დაუყოვნებლივ შესრულება 142
IV.7. ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების დრო 143

თავი V. ნარდობის ხელშეკრულების გამიჯვნა სხვა მსგავსი ხელშეკრულებებისაგან 150
V.1 ნარდობის ხელშეკრულების გამიჯვნა შრომის ხელშეკრულებისაგან. 150
V.2.ნარდობის ხელშეკრულების გამიჯვნა მომსახურეობის გაწევის ხელშეკრულებებისაგან. 156

V.3. ნარდობის ხელშეკრულების გამიჯვნა გადაზიდვის ხელშეკრულებისაგან. 163
V.4. ნარდობის ხელშეკრულების გამიჯვნა ნასყიდობის ხელშეკრულებისაგან. 164
V.4.1. ზოგადი დებულებები 164
V.4.1.1. ნარდობისა და ნასყიდობის გამიჯვნის კრიტერიუმები 165
V.5.ნარდობის ხელშეკრულების გამიჯვნა ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებისაგან. 179

თავი VI. ნარდობასთან დაკავშირებული ხარჯთაღრიცხვა.....186
VI.1. ზოგადი დებულებები 186
VI.2 მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვა 186
VI.3. ნარდობის ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი 191
VI.3.1. ზოგადი დებულებანი. 191
VI.3.2. შეცვლილი გარემოებების სამართლებრივი ბუნება 192
VI.3.3. შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება მხარეთა მოლაპარაკებების გზით 198
VI.3.4. სკ-ის 389-ე მუხლის მიმართება სკ-ის 631-ე და 398-ე მუხლების დანაწესებთან.....203

თავი VII. მენარდის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს პირადად შესრულების ვალდებულება 216
VII.1. ზოგადად ვალდებულების შესრულების სუბიექტების შესახებ
VII.1.1. ზოგადი დებულებანი 216
VII.1.2. ზოგადად მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულების შესახებ 217
VII.1.3. კრედიტორის დაკმაყოფილება მესამე პირის მიერ 221
VII.1.4. ზოგადად მესამე პირის მიერ მოვალის ნაცვლად ვალდებულების შესრულების შედეგად წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობის თავისებურების შესახებ ...225
VII.1.5. მესამე პირის მიერ მოვალის ნაცვლად ვალდებულების შესრულების ინსტიტუტის გამიჯვნა სამოქალაქო სამართლის სხვა ინსტიტუტებისაგან 230

VII.1.6. ზოგადად მესამე პირის მიმართ ვალდებულების შესრულების შესახებ 233
VII.2. მენარდის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს პირადად შესრულება.....236
VII.2.1. ქვენარდობა.....237
VII.3 პირთა სიმრავლე ნარდობაში 243
VII.3.1 ზოგადი დებულებები 243
VII.3.2 თანამენარდეების წილადი ვალდებულება 243
VII.3.3 თანამენარდეების სოლიდარული ვალდებულება 245

თავი VIII. მენარდის ინტერესების დაცვის განსაკუთრებული ღონისძიებები 248
VIII.1 ზოგადი დებულებები 248
VIII.2. მენარდის კანონისმიერი გირავნობის უფლება 249
VIII.3 მენარდის კანონისმიერი გირავნობის განსხვავება უზრუნველყოფის სხვა საშუალებებისაგან. 253
VIII.4 მენარდის კანონისმიერი იპოთეკის უფლება 254

თავი IX. ზოგადად ვალდებულების საგანის შესახებ.....257
IX.1. ალტერნატიული ვალდებულებები 257
IX.2. კუმულატიური და ფაკულტატური ვალდებულებები 263
IX.3. ვალდებულების ნაწილობრივი (ნაწილ-ნაწილ) შესრულება 269
IX.4 უნაკლო ნაკეთობის დამზადების ვალდებულება 274
IX.4.1 ზოგადი დებულებები 274
IX.4.2. უფლებრივად უნაკლო ნაკეთობა 277
IX.4.3. ნივთობრივად უნაკლო ნაკეთობა 278
IX.5. ზოგადად ვალდებულების შესრულების ხარისხის შესახებ 279
IX.6. ნარდობის ხელშეკრულებით შესასრულებელი სამუშაოს ხარისხი 281
IX.7. ნივთობრივი ნაკლის სახეები 282

თავი X მენარდის მიერ შემკვეთის გაფრთხილება 283
X.1. ზოგადი დებულებები 283

X.2. შემკვეთისაგან მიღებული მასალის ხარისხი 283
X.3. შემკვეთის მითითებათა შესრულება 284
X.4. მენარდისაგან დამოუკიდებელი გარემოებების არსებობა .285

თავი XI. სამუშაოს მიღება და საზღაურის გადახდა შესრულებული სამუშაოსათვის. 288
XI.1. ზოგადი დებულებები 288
XI.2. შემკვეთის მიერ მენარდისათვის ავანსის ან ბეს გადახდა 291
XI.3. სამუშაოს მიღება 301
XI.4. შესრულებული სამუშაოს მიღების სამართლებრივი შედეგები 308

თავი XII. ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკი 328
XII.1 ზოგადი დებულებები 328
XII.2. სამუშაოს შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკის განაწილება 328
XII.3 მასალის შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკი 331

თავი XIV. ნარდობის ხელშეკრულების მოშლა მენარდის ან შემკვეთის ინიციატივით 332
XIV.1. ზოგადი დებულებები 332
XIV.2. ნარდობის ხელშეკრულების მოშლის საფუძვლები 334
XIV.3 ხელშეკრულების მოშლა მენარდის ინიციატივით 337
XIV.3.1 ზოგადი დებულებები 337
XIV.3.2. მენარდის ინიციატივით ნარდობის ხელშეკრულების მოშლის საფუძვლები 338
XIV.4. გასამრჯელოს ნაწილის მოთხოვნის უფლება 340

თავი XV პასუხისმგებლობა ნარდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის 341
XV.1. პასუხისმგებლობის ცნება და ზოგადი საფუძვლები..... 341
XV.2. დამატებითი შესრულების მოთხოვნა 342

XV.2.1. ზოგადი დებულებები 342
XV.2.2. დამატებითი შესრულების მიზნით გაწეული ხარჯები ..344
XV.2.3. დამატებითი შესრულების მოთხოვნის რეალიზაციის
წინაპირობები 347
XV. 3. ნაკლის გამოსწორება შემკვეთის მიერ 349
XV. 3.1. ზოგადი დებულებები 349
XV.3.2. შემკვეთის მიერ ნაკლის გამოსწორების უფლების
გამოყენების წინაპირობები.....350
XV.4. ხელშეკრულებაზე უარი ნაკეთობის ნაკლის გამო 353
XV.4.1. ზოგადი დებულებები 353
XV.4.2. უნაკლო ნივთის გადაცემის ვალდებულების დარღვევის
გამო ნარდობის ხელშეკრულებაზე უარის შედეგები. 356
XV.4.3.ნაკეთობის ნაკლის გამო ნარდობის ხელშეკრულებაზე
უარის უფლების გაქარწყლება. 366
XV.4.4. ნაკეთობის ნაკლის გამო საზღაურის შემცირება 369
XV.4.4.1.ნაკეთობის ნაკლის გამო საზღაურის შემცირების
უფლების გამოყენების წინაპირობები 370
XV.5.ზოგადად ზიანის ანაზღაურების ვალდებულების შესახებ 373
XV.5.1. ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის საფუძვლების
ზოგადი დახასიათება.....373
XV.5.2. ზოგადად ზიანის ცნებისა და სახეების შესახებ 376
XV.5.3. ქმედების მართლწინააღმდეგობა.....381
XV.5.4 მიზეზობრივი კავშირი 382
XV.5.5.ზოგადად ზიანის მიმყენებლის ბრალის შესახებ 384
XV.5.6.ზიანის ანზღაურება ნარდობის ხელშეკრულებით ნაკისრი
ვალდებულებების დაღვევისათვის 395
XV.6. შემკვეთის მიერ ნაკლის მქონე ნაკეთობის მიღების
შედეგები.....406

თავი XVI. მენარდის პასუხისმგებლობა სამუშაოს
შესასრულებლად გამოყენებული მასალის
ხარისხისათვის 408

XVI.1. ზოგადი დებულებები 408
XVI.2. მენარდის პასუხისმგებლობა შემკვეთის მიერ გადაცემული მასალის განადგურებისათვის. 409

თავი XVII. მენარდის პასუხისმგებლობის გამორიცხვა.....412
XVII.1. ზოგადი დებულებები 412
XVII.2. ნაკეთობის ნაკლის გამო მენარდის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება 413
XVII.3. მენარდის პასუხისმგებლობის გამორიცხვა ხელშეკრულების სტანდარტული პირობებით 416
XVII.4.მენარდის მიერ ნაკლის განზრახ დაფარვის შედეგები (პასუხისმგებლობის გამორიცხვის დაუშვებლობა) 418

თავი XVIII. საგარანტიო ვადა 422
XVIII.1. ზოგადი დებულებები 422
XVIII.2. სამართლებრივი მნიშვნელობა 423

თავი XIX. შესრულების ნაკლთან დაკავშირებული ხანდაზმულობის ვადები 424
XIX.1. ხანდაზმულობის ზოგადი დახასიათება 424
XIX.2. შესრულების ნაკლთან დაკავშირებული ხანდაზმულობა..426
XIX.2.1.შესრულების ნაკლთან დაკავშირებული ხანდაზმულობის დენის დაწყება 426
XIX.3. შესრულების ნაკლთან დაკავშირებული ხანდაზმულობის ვადების კონკურენცია. 427
XIX. 4. შესრულების ნაკლთან დაკავშირებული ხანდაზმულობის ვადის გასვლის შედეგები 429
XIX. 5. შესრულების ნაკლთან დაკავშირებული ხანდაზმულობა სამუშაოს ნაწილ-ნაწილ მიღებისას. 430

თავი XX. ნარდობის ხელშეკრულების საგადასახადო-სამართლებრივი ანალიზი 434
XX.1.ნარდობის ხელშეკრულების ბუნება საგადასახადო კანონმდებლობის ჭრილში-განსხვავება ანალოგიური ინსტიტუტებისაგან 434

XX.2.სახელშეკრულებო ურთიერთობათა სათანადო სამოქალაქო სამართლებრივი შეფასების ეფექტი ეკონომიკური საქმიანობის პროცესში 439
XX. 3. ნარდობის და ანალოგიური ხელშეკრულებათა შეფასების საგადასახადო სამართლებრივი სტანდარტი 446
XX.3.1. გრძელვადიანი კონტრაქტი 448
XX. 4. ხარჯთაღრიცხვის წარმოების წესი და და ნარდობის ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი...450
XX.5. კრედიტორის მიერ პატივსადები საფუძვლით ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების მიღებაზე უარი 452
XX.6. ნარდობა, როგორც ხელშეკრულების დამატებითი პირობა 453
XX.7. მომსახურების დღგ-ით დარიცხვის მომენტის განსაზღვრა ნარდობისას 456
XX.8. ნარდობის ხელშეკრულებაში დასაბეგრი ოპერაციის აქციზით დაბეგვრის მომენტის განსაზღვრა 458
კაზუსები.....460
ტესტები.....480
ნარდობის ხელშეკრულების ნიმუშები 486
რეზუმე ინგლისურ ენაზე 504
ბიბლიოგრაფია 506

თავი I. ნარდობის ხელშეკრულების წარმოშობა და განვითარება

ნარდობის ხელშეკრულებას დიდი ხნის ისტორია აქვს. მისი მარეგულირებელი ნორმები გვხვდება ჯერ კიდევ ძველი რომის კერძო სამართალში. რომის კერძო სამართალში, ნარდობა (locatio conductio operis) წარმოადგენდა ხელშეკრულებას, რომლითაც ერთი მხარე – მენარდე (conductor) კისრულობდა ვალდებულებას შეესრულებინა მეორე მხარისათვის – შემკვეთისათვის (locator) განსაზღვრული სამუშაო, ხოლო შემკვეთი კისრულობდა ვალდებულებას გადაეხადა მენარდისათვის შესრულებული სამუშაოსათვის განსაზღვრული ოდენობის ფულადი საზღაური.

რომის კერძო სამართალში ნარდობა შეადგენდა იმ ვალდებულებების ჯგუფის ნაწილს, რომლებიც მიეკუთვნებოდა ქირავნობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს (locatio conductio).

locatio conductim-ს ვალდებულებების შესაბამისად, შესაძლებელი იყო ნივთის (იჯარის ხელშეკრულება) ან მუშახელის დაქირავება (შრომითი ხელშეკრულება), ასევე შესაძლებელი იყო ორივე ამ ვალდებულების ერთმანეთში შერწყმა: სხვა პირისათვის ნივთის გადაცემა მისი დამუშავებისა და გაწეული სამუშაოს შედეგის ანაზღაურების მიზნით (ნარდობის ხელშეკრულება).

რომის კერძო სამართალიდან მოყოლებული, ნარდობის ხელშეკრულებას ყოველთვის ახასიათებდა იმის პოტენციური შესაძლებლობა, რომ გამოყენებული ყოფილიყო სრულიად განსხვავებული სახის ურთიერთობებში, როგორიცაა: საქმიანი ბრუნვა ანდა არასამეწარმეო ხასიათის პირადი ხასიათის ურთიერთობები (მაგალითად, მხატვრისათვის პორტრეტის დახატვის შეკვეთა). ამიტომ, როგორც წესი, ნარდობის ხელშეკრულების ძირითადი ნიშნების დახასიათება მოითხოვდა პარალელების გავლებას სხვა მსგავს სამოქალაქო სამართლებრივ ხელშეკრულებებთან, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იყო მხარეთა შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგება. სამუშაოს შესრულებასთან მიმართებით სხვადასხვა სახის ხელშეკრულების გამოყენების შესაძლებლობა მოითხოვდა ხელშეკრულების პირობების ზუსტად

ფორმულირებას, რათა მომხდარიყო ნარდობის ხელშეკრულების დამახასიათებელი ძირითადი ნიშნების ხაზგასმა. მხარეთა შორის აღმოცენებული ურთიერთობები, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, შეიძლება კვალიფიცირებული ყოფილიყო როგორც ქირავნობის, ასევე ნასყიდობის, ასევე მომსახურების და ასევე ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებად.[1]

რომის კერძო სამართალში ერთ-ერთ პრობლემატურ საკითხს წარმოადგენდა მომსახურების ქირავნობისა (locatio-conductio operarum) და ნარდობის ხელშეკრულებათა (locatio-conductio operis) ურთიერთგამიჯვნა. მომსახურების ქირავნობის ხელშეკრულებით ერთი მხარე – დაქირავებული (locator) კისრულობდა ვალდებულებას გაეწია მეორე მხარისათვის – დამქირავებლისათვის (conductor) გარკვეული მომსახურება, ხოლო დამქირავებელი კისრულობდა ვალდებულებას გადაეხადა დაქირავებულისათვის გაწეული მომსახურებისათვის შეთანხმებული საზღაური.

ნარდობის ხელშეკრულების განსხვავება მომსახურების ხელშეკრულებისაგან, რომის სამართალში გამოიხატებოდა იმაში, რომ locatio-conductio operarum-ის ხელშეკრულებით, დაქირავებულს უნდა გაეწია გარკვეული სახის მომსახურება, მაშინ, როდესაც ნარდობის ხელშეკრულება მიმართული იყო იმისაკენ, რომ მენარდეს შემკვეთისათვის გადაეცა შესრულებული სამუშაოს შედეგი (რეზულტატი).

„Opere locatio-conductio": his verbis Labio significari ait id opus, quod Craeci apotelesma vocant, non ergon, id est ex opere facto corpus aliquod perfectum (D.50, 16.5.1). გამოთქმა „locatio-conductio operis" ლებონის სიტყვებით, აღნიშნავს ისეთ სამუშაოს, რომლებსაც ბერძნები გამოხატავენ ტერმინით „დასრულებული სამუშაო (სამუშაოს შედეგი)" საწინააღმდეგოდ „სამუშაოსი" (როგორც შრომითი პროცესი), ანუ როგორც შესრულებული სამუშაოს განსაზღრული დასრულებული შედეგი.[2]საუბარია სწორედაც რომ შრომის ქირავნობაზე: შემკვეთს, რომელიც ღებულობს სამუშაოს, ეწოდებოდა locator, ხოლო სამუშაოს შემსრულებელ პირს კი ეწოდებოდა conductor.

---

[1] Гай, Институции, Книга 3, с. 142-147, М., 1997.

[2] Римское частное право, под ред. И.Б. Новицкого и И.С. Перетерского, М., 1996, с. 459.

ხელშეკრულების დახასიათებაზე გავლენას ვერ ახდენდა ის გარემოებაც, თნხმდებოდნენ თუ არა მხარეები იმის შესახებ, რომ შესრულებული სამუშაოსათვის შეპირებული გასამრჯელო გადახდილი იქნებოდა ერთჯერადად[3] – სამუშაოს შესრულებისა და მისი შემკვეთისათვის გადაცემისას, თუ საზღაურის გადახდა მოხდება ნაწილ-ნაწილ[4], სამუშაოს შესრულების შესაბამისად: „არანაირი მნიშვნელობა არა აქვს იმას, სამუშაოს შედეგი გადაცემული იქნა ერთიანად თანხის გადახდით თუ სამუშაოს ცაკეული ნაწილების გადაცემის გადახდით, თუკი მენარდეს ეკისრება გადასცეს შესრულებული სამუშაოს შედეგი (D. 19. 2. 51. 1).

რომის კერძო სამართალში, იმ შემთხვევაში, როდესაც მენარდე შეკვეთილი სამუშაოს შესასრულებლად იყენებდა თავის კუთვნილ მასალას (მთლიანად ან ნაწილობრივ), ნარდობა საჭიროებდა გამიჯვნას ნასყიდობის ხელშეკრულებისაგან. რომაელი იურისტების აზრით, ამ ორ ხელშეკრულებათა გამიჯვნა ხდებოდა იმის მიხედვით, თუ ვინ გადასცემდა სამუშაოს შესასრულებლად საჭირო მასალის არსებით ნაწილს.

დიგესტების (D. 18. 1. 20) თანახმად, საბინისადმი დასმულ შეკითხვაზე ამ იურისტმა უპასუხა, რომ თუკი გვსურს ჩვენთვის შევუკვეთოთ რაიმე ნივთის დამზადება, მაგალითად, ჭურჭელი ან ტანსაცმელი, იმგვარად, რომ ხელოსანს (სამუშაოს შემსრულებელს) ფულის გარდა არაფერს გადავცემთ, მაშინ ეს არის ნასყიდობის ხელშეკრულება. არ შეიძლება საუბარი იყოს ნარდობის ხელშეკრულებაზე იმ შემთხვევებში, როდესაც ის პირი, ვის სასარგებლოდაც სრულდება სამუშაო, არ გადასცემს სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო მასალას. სხვა საქმეა, თუკი მე გადავცემ ხელშეკრულების მეორე მხარეს მიწის ნაკვეთს, რათა მან ამ ნაკვეთზე ამიშენოს სახლი: ასეთ შემთხვევაში ყველაზე არსებითის გადაცემა ხდება ჩემგან."[5]

მიწა წარმოადგენდა ძირითად ელემენტს, რომელიც უზრუნველყოფდა მშენებლობის განხორციელებას, და რამეთუ სახლის მშენე-

[3] Гримм, Д.Д., Лекций по догме римского права, М., 2003, с. 333.

[4] Zimmermann, The Law of Obligations, Roman Foundations of the Civilian Tradition, OXFORD University Press, 1992. P. 781.

[5] Римское частное право, под ред. И.Б. Новицкого и И.С. Перетерского, М., 1996, с. 460.

ბლობა ხორციელდებოდა შემკვეთის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, ამიტომაც მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება სახლის მშენებლობის შესახებ განიხილებოდ, როგორც locatio-conductio operis.[6]

აღნიშნული მაგალითი დიგესტებში მოყვანილია დამატებითი მითითებებით იმის შესახებ, რომ მართალია სახლის მშენებელი მენარდე sua impensa, გადასცემდა საკუთრების უფლებას შემკვეთს თავის კუთვნილ დახარჯულ მასალებზეც, მაგრამ მიუხედავად ამისა, ხელშეკრულება მაინც იყო ნარდობა (locatio): locat enim artifex aperam suam, id est faciendi necessitatem – მენარდე გადასცემს თავის შრომას, რომელიც წარმოადგენს სახლის აშენების აუცილებელ პირობას (D. 19. 2. 22. 2).

იუსტინიანეს ინსტიტუციებში (3.34.4), განმეორებით მოყვანილია გაიუსის მაგალითი ბეჭდების შეკვეთასთან დაკავშირებით; საკითხის გადაწყვეტა ხდებოდა იმ გარემოების გათვალისწინებითაც, თუ ვის საკუთრებას წარმოადგენს ოქროს მასალა, რომლისგანაც მზადდებოდა შეკვეთილი ბეჭდები: თუკი შეკვეთილი ბეჭდები მზადდება იუველირის საკუთრებაში არსებული ოქროსაგან, მაშინ სახეზეა ნასყიდობის ხელშეკრულება, ხოლო თუკი შეკვეთილი ბეჭდები მზადდება შემკვეთის კუთვნილი ოქროსაგან – სახეზეა ნარდობის ხელშეკრულება. „quotenis (materia) et immutatur et alienatur, emptio magis quam locatio intellegi debet", ანუ იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს მასალის გადამუშავებასაც და გადაცემასაც, ხელშეკრულება წარმოადგენს ნასყიდობას და არა ნარდობას (D. 18. 1. 65).

რომის კერძო სამართლის მიხედვით, მენარდე ვალდებული იყო ჯეროვნად შეესრულებინა შეკვეთილი სამუშაო დათქმულ ვადაში და გადაეცა სამუშაოს შედეგი შემკვეთისათვის.[7] იმ შემთხვევაში, თუკი მენარდე შემკვეთთან შეთანხმებით გადაუხვევდა შეთანხმებულ პირობებს და დაამზადებდა შეკვეთილისაგან განსხვავებულ ნაკეთობას, მას არ დაეკისრებოდა პასუხისმგებლობა (D. 19. 2. 60. 3). თუ ნარდობის ხელშეკრულებით არ იყო განსაზღვრული სამუშ-

---

[6] „იქვე", გვ.460.

[7] Zimmermann, The Law of Obligations. Roman Foundations of the Civilian Tradition. OXFORD University Press, 1992. P. 801.

აოს შესრულების ზუსტი დრო, მაშინ მენარდეს სამუშაო უნდა შეესრულებინა გონივრულ ვადაში (quantenus vir bonus de spatio temporis aestimasset ანუ დროის იმ შუალედში, რომელსაც კეთილსინდისიერი, ბრუნვის გონივრული მონაწილე გონივრულად მიიჩნევდა) (D. 19. 2. 58. 1).

თუკი ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო შემკვეთის უფლება, შეეწყვიტა ხელშეკრულება მენარდის მხრიდან სამუშაოს შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში და შეეკვეთა სამუშაოს შესრულების დამთავრება სხვა მენარდისათვის, შემკვეთს არ ჰქონდა უფლება ასეთ შემთხვევაში შეეცვალა მენარდე მანამ, სანამ არ დადგებოდა სამუშაოს დასრულების ვადა (non ante rolocari id potest, quam dies efficiendi praeterisset, ანუ არ შეეძლო სამუშაო შესრულებინა სხვა მენარდისათვის იმაზე ადრე, სანამ არ დადგებოდა სამუშაოს შესრულების ვადა) (D. 19. 2. 13. 10).

მენარდე პასუხს აგებდა ყოველგვარი ბრალისათვის, მათ შორის მარტივი გაუფრთხილებლობისათვისაც (culpa levis). გაიუსი ამბობდა, რომ მენარდის ბრალს არა აქვს ადგილი იმ შემთხვევაში, როდესაც მან გააკეთა ყველაფერი, რასაც გაითვალისწინებდა ყველაზე გულისხმიერი ადამიანიც კი, diligentissimus (D. 18. 2. 25. 7). მაგალითად, თუკი მკერავმა იკისრა ვალდებულება შეეკერა მატყლის საბანი, მატყლი კი მღრღნელებმა დააზიანეს, მაშინ მკერავი პასუხს აგებს actio locati-ის შესაბამისად, რამეთუ მან არ განახორციელა საჭირო დამცავი ღონისძიებები ამის თავიდან ასაცილებლად. მკერავი პასუხს აგებს მაშინაც, როდესაც ერთი შემკვეთის შეკვეთილ ნაკეთობას გადასცემს მეორეს, თუნდაც შემთხვევით (უცოდინრობით) („ignarus" D. 19. 2. 13. 6).

რომის სამართალში მოვალის ბრალის იდენტიფიცირების საუკეთესო საშუალება იყო მოვალის მიმართ სპეციალური გაფრთხილების – interpellatio[8] – განცხადება, რომელიც გამორიცხავდა მოვალის მიერ საკუთარი ვალდებულებების არცოდნის შესაძლებლობას. ამის შედეგად მარტივდებოდა ვადამოსული და გაცნობიერებული მოვალეობების შეუსრულებლობის ბოროტ განზრახვად (dolus ma-

[8] Zimmermann R., The Law of Obligations _ Roman Foundations of the Civilian Tradition, Breach of Contract, Chapter 25, Clarendon, Oxford University Press, 1996, 792.

lus) დაკვალიფიცირება. გაფრთხილების მიცემის შემდგომ მოვალის ბრალეულობის საკითხი ცალკე მსჯელობის საგანი არ ხდებოდა, არამედ interpellatio განიხილებოდა ბრალეულობის ინდიკატორად.[9]

რომის კერძო სამართლის მიხედვით, მენარდეს სამუშაოს შესასრულებლად შეეძლო გამოეყენებინა სხვა პირთა შრომაც (ქვენარდობა), თუმცა მათი ბრალეული ქმედებისათვის პასუხს მაინც მენარდე აგებდა შემკვეთის წინაშე. წყაროებში (D.19.2.25.6) მოყვანილია ასეთი კაზუსი: მენარდემ ვალდებულება იკისრა გადაეტანა ძეგლი ერთი ადგილიდან მეორეზე. აწევისას, გადატანისას და/ან სხვა ადგილზე დადგმისას ძეგლი დაზიანდა. იურისტი ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობას დააკისრებს მენარდეს, თუკი დადგინდება, რომ მენარდეს ან მის მიერ გამოყენებულ დამხმარე პირებს ამაში ბრალი მიუძღვით. ანუ, პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის საკმარისია, რომ მენარდეს ან მის დამხმარე პირებს მიუძღვოდეთ ბრალი და არ არის საჭირო, რომ ბრალი მიუძღვოდეს მენარდესაც და მის დამხმარე პირებსაც.[10] პასუხისმგებლობისათვის აუცილებელი კრიტერიუმთაგანი იყო ბრალი, როგორც სუბიექტური ელემენტი და გაფრთხილება, როგორც ობიექტური წინაპირობა. ამიტომაც ხშირად გაფრთხილება (interpellatio) და მოვალის ბრალეულობა (in mora) სინონიმური მნიშვნელობით განიხილებოდა.[11]

შესრულებული სამუშაოს შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკთან დაკავშირებით, რომის სამართლის წყაროებში გვხვდება განსხვავებული მიდგომა. რისკთან დაკავშირებით, წყაროებში მოცემულია მთავარი პრინციპი, რომლის თანახმადაც, მენარდეს ეკისრება შესრულებული სამუშაოს შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკი შემკვეთისათვის შესრულების გადაცემამდე. გადაცემასთან ერთად, შემკვეთზე გადადის შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკი.[12] ასე მაგალითად, ლაბეონი საკითხს წყვეტს შემდეგ შემთხვევასთან მიმართებით, როდესაც მენარდემ ხელშეკრულების თანახ-

---

[9] იქვე, 792.

[10] Римское частное право под ред. И.Б. Новицкого и И.С. Перетерского, М., 1996, с. 461.

[11] Zimmermann R., The Law of Obligations _ Roman Foundations of the Civilian Tradition, Breach of Contract, Chapter 25, Clarendon, Oxford University Press, 1996, 792.

[12] Гримм Д.Д. Лекций по догме римского права, М., 2003, с. 333.

მად გათხარა არხი, მაგრამ მეწყერმა გათხრილი არხი მთლიანად ამოავსო (D.19.2.62). ამასთან, წყაროების იმავე მონაკვეთში მოყვანილია პავლეს მოსაზრება, რომელიც ახდენს გამიჯვნას: თუკი ეს მეწყერი (მიწის ჩამოშლა) მოხდა Soli vitio შემთხვევითი გარემოებების შედეგად, მაშინ ჩამოშლის უარყოფითი შედეგები ეკისრება შემკვეთს, ხოლო თუ ჩამოშლას ადგილი ჰქონდა operis vitio – შესრულებული სამუშაოს ნაკლის გამო, მაშინ უარყოფითი შედეგები ეკისრება მენარდეს. გამოდის, რომ სამუშაოს შედეგის გადაცემამდეც კი, შესრულებული სამუშაოს შემთხვევითი დაღუპვის რისკი ეკისრება თითქოსდა შემკვეთს (D.19.2.62). [13]

რომის კერძო სამართალში გაბატონებული პოზიცია ეკავა იმ მოსაზრებას, რომ მენარდეს ეკისრებოდა შესრულებული სამუშაოს შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკი შემკვეთისათვის გადაცემამადე. სავარაუდოა, რომ პავლეს, აღნიშნულ მაგალითში, მხედველობაში ჰქონდა არა შემთხვევითობა, არამედ დაუძლეველი ძალის (სტიქია) მოქმედება, რომლის შედეგებსაც სხვა რომაელი იურისტებიც აკისრებდნენ შემკვეთს. დიგესტებში (19.2.59) შემკვეთს – locator-ს რისკი ეკისრებოდა იმ შემთხვევაში, თუკი ბუნებრივი მოქმედებით, მაგალითად, მიწისძვრის შედეგად ნაწილობრივ განადგურდებოდა მენარდის მიერ აშენებული შენობა-ნაგებობა – Vi naturali veluti terrae motu. უფრო ნათლად საუბრობს ფლორენტინი: „si vi maiore opus prius interciderit, quam adprobaretur, locatoris periculo est", ანუ, თუ შემკვეთისათვის გადაცემამდე შესრულებული სამუშაო დაიღუპება ან განადგურდება დაუძლეველი ძალის შედეგად, ყველა არახელსაყრელი შედეგი დგება შემკვეთისათვის (D.19.2.36).[14]

სამუშაოს გადაცემამდე ჩვეულებრივი შემთხვევითობის რისკი ეკისრებოდა მენარდეს, ხოლო სამუშაოს გადაცემის შემდეგ კი – შემკვეთს. შემკვეთზე რისკი გადადიოდა იმ შემთხვევაშიც, თუკი იგი გადააცილებდა სამუშაოს მიღების ვადას („si tale opus fuit, ut probari deberect" D.19.2.3).

შემკვეთის ძირითად ვალდებულებას წარმოადგენდა არა მხოლოდ

---

[13] Римское частное право под ред. И.Б. Новицкого и И.С. Перетерского, М., 1996, с. 460.

[14] „იქვე", გვ.461.

შესრულებული სამუშაოს მიღება, არამედ მენარდისათვის შეთანხმებული საზღაურის გადახდაც. თუკი სამუშაოს შესრულების პროცესში გამოირკვეოდა, რომ მენარდის მიერ შედგენილი ხარჯთაღრიცხვის გადაჭარბება ხდებოდა აუცილებელი, მაშინ შემკვეთზე იყო დამოკიდებული, გაგრძელდებოდა სამუშაოს შესრულება ახალი ხარჯთაღრიცხვით, თუ მოხდებოდა ნარდობის ხელშეკრულების შეწყვეტა.

თუკი შემკვეთი მოითხოვდა ხელშეკრულების შეწყვეტას ხარჯთაღრიცხვის გაზრდის გამო, მაგრამ მენარდე თვითნებურად მაინც გააგრძელებდა სამუშაოს შესრულებას, მაშინ შემკვეთს შეეძლო მენარდისაგან მოეთხოვა გადახდილი დაუხარჯავი ავანსის უკან დაბრუნება (D.19.2.60.4). თუკი შემკვეთი დაუსაბუთებლად უარს განაცხადებდა სამუშაოს მიღებაზე, იგი არ თავისუფლდებოდა მენარდისათვის შეთანხმებული საზღაურის გადახდის ვალდებულებისაგან. მენარდეს ასევე შეეძლო მოეთხოვა შემკვეთისაგან ზიანის ანაზღაურება, თუკი შემკვეთი დაუსაბუთებლად უარს იტყოდა შესრულებული სამუშაოს მიღებაზე. ზიანის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრებოდა იმის მიხედვით, რასაც მენარდე მიიღებდა თავისი სამუშაო ძალის სხვაგვარი გამოყენებით, შემკვეთს რომ ვადისათვის არ გადაეცილებინა.

locatio-conductio operis-ის გამოყენების ერთ-ერთ პრაქტიკულად მნიშვნელოვან შემთხვევას რომის კერძო სამართალში წარმოადგენდა გადაზიდვა, სახელდობრ, საზღვაო გადაზიდვა. იმის გამო, რომ საბერძნეთში რომზე ბევრად ადრე განვითარდა ზღვაოსნობა, საბერძნეთში ჩამოყალიბდა საზღვაო გადაზიდვებთან დაკავშირებული ჩვეულებები, რომლებიც მოგვიანებით რეცეფცირებული იქნა რომის სამართალში. ასე მაგალითად, საზღვაო გადაზიდვებთან მიმართებით, რომის სამართალში ჩამოყალიბდა სპეციალური ნორმა, რომელსაც ეწოდა lex Rhodia de iactu (როდოსის კანონი ზღვაში გადაყრის შესახებ).

თუ საზღვაო გადაზიდვის დროს წარმოიშვებოდა საერთო საფრთხე როგორც გემისათვის, ისე გადასაზიდი ტვირთის მიმართ და ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად გემის კაპიტანი იძულებული იყო გადასაზიდი ტვირთის ნაწილი გადაეყარა ზღვაში, ასეთი

ქმედების შედეგად დამდგარი ზიანი ნაწილდებოდა მათ შორის, ვისაც საფრთხე ემუქრებოდა. „Lege Rhodia cavetur, ut, si levande navis gratia iactums mercium factus est, omnium contributione sarciatur guod pro omnibus datum est." ანუ, როდოსის კანონით გათვალისწინებული იყო, რომ თუკი გემის გადასარჩენად ხდებოდა ზღვაში გადასაზიდი ტვირთის გადაყრა, ამის შედეგად დამდგარი ზიანი ანაზღაურებული უნდა ყოფილიყო იმ პირთა შორის განაწილების გზით, რომელთა ინტერესების დასაცავადაც მოხდა ტვირთის გადაყრა ზღვაში (D.14.2.1). ასეთი განაწილება ხდებოდა შემდეგნაირად: გადაყრილი ტვირთის მესაკუთრეები, რომლებიც გადამზიდავი გემის მესაკუთრის მიმართ წარმოადგენდენ locator-ებს, გემთფლობელს წარუდგენდნენ actio locati, ხოლო გემთმფლობელი წარუდგენდა actio conducti-ის იმ ტვირთმფლობელებს, რომელთა ტვირთიც გადარჩებოდა, ut detrimentum pro portione (რათა ზიანი განაწილებულიყო პროპორციულად).[15]

[15] Римское частное право под ред. И.Б. Новицкого и И.С. Перетерского, М., 1996, с. 463.

თავი II. ნარდობის ხელშეკრულების ცნება და ძირითადი ნიშნები

II.1. ნარდობის ხელშეკრულების ცნება

კანონმდებლობა ითვალისწინებს სამუშაოს შესრულების ტიპის ისეთ ხელშეკრულებას, როგორიცაა ნარდობა.[16] ნარდობის ხელშეკრულება, ნასყიდობის ხელშეკრულების მსგავსად, ერთერთი ყველაზე უფრო მეტად გავრცელებული ხელშეკრულებაა სასაქონლო-ფულად ფასეულობათა ბრუნვის სფეროში. ნარდობის ხელშეკრულება აწესრიგებს უშუალოდ წარმოების პროცესში წარმოშობილ ურთიერთობებს, რადგან იგი დაკავშირებულია მენარდის ვალდებულებასთან – შეასრულოს ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო[17] და გადასცეს შემკვეთს შეთანხმებული საზღაურის მიღების პირობით შესრულებული სამუშაოს შედეგი.[18] ანუ ნარდობა მიეკუთვნება სამუშაოს შესრულების ტიპის ხელშეკრულებას. ერთ-ერთ საქმეზე სასამართომ მიუთითა, რომ „მოდავე მხარეებს შორის 2012 წლის 24 აპრილს დაიდო ნარდობის ხელშეკრულება, რადგან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ბიურომ (მენარდემ) იკისრა ვალდებულება – შეესრულებინა სამუშაო: მოემზადებინა ექსპერტის დასკვნა და გადაეცა შემკვეთისათვის; ამ უკანასკნელმა კი იკისრა ვალდებულება – გადაეხადა მენარდისთვის შეთანხმებული საზღაური."[19]

საქართველოში დღითიდღე იზრდება ნარდობის ხელშეკრულების ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობა, ასევე ფართოვდება მისი გამოყენების არეალიც, როგორიც შეიძლება იყოს არა მარტო ახალი ნივთის დამზადება, არამედ გადაკეთება, ქიმწმენდა, სამშენებლო და სარემონტო სამუშაოები, საერთაშორისო თუ ადგილობრივი მნიშ-

---

[16] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 4

[17] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 14 მაისის განჩინება საქმეზე #ას-307-628-09.

[18] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 27 სექტემბრის განჩინება საქმეზე #ას-155-148-2013.

[19] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 1 ოქტომბრის განჩინება საქმეზე #ას-184-177-2013.

ვნელობის მქონე გზების, გაზსადენების, ნავთობსადენების და ა.შ. გაყვანა. ყოველივე ეს წარმოადგენს სწორედ იმ სფეროს, სადაც შესაძლებელია ნარდობის ხელშეკრულების გამოყენება.[20] ნარდობის ხელშეკრულება არცთუ იშვიათად, ითვალისწინებს მისი მონაწილე მხარეების გრძელვადიან ურთიერთთანამშრომლობას და ასეთ შემთხვევებში ნარდობის კლასიფიკაცია ხდება როგორც განგრძობადი შესრულების ხელშეკრულებისა. სხვა შემთხვევებში, ნარდობის ხელშეკრულება იდება უფრო ხანმოკლე ვადით, როგორც წესი, ერთი კონკრეტული სამუშაოს შესასრულებალდ.[21]

საქართველოში საბჭოური სამართლის სისტემის ნგრევამ და თავისუფალ საბაზრო მეურნეობაზე გადასვლამ განსაკუთრებით შეუწყო ხელი კერძო-სამართლებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბებას. ამის თვალსაჩინო მაგალითია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი ნების ავტონომიის პრინციპი.[22] კერძო (ნების) ავტონომია ეწოდება კონკრეტულ პირთათვის სამართლით მინიჭებულ და უზრუნველყოფილ[23] შესაძლებლობას ერთმანეთს შორის ურთიერთობა განსაზღვრული ფარგლების შიგნით მოაწესრიგონ გარიგების, განსაკუთრებით კი ხელშეკრულების მეშვეობით.[24]

ნარდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელ სამართლებრივ ნორმებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, რომელშიც ნარდობას დათმობილი აქვს მესამე წიგნის – ვალდებულებითი სამართალი – კერძო ნანილის კარი პირველი – სახელშეკრულებო სამართლის მეორე ნაწილის თავი მეათე, მუხლები 629-656.

ნარდობის ხელშეკრულების საკანონმდებლო განმარტება მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლის I

[20] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 6.

[21] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 ნლის 20 სექტემბრის განჩინება საქმეზე #ას -348-331-2013.

[22] ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნანილში, 1997,57.

[23] Säcker, Münchener Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch, 5.Aufl., Band 1, 2006, Einl, Rn. 33.

[24] ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნანილში, 1997, 58.

ნაწილში, კერძოდ: „ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური".[25] აღნიშნული ცნებიდან გამომდინარე, ნარდობა, როგორც სამუშაოს შესრულების ტიპის ხელშეკრულება, არის კონსენსუალური, ორმხრივი და სასყიდლიანი ხელშეკრულება.

II.2. ნარდობის ხელშეკრულების ძირითადი ნიშნები

1. **კონსენსუალური ბუნება;**
2. **ორმხრივმავალდებულებელი ბუნება;**
3. **სასყიდლიანი ბუნება;**

II.2.1 კონსენსუალური ბუნება;

ხელშეკრულებების რეალურად და კონსენსუალურად დაყოფის კრიტერიუმია ის, თუ რა დროიდან (მომენტიდან) ითვლება ხელშეკრულება დადებულად.[26]

ნარდობის ხელშეკრულება წარმოადგენს კონსესუალურ ხელშეკრულებას. როგორც ქართულ, ისე გერმანულ სამოქალაქო სამართალში ნარდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელი თავის პირველივე მუხლებში მითითებულია, რომ ნარდობის ხელშეკრულებით ხდება მენარდის მიერ შეთანხმებული საზღაურის გადახდით შემკვეთისათვის განსაზღვრული სამუშაოს შესრულება.[27]

ნარდობის ხელშეკრულების კონსესუალური ბუნება იმითაა განპირობებული, რომ იგი დადებულად ითვლება, როდესაც ხელშეკრულების მხარეები მიაღწევენ შეთანხმებას მის ყველა არსებით პირობაზე საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. შესაბამისად, ნარდობის ხელშეკრულების ძალაში შესვლა არ არის დაკავშირე-

[25] სუსგ 2009 წლის 14 მაისის განჩინება საქმეზე #ას-307-628-09; სუსგ 2009 წლის 28 მაისის განჩინება საქმეზე #ას-2503-ბ-6-09.

[26] ძლიერიშვილი, ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრ. სამართლებრივი ბუნება, 2010, 197.

[27] Busche, in MüKo.BGB, Band 4.,5.Aufl. §631, Rn.3.

ბული არც მენარდისათვის გასამრჯელოს გადახდასთან და არც შემკვეთისათვის შესრულებული სამუშაოს შედეგის გადაცემასთან.[28] ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ „ნარდობა, როგორც კონსესუალური ხელშეკრულება, მოიცავს არა მხოლოდ შესრულებული სამუშაოს შედეგს, არამედ სამუშაოს შესრულების მიმდინარეობის პროცესს, რომელშიც ორივე მხარე თანაბარი პასუხისმგებლობით უნდა მონაწილეობდეს იმ უფლება-მოვალეობათა კეთილსინდისიერად განსახორციელებლად, რაც სახელშეკრულებო ბოჭვის ფარგლებში ერთმანეთის მიმართ აკისრიათ".[29]

II.2.2. ორმხრივმავალდებულებელი ბუნება;

II.2.2.1. ზოგადი დებულებები

ხელშეკრულებათა ცალმხრივად და ორმხრივად კლასიფიცირება ხდება იმის მიხედვით, ხელშეკრულების საფუძველზე ვალდებულება ეკისრება ორივე მხარეს, თუ იგი მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს წარმოეშობა. პირველ შემთხვევაში სახეზეა ორმხრივმავალდებულებელი, ხოლო მეორე შემთხვევაში კი – ცალმხრივად მავალდებულებელი ხელშეკრულება.[30] პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება ნარდობის ხელშეკრულების ზემოთ აღნიშნული სახეებიდან ერთ-ერთისათვის მიკუთვნების საკითხს.

ორმხრივხელშეკრულებში თითოეულ მხარეს გააჩნია უფლებებიც და მოვალეობებიც, ე.ი. თითოეული მხარე კრედიტორიცაა და მოვალეც. ხშირად, სამოქალაქო ბრუნვის მონაწილე, რომელიც გადასცემს რაიმე ქონებას კონტრაჰენტს მისგან სამაგიერო ქონებრივი სიკეთის მიღების სანაცვლოდ, დაინტერესებულია იმით, რომ „გაცვლის" დრო მინიმალური იყოს. ხშირად ორივე მხარე ვალდე-

---

[28] ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი I, 629-ე მუხლი, გვ.238.

[29] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 31 ივლისის განჩინება საქმეზე № ას-362-344-2015.

[30] ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 1997, 319.

ბულია შესრულება განახორციელოს ერთდროულად.[31] ორმხრივ ხელშეკრულებაში შესრულების რიგითობის დადგენას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს[32] ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულების ჯეროვანი შესრულებისათვის.[33]

ორმხრივ ხელშეკრულებებში შესასრულებელი ვალდებულებების ობიექტები ერთმანეთთან გარკვეულ ურთიერთკავშირში იმყოფებიან, რამეთუ ასეთი ხელშეკრულებების ეკონომიკური არსი მდგომარეობს მატერიალური სიკეთეების გაცვლაში. სამოქალაქო სამართალში განასხვავებენ ურთიერთკავშირს გამყიდველის შესრულების ნაწილსა (საქონლის გადაცემა) და მყიდველის შესრულების ნაწილს (ფასის გადახდა) შორის, რომელიც შემდეგნაირი შეიძლება იყოს: ა) საქონლის (ქონების) გადაცემა წინ უსწრებს ფასის გადახდას; ბ) ფასის მთლიანად ან ნაწილობრივ (ბე, ავანსი) გადახდა წინ უსწრებს საქონლის (ქონების) გადაცემას. კონტრაჰენტებიდან რომელმა უნდა შეასრულოს პირველმა ვალდებულება, თუ ხელშეკრულებით თანმიმდევრობა გათვალისწინებული არ არის? მიჩნევა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებაში ჯერ გამყიდველმა უნდა შეასრულოს თავისი ვალდებულება (გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი) და შემდეგ კი მყიდველმა უნდა გადაიხადოს ფასი ქონების გადაცემისთანავე. ასეთი მიდგომა განპირობებულია იმით, თუ რა ინტერესია ჩადებული ქონების სამოქალაქო და სავაჭრო ბრუნვაში. ქონება, ფართო გაგებით, ფულისაგან განსხვავებით არ წარმოადგენს გაცვლის საყოველთაო საშუალებას. ქონების რეალიზაციისათვის საჭიროა მყიდველის მოძებნა. გამყიდველი კონკურენციის კანონების ძალით დაინტერესებულია იმით, რომ გაყიდოს თავისი საქონელი, ამიტომაც გამართლებულია, რომ მას დაეკისროს ორმხრივი ვალდებულების შესასრულებლად პირველი ნაბიჯის გადადგმა, ანუ მყიდველისათვის ქონების (საქონლის) გადაცემა.

ორმხრივ მავალდებულებელი ხელშეკრულებით ვალდებულება ორივე მხარეს წარმოეშობა. თითოეული მხარე ვალდებულია შეა-

[31] ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 75.

[32] ჰენშელი, სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდიკა, 2009, 104.

[33] ჭეჭელაშვილი, სახელშეკრულებო სამართალი, 2008, 155.

სრულოს მანამ, სანამ შემხვედრი ვალდებულების შესრულება შესაძლებელია. ასე რომ, მეორე მხარისაგან შესრულების მოთხოვნა შესაძლებელია მაშინ, როცა მხარეს თავისი ვალდებულება უკვე შესრულებული აქვს (ანდა უკიდურეს შემთხვევაში ვალდებული პირი შეუდგა მაინც თავისი ვალდებულების შესრულებას).[34] ჯერ კიდევ რომის სამართალში, ორმხრივ ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეთა ინტერესების დასაცავად გამოიყენებოდა წინასწარი შესრულების მოთხოვნის საწინააღმდეგო შესაგებელი (exceptio non adimplenti contractus), რომელიც მიმართული იყო შესრულების მომთხოვნი მხარის წინააღმდეგ,[35] რომელსაც არ ჰქონდა შესრულებული თავისი ვალდებულება.[36]

სკ-ის 369-ე მუხლის თანახმად, „იმ პირს, რომელსაც ვალდებულება აკისრია ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე საპასუხო მოქმედების განხორციელებამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებული იყო, თავისი ვალდებულება წინასწარ შეესრულებინა". ეს მუხლი ადგენს შემხვედრი ვალდებულების შესრულების ზოგად წესს. შემხვედრი ეწოდება ერთ-ერთი მხარის მიერ თავისი ვალდებულების შესრულებას, რომელიც ხელშეკრულებიდან გამომდინარე, განპირობებულია მეორე მხარის მიერ თავისი ვალდებულების შესრულებით. მაშასადამე, შემხვედრია ისეთი ვალდებულება, რომელიც მხარემ უნდა განახორციელოს კონტრაჰენტისაგან შესრულების მიღების საპასუხოდ.[37]

საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების პრინციპების („უნიდროას" პრინციპები) 7.1.3-ე მუხლი ადგენს, რომ, თუკი მხა-

---

[34] Бернгефот/Колер, Гражданское право Германии, 1910, 88.

[35] Exceptio – „ექსცეფცია", პროცესუალური დათქმა მოპასუხის სასარგებლოდ.

[36] Zimmermann, The Law of Obligations, Roman Foundations of the Civilian Tradition, OXFORD University Press, 1992, P. 801; რომის სამართალში, მას შემდეგ, რაც ნასყიდობის ხელშეკრულება ორი დამოუკიდებელი ხასიათის დაპირებისაგან გადაიქცა კონსესუალურ ხელშეკრულებად, მოსარჩელის მიერ სარჩელის შეტანის შემდეგ, თუკი მოპასუხე წარადგენდა შესაგებელს, მოსარჩელე ვალდებული იყო დაემტკიცებინა, რომ მან თავისი ვალდებულება უკვე შეასრულა ანდა, რომ ამწუთს შესთავაზებს შესრულებას – offeri pretium ab emptore debet cum ex empto agitur. მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა მოსარჩელეს (იქვე, P. 802).

[37] ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება, 2006, 135.

რეებმა თავიანთი ვალდებულებები უნდა შეასრულონ ერთდროულად, ნებისმიერ მათგანს შეუძლია შეაჩეროს შესრულება მანამდე, სანამ მეორე მხარე არ შესთავაზებს თავის შესრულებას.[38]

ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების 9:201-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ მხარეს, რომელმაც უნდა შეასრულოს ვალდებულება მეორე მხარესთან ერთდროულად ან მის მიერ ვალდებულების შესრულების შემდეგ, უფლება აქვს შესრულება შეაჩეროს მანამ, სანამ მეორე მხარე არ შეასრულებს თავის ვალდებულებას ან არ შესთავაზებს შესრულებას.[39] საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების პრინციპების („უნიდროას" პრინციპები) 6.1.4-ე მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს, რომ ორმხრივ ვალდებულებით ურთიერთობებში, იმდენად, რამდენადაც შესაძლებელია მხარეების მიერ ერთდროული შესრულება, მხარეებმა ვალდებულებები უნდა შეასრულონ ერთდროულად, თუკი გარემოებებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.[40]

ამდენად, ორმხრივ ხელშეკრულებებში მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ პირველმა რომელმა მხარემ უნდა შეასრულოს ვალდებულება. „უნიდროას" პრინციპების აღნიშნული მუხლის მეორე პუნქტი ადგენს ზოგად წესს იმ შემთხვევისთვის, როცა მხარეებს საკითხი შეთანხმებით არ მოუწესრიგებიათ. კერძოდ, თუკი ერთი მხარისათვის ვალდებულების შესასრულებლად საჭიროა გარკვეული დრო, მაშინ მან ვალდებულება პირველმა უნდა შეასრულოს, თუკი გარემოებებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. **მაგალითად მოყვანილია ნარდობის ან მომსახურების ხელშეკრულება. მხარედ,**

---

[38] UNIDROIT, Principles of International Commercial Contracts, Rom, 1994, Uniform Law review, 2004.

[39] ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების კომენტატორები აღნიშნავენ, რომ კონტინენტური სამართლის ქვეყნებში ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების შეჩერება ფართოდაა გავრცელებული. ამასთან, ცალკეულ შემთხვევებში ეს დადგენილია პოზიტიური სამართლით (გერმანია, იტალია, საბერძნეთი, ჰოლანდია, პორტუგალია), ხოლო სხვა ქვეყნებში კი აღნიშნული მოწესრიგება დადგენილია სასამართლო პრაქტიკით (საფრანგეთი, ბელგია, ლუქსემბურგი, ავსტრია, ესპანეთი, დანია) – Principles of European Contract Law, Parts I and II /Ed. by Ole Lando, Hugh Beale, 2000, P. 404.

[40] UNIDROIT, Principles of International Commercial Contracts, Rom, 1994,Uniform Law Review, 2004.

რომლის ვალდებულების შესრულებას „გარკვეული დროს სჭირდება", ამ შემთხვევაში გვევლინება მენარდე. ევროპის სახელშეკრულებო სამართალშიც „ჯერ სამუშაო, შემდეგ კი გადახდა" საკმაოდ გავრცელებული ჩვეულებაა.[41] ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები (7:104-ე მუხლი) ასევე ადგენენ ზოგად წესს, რომლის თანახმადაც, „იმ ზომით, რომელშიც მხარეთა მიერ ვალდებულების შესრულება უნდა მოხდეს ერთდროულად, მხარეები ვალდებულნი არიან შესრულება განახორციელონ ერთდროულად, თუკი გარემოებებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს". ამ ზოგადი წესის არსებობის საჭიროება აიხსნება იმით, რომ ის შესაძლებელს ხდის თავიდან იქნეს აცილებული მეორე მხარის მირ შეუსრულებლობის დამატებითი რისკი.[42]

შემხვედრი (საპირისპირო) მოთხოვნის უფლების გამო ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლება გამორიცხული იქნება, თუ მას მოთხოვნის უფლებასთან არა აქვს კავშირი.[43]

ზოგჯერ სხვადასხვა გარემოების გამო, კერძოდ, ვალდებულებითი ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, შეუძლებელია ორმხრივი ხელშეკრულების ერთდროულად შესრულება. ამას ადგილი აქვს, როგორც წესი, გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობებში. შესრულება ამ შემთხვევაში ჯერ ერთმა მხარემ უნდა განახორციელოს და მხოლოდ ამის შემდეგ გახდება შესრულებაზე ვალდებული მეორე მხარე. შესრულების არაერთდროულობა ორმხრივ ვალდებულებით ურთიერთობებში შეიძლება გამომდინარეობდეს კანონიდან, ხელშეკრულებიდან ან სხვა გარემოებებიდან. მაგალითად, სკ-ის 648-ე მუხლის თანახმად, შემკვეთი მოვალეა მენარდეს საზღაური გადაუხადოს, როგორც წესი, სამუშაოს შესრულების შემდეგ.

სკ-ის 369-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლება მოვალეს ანიჭებს მხოლოდ დროებით (სუსპენზიურ) შესაგებელს.[44] თუ მოვალე შესაგებ-

[41] Principles of European Contract Law, Parts I and II /Ed. by Ole Lando, Hugh Beale, 2000, 335.

[42] "ibid", 336.

[43] Brox/Walker, Allgemeines Schuldrecht, 32 Auflage, Verlag C.H. Beck, 2007, 116.

[44] ჭეჭელაშვილი, სახელშეკრულებო სამართალი, 2008, 167.

ელს წარადგენს სასამართლო დავის განხილვისას, ეს გამოიწვევს არა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას, არამედ მხოლოდ „ერთდროულად შესრულების" დაკისრებას.[45]

II.2.2.2 ნარდობის ორმხრივმავალდებელი ბუნება

ნარდობის ხელშეკრულება **არის ორმხრივმავალდებულებელი ხელშეკრულება,** რადგან ხელშეკრულების თითოეულ მხარეს (როგორც მენარდეს, ისე შემკვეთს) გააჩნიათ უფლება-მოვალეობები, ანუ ნარდობაში ადგილი აქვს მხარეთა შემხვედრი ვალდებულებების არსებობას: მენარდის მიერ გარკვეული სამუშაოს შესრულება და შემკვეთის მიერ შეთანხმებული საზღაურის გადახდა. ეს ორი ვალდებულება ერთმანეთს განაპირობებს. ამიტომაც, ნარდობა არის სინალაგმატური ხელშეკრულება („synallagma" – ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „ორიმხრივ მავალდებელებელს"). „სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სკ-ის 361-ე, 316-ე და 327-ე მუხლებით და მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულება სკ-ის 629-ე მუხლით გათვალისწინებულ ნარდობის ხელშეკრულებად სწორად ჩათვალა."[46]

სინალაგმატური ვალდებულება ხასიათდება ურთიერთკავშირის გენეტიკური და ფუნქციონალური ასპექტების ერთიანობით.[47] ხელშეკრულება ძალაში შედის, თუკი ვალდებულება ურთიერთობის ორივე მხარეს წარმოეშვება და თითოეული მხარე ვალდებულია შეასრულოს მანამ, სანამ შემხვედრი ვალდებულების შესრულება შესაძლებელია.[48] მხარეს, მეორე მხარისაგან შესრულების მოთხოვნა შეუძლია მხოლოდ მაშინ, თუკი მან თავისი ვალდებულება უკვე შეასრულა (ანდა უკიდურეს შემთხვევაში ვალდებული პირი შედგომილი მაინც არის საკუთარი მოვალეობის შესრულებას).[49]

---

[45] Brox/Walker, Allgemeines Schuldrecht, 32 Auflage, Verlag C.H. Beck, 2007, 118.

[46] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 1 მარტის განჩინება საქმეზე №ას-889-1175-09.

[47] ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება, 2006, 130.

[48] Emmerich, in MüKo.BGB, Band 2.,5.Aufl. §320, Rn.31.

[49] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 21.

ნარდობის ხელშეკრულების სინალაგმატური ხასიათი იმაში გამოიხატება, რომ მენარდის მიერ თავისი ვალდებულების, რაც დაკავშირებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შედეგის შემკვეთისათვის გადაცემასთან – ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, შემკვეთს ეკისრება შემხვედრი ვალდებულების შესრულება – ანუ შეთანხმებული საზღაურის გადახდა. „განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია და სადავო არაა, რომ მოსარჩელემ (მენარდემ) შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, კერძოდ, მოპასუხეს გაუწია 1815 ლარის ღირებულების სამედიცინო მომსახურეობა, შესაბამისად, მოსარჩელე უფლებამოსილია მოპასუხეს (შემკვეთს) მოსთხოვოს შეთანხმებული საზღაური, ანუ 1815 ლარის გადახდა".[50]

მაშასადამე, თუკი მენარდე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოს შედეგის შემკვეთისათვის გადაცემის ვალდებულებას, შემკვეთს უფლება აქვს არ გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შემკვეთს საზღაური წინასწარ უნდა გადაეხადა.[51] „დადგენილი გარემოებების გათვალისწინებით, პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლის პირველი ნაწილით, 361-ე მუხლის პირველი ნაწილით და ჩათვალა, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის პოზიციის სასარგებლოდ მოქმედებდა სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლით დადგენილი ვალდებულების არსებობის პრეზუმფცია, რომლის საწინააღმდეგო გარემოების დადასტურება მოპასუხემ ვერ შეძლო, ამდენად, 2011 წლის 28 მარტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესრულებული სამუშაოების ანაზღაურების სახით შემკვეთს მენარდისათვის დამატებით უნდა დაკისრებოდა 57 393,92 ლარის გადახდა.[52]

განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობაში ნარდობა განიხილება: 1) როგორც ორმხრივ მავალდებულებელი შეთანხმება, რომლის ძალითაც ერთი მხარე – მენარდე, ვალდებულებას კისრულობს

[50] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 28 ივლისის განჩინება საქმეზე #ას -539-512-2015.

[51] Münch Komm BGB/Emmerich Bd. 2a §320 Rn. 31. Palandt/Heinrichs §320 Rn.5.

[52] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 23 ივლისის განჩინება საქმეზე #ას-546-519-2013.

შეასრულოს გარკვეული სამუშაო, ხოლო მეორე მხარე —შემკვეთი კი კისრულობს ვალდებულებას, მიიღოს შესრულებული სამუშაოს შედეგი და გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური (გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §631, შვეიცარიის ვალდებულებითი კანონის 363-ე მუხლი); 2) როგორც შეთანხმება, რომლის ძალითაც მენარდემ დამოუკიდებლად უნდა შეასრულოს გარკვეული სამუშაო (საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 1968 წლის 19 თებერვლის გააწყვეტილება D.1968. 393).

ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, ნარდობის ამგვარი განზოგადებული ცნება პრაქტიკულად არ გამოიყენება. საერთო სამართლის ქვეყნებში არსებობს ცალკეული სახის კონტრაქტები, რომლითაც ფორმდება სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული ხელშეკრულების მხარეთა ურთიერთობები, კერძოდ, პირადი ქირავნობის ხელშეკრულება _ contract of work and labour, სამშენებლო ნარდობის ხელშეკრულება – building contract, construction contract. განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობაში ნარდობის ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს როგორც ახალი ნივთის დამზადება ან ნივთის გადაკეთება (მაგალითად პიჯაკის შეკერვა ან გაკერვა), ასევე ნებისმიერი შედეგი (რეზულტატი), რომელიც მიიღწევა სამუშაოს შესრულებით ან მომსახურების გაწევით და სულ არ არის სავალდებულო, რომ ეს იყოს დაკავშირებული რაიმე მატერიალური ობიექტის შექმნასთან და დამზადებასთან (მაგალითად, მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება, ექსპერტიზის ჩატარება, რეკლამის ეფექტურობის თაობაზე გამოკითხვის ჩატარება და ა.შ.).[53]

კონტინენტალურ სამართლებრივ სისტემაში შენარჩუნებულია რომის სამართლის ტრადიცია, რომლის მიხედვითაც ხდება გამიჯვნა ქირავნობის სამ სახეს შორის: ნივთის ქირავნობა – locatio conductio rei; მომსახურების ქირავნობა – locatio conductio operarum; და ქირავნობის განსაკუთრებული სახე – locatio conductio operis, ანუ ნარდობა, რომლის უშუალო მიზანს წარმოადგენდა არა სამუშაოს შესრულება როგორც ასეთი, რომელსაც ადგილი ჰქონდა

[53] Гражданское и торговое право зарубежных государств. Отв. ред. Васильев/ Комаров. Т.2. 2005, 117.

მომსახურების ქირავნობისას, არამედ შესრულებული სამუშაოს შედეგი – opus, მაგალითად, მენარდის (conductor) მიერ სახლის აშენება, ნივთის დამზადება, შეკეთება, სარემონტო სამუშაოები. ამ სისტემაში ნარდობის ხელშეკრულება წარმოადგენს დამოუკიდებელ ხელშეკრულებას (Werkvertrag, Contrat d'entreprise). ფრანგულ სამართალში ნარდობა განსხვავდება მომსახურების ქირავნობისაგან და გადამზიდველის ქირავნობისაგან. კერძოდ, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1779-ე მუხლის თანახმად, არსებობს სამუშაოს ქირავნობის სამი ძირითადი სახე: 1) სამუშაო ძალის ქირავნობა, რომელიც ვინმეს უწევს მომსახურებას; 2) როგორც სახმელეთო, ისე საზღვაო გადამზიდველების ქირავნობა, რომლებიც ვალდებულებას კისრულობენ გადაიყვანონ მგზავრები ანდა გადაიტანონ ტვირთები; 3) არქიტექტორების, მენარდეების და სპეციალისტების ქირავნობა სამუშაოს შესრულების ნარდობის ხელშეკრულების საფუძველზე.[54]

ხელშეკრულების საგნისა და ხელშეკრულებაში მონაწილე სუბიექტების მიხედვით, განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობაში ნარდობის ხელშეკრულება იყოფა სხვადასხვა სახედ: 1) სამშენებლო ნარდობის ხელშეკრულება. ეს ხელშეკრულება იდება შემკვეთსა და სამშენებლო კომპანიას შორის, მიზნად ისახავს საცხოვრებელი თუ არასაცხოვრებელი ფართის მთლიან მშენებლობას ანდა ცალკეული სახის სამუშაოების განხორციელებას (მაგალითად, ფუნდამენტის ჩასხმა, გადახურვა, ელექტრო- ან გაზის გაყვანილობის სამუშაოების შესრულება); 2) არქიტექტორთან დადებული ნარდობის ხელშეკრულება, რომელიც მიზანად ისახავს მშენებლობისათვის საჭირო პროექტის მომზადებას, ასევე სამშენებლო სამუშაოების დამტკიცებული პროექტის მიხედვით განხორციელებაზე ზედამხედველობას; 3) საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოების განხორციელების ნარდობის ხელშეკრულება, მაგალითად, შემკვეთის შეთანხმება საინჟინრო-სამშენებლო ფირმასთან ხიდის დაპროექტებისა და მშენებლობის შესახებ; 4) მოწყობილობა-დანადგარების მონტაჟის შესახებ ნარდობის ხელშეკრულება; 5) ესქპერტიზის ჩატარების შესახებ ნარდობის ხელშეკრულება, მაგალითად, გასაყიდად გამო-

[54] Code civil des Francais. http://www.napoleon-series.org/research/government/.c.code.html

ტანილი უძრავი ქონების შეფასება; 6) საკონსულტაციო ხასიათის მომსახურების გაწევის ხელშეკრულება, მაგალითად, საქონლის წარმოებისა და გასაღების თაობაზე რეკომენდაციების შემუშავება; 7) სამედიცინო მომსახურების გაწევის შესახებ ნარდობის ხელშეკრულება, მაგალითად, სტომატოლოგმა უნდა განახორციელოს კბილის დაბჟენა, ექიმ-რენტგენოლოგმა უნდა გადაიღოს სურათი და მოახდინოს მისი გაშიფრვა (რეგულარული სამედიცინო მომსახურება ხორციელდება მომსახურების ქირავნობის ხელშეკრულებისა და არა ნარდობის ხელშეკრულების საფუძველზე).[55]

II.2.3 სასყიდლიანი ბუნება;

იმ ხელშეკრულებათა განხილვისას, რომლის საფუძველზე მხარე რაიმე სარგებელს ღებულობს, იბადება კითხვა: უსასყიდლოდ ხდება ეს თუ სასყიდლით?[56] ნარდობის ხელშეკრულება არის სასყიდლიანი ხელშეკრულება, რამეთუ შემკვეთმა უნდა გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური (როგორც წესი, ფულადი სახით).[57] შეთანხმება საზღაურის გადახდის შესახებ არ მიეკუთვნება ნარდობის ხელშეკრულების არსებით პირობას. საზღაურზე შეთანხმების არარსებობს არ ნიშნავს იმას,[58] რომ შემკვეთს უფლება აქვს არ გადაიხადოს შესრულებული სამუშაოსათვის საზღაური.[59]

მენარდისათვის გადახდილი საზღაურის ოდენობა, როგორც წესი, განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით. საზღაური გამოიხატება გარკვეული ფულადი თანხის გადახდის გზით. თუმცა საზღაური შეიძლება განისაზღვროს ნატურითაც (მაგალითად, შესრულებული სამუშაოს ნაწილის მენარდისათვის დატოვება) ანდა კომბინირებული სახითაც (ნაწილი ფულადი თანხით, ნაწილი შესრულებული

---

[55] Гражд. и торговое право зарубежных стран. Отв. ред. Е.А. Васильев, А.С. Комаров. Т.II, М., 2005, с. 119.

[56] ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 1997, 328.

[57] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011,24.

[58] Peters , in Staudinger BGB Komm. §632, Rn.5.

[59] Busche, in MüKo.BGB, Band 4.,5.Aufl. §632, Rn.4.

სამუშაოს შედეგით).[60] ნარდობის ხელშეკრულებით შეიძლება გათვალისწინებული იქნეს საათობრივი ანაზღაურების შესაძლებლობაც, მაგალითად, ექსპერტის, აუდიტორის ჰონორარი. თუ ანაზღაურების ოდენობა შეთანხმებული არ არის, ტარიფის არსებობისას შეთანხმებულად მიიჩნევა სატარიფო განაკვეთი. „ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 630-ემუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად, თუ ანაზღაურების ოდენობა შეთანხმებული არ არის, ტარიფის არსებობისას შეთანხმებულად მიიჩნევა სატარიფო განაკვეთი. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს #255 დადგენილებით დამტკიცებული სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დებულებით, გაწეული საექსპერტო მომსახურების ღირებულების საფასური განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს #256 დადგენილებით დამტკიცებული მომსახურების ტარიფით, რაც სადავო შემთხვევაში შეადგენდა 3270 ლარს."[61]

სამოქალაქო კოდექსის 630-ე I ნაწილით დადგენილია ნარდობის ხელშეკრულების სასყიდლიანობის პრეზუმფცია, კერძოდ, ანაზღაურება უსიტყვოდაც ითვლება შეთანხმებულად, თუ გარემოებების მიხედვით ნარდობა მხოლოდ ანაზღაურებითაა მოსალოდნელი. (ანალოგიურ დანაწესსიც[62] შეიცავს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 632-ე მუხლის პირველი პარაგრაფიც.[63] ნარდობის ხელშეკრულების სასყიდლიანობის პრეზუმფცია დადგენილია საფრანგეთის სასამართლო პრაქტიკითაც).[64]

მაგალითად, შემკვეთმა მენარდეს (ავეჯის საამქრო) შეუკვეთა საძინებელი ავეჯის გარნიტურის დამზადება, მაგრამ მხარეები არ შეთანხმებულან საზღაურის ოდენობაზე. მიუხედავად ამისა, საზღაური უსიტყვოდაც ჩაითვლება შეთანხმებულად, რადგან ავეჯის

---

[60] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011,54.

[61] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 26 აპრილის განჩინება საქმეზე #ას-335-320-2012.

[62] Schudnagies, Das Werkvertragsrecht nach der Schuldrechtsreform, NJW 2002, S.396-400.

[63] Busche, in MüKo.BGB, Band 4.,5.Aufl. §632, Rn.4.

[64] იხ. საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 1997 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება – Bull.civ.III #226.

საამქრო უსასყიდლოდ არ ამზადებს ავეჯს. თუ წამოიშვა დავა საზღაურის ოდენობის შესახებ, ასეთ შემთხვევაში უნდა ვიხელმძღვანელოთ სამოქალაქო კოდექსის 325-ე მუხლით დადგენილი წესით, რომლის თანახმადაც, თუ ვალდებულების შესრულების პირობები უნდა განისაზღვროს ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის ან მესამე პირის მიერ, მაშინ საეჭვოობისას ივარაუდება, რომ ამგვარი განსაზღვრა უნდა მოხდეს სამართლიანობის საფუძველზე.[65] თუ ნარდობის ხელშეკრულების მხარე, მეორე მხარის მიერ ცალმხრივად განსაზღვრული საზღაურის ოდენობას უსამართლოდ მიიჩნევს, მას შეუძლია მიმართოს სასამართლოს საზღაურის ოდენობის გაზრდის (მენარდე) ან შემცირების (შემკვეთი) მოთხოვნით.[66]

ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მიუთითა, რომ „ვინაიდან, მხარეთა შორის ყოველდღიური სამეწარმეო ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, გაწეული მომსახურება მხოლოდ ანაზღაურებით იყო მოსალოდნელი, შესაბამისად მოპასუხე ვალდებულია გადაიხადოს საზღაური დადგენილი ტარიფების შესაბამისად. ხელშეკრულების ის ნაწილი, რომელიც მხარეებს გარკვეული სამუშაოების შესრულებას და შესრულების შესაბამისად ანაზღაურების ვალდებულებას აკისრებდა, შეეხებოდა სატელეფონო კავშირის განხორციელებასთან დაკავშირებულ მომსახურებას, **ამიტომ ასეთი სახის მომსახურება თავისთავად ნარდობის ხელშეკრულებაა და ანაზღაურებაც ამ ნორმის შესაბამისად წარმოებს**“.[67]

მოთხოვნის საფუძველი სამოქალაქო სამართალში, ზოგადად არის სამართლის ის ნორმა, რომელიც დამოუკიდებლად ან სხვა მოთხოვნის საფუძვლებთან ერთობლიობაში აფუძნებს ამა თუ იმ მოთხოვნას ანუ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა კონკრეტულ უფლება-მოვალეობებს.[68] კერძოსამარ-

---

[65] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011,54.

[66] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 24 ოქტომბრის განჩინება საქმეზე #ას-307-291-2011.

[67] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 12 ივნისის განჩინება საქმეზე # 3კ-631-02.

[68] ბიოლინგი/ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, მეორე გამოცემა, 2004, 38.

თლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების დანიშნულებაა ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტების უფლებების განსაზღვრა და მათი განხორციელების უზრუნველყოფა. მოთხოვნა უფლების რეალიზაციის კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობაა.[69]

მოთხოვნა და მოთხოვნის საფუძველი სხვადასხვა ცნებებია და სასურველია მათი აღრევა თავიდან იქნეს აცილებული. ამ გამიჯვნას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმის გათვალისწინებით, რომ მოთხოვნათა შორის არჩევანის უფლება, მოსარჩელის უფლებამოსილებაა, ხოლო მოსარჩელის მიერ წარდგენილი მოთხოვნის დამფუძნებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა შორის ერთ-ერთის მისადაგება სასამართლოს უფლებამოსილება და ვალდებულებაცაა.[70]

მოთხოვნა პირის ნებას დაქვემდებარებული და სხვა პირზე მიმართული უფლებაა, რომელიც მისი პროცესუალური განხორციელებისაგან მკვეთრად იმიჯნება. მოთხოვნა ძირითადად მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობის მატარებელია.[71] მოთხოვნა საპროცესო-სამართლებრივი გაგებით, ყოველთვის მიმართულია სასამართლო გადაწყვეტილების დადგომისაკენ. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი არის სამართლის ნორმა, რომლის სამართლებრივი შედეგით გათვალისწინებულია სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე პირის მიერ რაიმე მოქმედების განხორციელებისა თუ მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავების ვალდებულება.[72]

მენარდისათვის გადასახდელ საზღაურთან მიმართებაში მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სწორედ სკ-ის 630-ე მუხლის I ნაწილი. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი ზოგადად არის კანონის დანაწესი, რომლის საფუძველზეც კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. შესრულება შეიძლება გამოიხატებოდეს მოქმედებაშიც და მოქმედებისაგან თავის შეკავებაშიც. ამგვარად, შესრულების ში-

[69] Säcker, in MüKo.BGB, Band 1.,5.Aufl. Einl. Rn.5.

[70] ბიოლინგი/ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, მეორე გამოცემა, 2004, 42.

[71] Grothe, in MüKo.BGB, Band 1.,5.Aufl. §194. Rn. 2.

[72] Larenz/Wolf, Allgemeine Teil des Bürgerlichen Rechts, 9.Aufl., 2004, §18,Rn.7.

ნაარსი მოიცავს როგორც პოზიტიურ მოქმედებას, ასევე უმოქმედობასაც, მათ შორის თმენასაც. მოთხოვნის საფუძველის სწორად შერჩევა მოსამართლის უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა.[73]

თითოეული მოთხოვნის დამფუძნებელი სამართლის ნორმა განსაზღვრავს მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს, თუმცა მისი განმარტება და ფაქტობრივ გარემოებებზე მისადაგება სასამართლოს უფლებამოსილება.[74] მოთხოვნის საფუძველი ორი ნაწილისაგან შედგება: ა) ნორმის შემადგენლობა, რომელიც მოიცავს ცალკეულ წინაპირობას და ბ) სამართლებრივი შედეგი, რომელიც კანონის საფუძველზე დადგება იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ნორმის შემადგენლობით განსაზღვრული ყველა წინაპირობა.[75]

სამოქალაქო კოდექსის 630-ე II თანახმად, თუ ნარდობის ხელშეკრულებით საზღაურის ოდენობა არ არის შეთანხმებული, მაშინ ტარიფის არსებობისას (მაგალითად, ერთი კუბური მეტრი ხის მასალის გადამუშავება ან ერთი კვადრატული მეტრი ფართობის შელესვა) ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება დადგენილი ტარიფების მიხედვით. ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ მიუთითა, რომ „მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების მიხედვით, საექსპერტო მომსახურების ღირებულება განისაზღვრა საქართველოს მთავრობის 2012 წლის 08 მაისის N171-ე დადგნილების შესაბამისად, რამაც 29936.18 ლარი შეადგინა."[76]

ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ „სამოქალაქო კოდექსის 630-ე მუხლის მიხედვით, ანაზღაურება უსიტყვოდაც ითვლება შეთანხმებულად, თუ გარემოებების მიხედვით ნარდობა მხოლოდ ანაზღაურებითაა მოსალოდნელი. თუ ანაზღაურების ოდენობა შეთანხმებული არ არის, ტარიფის არსებობისას შეთანხმებულად მიიჩნევა სატარიფო განაკვეთი, ხოლო, თუ ტარიფე-

---

[73] ბიოლინგი/ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, მეორე გამოცემა, 2004, 42.

[74] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 56.

[75] ბიოლინგი/ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, მეორე გამოცემა, 2004, 42.

[76] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2013 წლის 20 სექტემბრის განჩინება საქმეზე #ას-348-331-2013.

ბი არ არსებობს, მაშინ – ჩვეულებრივი ანაზღაურება. მოცემულ შემთხვევაში, მართალია, კასატორი მიიჩნევს, რომ მას მოსარჩელესთან ანაზღაურების თაობაზე შეთანხმება არ დაუდია, მაგრამ ზემოაღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში ანაზღაურება შეთანხმებულად ითვლება, ვინაიდან სამედიცინო მომსახურეობის გაწევა მხოლოდ ანაზღაურებითაა მოსალოდნელი. კასატორი არ უთითებს რაიმე ისეთ გარემოებაზე, რომელიც მას სამედიცინო მომსახურეობის ანაზღაურების გარეშე მიღების უფლებას ანიჭებდა. ამასთან, შესაძლებელია, რომ ანაზღაურების ოდენობა არც იყოს შეთანხმებული, მაგრამ ტარიფის არსებობისას შეთანხმებულად მიიჩნევა სატარიფო განაკვეთი, ხოლო, თუ ტარიფები არ არსებობს, მაშინ – ჩვეულებრივი ანაზღაურება. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე ანაზღაურებას მოითხოვს სამედიცინო დაწესებულებაში არსებული ტარიფების მიხედვით, შესაბამისად, შეთანხმებულად მიიჩნევა სატარიფო განაკვეთი".[77]

თუ არც ტარიფები არსებობს, მაშინ შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებისათვის ჩვეულებრივი ანაზღაურება, ანუ იმ ოდენობით, რაც დამკვიდრებულია სამუშაოს შესრულების ადგილას ანალოგიური სამუშაოს შესრულებისათვის. ანალოგიურადაა გადაწყვეტილი ეს საკიკთხი გერმანიის სამოქალაქო კოდექსითაც, კერძოდ, 632-ე პარაგრაფის II აბზაცის შესაბამისად, თუ საზღაურის ოდენობა არ არის განსაზღვრული, მაშინ ნიხრის არსებობისას შეთანხმებულად მიიჩნევა სანიხრო საზღაური, ხოლო ნიხრის არარსებობისას ჩვეულებრივი საზღაური.[78] დავის შემთხვევაში, თუ რა წარმოადგენს „ჩვეულებრივ ანაზღაურებას", გადაწყვეტილებას ღებულობს სასამართლო.

პრობლემურ საკითხს წარმოადგენს საზღაურის განსაზღვრა სათობრივი ანაზღაურების სახით. ასეთ დროს, არცთუ იშვიათია დავა იმის თაობაზე, თუ რამდენი დრო დახარჯა მენარდემ სამუშაოს შეს-

[77] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 28 ივლისის განჩინება საქმეზე #ას-539-512-2015.

[78] Busche, in MüKo.BGB, Band 4.,5.Aufl. §632, Rn.6. კროპჰოლერი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, 2014, 370.

ასრულებლად. ამ პრობლემის გადასაჭრელად იურიდიულ ლიტერატურაში შემუშავებულია შემდეგი მიდგომა: მენარდემ უნდა დაამტკიცოს, თუ რამდენი დრო დახარჯა მან სამუშაოს შესასრულებლად, ამასთან, საათობრივ ანაზღაურებაზე შეთანხმება გულისხმობს, რომ მენარდემ უნდა იმოქმედოს ეკონომიურად. დავის შემთხვევაში შემკვეთმა უნდა დაამტიკიცოს, რომ მენარდემ უფრო ნაკლები დრო დახარჯა სამუშაოს შესასრულებლად, ვიდრე მიუთითებს. მაშასადამე, მტკიცების ტვირთი ასეთ შემთხვევაში ეკისრება შემკვეთს.[79]

ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ გაიზიარა შემკვეთის განმარტება იმის შესახებ, რომ „მას მენარდისათვის უნდა გადაეხადა შესრულებული სამუშაოსათვის 400 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში. მოსარჩელემ (მენარდე) კი აღნიშნულის საწინააღმდეგო მტკიცებულების წარდგენა ვერ შეძლო".[80]

განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობაში მოქმედებს ნარდობის ხელშეკრულების სასყიდლიანობის პრეზუმპცია (საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 1997 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება – Bull.civ. III #226). ნარდობის ხელშეკრულების სასყიდლიანობის საკითხი ანალოგიურადაა გადაწყვეტილი გერმანულ სამართალშიც. კერძოდ, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 632-ე პარაგრაფის I აბზაცის თანახმად, ანაზღაურება უსიტყვოდაც ითვლება შეთანხმებულად, თუ გარემოებების მიხედვით ნარდობა (სამუშაოს შესრულება) მხოლოდ ანაზღაურებითაა შესაძლებელი.[81] სხვაგვარი პრეზუმპციაა დადგენილი ხარჯთაღრიცხვის შედგენასთან მიმართებით.[82] კერძოდ, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 632-ე პარაგრაფის III აბზაცის თანახმად, ნარდობასთან დაკავშირებული ხარჯთაღრიცხვის შედგენა არ ანაზღაურდება, თუ შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებუ-

---

[79] NJW 2000 Helf 15, S.1107. 01.02.2000.

[80] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 11 ნოემბრის განჩინება საქმეზე #ას-639-913-2004.

[81] Staudinger/Peters, Rn.36. A Soergel/Teichman Rn.2.

[82] Bamberger/Roth. Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch Verlag C.H. Beck München, 2005, S. 166.

ლი.[83] მაგალითად, „A"-მ შეუკვეთა „B"-ს წიგნების კარადის დამზადება. „B"-მ დაამზადა წიგნების კარადა და „A"-ს მოსთხოვა 500 ევროს გადახდა. მხარეთა შორის არ ყოფილა არანაირი შეთანხმება შესრულებული სამუშაოსათვის საზღაურის გადახდის შესახებ. „A"-მ უარი განაცხადა 500 ევროს გადახდაზე იმ მოტივით, რომ ეს მეტისმეტად ბევრია, თანაც მხარეთა შორის არ ყოფილა შეთანხმება საზღაურის გადახდის შესახებ. ‚B"-მ სარჩელით მიმართა სასამართლოს. სასამართლომ დააკმაყოფილა „B"-ს მოთხოვნა და „A"-ს დააკისრა 500 ევროს გადახდა დამზადებული წიგნების კარადისათვის. იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული მენარდისათვის გადასახდელი საზღაურის ოდენობა, ფრანგული დოქტრინის მიხედვით, საზღაური განისაზღვრება დადგენილი ტარიფების მიხედვით ან სასამართლო ანდა არბიტრაჟის გადაწყვეტილებით. ფრანგული სასამართლოები საზღაურის ოდენობას ადგენენ საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით (საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 1989 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილება Bull. civ. 1, #301).

შვეიცარიის ვალდებულებითი კანონის 374-ე მუხლის თანახმად, მენარდისათვის გადასახდელი საზღაური განისაზღვრება მენარდის მიერ გაწეული დანახარჯებისა და სამუშაოს შედეგის ღირებულების გათვალისწინებით.

საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებში, სასამართლოები ხელმძღვანელობენ „გონივრული" საზღაურის პრინციპით. მისი განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება სხვადასხვა სახის ფაქტორები.

მენარდისათვის გადასახდელი საზღაური, როგორც წესი, განისაზღვრება ფულადი სახით, თუმცა მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ სხვა რამეზეც (მაგალითად, მენარდისათვის რაიმე ნივთის ნატურით გადაცემა). შესაძლებელია კომბინირებული მეთოდიც (მაგალითად, საზღაურის ნაწილი გადახდილი იქნეს ფულადი სახით, ნაწილი – ნივთის სახით). უფრო ხშირად, საზღაური განისაზღვრება შესასრულებელი სამუშაოსათვის მთლიანად – დაწყებული პრო-

[83] Bürgerliches Gesetzbuch Deutschlands. http://bundesrecht.juris.de/bgb/ München, 2005, S. 166.

ექტის შედგენით, დამთავრებული მისი რეალიზაციით (turnkey/package deal/desing and build contract). ზოგჯერ შემკვეთი კისრულობს გადაუხადოს მენარდეს როგორც საზღაური, რომლის ოდენობაც განისაზღვრება ფიქსირებული თანხით, ასევე აუნაზღაუროს სამუშაოს შესრულებისას გაწეული ხარჯები (a cost plus contract).

ფრანგული სამართალი (ძირითადად სამშენებლო ნარდობასთან მიმართებით) და შვეიცარული სამართალი (ნარდობისათვის მთლიანად ზოგადი დებულების სახით), ადგენს სანარდო სამუშაოებისათვის წინასწარ განსაზღვრულ ფიქსირებულ საზღაურს (á forfait). თუკი ნარდობის ხელშეკრულების მხარეები შეთანხმდნენ ფიქსირებულ საზღაურზე, ასეთ შემთხვევაში მენარდეს არ შეუძლია მოითხოვოს გაზრდილი საზღაურის გადახდა, თუნდაც იმ გარემოებაზე დაყრდნობით, რომ გაიზარდა ხარჯთაღრიცხვა. ამ წესიდან გადახვევა დაიშვება მხოლოდ მაშინ, თუკი ამის თაობაზე მხარეთა შორის არსებობს წერილობითი შეთანხმება (საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1793-ე მუხლი),[84] ანდა სასამართლოს გადაწყვეტილებით იმ განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას, რომლებიც არ შეიძლება ყოფილიყო მხედველობაში მიღებული მხარეთა მიერ საზღაურის ფიქსირებული სახით განსაზღვრისას (შვეიცარიის ვალდებულებითი კანონის 373-ე მუხლი).

III. ნარდობის ხელშეკრულების ნამდვილობის წინაპირობები.

III. 1. ზოგადი დებულებები

ხელშეკრულების დადება და შესაბამისი სამართლებრივი შედეგების წარმოშობა მხარეთა შორის შეთანხმების მიღწევით ხორციელდება.[85] „თითოეული ადამიანი თავისი სამართლებრივი სივრცის გამგებელია და მისი თანხმობის გარეშე არავის აქვს ამ სივრცეში შეღწევის უფლება".[86] სწორედ ამიტომ მხართა კონსესუსს არსები-

[84] Code civil des Francais. http://www.napoleon-series.org/research/government/.c code.html

[85] Alessi, The Distinction between Obligations de Resultat and Obligationis de Moyens and the Enforceability of promises, ERPL 5/2005, 657-692.

[86] Sacco, Formation of Contracts, 2003, 195.

თი მნიშვნელობა ენიჭება. კონსესუსის მიღწევისა და შესაბამისად, ხელშეკრულების დადების ძირითადი საშუალება, როგორც წესი, ოფერტი და აქცეპტია.[87]

ოფერტი თავისი სამართლებრივი ბუნებით წარმოადგენს მიღებასავალდებულო ნების გამოვლენას.[88] როგორც წესი, ხელშეკრულება წარმოადგენს მხარეთა ნების კონსესუსის შედეგს. შესაბამისად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები ურთიერთმბოჭავ შეთანხმებას მიაღწევენ და იკისრებენ უფლებებსა და მოვალეობებს. სახელშეკრულებო კონსესუსი კი მიიღწევა ერთი მხარის მიერ მეორე მხარისათვის ხელშეკრულების დადების შეთავაზებით და შეთავაზებაზე თანხმობის მიღებით (აქცეპტი).[89]

ნარდობა, როგორც სამუშაოს შესრულების ტიპის ხელშეკრულება, უნდა აკმაყოფილებდეს ხელშეკრულების ნამდვილობისათვის წაყენებულ მოთხოვნებს. შესაბამისად, ნარდობის შემთხვევაშიც მხარეთა მიერ გამიზნული სამართლებრივი შედეგების მისაღწევად, ადგილი უნდა ჰქონდეს მხარეთა კონსესუსს და დაცული უნდა იქნეს სამოქალაქო კოდექსში 327 I მოთხოვნები.

ნარდობის ხელშეკრულების დადების ინიციატივა უფრო ხშირად მომდინარეობს შემკვეთისაგან. არცთუ იშვიათად, შემკვეთი მოლაპარაკებებს აწარმოებს ერთდროულად რამდენიმე პოტენციურ მენარდესთან, რათა მისთვის მისაღები პირობებით (მაგალითად, სამუშაოს დასრულების ვადები, საზღაური და ა.შ.) დადოს შემდგომში ნარდობის ხელშეკრულება. იმ შემთხვევაში, თუკი შემკვეთის მიმართვა პოტენციური მენარდისადმი მოიცავს დაპირებას, მიიღოს წინადადება, რომელიც გარანტირებულს ხდის სამუშაოს შესრულებას უმოკლეს ვადებში ჯეროვნად და ნაკლებ ფასად, მაშინ ასეთი მიმართვა შეიძლება გათანაბრებული იყოს ოფერტთან, ხოლო თანხმობის მიღებაზე უარი კი შეიძლება განხილული იქნეს, როგორც შეთანხმების დარღვევა. გარდა ამისა, ინგლისური სასამართლო

---

[87] Schack, BGB _ Allgemeiner Teil, 13. Aufl., 2011,55. Kötz, Vertragsrecht, 2009, 39.

[88] ჯანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, 300. Brox/Walker Allgemeiner Teil des BGB, 35.Aufl.,2011, 81; Musielak, Grundkurs BGB, 12. Aufl., 2011, 56.

[89] Brox/Walker Allgemeiner Teil des BGB, 35. Aufl., 2100, 81. Kötz, Vertragsrecht, 2009, 37.

პრაქტიკის მიხედვით, მენარდეს შეუძლია მოსთხოვოს შემკვეთს იმ ხარჯების ანაზღაურება, რომელიც მენარდემ გასწია სატენდერო შეთავაზების მოსამზადებლად (მაგალითად, მენარდემ შეასრულა დამატებითი სამუშაოები, რომელიც საჭირო იყო სატენდერო წინადადებების მოსამზადებლად).

შემკვეთის შეთავაზებაზე პოტენციური მენარდისაგან მიღებული პასუხი, რომელიც არ შეიცავს ახალ პირობებს, ფრანგული და გერმანული სამართლის მიხედვით ითვლება აქცეპტად იმ მომენტიდან, როდესაც იგი მიღებული იქნა ოფერენტის მიერ ანდა მისი გაგზავნის მომენტიდან ინგლისური და ამერიკული სამართლის მიხედვით. ნარდობის ხელშეკრულება არ ჩაითვლება დადებულად იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეები აკეთებენ დათქმებს ამა თუ იმ საკითხზე დამატებითი შეთანხმების მიღწევის აუცილებლობაზე, მაგალითად, სამუშაოთა შესრულების გრაფიკი ან გამოსაყენებელი მასალები და ა.შ. იმ შემთხვევაში, თუკი მხარეები არ შეთანხმებულან ხელშეკრულების გარკვეულ პირობებზე, ხელშეკრულება მაინც ჩაითვლება დადებულად, თუკი მენარდე დაიწყებს სამუშაოს შესრულებას, ხოლო შემკვეთი კი ნებას დართავს ამის თაობაზე. ასეთ შემთხვევაში, ნარდობის ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლება სამუშაოთა დაწყების მომენტიდან, თუნდაც რომ ამ დროისათვის ხელშეკრულების ყველა პირობა ჯერ კიდევ არ იყოს შეთანხმებული.[90] თუკი სამუშაოთა დაწყების შემდეგაც, ხელშეკრულება არ იქნება დადებული, მაშინ მენარდეს შეუძლია მოითხოვოს უკვე შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება. თუკი ორივე მხარე ისე მოქმედებდა, რომ თითქოსდა მათ შორის ნარდობის ხელშეკრულება დადებული იქნა, ასეთ შემთხვევაში ინგლისური სამართლის მიხედვით მათ სასამართლო დავაში არა აქვთ უფლება უარყონ, რომ მათ შორის დადებული იყო ნარდობის ხელშეკრულება.

III. 2. მხარეთა სამართალსუბიექტურობა;

ნარდობის ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეები შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები. ისინი აღ-

[90] Trollope and Colls Ltd v Atomic Power Constructions Ltd [1962] 3 All ER 1035.

ჭურვილი უნდა იყვნენ სამოქალაქო უფლებაუნარიანობითა და ქმედუნარიანობით; მაგალითად, არასრულწლოვანს ან შეზღუდულ ქმედუნარიან პირს არ შეუძლია დადოს ხელშეკრულება კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე. (შესაბამისად დაცული უნდა იქნეს სკ-ის 15, 63, 65, 1108-ე მუხლის მოთხოვნები სარგებლისა და არასრულწლოვანის ემანსიპაციასთან მიმართებაში).[91]

ნარდობის ხელშეკრულებასთან მიმართებაში, სრული მოცულობით მოქმედებს სკ-ის 319 1-ლი ნაწილით განსაზღვრული ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი, კერძოდ: „კერძო სამართლის სუბიქტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით პირდაპირ გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას. თუ საზოგადოების ან პიროვნების არსებითი ინტერესების დაცვისათვის ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია სახელმწიფოს ნებართვაზე, მაშინ ეს უნდა მოწესრიგდეს ცალკე კანონით." სახელშეკრულებო თავისუფლების საქართველოს სამოქლაქო კოდექსით დადგენილი გაგება შეესაბამება ევროპული ვალდებულებითი სამართლის უნიფიკაცია-ჰარმონიზაციის პროცესს.[92] სწორედ სახელშეკრულებო თავისუფლებაში ვლინდება პიროვნება, როგორც ქონებრივი უფლებების მატარებელი სუბიექტი.[93]

„ინდივიდს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, თავისი ურთიერთობები სხვა ინდივიდებთან ააგოს საკუთარი შეხედულებისამებრ და არა წინასწარ დადგენილი, სავალდებულო დებულებების მიხედვით. მას ენიჭება თავისუფლება იმ მიზნების განსახორციელებლად, რომლებსაც მართლზომიერად მიიჩნევს, მაგრამ იმ პირობით, რომ არ დაზარალდება სხვა პირთა ანალოგიური თავისუფლება. ამრიგად, სახელმწიფომ ანგარიში უნდა გაუწიოს ინდივიდის თავისუფლებას და დაუთმოს უფლება, დამოუკიდებლად განსაზღვროს თავისი არსებობის პირობები. ინდივიდისათვის ეს ნიშნავს არა მხოლოდ აღმსარებლობისა და მეწარმეობის თავისუფლებას, არამედ ხელშეკ-

[91] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 25.
[92] ზოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, 2005, 268.
[93] Schulze/Zimmerman (Hrsg.), Basistexte zum Europeischen Privatrecht. Textsammlung. 2.Aufl. Baden-Baden, 2002, 436.

რულების თავისუფლებასაც.[94]

ნარდობის ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი ორი ნაწილისაგან შედგება: ერთის მხრივ, იგი მოიცავს ხელშეკრულების დადების თავისუფლებას, ხოლო მეორეს მხრივ – ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლად განსაზღვრის შესაძლებლობას. თუმცა, მხედველობაშია მისაღები, რომ „სახელშეკრულებო თავისუფლება სახელშეკრულებო წესრიგის ფარგლებშია შესაძლებელი და თუ იქიდან ამოვარდა, სამოქალაქო ბრუნვაში ანარქია და განუკითხაობა დაისადგურებს".[95]განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობაში ნარდობის ხელშეკრულების მიმართ მოქმედებს არამარტო ხელშეკრულების დადების თავისუფლების პრინციპი, არამედ ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლების პრინციპიც. კანონით, კანონქვემდებარე აქტით ან სასამართლო პრეცედენტით დადგენილი წესები გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუკი ნარდობის ხელშეკრულების მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან.

ამასთან ერთად, თანამედროვე სახელშეკრულებო სამართალში, განსაკუთრებით კი მომხმარებლების უფლებების დაცვის თვალსაზრისით, სულ უფრო და უფრო იზრდება იმპერატიული ნორმების რაოდენობა. ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას, ეკონომიურად უფრო სუსტი მხარის (მომხმარებლის) უფლებების დაცვის გარანტიები არანაკლებ აქტუალურია, ვიდრე საცალო ვაჭრობისა თუ მომსახურების სფეროში. გარდა ამისა, ნარდობასთან მიმართებით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადმინისტრაციულ სამართლებრივ დანაწესებსაც, რომლებიც ადგენენ ცალკეულ სამუშაოთა წარმოების წესსა და პირობებს, ასევე განსაზღვრავენ შესრულებული სამუშაოს ხარისხისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. ყველაზე თვალსაჩინო და დამახასიათებელი ამ თვალსაზრისით არის ის წესები. რომლებიც განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობით დადგენილია კაპიტალური მშენებლობის ნარდობის ხელშეკრულებებთან მიმართებით.

განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობა ითვალისწინებს ნარდობის ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპს (ხელშეკ-

---

[94] Zweigert, Konrad/Kötz, Hein. Einfürung in die Rechtvergleichung, 2002, 316.

[95] ზოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, 2005, 273.

რულების დადების თავისუფლება და ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლება) იმ შეზღუდვების გათვალისწინებით, რომლებიც დადგენილია ნორმატიული აქტებითა და სასამართლო პრაქტიკით. სახელდობრ, შემკვეთმა მენარდის შერჩევისას მხედველობაში უნდა მიიღოს ის გარემოება, რომ ცალკეული სახის სამუშაოები შეიძლება შეასრულონ მხოლოდ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირებმა. პროექტის მომზადება, სამშენებლო სამუშაოების დაგეგმვა და წარმოება ითვალისწინებს სხვადასხვა სახის შეთანხმებას როგორც ოფიციალურ ორგანოებთან, ასევე ცალკეულ პირებთან. ხელშეკრულების დადების ეტაპზეც კი საჭიროა სხვადასხვა იმპერატიული ხასიათის დანაწესების დაცვა, მათ შორის ისეთებისაც, რომლებიც დაკავშირებულია თავისუფალი კონკურენციის პრინციპის დაცვასთან. მართლსაწინააღმდეგოდ შეიძლება იქნეს მიჩნეული მენარდეთა ასოციაციების მიერ დადგენილი წესები, რომლებიც აიძულებენ მენარდეებს თავს მოახვიონ შემკვეთებს ხელშეკრულების სტანდარტული პირობები.ევროკავშირის ქვეყნებში ამის საფუძველს წარმოადგენს ევროპის თანამეგობრობის შესახებ ხელშეკრულების 81-ე და 82-ე მუხლებით დადგენილი წესები.

ნარდობის ხელშეკრულების დასადებად შესაბამისი პირობების შექმნას ხელს უწყობს ინგლისის სასამართლოების მიერ შემუშავებული წესი: თუკი მენარდე შეუთანხმდა შემკვეთის წარმომადგენელს გასამრჯელოს გადახდაზე იმ შემთხვევაში, თუ შემკვეთის წარმომადგენელი დაეხმარება მას შემკვეთთან ნარდობის ხელშეკრულების დადებაში, შემკვეთს, რომელიც ხელშეკრულების დადების შემდეგ შეიტყობს ამ ფაქტის შესახებ, უფლება აქვს მოშალოს ნარდობის ხელშეკრულება, ასევე მიმართოს სარჩელით სასამართლოს რწმუნებულის წინააღმდეგ და მოითხოვოს მისგან, როგორც მენარდისაგან მისთვის გადახდილი გასამრჯელო, ასევე ნარდობის ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ზიანის ანაზღაურება შეიძლება მოხდეს მენარდისგანაც (Salford Corp. v.Lever (1891) 1 Qb 168, CA).[96]

განსაკუთრებული წესით წესრიგდება სახელმწიფო საჭიროე-

[96] Гражд. и торговое право зарубежных стран. Отв. ред. Е.А. Васильев, А.С. Комаров. М., 2005, с. 128.

ბისათვის ნარდობის ხელშეკრულების დადების საკითხი. ევროკავშირის ფარგლებში ამ საკითხს აწესრიგებენ განსაკუთრებული დირექტივები, რომლებიც ხელს უწყობენ საქონლისა და მომსახურების ერთიანი ბაზრის ფარგლებში კონკურენციის თავისუფლების უზრუნველყოფას. როგორც წესი, საჯარო ინტერესებისათვის (მაგალითად, გზის მშენებლობა, საავადმყოფოს მშენებლობა, დასუფთავება) სანარდო სამუშაოთა განსახორციელებლად მენარდის შერჩევა ხდება ღია ან დახურული კონკურსის წესით. პირველ შემთხვევაში ნებისმიერ მენარდეს შეუძლია პრეტენზია განაცხადოს შეკვეთის მისაღებად, ხოლო მეორე შემთხვევაში კი მხოლოდ მათ, ვინც მიწვეული არის კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. სახელმწიფო საჭიროებისათვის ნარდობის ხელშეკრულების დადების მესამე წესს წარმოადგენს შემკვეთის შესაძლებლობა, პირდაპირი მოლაპარაკებები აწარმოოს კონკრეტულ მენარდეებთან. მაგრამ ამას ადგილი აქვს განსაკუთრებულ შემთხვევებში, მაგალითად, როდესაც საუბარია ისეთ სამუშაოზე, რომლის შესრულებაც შეუძლია მხოლოდ კონკრეტულ მენარდეს.

III. 3. ნარდობის ხელშეკრულების შინაარსი

ნარდობის ხელშეკრულების შინაარსს შეადგენს მისი პირობების ერთობლიობა. ნარდობის ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც მასზეა დამოკიდებული ხელშეკრულების მხარეთა უფლებამოვალეობების წარმოშობის თავისებურებები, ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება და სხვა.[97]

ნარდობის ხელშეკრულებაში ყველა იმ პირობის გათვალისწინება, რომელიც ხელშეკრულების შინაარსს ქმნის, სავალდებულო არ არის. ამ თვალსაზრისითა და იურიდიული მნიშვნელობის მიხედვით, ნარდობის ხელშეკრულების პირობები იყოფა: არსებით, ჩვეულებრივ, შემთხვევით და სტანდარტულ პირობებად.

[97] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 22 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-899-845-2012.

III. 3.1 ნარდობის ხელშეკრულების არსებითი პირობები

არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომელიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ, აუცილებელია მოცემული სახის ხელშეკრულებისათვის და ასევე ის პირობები, რომლებზეც თუნდაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით უნდა მოხდეს შეთანხმება.[98] სკ-ის 327 I ნაწილის თანახმად, „ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით." ნარდობასთან მიმართებით არსებითად ჩაითვლება მხარეთა შეთანხმება ხელშეკრულების საგანზე ანუ რა სამუშაო უნდა შეასრულოს მენარდემ.[99] რაც შეეხება მენარდისთვის გადასახდელ საზღაურს, იგი არ ითვლება ხელშეკრულების არსებით პირობად, რადგან 630-ე მუხლის თანახმად დადგენილია ნარდობის ხელშეკრულების სასყიდლიანობის პრეზუმფცია.

არსებითი პირობები აუცილებელი და საკმარისია ნარდობის ხელშეკრულების დასადებად. თუ მხარეები ხელშეკრულების ყველა არსებით პირობაზე არ შეთანხმებულან, ხელშეკრულება არ ჩაითვლება დადებულად, თუნდაც მიღწეული იყოს შეთანხმება ყველა სხვა პირობაზე."[100]

III. 3.2 ნარდობის ხელშეკრულების ჩვეულებრივი პირობები

არსებითი პირობებისაგან განსხვავებით, ჩვეულებრივია პირობა, რომელიც შეიძლება გათვალისწინებული იქნეს ხელშეკრულებით, მაგრამ არაა აუცილებელი – ხელშეკრულების ნამდვილობა არაა დამოკიდებული იმაზე, შეთანხმდნენ თუ არა მხარეები ასეთი პირობის თაობაზე. ჩვეულებრივი პირობები, როგორც წესი, სამოქალაქო სამართლის დისპოზიციური ნორმებითაა გათვალისწინებული და ავტომატურად მოქმედებს ხელშეკრულების დადებისთა-

---

[98] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 25.

[99] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 27 ნოემბრის განჩინება საქმეზე #ას-1090-1354-09.

[100] Principles of European Contract law. PartsI and II / Ed. By O. lando, H. Beale. The hague, London, Boston, 2000. P.385.

ნავე. იგულისხმება, რომ თუკი მხარეები შეთანხმდნენ ნარდობის ხელშეკრულების დადებაზე, ამით ისინი დაეთანხმნენ იმ პირობებს, რომლებსაც შეიცავს ნარდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმები. აღნიშნული სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ნარდობის ხელშეკრულების მხარეებს არცერთ შემთხვევაში არ შეუძლიათ ხელშეკრულებაში ისეთი პირობების შეტანა, რომელიც აუქმებს ან ცვლის კანონის დისპოზიციური ნორმით გათვალისწინებულ ჩვეულებრივ პირობას. მაგალითად, სკ-ის 648-ე მუხლის თანახმად, შემკვეთი მოვალეა გადაუხადოს მენარდეს საზღაური სამუშაოს შესრულების შემდეგ, თუ ხელშეკრულება არ ითვალისწინებს ნაწილ-ნაწილ გადახდას. მაშასადამე, ამ ნორმაში მოცემული ჩვეულებრივი პირობა საზღაურის გადახდის ვადის შესახებ, შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით.[101]

დისპოზიციური ნორმები კერძოსამართლებრივ კანონმდებლობაში მოცემულია იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მოქმედების თავისუფლება მხარეებს საკუთარი სამართლებრივი ურთიერთობის შესაბამისი ინტერესების უკეთ განხორციელებისთვის სჭირდებათ.[102] დისპოზიციური ნორმების შესაბამისად, მხარეთა მიერ განხორციელებული შეთანხმება დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის არ ეწინააღმდეგება კანონისა და სამოქალაქო კანონმდებლობით განვითარებულ კეთილსინდისიერების პრინციპს.[103] დისპოზიციური ნორმები უშუალოდ წარმოშობს მათში გათვალისწინებულ მოთხოვნას, თუ ამ ნორმის მიერ დადგენილი თავისუფლების ფარგლებში მხარეთა შეთანხმება არ ახდენს მის მოდიფიცირებას და არ წარმოშობს მისგან განსხვავებულ მოთხოვნას.[104]

III.3.3 ნარდობის ხელშეკრულების შემთხვევითი პირობები

შემთხვევითი პირობები ცვლიან ან ავსებენ ჩვეულებრივ პირობებს. ისინი, მხარეთა შეთანხმებით შეიძლება გათვალისწინებული

[101] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 25.
[102] Larenz/Wolf, Allgemeiner Teil des Burgerlichen Rechts, 9.Aufl.,2004, §3, Rn.96.
[103] კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, 83.
[104] ჩაჩავა, მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, 2011, 5.

იქნეს ნარდობის ხელშეკრულებით, მაგრამ თუ შემთხვევითი პირობა ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული არ არის, ჩვეულებრივი პირობის მსგავსად, თავისთავად არ იგულისხმება. მაგალითად, თუ ნარდობის ხელშეკრულების დადებისას მხარეებს არ გაუთვალისწინებიათ რა სახის სატრანსპორტო საშუალებით უნდა მიეწოდოს შემკვეთს შესრულებული ნაკეთობა, ნარდობის ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლება ამ შემთხვევითი პირობის გარეშეც.[105]

III.3.4 ნარდობის ხელშეკრულების სტანდარტული პირობები

სამოქალაქო კოდექსის 342-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულების სტანდარტული პირობები წინასწარ ჩამოყალიბებული, მრავალჯერადი გამოყენებისათვის გამიზნული პირობებია, რომელთაც ერთი მხარე (შემთავაზებელი) უდგენს მეორე მხარეს და რომელთა მეშვეობითაც უნდა მოხდეს კანონით დადგენილი ნორმებისაგან განსხვავებული ან მათი შინაარსის შემვსები წესების დადგენა.[106] თუ ხელშეკრულების პირობები მხარეთა მიერ დეტალურადაა განსაზღვრული, ეს არ მიიჩნევა ხელშეკრულების სტანდარტულ პირობად. უშუალოდ მხარეთა მიერ შეთანხმებულ პირობებს უპირატესობა ენიჭება სტანდარტულ პირობებთან შედარებით.[107]

ხელშეკრულების სტანდარტული პირობები ჩვეულებრივ ისეთ წესებს შეიცავს, რომელც ხშირად კანონში არ არის გათვალისწინებული და შემთავაზებლის საქმიანობის სპეციფიკას გამოხატავს. როდესაც საუბარია კანონის ნორმებისაგან განსხვავებული წესების დადგენაზე, იგულისხმება მხოლოდ კანონის დისპოზიციური ნორმები.[108] რაც შეეხება იმპერატიულ ნორმებს, ნარდობის ხელშეკრულების მონაწილეებს მათი შეცვლა არ შეუძლიათ.

თუ ნარდობის ხელშეკრულების პირობები მხარეთა მიერ დე-

[105] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 26.
[106] ჭანტურია, ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი მესამე, 342-ე მუხლი, 180.
[107] Heinrichs ,in Palandt BGB Komm.67.Aufl., §305,Rn.2.
[108] Basedow, in MüKo.BGB, Band 2.,5.Aufl. §305b, Rn.5.

ტალურად არის განსაზღვრული, ეს არ მიიჩნევა ხელშეკრულების სტანდარტულ პირობად. მხარეთა მიერ შეთანხმებულ პირობებს უპირატესობა ენიჭება სტანდარტულ პირობებთან შედარებით.[109] პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ დავის შემთხვევაში მხარეთა შორის ურთიერთობების მოსაწესრიგებლად გამოყენებული უნდა იქნეს არა სტანდარტული პირობების წესები, არამედ ის წესები, რომლებზეც მხარეები ხელშეკრულებაში შეთანხმდნენ. მაგალითად, თუ სილამაზის სალონში წინასწარ არის განსაზღვრული თმის შეჭრის საფასურის ოდენობა, რომელსაც მენარდე სთავაზობს შემკვეთს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მხარეები შეთანხმდნენ სხვა საზღაურზე, მაშინ ასეთი პირობა აღარ იქნება სტანდარტული პირობა და შესრულების დროს უპირატესობა მიენიჭება მხარეთა შორის შეთანხმებულ საზღაურს.[110] იმისათვის, რომ მენარდის მიერ თავს მოხვეულმა ხელშეკრულების სტანდარტულმა პირობებმა შემკვეთი მძიმე მდგომარეობაში არ ჩააყენოს (ან პირიქით, შემკვეთის მიერ მენარდისათვის თავს მოხვეულმა პირობებმა მენარდე არ ჩააყენოს მძიმე მდგომარეობაში), სკ-ის 342-348-ე მუხლებით გათვალისწინებულია ხელშეკრულების სტანდარტული პირობების სამართლებრივი მოწესრიგება.[111]

განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობით ნარდობის ხელშეკრულების საფუძველზე აღმოცენებული ურთიერთობების მოწესრიგება ძირითადად ხდება დისპოზიციური ნორმებით. ამ ნორმათა უმეტესობა მოცემულია საერთო საკანონმდებლო აქტებით, მაგალითად, სამოქალაქო კოდექსებში (საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის III წიგნის VIII ტიტულის მე-3 თავის III განყოფილებაში; გერმანიის სამოქალაქო კოდექსის II წიგნის მე-9 ტიტულის მე-8 განყოფილებაში. შვეიცარიის ვალდებულებითი კანონის მე-11 ტიტულის მე-3 განყოფილებაში. ნარდობის ცალკეული განსაკუთრებული სახეებისათვის მოქმედებს სპეციალური ნორმები, მაგალითად, გერმანიაში მოქმედებს სამშენებლო ნარდობის წესდება (Verdingungsordnung für

[109] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 1 მარტის განჩინება საქმეზე №ას-889-1175-09.

[110] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 28.

[111] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 1 მარტის განჩინება საქმეზე #ას-889-1175-09.

Bauleistung, VOB); თავისუფალი პროფესიის მქონე პირების მიერ შესასრულებელი სანარდო სამუშაოების წესდება (Verdingungsordnung für feriberuflichen Leistungen, VOB), თუმცა კი, აღნიშნული წესდებები თავისი სამართლებრივი ბუნებით არ წარმოადგენენ სამართლებრივ ნორმებს. ისინი წარმოადგენენ ხელშეკრულების ტიპიურ ანუ სტანდარტულ პირობებს, რომელთაც შემთავაზებელი სთავაზობს ხელშეკრულების მეორე მხარეს ნარდობის ხელშეკრულების დადებისას. წესდებებით გათვალისწინებულია წესები სამუშაოთა წარმოების პროცედურების მოსაწესრიგებლად, როდესაც მენარდის როლში გამოდიან სახელმწიფო ორგანიზაციები. წესდებები შედგება სამი ნაწილისაგან: A ნაწილი ადგენს ნარდობის ხელშეკრულების დადების წესებს; B ნაწილი შეიცავს ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოთა შესრულების ზოგად (საერთო) პირობებს; C ნაწილი ადგენს სამუშაოთა განხორციელებისათვის საჭირო ტექნიკურ დანაწესებს.

გერმანიაში 2002 წელს განხორციელებულმა ვადებულებითი სამართლის რეფორმამ ახლებურად ჩამოაყალიბა ნარდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმები. თუმცა, აღსანიშნავია, რომ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 229-ე მუხლის §5-ის თანახმად, 2002 წლის 1 იანვრამდე აღმოცენებული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობების მიმართ გამოიყენება გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქცია.[112]

ინგლისსა და აშშ-ი არ არსებობს ნარდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელი განზოგადებული სისტემატიზირებული საკანონმდებლო დათქმები. საერთო სამართლის სისტემის ფარგლებში ნარდობის ხელშეკრულების მხარეებს არ შეიძლება ჰქონდეთ იმ ანალოგიური, კონკრეტული სპეციალური ნორმების იმედი, რომლებიც გათვალისწინებულია კონტინენტური სამართლის სისტემის ქვეყნების კანონმდებლობით. აქედან გამომდინარეობს საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებში ნარდობის ხელშეკრულების, როგორც ძირითადი აქტის, განსაკუთრებული სამართლებრივი მნიშვნელობა. იგი აწესრიგებს მასში მონაწილე მხარეთა შორის წარმოშობილ სამარ-

[112] Bürgerliches Gesetzbuch Deutschlands. http://bundesrecht.juris.de/bgb/

თლებრივ ურთიერთობებს. ნარდობის ხელშეკრულების იურიდიული გაფორმება ითვალისწინებს მისაღები ტიპიური კონტრაქტის მოძიებასა და მის ადაპტირებას ინდივიდუალური პირობებისადმი, ტიპიურ სახელშეკრულებო ნიმუშებს ადგენენ არაოფიციალური ორგანოები. ასე მაგალითად, ინგლისში, სამშენებლო ნარდობის ხელშეკრულების ტიპიურ სრტანდარტულ ფორმას შეიმუშავებს სახელშეკრულებო ტრიბუნალის გაერთიანება (Joint Contract Tribunal), აგრეთვე მშენებელი-ინჟინრების ინსტუტუტი (Institute of Civil Engineers). ნარდობის ხელშეკრულების განსაკუთრებული მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ პოტენციური შემკვეთებისათვის შემუშავებულ პრაქტიკულ სახელმძღვანელო წესებში, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ ინდივიდუალური ნარდობის ხელშეკრულების შესადგენად, აუცილებელია დასახმარებლად მიმართონ იმ იურისტებს, რომლებსაც გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა-გამოცდილება და ნებართვა (ლიცენზია).

III.4. ნარდობის ხელშეკრულების ფორმა

ფორმა ნების გამოვლენის განცხადების საშუალებაა.[113] სამოქალაქო კოდექსის 68-ე მუხლის თანახმად, გარიგების ნამდვილობისათვის საჭიროა კანონით დადგენილი ფორმის დაცვა. თუ ასეთი ფორმა არ არის დაწესებული, მხარეებს შეუძლიათ თვითონ განსაზღვრონ იგი. 69-ე მუხლი კი განსაზღვრავს, რომ გარიგება შეიძლება დაიდოს ზეპირად ან წერილობითი ფორმით. გარიგების ფორმასთან დაკავშირებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილით დადგენილი წესები ხელშეკრულების ფორმზეც ვრცელდება.[114]

როგორც წესი, ხელშეკრულების ნამდვილობისათვის რაიმე განსაკუთრებული ფორმის დაცვა საჭირო არაა.[115] ხელშეკრულება ძალაში მას შემდეგ შედის, როდესაც მხარეები ყველა არსებით პი-

[113] კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, 281.
[114] ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, 344.
[115] Faust, Bürgerliches Gezetzbuch, Allgemeiner Teil, 3.Aufl., 2013,145.

რობებზე თუნდაც ზეპირი მოლაპარაკებების გზით შეთანხმდებიან. ხელშეკრულების ფორმასთან დაკავშირებით ზოგადად მოქმედებს სახელშეკრულებო ფორმის თავისუფლების პრინციპი.[116]თუმცა, აღნიშნული პრინციპი შეუზღუდავი არ არის. ცალკეულ შემთხვევებში კანონი ადგენს ფორმას, რომლის დაცვაც კონკრეტული ტიპის ხელშეკრულებების ნამდვილობისათვის აუცილებელია. მხარეებსაც შეუძლიათ გაითვალისწინონ ხელშეკრულების რაიმე ფორმა, როგორც მისი ძალაში შესვლის აუცილებელი წინაპირობა.[117]

მაშასადამე, ხელშეკრულების ნამდვილობისათვის საჭიროა კანონით დადგენილი ფორმის დაცვა. თუ ასეთი ფორმა არ არის დაწესებული, მხარეებს შეუძლიათ თვითონ განსაზღვრონ იგი.[118] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს რაიმე სპეციალურ ნორმას ნარდობის ხელშეკრულების ფორმის თაობაზე. ასეთ შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს ის ნორმები, რომლებიც ზოგადად ხელშეკრულების ნამდვილობისთვისაა საჭირო.[119]

კანონმდებელი ხელშეკრულების ფორმასთან დაკავშირებით გარკვეულ დანანესებს ისეთ შემთხვევებში განსაზღვრავს, როდესაც ეს საჭიროა თავად სახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად და ფორმის დაწესებას შესაბამისი მიზანი გააჩნია. მაშასადამე, ნარდობის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის აუცილებელია დადგენილი ფორმის დაცვა.

სამოქალაქო კოდექსის 328-ე მუხლის თანახმად, თუ კანონით ხელშეკრულების ნამდვილობისათვის დადგენილია განსაზღვრული ფორმა ან მხარეებმა ხელშეკრულებისათვის გაითვალისწინეს ასეთი ფორმა, მაშინ ხელშეკრულება ძალაში შედის მხოლოდ ამ ფორმის შესახებ მხარეთა მოთხოვნის შესრულების შემდეგ. „ პალატამ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 50-ე, 327-ე, 629-ე მუხლებზე და

---

[116] Eisele, in MüKo.BGB, 7.Aufl.vor §125, Rn.1; Vgl. Zur Rechtsentwicklung Wolf/ Neuener BGB AT §44, rn.2; Flume BGB AT II §15 I 1,2.

[117] ზოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, 2005, 227.

[118] ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, 328- ე მუხლი, გვ.103.

[119] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 ნლის 30 დეკემბრის განჩინება საქმეზე #ას-409-1073-2003.

მიიჩნია, რომ 2007 წლის 3 სექტემბერს მხარეთა შორის დადებული გარიგებით წარმოიშვა ნარდობის სამართლებრივი ურთიერთობა."[120]

ნარდობის ხელშეკრულება მიეკუთვნება ფორმათავისუფალ ხელშეკრულებათა რიცხვს.[121] ეს ნიშნავს იმას, რომ ნარდობის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც ზეპირად, ისე წერილობითი ფორმით. კანონი ერთმანეთისაგან განასხვავებს მარტივ წერილობით ფორმასა და რთულ (სანოტარო) წერილობით ფორმას. „სასამართლომ განმარტა, რომ სკ-ის 68-ე, 328-ე 327-ე 361- და 629-ე მუხლების საფუძველზე, სავალდებულო არ არის მხარეთა შორის ნარდობის წერილობითი ხელშეკრულების არსებობა".[122]

თუ ნარდობის ხელშეკრულების მხარეები შეთანხმდნენ მარტივ წერილობით ფორმაზე, ამ დროს ხელშეკრულების დასადებად საკმარისია მასში მონაწილე მხარეთა ხელმოწერა. მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ნარდობის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის აუცილებელია ხელშეკრულების დამოწმება ნოტარიუსის ან მასთან გათანაბრებული პირების მიერ.[123] თუ ნარდობის ხელშეკრულება დაიდო კანონით ან მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფორმის დაუცველად, ასეთი ხელშეკრულება სკ-ის 59-ე I-ლი ნაწილის თანახმად, ჩაითვლება ბათილად.[124]

ზოგიერთ შემთხვევაში ნარდობის ხელშეკრულების დასადებად, აუცილებელია სახელმწიფოს ნებართვა. თუმცა კი, სამოქალაქო სამართალი კერძო პირთა სამართალია და ისინი დამოუკიდებლად წყვეტენ ერთმანეთთან ურთიერთობის საკითხს, თანამედროვე მართლწესრიგი ითვალისწინებს შემთხვევებს, როდესაც საჯარო ხელისუფლების (სახელმწიფოს) ჩარევა აუცილებელი ხდება ამ კერძო ხასიათის ურთიერთობებში.[125] „კერძო ავტონომია სულაც არ ნიშ-

[120] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 7 მარტის განჩინება საქმეზე #ას-1162-1091-2012.

[121] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 29.

[122] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 1 ნოემბრის განჩინება საქმეზე #ას-341-669-05.

[123] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 12 ივლისის განჩინება საქმეზე #ას-535-503-2010.

[124] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011,29.

[125] ზოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, 2005, 269.

ნავს იმას, რომ მხარეები ყველაფერს დამოუკიდებლად აწესრიგებენ და წყვეტენ".

სახელმწიფოს მხრიდან ამგვარი ჩარევის ერთ-ერთი საშუალება, გარდა საკანონმდებლო მოწესრიგებისა, არის სპეციალური ნებართვის დაწესება ამა თუ იმ ხელშეკრულების, მათ შორის ნარდობის ხელშეკრულების დადებისას. ასეთი ჩარევის შესაძლებლობას განამტკიცებს 319-ე მუხლის I-ლი ნაწილის ბოლო წინადადება, რომლის თანახმადაც, „თუ საზოგადოების ან პიროვნების არსებითი ინტერესების დაცვისათვის ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია სახელმწიფოს ნებართვაზე, მაშინ ეს უნდა მოწესრიგდეს ცალკე კანონით". მაგალითად, ზოგჯერ იმისათვის, რომ მენარდემ შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, მას უნდა ჰქონდეს ლიცენზია (ნებართვა). თუკი ხელშეკრულების მხარეები დაარღვევენ კანონის მოთხოვნას ნარდობის ხელშეკრულების დასადებად სახელმწიფოსაგან ნებართვის მიღების შესახებ, მაშინ დადგება სკ-ის 59-ე I-ლი ნაწილის მეორე წინადადებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი, კერძოდ, „ბათილია ნებართვის გარეშე დადებული გარიგება, თუ ამ გარიგებისათვის საჭიროა ნებართვა".[126]

საერთო წესის მიხედვით, განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობაში ნარდობის ხელშეკრულება მიეკუთვნება ფორმათა-ვისუფალ ხელშეკრულებათა რიცხვს. ამასთან, კანონით გათვალისწინებულ (მაგალითად, როდესაც ნარდობის ხელშეკრულება ეხება უძრავ ქონებას) ან ხელშეკრულების თუნდაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, ნარდობის ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით. ასევე წერილობითი ფორმით უნდა დაიდოს შეთანხმებები უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ.

ინგლისის სასამართლო პრაქტიკის თანახმად, თუკი ნარდობის ხელშეკრულება დადებული იქნა წერილობითი ფორმით, მაშინ დავის შემთხვევაში ხელშეკრულების პირობების განმარტება წარმოადგენს სასამართლოს კომპეტენციას. იმ ზეპირი შეთანხმებების დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომლებიც ხელშეკრულების ტექსტს ცვლიან ან რაიმეს ამატებენ, როგორც წესი, დაუშვებელია. გამონ-

[126] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 31.

აკლისს წარმოადგენს შემთხვევები, როდესაც საუბარია ჩვეულების შინაარსის დადგენაზე ანდა ტექნიკური ტერმინის მნიშვნელობის გარკვევაზე (Bank of New Zealand v. Simpson [1900] AC 182). ასეთ შემთხვევაში შესაბამისი სასამართლო გამოკვლევები შეიძლება განხორციელდეს ზეპირი მტკიცებულებების გამოყენებით, ძირითადად სპეციალისტების მონაწილეობის მეშვეობით.

წერილობითი ხელშეკრულების არსებობა წარმოადგენს იმის პრეზუმფციას, რომ ხელშეკრულება მოიცვს ნარდობის ყველა პირობას. თუმცა კი, ეს პრეზუმფცია საკამათოა. დაინტერესებულ მხარეს შეუძლია დაამტკიცოს, რომ გარდა წერილობითი ფორმით გაფორმებული ნარდობის ხელშეკრულებაში მოცემული პირობებისა, არსებობდა მეორე მხარესთან ზეპირი შეთანხმებაც ხელშეკრულების სხვა პირობების თაობაზე. ასეთ შემთხვევაში სასამართლო ზეპირი შეთანხმების არსებობა-არარსებობის დასადგენად მიმართავს ზეპირ მტკიცებულებებს (მხარეთა ახსნა-განმარტება, მოწმის ჩვენება) (Smith v. Hughes [187] LR 6QB 597)).

სანარდო ურთიერთობათა გაფორმების საილუსტრაციო მაგალითს წარმოადგენს სამშენებლო ნარდობის ხელშეკრულება. იგი შეიძლება შედგებოდეს რამდენიმე დოკუმენტისაგან, მათ შორის: 1.მხარეთა ძირითადი შეთანხმება (ხელშეკრულება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი ერთიანი აქტის სახით ანდა ორი ცალ-ცალკე აქტის სახით: ოფერტი და აქცეპტი); 2.ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების პირობები (conditionis), მათ შორის, სპეციალური და დამატებითი პირობები; 3.ასაშენებელი შენობა-ნაგებობების ნახაზები; 4. სპეციფიკაცია ანუ სამუშაოთა ცალკეული სახეების ანდა ასაშენებელი ობიექტის ცალკეული ნაწილების დეტალური აღწერა; 5.სპეციფიკაციაში აღნიშნული სამუშაოების სისტემატიზირებული ჩამონათვალი; 6.ხარჯთაღრიცხვა.

მხარეთა შორის დადებული ძირითადი ნარდობის ხელშეკრულება გარდა სხვადასხვა დებულებებისა, როგორც წესი, შეიცავს იმ დოკუმენტების ჩამონათვალს, რომლებიც კონტრაქტის შემადგენელი ნაწილია, განსაზღვრავს თუ რომელი სამართალი უნდა იქნეს გამოყენებული ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი ურთიერთობების მიმართ; ადგენს ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების

შეტანის წესებს, ითვალისწინებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის ზომებს, ასევე დავის გადაწყვეტის გზებს.

IV. ზოგადად სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების შესახებ

IV.1. ზოგადი დებულებები

ყველა სამართლებრივ სისტემაში ვალდებულების შესრულება წარმოადგენს ვალდებულებითი სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს. ისევე, როგორც კონტინენტური სამართლის სისტემის ქვეყნებში, საქართველოს შემთხვევაშიც ვალდებულების შესრულების მომწესრიგებელ ნორმებს ძირითადად დისპოზიციური ხასიათი აქვთ. ქართული სამოქალაქო კოდექსი შესრულებაზე ორიენტირებული აქტია. მისი როგორც ზოგადი, ისე კერძო ნაწილი შესრულების მექანიზმებზეა აგებული. მთავარია შესრულება და არა პასუხისმგებლობა.[127]

ვალდებულების შესრულება ნიშნავს მოვალისაგან იმ მოქმედების შესრულებას (ან მოქმედებისაგან თავის შეკავებას), რომლის მოთხოვნის უფლებაც კრედიტორს აქვს.[128] ვალდებულების შესრულებისას ნებისმიერი მხარის პატივსადები ინტერესების გათვალისწინება ხდება, მიუხედავად უფლებრივი მდგომარეობისა.[129] ვალდებულების შესრულებისას ქართული სამოქალაქო კოდექსი იძლევა ინტერესთა მშვიდობიანი თანაარსებობის შესაძლებლობას. პატივსადები ინტერესი ხდება ვალდებულებითი ურთიერთობის როგორც ტრანსფორმაციის, ისე მისი შეწყვეტის საფუძველი. თავად ინტერესის მდგომარეობას კი განსაზღვრავს როგორც შესრულების პროცესი, ისე მის გარეთ არსებული გარემოებები.[130]

ვალდებულების შესრულება წარმოადგენს რთულ ობიექტურ

[127] ზოიძე, ევროპული სამართლის რეცეფცია საქართველოში, 2005, 285.
[128] ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი. 2001, 37.
[129] Alessi, The Distinction between Obligations de Resultat and Obligations de Moyens and the Enforceability of Promises, ERPL 5/2005, 657-692.
[130] ზოიძე, ევროპული სამართლის რეცეფცია საქართველოში, 2005, 286.

მოვლენას. ის განაპირობებს მატერიალური და არამატერიალური სიკეთის ერთი პირისაგან მეორისათვის გადაცემის დინამიკას. შესრულება, როგორც მოვლენა, რომელიც ხდება ობიექტურ სინამდვილეში, ხორციელდება დროსა და სივრცეში, ამა თუ იმ გარემოებაში, ამა თუ იმ პირებს შორის. ამიტომაც, როგორც ვალდებულების შესრულების წესები, აგრეთვე ვალდებულების შესასრულებელი მოქმედებებიც, ამ ფაქტორების ზეგავლენას განიცდიან.

ხელშეკრულების უზენაესობის პრინციპი – „Pacta sunt servanda" ყველა მართლწესრიგის ფუძემდებლური დანაწესია.[131] იგი ვალდებულებითი სამართლის ძირითადი პრინციპია, რომელიც სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობასა და სახელშეკრულებო წონასწორობას უზრუნველყოფს. ვალდებულების შესრულების ლეგიტიმური სახელშეკრულებო ინტერესი, სამართლებრივი დაცვის თვალსაზრისით, განსაკუთრებული სიკეთეა ნებისმიერი სამართლის სისტემაში.[132] იგი კერძო ავტონომიის ერთ-ერთი ასპექტია, ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის განხორციელების წინაპირობაა, რომლითაც სახელშეკრულებო თავისუფლება იმთავითვე პასუხისმგებლობას უკავშირდება.[133]

სამართლებრივ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში ერთხმად აღნიშნავენ, რომ შესრულება წარმოადგენს ვალდებულების მიზანს. „როგორც ადამიანია განწირულია სიკვდილისათვის, ისევე ხელშეკრულება განწირულია შესაწყვეტად".[134] შესრულება – ეს არის შედეგი, რომლის მიღწევასაც ისწრაფვიან ვალდებულების კეთილსინდისიერი მხარეები.

ნებისმიერი ვალდებულება გულისხმობს მის შესრულებას. თუკი ესა თუ ის ურთიერთობა ღებულობს ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის ფორმას, მაგრამ მის მონაწილეებს თავი-

[131] Surhone/Timpledon/ Marseken, Pacta Sunt Servanda: Brocard, Civil Law, Contract, Clause, Law, Good Faith Peremptory Norm, Clausa Rebus Sic Stantibus, Betascript Publishers, 2010.

[132] Zimmermann,The Law of Obligations. Roman Foundations of the Civilian Tradition, OXFORD University Press, 1996, 576-581.

[133] Hondius/Grigoleti Unexpected Circumstances in European Contract Law, Cambridge University Press, 2011, 4.

[134] Zimmermann,The Law of Obligations. Roman Foundat. of the Civilian Tradition, Deventer,Boston,1992, 748.

დანვე არ ჰქონდათ მისი შესრულების განზრახვა, ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს მოჩვენებით გარიგებას.[135]

ვალდებულების შესრულება წარმოადგენს გვარეობით ცნებას, რამეთუ იგი მოიცავს იმ ქმედებებს, რომლებიც ხორციელდება სხვადასხვა სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში: სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ვალდებულებები; დადებითი და უარყოფითი ხასიათის ვალდებულებები; გაყოფადი და გაუყოფადი ვალდებულებები; სხვადასხვა ობიექტის მქონე ვალდებულებები და ა.შ.

ვალდებულების შესრულება დამოკიდებულია კონკრეტული სახის ვალდებულების შინაარსზე. ვალდებულების შესრულება ხორციელდება ვალდებულების მხარეების ნებელობითი მოქმედების შედეგად: მოვალე სთავაზობს შესრულებას, კრედიტორი ღებულობს შესრულებას. უარყოფითი შინაარსის მქონე ვალდებულებების არსებობა გამოიხატება გარკვეული მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავებაში (მაგალითად, სამეზობლო თმენის ვალდებულებები; და ა.შ.). ასეთი უმოქმედობაც ხორციელდება მოვალის ძალისხმევით. ამიტომაც იურიდიულ ლიტერატურაში ვალდებულების შესრულების აღმნიშვნელ ტერმინად ძირითადად გამოიყენება ტერმინი – ქმედება.

ვალდებულების შესასრულებელი მოქმედებები ყოველთვის მიმართულია ვალდებულების შეწყვეტისაკენ („remissio" – ლათინური სიტყვისაგან – „შეწყვეტა"). მაგალითად, სკ-ის 427-ე მუხლის თანახმად, ვალდებულებითი ურთიერთობა წყდება კრედიტორის სასარგებლოდ შესრულებით. ვალდებულების შესრულება ხასიათდება იმით, რომ იგი წარმოადგენს ვალდებულების შეწყვეტისაკენ მიმართულ ნებელობით ქმედებებს.[136]

ამდენად, ვალდებულების შესრულება წარმოადგენს მოვალის ნებელობით ქცევას. ჯერ კიდევ რომის სამართალში, თვითნებობა, გამოხატული კრედიტორის იძულებაში მოვალის მიმართ რაიმეს გადასაცემად, მიიჩნეოდა დაუშვებელ ქმედებად. თუმცა, არსებობდა მოსაზრებაც, რომ დაუშვებელი იყო იმის შეცილება, რაც შესრულდა

[135] ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, 361.
[136] Гримм, Лекции по догме римского права, 2003, 352.

ვალდებულების ძალით. ამ შემთხვევაში შეიძლება დამდგარიყო პასუხისმგებლობა მხოლოდ თვითნებობისათვის, მაგალითად, ვალის დაბრუნება მოვალეზე ფიზიკური (coactus) ან ფსიქიკური (sed voluit) ზემოქმედების შედეგად – „dolo facit qui petit quod redditurus est".[137]

თანამედროვე იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებულია შემდეგი მოსაზრება: „ვალდებულებითი ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, მოთხოვნის უფლება მეტად სპეციფიკურია. იგი კრედიტორს არ აძლევს თვითნებობის უფლებას. მოთხოვნის უფლება ვალდებული პირის მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ კანონით დადგენილი წესით სასამართლოს მიერ.[138] სამართლებრივ სახელმწიფოში მართლმსაჯულების განხორციელების მონოპოლია სახელმწიფოს ხელშია და სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს ეკრძალებათ თავიანთი უფლებების დასაცავად ძალის გამოყენება, ე.წ. თვითგასამართლება.[139] სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად.[140] თანამედროვე ევროპული სამართალი კანონსაწინააღმდეგოდ მიიჩნევს გარიგებას, თუკი იგი დაიდო იძულების გზით".[141]

როგორც წესი, შესრულებაში გარკვეული შედეგი ივარაუდება (ნივთის გადაცემა, ვალის დაბრუნება), მაგრამ იგი შეიძლება საქმიანობასაც გულისხმობდეს (მომსახურების ტიპის ხელშეკრულებები). არის შემთხვევები, როდესაც შესრულების შინაარსი არ შემოიფარგლება მხოლოდ მარტივი აქტით (ნივთის გადაცემა მყიდველისათვის), და იგი სხვა მოქმედებებსაც ითვალისწინებს, რათა შესრულება ჩაითვალოს განხორციელებულად. ვალდებულებისა და ვალდებულების შესრულების მჭიდრო ურთიერთკავშირი ძირითადად იმითაა განპირობებული, რომ შესრულებისაკენ მიმართული მოქმედებები თავის საფუძველს სწორედაც რომ ვალდებულებაში პოულობს.

შესრულების ის კონცეფციებიც კი, რომლებიც ვალდებულების შესრულებას განიხილავს, როგორც აბსტრაქტულ გარიგებას, მიზნად არ ისახავს შესრულების აბსოლუტურ იზოლაციას თვით

---

[137] Франчози, Институционный курс римского права: Пер. с итал., 2004, 62.
[138] Zweigert/Kötz Einführung in die Rechtsvergleichung, 3 Auflage, 1996, 497.
[139] ჰენშელი, სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდიკა, 2009, 20.
[140] ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, 107.
[141] Vliet ,Transfer of movables in German, French, England and Dutch Law, 2000, 35.

ვალდებულებისაგან, რადგან შესრულების აბსტრაქტულობას გააჩნია კონკრეტული ამოცანები და მიმართულია უფრო მეტად მესამე პირების და არა ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეების მიმართ.[142]

ვალდებულების შესრულება გამოიხატება მოვალისა და კრედიტორის მიერ იმ მოქმედებების განხორციელებაში, რომლებიც შეადგენს მათი უფლებებისა და მოვალეობების შინაარსს.

ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მხარეთა უფლებები, თავისი სამართლებრივი ბუნებით მიეკუთვნება რელატიურ (შეფარდებით) უფლებათა რიცხვს. რელატიური უფლება არის განსაზღვრული პირის მიმართ შესრულების მოთხოვნის უფლებამოსილება. იგი მიმართულია არა ნებისმიერი, არამედ მხოლოდ განსაზღვრული პირის მიმართ კონკრეტული ვალდებულების შესასრულებლად. რელატიური უფლება წარმოიშობა ნამდვილი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე.[143]

ნარდობის ხელშეკრულებით მენარდის ძირითად ვალდებულებას წარმოადგენს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო სკ-ის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით. კერძოდ, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ვალდებულების ჯეროვანი შესრულება გულისხმობს მოვალის (მენარდის) მიერ იმ მოთხოვნების განუხრელად დაცვას, რომელიც დაკავშირებულია თვით შესრულების საგანთან. მაგალითად, თუკი მენარდე მოვალეა დაამზადოს განსაზღვრული ხარისხის და მოდელის ნაკეთობა, ჯეროვან შესრულებად ითვლება სწორედ ასეთი ნივთის გადაცემა შემკვეთისათვის.[144]

ვალდებულების შესრულება – ეს არის კრედიტორისა და მოვალის ნებელობითი მოქმედებები: ერთი გადასცემს შესრულებას, მეორე კი – ღებულობს. შესაბამისად, შესრულება შედგება შემდეგი ეტაპებისაგან: ა) შესრულების საგნის შეთავაზება. შესრულების

[142] Markesinis/Lorenz/ Dannemann, The German Law Obligations, Vol.1. The Law of Contract and Restitutions: A Comparative Introduction, 1997, 19-21.

[143] Kramer, in MüKo.BGB, Band 2a.,5.Aufl.vor §241, Rn.27.Gruneberg, in Bamberger/ Roth (Hrsg.) vor §241, Rn.5.

[144] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 49.

შეთავაზებად ჩაითვლება ვალდებულებით გათვალისწინებული მოქმედების განხორციელება ან შესაბამისი შედეგის დადგომა, რაც თავად ვალდებულების სახეზეა დამოკიდებული; 2) შესრულების საგნის გადაცემა უფლებამოსილი პირისათვის; 3) კრედიტორის მიერ შესრულების მიღება. მაგალითად, ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, თუ საჭიროა შესრულებული სამუშაოს გადაცემა,[145] მაშინ შემკვეთი მოვალეა მიიღოს შესრულებული სამუშაო. სამუშაო მიღებულად ჩაითვლება, თუ შემკვეთი არ მიიღებს შესრულებულ სამუშაოს დადგენილ ვადაში.[146]

IV.2. ვალდებულების არსებობის პრეზუმფცია

სამართალში დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია პრეზუმფციას. პრეზუმფცია ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს ვარაუდს. დაუდასტურებელი მოვლენა ან ფაქტი მიიჩნევა, ივარაუდება არსებულად, დადასტურებულად და მას სამართლებრივი შედეგები უკავშირდება.[147] ამგვარი პრეზუმფციების არსებობა იმისთვისაცაა საჭირო, რომ ურთიერთობის მონაწილენი გაურკვეველ, ბუნდოვან მდგომარეობაში არ აღმოჩნდნენ და მათი სამართლებრივი სტატუსი ჰაერში არ იყოს გამოკიდებული.[148]

პრეზუმფციებს დიდი პრაქტიკული მიშვნელობა გააჩნიათ როგორც მატერიალურ, ისე სამოქალაქო-საპროცესო სამართალში, მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 158-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ივარაუდება, რომ ნივთის მფლობელი არის მესაკუთრე. თუ სამოქალაქო სამართალში ასეთი ვარაუდი არ იქნებოდა, მაშინ ეჭვი უნდა შეგვეტანა ყველა ადამიანის კეთილ-

---

[145] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის14 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე #ას-307-628-09.

[146] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-84-417-09.

[147] ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, 189.

[148] ძლიერიშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალის ცალკეული საკითხები, 2007, 44.

სინდისიერებაში და ყველაფერი, რასაც ისინი ფლობენ, არ უნდა მიგვეჩნია მათ საკუთრებად. ამიტომაც აქვს დიდი მნიშვნელობა სამართალში პრეზუმფციებს და მათ სწორად შერჩევას.[149]

სამოქალაქო-საპროცესო სამართალში კი, პრეზუმფციების პროცესუალური მნიშვნელობა მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილებით ამოიწურება. მტკიცების საგანში შემავალი სადავო ფაქტების ნაწილი ივარაუდება მოსარჩელის სასარგებლოდ, ნაწილი კი – მოპასუხის სასარგებლოდ.[150] ფაქტები, რომლებიც ივარაუდება მოპასუხის სასარგებლოდ, უნდა დაამტკიცოს მოსარჩელემ (რაც იმას ნიშნავს, რომ მოპასუხე თავისუფალია ამ ფაქტების დამტკიცებისაგან), ხოლო ფაქტები, რომლებიც ივარაუდება მოსარჩელის სასარგებლოდ, უნდა დაამტკიცოს მოპასუხემ (რაც იმას ნიშნავს, რომ მოსარჩელე თავისუფალია ამ ფაქტების დამტკიცებისაგან).[151] აღნიშნული კი ადასტურებს, რომ პრეზუმფციები სამოქალაქო სამართალწარმოებაში დამტკიცებისაგან კი არ ათავისუფლებს მხარეს, არამედ წარმოადგენს დაპირისპირებულ მხარეთა შორ.ს დამტკიცების ტვირთის განაწილების წესს. ამა თუ იმ ფაქტის დამტკიცების ტვირთისაგან გათავისუფლება წარმოადგენს არა მიზეზს, არამედ ამ ტვირთის განაწილების შედეგს.[152]

სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას. სამართლებრივი პრეზუმფცია შეიძლება ფორმულირებული იყოს პოზიტიურად და ნეგატიურად. სკ-ის 361 მუხლით განმტკიცებული პრეზუმფცია პოზიტიურად არის ფორმულირებული. პრეზუმფცია პოზიტიურადაა ფორმულირებული თუ ნეგატიურად (მაგალითად, თუ მეუღლეებმა დაქორწინებისას არ იცოდნენ ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების შესახებ ... ქორწინება წარმოშობს ყველა იმ სამართლებრივ შედეგს, რასაც ნამდვილი ქორწინება (სკ-ის 114[1])), სამართლებრივი შედეგი ყველა შემთხვევაში მსგავსია: სამოქალაქო სამართალი არსებულად მიიჩნევს რაღაცას მანამ, სანამ მისი საპირ-

[149] ჭანტურია, შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნანილში, 1997, 160.
[150] გაგუა, მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, 2013, 35.
[151] ლილუაშვილი, სამოქალაქო-საპროცესო სამართალი, II გამოცემა, 2005, 229.
[152] ძლიერიშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები, 2007, 17.

ისპირო არ დამტკიცებულა.[153]

აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო სამართლისათვის უცნობია პრეზუმფციების, ანუ მხარეთა შორის დამტკიცების ტვირთის განაწილების დასრულებული სისტემა. ზოგ შემთხვევაში კანონი არ შეიცავს პირდაპირ მითითებას იმის თაობაზე, თუ რომელი ფაქტის არსებობის საფუძველზე, ან რომელი ფაქტების დამტკიცების საფუძველზე წარმოიშობა ვარაუდი (პრეზუმფცია) გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა ფაქტების არსებობა-არარსებობის შესახებ.[154] პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება იმის გარკვევას, თუ რა მოსაზრებით ხელმძღვანელობს კანონმდებელი იმ შემთხვევაში, როდესაც აყალიბებს პრეზუმფციებს, ანუ განსაზღვრავს, რომელმა მხარემ გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელობის მქონე რომელი ფაქტი უნდა დამტკიცოს.[155]

ზოგიერთ შემთხვევაში კანონმდებელი ხელმძღვანელობს იმ მოსაზრებით, თუ რომელი მხარისათვის უფრო ადვილი და მოსახერხებელი იქნება ამა თუ იმ ფაქტის დამტკიცება-დადასტურება და რომელი მხარისათვის მისი დამტკიცება შეუძლებელი ან ძალზე რთული იქნება. „აქედან გამომდინარე, მტკიცებულებათა წარმოდგენის მოვალეობას მტკიცების საგანში შემავალი ფაქტის დასადგენად, კანონმდებელი აკისრებს იმ მხარეს, რომლისთვისაც ეს უფრო ადვილი და მოსახერხებელია, მაგალითად, სახელშეკრულებო ვალდებულების წარმოშობის ფაქტის დამტკიცება (ვთქვათ, სესხის მიცემის ფაქტი), უფრო ადვილია მოსარჩელისათვის (გამსესხებლისათვის), ვიდრე მოპასუხისათვის საპირისპიროს მტკიცება. მაგრამ იმის მტკიცება, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება მოპასუხემ შეასრულა (ვთქვათ, დააბრუნა სესხი), გაცილებით უფრო ადვილია მოპასუხისათვის, ვიდრე მოსარჩელისათვის იმის მტკიცება, რომ მოპასუხეს არ შეუსრულებია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება (არ დაუბრუნებია ვალი)".[156]

როდესაც საუბარია სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან

[153] ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, 190.

[154] ძლიერიშვილი, სამოქალაქო-საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები, 2007, 16.

[155] ლილუაშვილი, სამოქალაქო-საპროცესო სამართალი, II გამოცემა, 2005, 229.

[156] ლილუაშვილი, სამოქალაქო-საპროცესო სამართალი, II გამოცემა, 2005, 231.

წარმოშობილ ვალდებულებებთან მიმართებით ვალდებულების შესრულების პრეზუმფციაზე, მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს, რომ არსებობს ასეთი სახელშეკრულებო ურთიერთობა და დადგა ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების დრო, ხოლო, თუ მოპასუხე არ ცნობს ასეთი სახელშეკრულებო ურთიერთობების წარმოშობას, მან უნდა დაამტკიცოს ფაქტები, რომლებიც კანონის თანახმად, აბრკოლებენ ურთიერთობის წარმოშობას (მაგალითად, სკ-ის 54-ე მუხლის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგის ან ზნეობის ნორმებს),[157] ან კიდევ დადებულია ნებართვის გარეშე, როცა კანონი ასეთ ნებართვას მოითხოვს. ზოგჯერ შეიძლება, რომ მოპასუხემ არც კი უარყოს სახელშეკრულებო ურთიერთობის წარმოშობა, თუმცა წამოაყენოს შესაგებელი შემხვედრი ვალდებულების არშესრულების შესახებ.[158]

ის გარემოება, რომ ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას (ანუ ივარაუდება, რომ მოვალე, რომელმაც განახორციელა შესრულება, ვალდებული იყო განეხორციელებინა ეს შესრულება, თუკი არ იქნება დამტკიცებული საპირისპირო), განმტკიცებულია სკ-ის 385-ე მუხლშიც. კერძოდ, ის, რაც ვალდებულების გარეშეა გადახდილი, შეიძლება უსაფუძვლო გამდიდრების წესების მიხედვით უკან იქნეს მოთხოვნილი".[159]

თუ არ არსებობს ვალდებულება, მაშინ ვერც მის შესრულებას ექნება ადგილი. მაგალითად, თუკი ა-ს შეცდომით ჰგონია, რომ ბ-სათვის დასაბრუნებელი აქვს ვალი და მისი გადახდის (შესრულების) მიზნით კიდეც გადასცემს გარკვეულ თანხას, ეს ვერ იქნება ვალდებულების შესრულება, ვინაიდან არ არსებობს თვით ვალდებულება. სამაგიეროდ, ამ შემთხვევაში წარმოიშობა უსაფუძვლოდ შეძენილის უკან დაბრუნების ვალდებულება და სკ-ის 361-ე მუხლის პირველ ნაწილთან ერთად, სკ-ის 976-991-ე მუხლებში განმტკიცებული წესებიც უნდა იქნეს გამოყენებული.[160]

---

[157] კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, 271.
[158] ლილუაშვილი, სამოქალაქო-საპროცესო სამართალი, II გამოცემა, 2005, 233.
[159] ჭეჭელაშვილი, სახელშეკრულებო სამართალი, 2008, 136.
[160] ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/ხეცურიანი/შენგელია (რედ.) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი მესამე, 2001, 361-ე მუხლი, 267.

IV.3. ზოგადად ვალდებულების ჯეროვანი შესრულების შესახებ

პრინციპი ლათინური სიტყვაა და ნიშნავს დასაწყისს, დასაბამს. ამ ტერმინს იყენებენ რომელიმე თეორიის, მოძღვრების, მეცნიერების ძირითადი ამოსავალი დებულების, სახელმძღვანელო იდეის, აგრეთვე ქცევის ძირითადი წესის აღმნიშვნელად.[161] პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ, რადგან ვალდებულების შესრულების ინსტიტუტი შეადგენს სამოქალაქო სამართლის ნაწილს, მის მიმართ ვრცელდება სამოქალაქო კანონმდებლობის ძირითადი პრინციპები, რაც დადგენილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით. გარდა ამისა, ვალდებულების შესრულებისათვის დამახასიათებელია საკუთრივ შესრულების მომწესრიგებელი პრინციპების მოქმედებაც. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

ვალდებულების ჯეროვანი შესრულება წარმოადგენს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპს და მას უკავშირდება ვალდებულების შეწყვეტა (მაგალითად, სკ-ის427-ე მუხლის თანახმად, ვალდებულებითი ურთიერთობა წყდება კრედიტორის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულებით (შესრულება)). კანონმდებლობა განასხვავებს ვალდებულების ჯეროვან (სათანადო) და არაჯეროვან (არასათანადო) შესრულებას. არაჯეროვანია შესრულება, როდესაც ვალდებულება მოვალის მიერ, მართალია, სრულდება, თუმცა შესრულებას ხარვეზი გააჩნია,[162] რომ იგი არ შეესაბამება ვალდებულების საფუძვლად არსებული გარიგების შინაარსსა და შესრულებით დაინტერესებული პირების მოლოდინს.[163]

ვალდებულების ჯეროვან შესრულებასთან მიმართებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მიუთითა, „რომ განსახილველ შემთხვევაში ვალდებულების ჯეროვანი შესრულება გულისხმობდა არა მარტო საქონლის მიწო-

---

[161] იხ. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, 1973, 333.

[162] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2011 წლის 28 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე #ას-282-266-11.

[163] ჭეჭელაშვილი, სახელშეკრულებო სამართალი, 2008, 130.

დებას, არამედ ასევე ინსტალაციას, მონტაჟს, სწავლებას. ხელშეკრულების ყველა პირობის შესრულებაც დადგენილ ვადაში უნდა მომხდარიყო".[164]

ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში ვალდებულება არ წყდება და როგორც წესი, შედეგად იწვევს ვალდებულების დამრღვევი პირის პასუხისმგებლობას.[165] ვალდებულების ჯეროვანი შესრულება გულისხმობს მოვალის მიერ იმ მოთხოვნათა განუხრელ დაცვას, რომლებიც დაკავშირებულია თვით შესრულების საგანთან. თუ როგორი შესრულებაა ჯეროვანი, უპირველეს ყოვლისა, ხელშეკრულებით განისაზღვრება. ფასადური შესრულება ვალდებულების შესრულებად არ ჩაითვლება.[166]

ვალდებულების ჯეროვანი შესრულების პრინციპი თავისი ბუნებით უფრო დისპოზიციური ხასიათისაა[167] (კრედიტორი უფლებამოსილია მიიღოს მოვალის მიერ შეთავაზებული არაჯეროვანი შესრულებაც). ვალდებულებითი ურთიერთობის მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ, თუ რა ჩაითვლება კონკრეტულ შემთხვევაში ვალდებულების ჯეროვან შესრულებად. თუ ხელშეკრულების მხარეები არ ისარგებლებენ ამ შესაძლებლობით, ასეთ შემთხვევებში, ვალდებულების ჯეროვან შესრულებასთან მიმართებით გამოყენებული იქნება კანონით დადგენილი ნორმები. მაგალითად, სკ-ის 380-ე მუხლის თანახმად, თუ შესრულების ხარისხი დაწვრილებით არ არის

---

[164] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2011 წლის 28 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-282-266-11.

[165] ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება, 2006, 11.

[166] ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, 58.

[167] დისპოზიციური ნორმების შესაბამისად, კანონის ნორმისგან განსხვავებული შეთანხმება მხარეთა შორის დასაშვებია, თუ ის არ ენინააღმდეგება კანონისა და სამოქალაქო კანონმდებლობით განმტკიცებულ კეთილსინდისიერების პრინციპს. დისპოზიციური ნორმები კერძოსამართლებრივ კანონმდებლობაში მოცემულია იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მოქმედების თავისუფლება მხარეებს საკუთარი სამართლებრივი ურთიერთობის შესაბამისი ინტერესების უკეთ განხორციელებისათვის სჭირდებათ. იხ.: კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, 83; ჩაჩავა, მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, თსუ, 2010, 5; Larenz, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 9 Auflage, 2004, §3, Rn 96.

ხელშეკრულებაში განსაზღვრული, მაშინ მოვალე ვალდებულია შეასრულოს სულ ცოტა, საშუალო ხარისხის სამუშაო ან გადასცეს საშუალო ხარისხის ნივთი.[168]

ვალდებულების ჯეროვანი შესრულების პრინციპი ზოგადი ხასიათისაა და ფართო გაგებით, მოიცავს ვალდებულების შესრულების სხვა პრინციპებსაც, როგორიცაა: რეალური შესრულების პრინციპი; ვალდებულების შესრულებაზე ცალმხრივად უარის თქმის დაუშვებლობის პრინციპი; ურთიერთთანამშრომლობისა და კეთილსინდისიერების პრინციპები. ნებისმიერი ჯეროვანი შესრულება ითვლება რეალურ შესრულებად, არ არღვევს ვალდებულების შესრულებაზე ცალმხრივად უარის თქმის დაუშვებლობის პრინციპს, შეესაბამება ურთიერთთანამშრომლობის მოთხოვნებს და განხორციელებულია კეთილსინდისიერად (მაგალითად, თუკი მოვალე ვალდებულია გადასცეს კრედიტორს ესა თუ ის კონკრეტულად განსაზღვრული ნივთი, ჯეროვან შესრულებად ჩაითვლება სწორედ ამ ნივთის გადაცემა კრედიტორისათვის; თუკი მოვალე ვალდებულია გარკვეული ხარისხის ნივთი მიაწოდოს კრედიტორს გარკვეულ დროსა და ადგილას, სწორედ შეთახმებული ხარისხის ნივთის შესაბამის დროსა და ადგილას გადაცემა ჩაითვლება ჯეროვან შესრულებად).

ვალდებულების ჯეროვანი შესრულების პრინციპის ერთ-ერთ ნიშან-თვისებას წარმოადგენს რეალური შესრულება. რეალური (ნატურით) შესრულება წარმოადგენს კონტინენტური ევროპის ქვეყნების კანონმდებლობის უმთავრეს პრინციპს. ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში კრედიტორის ძირითადი უფლებაა მოითხოვოს მოვალისაგან ვალდებულების რეალური (ნატურით) შესრულება.[169] გერმანული ვალდებულებითი სამართლის რეფორმის შედეგად დამკვიდრდა მიდგომა, რომელიც ერთსა და იმავე დროს იცავს ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებასთან მიმართებით და ამასთანავე, აღიარებს ნატურით შესრულების (performance in specie) მოთხოვნის

[168] ასევე, სკ-ის 362-ე მუხლის თანახმად, თუ შესრულების ადგილი განსაზღვრული არ არის, საგნის მიწოდების ადგილს თავად კანონმდებელი ადგენს. იხ. ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება, 2006, 12.

[169] კანდელჰარდი, რეალური შესრულება თუ ზიანის ანაზღაურება: საერთაშორისო კონსენსუსი? სერგო ჯორბენაძე, 70, საიუბილეო კრებული, 1996, 103.

პრიმატს.[170] ამ ორი ნიშანდობლივი ელემენტის კომბინაცია გერმანულ და ზოგადად კონტინენტურ სამართალს განასხვავებს საერთო სამართლის სისტემისაგან, რადგან საერთო სამართალში ზოგადი წესის სახით დადგენილია, რომ მოვალის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისას, კრედიტორს შეუძლია მოვალისაგან მოითხოვოს ფულადი კომპენსაცია.[171]

ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების 9-102(1)-ე მუხლის თანახმად, დაზარალებულ მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს ნებისმიერი სახის ვალდებულების ნატურით შესრულება, მათ შორის არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაშიც, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სახეზეა ფულადი ვალდებულება. ამგვარად, პრიორიტეტულადაა აღიარებული ვალდებულების რეალური (ნატურით) შესრულების პრინციპი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ გამოიყენება საერთო სამართლის ტერმინოლოგია – specific performance. ვალდებულების ნატურით შესრულება დაუშვებელია იმ შემთხვევაში, თუკი: ა) ეს შეუძლებელია ანდა არაკანონიერია; ბ) მოითხოვს მოვალისაგან არაგონივრული და შეუსაბამოდ მაღალი ხარჯების გაწევას; გ) შესრულება გამოიხატება პირადი ხასიათის სამუშაოს შესრულებაში ან მომსახურების გაწევაში, ანდა დაფუძნებულია პირადი ხასიათის ურთიერთობებზე; დ) გონივრულად შეუძლია შესრულების მიღება სხვა წყაროდან.

ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების 9-301(1) მუხლით გათვალისწინებულია, რომ მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუკი მეორე მხარის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობა არსებითი ხასიათისაა. ვალდებულების შეუსრულებლობა არსებითი ხასიათისაა, თუკი: ა) ხელშეკრულების არსი გამოიხატება ვალდებულების ზუსტად შესრულებაში ხელშეკრულების პირობების შესაბამისად (შეთანხმებული პირობებიდან ნებისმიერი გადახვევა ითვლება, როგორც ხელშეკრულების არსის მნიშვნელოვან შეცვლად და ათავისუფლებს მეორე მხარეს ვალდებულებებისაგან); ბ) ვალდებულების შეუსრულე-

---

[170] Markesinis/Unberath/Johnston , The German Law of Contract _ A Comparative Treatise, 2nd ed. Hart Publishing, Oxford, Portland, Oregon, 2006, 438.

[171] ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება, 2006, 76.

ბლობის შედეგად მეორე მხარე არსებითად კარგავს იმას, რისი მიღების მოლოდინიც გააჩნდა ხელშეკრულებიდან გამომდინარე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მეორე მხარე არ ითვალისწინებდა და არც შეეძლო გაეთვალისწინებინა ასეთი შედეგის დადგომის შესაძლებლობა (მხედველობაში მიიღება მხოლოდ მიყენებული ზიანის ოდენობა); გ) შეუსრულებლობა გამოწვეულია ვალდებული პირის განზრახი ქმედებით და დაზარალებულ მხარეს აძლევს იმის საფუძვლს, რომ მას აღარ უნდა ჰქონდეს მეორე მხარის მიერ ვალდებულების მომავალში შესრულების მოლოდინი.

ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების 8:103-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების არსებითი შეუსრულებლობის ცნება იმეორებს „საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის" შესახებ გაერო-ს 1980 წლის ვენის კონვენციის 25-ე მუხლისა და 1964 წლის ჰააგის „საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ერთგვაროვანი კანონის შესახებ" კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ დებულებებს.[172]

როგორც კონტინენტური სამართლის შემადგენელი ნაწილი, „ქართული სამოქალაქო კოდექსი შესრულებაზე ორიენტირებული აქტია. შესრულების პრიორიტეტულობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ვალდებულების დარღვევის საფუძველზე აღმოცენებული მეორადი მოთხოვნის უფლებათა კატალოგში უპირატესად გამოსაყენებელ სამართლებრივი დაცვის საშუალებად დამატებით შესრულებას ითვალისწინებს".[173]

ნატურით შესრულება ნიშნავს იმას, რომ მხარებმა უნდა შეასრულონ ის მოქმედებები, რომელთა შესრულების ვალდებულობაც მათ იკისრეს. „სამართალს არა აქვს არავითარი საფუძველი, უარი თქვას in natura შესრულებაზე".[174]

ნატურით შესრულების მოთხოვნა მანამდეა, ვიდრე არსებობს მისი დაკმაყოფილების შესაძლებლობა.[175] ამ გარემოებას განსა-

---

[172] Lubbe, Fundamental breach under the GISG: A source of fundamentally divergent results, RabelsZ 3/2004, 444-472.

[173] ზოიძე, ევროპული სამართლის რეცეფცია საქართველოში, 2005, 286.

[174] Франчози, Институционный курс римского права: Пер. с итал, 2004, 67.

[175] Worlen/ Metzler-Muller, Schuldrecht AT, 11 Vollig uberarbeitete und verbesserte Auflage, 2013, 44.

კუთრებით ესმევა ხაზი საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში. სასამართლოს არა აქვს უფლება, უსაფუძვლოდ უთხრას უარი კრედიტორს ნატურით ასრულებაზე. ნატურით შესრულება მრავალ გარემოებაზეა დამოკიდებული და არა მხოლოდ კრედიტორის მონდომებაზე, რომ განხორციელდეს ასეთი შესრულება.[176]

IV.4. სამუშაოს კეთილსინდისიერად შესრულება

საბაზრო ეკონომიკაზე მორგებული კერძო სამართლის ჩამოყალიბების პროცესში განსაკუთრებით გამოიკვეთა „კეთილსინდისიერების" მნიშვნელობა.[177] განვითარებული ქვეყნების სამართალში იგი წარმოადგენს მთელი სამოქალაქო ბრუნვის ქვაკუთხედს.[178] ქართულ სამოქალაქო სამართალშიც იმავე მიზანს ემსახურება კეთილსინდისიერების, როგორც სამართლებრივი ფასეულობის შემოღება. სამოქალაქო ბრუნვის სიმყარე და სტაბილურობა მისი მონაწილის კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული.

სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, „სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლება-მოვალეობანი".

კეთილსინდისიერად ქცევის ვალდებულება ემყარება სამართალში საზოგადოდ მოქმედ კეთილსინდისიერების ვარაუდს. ეს ვარაუდი განსაზღვრავს სამართლებრივი ურთიერთობის საერთო მიმართულებასაც. არა ურთიერთობის მონაწილეთა ინტერესების დაპირისპირება, არამედ მათი სოლიდარობაა ნორმალური სამოქალაქო ბრუნვის საფუძველი. კეთილსინდისიერება არა მარტო უფლების არსებობის, არამედ მოვალეობის შესრულების ვარაუდიცაა.

კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწი-

---

[176] ჩიტაშვილი, შეცვლილი გარემოებებით წარმოშობილი შესრულების გართულება და შეუძლებლობა, „სამართლის ჟურნალი», #2, 2011, გვ. 133-174.

[177] Worlen/Metzler-Muller, Schuldrecht AT, 11 Vollig uberarbeitete und verbesserte Auflage, 2013, 45.

[178] Palandt/Heinrichs, §242, Rn 3.

ლეთა მოქმედებას პასუხისმგებლობით, ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას. კეთილსინდისიერება როგორც ნორმატიული, ისე სუბიექტური ნების განმარტების ინსტრუმენტია. მის საფუძველზე აღმოიფხვრება როგორც კანონის, ისე ხელშეკრულების ხარვეზი.[179]

კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენება ძირითადად განპირობებულია შემთხვევებით, რომლებშიც მოთხოვნა ან კონტრაჰენტის ქცევა ფორმალურად მოქმედ მატერიალურ სამართალს შეესაბამება, მაგრამ მისი განხორციელება კონკრეტულ შემთხვევაში უსამართლოა ან მეორე მხარის საფუძვლიან ნდობას ეწინააღმდეგება.[180] კეთილსინდისიერება „ღია ნორმაა",[181] რომლის შინაარსიც არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ აბსტრაქტული გზით, არამედ იგი დამოკიდებულია საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე, და დადგენილ უნდა იქნეს დაკონკრეტების მეთოდის გამოყენებით.[182]

სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მესამე ნაწილის დანაწესი ზოგადი ხასიათის დებულებაა, რომლის დეტალიზებაც სკ-ის ცალკეულ მუხლებში ხდება. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მეორე ნაწილის დანაწესი, რომლის თანახმადაც, „ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას..." ამ ნორმების მოქმედება ცალსახა და იმპერატიულია, ამიტომაც ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება შეთანხმებით გამორიცხონ მათი მოქმედება.[183] სკ-ის მე-8 მუხლის მესამე ნაწილის დანაწესი განსაზღვრავს კეთილსინდისიერებას, როგორც ვალდებულების ძირითად და იმანენტურ ელემენტს და მხოლოდ ვალდებულებათა შესრულებით არ შემოიფარგლება.[184]

---

[179] Larenz, Lehrbuch des Sculdrechts, Band 1, Allgemeiner Teil, 14 Auflage, 1987, 94.

[180] კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, 83.

[181] ზოიძე, ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/ხეცურიანი/შენგელია (რედ.) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, 2001, 361-ე მუხლი, 271.

[182] Palandt/Heinrichs, §242, Rn 3.

[183] ვაშაკიძე, კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით – აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, ჟურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა" #10, 2007, 38.

[184] იოსელიანი, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში (შედარებით-სამართლებრივი გამოკვლევა), ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხ-

კეთილსინდისიერების პრინციპის შინაარსი, უპირველეს ყოვლისა, იმით გამოიხატება, რომ მხარეს, გარდა ვალდებულებების ჯეროვანი შესრულებისა, ევალება ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულებაც, ანუ კონტრაჰენტის პატივსადები ინტერესების გათვალისწინება და დაცვა. ამ მოთხოვნის დარღვევა კი, არა მხოლოდ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების პროცესში, არამედ სახელშეკრულებო მოლაპარაკებათა და ძირითადი ვალდებულებების შესრულების შემდგომ ეტაპზეც შეიძლება პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი გახდეს.[185]

კეთილსინდისიერების პრინციპი რომის სამართლიდან იღებს სათავეს. პრინციპი „bona fides" (კეთილსინდისიერება) მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა Ius civile-სა და რომაულ სამართლებრივ აზროვნებაში. საქმიან ურთიერთობებში bona fides-ის გამოყენება ნიშნავდა, რომ მხარეები თავიანთ პირობასა და მიცემულ სიტყვას დაიცავდნენ (bona fides negotia), წინააღმდეგ შემთხვევაში დაზარალებულ მხარეს უფლება ჰქონდა წარედგინა ex fide bona პრეტენზია და მოეთხოვა კონტრაჰენტისაგან ვალდებულების იძულებითი შესრულება exceptio doli (generalis)-ის სარჩელის საფუძველზე.[186]

კეთილსინდისიერების პრინციპი თანამედროვე განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობასა და დოქტრინაში დიდწილად დაკავშირებულია მორალურ სტანდარტებთან. კეთილსინდისიერება ნიშნავს გულწრფელობას, მიუკერძოებლობას, ობიექტურობას, სამართლიანობას, ერთგულებას და სხვ.[187]

კეთილსინდისიერების პრინციპს იცნობს როგორც კონტინენტური, ისე საერთო სამართლის ოჯახები, მაგალითად, გერმანული სამართლის სისტემებში ბონა ფიდეს-მა საგრძნობი გავლენა იქონია არა მარტო ვალდებულებით სამართალზე, არამედ მთელ სამართლებრივ სისტემაზე. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 242-ე პარაგრაფის მიხედვით, „მოვალე ვალდებულია შესრულება განახ-

---

ილვა", სპეციალური გამოცემა, 2007, 16.

[185] Medicus/ Schuldrecht, Allgemeiner Teil, 3 Auflage, Verlag C.H. Beck, 2006, 2.

[186] Zimmermann, The Law of Obligations. Roman Foundations of the Civilian Tradition, OXFORD University Press, 1996, 667.

[187] Zimmermann/Whittaker, Good Faith in European Contract Law, Cambridge University Press, 2000, 31.

ორციელოს კეთილსინდისიერად, როგორც ამას ბრუნვის ჩვეულებები მოითხოვს." ამასთანავე, კეთილსინდისიერი დამოკიდებულება მოეთხოვება არა მხოლოდ მოვალეს, არამედ კრედიტორსაც, რომელიც შეიძლება შეიზღუდოს თავის უფლებებში და უარი ეთქვას მათ დაცვაზე, თუკი იგი შეეცდება უფლების ბოროტად გამოყენებას (გსკ-ის 242-ე პარაგრაფის განვრცობა უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევებზეც იმით არის განპირობებული, რომ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს ცალკე მუხლს, რომელიც შეუზღუდავდა არაკეთილსინდისიერ მხარეს უფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას). კეთილსინდისიერების პრინციპი აღიარებულ იქნა გერმანულ დოქტრინაში „სამეფო ნორმად", რომელიც სხვა სამართლის ნორმების მოდიფიცირებასაც ახდენს.[188]

ამასთან, აღსანიშნავია, რომ გერმანული სამართლის სისტემის ქვეყნებში ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულების პრინციპი განიმარტება უფრო ფართოდ და მისი მოქმედება არ შემოიფარგლება მხოლოდ ვალდებულების შესრულებით.[189]

კეთილსინდისიერების პრინციპი ასახულია ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპებშიც. კერძოდ, 1:201-ე მუხლის თანახმად, "თითოეული მხარე უნდა მოქმედებდეს კეთილსინდისიერებისა და პატიოსნების პრინციპების მიხედვით". აღსანიშნავია, რომ ლიტერატურაში ეს ზოგადი დებულებანი განხილულია ძირითადად ვალდებულების შესრულებასთან მიმართებით.[190]

კეთილსინდისიერების პრინციპი აღიარებულია აგრეთვე კერძო სამართლის უნიფიცირების საერთაშორისო ინსტიტუტის (International Institute for the Unification of Private Law – UNIDROIT) მიერ

---

[188] Lando,. Salient Features of the Principles of European Contract Law: A comparison with the UCC, Pace International Law Review, Fall 2001, p. 339, კეთილსინდისიერების პრინციპი გათვალისწინებულია აგრეთვე ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსის 6:2 და 6:248-ე მუხლებში, იტალიის სამოქალაქო კოდექსის 1375-ე მუხლში, საბერძნეთის სამოქალაქო კოდექსის 288-ე მუხლში, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1134-ე მუხლში, ესპანეთის სამოქალაქო კოდექსის მე-7 მუხლში, პორტუგალიის სამოქალაქო კოდექსის 762-ე მუხლში.

[189] Markesinis/ Lorenz/Dannemann, The German Law Obligations, Vol.1. The Law of Contract and Restitutions: A Comparative Introduction, 1997, 511-513.

[190] Towards a European Civil Code, ed. by Hartkamp/Hesselink/Hondius/Perron/Vranken, Nijmegen, Dodrecht, Boston, London, 1994, 205-209.

შემუშავებულ საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებების პრინციპების (Principles of International Commercial Contracts) 1.7 მუხლშიც, კერძოდ, „თითოეული მხარე ვალდებულია იმოქმედოს საერთაშორისო-სავაჭრო პრაქტიკაში მიღებული კეთილსინდისიერებითა და პატიოსანი საქმოსნური პრაქტიკით. მხარეებს არა აქვთ უფლება, გამორიცხონ ან შეზღუდონ აღნიშნული ვალდებულება."[191] აღსანიშნავია, რომ კეთილსინდისიერება „უნიდრუას" პრინციპებში განიხილება არა მხოლოდ ვალდებულების შესრულების, არამედ სახელშეკრულებო სამართლის ზოგად პრინციპადაც.

საინტერესოა, რომ „უნიდრუას" პრინციპები შეიცავს, სულ მცირე, 30 მუხლს, რომლებიც მეტ-ნაკლებად უთითებს ან ეყრდნობა კეთილსინდისიერების პრინციპს, ხოლო ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები კი, არანაკლებ 40 მუხლს.[192] კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას.[193]

სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მეორე ნაწილის დანაწესი, რომ ვალდებულება უნდა შესრულდეს კეთილსინდისიერად, წარმოადგენს კანონისმიერ მოთხოვნას და გულისხმობს ზოგადად სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა მიერ ურთიერთობის სხვა მონაწილის ინტერესების პატივისცემას, საკუთარი როლისა და პასუხისმგებლობის გათავისებას თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც მას კონკრეტული პირდაპირი ვალდებულება არ ეკისრება. მაგალითად, ნებისმიერ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში, კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, კრედიტორს არ შეუძლია უარი თქვას მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების მცირე ხელშეწყობაზე, როდესაც მოვალეს კრედიტორის მხრიდან ესაჭიროება ასეთი ხელშეწყობა მასზე ნაკისრი ვალდებულების ჯეროვნად შესრულებისათვის. კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მხარეთა თანამშრომლობა, მეორე მხარის ინ-

[191] Principles of International Commercial Contracts (UNIDROIT), Rom, 1994,Uniform Law Rewiew, 2004,124.

[192] Lando, A Vision of a Future World Contact Law: impact of European and UNIDROIT Contract Principles, Uniform Commercial Code Law Journal, issue 2, Fall 2004, 3-46.

[193] Tallon, Binding force of contract, Budapest, 1991,111.

ტერესების გათვალისწინება საჭიროა ამ ურთიერთობის ნორმალურად განვითარებისათვის. ასეთ შემთხვევაში, ორივე მხარე იქნება კმაყოფილი: კრედიტორი – ვალდებულების შესრულების მიღებით, ხოლო მოვალე – ვალდებულებისაგან გათავისუფლებით.[194]

სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მეორე ნაწილში მითითებული კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისი ქცევის მოთხოვნა დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში სავალდებულოდაა მიჩნეული. შესაბამისად, ეს ნორმა იმპერატიული ხასიათისაა. ამის შედეგია ის, რომ ვალდებულების შესრულებაში კეთილსინდისიერების პრინციპის რეალიზაცია, როგორც წესი, არ შეიძლება წინასწარ გამოირიცხოს ერთი მხარის ცალმხრივი უარით ან მხარეთა შორის შეთანხმებით.[195]

იურიდიულ ლიტერატურაში კეთილსინდისიერების პრინციპს გაბატონებული შეხედულების მიხედვით, სამი ფუნქცია აკისრია: 1) ყველა ხელშეკრულება უნდა განიმარტოს კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე; 2) კეთილსინდისიერების პრინციპს აქვს ხარვეზის (სამართლის ნორმის) შემავსებელი ფუნქცია, ასევე ხელშეკრულების პირობათა (რომელიც მხარეთა მიერ ან/და კანონით არ იყო გათვალისწინებული) დამატების ფუნქცია; 3) გამაუქმებელი, შემზღუდავი და „მაკორექტირებელი" ფუნქციები.[196]

კეთილსინდისიერების პრინციპს აქვს დამაკონკრეტებელი ფუნქციაც. ვალდებულებათა დაკონკრეტების მიზნით გამოიყენება არა სკ-ის მე-8, არამედ 361-ე მუხლი, რომელიც აკონკრეტებს, თუ როგორ უნდა შესრულდეს ვალდებულება. მაგალითად, რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ მხარეები არ შეთანხმებულან ვალდებულების შესრულების ზუსტ ვადაზე. ნებისმიერი საღად მოაზროვნე ადამიანი უპასუხებს, რომ ასეთ შემთხვევაში ვალდებულება უნდა შესრულდეს გონივრულ ვადაში.[197] ამასთანავე, ეს დებულება ზოგადად

---

[194] Stathopoulos, Contract Law in Hellas, The Hague, London, Boston, Sakkoulas. Athens, Kluwer Law International, 1995, 58.

[195] ჭეჭელაშვილი, სახელშეკრულებო სამართალი, 2008, 132.

[196] იოსელიანი, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში (შედარებით-სამართლებრივი გამოკვლევა), ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა", სპეც. გამოცემა, 2007, 12-72.

[197] ვაშაკიძე, კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედ-

მოქმედებს არა მხოლოდ მოვალის, არამედ კრედიტორის ვალდებულების მიმართაც.[198]

ლოგიკური და ფაქტობრივი მიჯნა კეთილსინდისიერ და ჯეროვან შესრულებას შორის საკმაოდ ვიწროა და პრაქტიკაში იშვიათად თუ განსხვავდება ერთმანეთისაგან. ჯეროვანი შესრულების სიტყვასიტყვითი ანალოგიის მოძებნა ევროპულ კოდიფიკაციებში საკმაოდ რთულია, რადგან მათი უმრავლესობა კეთილსინდისიერებისა და წესიერების ცნებებით კმაყოფილდება.

მიუხედავად ამისა, თეორიული განსხვავება ვალდებულების ჯეროვან და კეთილსინდისიერ შესრულებას შორის მაინც არსებობს. სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მეორე ნაწილი უთითებს ვალდებულების დათქმულ დროსა და ადგილას შესრულების აუცილებლობაზე. ვალდებულების ჯეროვანი შესრულება უკავშირდება შესრულების საგანსა და მის თვისებებს. მოვალემ კრედიტორს უნდა გადასცეს იმ ხარისხის, იმ რაოდენობისა და თვისების ნივთი, როგორიც მხარეთა შეთანხმებიდან ან ვალდებულების არსიდან გამომდინარეობს (რეალური შესრულება). იგივე წესი მოქმედებს, როცა ვალდებულებების საგანია მომსახურება. თუ ვალდებულების შესრულების პირობები უნდა განისაზღვროს ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის ან მესამე პირის მიერ, ეს უნდა მოხდეს კეთილსინდისიერად და სამართლიანად (მუხლი 325). შესაბამისად, ვალდებულება სრულდება ჯეროვნად, თუკი იგი აკმაყოფილებს შეთანხმებულ პირობებს, ხოლო, თუ შესრულების პირობები შეთანხმებული არ არის, ვალდებულება უნდა შესრულდეს კეთილსინდისიერად, ანუ ისე, როგორც იგი შეთანხმების არსებობის შემთხვევაში შესრულდებოდა.

ჯეროვნებაც და კეთილსინდისიერებაც ვალდებულების შესრულების განუყოფელი პრინციპებია, თუმცა პირველი კონკრეტულია და ადვილად განსასაზღვრი, მაშინ, როცა კეთილსინდისიერება აბსტრაქტულია და შესაბამისად, მეტ არგუმენტაციას საჭიროებს. ორივე პრინციპის შეფასება ძირითადად მოსამართლის პრეროგატივაა. ეს გარემოება არა მარტო ბოჭავს მოსამართლეს კონკრე-

---

ვით – აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, ჟურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“ #9, 10/2007-1, 14-58.

[198] Larenz , Lehrbuch des Schuldrechts, Band 1. Allgemeiner Teil, 14 Auflage, 1987, 131.

ტული შემთხვევის შეფასებისას, არამედ აღჭურავს მას უფლებით კეთილსინდისიერებასა და სამართლიანობაზე დაფუძნებული გადაწყვეტილება მიიღოს.

არაკეთილსინდისიერი ქცევის დადგენა კონკრეტული ფაქტის შეფასების საკითხია და მოსამართლის მიერ უნდა გადაწყდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით.[199] მოსამართლის მიერ წარმოებული შეფასების ეს პროცესი საკმაოდ კომპლექსურია და დიდ დაკვირვებას მოითხოვს, რადგან კეთილსინდისიერების მოთხოვნას არ გააჩნია აბსოლუტური უპირატესობა სახელშეკრულებო თავისუფლების მიმართ და დაუშვებელია ყოველი გადაწყვეტილების დასაბუთება აბსტრაქტული პრინციპების საფუძველზე. აუცილებელია ყოველი კონკრეტული შემთხვევის სპეციფიკურობის გათვალისწინება.[200]

კეთილსინდისიერების პრინციპი, როგორც სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა ზოგადსახელმძღვანელო პრინციპი, მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის არაერთ მუხლში. ამიტომაც, კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად მოქმედების ვალდებულება არ შემოიფარგლება მხოლოდ სახელშეკრულებო სამართლით, არამედ იგი ამოსავალი და ფუნდამენტური ქცევის პრინციპია ზოგადად კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში.[201]

კეთილსინდისიერების პრინციპთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი განმარტებებია მოცემული უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში.[202]

---

[199] ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება, 2006,13.

[200] ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, 64.

[201] ჭეჭელაშვილი, სახელშეკრულებო სამართალი, 2008, 132.

[202] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 ნლის 29 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე #ას-1338-1376-2015.

IV.5. ზოგადად ვალდებულების შესრულების ადგილის შესახებ

IV.5.1. ზოგადი დებულებანი

ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს ჯეროვანი შესრულებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ასევე ვალდებულების შესრულების ადგილს. ვალდებულება უნდა შესრულდეს სათანადო ადგილას (locus opportunus).[203] ვალდებულების შესრულების ადგილია ის ადგილი, სადაც მოვალე ახორციელებს ვალდებულების შესასრულებელ ბოლო მოქმედებას.[204] ეს ადგილი შეიძლება განსხვავდებოდეს იმ ადგილისაგან, სადაც შესრულების შედეგი დგება (შედეგის ადგილი).[205] ამასთან, უფრო ხშირია შემთხვევები, როდესაც „ვალდებულების შესრულების ადგილი" და „შედეგის" ადგილი ერთმანეთს ემთხვევა.

ვალდებულების შესრულების ადგილია ის ადგილი, სადაც მოვალემ უნდა შეასრულოს ვალდებულებიდან გამომდინარე მოქმედება.[206] საუბარია სივრცეში მეტად თუ ნაკლებად განსაზღვრულ პუნქტზე. ეს შეიძლება იყოს განსაზღვრული შენობა ან განსაზღვრული დასახლებული პუნქტი (ქალაქი, სოფელი, ქუჩა) ან რეგიონი, ან სულაც სახელმწიფო. საქმე უნდა ეხებოდეს ადგილს, სადაც მოვალე განახორციელებს თავისი ვალდებულების შესრულებისათვის საჭირო უკანასკნელ მოქმედებას. ნაკლებ მნიშვნელოვანია, თუ სად განახორციელა მოვალემ შესრულებისათვის საჭირო მოსამზადებელი ქმედებები.[207] ვალდებულების შესრულების ადგილია ის ადგილი, სადაც განსახორციელებელი მოქმედება უნდა შესრულდეს.[208]

ვალდებულების შესრულების ადგილი არ უნდა იქნეს გაიგივებული შედეგის ადგილთან, ანუ ადგილთან, სადაც დგება შედეგი. როგორც წესი, შესრულების ადგილი კავშირშია შედეგის ადგილთან,

---

[203] ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება, 2006 49.

[204] Weiler, Schuldrecht Allgemeiner Teil, 2012, §10, Rn 15.

[205] Larenz, Lerbuch des Schuldrechts, Band I, Allgemeiner Teil _ 14 neubearb. Aufl, C.H. Beck, 1987, 193.

[206] Дернбург, Пандекты, Т. 2, Обязательственное право, 1900, 689.

[207] ზარანდია, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები, 2005,4.

[208] ჭეჭელაშვილი, სახელშეკრულებო სამართალი, 2008, 144.

მაგრამ ხშირ შემთხვევაში ვალდებულების შესრულების ადგილი, სადაც მოვალე ვალდებულია განახორციელოს შესრულება, არ ემთხვევა შედეგის ადგილს, ანუ ადგილს, სადაც კრედიტორს შეუძლია ისარგებლოს შესრულებით.[209]

ზოგადი წესიდან გამომდინარე, როგორც საერთოდ ყველა ურთიერთობაში, ისე ვალდებულების შესრულების ადგილთან მიმართებით, შესრულება უნდა შეესაბამებოდეს ვალდებულების შინაარსს და გამომდინარეობდეს იმ საფუძვლიდან, რომელმაც ვალდებულება წარმოშვა.[210]

ვალდებულების შესრულების ადგილი შეიძლება მრავალგვარი იყოს.[211] კერძოდ, როგორიცაა: ა) მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული შესრულების ადგილი; ბ) კანონით განსაზღვრული შესრულების ადგილი და სხვა.[212]

V.5.2. ვალდებულების შესრულების ცალკეული ადგილი

IV.5. 2. 1. მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული შესრულების ადგილი

ყველაზე უფრო ხშირად ვალდებულების შესრულების ადგილის განსაზღვრა ხდება მხარეთა შეთანხმებით. ამ დებულების საფუძველი სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპია. ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი, როგორც ნების (კერძო ავტონომიის) გამოვლინება, გულისხმობს კერძო პირების უფლებას, დადონ ნებისმიერი შინაარსის შეთანხმება.[213] კერძო (ნების) ავტონომია ეწოდება კონკრეტულ პირთათვის სამართლით მინიჭებულ და უზრუნველყოფილ შესაძლებლობას, ერთმანეთს შორის ურთი-

---

[209] ძლიერიშვილი, ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულ. სამართლებრივი ბუნება, 2010, 42.

[210] ზარანდია, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები, 2005, 5.

[211] Weiler, Schuldrecht Allgemeiner Teil, 2012, §10, Rn 16.

[212] Worlen/Metzler-Muller, Schuldrecht AT, 11 Vollig uberarbeitete und verbesserte Auflage, 2013, 55.

[213] Покровский, Основные проблемы гражданского права, 1998, 250.

ერთობა განსაზღვრული ფარგლების შიგნით მოაწესრიგონ გარიგებების, განსაკუთრებით – ხელშეკრულებების მეშვეობით.[214] კერძო ავტონომიის პრინციპის თანახმად, სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებს შეუძლიათ განახორციელონ კანონით აუკრძალავი ნებისმიერი მოქმედება, მათ შორის ისეთიც, რომელიც კანონით პირდაპირ არაა გათვალისწინებული.[215]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი სახელშეკრულებო თავისუფლების გაგება შეესაბამება ევროპული ვალდებულებითი სამართლის უნიფიკაცია-ჰარმონიზაციის პროცესს. საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების პრინციპების პროექტი, რომელიც ამის გამოხატულებაა, პირველივე მუხლში ადგენს: „მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ მათი შინაარსი".[216]

ვალდებულების შესრულების ადგილის თავისუფალი განსაზღვრა ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლებაში მოიაზრება. ხელშეკრულების მხარეებს თვითონვე შეუძლიათ შეთანხმდნენ იმ ადგილზე, სადაც მოხდება ვალდებულების შესრულება.[217]

მხარეთა მიერ ვალდებულების შესრულების ადგილის განსაზღვრა, თავის მხრივ, შეიძლება იყოს გარკვევით გამოხატული (პირდაპირი) ან ნაგულისხმევი (არაპირდაპირი). პირდაპირია შესრულების ადგილის განსაზღვრა, თუკი შეთანხმებაში მითითებულია კონკრეტული ადგილი, სადაც მოვალემ უნდა შეასრულოს ვალდებულება. მაგალითად, ხელშეკრულებით განისაზღვრა, რომ მოვალემ ვალდებულება უნდა შეასრულოს გარკვეულ მისამართზე.

ნაგულისხმევი შესრულების ადგილის შემთხვევაში შესრულების ადგილი არაპირდაპირაა განსაზღვრული. ამ შემთხვევაში დგება ნაგულისხმევი განზრახვის სწორი ინტერპრეტაციის საკითხი. შესრულების ადგილის დასადგენად მხედველობაში მიიღება ყველა არ-

---

[214] Säcker, Münchener Kommentar zum Bürgerlichen Gezetzbüch, 5 Auflage, Band I, 2006, Einl., Rn 33.

[215] ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, 90.

[216] Schulze/Zimmerman (Hrsg.) Basistexte zum Europäischen Privatrecht. Textsammlung, 2 Auflage, Baden-Baden, 2002, 436.

[217] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულებების სამართლებრივი ბუნება, 2011, 23.

სებითი გარემოება, მათ შორის სამოქალაქო და სავაჭრო ბრუნვის ტრადიციები.

ასეთი სახით გამოვლენილ ნებას ესაჭიროება განმარტება, რაც უნდა მოხდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესებით, კერძოდ, ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან. გარიგების, ანუ ნების განმარტება ემსგავსება კანონის განმარტებას: ორივე შემთხვევაში ხდება ბუნდოვანი, საეჭვო აზრის დაზუსტება, მაგრამ, თუ კანონის განმარტებას ზოგადი ხასიათი აქვს, ე.ი. სავალდებულოა ან გამოიყენება ყველას მიმართ და მიზნად ისახავს კანონის ბუნდოვანი ადგილების ერთიანი გაგების უზრუნველყოფას, გარიგების განმარტების მიზანი უფრო ვიწროა – გარიგების მონაწილე მხარეებს შორის ურთიერთობის გარკვევა. ამიტომ, ამგვარ განმარტებას ძალა აქვს მხოლოდ გარიგების მონაწილეებისათვის.[218]

ხელშეკრულების მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრისას შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული სავაჭრო ჩვეულებები და ტრადიციები. ასეთი წესები ძირითადად გამოიყენება საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრისას.[219] ამის დადასტურებას წარმოადგენს საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ 1936 წელს მიღებული საერთაშორისო სავაჭრო ტერმინების განმარტების წესები (ინკოტერმსი). „ინკოტერმსი" (International Commercial Terms) წარმოადგენს საერთაშორისო სავაჭრო ტერმინების (ცნებების) შემოკლებას, რომლებსაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ნასყიდობის ხელშეკრულებასთან მიმართებით. დღესდღეობით მოქმედებს 2010 წლის რედაქციით დადგენილი ინკოტერმსის წესები, 11 სავაჭრო ტერმინი. ინკოტერმსი ზუსტად განსაზღვრავს გამყიდველისა და მყიდველის უფლება-მოვალეობებს, მათ შორის ვალდებულების შესრულების ადგილთან მიმართებით და განიხილება, როგორც საერთაშორისო სტანდარტი.[220]

[218] ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, 320.

[219] ძლიერიშვილი, ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებების სამართლებრივი ბუნება, 2010, 163.

[220] „იქვე", 168.

XX საუკუნის მეორე ნახევარში საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებამ გაზარდა ინტერესი „lex mercatoria"-ს მიმართ. „lex mercatoria"-ს დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე გამოსაყენებელი სამართლისა და დავის გადაწყვეტის წესებთან მიმართებითაც. „საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების მხარეებს გამოსაყენებელ სამართალზე შეთანხმების მაგივრად შეუძლიათ მიუთითონ, რომ ეს საკითხი გადაწყდება საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში დამკვიდრებული სავაჭრო ჩვეულებებისა და ტრადიციების მიხედვით, რომელიც აღიარებულია და გამოიყენება საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართული მრავალი სახელმწიფოს მიერ. თუკი ასეთი ზოგადი წესების განსაზღვრა შეუძლებელია, მაშინ დავის გადაწყვეტისას გამოყენებულ უნდა იქნეს ის წესები, რომლებიც ყველაზე მეტად სამართლიანია და შეესაბამება დავის შინაარსს. საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანის სწორედ ასეთი პროცესი, რომელიც წარმოადგენს ნაწილობრივ სამართლებრივი და ნაწილობრივ ჩვეულებებისა და ტრადიციების გამოყენებას, იწოდება „lex mercatoria"-ად თანამედროვე გაგებით".[221]

ხელშეკრულების მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრისას სავაჭრო ჩვეულებებისა და ტრადიციების დიდ მნიშვნელობას ითვალისწინებს აგრეთვე ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები, რომლებიც შემუშავებულ იქნა ევროპის სახელშეკრულებო სამართლის კომისიის მიერ და რომლებიც ადგენენ ევროპული სახელშეკრულებო სამართლის ძირითად დებულებებს. აღნიშნული პრინციპების 1-ელ მუხლში აღნიშნულია, რომ ისინი განკუთვნილია, როგორც ევროკავშირის სახელშეკრულებო სამართლის ზოგადი (საერთო) წესების სახით გამოსაყენებლად და მოქმედებენ იმ შემთხვევაში, თუკი მხარეები შეთანხმდნენ, რომ ხელშეკრულებას მოაწესრიგებენ „სამართლის საერთო პრინციპების", „lex mercatoria"-ს ან სხვა მსგავსი ნორმებით, ანდა არ შეურჩევიათ კანონმდებლობის რომელიმე სისტემა ან წესები მათ შორის დადებული ხელშეკრულების მოსაწესრიგებლად.[222]

[221] Lando, Some Features of the Law of Control in the Third Millennium. //http://frontpage. cbs.dk/law/commission_on_european_contact_law/Literature/landv01.htm

[222] The Principles of European Contact European contact law (PECL). //http://frontpage.cbs.dk/low/commission_on_european_contact_law/Skabelon/pecl_engel sk.htm

ვალდებულებების წარმოშობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს ხელშეკრულება. საერთო სამართლისა და კონტინენტური სამართლის სისტემის ქვეყნებში ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ისტორიულად არსებული განსხვავებები, თანამედროვე პირობებში განიცდის დინამიკური უნიფიცირების პროცესების ზეგავლენას, რომლის ყველაზე უფრო თვალსაჩინო შედეგებიც მიღწეულ იქნა ევროპული ინტეგრაციის ფარგლებში.

უნიფიკაცია არის სხვადასხვა ქვეყნის სამართალში შინაარსობრივად ერთგვაროვანი ნორმების დადგენა, რომლებიც მიზნად ისახავენ სამართლებრივი ურთიერთობების ცალკეული სახეების მოწესრიგებას და ამგვარი ერთგვაროვანი ნორმები ცვლიან ეროვნული კანონმდებლობის დებულებებს, რითაც ხელს უწყობენ ერთგვაროვანი სამართლებრივი სივრცის ჩამოყალიბებას, რომელიც შესაძლებლობას იძლევა უზრუნველყოფილ იქნეს სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტების ფუნქციონირების მსგავსი სამართლებრივი პირობები.

XX საუკუნის მეორე ნახევარში სხვადასხვა სახელმწიფოს ეკონომიკის ურთიერთდამოკიდებულების ზრდამ და წარმოების ინტერნაციონალიზაციამ ეს ურთიერთობები გამოიყვანა ცალკეული სახელმწიფოს ფარგლებიდან და განაპირობა საერთაშორისო სამართლის უნიფიცირების საჭიროება სხვადასხვა საერთაშორისო კონვენციის სახით. ამასთან, როგორც პრაქტიკა ცხადყოფს, მრავალი მიღებული კონვენცია რამდენიმე ათეული წელიწადი მაინც ვერ შევიდა ძალაში, ანდა მოქმედებს მხოლოდ სახელმწიფოთა უმნიშვნელო წრის მიმართ. სწორედ ამიტომაც, ასეთი მოწესრიგების არაეფექტურობამ განაპირობა სახელმწიფო-სამართლებრივი მოწესრიგებიდან ასეთი ურთიერთობების სხვაგვარი მოწესრიგება, რომლის სახითაც წარმოდგენილ იქნა lex mercatoria (ტრანსნაციონალური სავაჭრო სამართალი) მისი თანამედროვე გაგებით – სავაჭრო ჩვეულებებისა და ტრადიციების ერთობლიობა, რომელიც არ წარმოადგენს სამართლის ნორმებს (ე.წ. „მსუბუქი სამართალი" – „Soft Law").

„მსუბუქი სამართალი" – ეს ტერმინი გამოიყენება სხვადასხვა

– ევროპის სახელშეკრულებო სამართლის კომისიის ოფიციალური გვერდი.

სახის ორგანიზაციის მიერ მიღებული წესების, სტანდარტების, რეკომენდაციების, ინსტრუქციებისა თუ დებულებების მიმართ, რომლებსაც არა აქვთ ნორმატიული (სავალდებულო) ხასიათი, თუმცა კი, მაინც დიდ გავლენას ახდენენ როგორც ზოგადად ევროკავშირის, ისე მონაწილე სახელმწიფოების ეროვნული სამართლის ჩამოყალიბებაზე.[223] „Soft Law" წარმოადგენს ფენომენს, რომელიც, პირველ რიგში, ახასიათებს საერთაშორისო სამართალს და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ევროკავშირის ქვეყნების ეროვნული სამართლის უნიფიცირების პროცესზე.[224]

„მსუბუქ სამართალთან" მიმართებით გამოიყოფა მისი ძირითადი მახასიათებლები: „მსუბუქი სამართალი" ყოველთვის დაკავშირებულია ქცევის გარკვეულ წესებთან („rules of conduct") და შემხვედრ ურთიერთვალდებულებებთან („commitments").[225] ქცევის ასეთი წესები და ვალდებულებები საფუძვლად უდევს ისეთ ინსტრუმენტებს (ინსტრუმენტს), რომლებსაც, მართალია, არ გააჩნიათ სავალდებულო იურიდიული ძალა, მაგრამ გააჩნიათ დიდი სამართლებრივი მნიშვნელობა. მათი დაცვა არ არის უზრუნველყოფილი სახელმწიფოებრივი იძულებით, თუმცა კი, ისინი განიხილება როგორც მიზანი, რომელიც მიღწეულ უნდა იქნეს.[226]

საბოლოო ჯამში, ამ წესებისა და ურთიერთვალდებულებების მიზანია განსაზღვრული პრაქტიკული შედეგის მიღწევა ანდა საქმიანობის გარკვეული სფეროს მოწესრიგება. მაშასადამე, „Soft Law" შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ქცევის ზოგადი წესებისა და პრინციპების ერთობლიობა, რომელსაც არა აქვთ სამართლებრივი ძალა, თუმცა გავლენას ახდენს განსაზღვრული პრაქტიკული შედეგის დადგომაზე.

შესრულების ადგილს შეიძლება შეიცავდეს ხელშეკრულების

---

[223] Trürer, The Role of Soft Law in the Actual Process of European Integration, 1990, 131.

[224] Borchardt/Wellens, Soft Law in European Community Law. Euro L. Rev. 14 (1989) 5, 267.

[225] Senden, Soft Law, self-regulation and coregulation in European Law: where do they meet? //Electronic Journal of Comparative Law. January 2005. Vol. 9.1. //http:www.ekcl.org/91/art91-3. PDF.

[226] Serev, Unificat. and `Soft Law" //Conflicts or harmonization, Melanges Von Overbeek, Fribourg, 1991, 91.

სტანდარტული პირობებიც. თუმცა კი მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულ ადგილს უპირატესობა ენიჭება სტანდარტული პირობით განსაზღვრულ ადგილთან შედარებით.[227]

ვალდებულების შესრულების ადგილის თაობაზე შეთანხმებით ასევე დგინდება სასამართლო ქვემდებარეობა და გამოსაყენებელი სამართალი,[228] კერძოდ, სსკ-ის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ხელშეკრულებიდან გამომდინარე, სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო. მხარეთა შეთანხმება ვალდებულების შესრულების ადგილის თაობაზე ფორმის მიხედვით შეიძლება იყოს ზეპირი ან წერილობითი. ზოგადად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განამტკიცებს ხელშეკრულების ფორმის თავისუფლების პრინციპს.[229]

ამ მხრივ კანონმდებლობა რაიმე განსაკუთრებულ მოთხოვნას შესრულების ადგილის მიმართ არ ითვალისწინებს. მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში, მხარეებს შორის სიცხადის შესატანად, ხელშეკრულებაში ან სხვა რომელიმე დოკუმენტში ადგენს ვალდებულების შესრულების ადგილის წერილობითი მითითების ვალდებულებას. მაგალითად, როდესაც ვალდებულება წყდება კრედიტორის სასარგებლოდ შესრულებით, სკ-ის 429-ე მუხლის თანახმად, კრედიტორმა მოვალის მოთხოვნით შესრულების მთლიანად ან ნაწილობრივ მიღების შესახებ უნდა გასცეს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი. კრედიტორის ან საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ შედგენილი დოკუმენტი შესრულების თაობაზე უნდა შეიცავდეს მონაცემებს ვალის მოცულობისა და სახეობის შესახებ, მოვალის ან იმ პირის გვარსა და სახელს, რომელიც იხდის ვალს, შესრულების დროსა და ადგილს.[230]

---

[227] ძლიერიშვილი, ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრ. სამართლებრივი ბუნება, 2010, 18.

[228] ლილუაშვილი, სამოქალაქო-საპროცესო სამართალი, II გამოცემა, 2005, 153.

[229] კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, 281.

[230] ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/ხეცურიანი/შენგელია (რედ.) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, 2001, 430-ე მუხლი, 525.

IV.5.2.2. კანონით განსაზღვრული შესრულების ადგილი

ვალდებულებათა სამართლებრივი მოწესრიგებისას ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ რა შინაარსისაა კრედიტორსა და მოვალეს შორის არსებული ინდივიდუალური ურთიერთობა. როგორც წესი, მხარეთა ნების უპირატესობის გამო, შესრულების ადგილის დადგენისას კანონისმიერი მოწესრიგება უკანა პლანზე ინაცვლებს. თუმცა, ამ საკითხთან დაკავშირებით ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია დადგინდეს ვალდებულების შესრულების კანონით განსაზღვრული ადგილის გამოყენების ფარგლები.[231]

ვალდებულების შესრულების ადგილის კანონისმიერი დადგენა არ გამოიყენება ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც შესრულების ადგილი არაა მითითებული ხელშეკრულებაში. უპირატესი ძალა ენიჭება ხელშეკრულებაში ნაგულისხმევ ან ხელშეკრულების არსიდან გამომდინარე შესრულების ადგილს. ის შემთხვევები, როდესაც ვალდებულების შესრულების ადგილი განისაზღვრება კანონის მიერ, არცთუ ისე ხშირია. მაგალითად, დეპონირების დროს შენახვა უნდა მოხდეს შესრულების ადგილის მიხედვით. მიბარებული ნივთის დაბრუნება უნდა მოხდეს ხელშეკრულებაში მითითებულ ადგილას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მიღწეულია შეთანხმება სხვა ადგილზე დაბრუნების შესახებ (772).[232]

როგორც აღინიშნა, ზოგჯერ ვალდებულების შესრულების ადგილი საგულისხმოა კონტრაჰენტისათვის და შეიძლება დადგინდეს ხელშეკრულების საერთო არსიდან განმარტების გზით. ყველაზე მკაფიოდ შესრულების ნაგულისხმევი ადგილის დადგენა შესაძლებელია თავად ვალდებულების არსიდან, თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც ვალდებულების არსიდან მკაფიოდ არ ჩანს, კონკრეტულად სად უნდა მოხდეს ვალდებულების შესრულება.კანონმდებლობით დადგენილი ზოგადი წესის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულების შესრულების ადგილი არა მხოლოდ არ არის განსაზღვრული ხელშეკრულებაში, არამედ არც იგულისხმება

[231] ზარანდია, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები, 2005, 15.
[232] ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება, 2006, 50.

და ამასთან, ვერც თავად ვალდებულების არსიდან ირკვევა.[233]

ჯერ კიდევ რომის სამართალში იყო დადგენილი, რომ იმ შემთხვევაში, თუკი ვალდებულების შესრულების ადგილი არ იყო განსაზღვრული ხელშეკრულებით, მაშინ იგი განისაზღვრებოდა ვალდებულებითი ურთიერთობის არსიდან გამომდინარე,[234] ანუ ვალდებულების შესრულების ადგილი განისაზღვრებოდა ვალდებულების ბუნებით ან მისი საგნით.[235] მაგალითად, მსახურს თავის ბატონისათვის მომსახურება უნდა გაეწია ბატონის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. თუკი საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, ასეთი დასკვნის გაკეთება შეუძლებელი იყო, მაშინ გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთები გადაცემული უნდა ყოფილიყო იმ ადგილას, სადაც კრედიტორს მათთან დაკავშირებით შეეძლო რომ მიემართა სარჩელით,[236] რომელიც ძირითადად განისაზღვრებოდა მოვალის ადგილსამყოფელის მიხედვით. რაც შეეხება ინდივიდუალურად განსაზღვრულ ნივთებს, მათი გადაცემა უნდა მომხდარიყო იმ ადგილას, სადაც ისინი იმყოფებოდნენ ვალდებულების წარმოშობის (ხელშეკრულების დადება) მომენტში. ზოგადი წესის სახით დადგენილი იყო, რომ კრედიტორი ვალდებული იყო გამოცხადებულიყო მის სასარგებლოდ განხორციელებული შესრულების მისაღებად, ხოლო მოვალე კი ვალდებული იყო შესრულება განეხორციელებინა კრედიტორის ადგილსამყოფელის მიხედვით.[237]

თანამედროვე განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობით დადგენილია, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ვალდებულების შესრულების ადგილი მხარეთა მიერ არ არის განსაზღვრული, ეს ხარვეზი სწორდება კანონის დისპოზიციური ნორმებით: შესრულების ადგილი დამოკიდებულია მოვალის საქმიანობასა და ვალდებ-

---

[233] ზარანდია, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები, 2005, 16.

[234] Франчози, Институционный курс римского права: Пер. с итал. Отв. ред. Кофанов, 2001, 414.

[235] Барон, Система римского гражданского права, Изд. 3, Выпуск третий, Книга IV, Обязательственное право, 1998, 58.

[236] Под ред. Новицкого/Перетерского, Римское частное право, 1996, 270.

[237] Zimmermann, The Law of Obligations. Roman Foundations of the Civilian Tradition, OXFORD University Press, 1996, 751.

ულების საგნის ხასიათზე.[238]

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში შესრულების ადგილისაგან განასხვავებენ შედეგის ადგილს, ე.ი. ადგილს, სადაც დგება შესრულების შედეგი. ორივე შეიძლება როგორც შეესაბამებოდეს (ვალდებულების შესრულება მოვალის ადგილსამყოფელის მიხედვით – Holschuld, ვალდებულების შესრულება კრედიტორის ადგილსამყოფელის მიხედვით – Bringschuld), ისე არც შეესაბამებოდეს ერთმანეთს (ვალდებულების შესრულება კრედიტორის ადგილსამყოფელის მიხედვით ამ უკანასკნელისათვის შესრულების გაგზავნით – Schickschuld).[239] გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 269-ე პარაგრაფის თანახმად, მოვალის საცხოვრებელი ადგილის (ადგილსამყოფელის) მიხედვით ვალდებულების შესრულების შემთხვევაში, შესრულება კრედიტორს უნდა წარუდგინოს მოვალემ.[240]

ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსის 6:41-ე მუხლის თანახმად, მხარეთა სხვაგვარი შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთის გადაცემა უნდა მოხდეს იმ ადგილას, სადაც იგი იმყოფებოდა ვალდებულების წარმოშობის მომენტისათვის; ხოლო გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთის გადაცემა კი უნდა მოხდეს იმ ადგილას, სადაც იმყოფება მოვალის საწარმო ანდა მოვალის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ანალოგიური მიდგომაა ბელგიაშიც.[241]

ამერიკის ერთგვაროვანი სავაჭრო კოდექსის (Uniform commercial code, UCC) მე-2:308 მუხლით დადგენილია, რომ მხარეთა შორის სხვაგვარი შეთანხმების არარსებობისას, საქონლის ჯეროვანი მიწოდების ადგილად ჩაითვლება გამყიდველის საწარმოს ადგილსამყოფელი, ხოლო თუ ასეთი არ არის, მაშინ გამყიდველის საცხოვრებელი ადგილი. მოვალემ ვალდებულება ყოველთვის უნდა შეასრულოს კეთილსინდისიერად სავაჭრო ჩვეულებებისა და ტრადიციების გათვალისწინებით.[242]

---

[238] ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება, 2006, 53.

[239] Brox/Walker, Allgemeines Schuldrecht, 32 Auflage, Verlag C.H. Beck, 2007, 110.

[240] Staudinger /Bittner §269, Rn 24; Palandt/Heinrichs, §269, Rn 6, Münch.Komm. BGB/ Kruger §269, Rn. 5.

[241] Herbots, Contract Law in Belgium, 178.

[242] Flechter, Comparing the General Good Faith Provisions of the PECL and the UCC:

კერძო სამართლის უნიფიკაციის საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ მომზადებულ საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულების პრინციპები (International Institute for the unification of Private Law – შემოკლებით – UNIDROIT), ე.წ. „უნიდროას" პრინციპები ადგენენ ვალდებულების შესრულების ადგილის განსაზღვრის ორ ძირითად წესს: ა) ფულადი ვალდებულება უნდა შესრულდეს კრედიტორის საწარმოს ადგილსამყოფელის მიხედვით; ბ) ყველა სხვა სახის ვალდებულება უნდა შესრულდეს მოვალის საწარმოს ადგილსამყოფელის მიხედვით (მუხლი 6.1.6. პირველი პუნქტი).[243] ამასთან, „უნიდროას" პრინციპების კომენტატორები აღნიშნავენ, რომ შესაძლოა ეს მიდგომა არ იყოს სრულყოფილი ყველა შემთხვევის მიმართ.[244] ანალოგიური მოწესრიგება გვხვდება ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპებშიც (მუხლი 7:101 (1)).[245]

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, იმ შემთხვევაში, თუ შესრულების ადგილი არ არის განსაზღვრული და არც ვალდებულებითი ურთიერთობის არსიდან გამომდინარეობს, სრულიად იზიარებს რა განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობებისა და პრაქტიკის მიღწევებს, 362-ე მუხლში მიუთითებს, რომ:

ა)ინდივიდუალურად განსაზღვრული საგნის შემთხვევაში მიწოდება უნდა მოხდეს იმ ადგილას, სადაც იგი ვალდებულების წარმოშობის მომენტისათვის იმყოფებოდა;

ბ)გვარეობით განსაზღვრული საგნის შემთხვევაში მიწოდება უნდა მოხდეს იმ ადგილას, სადაც იმყოფება მოვალის საწარმო; თუ ასეთი არ არის, მაშინ მოვალის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ინდივიდუალური არის ნივთი, რომელიც ერთადერთია (მაგალითად, რომელიმე ცნობილი მხატვრის ორიგინალი ნახატი), აგრეთვე ის ნივთი, რომელიც გამოცალკევებულია მისი მსგავსების საერთო მასიდან და ფიზიკურად განცალკევებულია იმავე გვარის სხვა

Appearance and Reality, Pace Int. Law. Rev., 2001-1, 398.

[243] UNIDROIT, Principles of International Commercial Contracts, Rom, 1994.Uniform Law Review, 2004.

[244] Принципы международных коммерческих договоров, Пер. с англ. Комарова, 1999, 139.

[245] Lando/Beale (eds.), Principles of European Contract Law, Full Text of part I and II, 2000, 329.

ნივთებისაგან (მაგალითად, ავტომანქანა „მერსედეს S 500", რომლის ძარის ნომერიც არის X).[246] ინდივიდუალურად განსაზღვრული საგნის შემთხვევაში მოვალის მიერ შესრულება ხორციელდება ვალდებულების წარმოშობისას ამ ნივთის ადგილმდებარეობის მიხედვით. ცხადია, მხარეებმა უნდა იცოდნენ ის ადგილი, სადაც შესრულების საგანი იმყოფება.

გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთი განისაზღვრება ზომით, წონით, მოცულობით (მაგალითად, 100 კგ შაქარი, 10 m^2 ნაბლის ხის მასალა და ა.შ.). გვაროვნული ნივთის შემთხვევაში ვალდებულება უნდა შესრულდეს მოვალის (და არა კრედიტორის) საწარმოს ადგილსამყოფელის მიხედვით, ხოლო თუ მოვალეს არა აქვს საწარმო, მაშინ მოვალის საცხოვრებელი ადგილის (როცა მოვალე ფიზიკური პირია) ან იურიდიული მისამართის მიხედვით.[247]

საცხოვრებელი ადგილი არის პირის სამოქალაქო-სამართლებრივი იდენტიფიკაციის ერთ-ერთი უძველესი საშუალება. იგი მნიშვნელოვან როლს თამაშობს საერთაშორისო კერძო სამართალშიც.[248] საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საცხოვრებელი ადგილის დეფინიცია შეესაბამება ამ ინსტიტუტის განვითარების თანამედროვე დონეს სამოქალაქო სამართალსა და საერთაშორისო კერძო სამართალში. ფიზიკური პირის საცხოვრებელი ადგილია ის ადგილი, რომელსაც იგი, ჩვეულებრივ, საცხოვრებლად ირჩევს (სკ-ის 20-ე მუხლი). მაშასადამე, საცხოვრებელი ადგილი შეიძლება განიმარტოს, როგორც ადგილი, რომელიც წარმოადგენს ადამიანის უმთავრეს ადგილსამყოფელს და მას ძირითად საცხოვრებლად ირჩევს.[249]

საცხოვრებელი ადგილი შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ადამიანს, ე.ი. ფიზიკურ პირს. იურიდიული პირის გეოგრაფიული მდებარეობის აღსანიშნავად კანონი იყენებს ადგილსამყოფელის (იურიდიული მისამართის) ცნებას. შესაძლებელია, რომ ფიზიკური პირის

---

[246] ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება, 2006, 51.

[247] ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/ხეცურიანი/შენგელია (რედ.) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი მესამე, 2001, 362-ე მუხლი, გვ. 273.

[248] გაბისონია, ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, II გამოცემა, 2011, 128.

[249] ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, 207.

საცხოვრებელი ადგილი და მისი სამეწარმეო საქმიანობის ადგილსამყოფელი ერთმანეთს ემთხვეოდეს. ეს ხდება მაშინ, როცა ფიზიკური პირი ერთდროულად ინდივიდუალური მეწარმეცაა და თავისი ინდივიდუალური საწარმოს იურიდიულ მისამართად საცხოვრებელ ადგილს იყენებს.

ვალდებულების შესრულების ადგილის განსაზღვრას დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ იმ საკითხის გადასაწყვეტად, სად უნდა განახორციელოს მოვალემ შესრულება, არამედ იმის გადასაწყვეტადაც, თუ როგორ ნაწილდება მხარეებს შორის შესრულების საგნის მიწოდებასთან დაკავშირებული ხარჯები; თუ როდის გადადის საკუთრების უფლება და ნივთის შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკი; თუ როგორ ხდება გამოსაყენებელი სამართლის (კანონის) შერჩევა და ა.შ.[250]

იმ შემთხვევაში, როდესაც შესრულების საგანია გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთი, მისი გადაცემა უნდა მოხდეს მოვალის საწარმოს ადგილსამყოფელის მიხედვით. აღნიშნული მოწესრიგება ახლოსაა გაეროს „საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის შესახებ ვენის კონვენციის" 31-ე მუხლის დებულებებთან, კერძოდ, საქონლის მიწოდების ადგილის განსაზღვრის სხვაგვარი საფუძვლების არარსებობისას, მყიდველს საქონელი უნდა გადაეცეს იმ ადგილას, სადაც ხელშეკრულების დადებისას მდებარეობდა გამყიდველის (მოვალის) კომერციული საწარმო.[251]

IV.5.2.3. ვალდებულების შესრულების ადგილის შეცვლა

არ არის გამორიცხული შემთხვევებიც, როდესაც ვალდებულების შესრულების წინ მოვალის ან კრედიტორის საცხოვრებელი ადგილი (საწარმოს ადგილსამყოფელი) იცვლება.[252] ისევე, როგორც ნებისმიერი სახელშეკრულებო პირობა, ხელშეკრულებით განსაზ-

---

[250] Towards a European Civil Code /Ed. by Hartkamp/Hesselink/Hondius/du Perron/ Vranken, Nijmegen, Dodrecht, Boston, London, 1994, 51.

[251] United Nations Convention on contracts for the Internationale Sale of Goods. http:www.cisg.ru/content/download/cisg.ru.pdf

[252] Weiler, Schuldrecht Allgemeiner Teil, 2012, 107.

ღვრული ვალდებულების შესრულების ადგილის შესახებ პირობაც შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით.[253] გარდა ამისა, ცალკეულ შემთხვევაში, ვალდებულების შესრულების ადგილი შეიძლება შეიცვალოს კანონმდებლობით (მაგალითად, სკ-ის 682-ე მუხლით გათვალისწინებული გადაზიდვის ხელშეკრულების შესრულების შეუძლებლობა შეთანხმებულ ადგილას) ან სასამართლო გადაწყვეტილებით.

ვალდებულების შესრულების ადგილის შეცვლა დაუშვებლადაა მიჩნეული, თუ ეს ინვევს შესაბამისი მხარისათვის შეუსაბამოდ მაღალ ხარჯებს.[254]

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ მხარეს ეკისრება შესრულების ადგილის შეცვლის გამო წარმოშობილი ყველა დამატებითი ხარჯი, თუკი შესრულების ადგილის შეცვლა გამოწვეულია იმ გარემოებებით, რომლებზეც იგი პასუხისმგებელია.[255] ამ საკითხზე საინტერესოა შვეიცარიის ვალდებულებითი კანონის მიდგომა. კანონის 74-ე მუხლის მესამე აბზაცის თანახმად, თუკი კრედიტორი ვალდებულების შესრულებამდე შეიცვლის საცხოვრებელ ადგილს (იურიდიულ მისამართს) და ამის გამო იზრდება ხარჯები ან საფრთხე ექმნება შესრულებას, მოვალეს უფლება აქვს ვალდებულება შეასრულოს კრედიტორის თავდაპირველი (ვალდებულების წარმოშობის დროს) საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების პრინციპების („უნიდროას" პრინციპები) 6.1.6. მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თუ ვალდებულების შესრულების წინ იცვლება მხარის საწარმოს ადგილსამყოფელი და ამის გამო იზრდება ხარჯები ან საფრთხე ექმნება შესრულებას, მაშინ მას ეკისრება მეორე მხარისათვის გაზრდილი ხარჯების ანაზღაურება.[256] აღნიშნულ მხარეს ეკისრება

---

[253] ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება, 2006, 51.

[254] Principles of European Contract Law, Parts I and II, Ed. by Lando/Beale, 331.

[255] Worlen/Metzler-Muller, Schuldrecht AT, 11 Vollig uberarbeitete und verbesserte Auflage, 2013, 56.

[256] UNIDROIT, Principles of International Commercial Contracts, Rom, 1994. Uniform Law Review, 2004.

აგრეთვე მოსალოდნელი საფრთხის რისკიც.[257]

სკ-ის 363-ე II მუხლის თანახმად, თუ ვალდებულების შესრულებამდე იცვლება კრედიტორის საცხოვრებელი ადგილი ან იურიდიული მისამართი და ამის გამო იზრდება ხარჯები, ან საფრთხე ექმნება შესრულებას, მაშინ კრედიტორს ეკისრება როგორც გაზრდილი ხარჯების ანაზღაურება, ასევე საგნის გადაცემის მოსალოდნელი საფრთხის რისკიც.[258] მაშასადამე, საქართველოს კანონმდებლობა ზოგადი წესის სახით ადგენს, რომ შესრულების ადგილის შეცვლით გამოწვეული უარყოფითი შედეგების რისკის მატარებელია ყოველი მხარე, რომლის საცხოვრებელი ადგილის ან საწარმოს ადგილსამყოფელის შეცვლამაც გამოიწვია ეს შედეგები. ვალდებულების შესრულების წინ მხარის საცხოვრებელი ადგილის ან საწარმოს ადგილსამყოფელის შეცვლაში იგულისხმება ცვლილება ვალდებულების წარმოშობიდან ვალდებულების შესრულების მომენტამდე შუალედში.

მხარეთა კეთილსინდისიერებისა და გულისხმიერების პრინციპებიდან გამომდინარე, ადგილმონაცვლე მხარე ვალდებულია აცნობის მეორე მხარეს ამის შესახებ, რათა ამ უკანასკნელს ჰქონდეს შესაძლებლობა მიიღოს სათანადო ზომები.[259] ხარჯების გაზრდა შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა გარემოებამ. უმეტესწილად ეს დაკავშირებულია საგნის შენახვასა და ტრანსპორტირებასთან.[260]

ვალდებულების შესრულების ადგილის შეცვლის საკითხი შეიძლება წარმოიშვას მოთხოვნის უფლების დათმობასთან დაკავშირებითაც. მოთხოვნის დათმობა საქართველოს კანონმდებლობით წარმოადგენს ხელშეკრულებას, რომლის მიმართაც ვრცელდება კანონმდებლობით დადგენილი ყველა ის მოთხოვნა, რომლებიც გამოიყენება სხვა სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებების მიმართ, კერძოდ, მოთხოვნები ფორმის, შინაარსისა და ნამდვილობის შესახებ. მოთხოვნის დათმობის შემთხვევაში ახალმა კრედიტორმა შეიძლება მოსთხოვოს მოვალეს ვალდებულების შესრულება

[257] Principles of European Contract Law, Parts I and II, Ed. by Lando/Beale, 331.

[258] ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება, 2006, 51.

[259] ზოიძე, ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/ხეცურიანი/შენგელია (რედ.) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, 2001, 386-ე მუხლი, გვ. 339.

[260] ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება, 2006, 51.

უკვე ახალი კრედიტორის ადგილსამყოფელის ან საბანკო ანგარიშზე თანხის გადახდის მეშვეობით. იმ შემთხვევაში, როდესაც შესრულება უნდა მოხდეს ახალი რეკვიზიტების შესაბამისად, ახალი კრედიტორი ვალდებულია აცნობოს მოვალეს შესაბამისი რეკვიზიტები. ყველა დამატებითი ხარჯი, რაც გამოწვეულია გადახდის ადგილის შეცვლით, ეკისრება კრედიტორს. თუკი ახალი კრედიტორი არ მისცემს მოვალეს ახალ მითითებებს, ასეთ შემთხვევაში მოვალე ვალდებულებას შეასრულებს ხელშეკრულების თავდაპირველი პირობების შესაბამისად (მოთხოვნის დათმობისას შესრულების ადგილი, დრო და წესი არ იცვლება). ასევე მხედველობაშია მისაღები, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ვალდებულების შესრულების ადგილი განისაზღვრება კრედიტორის ადგილსამყოფელის მიხედვით, ახალ კრედიტორზე უფლების გადაცემამ შეიძლება გამოიწვიოს ვალდებულების შესრულების ადგილის შეცვლა.

ზოგადი სამართლებრივი პრინციპების შესაბამისად, ვალდებულება უნდა შესრულდეს შეთანხმებულ ადგილას.[261] წინააღმდეგ შემთხვევაში უფლებამოსილ პირს აქვს უფლება ან საერთოდ არ მიიღოს შესრულება, ან მიიღოს შესრულება, მაგრამ მოითხოვოს შესრულების ადგილის შეცვლით გამოწვეული დამატებითი ხარჯების ანაზღაურება. მაშასადამე, თუკი ვალდებულება არ შესრულდა შეთანხმებულ ადგილას, ადგილი აქვს ვალდებულების არაჯეროვან შესრულებას (დარღვევას), რაც იწვევს განსაზღვრულ სამართლებრივ შედეგებს, რომელთა შორისაც მთავარი მაინც არის მოვალის მიერ ვადის გადაცილება.[262]

არასაპატიო მიზეზით ვალდებულების შესრულება სხვა ადგილას, იწვევს ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებისათვის გათვალისწინებული პასუხიმგებლობის დაკისრებას. თუმცა კი, ცალკეულ შემთხვევაში, ვალდებულების შესრულება სხვა ადგილას არ უნდა იქნეს მიჩნეული კრედიტორის ინტერესების მნიშვნელოვან ხელყოფად, რის გამოც კრედიტორის მხრიდან შესრულების მიღებაზე უარი, აგრეთვე მოვალის მიმართ პასუხისმგებლობის დაკისრება,

---

[261] Weiler, Schuldrecht Allgemeiner Teil, 2012,108.

[262] ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, 58-60.

მეტისმეტად უსამართლო იქნებოდა.

მაგალითად, წერილობითი ფორმით დადებული სესხის ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ, რომ მოვალის მიერ სესხი უნდა დაბრუნებულიყო ქალაქ თბილისში 2012 წლის ივლისის მეორე ნახევარში. თუმცა კი მოვალემ შესთავაზა კრედიტორს სესხად მიღებული თანხის უკან დაბრუნება ქალაქ ბათუმში, სადაც ისინი შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს 2012 წლის 20 ივლისს. როგორც წესი, ამ შემთხვევაში გამსესხებელს (კრედიტორს) არა აქვს შეთავაზებული შესრულების მიღებაზე უარის თქმის ინტერესი, თუმცა კი ასეთი შესრულება, ხელშეკრულების პირობიდან გამომდინარე, „ფორმალურად" მაინც ითვლება არაჯეროვან შესრულებად.

თუკი მოვალე ვალდებულებას ასრულებს სხვა ადგილას, ვიდრე ეს განსაზღვრული იყო, კრედიტორს მაინც შეუძლია მიიღოს ასეთი შესრულება და გაათავისუფლოს მოვალე ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან. ასევე, კრედიტორს შეუძლია მიიღოს არაჯეროვანი შესრულება, თუმცა გამოიყენოს მოვალის მიმართ ასეთ შემთხვევებში კანონმდებლობით გათვალისწინებული მეორადი მოთხოვნის უფლებები. ზოგიერთ შემთხვევაში, კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, კრედიტორის მიერ შესრულების მიღება არასათანადო ადგილას განიხილება, როგორც ასეთი შესრულების მოწონება, თუნდაც კრედიტორს ამის შესახებ პირდაპირ არ ჰქონდეს წინასწარ ნება გამოხატული.

IV.6. ზოგადად ვალდებულების შესრულების დროს შესახებ

IV.6.1. ზოგადი დებულებანი

დროს მნიშვნელობა და მისი ზემოქმედება სამართლებრივ ურთიერთობებზე ვალდებულებით სამართალშიც ვლინდება, განსაკუთრებით კი ვალდებულების შესრულებასთან კავშირში. ვალდებულების დროულად შესრულება ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს.[263] ვალდებულების შესრულების დროდ ითვლება იმ

[263] Worlen/Metzler-Muller, Schuldrecht AT, 11 Vollig uberarbeitete und verbesserte

მომენტის დადგომა, როდესაც ვალდებულება შესრულებულ უნდა იქნეს.[264]

ზოგადად, სამოქალაქო უფლებების განხორციელება და დაცვა მჭიდროდ არის დაკავშირებული დროის ფაქტორთან. ვადა აწესრიგებს სამოქალაქო ბრუნვას, განაპირობებს ხელშეკრულებათა ჯეროვან შესრულებას. თანამედროვე საბაზრო ეკონომიკა, მისთვის დამახასიათებელი დინამიკურობითა და დროის დეფიციტით, წარმოუდგენელია ვადებთან დაკავშირებული საკითხების სრულყოფილი და სწორი სამართლებრივი მოწესრიგების გარეშე.[265] სამოქალაქო კანონმდებლობა დროის ფაქტორს უკავშირებს სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას, შეცვლასა და შეწყვეტას, ასევე იმ მოქმედებათა შესრულებას, რომელიც გათვალისწინებულია კანონით ან ხელშეკრულებით.[266]

სამოქალაქო ბრუნვაში ვადებს ხშირად აიგივებენ მათ ნეგატიურ გამოვლენასთან – ამოწურვასთან, გასვლასთან. მაგალითად, ვალდებულების შესრულებას სწორედ შესრულებისათვის განსაზღვრული ვადის ამოწურვას უკავშირებენ.

ვალდებულების შესრულების დროდ ითვლება განსაზღვრული მომენტის დადგომა, როცა ვალდებულება შესრულებულ უნდა იქნეს. ამასთან, ეს მომენტი არის დროის მეტ-ნაკლებად მცირე მონაკვეთი. ვადა არის დროში არსებული მომენტი ან გარკვეული პერიოდი. ვადისა და დროის ურთიერთმიმართება არის თანაფარდობა ზოგადისა და განსაკუთრებულისა, ურთიერთდამოკიდებულება ობიექტურისა და სუბიექტურისა.[267] ვადა და დრო არსებითად ერთი და იმავე მოვლენის ამსახველი ცნებებია. ვადა აღნიშნავს დროის ამა თუ იმ მონაკვეთს, დრო კი ასახავს როგორც დროის მონაკვეთს, ანუ ვადას, ასევე დროს ზოგადად, როგორც მუდმივს, წარუვალს. დროის დინებას ვერაფერი შეაჩერებს, მაშინ, როდესაც ვადა, რო-

---

Auflage, 2013,68.

[264] ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება, 2006, 54.

[265] Weiler, Schuldrecht Allgemeiner Teil, 2012, § 10, Rn 26.

[266] ზარანდია, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები, 2005, 31.

[267] Грибанов, Сроки в гражданском праве, 1967, 9.

გორც დროში არსებული – შეიძლება შეწყდეს.[268]

შესრულების მოთხოვნის მომენტს წარმოადგენს დრო, რომლის დადგომის შემდეგაც კრედიტორს უფლება აქვს მოითხოვოს შესრულება. შესრულების მოთხოვნის მომენტი პასუხობს კითხვაზე, თუ როდიდან აქვს კრედიტორს მოთხოვნის უფლება. ამ მომენტის დადგომას ახლავს სამი ფაქტორი: 1) შესრულების მოთხოვნამდე – შესრულების ვალდებულება არსებობს, მაგრამ კრედიტორს, როგორც წესი, არა აქვს მისი მოთხოვნის უფლება. ამდენად, გარკვეულ მომენტამდე ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება მხოლოდ იგულისხმება – იგი სავარაუდოა; 2) როგორც კი დადგება ვალდებულების შესრულების ვადა, კრედიტორს ეძლევა უფლება, შეარჩიოს ვალდებულების შესრულების მომენტი; 3) ხანდაზმულობის ფაქტორი – რადგანაც კრედიტორის მოთხოვნის უფლებაც არ არის უვადო და მასზე მოქმედებს ხანდაზმულობის ზოგადი წესები. ამდენად, არ არის გამორიცხული, რომ თვით კრედიტორის მოთხოვნა გახდეს ვადაგასული. ხანდაზმულობის ამოწურვის შემდეგ კრედიტორს არა აქვს უფლება მოითხოვოს ვალდებულების იძულებითი შესრულება.[269]

შესრულების დრო მოვალისათვის მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, თუ როდიდან ხდება იგი ვალდებული განახორციელოს შესრულება.[270]

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსხვავდება ვალდებულების შესრულების ვადისგან როგორც ხანგრძლივობით, ისე მიზნებითა და მისი გასვლის შედეგებით. ხელშეკრულების ვადა აღნიშნავს მხარეთა შეთანხმების მოქმედების ხანგრძლივობას, ხოლო ვალდებულების შესრულების ვადა კი არის მომენტი ან პერიოდი, რომლის დადგომისას (განმავლობაში) მოვალემ უნდა შეასრულოს ვალდებულება.

---

[268] ზარანდია, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები, 2005, 34.

[269] „იქვე"„ გვ. 35.

[270] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე # ას-1191-1051-2010.

IV.6.2. ვალდებულების შესრულების ცალკეული ვადები

სამოქალაქო სამართალში შესრულების ვადები მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია.[271] ასეთ ვადებს ერთმანეთისაგან განასხვავებენ არა მარტო ხანგრძლივობისა და განსაზღვრულობის ხარისხის მიხედვით, არამედ მათი წარმომშობი წყაროს სამართლებრივი ბუნების მიხედვითაც. შეიძლება განვასხვაოთ ვალდებულების შესრულების ა) სახელშეკრულებო; ბ) კანონისმიერი; გ) სასამართლოს (არბიტრაჟის) მიერ განსაზღვრული; დ) ცალმხრივი ნებით დადგენილი; და ე) გარემოებებიდან გამომდინარე ვადები.[272]

IV.6. 2.1. ვალდებულების შესრულების სახელშეკრულებო ვადები

ნების ავტონომიისა და ხელშეკრულების თავისუფლების ზოგადი პრინციპიდან გამომდინარე,[273] ვალდებულების შესრულების დროს განსაზღვრავენ ვალდებულების სუბიექტები. სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს საკუთარი ნებისა და თავიანთი ინტერესების შესაბამისად შეუძლიათ დაადგინონ შესრულების დრო კონკრეტული ვალდებულებისთვის, რომელიც უკვე წარმოშობილია ან მომავალში წარმოიშობა მათ შორის (in diem obbligatio)[274]. ამასთან, კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, ვალდებულების შესრულების დრო მიეკუთვნება ხელშეკრულების არსებით პირობებს, რაც უკვე ნიშნავს მხარეთა არა უფლებას, არამედ ვალდებულებას, შეთანხმდნენ შესრულების დროზე, რადგან კანონით გათვალისწინებულ ამ არსებით პირობებზე შეთანხმების გარეშე, ხელშეკრულება დადებულად არ ჩაითვლება. თუმცა, ვალდებულების შესრულების იმპერატიული ვადები არ არის დამახასიათებელი სამოქალაქო სამართლისათვის და მათი რაოდენობა ძალზედ უმნიშვნელოა.

ვალდებულების შესრულების დროსთან მიმართებით ხელშეკ-

---

[271] Brox/Walker, Allgemeines Schuldrecht, 36 Auflage, Munchen, 2012, 134.

[272] ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება, 2006, 55.

[273] ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, 90.

[274] ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება მესამე პირის მიერ, 2005, 4.

რულების თავისუფლებისა და ზოგადად, ნების ავტონომიის პრინციპები ბადებს შეკითხვას ამ თავისუფლების ფარგლებთან მიმართებით. რამდენად შეიძლება იყოს მხარეების მიერ დადგენილი ვადა ხანგრძლივი ან მცირე? მოქმედებს თუ არა რაიმე შეზღუდვა?

მხარეთა ნების (კერძო) ავტონომიის პრინციპი ვალდებულების შესრულების დროსთან მიმართებით არ არის აბსოლუტური ხასიათის და იზღუდება კანონით. თუკი მხარეებმა ხელშეკრულებაში გაითვალისწინეს ვალდებულების შესასრულებლად არაგონივრულად მცირე დრო, მას არ შეიძლება ჰქონდეს მხარეთათვის მბოჭავი ძალა (მაგალითად, აგარაკის აშენება ერთ საათში და ა.შ.). ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ ხელშეკრულებაში მიუთითონ შესრულების დრო ან შესრულების ვადის დასაწყისი. იმ შემთხვევაში, როდესაც ვალდებულების შესრულების ვადის განსაზღვრა ხელშეკრულებაში მხარეთა მიერ ხდება, როგორც წესი, გათვალისწინებული უნდა იყოს ორივე მხარის ინტერესი და იგი უნდა გაინსაზღვროს სამართლიანობის საფუძველზე.[275]

ვალდებულების შესრულების ვადის განსაზღვრულობის მიხედვით, განასხვავებენ განსაზღვრული და განუსაზღვრელი ვადით დადებულ ხელშეკრულებებს. თავის მხრივ, ვალდებულების შესრულების ვადის განსაზღვრულობის ხარისხი შესაძლებლობას იძლევა შესრულების ვადები დაიყოს შემდეგნაირად: ა) ზუსტად განსაზღვრული დრო; ბ) ვადა, განსაზღვრული ვალდებულების პირობებით ან ვალდებულების არსიდან გამომდინარე; გ) გონივრული ვადა.

იურიდიულ ლიტერატურაში შესრულების ვადა იყოფა აგრეთვე აბსოლუტურად განსაზღვრულ და ფარდობითად განსაზღვრულ (რელატიურ) ვადად.[276] ვალდებულების შესრულების აბსოლუტური ვადები ცნობილი იყო რომის სამართალშიც; ხელშეკრულებაში ასეთი ვადების შესახებ დათქმას ეწოდებოდა „clausula cassatoria".

აბსოლუტური ვადა მაშინ არის, როდესაც ვადის გადაცილების შემდეგ შესრულებაც კარგავს ყოველგვარ ინტერესს. აბსოლუტური

---

[275] ზოიძე, ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/ხეცურიანი/შენგელია (რედ.) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, 2001, 365-ე მუხლი, გვ. 287.

[276] Zweigert/Kötz, Einführung in die Rechtsvergleichung, 3 Auflage, Tübingen, 1996, 491.

ვადის შემთხვევაში ვალდებულების შესრულების დრო ფიქსირდება კალენდარული თარიღით. თავად ასეთი დადგენაც ორ ხერხს მოიცავს: ა) პირდაპირს, როდესაც დგინდება ზუსტი კალენდარული თარიღი; მაგალითად, კრედიტორს საქორწინო ბეჭედი ქორწინების დღისათვის ესაჭიროება. ასეთ შემთხვევაში ერთდღიანი დაყოვნებაც კი ხანგრძლივ შეუძლებლობას უთანაბრდება და შესრულების ვალდებულების იპსო იურე გაქარწყლებას იწვევს (აბსოლიტურად ფიქსირებული ვალდებულება – absolutes Fixgeschaft).[277] ბ) არაპირდაპირს, რომელიც ემყარება დამატებით ცნობებს (მაგალითად, დაბადების 25-ე წლისთავს). ამასთან, შესრულების მომენტის დადგომა დამოკიდებულია იმაზეც, თუ რა სახის ვალდებულებასთან გვაქვს საქმე. შესაძლებელია მოხდეს ვალდებულების მთლიანად შესრულება, თანხის მთლიანად გადაცემა, ხოლო, როდესაც სახეზეა პერიოდული ან ნაწილობრივი გადახდა, მაშინ ხდება ვალდებულების არა სრული, არამედ ნაწილობრივი შესრულება.[278]

რელატიური ვადის შემთხვევაში ვადის გადაცილება აზრს კი არ უკარგავს ვალდებულების შემდგომ შესრულებას, არამედ მხოლოდ ართულებს მას. შესრულების ვადის გადაცილება გამოიწვევს სკ-ის 400-404-ე მუხლებით გათვალისწინებულ შედეგებს (ფარდობითად ფიქსირებული ვალდებულება – relatives Fixgeschaft).

ვალდებულების შესრულების ვადის განსაზღვრულობის ხარისხთანაა დაკავშირებული ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ადგილი აქვს ვალდებულების შესრულების ალტერნატიულ ვადებს. ხელშეკრულების თავისუფლების ზოგადი პრინციპიდან გამომდინარე, მხარეებს ხელშეკრულებით შეუძლიათ გაითვალისწინონ, რომ ვალდებულება უნდა შესრულდეს მხარეების მიერ განსაზღვრულ ამა თუ იმ დროს.[279]

თუკი არ არის გათვალისწინებული, ვის აქვს ვალდებულების შესრულების ერთი ან რამდენიმე ვადიდან ამორჩევის უფლება, მაშინ მხარეთა შორის წარმოშობილი ვალდებულებით-სამართლებრივი

---

[277] ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, 96.

[278] ზარანდია, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები, 2005, 54.

[279] Weiler, Schuldrecht Allgemeiner Teil, 2012, 111.

ურთიერთობის მიმართ შესაძლებელია ანალოგიით გამოყენებულ იქნეს სკ-ის 374-ე მუხლით გათვალისწინებული ალტერნატიული ვალდებულებების მომწესრიგებელი წესები და შესაბამისად, ვალდებულების შესრულების კონკრეტული ვადის არჩევის უფლება მიეცეს მოვალეს. ალტერნატიული ვადების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუკი ხელშეკრულებიდან, კანონიდან ან ვალდებულების არსიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

განასხვავებენ აგრეთვე ვალდებულების შესრულების საერთო და კერძო (შუალედურ) ვადებს. საერთო ვადა წარმოადგენს ვალდებულების მთლიანად შესრულების, ხოლო კერძო (შუალედური) კი – ვალდებულების გარკვეული ნაწილის შესრულების ვადას.[280] მაგალითად, ნარდობის ხელშეკრულებით მხარეებმა შეიძლება განსაზღვრონ არა მხოლოდ სამუშაოთა დასრულების საბოლოო ვადა, არამედ, სამუშაოთა დაწყებისა და შუალედური ვადებიც. იმ შემთხვევაში, როდესაც შესრულების დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, მაშინ ნარდობის ხელშეკრულებით შესრულების დრო განისაზღვრება, როგორც ხელშეკრულების ერთ-ერთი არსებითი პირობა – time of the essence.[281]

ვალდებულების შესრულების შუალედური ვადები დგინდება ძირითადად იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეებს შორის არსებობს გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობები და ვალდებული პირის მიერ შესრულება ხდება ნაწილ-ნაწილ. მაგალითად, შუალედურ ვადებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება გაყიდული საქონლის ნაწილ-ნაწილ მიწოდებისას, ვინაიდან, თუ ერთი მხარის მიერ მიწოდების მხოლოდ ერთი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო შეიქმნა რეალური საშიშროება იმისა, რომ მომავალი მიწოდების ვალდებულებებიც არ შესრულდება, მაშინ მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე (486).[282] შუალედური ვადების ერთ-ერთ მიზანს კრედიტორის მიერ მოვალის მიმართ ვალდებულების

---

[280] ზარანდია, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები, 2005, 56.

[281] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულებების სამართლებრივი ბუნება, 2011, 50.

[282] ძლიერიშვილი, ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულ. სამართლებრივი ბუნება, 2010, 54.

დროულად შესრულებაზე კონტროლის განხორციელებაც წარმოადგენს.

ასევე განასხვავებენ ხელშეკრულებებს, სადაც ვალდებულების შესრულების დრო წარმოადგენს არსებით პირობას და არსებობს აგრეთვე ხელშეკრულებები, სადაც ვალდებულების შესრულების დრო წარმოადგენს ჩვეულებრივ პირობას.[283]

დროს ფაქტორს დიდი პრაქტიკული მნიშვნლობა აქვს. ხშირად იმისათვის, რომ მოვალემ ვალდებულება ჯეროვნად შეასრულოს, კრედიტორმა უნდა განახორციელოს მთელი რიგი მოქმედებები, მაგალითად, მოამზადოს ან დაიქირავოს საწყობი, მოიწვიოს სპეციალისტები ანდა განახორციელოს სხვა მოსამზადებელი მოქმედებები ვალდებულების შესასრულებლად. მაგალითად, ამერიკის ერთგვაროვანი სავაჭრო კოდექსის 2-130-ე მუხლში აღნიშნულია, რომ, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მაშინ მყიდველის მიერ ნივთის ფასის გადახდა უნდა მოხდეს იმ დროის განმავლობაში, როდესაც მყიდველმა ნივთი უნდა მიიღოს.[284] ვალდებულების შესრულების დრო ასევე შეიძლება განისაზღვროს სავაჭრო ჩვეულებებისა და ტრადიციების გათვალისწინებით.

სიზუსტის მიხედვით განასხვავებენ განსაზღვრულ (დადგენილ) და განუსაზღვრელ (დაუდგენელ) ვადებს.[285] ხელშეკრულებით განსაზღვრულ დროში ვალდებულების შესრულების მოვალეობა დამახასიათებელია მთელი სამოქალაქო სამართლისათვის და იგი ეფუძნება ხელშეკრულების სამართლებრივ ძალას. ჯერ კიდევ რომის სამართალში იყო დადგენილი, რომ ვალდებულება უნდა შესრულდეს წინასწარ განსაზღვრულ ვადაში (დიეს).[286]

ვალდებულების შესრულება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში თანამედროვე სახელშეკრულებო სამართლის ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს. ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში ვალდებულების შესრულების აუცილებლობის შესახებ დებულებები განმტკიცებულია, როგორც საერთაშორისო კომერციული

---

[283] ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება, 2006, 56.

[284] Uniform Commercial Code (UCC), 2001, 2-130.

[285] კობახიძე, სამოქალაქო სამართალი, ზოგადი ნაწილი, 2001, 357.

[286] Франчози, Институционный курс римского права, Пер. с итал., 2001, 414.

ხელშეკრულებების პრინციპებში (მე-6.1.1. მუხლის „ა" ქვეპუნქტი),[287] აგრეთვე ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების მე-7:102-ე მუხლის პირველ ქვეპუნქტში[288] და გაეროს „საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის შესახებ" ვენის კონვენციის 33-ე მუხლის „ა" ქვეპუნქტში.[289]

ვალდებულების შესრულების განსაზღვრული ვადა ხასიათდება იმით, რომ ხელშეკრულებით ვალდებულების შესრულების დრო ნათლადაა დადგენილი. ამასთან, ვალდებულების შესრულების თუნდაც განსაზღვრული დრო შეიძლება დადგინდეს:

IV.6.2.2 ვალდებულების შესრულების დროს განსაზღვრა კონკრეტული კალენდარული თარიღით

ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც შესრულების დრო განსაზღვრულია კონკრეტული დღის მიხედვით, მაგალითად, დამზადებული ნივთი შემკვეთს უნდა გადაეცეს 2012 წლის 10 აგვისტოს. თუ შეთანხმებით სხვა რამ არის განსაზღვრული, შესრულება ამ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს მთელი ამ დღის განმავლობაში. კანონმდებლობით ღიად არის დატოვებული საკითხი იმის შესახებ, თუ რა მომენტისათვის უნდა იყოს შესრულებული ვალდებულება შესაბამისი დღის განმავლობაში. თეორიულად დასაშვებია, რომ შესრულება მოხდეს შეთანხმებული კონკრეტული დღის ღამის 24 საათამდე. თუმცა, როგორც ამას პრაქტიკა ცხადყოფს, ეს მიდგომა ყოველთვის არ არის მართებული. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული კრედიტორის ინტერესები, აგრეთვე სავაჭრო ბრუნვის ჩვეულებები და ტრადიციები. მაგალითად, არ ჩაითვლება ჯეროვან შესრულებად გამყიდველის მიერ ხელშეკრულების საგნის მიტანა მყიდველის საწყობში სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საწყობი მუშაობს დღე-ღამის განმავლობაში ანდა

---

[287] UNIDROIT, Principles of International Commercial Contracts, Rom, 1994. Uniform Law Review, 2004.

[288] Principles of European Contract Law. Parts I and II, Ed. by Lando/Beale, 2001, 332.

[289] United Nations Convention on contracts for the Internationale Sale of Goods _ http:www.cisg.ru/content/download/cisg.ru.pdf

ღამით. მრავალი საწარმო თუ ორგანიზაცია საქმიანობს მხოლოდ ე.წ. სამუშაო საათებში. ამიტომაც, შესრულების განხორციელება არასამუშაო საათებში ჩაითვლება არაჯეროვან შესრულებად, თუკი ასეთი შესრულების მიღება საჭიროებს კრედიტორის თანამშრომლების მხრიდან გარკვეული მოქმედებების განხორციელებას (ჩამოტვირთვა, შეტანა და ა.შ.).[290]

ყოველთვის არ არსებობს იმის აუცილებლობა, რომ შესრულების დრო განისაზღვროს საათების, წუთების ან წამების სიზუსტით. თუმცა, ხელშეკრულება შეიძლება ადგენდეს, რომ ვალდებულება უნდა შესრულდეს არათუ კონკრეტულ დღეს, არამედ დღის განმავლობაში კონკრეტულ დროს (მაგალითად, პირველ ნახევარში, შესვენებამდე, 11 საათზე და ა.შ.), ზოგჯერ კი იმდენად ზუსტად, რომ საუბარი წამებზე გამართლებულიც კია (მაგალითად, ასაფეთქებელი ხასიათის სამუშაოები). ე.ი., თუკი განსაზღვრულია, რომ ვალდებულება უნდა შესრულდეს კონკრეტული კალენდარული დღის გარკვეულ მონაკვეთში, ვალდებულება სწორედ ამ დროს უნდა შესრულდეს.[291]

IV.6.2. 3. ვალდებულების შესრულების დროს განსაზღვრა გარკვეული პერიოდით

ვალდებულების შესრულების დრო შეიძლება განისაზღვროს დროის გარკვეული პერიოდით. ამ შემთხვევაში ვალდებულება შეიძლება შესრულდეს ნებისმიერ დროს ამ მონაკვეთის განმავლობაში. მაგალითად, სამუშაო შესრულებული უნდა იქნეს აგვისტოს თვეში. ასეთ შემთხვევაში ვალდებულება შეიძლება შესრულდეს პირველი აგვისტოდან 31 აგვისტოს ჩათვლით ნებისმიერ დროს. რადგან დროის ნებისმიერ პერიოდს გააჩნია როგორც ვადის დაწყების, ისე დასრულების მომენტი, ამიტომაც მნიშვნელოვანია დროის შესაბამისი ფარგლების დადგენა. დროს, როგორც ვალდებულების შესრულების ვადის ფარგლების დადგენა (განსაზღვრა) მხარეების მიერ ხდება იმ მოთხოვნათა დაცვით, რაც კანონმდებლობით დადგენილია ვადებთ-

[290] ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება, 2006, 58.

[291] ზარანდია, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები, 2005, 58.

ან დაკავშირებით (სკ-ის 121-127-ე მუხლებით დადგენილი ვადის გამოთვლის წესები. ასეთი წესების დადგენა საშუალებას იძლევა, დამკვიდრდეს ვადების გამოყენების ერთიანი პრაქტიკა).[292]

საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების პრინციპებში (მუხლი 6.1.1. „ბ" ქვეპუნქტი)[293] და ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპებში (მუხლი 7:120, მე-2 ქვეპუნქტი)[294] განსაზღვრულია ისიც, რომ გარემოებებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების დროს განსაზღვრა შეიძლება მოხდეს შესაბამისი მხარის მიერ. ანალოგიური მიდგომაა გაეროს „საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის შესახებ" ვენის კონვენციის 33-ე მუხლშიც.

საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა ითვალისწინებს როგორც განსაზღვრულ, ისე განუსაზღვრელ ვადებს. მაგალითად, 531-ე მუხლის თანახმად, „ქირავნობის ხელშეკრულებით გამქირავებელი მოვალეა დამქირავებელს სარგებლობაში გადასცეს ნივთი განსაზღვრული ვადით. დამქირავებელი მოვალეა გამქირავებელს გადაუხადოს დათქმული ქირა", ხოლო 560-ე მუხლის თანახმად კი, „თუ საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულება განსაზღვრული ვადით არის დადებული, მაშინ დამქირავებელს შეუძლია არა უგვიანეს ორი თვისა ქირავნობის ურთიერთობის შეწყვეტამდე წერილობითი განცხადებით მოითხოვოს ქირავნობის ხელშეკრულების გაგრძელება განუსაზღვრელი ვადით, თუკი გამქირავებელი ამის თანხმობას განაცხადებს."

გამოთქმა „განსაზღვრული" ზოგადი შინაარსის შემცველია და გულისხმობს გარკვეულ ვადას, დროებით სარგებლობას, რომელიც შეიძლება იყოს როგორც „პირდაპირ განსაზღვრული", ისე „განუსაზღვრელი".[295] ამასთან, ვალდებულების შესრულების ვადის განუსაზღვრელობა არ ნიშნავს მის მუდმივ ხასიათს. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია კიდევ ერთი თავისებურება, რაც „მუდმივი"

[292] ჭანტურია/ახვლედიანი/ზოიძე/ჯორბენაძე (რედ), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, 1999.

[293] UNIDROIT, Principles of International Commercial Contracts, Rom, 1994.Uniform Law Review, 2004.

[294] Principles of European Contract Law. Parts I and II /Ed. by Ole Lando, Hugh Beale. 333.

[295] ზოიძე, რეცენზია იაკობ ფუტკარაძის სადოქტორო დისერტაციაზე „ქართული ვალდებულებითი სამართლის ინსტიტუტები", ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია", #1, 2002, 172.

ვალდებულებების აკრძალვის სახელწოდებითაა ცნობილი.[296] მართალია, ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს განუსაზღვრელი ვადით, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ სახელშეკრულებო ვალდებულება შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს.[297] ვალდებულებათა დროში შეუზღუდაობა შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც თავისუფლების ხელყოფა. დაუშვებელია, რომ ერთხელ ნაკისრი ვალდებულება მოვალისათვის სამუდამო ტვირთად იქცეს და მას არ ჰქონდეს მისგან თავდახსნის მართლზომიერი საშუალებები.[298] ამასთან, გამონაკლის შემთხვევებში, ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს კრედიტორის მთელი სიცოცხლის ხანგრძლივობით. მაგალითად, სკ-ის 941-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც კისრულობს სამისდღემშიო სარჩოს გადახდას (მარჩენალი), მოვალეა გადაუხადოს იგი სარჩოს მიმღებს (სარჩენს) მთელი სიცოცხლის მანძილზე, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს.[299]

განსაკუთრებული სპეციფიკურობით ხასიათდება ე.წ. „უარყოფითი შინაარსის" ვალდებულებების შესრულების დრო. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ვალდებულებას, რომლის შესარულებაც ხდება მოქმედებით, ეწოდება ვალდებულება დადებითი შინაარსით, ხოლო იმ ვალდებულებას კი, რომლის შესრულებაც ხდება მოქმედებისაგან თავის შეკავებით, უწოდებენ ვალდებულებას უარყოფითი შინაარსით.[300]

რადგან უარყოფითი შინაარსის ვალდებულების არსი მდგომარეობს მოქმედებისაგან თავის შეკავებაში, ამიტომაც ასეთი ვალდებულებების შესრულება ხდება ყოველწამიერად.[301] განსხვავებით სხვა სახის ვალდებულებებისაგან, უარყოფით ვალდებულებებთან მიმართებით, მისი შინაარსიდან გამომდინარე, შეუძლებელია ვისაუბროთ მოვალის მიერ შესრულების ვადის გადაცილებაზე.

[296] ზარანდია, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები, 2005, 62.

[297] ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება მესამე პირის მიერ, 2005, 5.

[298] ზარანდია, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები, 2005, 62.

[299] ძლიერიშვილი, ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულ. სამართლებრივი ბუნება, 2010, 428.

[300] ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, 2001, 37.

[301] ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება, 2006, 55.

IV.6 2.4. ვალდებულების შესრულების დროს განსაზღვრა რაიმე გარემოების დადგომაზე მითითებით

ვალდებულების შესრულების დრო შეიძლება განისაზღვროს იმ გარემოებაზე მითითებით, რომელიც აუცილებლად უნდა დადგეს. პრაქტიკაში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ხელშეკრულებით მხარეები ვალდებულებას განსაზღვრავენ დროის ზუსტად განსაზღვრული პერიოდით, თუმცა კი, ამ პერიოდის ათვლის დაწყებას უკავშირებენ გარკვეულ გარემოებას, რომელიც, მათი აზრით, მომავალში აუცილებლად დადგება. მაგალითად, მხარეთა შორის დადებული ნარდობის ხელშეკრულება ითვალისწინებდა შემკვეთის მიერ მენარდისათვის შესრულებული სამუშაოს საზღაურის გადახდას ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში სამუშაოს მიღების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან. მენარდის მიერ შესრულებული სამუშაო შემკვეთმა მიიღო ისე, რომ არ მიუთითებია მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის თარიღი. თუმცა კი მიღება-ჩაბარების აქტზე მისი შედგენის თარიღის არ მითითება, არ ათავისუფლებს შემკვეთს შესრულებული სამუშაოს საზღაურის დროული გადახდისაგან და ეს ვალდებულება უნდა შესრულდეს მისი წარმოშობიდან გონივრულ ვადაში.

ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე მიიჩნია, რომ „დამკვეთი ვალდებული იყო მენარდესთან გაეფორმებინა მიღება-ჩაბარების აქტი, რაც მან არ განახორციელა და ამით დაარღვია ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების შესაბამისი მუხლები. სასამართლომ აგრეთვე მიუთითა, რომ შემკვეთის მიერ თანხის სრულად გადაუხდელობა არ უნდა ყოფილიყო მენარდისათვის მიღება-ჩაბარების აქტსა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარდგენაზე დამოკიდებული, ვინაიდან მოპასუხის მიერ ვალდებულების შესრულება დამოკიდებული ხდება მიღება-ჩაბარების აქტზე მის მხრიდანვე ხელმოუწერლობაზე. სასამართლომ სამუშაო მიღებულად ჩათვალა, რადგან მოპასუხემ არ მიიღო შესრულებული სამუშაო მხარეთა შეთანხმებით დადგენილი წესით.[302]

[302] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2010 ნლის 27 სექტემბრის განჩინება საქმეზე #ას-

სკ-ის 368-ე მუხლის თანახმად, თუ გარიგების ნამდვილობა დამოკიდებულია რაიმე პირობის დადგომაზე, მაშინ ვალდებულება შესასრულებელია იმ დღიდან, როცა ეს პირობა დგება.[303],[304]

როგორც წესი, ხელშეკრულების მხარეები ხელშეკრულების დადებისთანავე იწყებენ მის შესრულებას, მაგრამ არსებობს შემთხვევები, როდესაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული შედეგების დადგომას მხარეები უკავშირებენ განსაზღვრული გარემოებების არსებობას. ვინაიდან ხელშეკრულების (გარიგების) შედეგების დადგომა ამ გარემოებების არსებობაზეა დამოკიდებული, სამოქალაქო სამართალი ასეთ გარიგებებს პირობით გარიგებებს უწოდებს.[305]

პირობითად ითვლება გარიგება, როდესაც იგი დამოკიდებულია სამომავლო და უცნობ მოვლენაზე იმით, რომ ან გარიგების შესრულების გადადება, ან გარიგების შეწყვეტა ხდება – ამ მოვლენის დადგომისთანავე. გარიგებით გათვალისწინებული შედეგის დადგომა შეიძლება რამდენიმე პირობაზე იყოს დამოკიდებული. ეს პირობები შეიძლება იყოს როგორც კუმულატიური, ასევე ალტერნატიული.[306] კუმულატიური პირობის დროს აუცილებელია ყველა იმ პირობის არსებობა, რომელიც გარიგების ნამდვილობის პირობად არის დასახელებული. ალტერნატიული პირობის შემთხვევაში გარიგების ნამდვილობისათვის საკმარისია ერთ-ერთი რომელიმე პირობის დადგომა.

გარიგება პირობით დადებულად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, როცა მისი ნამდვილობა დამოკიდებულია სამომავლო და უცნობ მოვლენაზე, ე.ი. ისეთ მოვლენაზე, რომელიც მომავალში უნდა დადგეს, მაგრამ ჯერ კიდევ გაურკვეველია, დადგება თუ არა ეს მოვლენა სინამდვილეში. იურიდიულ ლიტერატურაში სამართლიანად არის აღნიშნული, რომ პირობის სამართლებრივი ინსტიტუტი

616-587-2010.

[303] ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/ხეცურიანი/შენგელია (რედ.) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, 2001, 368-ე მუხლი, გვ. 296.

[304] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 22 აპრილის განჩინება საქმეზე #ას-678-1008-07.

[305] ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, 410.

[306] ზოიძე, ჭანტურია/ახვლედიანი/ზოიძე/ჯორბენაძე (რედ.) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, 1999, 90-ე მუხლი, გვ. 254.

კერძო ავტონომიის ღირსშესანიშნავი საშუალებაა.[307] იგი გარიგების მხარეებს შესაძლებლობას აძლევს, ნაკისრი ვალდებულებების შესრულება გადადონ იმით,[308] რომ იგი დაუკავშირონ რაღაც მოვლენას, რომლის დადგომაში მეორე მხარეც იქნება დაინტერესებული.[309]

ვადა და პირობა იმითაც ემსგავსება ერთმანეთს, რომ მათი მეშვეობით ხდება სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების დროში გაშლა. ამასთან, არც ვადა და არც პირობა არ განსაზღვრავს ხელშეკრულების კანონიერ ძალას (როდესაც პირობით გარიგებებზეა საუბარი, იგულისხმება სკ-ის 90-98-ე მუხლებით გათვალისწინებული წესები და არა გარიგების ნამდვილობის პირობები).[310] ეს ნიშნავს იმას, რომ ვალდებულება არსებობს მათგან დამოუკიდებლად. ვადა და პირობა განსაზღვრავს მხოლოდ ვალდებულების შესრულების მომენტს.

ვადის განსხვავება პირობისაგან სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ პირობითი გარიგების შემთხვევაში პირობა შეიძლება არ დადგეს. მაგალითად, იყიდის თუ არა „X"-ი პიანინოს, დამოკიდებულია იმაზე, გაყიდის თუ არა ამ ნივთს „Y" -ი. ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს პირობასთან. თუ „Y"-საგან ნივთის შეძენა არაა საეჭვო, თუმცა გადავადებულია, ანუ აუცილებლად მოხდება მომავალში, საქმე გვაქვს ვადასთან, რადგან ასეთ შემთხვევაში ეს უკანასკნელი არის მომავლის მოვლენა, მაგრამ შეთანხმებული ხელშეკრულების მხარეებს შორის.

კანონმდებლობა ერთმანეთისაგან განასხვავებს გადადებისა და გაუქმების პირობებს. პირობების ასეთი დაყოფა რომის სამართლიდან იღებს სათავეს. გარიგება გადადების პირობითაა დადებული, თუკი გარიგებით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობა დამოკიდებულია მომავალ და უცნობ მოვლენაზე. გარიგება გადადების პირობით დადებულად ითვლე-

---

[307] von Tuhr Andreas, Der Allgemeine Teil des deutschen bürgerlichen Rechts, Berlin, Bd. 1. S. 271.

[308] ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, 412.

[309] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, საქმეთა პალატის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1105-1132-2011.

[310] ზარანდია, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები, 2005, 37.

ბა, როცა ამ პირობის დადგომა იწვევს გარიგების შეწყვეტას და აღადგენს გარიგების დადებამდე არსებულ მდგომარეობას. ასეთი პირობით დადებული გარიგების შემთხვევაში გარიგებით გათვალისწინებული შედეგი მაშინვე დგება, მაგრამ პირობის დადგომისთანავე იგი უქმდება. მაგალითად, ა-მ ასესხა ბ-ს ფული იმ პირობით, რომ ბ ხელფასის აღებისთანავე დაუბრუნებს ა-ს ფულს. აიღებს თუ არა ბ ხელფასს (ე.ი. პირობა დადგა), მან უნდა დაუბრუნოს ა-ს სესხი (ე.ი. წყდება სესხის ხელშეკრულება).[311] მთავარია, რომ ვალდებულება პირობის დადგომის დღიდან შესრულდეს დაუყოვნებლივ ან გონივრულ ვადაში.[312]

გარიგების შედეგის დადგომის განმსაზღვრელი პირობა შეიძლება მხარეების მიერ ფორმულირებული იყოს როგორც პოზიტიურად (ე.ი. დადებითი შინაარსი), ისე ნეგატიურად (ე.ი. უარყოფითი შინაარსი). პირობის შინაარსი პოზიტიურია, თუკი გარიგების შედეგი დამოკიდებულია პირობის დადგომაზე. პირობის შინაარსი იქნება ნეგატიური, თუკი გარიგებით გათვალისწინებული შედეგის დადგომა დამოკიდებულია იმაზე, რომ პირობა არ დადგეს.[313]

ამდენად, ვადა არის დროის შუალედი, რომელიც იწურება განსაზღვრულ კალენდარულ დღეს და ასეთ შემთხვევაში ცნობილია არა მარტო ის, რომ ეს ვადა დადგება, არამედ ისიც, თუ როდის დადგება ეს ვადა. ამისგან განსხვავდება ის შემთხვევა, როდესაც, მაგალითად, პირმა იკისრა მეორე პირის რჩენის ვალდებულება მთელი სიცოცხლის მანძილზე.[314] ნებისმიერი პირის სიცოცხლე დროში შეზღუდულია, ამიტომაც აღარაა საეჭვო, რომ ეს მოვლენა დადგება, თუმცა მისი დადგომის თარიღი უცნობია. მაშასადამე, ცხოვრებაში არცთუ იშვიათია ვადისა და პირობის კომბინაციები, რაც კიდევ უფრო აქტუალურს ხდის პარალელების გავლებას ვადასა და პირობას შორის. ვადა არის სამომავლო მოვლენა (ამით უახლოვდება ის პირობას), მაგრამ დადგენილი მოვლენა (ამით ის უპირისპირდება

[311] ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, 413.
[312] ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება, 2006, 59.
[313] ზარანდია, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები, 2005, 38.
[314] ძლიერიშვილი, ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულ. სამართლებრივი ბუნება, 2010, 430.

პირობას).

პირობის დადგომის დღიდან ყოველთვის შეიძლება არ მოხერხდეს შესრულების განხორციელება. ესეც მხედველობაში ჰქონდა კანონმდებელს, როდესაც ადგენდა, რომ თუ ვადის დასაწყისად აღიარებულია ესა თუ ის მოვლენა, ან დღის რომელიმე მონაკვეთი, მაშინ ვადის გამოთვლისას არ მიეთვლება ის დღე, რომელშიც დგება ეს მოვლენა ან დღის ზემოაღნიშნული დრო (სკ-ის 122- მუხლი).[315]

IV.6.3. ვალდებულების შესრულების კანონისმიერი ვადები

ცალკეულ შემთხვევაში, ვალდებულების შესრულების დრო უშუალოდ კანონიდან გამომდინარეობს. უმეტესწილად, ეს ის შემთხვევებია, როდესაც მხარეებს თავად არ გაუკეთებიათ არავითარი დათქმა ვალდებულების შესრულების დროსთან დაკავშირებით. დროს კანონით დადგენა საშუალებას იძლევა, შესრულების დრო დადგინდეს არა ერთჯერადად, კონკრეტული ვალდებულებისათვის, არამედ ვალდებულებათა გარკვეული გვარისათვის.[316]

იმ შემთხვევაში, თუკი მხარეები არ შეთანხმდებიან ვალდებულების შესრულების დროზე (ანდა ცალკეულ, კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში), ვალდებულების შესრულების დრო განისაზღვრება კანონით. მაგალითად, სკ-ის 648-ე მუხლის თანახმად, შემკვეთი მოვალეა მენარდეს გადაუხადოს საზღაური სამუშაოს შესრულების შემდეგ, თუ ხელშეკრულება არ ითვალისწინებს ნაწილ-ნაწილ გადახდას.[317] სკ-ის 626-ე მუხლის თანახმად, თუ ვალის დაბრუნების ვადა განსაზღვრული არ არის, მაშინ ვალი დაბრუნებულ უნდა იქნეს კრედიტორის ან მოვალის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტისას. სკ-ის 621-ე მუხლის თანახმად, თუ თხოვების ხელშეკრულებით ვადა არ არის განსაზღვრული, მაშინ გამნათხოვებელს შეუძლია ნივთი დაიბრუნოს გამიზნული სარგებლობისათვის საჭირო

[315] ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/ხეცურიანი/შენგელია (რედ.) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, 2001, 368-ე მუხლი, გვ. 297.

[316] ზარანდია, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები, 2005, 46.

[317] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულებების სამართლებრივი ბუნება, 2011, 88.

დროის გასვლის შემდეგ, ხოლო თუ მიზანი არ არის განსაზღვრული, მაშინ მას შეუძლია, ნებისმიერ დროს მოითხოვოს მისი დაბრუნება. მონათხოვრეს შეუძლია ნივთი ნებისმიერ დროს დააბრუნოს უკან. სკ-ის 553-ე მუხლის თანახმად, ქირა გადახდილ უნდა იქნეს ქირავნობის ხელშეკრულების ვადის დამთავრებისას.

ხშირ შემთხვევაში კანონისმიერ ვადებს თან ახლავს ალტერნატივა შეთანხმებული ვადების სახით.[318] ამ დროს კანონისმიერი ვადები მოქმედებს მხოლოდ მაშინ, თუკი ხელშეკრულებით სხვა რამ არ იქნება განსაზღვრული. უფრო იშვიათია შემთხვევები, როცა კანონისმიერი ვადები უალტერნატივოა. ზოგადად, სამართალი ინდივიდთა თანაცხოვრებას მათი ინტერესების რეალიზების სამართლიანი ფარგლების დადგენითა და ინტერესთა კონფლიქტის გადაჭრის მექანიზმების შეთავაზებით აწესრიგებს.[319] სამართალს ნებისმიერი შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის გადაჭრა უნდა შეეძლოს.[320] სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმების მიზანია, ხელი შეუწყოს ინდივიდთა ინტერესების განხორციელებას და მშვიდობიანი გზით გადაჭრას მონაწილეთა შორის შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი.[321]

IV.6. 4. ვალდებულების შესრულების ნავარაუდევი და გონივრული ვადები

ვალდებულების შესრულების პროცესში გამოიყენება აგრეთვე ნავარაუდევი (გარემოებებიდან გამომდინარე) ვადები. ნავარაუდევი ვადა უმეტესწილად ვალდებულებითი ურთიერთობის ბუნებიდან გამომდინარეობს. თავდაპირველად რომის სამართალში გაბატონებული იყო მოსაზრება, რომ იმ შემთხვევაში, თუკი მხარეები არ იყვნენ შეთანხმებულნი ვალდებულების შესრულების ვადის შესახებ, მოქმედებდა პრინციპი: „თუკი გადახდის ვადა მითითებული არ არის,

---

[318] ზოიძე, ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/ხეცურიანი/შენგელია (რედ.) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, 2001, 365-ე მუხლი, გვ. 287.

[319] კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, 3.

[320] იქვე, გვ. 10.

[321] Staudinger/Komm, zum Bürgerlichen Gesetzbuch, Coing/Honsell, Einleitung, Berlin, 2004, Rn 164.

ის დგება დაუყოვნებლივ" (quod sine die debetur, statim debetur).[322] შესაბამისად, კრედიტორს შეეძლო მოეთხოვა შესრულება ვალდებულების წარმოშობისთანავე, ხოლო მოვალე კი ვალდებული იყო განეხორციელებინა შესრულება. მოგვიანებით, რომის სამართალში შემუშავებულ იქნა „ნაგულისხმევი (ნავარაუდევი) ვადის" კონცეფცია. ამ კონცეფციას საფუძველი ჩაუყარა ულპიანემ, რომელმაც დაადგინა, რომ „რომში დადებული ხელშეკრულება არ შეიძლება, დაუყოვნებლივ შესრულდეს იმავე დღეს კართაგენში".[323]

ვალდებულება, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, შეიძლება გულისხმობდეს მის შესრულებას მოთხოვნისას. ეს ითვალისწინებს კრედიტორის მიერ მოვალისადმი მოთხოვნის წაყენების აუცილებლობას. მოთხოვნა პირის ნებას დაქვემდებარებული და სხვა პირზე მიმართული უფლებაა, რომელიც განსხვავდება მისი პროცესუალური განხორციელებისაგან. მოთხოვნა, ძირითადად, მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობის მატარებელია.[324] მოთხოვნა არის სხვა პირისაგან რაიმე ქმედების (მოქმედება ან მოქმედებისაგან თავის შეკავება) განხორციელების უფლება.[325] დისპოზიციური ნორმები უშუალოდ წარმოშობს მათში გათვალისწინებულ მოთხოვნას, თუ ამ ნორმის მიერ დადგენილი თავისუფლების ფარგლებში მხარეთა შეთანხმება არ ახდენს მის მოდიფიცირებას და არ წარმოშობს მისგან განსხვავებულ მოთხოვნას.[326] კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების დანიშნულებაა ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტების უფლებების განსაზღვრა და მათი განხორციელება. მოთხოვნა – უფლების რეალიზაციის კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობაა.[327]

მოთხოვნა და მოთხოვნის საფუძველი სხვადასხვა ცნებებია. ამ გამიჯვნას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმის გათვალისწინებით, რომ მოთხოვნათა შორის არჩევანის უფლება, მო-

[322] Франчози, Институционный курс римского права, Пер. с итал, 2001, 414.

[323] Zimmermann, The Law of Obligations, Roman Foundations of the Civilian Tradition, OXFORD University Press, 1996, p.736.

[324] Münch Komm, BGB/Grothe., Band I, §194, Rn 2.

[325] ჰენშელი, სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდიკა, 2009, 75.

[326] ჩაჩავა, მოთხოვნებისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, დის., თსუ, 2010, 5.

[327] Münch Komm, BGB/Säcker, 5 Auflage, Band I, Einl, Rn 5.

სარჩელეს ეკუთვნის, ხოლო მოსარჩელის მიერ წარდგენილი მოთხოვნის დამფუძნებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა შორის ერთ-ერთის მისადაგება, სასამართლოს უფლებამოსილება და ვალდებულებაცაა.[328] მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი არის სამართლის ნორმა, რომლის სამართლებრივი შედეგიც გულისხმობს სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე პირის მიერ რაიმე მოქმედების განხორციელებისა თუ მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავების ვალდებულებას.[329] მოთხოვნის ზოგადი სამართლებრივი საფუძველი არის კანონის დანაწესი, რომლის საფუძველზეც კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. შესრულება შეიძლება გამოიხატებოდეს მოქმედებაში, ასევე მოქმედებისაგან თავის შეკავებაში. ამგვარად, შესრულების შინაარსი მოიცავს როგორც პოზიტიურ მოქმედებას, ასევე უმოქმედობასაც, მათ შორის თმენასაც.[330]

მოთხოვნის საფუძველი არის კანონის ნორმა, რომელიც განსაზღვრული შემადგენლობის ნიშნების არსებობისას მხარეს ანიჭებს უფლებას, მოსთხოვოს მეორე მხარეს რაიმე მოქმედების შესრულება ან მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავება. მოთხოვნის საფუძველი ორი ნაწილისაგან შედგება: ა) ნორმის შემადგენლობა, რომელიც მოიცავს ცალკეულ წინაპირობას, და ბ) სამართლებრივი შედეგი, რომელიც კანონის საფუძველზე დადგება იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ნორმის შემადგენლობით განსაზღვრული ყველა წინაპირობა.[331]

სკ-ის 365-ე მუხლის თანახმად, თუ ვალდებულების შესრულებისათვის არ არის განსაზღვრული დრო და იგი სხვა გარემოებიდანაც არ ირკვევა, მაშინ კრედიტორს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს მისი შესრულება, ხოლო მოვალეს შეუძლია იგი დაუყოვნებლივ შეასრულოს.[332] სწორედ ეს „სხვა გარემოებებში" ნაგულისხ-

[328] ბიოლინგი/ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, II გამოცემა, 2004, 42.

[329] Larenz/Wolf, Allgemeine Teil des Bürgerlichen Rechts, 9 Auflage, 2004, §18, Rn 7.

[330] ბიოლინგი/ლუტრინგჰაუსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, 2009, 14.

[331] ბიოლინგი/ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, II-ე გამოცემა, 2004, 38.

[332] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გა-

მევი ვადები შეიძლება იქნეს მიჩნეული ნავარაუდევ ვადებად.[333] ანალოგიური შინაარსის ნორმაა დადგენილი გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 271-ე პარაგრაფის პირველი აბზაცის მიხედვით.[334]

ნავარაუდევი გარემოება შეიძლება იყოს მრავალი და გამომდინარეობდეს, როგორც ვალდებულებითი ურთიერთობების ბუნებიდან, აგრეთვე სავაჭრო ჩვეულებებიდან და ტრადიციებიდან. შინაარსის მიხედვით, ნავარაუდევი ვადა, სწორედ გარემოებებიდან გამომდინარე ვადაა.[335] ასე, მაგალითად, თხოვების ხელშეკრულებაში, როცა ვადა არაა განსაზღვრული, გამნათხოვებელს შეუძლია ნივთი დაიბრუნოს სარგებლობისათვის საჭირო დროის გასვლის შემდეგ (სკ-ის 621-ე მუხლი);[336] ნარდობის ხელშეკრულების თანახმად კი, შემკვეთი მოვალეა გადაუხადოს მენარდეს საზღაური, როგორც წესი, სამუშაოს სრულად შესრულების შემდეგ. სწორედ სამუშაოს შესრულებაა ის გარემოება, რასაც უკავშირდება საზღაურის გადახდის დრო.[337]

ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი (ნავარაუდევი) ვადები დამოკიდებულია ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა სავარაუდო განზრახვაზე ან ვალდებულებითი ურთიერთობის ხასიათზე. ზოგ შემთხვევაში ეს განზრახვა გამომდინარეობს თვით ხელშეკრულების ტექსტიდან ან სხვა გარემოებებიდან. არის შემთხვევები, როდესაც ასეთი ვადა გამომდინარეობს თავად ვალდებულებითი ურთიერთობის ხასიათიდან.[338] ზოგადად, ტერმინი „ნავარაუდევი ვადა" შეიძლება სხვა მნიშვნელობითაც გამოიყენებოდეს და სულაც არ აღნიშნავდეს ისეთ ვადას, რომლის სათავეც მხოლოდ მხარეთა ნებაში უნდა ვეძიოთ. ფართო გაგებით, ეს არის თუნდაც კანონმდე-

---

კოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-654-876-08.

[333] ზარანდია, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები, 2005, 64.

[334] Münch Komm, BGB/Krüger, Bd. 2a, §271, Rn 4; Palandt/Gruneberg, §271, Rn 1; Staudinger/Bittner, §271, Rn 7, Ptuting/Jud, §271, S.426-427.

[335] ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება, 2006, 60.

[336] ზოიძე, ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/ხეცურიანი/შენგელია (რედ.) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, 2001, 365-ე მუხლი, გვ. 290.

[337] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულებების სამართლებრივი ბუნება, 2011, 89.

[338] ჰენშელი, სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდიკა, 2009, 104.

ბლობიდან გამომდინარე ვადა.

ნაგულისხმევ ვადებთან დაკავშირებული პრობლემა გამოწვეულია შეთანხმების გამოხატვის არასაკმარისი სიზუსტით. ვადა აუცილებელი ელემენტია ვალდებულების შესრულებისათვის. რაც უფრო დეტალურად და გასაგებად არის შედგენილი ხელშეკრულება, ვადის მიუთითებლობის შემთხვევაშიც კი, სწორედაც რომ სხვა გარემოებების ზუსტი მითითებით ხდება ნაგულისხმევი ვადის განსაზღვრა. საქმე უფრო მარტივადაა, როდესაც განსაზღვრულია შესრულების შუალედური ვადა. ასეთ შემთხვევაში იგი შესაბამისობაში უნდა იყოს წინამორბედ და შემდგომ ვადასთან.[339]

ნაგულისხმევი ვადა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ნებისმიერ ვადას და შესაბამისობაში უნდა იყოს ამ ვადებთან ან ხელშეკრულების საერთო შინაარსთან. ვინაიდან ასეთი ვადები ეფუძნება მხარეთა ნაგულისხმევ ნებას, ნაკლებად სავარაუდოა, მათ ჰქონდეთ განზრახვა, დაარღვიონ ხელშეკრულებაში აღნიშნული ვადა. ამდენად, მხარეთა მკაფიოდ გამოხატულ, ანუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადასთან არ უნდა არსებობდეს შეუსაბამობა. ამასთან, ნაგულისხმევი ვადა არ უნდა იყოს საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო.[340] საჯარო წესრიგის ცნებაში იგულისხმება სამოქალაქო ბრუნვის ფუნდამენტური პრინციპები, როგორიცაა საკუთრების, ხელშეკრულებისა და მეწარმეობის თავისუფლება, რომელთა დარღვევით ილახება არა მხოლოდ ურთიერთობის კონკრეტული მონაწილის უფლებები, არამედ სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესები.[341] ასევე, ნებისმიერი ნაგულისხმევი ვადა შეზღუდულია კრედიტორის მხრიდან გაფრთხილებით და შეიძლება მოვალის მხრიდან უმოქმედობის ვითარებაში მისი გაგრძელება არც მოხდეს. თუმცა, მოვალეს უფლება აქვს გამოთქვას პრეტენზია, თუ ის თვლის, რომ ასეთი გაფრთხილება არის უსამართლო და წარმოადგენს ხელშეკრულების ზუსტი ან ნა-

---

339 ზარანდია, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები, 2005, 66.

340 ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, 357.

341 ზოიძე, ჭანტურია/ახვლედიანი/ზოიძე/ჯორბენაძე (რედ), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, 1999, 54-ე მუხლი, 178.

გულისხმევი ვადის დარღვევას.[342]

იმ შემთხვევისათვის, როცა ვალდებულების შესრულებისათვის არ არის განსაზღვრული დრო და იგი სხვა გარემოებებიდანაც არ ირკვევა, საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მოვალის მიმართ ვალდებულების შესრულების შესახებ კრედიტორის მოთხოვნის ფორმას.[343] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განამტკიცებს, ზოგადად, ხელშეკრულების ფორმის თავისუფლების პრინციპს.[344]

ფორმის კანონით დადგენა უმეტესად მაშინ ხდება, როდესაც გარიგებით გათვალისწინებული სიკეთე სოციალური ტვირთის მატარებელია და მხოლოდ ასეთი სახითაა შესაძლებელი მისი დაცვა და მოწესრიგებული ურთიერთობის შენარჩუნება.[345] გარიგებათა უმრავლესობა ზეპირად იდება. ეს ზუსტად შეესაბამება მხარეთა მოთხოვნილებას, ერთმანეთთან ურთიერთობა მოაწესრიგონ ზედმეტი ფორმალობის გარეშე. მაგრამ იქ, სადაც აუცილებელია მეტი წინდახედულობა, სიფრთხილე და მხარეთა უსაფრთხოების დამატებითი გარანტიები, კანონი სავალდებულო წერილობით ფორმას ითვალისწინებს.

სკ-ის 365-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მოვალისაგან ვალდებულების ნებისმიერ დროს შესრულება კრედიტორმა შეიძლება მოითხოვოს როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით. სამართლებრივი ბუნებით ვალდებულების შესრულების მოთხოვნა არის ცალმხრივი ნების გამოვლენა, რამეთუ მიმართულია ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შეცვლისაკენ. შესაბამისი ნების გამოვლენა ნამდვილია იმ მომენტიდან, როდესაც იგი მოხდება მიმღების ძალაუფლების სფეროში,[346] ანუ ცალმხრივი ნების გამოვლენა ნამდვილია მხოლოდ იმ მომენტიდან, როცა იგი მეორე მხარეს მიუვა.[347]

[342] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2010 წლის 25 მაისის განჩინება საქმეზე №ას-1220-1480-09.

[343] ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება, 2006, 57.

[344] კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, 281.

[345] ზოიძე, ევროპული სამართლის რეცეფცია საქართველოში, 2005, 227.

[346] კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, 246.

[347] ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, 299.

იმ ვალდებულებებისათვის, რომელთა შესრულების დროც გამომდინარეობს გარემოებებიდან, მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს შესრულების შესახებ კრედიტორის მოთხოვნის დროითი ფარგლები. განუსაზღვრელი ხასიათის ვალდებულებებიდან გამომდინარე, ითვლება, რომ მოთხოვნა არის ღია ნებისმიერ დროს (quod sine die debetur, statim debetur). ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი სახის ვალდებულებების მიმართ არ მოქმედებს ხანდაზმულობის ვადები. ზოგადი წესის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.[348]

როდესაც ხელშეკრულება არ განსაზღვრავს რაიმე კონკრეტულ ვადას ვალდებულების შესასრულებლად, ვალდებულება უნდა შესრულდეს მისაღები, გონივრული დროის განმავლობაში. ეს კი ნიშნავს, რომ მოვალემ კრედიტორის მოთხოვნიდან გონივრულ ვადაში, გაჭიანურების გარეშე უნდა შეასრულოს ვალდებულება.[349]

ნებისმიერი ვადა, იქნება ეს ზუსტად განსაზღვრული თუ ნავარაუდევი, უნდა იყოს გონივრული.[350] გონივრული ვადა წარმოადგენს შეფასებით კატეგორიას. ყველა შემთხვევაში მისი ფარგლები მოიაზრება შესრულების თავისებურებებით. გონივრულია ისეთი ვადა, რომელიც ასეთად შეიძლება ჩათვლილიყო, როგორც კანონის ობიექტური ნების, ისე მხარეთა ნების გამოვლენის საფუძველზე. შეიძლება იგი გამომდინარეობდეს სამოქალაქო ბრუნვის ტრადიციებიდანაც.

გონივრული ვადის განმსაზღვრელი საზომი ერთი კონკრეტული სახის ვალდებულებების მიმართ შეიძლება იყოს სხვა, ვიდრე სხვა სახის ვალდებულებებში. მაგალითად, სკ-ის 659-ე მუხლის თანახმად, მოგზაურობის მომწყობი მოვალეა იმგვარად მოაწყოს მოგზაურობა, რომ მას არ ჰქონდეს ისეთი ხარვეზები, რომლებსაც შეუძლიათ გააუფასურონ ან შეამცირონ მოგზაურობის მნიშვნელობა ჩვეუ-

[348] ჭანტურია/ახვლედიანი/ზოიძე/ჯორბენაძე (რედ), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, 1999, 130-ე მუხლი, 319.

[349] ზარანდია, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები, 2005, 68.

[350] ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება, 2006, 56.

ლებრივი ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის. თუ მოგზაურობას ასეთი ხარვეზები აქვს, მაშინ ტურისტს შეუძლია მოითხოვოს მათი აღმოფხვრა. თუ მოგზაურობის მომწყობი არ აღმოფხვრის ხარვეზებს ტურისტის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, მაშინ ტურისტს შეუძლია თვითონ აღმოფხვრას ხარვეზები და მოითხოვოს მათზე გაწეული აუცილებელი ხარჯების ანაზღაურება. მოგზაურობის გონივრული ვადა ხარვეზთა სპეციფიკიდან გამომდინარე განისაზღვრება.[351]

გონივრული ვადის შეფასებისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ვალდებულების ხასიათი, მხარეთა ურთიერთობა, ვალდებულების შესრულების პირობები, რომლებიც შესაძლოა გავლენას ახდენდეს თავისდროული შესრულების შესაძლებლობაზე.[352] როდესაც კანონი ვადებთან დაკავშირებით იყენებს ისეთ ტერმინებს, როგორიცაა „გონივრული ვადა", „დაუყოვნებლივი შესრულება", „შესაბამის ვადაში" და ა.შ., ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სასამართლოს მიერ განმარტების ზოგად პრინციპებთან ერთად გამოიყენება სხვა დამატებითი კრიტერიუმებიც. მაგალითად, სკ-ის 480-ე მუხლის თანახმად, „თუ გამყიდველს ევალება საქონლის გაგზავნა, მან უნდა დადოს ხელშეკრულებები, რომლებიც აუცილებელია ტვირთის დათქმულ ადგილზე გადაზიდვისა და ასეთი გადაზიდვისათვის ჩვეული პირობებით. თუ გამყიდველი ხელშეკრულებით გადამზიდველს გადასცემს საქონელს და ეს საქონელი არც ამოსაცნობი ნიშნით, არც გადაზიდვისათვის საჭირო საბუთებით და არც სხვა რაიმე საშუალებით არ არის გამოკვეთილად აღნიშნული, მაშინ გადამზიდველმა უნდა შეატყობინოს მყიდველს საქონლის გაგზავნის თაობაზე და, ამასთანავე, გაუგზავნოს ტვირთის დაწვრილებითი ჩამონათვალი". კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, თუ რა ვადაში უნდა შეატყობინოს გამყიდველმა მყიდველს საქონლის გაგზავნის თაობაზე. სამოქალაქო სამართალში დამკვიდრებული კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, შეტყობინება გაგზავნილ უნდა იქნეს გონივრულ ვადაში, იმისათვის, რომ მყიდველმა შეტყობინება

---

[351] ზოიძე, ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/ხეცურიანი/შენგელია (რედ), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, 2001, 365-ე მუხლი, 290.

[352] Frank Weiler, Schuldrecht Allgemeiner Teil, 2012, S.112.

მიიღოს ტვირთის მიტანამდე.[353]

გონივრული ვადის საკითხი თანამედროვე სამოქალაქო სამართალში მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ვალდებულების შესრულების დროსთან მიმართებით, არამედ სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან დაკავშირებითაც. ასე, მაგალითად, სკ-ის 335-ე მუხლის თანახმად, თუ მეწარმე, რომელსაც უხდება სხვა პირთა საქმიანი ოპერაციების შესრულება, მიიღებს ოფერტს ამგვარი საქმეების შესრულებაზე იმ პირისაგან, რომელთანაც იმყოფება საქმიან კავშირში, მაშინ იგი ვალდებულია გონივრულ ვადაში უპასუხოს ამ წინადადებას; სკ-ის 356-ე მუხლის თანახმად, თუ ხელშეკრულებიდან გასვლის ვადა არ არის დადგენილი, მაშინ შეიძლება გამსვლელ პირს ხელშეკრულების მეორე მხარისაგან განესაზღვროს ასეთი ვადა. ვადა უნდა იყოს გონივრული. სკ-ის 399-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, უფლებამოსილ პირს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე გონივრულ ვადაში მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდება ხელშეკრულების მოშლის საფუძველი; სკ-ის 405-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, მოვალე უფლებამოსილია განუსაზღვროს კრედიტორს ხელშეკრულებაზე უარის თქმის გონივრული ვადა. სკ-ის 659-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, თუ მოგზაურობის მომწყობი არ აღმოფხვრის ხარვეზებს ტურისტის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, მაშინ ტურისტს შეუძლია თვითონ აღმოფხვრას ხარვეზები და მოითხოვოს მათზე გაწეული აუცილებელი ხარჯების ანაზღაურება; სკ-ის 886-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, გარანტმა ბენეფიციარის მოთხოვნა თანდართული დოკუმენტებით უნდა განიხილოს გონივრულ ვადაში და ა.შ. გონივრული ვადის სამართლებრივი ინსტიტუტი ცნობილია სამოქალაქო საპროცესი სამართალშიც. მაგალითად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მხარეებს ან მათ წარმომადგენლებს სასამართლო უწყება უნდა ჩაბარდეს იმ ვარაუდით, რომ მათ ჰქონდეთ სასამართლოში დროულად გამოცხადებისა და საქმის მომზადებისათვის გონივრული ვადა.[354]

---

[353] ძლიერიშვილი, ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულ. სამართლებრივი ბუნება, 2010, 43.

[354] ლილუაშვილი, სამოქალაქო-საპროცესო სამართალი, II გამოცემა, 2005, 184.

სამართლებრივად დიდი მნიშვნელობა ენიჭება გონივრული ვადისა და დამატებითი ვადის ერთმანეთისაგან გამიჯვნას.[355] რომის სამართალში დადგენილი იყო, რომ იმ ვალდებულებებში, რომლებშიც არ იყო განსაზღვრული შესრულების დრო, იმისათვის, რომ მოვალე ჩათვლილიყო ვადის გადამცილებლად, აუცილებელი იყო მისთვის განსაკუთრებული შეხსენება შესრულების ფორმით (interpellatio).[356] ასეთი შეხსენების (გაფრთხილების) ინსტიტუტს იცნობენ თანამედროვე განვითარებული ქვეყნებიც, მაგალითად, საფრანგეთი (mise en demeure), გერმანია (Abmahnung).[357] ამასთან, თანამედროვე სამართალი ზოგჯერ ნაწილობრივ გამორიცხავს ასეთი შეხსენების საჭიროებას. მას შემდეგ, რაც კრედიტორი შესრულებას მოითხოვს, ვალდებულება ვადამოსული ხდება და მოვალე ვალდებულია შეასრულოს იგი.[358] თუ მოვალე მოთხოვნის მიუხედავად ვალდებულებას არ ასრულებს, იგი არღვევს ვალდებულებას, თუმცა ვადა ჯერ გადაცილებულად არ ითვლება. მნიშვნელოვანია, რომ კრედიტორმა ვადამოსულობის შემდეგ იმგვარი მოქმედება განახორციელოს, რომელიც მოვალეს შესრულების ვალდებულებას შეახსენებს და მის შესრულებას ვადაგადაცილებულად აქცევს. კანონით გათვალისწინებულ ასეთ მოქმედებას მოვალის გაფრთხილება წარმოადგენს.

გაფრთხილება შედის როგორც მოვალის, ისე კრედიტორის ინტერესებში, რადგან სწორედ გაფრთხილებიდან იგებს მოვალე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია კრედიტორისათვის დროული შესრულება და რა სამართლებრივი შედეგები შეიძლება მოჰყვეს შეუსრულებლობას. გაფრთხილების შედეგად ფაქტობრივი ვადის გადაცილება (დაყოვნება) სამართლებრივი ვადის გადაცილებად იქცევა.[359]

---

[355] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2011 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე #ას-1191-1051-2010.

[356] Zimmermann, The Law of Obligations. Roman Foundations of the Civilian Tradition, OXFORD University Press, 1996, 789.

[357] Marsh,. Comparative Contract Law: England, France, Germany, Hampshire, 1996, 178.

[358] ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, 113.

[359] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 23 იანვრის განჩინება საქმეზე #ას-954-1260-07.

იგი ვალდებულების შესრულების უპირობო და არაორაზროვან მოთხოვნას წარმოადგენს და მისი მიზანი შესრულების ვადისა და მოთხოვნის სერიოზულობის დაფიქსირებაში მდგომარეობს. შესაბამისად, იგი არ უნდა იყოს იმგვარად ფორმულირებული, რომ ეჭვს ბადებდეს კრედიტორის ინტერესში, დროულად მიიღოს შესრულება.[360] თუ ეს ვალდებულების ხასიათს არ ეწინააღმდეგება, კრედიტორს შეუძლია შესრულების მოთხოვნა და გაფრთხილება ერთდროულად, ერთი აქტის მეშვეობით განახორციელოს.[361]

გაფრთხილება არ გულისხმობს გარკვეული ვადის დადგენას და იგი გადაცილებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც მოვალეს მიუვა. თუმცა კრედიტორს შეუძლია დაადგინოს დამატებითი ვადა (სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის მეორე ნაწილი) რომლის ამოწურვამდეც ვადა არ ჩაითვლება გადაცილებულად. ეს ვადა უნდა იყოს გონივრული, რომლის მსვლელობის დროსაც კრედიტორი მეორადი მოთხოვნის დაყენების უფლებაში იზღუდება.

განსხვავება ვალდებულების შესრულების გონივრულ ვადასა (როცა შესრულების დრო არ არის განსაზღვრული მხარეთა შეთანხმებით) და დამატებით ვადას შორის იმაში მდგომარეობს, რომ გონივრული ვადა დადგენილია კრედიტორის ინტერესებისათვის, ხოლო დამატებითი ვადა კი – მოვალის ინტერესებისათვის. ეს ნიშნავს იმას, რომ შესრულების ვადის გადაცილების ათვლა იწყება მხოლოდ დამატებითი ვადის გასვლიდან, თუმცა კი, მოვალეს ვალდებულების შესრულება ამ ვადის გასვლამდე ნებისმიერ დროს შეუძლია. ამასთან, კრედიტორი ვალდებულია მიიღოს შესაბამის ვადაში განხორციელებული შესრულება იმისათვის, რომ არ ჩაითვალოს ვადის გადამცილებლად.

გონივრულ ვადასთან მიმართებით, მნიშვნელოვან დებულებას შეიცავს გაეროს „საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის შესახებ" ვენის კონვენციის 33-ე მუხლი. კერძოდ, თუკი ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული ან ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე, შეუძლებელია საქონლის გადაცემის დროის განსაზღვრა, ასეთ

---

[360] Ernst in Münch Komm, BGB/, §286, Rn 48.

[361] ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, 111-131.

შემთხვევაში, გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საქონელი ხელშეკრულების დადებიდან გონივრულ ვადაში.[362] საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების („უნიდროას" პრინციპები) პრინციპების 6.1.1-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ თუ ხელშეკრულებით არ არის განსაზღრული ვალდებულების შესრულების დრო, მაშინ ვალდებულება უნდა შესრულდეს გონივრულ ვადაში.[363] ანალოგიურ დებულებას ითვალისწინებს ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების 7:102-ე მუხლის მე-3 ქვეპუნქტიც.[364]

ვალდებულების გონივრულ ვადაში შესრულება შეიძლება ზოგჯერ დაუყოვნებლივ შესრულებასაც გულისხმობდეს. დაუყოვნებლივ შესრულება გულისხმობს მოვალის უშუალო რეაქციას. მან იმდენად ჩქარა უნდა იმოქმედოს, რამდენადაც ეს შესაძლებელია ობიექტური მასშტაბების მიხედვით. დაუყოვნებლივ მოქმედებს მხოლოდ ის, ვინც გარკვეული, ობიექტურად საჭირო დროის ფარგლებში, მოქმედებს ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად.[365] ვალდებულების დაუყოვნებლივ შესრულების სამართლებრივი ინსტიტუტი ცნობილია ზოგიერთი განვითარებული ქვეყნის კანონმდებლობისათვის (გერმანია, შვეიცარია, ავსტრია, საფრანგეთი, იტალია, საბერძნეთი, პორტუგალია, ჰოლანდია). თუმცა კი, ვალდებულების არსიდან, საქმის გარემოებებიდან ან ჩვეულებებიდან და ტრადიციებიდან გამომდინარე, ზოგიერთ შემთხვევაში კრედიტორის ეს უფლება იზღუდება.[366]

---

[362] United Nations Convention on contracts for the Internationale Sale of Goods – http:www.cisg.ru/content/download/cisg.ru.pdf

[363] UNIDROIT, Principles of International Commercial Contracts, Rom, 1994. Uniform Law Review, 2004

[364] Principles of European Contract Law. Parts I and II /Ed. by Ole Lando, Hugh Beale, 2001, P. 333

[365] ზოიძე, ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/ხეცურიანი/შენგელია (რედ), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, 2001, 365-ე მუხლი, გვ. 291.

[366] Основные институты гражданского права зарубежных стран, 2006, 323

IV.6.5. ცალმხრივად განსაზღვრული ვალდებულების შესრულების დრო

ვალდებულების შესრულების დრო შეიძლება განისაზღვროს გარიგებით (როგორც ორმხრივი, ისე ცალმხრივი ნების საფუძველზე), კანონით, სასამართლოს (არბიტრაჟის) გადაწყვეტილებით, სავაჭრო ჩვეულებებითა და ტრადიციებით ან გამომდინარეობდეს გარკვეული გარემოებებიდან. ხშირია შემთხვევები, როდესაც შესრულების დრო ცალმხრივად განისაზღვრება კრედიტორის მიერ. ამ შემთხვევაში, კანონის ერთ-ერთი არსებითი მოთხოვნა ის არის, რომ ვადა უნდა განისაზღვროს სამართლიანობის საფუძველზე. მაგალითად, სკ-ის 325-ე მუხლის თანახმად, თუ ვალდებულების შესრულების პირობები უნდა განისაზღვროს ერთ-ერთი მხარის ან მესამე პირის მიერ, მაშინ საეჭვოობისას ივარაუდება, რომ ამგვარი განსაზღვრა უნდა მოხდეს სამართლიანობის საფუძველზე.[367] მართალია, ხელშეკრულების თავისუფლებისას მხარეთა ნება გადამწყვეტია, მაგრამ თვითნებობის უფლებას კანონი მხარეებს არ აძლევს. ხელშეკრულების თავისუფლება მაინც სახელშეკრულებო სამართლიანობის ფარგლებში მოქმედებს.

ერთი მხარის მიერ დაწესებული ვადა, მეორე მხარის ინტერესებსაც უნდა ეხმიანებოდეს. ანალოგიურად წყდება საკითხი ხელშეკრულების სტანდარტული პირობებითაც. ბათილია ხელშეკრულების სტანდარტული პირობა, რომლითაც შემთავაზებელი აწესებს მისივე ვალდებულებათა შესასრულებლად კანონით დადგენილი ნორმებისაგან განსხვავებულ, შეუსაბამოდ ხანგრძლივ ან არასაკმარისად განსაზღვრულ ვადებს.[368] ბათილია აგრეთვე ხელშეკრულების სტანდარტული პირობა, რომლითაც შემთავაზებელი აწესებს ამა თუ იმ სამუშაოს შესრულების შეუსაბამოდ ხანგრძლივ ან აშკარად მცირე ვადებს (სკ-ის 347 „ბ“ მუხლი). მოგზაურობაში არსებული ხარვეზის აღმოფხვრის ვადას მოგზაურობის მომწყობს განუსაზღვრავს ტურისტი (სკ-ის 659-ე მუხლი).

პრაქტიკაში ძალზე იშვიათია შემთხვევები, როდესაც შეს-

[367] ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/ხეცურიანი/შენგელია (რედ), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, 2001, 365-ე მუხლი, 288.
[368] Münch Komm, BGB/Basedov, §308, Rn 3; Paland/Heinrichs, §308, Rn 10.

რულების ვადას განსაზღვრავს მოვალე. უმეტესწილად მოვალე თავის ინტერესებს ვადების შეთანხმების შემთხვევაში იცავს. ამ გამონაკლისის სანიმუშო მაგალითს წარმოადგენს სკ-ის 517-ე მუხლის დანაწესი, რომლის თანახმადაც, „უპირატესი შესყიდვის უფლება ხორციელდება ვალდებული პირის მიერ დადგენილ ვადაში."[369]

ვალდებულების შესრულების დრო ზოგჯერ განისაზღვრება სასამართლოს გადაწყვეტილებით. მაგალითად, სკ-ის 1483-ე მუხლის თანახმად, იმ მემკვიდრეების მოთხოვნით, რომლებიც უპირატეს უფლებას ახორციელებენ, სასამართლოს უფლება აქვს გადაავადოს კომპენსაცია მისი მოცულობის გათვალისწინებით, მაგრამ არა უმეტეს ათი წლის ვადით.

IV.6. 6. ვალდებულების შესრულების ვადის შეცვლა

დროის თვალსაზრისით აუცილებელია მხარეთა ურთიერთსაპირისპირო ინტერესის შეთანხმება, რათა დავის შემთხვევაში შესაძლებელი იყოს შესაბამისი რეაგირების მოხდენა. მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ ვისი ინტერესი დევს ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში. თუ ვადა მხოლოდ ერთი მხარის ინტერესს შეადგენს, ამ მხარეს შეუძლია მასზე ცალმხრივად უარის თქმა. თუ ვადა კრედიტორის ინტერესს შეადგენს, მას კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეუძლია მოითხოვოს ვადამდე შესრულება (სკ-ის 367-ე მუხლით გათვალისწინებული დაუყოვნებლივ შესრულების მოთხოვნის უფლება). თუ ვადა მოვალის ინტერესს შეადგენს, მას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეუძლია შესრულება განახორციელოს ვადამდე (სკ-ის 366-ე მუხლი). თუ ვადა ორივე მხარის ინტერესშია, აუცილებელია მათი დამატებითი შეთანხმება ამ შეთანხმებულ ვადაზე უარის სათქმელად ან მის შესაცვლელად.[370]

მაშასადამე, ვალდებულების შესრულების ვადის, ისევე როგორც ხელშეკრულების ნებისმიერი სხვა პირობის შეცვლა შეიძლება მოხ-

---

[369] ძლიერიშვილი, ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულ. სამართლებრივი ბუნება, 2010, 79.

[370] ზარანდია, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები, 2005, 63.

დეს მხარეთა შეთანხმებით, თუკი ხელშეკრულების შესრულების ვადის შეცვლის უფლება მინიჭებული არა აქვს ერთ რომელიმე მხარეს ანდა თუ შესრულების ვადის შეცვლა არ წარმოადგენს კანონის ან სასამართლოს კომპეტენციას. პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც შესაძლებელია ვალდებულების შესრულების „გადავადება".

გადავადება შეიძლება მოხდეს მხარეთა შეთანხმებით, კანონით, სასამართლოს მიერ ან გამომდინარეობდეს ვალდებულების არსიდან. რადგან კანონმდებლობა არ ადგენს ვალდებულების შესრულების ვადის შეცვლის წესისა და ფორმის შესახებ რაიმე სპეციალურ მოთხოვნას, გამოიყენება ხელშეკრულების პირობების შეცვლის ზოგადი წესები. პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როცა ვალდებულების შესრულების ვადის შეცვლა ხდება კონკლუდენტური მოქმედებებითაც.[371]

ვალდებულების შესრულების შეთანხმებული ვადა მხარეთა შეთანხმებით შეიძლება შეიცვალოს, როგორც თავდაპირველად შეთანხმებული ვადის დადგომამდე, აგრეთვე ამ ვადის დადგომის – ე.ი. მოვალის მიერ ვადის გადაცილების – შემდეგაც.

ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელება შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით, კრედიტორის მიერ მოვალისათვის ვალდებულების შესასრულებლად დამატებითი ვადის მიცემით და სხვა.[372] გაგრძელებული ვადა ძირითად ვადასთან ერთად კი არ გამოითვლება, არამედ ცალკე და მისი ათვლა ხდება ძირითადი (გასული) ვადის დამთავრებიდან. მაგალითად, თუ შესრულების ვადად დათქმული იყო ამა თუ იმ წლის 1 მაისი და ვადა გაგრძელდა ორი თვით, მაშინ ეს ორი თვე გამოითვლება 1 მაისიდან.[373]

ზოგჯერ ვალდებულების შესრულების ვადის გადავადება შეიძლება მოხდეს არა მხარეთა შეთანხმებით, არამედ კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას. ერთ-ერთ ასეთ საფუძველს წარმოადგენს ვალდებულების შესრულების გადავადება

---

[371] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 15 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე #ას-66-63-2012.

[372] Frank Weiler, Schuldrecht Allgemeiner Teil, 2012, S. 113.

[373] ჭანტურია/ახვლედიანი/ზოიძე/ჯორბენაძე (რედ), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, 1999. 125-ე მუხლი, გვ. 313.

საქართველოს მთავრობის მიერ (მორატორიუმი). მორატორიუმი ცნობილი იყო ჯერ კიდევ რომის სამართალში. მორატორიუმი არის სახელმწიფო ხელისუფლების განკარგულებით განსაკუთრებული გარემოებების გამო ვალდებულების შესრულების გადავადება (განსაკუთრებული გარემოება შეიძლება იყოს საომარი ან საგანგებო მდგომარეობა და ა.შ.). მორატორიუმი შეიძლება გავრცელდეს განსაზღვრულ ტერიტორიაზე, ვალდებულებათა ცალკეულ სახეებზე, პირთა განსაზღვრულ ჯგუფებზე და სხვა. აღსანიშნავია, რომ მორატორიუმი იწვევს არა მხოლოდ ვალდებულების შესრულების ვადის გადავადებას, არამედ ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერებასაც.[374]

IV.6.7. ვალდებულების ვადამდე (ვადაზე ადრე) შესრულება

ვადებულებითი სამართლის ზოგადი პრინციპების შესაბამისად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას (სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მეორე ნაწილი). ნებისმიერი ვალდებულებისათვის დამახასიათებელია მისი შესრულების დროს არსებობა. შესაბამისად, ვალდებულება უნდა შესრულდეს დათქმულ დროს, რაც წარმოადგენს სწორედაც რომ ვალდებულების ჯეროვანი შესრულების ერთ-ერთ გამოხატულებას.

ვალდებულების შესრულების განსაზღვრული ვადიდან ნებისმიერი გადახვევა, როგორც წესი, განიხილება როგორც ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება, თუკი ასეთი გადახვევის შესახებ არ შეთანხმებულან ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტები. გამონაკლის შემთხვევებში თანამდეროვე სამართალი დასაშვებად მიიჩნევს მოვალის მიერ ვალდებულების ვადამდე შესრულებას.

საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების პრინციპების („უნიდროას პრინციპები") 6.1.5 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, კრედიტორს პატივსადები მიზეზებით შეუძლია უარი განუცხა-

[374] ძლიერიშვილი, ხანდაზმულობის ვადების ზეგავლენა სარჩელზე, 1998, 7.

დოს მოვალეს ვალდებულების ვადამდე შესრულებაზე.[375] ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების შესაბამისად, მხარეს უფლება აქვს უარი განაცხადოს ვალდებულების ვადამდე შესრულების მიღებაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი შესრულების მიღება მის ინტერესებს არ აყენებს მნიშვნელოვან ზიანს.[376]

„საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის შესახებ" გაეროს ვენის კონვენციის 37-ე მუხლის თანახმად,[377] გამყიდველის მიერ ხელშეკრულების საგნის ვადამდე გადაცემის შემთხვევაში, იგი უფლებამოსილია შესრულების შეთანხმებული ვადის დადგომამდე მიაწოდოს მყიდველს საქონლის ის ნაწილი ან რაოდენობა, რაც ნაკლებია შეთანხმებულ ოდენობაზე ან მიაწოდოს ახალი საქონელი მიწოდებულის ნაცვლად, რომელიც არ შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს (ნაკლიანი შესრულება), ანდა გამოასწოროს მიწოდებული საქონლის ნაკლი იმ პირობით, რომ ეს არ გამოიწვევს მყიდველის მიერ არათანაზომიერი ხარჯების გაწევას. თუმცა კი მყიდველს უფლება აქვს კონვენციის შესაბამისად მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

ვალდებულების ვადამდე შესრულების საკითხთან მიმართებით, განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობა შეიძლება დაყოფილ იქნეს ორ ჯგუფად:

პირველი ჯგუფი (პოზიტიური მოწესრიგება) გამოდის იქიდან, რომ ვალდებულების შესრულების ვადა დადგენილია მოვალის ინტერესებისათვის, ამიტომაც დასაშვებად თვლიან მოვალის მიერ ვალდებულების ვადამდე შესრულების დასაშვებობის პრეზუმფციას (საფრანგეთი, გერმანია, ბელგია, ლუქსემბურგი, საბერძნეთი, ჰოლანდია). ამ პრეზუმფციის უარყოფა ხდება კრედიტორის პატივსადები მიზეზების გათვალისწინებით.[378] მაგალითად, საფრან-

---

[375] UNIDROIT, Principles of International Commercial Contracts, Rom, 1994, Uniform Law Review, 2004.

[376] Principles of European Contract Law., Parts I and II, Ed. by Lando, Hugh Beale, 2000, 334.

[377] United Nations Convention on contracts for the Internationale Sale of Goods _ http:www.cisg.ru/content/download/cisg.ru.pdf

[378] ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება, 2006, 60.

გეთის სამოქალაქო კოდექსის 1186-ე მუხლის თანახმად, ვალდებულების ვადამდე შესრულებისას დაუშვებელია შესრულების უკან გამოთხოვა, ამასთან, კრედიტორს არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოვალეს ვადამდე შესრულება.[379] გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 271-ე პარაგრაფის მეორე აბზაცის თანახმად, მოვალეს შეუძლია ვალდებულება შეასრულოს ვადამდე, ხოლო კრედიტორს არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოვალეს ვალდებულების ვადამდე შესრულება.[380] ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსის 6:39-ე მუხლის თანახმად, ვალდებულების შესრულების ვადის პირობა გამორიცხავს კრედიტორის მხრიდან დათქმულ ვადამდე შესრულების მოთხოვნას, ხოლო მოვალის მიერ ვალდებულების ვადამდე შესრულება არ ჩაითვლება ვალდებულების არაჯეროვან შესრულებად.[381]

მეორე ჯგუფი (ნეგატიური მოწესრიგება) ეფუძნება საწინააღმდეგო პრეზუმფციას – მოვალეს არა აქვს უფლება ვალდებულება შეასრულოს ვადამდე (ავსტრია, ესპანეთი, პორტუგალია), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ვალდებულების შესრულების ვადა დადგენილია მოვალის სასარგებლოდ. ზოგიერთ ქვეყანაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ კრედიტორის მიერ შესრულების მიღებაზე უარის თქმის უფლებიდან არ არსებობს არანაირი გამონაკლისი, რაც წარმოადგენს სახელშეკრულებო სამართლის ძირითად პრინციპს (მაგალითად, შვედეთი).[382] განსხვავებული მიდგომაა ამერიკულ სამართალში. მაგალითად, ამერიკის ერთგვაროვანი სავაჭრო კოდექსის 1-208-ე მუხლში გათვალისწინებულია მხარეთა შესაძლებლობა, ხელშეკრულებაში შეიტანონ პირობა იმის შესახებ, რომ ერთ-ერთ მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს ვადამდე გადახდა ან შესრულება.

რომის სამართალი ვალდებულების ვადამდე შესრულებასთან მიმართებით ითვალისწინებდა შემდეგს: ვალდებულების შეს-

---

[379] The French civil code, translated with an introduction by Crabb, Rev. ed. (as amended to I July, 1994). Littleton, Colo, Rothman, 1995.

[380] Bürgerliches Gesetzbuch Deutschlands. http://bundesrecht. juris.de/bgb/

[381] The civil code the Netherlands. Hans Warendorf, Richard Thomas, Jan Curry-Sumner, Alphenean den Rijn, Kluwer Law International, 2009.

[382] Hultmark, A New Approach to International Commercial Contracts, The UNIDROIT Principles of International Commercial Contracts, XVth International Congress of Comparative Law/Ed, by Bonell, The Hague, London, Boston, 1999, 320.

რულების ვადის მითითება შეიძლება მოხდეს როგორც კრედიტორის, ისე მოვალის ინტერესებში: in dubio იგულისხმება ეს უკანასკნელი (diei adjectio pro reo est). ეს ნიშნავს, რომ მოვალე არ არის ვალდებული შეასრულოს ვალდებულება ვადამდე, თუმცა კი, უფლებამოსილია ვადამდე შეასრულოს ვალდებულება, თუკი ამას მოინდომებს. მოვალის მიერ ვალდებულების ვადამდე შესრულებამ კრედიტორს შეიძლება მოუტანოს გაუთვალისწინებელი სარგებელიც კი, გამომდინარე იქიდან, რომ მის მფლობელობაში გადადის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი იმაზე ადრე, ვიდრე ეს განსაზღვრული იყო. საინტერესოა, რომ რომის სამართლის თანამედროვე მკვლევარები ულპიანეზე დაყრდნობით გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ რომის სამართალში დასაშვები იყო ვალდებულების ვადამდე შესრულება, თუმცა კი, დამატებით აღნიშნავენ, რომ საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებული იყო იმაზე, თუ ვის სასარგებლოდ იყო ხელშეკრულებით ვადა განსაზღვრული.[383]

სკ-ის 366-ე მუხლის თანახმად, თუ განსაზღვრულია დრო, მაშინ საეჭვოობისას ივარაუდება, რომ კრედიტორს არ შეუძლია მოთხოვნა ამ ვადამდე, ხოლო მოვალეს შეუძლია ვალდებულების შესრულება ვადამდე.[384] ამ შემთხვევაში შესრულების დრო მოვალის სასარგებლოდ განიმარტება. თუ კრედიტორი არ მიიღებს ასეთ შესრულებას, იგი ჩაითვლება ვადის გადამცილებლად.[385] საეჭვოობა გულისხმობს ისეთ მდგომარეობას, როდესაც განსაზღვრული ვადის დაცვა ეჭვქვეშ დგება მხარეთა ინტერესებიდან გამომდინარე. ასეთ ვითარებაში უპირატესობა ენიჭება სამართლებრივი ტვირთის მატარებელ მხარეს – მოვალეს. სკ-ის 366-ე მუხლის დანაწესი ერთგვარი გამონაკლისია იმ საერთო წესიდან, როცა შესრულება უნდა მოხდეს კანონით ან ხელშეკრულებით განსაზღვრულ დროში, ანდა გარემოებათაგან საგულისხმო დროში.[386]

---

[383] Zimmermann, The Law of Obligations. Roman Foundations of the Civilian Tradition, OXFORD University Press, 1996, P. 751.

[384] ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება, 2006, 60.

[385] ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, 128.

[386] ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/ხეცურიანი/შენგელია (რედ), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, 2001, 366-ე მუხლი, გვ. 293.

სკ-ის 364-ე მუხლის თანახმად, მოვალეს უფლება აქვს ვადამდე შეასრულოს ვალდებულება, თუკი პატივსადები მიზეზით კრედიტორი უარს არ იტყვის შესრულების მიღებაზე. კრედიტორიც უფლებამოსილია უარი თქვას შესრულების მიღებაზე. მოვალის უფლება ვერ განხორციელდება, თუკი სახეზეა კრედიტორის უფლებამოსილების საფუძველი. ამდენად, თუკი კრედიტორს მოვალისათვის უარის სათქმელად აქვს პატივსადები მიზეზი, მოვალეს არა აქვს უფლება ვალდებულება შეასრულოს ვადაზე ადრე. თუკი კრედიტორი უარს ამბობს შესრულების მიღებაზე, ხოლო მოვალე მაინც ასრულებს ვალდებულებას, შესრულება ვერ ჩაითვლება განხორციელებულად. მაგრამ, თუ კრედიტორი მიიღებს ვადაზე ადრე შესრულებას, ვალდებულება ითვლება შესრულებულად.[387]

ვალდებულების ვადამდე შესრულების შეზღუდვები დადგენილია კრედიტორის ინტერესებიდან გამომდინარე, რადგან ივარაუდება, რომ ვალდებულების ვადამდე შესრულებამ კრედიტორს შეიძლება ზიანი მიაყენოს. მართლაც, თუკი კრედიტორს, ხელშეკრულებიდან გამომდინარე, გადასაცემი საქონელი გადაეცემა ვადაზე ადრე, იგი იძულებული ხდება უზრუნველყოს მისი შენახვა, რამაც გარკვეული გარემოებების არსებობისას შეიძლება გამოიწვიოს დამატებითი ხარჯები. ამიტომაც, თითქოსდა, ვადაზე ადრე შესრულება უფრო უკეთესია, არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს ყოველ შემთხვევაში.[388] ცალკეულ შემთხვევაში, მოვალის მიერ ვალდებულების ვადამდე შესრულება, მართალია, არ იწვევს კრედიტორისათვის დამატებით ხარჯებს, მაგრამ შესაძლებელია ეს უკანასკნელი ჩააყენოს უხერხულ სიტუაციაში. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების პრინციპებში („უნიდროას პრინციპები") მოყვანილი შემდეგი შემთხვევა: ა-მ თანხმობა განაცხადა ტექნიკური მომსახურება გაეწია ბ-ს დაწესებულებაში ყველა ლიფტისათვის 15 ოქტომბერს. მოვალის წარმომადგენლები გამოცხადდნენ ბ-ს დაწესებულებაში 14 ოქტომბერს, როდესაც შენობაში მიმდინარეობდა მნიშვნელოვანი შეხვედრები, რომელშიც

---

[387] ზარანდია, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები, 2005, 89.

[388] Савиньи, Обязательственное право (пер. с немецкого), 2004, 354.

მონაწილეობას ღებულობდა მრავალი მონაწილე. ბ-ს უფლება აქვს უარი თქვას ვალდებულების ვადამდე შესრულებაზე.[389]

მაშასადამე, ვალდებულების ვადამდე შესრულების დასაშვებობაზე უნდა ვიმსჯელოთ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე.[390] თუკი ვალდებულების ვადამდე შესრულება კრედიტორს ზიანს აყენებს, მისი უარი ვადამდე შესრულების მიღებაზე გამართლებული იქნება.

ვალდებულების ვადამდე შესრულების მიღებაზე კრედიტორის თანხმობა შეიძლება გამოხატულ იქნეს სხვადასხვაგვარად. შესაძლებელია, თვითონ ხელშეკრულება ითვალისწინებდეს მოვალის მიერ ვალდებულების ვადამდე შესრულების შესაძლებლობას. გარდა ამისა, ვალდებულების ვადამდე შესრულების მიღებაზე კრედიტორის თანხმობა შეიძლება გამომდინარეობდეს ვალდებულების არსიდან. თანხმობა ასევე შეიძლება გამოიხატოს ნებართვის ან მოწონების სახით.

კრედიტორი და მოვალე შეიძლება შეთანხმდნენ კრედიტორის მიერ ვადამდე შესრულების მიღების სხვა პირობებზეც. მაგალითად, ვადამდე შესრულებიდან გამომდინარე, ყველა დამატებითი ხარჯი შესაძლოა დაეკისროს მოვალეს.

საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების პრინციპების („უნიდროას პრინციპები") მე-6.1.5 მუხლის მესამე პუნქტის თანახმად, ვალდებულების ვადამდე შესრულებიდან გამომდინარე, კრედიტორისათვის წარმოშობილი ყველა დამატებითი ხარჯი ეკისრება მოვალეს, ამასთან, კრედიტორს უნარჩუნდება სამართლებრივი დაცვის ყველა სხვა საშუალების გამოყენების უფლება.[391]

ერთგვარ გაურკვევლობას იწვევს შემთხვევები, როდესაც კრედიტორი ვალდებულების ვადამდე შესრულებაზე თანხმობას კონკლიდენტური მოქმედებით აცხადებს. ნიშნავს თუ არა ასეთი თანხმობა მოვალის გათავისუფლებას პასუხისმგებლობისაგან ვალდებულების დარღვევისათვის. ამ საკითხთან დაკავშირებით, „უნიდროას პრინცი-

[389] UNIDROIT, Principles of International Commercial Contracts, Rom, 1994.Uniform Law Review, 2004.

[390] ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება, 2006, 60.

[391] UNIDROIT, Principles of International Commercial Contracts, Rom, 1994, Uniform Law Review, 2004.

პების" კომენტატორები აღნიშნავენ, რომ, თუ კრედიტორი ღებულობს ვადამდე შესრულებას რაიმე დათქმის გარეშე, ასეთ შემთხვევაში, ვადამდე შესრულება ჩაითვლება ვალდებულების ჯეროვან შესრულებად.[392]

ცალკეულ შემთხვევებში, შეიძლება თვით ვალდებულებითი ურთიერთობის ბუნებიდან ჩანდეს ვადამდე შესრულების დაუშვებლობა. მაგალითად, 626-ე მუხლის თანახმად, პროცენტიანი სესხის ვადამდე დაბრუნება დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წინასწარი შეთანხმებით ან კრედიტორის თანხმობით. მაშასადამე, პროცენტიანი სესხის შემთხვევაში კრედიტორი, როგორც წესი, დაინტერესებული არაა, ვადამდე მიიღოს თანხა.[393] ამ შემთხვევაში, დასაბუთებულია სამართლის მიერ კრედიტორის ინტერესების დაცვა ამ შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებით. თუ ფულადი ვალდებულება უპროცენტოა, მისი ვადაზე ადრე შესრულება, როგორც წესი, არ იწვევს კრედიტორისათვის დამატებით ხარჯებს.[394]

ვადამდე შესრულების საკითხი შეიძლება დადგეს ორმხრივ ხელშეკრულებებშიც. ორმხრივია ხელშეკრულება, რომელშიც თითოეულ მხარეს გააჩნია უფლებებიც და ვალდებულებებიც. რა გავლენას ახდენს ერთი მხარის მიერ თავისი ვალდებულების ვადამდე შესრულება მეორე მხარის ვალდებულების შესრულების ვადაზე? საერთაშორისო კომერციულ ხელშეკრულებებში მიღებული პრაქტიკიდან ჩანს, რომ, თუკი ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე ღებულობს ვადამდე შესრულებას, ეს გავლენას არ ახდენს მისი შემხვედრი შესრულების ვადაზე, თუკი ეს ვადა დადგენილია მეორე მხარის ვალდებულებისაგან დამოუკიდებლად („უნიდროას პრინციპების" მე-6.1.5 მუხლის მეორე პუნქტი).[395] სხვა შემთხვევაა, როცა მეორე მხარის

[392] Hultmark, A New Approach to International Commercial Contracts. The UNIDROIT Principles of International Commercial Contracts, XVth International Congress of Comparative Law/Ed. by Bonell, The Hague, London, Boston, 1999. P.323.

[393] ძლიერიშვილი, ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრ. სამართლებრივი ბუნება, 2010, 371.

[394] Principles of European Contract Law, Parts I and II, Ed. by Lando/Beale, 2000, 334.

[395] UNIDROIT, Principles of International Commercial Contracts, Rom, 1994, Uniform Law Review, 2004, ასევე ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების მე-7:103-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, მხარის მიერ ვალდებულების შესრულების ვადამდე მიღება გავლენას არ ახდენს მისი შემხვედრი შესრულების

მხრიდან შესრულება დროში ურთიერთდამოკიდებულია. ამ შემთხ-ვევაში კრედიტორი შეიძლება არ იყოს დაინტერესებული ვადამდე შესრულების მიღებით. მაგალითად, ა კისრულობს ვალდებულებას საქონელი მიაწოდოს ბ-ს 15 მაისს, ხოლო ბ კისრულობს ვალდებუ-ლებას გადაიხადოს საქონლის შეთანხმებული ფასი 30 ივნისს. ა-ს სურს ვალდებულება შეასრულოს – მიაწოდოს საქონელი 10 მაისს. ბ-ს არ გააჩნია ასეთი ვადამდე შესრულების მიღებაზე უარის თქ-მის კანონიერი ინტერესი. ამასთან, ეს გავლენას ვერ მოახდენს ბ-ს მიერ ფასის გადახდის ვადაზე, ვინაიდან იგი დადგენილია საქონლის მიწოდების ვადისაგან დამოუკიდებლად, თუმცა შესაძლებელია, რომ ორმხრივი შესრულება ვადის თვალსაზრისითაც ერთმანეთთან იყოს დაკავშირებული. მაგალითად, ა ვალდებულებას კისრულობს მიაწო-დოს ბ-ს საქონელი 15 მაისს, ხოლო ბ კი ვალდებულია გადაიხადოს საქონლის ფასი „მისი მიწოდებისთანავე". თუკი ა შესთავაზებს ბ-ს საქონლის მიღებას 10 მაისისათვის, ბ-მ, გარემოებებიდან გამომდი-ნარე, შეიძლება უარი განაცხადოს შესრულების ვადამდე მიღებაზე, თუკი მას არ ექნება ამ დროისათვის შეთანხმებული ფასის გადახ-დის შესაძლებლობა. შეიძლება ბ-მ საქონელი მიიღოს იმ დათქმით, რომ ფასს გადაიხდის საქონლის მიწოდების თავდაპირველად შე-თანხმებულ ვადაში, ანუ 15 მაისს.[396]

საქართველოს კანონმდებლობით ღიადაა დატოვებული საკითხი იმის შესახებ, შეიძლება თუ არა, რომ მოვალემ უკან გამოითხო-ვოს ვადამდე განხორციელებული შესრულება. სამოქალაქო ბრუნ-ვის სტაბილურობიდან გამომდინარე, მოვალის მიერ ვადამდე განხ-ორციელებული შესრულების უკან გამოთხოვა დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული, რადგან მოვალისათვის ამ უფლების მინიჭება არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენებდა კრედიტორს, რომელ-მაც თანხმობა განაცხადა შესრულების ვადამდე მიღებაზე.

ვადაზე (Principles of European Contract Law. Parts I and II, Ed. by Lando/Beale, The Hague, London, Boston. Kluwer Law International, 2000, 334.

[396] Принципы международных коммерческих договоров, Пер. с англ. Комарова, 1999, 138-139.

IV.6.8. ზოგადად ვალდებულების დაუყოვნებლივი შესრულების შესახებ

იურიდიულ ლიტერატურაში მიღებულია მოსაზრება, რომ ერთხელ დადგენილი ვადა არ შეიძლება მხარისათვის დაბრკოლებად იქცეს, თუკი მას გააჩნია სამართლიანი საფუძველი მოითხოვოს ვადამდე შესრულება ან შესრულების გადავადება. ვადის დანიშნულება შესრულების უზრუნველყოფაშიცაა. თუკი ვადის დაცვა შესრულებას საფრთხეს შეუქმნის, ვადამდე შესრულების მოთხოვნა მართლზომიერი იქნება. ვადა არ შეიძლება იქცეს შესრულების დამაბრკოლებლად.

სკ-ის 367-ე მუხლის თანახმად, „თუ ვალდებულების შესრულებისათვის მოვალის სასარგებლოდ დადგენილია რაიმე ვადა, კრედიტორს შეუძლია დაუყოვნებლივ მოითხოვოს შესრულება, თუკი მოვალე გადახდისუუნარო გახდა, ან შეპირებული უზრუნველყოფა შეამცირა, ან საერთოდ ვერ წარმოადგინა იგი". აღნიშნულ ნორმაში საუბარია ისეთ შემთხვევებზე, როდესაც შესრულებისათვის მოვალის სასარგებლოდ განსაზღვრულია რაიმე ვადა. ეს ვადა შეიძლება იყოს როგორც კანონისმიერი, ისე მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული.[397] აღნიშნული ნორმა კრედიტორს ანიჭებს დაუყოვნებლივი შესრულების მოთხოვნის უფლებას. დაუყოვნებლივობა ამ შემთხვევაში გულისხმობს, რომ როგორც კი კრედიტორისათვის ცნობილი გახდება ამ მუხლში აღწერილი გარემოებების თაობაზე, იგი უფლებამოსილი ხდება მოსთხოვოს მოვალეს შესრულება.[398] ტერმინს „დაუყოვნებლივ" ორგვარი დატვირთვა აქვს. იგი, ერთი მხრივ, ხაზს უსვამს კრედიტორის შესაძლებლობას, გადაუდებლად მოსთხოვოს მოვალეს ვალდებულების შესრულება. დაუყოვნებლივ მოთხოვნის უფლება ასევე გულისხმობს მოვალის მხრიდან ვალდებულების დაუყოვნებლივ შესრულების ვალდებულებასაც.

დაუყოვნებლივი შესრულება ყოველთვის დროის მცირე მონაკვეთში, ცხადია, ვერ განხორციელდება. ზოგიერთი ვალდებულების შესასრულებლად, თავად მისი ბუნებიდან გამომდინარე, აუცილე-

[397] ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება, 2006, 58.

[398] ზარანდია, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები, 2005, 89.

ბელია გარკვეული დრო (მაგალითად, ნარდობის ხელშეკრულება). ზოგ მათგანს სჭირდება საგანგებო მომზადება (მაგალითად, შესრულების საგნის გაგზავნა). ზოგ შემთხვევაში ვალდებულების შესასრულებლად საჭიროა სხვა პირთა დახმარება (მაგალითად, ფულადი ვალდებულების შესრულება საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის გზით). ზოგჯერ კი ვალდებულების შესრულება დამოკიდებულია კრედიტორის მხრიდან გარკვეული მოქმედების განხორციელებაზე (მაგალითად, კრედიტორი არ ღებულობს შესრულებას). დაუყოვნებლივი შესრულება გულისხმობს მოვალის უშუალო რეაქციას. დაუყოვნებლივ მოქმედებს მხოლოდ ის, ვინც გარკვეული, ობიექტურად საჭირო დროის ფარგლებში მოქმედებს ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად.[399]

კრედიტორის ინტერესებიდან გამომდინარე, ვალდებულების ვადამდე შესრულება კანონმდებლობით გათვალისწინებულია იმ შემთხვევებში, როდესაც არსებობს საფრთხე, რომ, თავდაპირველი ვადის შენარჩუნების შემთხვევაში, ვალდებულება ვერ შესრულდება. ვალდებულებაში შესრულების ვადის განსაზღვრა დაკავშირებულია მოვალის გადახდისუნარიანობის მიმართ კრედიტორის ნდობაზე. თუკი ნათელი ხდება მოვალის გადახდისუნარიანობა, ვადა კარგავს თავის მნიშვნელობას.[400]

IV.7. ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების დრო

ნარდობის ხელშეკრულებით **მენარდის ერთ-ერთ ძირითად ვალდებულებას წარმოადგენს შეთანხმებული სამუშაოს დროულად შესრულება.** ზოგადად, ვალდებულების შესრულების დროდ ითვლება იმ განსაზღვრული მომენტის დადგომა, როდესაც ვალდებულებები შესრულებული უნდა იყოს. ის ჩვეულებრივ განისაზღვრება ხელშეკ-

[399] ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/ხეცურიანი/შენგელია (რედ), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, 2001, 365-ე მუხლი, გვ. 291.

[400] ამავე შინაარსის დებულებას შეიცავს ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსი (მუხლი 6:40) The civil code the Netherlands. Hans Warendorf, Richard Thomas, Jan Curry-Sumner, Alphenean den Rijn. Kluwer Law International, 2009.

რულებით (თუმცა შესაძლებელია შესრულების დრო განსაზღვრული იყოს სასამართლო გადაწყვეტილებით, კანონით ან ცალმხრივი გარიგებითაც).[401]

ყველაზე მეტად გავრცელებულია ვალდებულების შესრულების გარიგებით (ხელშეკრულებით) განსაზღვრული ვადები. ამ შემთხვევაში შესრულების დროზე შეთანხმება შეიძლება აშკარად გამოხატული ან დუმილით ნაგულისხმევი იყოს. ხელშეკრულებით განსაზღვრული შესრულების დრო შეიძლება იყოს როგორც აბსოლუტური, ისე რელატიური ბუნების. აბსოლუტურია ვადა, როდესაც ვადის გადაცილების შემდეგ შესრულება კარგავს ყოველგვარ ინტერესს. მაგალითად, ნარდობის ხელშეკრულებით შეკვეთილი საქორწინო კაბა ქორწინების დღისთვის ან ნამცხვარი დაბადების დღისათვის. რელატიური ვადის შემთხვევაში ვადის გადაცილება აზრს არ უკარგავს ვალდებულების შესრულებას, მხოლოდ ართულებს მას ანუ შესრულება გამოსწორებადია. მაგალითად, ნარდობის ხელშეკრულებით მენარდეს საზაფხულო კაბა უნდა შეეკერა 20 ივნისისათვის, მენარდემ საზაფხულო კაბა შეკერა 22 ივნისისათვის.[402]

არ არის გამორიცხული ისეთი შემთხევვაც, როდესაც სამუშაოს შესრულების ვადას განსაზღვრავს შემკვეთი. ასეთ შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილია მოთხოვნა იმის შესახებ, რომ ვადა უნდა განისაზღვროს სამართლიანობის საფუძველზე. ამდენად, ნარდობის ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ სამუშაოს შესრულებისათვის დაწესებული ვადა მეორე მხარის ინტერესებსაც უნდა შეესაბამებოდეს. დავის შემთხვევაში საკითხს წყვეტს სასამართლო.

ის გარმოება, რომ ნარდობის ხელშეკრულებით ერთი მხარის მიერ ცალმხრივად დაწესებული ვადა მეორე მხარის ინტერესებსაც უნდა შეესაბამებოდეს, ნათლად იკვეთება სკ-ის 347-ე მუხლის „ა" და "ბ" ქვეპუნქტების შინაარსიდანაც, კერძოდ, ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში ბათილად მიიჩნევა დებულება, რომლითაც შემთავაზებელი აწესებს შეთავაზებული წინადადების მიღების

[401] ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება, 2006, 54.

[402] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011,49.

ან უარყოფის ანდა ამა თუ იმ სამუშაოს შესრულების შეუსაბამოდ ხანგრძლივ ან აშკარად მცირე ვადებს. ასევე დებულება, რომლითაც შემთავაზებელი აწესებს მისივე ვალდებულებათა შესასრულებლად კანონით დადგენილი ნორმებისაგან განსხვავებულ შეუსაბამოდ ხანგრძლივ ან აშკარად მცირე ვადებს.

ნარდობის ხელშეკრულებით მხარეებმა შეიძლება განსაზღვრონ არა მხოლოდ სამუშაოთა დასრულების ვადები, არამედ სამუშაოთა დაწყებისა და შუალედური ვადებიც. იმ შემთხვევაში, როდესაც შესრულების დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, მაშინ ნარდობის ხელშეკრულებით, შესრულების დრო განისაზღვრება, როგორც ხელშეკრულების ერთ-ერთი არსებითი პირობა – time is of the essence. თუ ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული არ არის სამუშაოს შესრულების ვადა, მაშინ ვადა უნდა განისაზღვროს გონივრულად. „გონივრული ვადა" წარმოადგენს შეფასებით კატეგორიას. ყველა შემთხვევაში მისი ფარგლები მოიაზრება შესრულების თავისებურებებით.[403]

თუ ნარდობის ხელშეკრულებით განსაზღვრულია შესრულების დრო, მაშინ საეჭვოობისას ივარაუდება, რომ შემკვეთს არ შეუძლია შესრულების მოთხოვნა ამ ვადამდე, ხოლო მენარდეს შეუძლია ვალდებულების შესრულება ვადაზე ადრე. საეჭვოობა გულისხმობს ისეთ მდგომარეობას, როდესაც განსაზღვრული ვადის დაცვა ეჭვის ქვშ დგება მხარეთა ინტერესებიდან გამომდინარე. ასეთ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება მოვალის ინტერესების დაცვს.[404]

განსახილველი შემთხვევისაგან განსხვავდება სკ-ის 364-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა, რომელიც ნარდობასთან მიმართებაში გამოიხატება შემდეგნაირად: მენარდეს უფლება აქვს ვადამდე შეასრულოს ვალდებულება, თუკი პატივსადები მიზეზებით შემკვეთი უარს არ იტყვის შესრულების მიღებაზე. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს ვადამდე შესრულებამ შეიძლება კრედიტორს ზიანი მიაყენოს. ასეთ შემთხვევაში მას ექნება კანონიერი მიზეზი უარი თქვას ვადამდე შესრულების მიღებაზე. თუ სახ-

[403] ზარანდია, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები, 2005, 64

[404] Krüger in MüKo.BGB, Band 2a.,5.Aufl. §271, Rn.27. Bittner, in Staudinger BGB Komm. §271, Rn.3.

ეზეა უარის თქმის დასაბუთებული საფუძველი, მაგრამ მოვალე მაინც ასრულებს ვალდებულებას, ეს მისი შეუსრულებლობის ტოლფასი იქნება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა კრედიტორი მოიწონებს ასეთ შესრულებას.[405]

ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის ერთ-ერთ გავრცელებულ შემთხვევას წარმადგენს ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილება.[406] მენარდის მხრიდან ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებად ითვლება, თუ: ა) შესრულებისათვის დადგენილ დროში ვალდებულება არ შესრულდა; ბ) შესრულების ვადის დადგომიდან შემკვეთის მიერ გაფრთხილების შემდეგაც იგი არ ასრულებს ვალდებულებას.

მენარდის მიერ ვადის გადაცილება ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს დროულ შეუსრულებლობას უკავშირდება. შესრულების დროულობა კი ნარდობის ხელშეკრულებიდან ან კანონიდან შეიძლება გამომდინარეობდეს. თუ შესრულების ვადა არც ხელშეკრულებიდან და არც სხვა გარემოებებიდან არ გამომდინარეობს, მაშინ სკ-ის 365-ე მუხლის თანახმად, შემკვეთს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს ვალდებულების შესრულება, ხოლო მენარდეს შეუძლია იგი ნებისმიერ დროს შეასრულოს. მას შემდეგ, რაც შემკვეთი მოითხოვს ვალდებულების შესრულებას, მენარდე მოვალე გახდება შეასრულოს იგი. თუ შემკვეთის მოთხოვნის მიუხედავად მენარდე არ ასრულებს სამუშაოს, იგი არღვევს ვალდებულებას 394-ე მუხლის I ნაწილის მნიშვნელობით.[407]

მნიშვნელოვანია, რომ შემკვეთმა ვადამოსულობის შემდეგ იმგვარი მოქმედება განახორციელოს, რომელიც მენარდეს შესრულების ვალდებულებას შეახსენებს და მის შესრულებას ვადაგადაცილებულად აქცევს. კანონით გათვალისწინებულ ასეთ მოქმედებას მენარდის გაფრთხილება წარმოადგენს.(სკ-ის 400-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტი). გაფრთხილების შედეგად ფაქტობრივად ვადის გადაც-

---

[405] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 51.

[406] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 20 ოქტომბრის განჩინება საქმეზე #ას-562-871-09.

[407] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 178.

ილება (დაყოვნება) სამართლებრივ ვადის გადაცილებად იქცევა.[408]

გაფრთხილება ვალდებულების შესრულების უპირობო და არაორაზროვან მოთხოვნას წარმოადგენს. გაფრთხილება იმგვარად უნდა იყოს ფორმულირებული, რომ გამორიცხავდეს ყოველგვარ ეჭვს კრედიტორის ინტერესში მიიღოს დროული შესრულება.[409] კრედიტორი არ არის ვალდებული განუმარტოს მოვალეს, რომ შეუსრულებლობის შემთხვევაში იგი მოთხოვნის დაკმაყოფილების მეორად საშუალებებს მიმართავს. თუ ეს ვალდებულების ხასიათს არ ეწინააღმდეგება, კრედიტორს შეუძლია შესრულების მოთხოვნა და გაფრთხილება ერთდროულად, ერთი აქტის მეშვეობით განახორციელოს. თუმცა ვალდებულების შესრულების ვადის დადგომამდე გაკეთებულ გაფრთხილებას სამართლებრივი ძალა არა აქვს, მაშინაც კი თუ იგი უპირატესად ვადის დაზუსტებას ისახავს მიზნად. გაფრთხილება არ გულისხმობს გარკვეული ვადის დადგენას.[410] თუმცა კრედიტორს შეუძლია დაადგინოს დამატებითი ვადა (სკ-ის 394-ე მუხლის II ნაწილი), რომლის ამოწურვამდეც ვადა არ ჩაითვლება გადაცილებულად. ეს ვადა უნდა იყოს გონივრული, რომლის განმავლობაშიც კრედიტორი მეორადი მოთხოვნის დაყენების უფლებაში იზღუდება.[411] კრედიტორს ასევე უფლება აქვს, დამატებითი ვადა ვალდებულების დროულად შესრულების პირობით დააწესოს, რა შემთხვევაშიც, თუ მოვალე ვალდებულებას დამატებითი ვადის განმავლობაში არ შეასრულებს, ვადა გადაცილებულად ჩაითვლება გაფრთხილების მომენტიდან (ex tunc).[412]

შესრულების ვალდებულება უნდა იყოს ნამდვილი, ვადამოსული და მას არ უნდა უპირისპირდებოდეს მენარდის პრეტენზია. თუ შემკვეთის მოთხოვნას მენარდის პრეტენზია უპირისპირდება (მაგ-

---

[408] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 23 იანვრის განჩინება საქმეზე #ას-954-1260-07.

[409] Ernst, in MüKo.BGB, Band 2a.,5.Aufl. §286, Rn.48ff.

[410] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2006 წლის 20 იანვრის განჩინება საქმეზე #ას-946-1203-05.

[411] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 8 ივნისის განჩინება საქმეზე #ას-48-401-07.

[412] Medicus/Lorenz, Schuldrecht. Allgemeiner Teil, 18. Auflage, 2008, 399.

ალითად, საპასუხო ვალდებულების შეუსრულებლობა), ვადა გადაცილებულად არ ჩაითვლება. იგივე წესი მოქმედებს მაშინაც, როცა შესრულების დაყოვნება თავად შემკვეთის ბრალითაა გამოწვეული ან მან არ განახორციელა ის ქმედება, რომელიც მას ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე უნდა შეესრულებინა (სკ-ის 369-ე, 633-ე I მუხლები). შემკვეთის მხრიდან გაკეთებულ გაფრთხილებას სამართლებრივი ძალა არ ექნება, თუ მას ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე საპირისპირო ვალდებულება არ შეუსრულებია (მაგალითად, როცა სამუშაოს შესრულება ხდება შემკვეთის მასალით და შემკვეთმა არ მიაწოდა მენარდეს საკმარისი მასალა, ან არ შეცვალა უხარისხო მასალა).[413]

ყველა შემთხვევაში, მენარდის მიერ სკ-ის 629-I, 394-I-ისა და მე-400 მუხლის პირობათა დარღვევა ვადის გადაცილებას წარმოადგენს და მენარდე ვალდებულია სკ-ის 404-ე მუხლის საფუძველზე აუნაზღაუროს კრედიტორს ვადის გაადცილებით მიყენებული ზიანი (mora debitoris).[414]

თუ ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებისათვის დადგენილია კონკრეტული კალენდარული თარიღი ან მოვლენა და ვალდებულება არ სრულდება, შესრულების ვადა ითვლება ავტომატურად გადაცილებულად და შემკვეთი აღარ არის ვალდებული გააფრთხილოს მენარდე (dies interpellat pro homine). თუმცა მას შეუძლია განსაზღვროს დამატებითი ვადა სამუშაოს შესრულებისათვის და დაელოდოს შესრულებას (სკ-ის 394-ე მუხლის II ნაწილი). დამატებითი ვადის დაწესების აუცილებლობა არ არსებობს ე.წ. „აბსოლუტურად ფიქსირებული" (absolutes Fixgeschäft)[415] ვალდებულების შემთხვევაში, როდესაც ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს დროულად შეუსრულებლობა, როგორც წესი, შესრულების შეუძლებლობას იწვევს (მაგალითად, საქორწილო კაბის შეკერვა ქორწილის შემდეგ; საკონდიტრო ნაწარმის დამზადება დაბადების დღის შემდეგ და ა.შ.) ასეთ შემთხვევაში,

[413] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 179.

[414] ბიოლინგი,ჰ/ლუტრინგჰაუსი, პ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნების სისტემური ანალიზი, 2009, 41.

[415] Ernst, in MüKo.BGB, Band 2a.,5.Aufl. §286, Rn.55.

შემკვეთს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე (სკ-ის 405-ე მუხლის II ნაწილის „ა" ქვეპუნქტი) და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ არ გაიზიარა მენარდის პოზიცია იმის თაობაზე, რომ „ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების ვალდებულების დარღვევა გამოწვეულია დაუძლეველი ძალით".[416]

[416] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 3 თებერვლის განჩინება საქმეზე №ას -1303-1223-2015.

თავი V. ნარდობის ხელშეკრულების გამიჯვნა სხვა მსგავსი ხელშეკრულებებისაგან

V.1 ნარდობის ხელშეკრულების გამიჯვნა შრომის ხელშეკრულებისაგან.

რადგან ნარდობის ხელშეკრულება ითვალისწინებს მენარდის მიერ შემკვეთისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებას,[417] ამიტომ საჭიროა ნარდობისა და შრომის ხელშეკრულებათა ურთიერთგამიჯვნა. შრომითი ურთიერთობებისა და სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების გამიჯვნა ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად რჩება კერძო სამართლის ინსტიტუტების ურთიერთგამიჯვნის პრობლემის შესწავლისა და კვლევის თვალსაზრისით.[418] ამ ფაქტს ადასტურებს სასამართლო პრაქტიკაც, სადაც ხელშეკრულების მხარეები ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციებზე დგანან მათ შორის შემდგარი შეთანხმების დაკვალიფიცირებასთან დაკავშირებით. ნარდობის ხელშეკრულება განეკუთვნება სამუშაოს შესრულების ტიპის ხელშეკრულებას, რაც იმას ნიშნავს, რომ ნარდობა მოიცავს არა მხოლოდ სამუშაოს შედეგს, არამედ სამუშაოს შესრულების მიმდინარეობასაც.[419]

შეიძლება ითქვას, რომ შრომითი ურთიერთობა უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე შრომის ხელშეკრულება. მასში მოიაზრება ყველა ის ურთიერთობა, სადაც შრომა გაწეულია ერთი პირის მიერ მეორეს სასარგებლოდ შემხვედრი ანაზღაურების სანაცვლოდ. ზოგიერთი მეცნიერი ერთმანეთისაგან განასხვავებს შრომის ხელშეკრულებას (contract of labour) და დასაქმების ხელშეკრულებას (employment contract), იმ თვალსაზრისით, რომ შრომის ხელშეკრულებამ შეიძლება მოიცვას ყველა კერძოსამართლებრივი ურთიერთობა, სადაც კი იქმნება ერთი პირის მიერ მეორესადმი შრომის გაწევა.[420] ამ პრობ-

---

[417] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 32.

[418] ქარდავა, შრომისა და ნარდობის ხელშეკრულების ურთიერთმიმართების საკითხისათვის, სამართლის ჟურნალი, 2/2009, 210.

[419] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 3 იანვრის განჩინება საქმეზე №ას-719-678-2011.

[420] ქარდავა, შრომისა და ნარდობის ხელშეკრულების ურთიერთმიმართების საკითხისათვის, სამართლის ჟურნალი, 2/2009, 211.

ლემატიკაზე მუშაობისას აუცილებელია აღინიშნოს, რომ სხვადასხვა სამართლებრივი სისტემა სხვადასხვა ტერმინს იყენებს, თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში მოყვანილი ერთი ზოგადი ტერმინი „ინდივიდუალური კონტრაქტორი" (individual contractor) – საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ცნობილია როგორც „მენარდე".[421]

კოლექტიური შრომის ხელშეკრულება, ინდივიდუალური შრომის ხელშეკრულება, ნარდობის ხელშეკრულება, დავალების ხელშეკრულება, შუამავლობის ხელშეკრულება და ა.შ. ამ გარიგებებში ურთთიერთობები ერთმანეთისაგან განსხვავდება მხარეთა უფლებრივი თუ ფინანსური მდგომარეობით, ხელშეკრულების პირობების ჩამოყალიბებისა და შეთავაზების შესაძლებლობებით, ხელშეკრულების დადების, შეწყვეტის, შეცვლის ფაქტორებზე მხარეთა მიერ ზემოქმედების მოხდენის ხარისხით, შეთანხმების საგნით, ვადით, ჩასატარებელი სამუშაოს ბუნებით, მოცულობით, ხანგრძლივობით, ანაზღაურების სისტემით და სხვა ასპექტებით, რაც არის კიდეც სამართლებრივი მოწესრიგების განსხვავებული მოდელების არსებობის საფუძველი.[422]

შრომის ხელშეკრულების გამიჯვნას სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულებებისაგან დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს,[423] რამდენადაც დასაქმებულისათვის შრომის კანონმდებლობით დადგენილი უფლება-მოვალეობების წარმოშობა უკავშირდება შრომის ხელშეკრულების და არა სხვა სახის ხელშეკრულების დადებას.[424]

ნარდობისა და შრომის ხელშეკრულებებს შორის განსხვავება მდგომარეობს შემდეგში:

1) ნარდობის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მენარდის შრომის შედეგი (რეზულტატი), ამასთან, მენარდის შრომა შეიძლება ითვალისწინებდეს ახალი ნივთის დამზადებას (ავეჯი), შექმნას (ნაგებობის აშენება), ნივთის შეცვლას, აღდგენას, შეკეთებას, გა-

[421] დუმბაძე, ნარდობის ხელშეკრულება, როგორც შრომითი ხელშეკრულების დადების გვერდის ავლის საშუალება, შრომის სამართლის სტატიათა კრებული, 2014 ,304

[422] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 33.

[423] გოლოშვილი, შრომის სამართალი, 2000, 72.

[424] ძამუკაშვილი, შრომის სამართალი, 2013, 228.

დაკეთებას, გადამუშავებას, სხვა სახის სამუშაოს შეს-რულებას (გარეცხვა, გაწმენდა და ა.შ.). ნარდობის ხელშეკრულება ორიენ-ტირებულია კონკრეტული შედეგის მიღწევაზე, რომელშიც სამუშ-აოს შესრულების პროცესს ნაკლები ყურადღება ექცევა. შრომის ხელშეკრულებით კი მუშაკი ვალდებულია შეასრულოს განსაზღვრუ-ლი სამუშაო დაკავებული თანამდებობის, პროფესიის თუ კვალიფი-კაციის მიხედვით, მაგრამ სამუშაოს შედეგი, როგორც ასეთი, არ წარმოადგენს შრომის ხელშეკრულების საგანს, რამეთუ განსხვავე-ბით ნარდობისაგან, შრომის ხელშეკრულებით სამუშაოს შედეგის (რეზულტატის) გადაცემა არ ხდება.[425]

2) შრომის ხელშეკრულების და ნარდობის ხელშეკრულების სა-განია სამუშაოს შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ. სამუშაოს შესრულების პროცესი და შედეგი არის კიდეც ხელშეკრულების საგანი, რომელიც ურთიერთობათა გამიჯვნის კრიტერიუმად უნდა იქნეს მიჩნეული. თუ ნარდობის ხელშეკრულება მიზნად ისახავს არა ნაკეთობის დამზადებას, არამედ კონკრეტული სამუშაოს შესრულე-ბას, მისი გამიჯვნა შრომითი ურთიერთობისაგან უნდა მოხდეს ის-ეთი კრიტერიუმების დადგენით, როგორიცაა სამუშაოს ერთჯერადი ხასიათი, ერთი კონკრეტული შედეგი, რომლის დადგომისთანავე ხელშეკრულება წყდება. ნარდობის ხელშეკრულების დროს შემკვე-თისათვის მნიშვნელოვანია მხოლოდ მომენტალური ან სწრაფ რე-ჟიმში დამდგარი რეზულტატი და არა პროცესი.

3) ნარდობის და შრომის ხელშეკრულებათა გამიჯვნის ერთ-ერთ პრინციპს წარმოადგენს დაქვემდებარება. დაქვემდებარების პირობებში მუშაობა ნიშნავს ერთი პირის მიერ შრომის გაწევას მეორე პირის მითითებებისა და ზედამხედველობის ქვეშ. პირი უმეტესწილად კვალიფიცირდება როგორც დასაქმებული, თუკი დამსაქმებელს აქვს უფლება, აკონტროლოს მოქმედების მეთოდი და რეზულტატი. შრომის ხელშეკრულებაში დასაქმებული არის დამ-საქმებლის მიერ დაქირავებული პირი, რომელიც დამსაქმებლისადმი ერთგვარ დაქვემდებარებაში იმყოფება.[426] მხდველობშია მისაღები,

---

[425] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 34.
[426] ზაალიშვილი, სამომხმარებლო და შრომითი ხელშეკრულებების კოლიზიურ-სამართლებრივი ასპექტები, ქართული სამართლის მიმოხილვა, 7/2004-4. 676.

რომ საუბარია მენარდის არა აბსოლუტურ, არამედ შეფარდებით დამოუკიდებლობაზე. ცალკეულ შემთხვევებში, მათ შორის საკანონმდებლო დონეზე, გათვალისწინებულია შემკვეთის უფლება შესასრულებელ სამუშაოთა მიმდინარეობაზე გარკვეული სახის კონტროლის განხორციელების თვალსაზრისით. კონტროლისა თუ ზედამხედველობის შედეგი შეიძლება იყოს შემკვეთის მოთხოვნა მენარდის მიმართ, რომ მენარდემ განსაზღვრულ ვადაში აღმოფხვრას აღმოჩენილი ნაკლოვანებები, წინააღმდეგ შემთხვევაში, შემკვეთს შეუძლია სამუშაოთა შესრულება დაავალოს მესამე პირს. ამასთან, დამატებითი ხარჯები და რისკი ეკისრება თავდაპირველ მენარდეს.

4) დაქვემდებარებულ მდგომარეობაში საქმიანობასთან დაკავშირებულია ისეთი ცნებები, როგორიცაა ზედამხედველობა და კონტროლი, რაც გულისხმობს: დადგენილი წესრიგისადმი დასაქმებულის დისციპლინარულ დამოკიდებულებას, სამუშაოს შესრულების დროსა და ხარისხს, დასაქმებულის პიროვნული თვისებებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების სამუშაო სპეციფიკასთან შესაბამისობას, საერთო საქმიანობაში ინტეგრირებას, აგრეთვე სუბორდინაციულ და იერარქიულ ურთიერთობებს. დამსაქმებელი აღჭურვილია მუშაობის პროცესზე კონტროლით, დასაქმებული კი შებოჭილია დამსაქმებლის მითითებებით.[427] შრომის ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, ნარდობის ხელშეკრულების დროს ძალაუფლებისა და დაქვემდებარების ფაქტორი არ წარმოიშობა და მხარეები თანასწორუფლებიან მდგომარეობაში იმყოფებიან, რასაც არა მარტო ხელშეკრულების დადების, არამედ მთელი პროცესის ხასიათიც ადასტურებს. მენარდე შემკვეთისაგან ქონებრივად და ორგანიზაციულადაა დამოუკიდებელი და მას არ ექვემდებარება. მენარდე არ არის ვალდებული ყოველდღიური ანგარიში წარუდგინოს შემკვეთს სამუშაოს შესრულების თაობაზე ან ზოგადად, სამუშაო პროცესზე, რომელიც ადვილი შესაძლებელია, კომერციული საიდუმლოც იყოს. მენარდესა და შემკვეთს შორის არ არსებობს იერარქიისა და სუბორდინაციის რეჟიმი. მისი ანგარიშვალდებულება გამოიხატება შეკვეთილი სამუშაოს საბოლოო შედეგის (რეზულტატის) სახით მიწოდებით. რეზულტატის დადგომის დღემდე შემკვეთი, როგორც

[427] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 35.

წესი, არ არის უფლებამოსილი შეამოწმოს, კონტროლი გაუწიოს მენარდის მუშაობის პროცესს, სამუშაო რეჟიმს. მენარდეს გააჩნია ავტონომიია და მისი მოქმედების თავისუფლების ხარისხიც, დასაქმებულთან შედარებით,მაღალია. მენარდე პასუხისმგებლობას იღებს მხოლოდ მოთხოვნილ რეზულტატზე და არ იმყოფება შემკვეთის კონტროლის ქვეშ.[428] ხელშეკრულების დადების საფუძველზე მხარეები იბოჭებიან მოქმედებებში, რაც დაბალანსებულია წინასწარ განსაზღვრული შედეგის მიღების სურვილით. ხელშეკრულება არის ძირითადი მტკიცებულება, რომ მხარეებმა ხელშეკრულებაშივე ჩადეს მათთვის მისაღები, სასურველი ურთიერთობების სქემა. ამიტომაც, პირობების შეთანხმების პროცესში მხარეები თანაბრად უნდა მონაწილეობდნენ. შრომის ხელშეკრულების დადებისას დასაქმებული მოკლებულია შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღოს ხელშეკრულების ყველა პირობის განსაზღვრაში. ნარდობის ხელშეკრულების დადებისას ხელშეკრულების შინაარსის ჩამოყალიბებაში მხარეთა მონაწილეობის ხარისხი თანაბარია, კონსენსუსი მიიღწევა ორმხრივად თავისუფალი ნების გამოვლენის საფუძველზე, რისი დეფიციტიც ნამდვილად არის შრომით ურთიერთობებში.

5) ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე სამუშაოს ასრულებს შემკვეთის ან საკუთარი მასალით.[429] უმეტეს შემთხვევაში მენარდე იყენებს საკუთარ მატერიალურ რესურსებსა და შესაძლებლოებებს შედეგის დადგომის მიზნით. გარდა ამისა, მენარდეს ეკისრება შესრულებული სამუშაოს შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკი შემკვეთისათვის გადაცემამდე. შრომით ურთიერთობებში კი ქონება, რომელიც შეადგენს მუშაკის (დასაქმებულის) შრომის ბაზას, წარმოადგენს დამსაქმებლის საკუთრებას. დასაქმებულს არ ეკისრება ასევე შესრულებული სამუშაოს დაღუპვის რისკი. შრომის ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, რეზულტატთან ერთად, თუ ის ნაკეთობის სახით არის წარმოდგენილი, მენარდე შემკვეთს გადასცემს ნივთზე საკუთრებას.[430]

---

[428] Shantimal, Contract of Servise and Contract for Servise, 2003.

[429] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 21 ივნისის განჩინება საქმეზე #ას-693-650-2012.

[430] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 1 ივლისის განჩინება საქმეზე #ას- 539-512-2013.

6) შრომის პროცესთანაა დაკავშირებული ისეთი არსებითი დეტალი, როგორიცაა სამუშაოს შესრულება პირადად თუ მესამე პირის დახმარებით, შრომის ხელშეკრულების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა სამუშაოს შესრულება პირადად დასაქმებულის მიერ. დასაქმებული შეიძლება დროებით შეცვალოს მესამე პირმა, ისიც კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში (დეკრეტული შვებულება, დროებითი შრომისუუნარობა, სასწავლო შვებულება და სხვა). ნარდობის ხელშეკრულებით კი მენარდემ პირადად უნდა შეასრულოს სამუშაო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გამომდინარეობს სამუშაოს არსიდან ან მხარეთა შეთანხმებიდან. სხვა შემთხ-ვევაში მენარდეს შეუძლია გამოიყენოს მესამე პირები შეკვეთილი სამუშაოს შესასრულებლად, რაც ხორციელდება ქვენარდობის ხელშეკრულებით, ასეთ შემთხვევაში მენარდე გენერალური მენარდეა, რომელიც პასუხისმგებლობას კისრულობს მესამე პირების მიერ შესრულებული სამუშაოსათვის.[431]

7) შრომის ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, ნარდობის ხელშეკრულება არ შეიძლება უვადოდ დაიდოს. მისთვის არსებითია სამუშაოს შესრულების კონკრეტული ვადების დადგენა, რაც პირდაპირი თუ ირიბი ჩანაწერებიდან გამომდინარეობს. ნარდობის ხელშეკრულებით განისაზღვრება სამუშაოს შესრულების დაწყებისა და დამთავრების ვადა. სამუშაოს შედეგის დათქმულ დროს მიუღებლობა იწვევს შემკვეთის პასუხისმგებლობას.

აღსანიშნავია, რომ გერმანიის სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული შრომითი ურთიერთობები[432] იყოფა ორ ძირითად ჯგუფად, კერძოდ, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის წიგნი II – ვალდებულებითი სამართალი, განყოფილება VIII -ცალკეული ვალდებულებები, ტიტული VIII გათვალისწინებულია მომსახურების (შრომითი) ხელშეკრულება – Dienstvertrag- §611-630, ხოლო IX ტიტულით კი გათვალისწინებულია ნარდობისა და მსგავსი ხელშეკრულებების სამართლებრივი მოწესრიგება.[433] IX ტიტულის I ქვეტი-

[431] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 38.
[432] Zänker, Der Funktionnswandel des Werkvertragsrechts _ Der Werkvertrag als Regelungsgefüge für Arbeit, Baden-Baden, 2006.
[433] Meub, Schuldrechtsreform: Das neue Werkvertragsrecht; DB 2002, 131-134.

ტული შეეხება სწორედ ნარდობის – Werkvertrag ხელშეკრულებას,[434] რომელსაც ეთმობა[435] გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 631-651-ე პარაგრაფები.[436]

V.2. ნარდობის ხელშეკრულების გამიჯვნა მომსახურეობის გაწევის ხელშეკრულებებისაგან.

ნარდობის ხელშეკრულებასთან ახლოს დგას მომსახურების ხელშეკრულება, რომლითაც ერთი მხარე მომსახურებას უწევს მეორე მხარეს სათანადო ანაზღაურების მიღებით.[437] განსხვავება ამ ორ ხელშეკრულებას შორის მდგომარეობს შემდეგში: ნარდობის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მენარდის მიერ შესრულებული სამუშაოს შედეგი (რეზულტატი). მაშასადამე, ნარდობის ხელშეკრულება აგებულია შემდეგი ფორმულით: თუ არ არის სახეზე შესრულებული შედეგი, მაშინ ადგილი აქვს სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობას. რაც შეეხება მომსახურების ხელშეკრულებას მისი შედეგი ატარებს არამატერიალურ ხასიათს. მომსახურების ხელშეკრულებებს მიეკუთვნება კავშირგაბმულობის, სამედიცინო, აუდიტის, საკონსულტაციო, საინფორმაციო, საშუამავლო, ტურისტული მომსახურება და სხვა მისი მსგავსი ხელშეკრულებები.[438] (კომპანიის დირექტორთან დადებული სასამსახურო ხელშეკრულების[439] სამართლებრივი ბუნების შესახებ დაწვრილებით იხილეთ).[440]

ერთ-ერთ საქმეზე დადგენილი გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის

[434] Preussner, Das neue Werkvertragsrecht im BGB 2002; BauR 2002, 231-242.

[435] Reinkenhof, Das neue Werkvertragsrecht; Jura 2002, 433-438.

[436] Busche, in MüKo.BGB, Band 4.,5.Aufl. §631, Rn.2.

[437] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 ნლის 24 ოქტომბრის განჩინება საქმეზე #ას-307-291-2011.

[438] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 39.

[439] ბურდული, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი მეორე, 2013, 374.

[440] ლაზარაშვილი, სასამსახურო ხელშეკრულება საწარმოს დირექტორთან. პარტნიორი და დირექტორი შიდასაზოგაოებრივ ურთიერთობებში, ნიგნში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები,2009, 315.

პირველი ნაწილით, 317-ე მუხლის პირველი ნაწილით, 629-ე მუხლით და სადავო ურთიერთობა მომსახურების (ნარდობის) ხელშეკრულებად მიიჩნია. სააპელაციო პალატამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე, 103-ე, 105-ე მუხლებზე დაყრდნობით განმარტა, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება შეჯიბრებითობის პრინციპზე უნდა განხორციელდეს, რომლის თანახმადაც, თითოეული მხარე სარგებლობს თანაბარი შესაძლებლობით, რათა განკარგონ ფაქტობრივი გარემოებების დადგენის საპროცესო საშუალებები. სამოქალაქო სამართალწარმოებაში თითოეული მხარის უფლებრივ ტვირთს წარმოადგენს იმ ფაქტების მითითება და დამტკიცება, რომლითაც მხარეებს სურთ დაასაბუთონ თავიანთი სასარჩელო მოთხოვნები ან გააქარწყლონ სასარჩელო მოთხოვნათა დასასაბუთებლად მითითებული ფაქტობრივი გარემოებები. სასამართლოს შეფასებით, მოცემულ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა აპელანტს, მას კი არ წარუდგენია თავისი მოთხოვნის დამადასტურებელი მტკიცებულებები.[441]

რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს როგორც ნარდობის (მუხლი 702), ისე მომსახურების ტიპის ხელშეკრულების (772-ე მუხლი) ლეგალურ დეფინიციებს. ასე მაგალითად, რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის 772-ე მუხლის თანახმად, ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე მოვალეა შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია მიიღოს შესრულებული სამუშაოს შედეგი და გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური. იმავე კოდექსის 779-ე მუხლის თანახმად კი, სასყიდლიანი მომსახურების ხელშეკრულებით შემსრულებელი მოვალეა დავალებით გაუწიოს მომსახურება (შეასრულოს რაიმე მოქმედება ან განახორციელოს რაიმე საქმიანობა), ხოლო შემკვეთი მოვალეა გაწეული მომსახურებისათვის გადაიხადოს საზღაური.[442]

გერმანიაში ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს ნარდობის ხელშეკრულების გამიჯვნა სასყიდლიანი მომსახურების ხელშეკ-

[441] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 9 ოქტომბრის განჩინება საქმეზე # ას-1673-1569-2013.

[442] Гражданский Кодекс РФ. М., 2006. http://www.garweb.ru/project/law/doc/10064072/10064072-001.htm

რულებისაგან. ამ საკითხთან მიმართებაში მნიშვნელოვანია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 631-ე, 649-ე და 628-ე პარაგრაფების შედარებითი ანალიზი, რომელიც მოცემულია გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებში. გერმანიის ფედერალურმა უზენაესმა სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებებით დაადგინა მთელი რიგი ძირითადი დებულებები, რომლებიც გამოყენებული უნდა იქნეს ნარდობისა და სასყიდლიანი მომსახურების ხელშეკრულებების გასამიჯვნად.[443]

მოვიყვანოთ მაგალითი გერმანიის სასამართლო პრაქტიკიდან: გერმანიაში მხარეთა შორის დადებული იყო ხელშეკრულება სახლის მშენებლობის შესახებ. ხელშეკრულების თანახმად, ერთ-ერთ მხარეს – არქიტექტორს უნდა შეედგინა ასაშენებელი სახლის პროექტი და ხელმძღვანელობა გაეწია სამშენებლო სამუშაოებისათვის, ხოლო მეორე მხარეს კი უნდა გადაეხადა საზღაური 50 ათასის ოდენობით. პირველი სართულის აშენების შემდეგ, სახლის მშენებლობა შეჩერდა ფინანსური სიძნელეების გამო, შემდგომში მშენებლობა განახლდა, მაგრამ უკვე სხვა არქიტექტორის ხელმძღვანელობით. თავდაპირველმა არქიტექტორმა სარჩელით მიმართა სასაამრთლოს და გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 649-ე პარაგრაფზე დაყრდნობით შემკვეთისაგან მოითხოვა გასამრჯელოს გადახდა. აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს მენარდის უფლებას, მოითხოვოს შემკვთის მხრიდან ნარდობის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ხელშეკრულებით გათვალისწინებული მთლიანი საზღაურის გადახდა. მოსარჩელემ თავისი მოთხოვნის დასასაბუთებლად მიუთითა იმ გარემოებებზე, რომ მან თავისი ვალდებულებები ძირითადად შეასრულა. მოპასუხემ თავის შესაგებელში მიუთითა, რომ მოსარჩელემ დაარღვია ხელშეკრულება, რამაც მოპასუხეს მიაყენა ზიანი, ამიტომ გასამრჯელოს სახით მოსარჩელეს ეკუთვნის შეთანხმებული თანხის 3/8 ნაწილი.

მიწის სასამართლომ მოსარჩელეს მოთხოვნა დააკმაყოფილა ნაწილობრივ და მოპასუხეს დააკისრა 32500 პირობითი ერთეული თანხის გადახდა.

მოსარჩელემ გადაწყვეტილება გაასაჩივრა მიწის ზემდგომ სა-

[443] BGHZ 31, 224 26.11.1959. BGHZ 62, 204 07.03. 1974. BGHZ 82, 105 22.10.1981.

სამართლოში სააპელაციო საჩივრის შეტანის გზით. ზემდგომმა სასამართლომ უცვლელად დატოვა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. ორივე ინსტანციის სასამართლომ მოდავე მხარეთა შორის შეთანხმება განიხილა როგორც **მომსახურების გაწევის ხელშეკრულება,** ამიტომაც გამოიყენეს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 628-ე პარაგრაფი, რომელიც ითვალისწინებს შემსრულებლის უფლებას მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტამდე შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება. აღნიშნული საქმე გახდა ფედერალურ უზენაეს სასამართლოში სარევიზიო წარმოების საგანი. ფედერალურმა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში ჩამოაყალიბა რიგი საერთო დებულებები, რომლებიც შეეხება იმ პრობლემას, როგორიცაა ნარდობის ხელშეკრულების გამიჯვნა მომსახურების ხელშეკრულებისაგან.

ფედერალურმა სასამართლომ განმარტა, რომ არქიტექტორთან მსგავსი ტიპის ხელშეკრულების დადებისას (Architektenvertrage), ხშირად პირდაპირ არის აღნიშნული, რომ ამ შეთანხმების მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს ნარდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმები. მხარეთა ასეთი შეთანხმება, მიუხედავად მათ შორის აღმოცენებული ურთიერთობების რეალური ბუნებისა, ფედერალური სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, ითვლება ნამდვილად. თუმცა კი, მოცემულ საქმეში ნარდობის ხელშეკრულების დანაწესების გამოყენებაზე არ ყოფილა არანაირი დათქმა, ამიტომაც წარმოიშვა სადავო ურთიერთობათა სამართლებრივი ბუნების გამოკვლევის საჭიროება (აუცილებლობა).

ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ შემკვეთსა და არქიტექტორს შორის დადებულ ხელშეკრულებას შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული შინაარსი. ერთ შემთხვევაში, არქიტექტორის მოვალეობა შეიძლება შემოიფარგლებოდეს მხოლოდ მშენებლობის პროექტის მომზადებით, ისე, რომ მას არ დაეკისროს სამუშაოთა წარმოების ხელმძღვანელობის შესრულების ვალდებულება. იმ შემთხვევაში კი, როდესაც შემკვეთს უკვე გააჩნია პროექტი, არქიტექტორის ვალდებულებას წარმოადგენს ხელმძღვანელობა და კონტროლი გაუწიოს სამუშაოთა შესრულებისა და მიმდინარეობის პროცესს (განახორციელოს სამუშაოთა მწარმოებლის ფუნქცია).

განსახილველ შემთხვევაში კი ადგილი ჰქონდა არქიტექტორთან დადებული ხელშეკრულების უფრო მეტად გავრცელებულ ვარიანტს, რომელიც ითვალისწინებდა საარქიტექტორო სამუშაოების – პროექტის შედგენიდან პროექტის რეალურ განხორციელებამდე – მთელი კომპლექსის შესრულების ვალდებულებას.

ფედერალური სასამართლოს აზრით, ასეთი ხელშეკრულებები განხილული უნდა იქნეს, არა როგორც სასყიდლიანი მომსახურების ხელეკრულება, არამედ როგორც ნარდობის ხელშეკრულება. არ არსებობს ეჭვის შეტანის არანაირი საფუძველი იმაში, რომ არქიტექტორის მიერ შედგენილი ასაშენებელი სახლის პროექტი, წარმოადგენს ნარდობის ხელშეკრულების ობიექტს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 631-ე პარაგრაფის შესაბამისად. ამ პროექტში გამოიხატება არქიტექტორის ინტელექტუალური შრომის შედეგი. მისი, როგორც ნარდობის ხელშეკრულების ძირითადი ელემენტის სამართლებრივი მნიშვნელობა სრულიადაც არ კნინდება იმის გამო, თუ არქიტექტორი იმავდროულად რეალიზებას გაუკეთებს მის მიერ შექმნილ პროექტს და ამასთან ერთად, ხელმძღვანელობას და კონტროლს უწევს სამშენებლო სამუშაოთა მიმდინარეობის პროცესს. ფედერალურმა სასამართლომ საჭიროდ მიიჩნია გადაეხვია იმპერიის სასამართლოს პრაქტიკისაგან, რომელიც თვლიდა, რომ პროექტი წარმოადგენდა მხოლოდ და მხოლოდ არქიტექტორის რეალური სამუშაოს – მშენებლობის ხელმძღვანელობა – მოსამზადებელ ეტაპს და ამიტომაც არქიტექტორთან მიღწეულ კომპლექსურ შეთანხმებას განმარტავდა, როგორც მომსახურების გაწევის ხელშეკრულებას. ამ პოზიციის მცდარობა ფედერალური სასამართლოს აზრით იმაში მდგომარეობდა, რომ იგი იგნორირებას უწევდა არქიტექტორის შემოქმედებითი საქმიანობის მნიშვნელობას, რომელსაც ხელშეკრულების მონაწილეები ჩვეულებრივ განიხილავენ, როგორც მათი შეთანხმების მნიშვნელოვან ნაწილს.

არქიტექტორისათვის პროექტის მომზადების დავალება, ასევე სამშენებლო სამუშაოების განხორციელებაზე ზედამხედველობის დაკისრება ემსახურება იმ შედეგის მიღწევას, რომელიც წარმოადგენს ნარდობის ხელშეკრულების საგანს (გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 631-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცი, კერძოდ, ნარდობის

ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს, როგორც ნივთის დამზადება ან შეცვლა, ისევე სხვა შედეგი, რომელიც მიიღწევა სამუშაოს შესრულების ან მომსახურების გაწევის გზით), სახელდობრ კი ნაგებობის აშენება. არქიტექტორი, მიუხედავად იმისა, რომ იგი დატვირთულია სამშენებლო სამუშაოების განხორციელების ხელმძღვანელის ვალდებულებებით, არ არის მოვალე გადასცეს შემკვეთს ნაგებობა, როგორც მატერიალური საგანი, როგორც თავისი საქმიანობის შედეგი. თუმცა კი, არქიტექტორმა, როგორც სამშენებლო სამუშაოების წარმოების ხელმძღვანელმა, თავისი მოქმედებებით უნდა უზრუნველყოს ობიექტის აშენება დამტკიცებული პროექტის შესაბამისად, რამეთუ ნაგებობა უნდა იყოს უნაკლო. ოფიციალურ ორგანოებთან მოლაპარაკებები, სამშენებლო მასალებისა და ფინანსური დნახარჯების რაოდენობის დაანგარიშება, შემკვეთის სახელით წინადადებების მიღება და გაგზავნა, მშენებლობის საქმიანობაზე ზედამხედველობის განხორციელება, ადმინისტრაციული დანაწესებისა და ტექნიკური ნორმების დაცვაზე კონტროლი, სამუშაოს შედეგების მიღება, საქმიანობის ყოველი ეს სახე ემსახურება პროექტში გამოხატულ არქიტექტორის ინტელექტუალური შრომის შედეგის მიღწევას და ამით იმ მიზნის მიღწევას, რომელიც ასახულია შემკვეთის მიერ არქიტექტორთან დადებულ ნარდობის ხელშეკრულებაში – დაპროექტებული ნაგებობის აგება. ამიტომაც, ისინი არ შეიძლება განხილული იქნეს, როგორც მომსახურება გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 611-ე პარაგრაფის აზრით.

სხვაგვარი კლასიფიკაცია, ანუ არქიტექტორთან დადებული ხელშეკრულების მიკუთვნება მომსახურების გაწევის ხელშეკრულებებისადმი, დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სამშენებლო სამუშაოების ხელმძღვანელობა და მათ განხორციელებაზე კონტროლი წარმოადგენს შეთანხმების ერთადერთ საგანს.[444]

მხარეთა შეთანხმების სამართლებრივი ბუნების განსაზღვრისას, გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ნარდობის ხელშეკრულების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თავისებურებაზე – ნარდობის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შრომითი საქმიანობის (ინტელექტუალური ან ფიზიკური) შედეგი (რე-

[444] BGHZ 31, 224 26.11.1959.

ზულტატი), მაშინ, როდესაც მომსახურების გაწევის ხელშეკრულება კი ორიენტირებულია სამუშაოთა წარმოებაზე. არქიტექტორთან დადებული კომპლექსური ხელშეკრულების შეფასებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ერთის მხრივ დამპროექტებლის, ხოლო მეორეს მხრივ კი -სამუშაოთა მწარმოებლის ვალდებულებების თანაფარდობას. პირველი სახის ვალდებულებათა არსებობა არის იმის საფუძველი, რომ თამამად ითქვას – არქიტექტორთან დადებული ხელშეკრულება არის ნარდობის ხელშეკრულება. ნაგებობის პროექტის მომზადების თაობაზე არქიტექტორთან ხელშეკრულების დადებისას, შემკვეთი მიზნად ისახავს მიიღოს მზა შედეგი და ამასთან, როგორც წესი, იგი არ ერევა პროექტის დამზადების სამუშაოთა შესრულების პროცესში, რომელიც თავისი არსით წარმოადგენს არქიტექტორის ინდივიდუალური შემოქმედების შედეგს. სახეზეა ნარდობის ხელშეკრულების აღნიშნული ნიშანი.

თუკი არქიტექტორი ძირითადად მოქმედებს, როგორც სამუშაოთა წარმოების ხელმძღვანელი, მაშინ იგი წარმოადგენს შემსრულებელს მომსახურების გაწევის ხელშეკრულებაში.[445] აქ შემკვეთი პირველ რიგში დაინტერესებულია არქიტექტორის რეგულარული შრომითი საქმიანობით, რომელიც მართალია მიმართულია ნაგებობის ასაშენებლად, თუმცა ეს მიზანი არ წარმოადგენს არქიტექტორისათვის დაკისრებული ვალდებულების მონათესავეს (causa proxima). მოგვიანებით მიღებულ გადაწყვეტილებაში ფედერალურმა სასამართლომ ანალოგიური ურთიერთობებიც მიაკუთვნა ნარდობის ხელშეკრულებებს.[446] შეთანხმების სამართლებრივი ბუნების შეფასების შეცვლა არ წარმოადგენს იმ კრიტერიუმების შეცვლას, რომელიც საფუძვლად უდევს მას. სამუშაოთა მწარმოებელიც წარმოადგენს მენარდეს, რამეთუ ის პასუხისმგებელია თავისი საქმიანობის შედეგისათვის.

რადგან ნარდობის ხელშეკრულება მიმართულია შემკვეთისათვის სამუშაოს შედეგის გადაცემისაკენ, ამიტომაც მენარდეს ეკისრება ამ შედეგის მიღწევის რისკიც. ამაში ვლინდება კიდევ ერთი კრიტერიუმი, რომელიც საშუალებას გვაძლევს განვასხვავოთ მო-

---

[445] BGHZ 62, 204 07.03. 1974.

[446] BGHZ 82, 105 22.10.1981.

ცემული სახის შეთანხმება მომსახურების ხელშეკრულებისაგან, რომელშიც შემსრულებელს არ ეკისრება მსგავსი სახის რისკები. არქიტექტორთან დადებულ ხელშეკრულებაში ნაგებობის პროექტის მომზადებასთან მიმართებით, არქიტექტორს ეკისრება შეუსრულებლობის რისკი, მაშინაც კი, თუკი ვალდებულება არაჯეროვნად შესრულდა არქიტექტორის ბრალის გარეშე. მაგალითად, ნაგებობის პროექტი დაზიანდა კომპიუტერის ვირუსით. ამასთან, მენარდეს არა აქვს უფლება მოითხოვოს შესრულებული სამუშაოსათვის შეთანხმებული საზღაური. არქიტექტორის, როგორც ნაგებობის მშენებლობის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობა საბოლოო შედეგისათვის – ობიექტის აშენება – კი დადგება მხოლოდ იმ შემთხვევში, თუკი იქნება მიზეზ-შედეგობრივი კავშირი მის ბრალეულ ქმედებასა და შესაბამის უარყოფით შედეგს შორის. არქიტექტორის მიერ გაწეული მომასხურება ანაზღაურებული უნდა იქნას, თუნდაც ნაგებობის მშენებლობა ვერ იქნა დასრულებული.

V.3. ნარდობის ხელშეკრულების გამიჯვნა გადაზიდვის ხელშეკრულებისაგან.

მნიშვნელოვანია ნარდობისა და გადაზიდვის ხელშეკრულებების გამიჯვნა. ასე, მაგალითად, ავეჯის გადაზიდვის შესახებ შეთანხმება განიხილება ნარდობის ხელშეკრულებად იმ შემთხვევაში, თუკი ხელშეკრულების საგანი ავეჯის მხოლოდ სივრცობრივი გადაადგილებით კი არ შემოიფარგლება, არამედ ითვალისწინებს აგრეთვე ავეჯის შეფუთვას, დაშლას, აწყობას, დამონტაჟებას. ასეთი ურთიერთობები კვალიფიცირებული უნდა იქნეს[447] როგორც შერეული ხელშეკრულება (სკ-ის 340-ე მუხლი).[448] შერეული ხელშეკრულების განმარტების შესახებ უფრო დაწვრილებით იხილეთი.[449]

სამუშაოს შესრულების პროცესში ზოგჯერ ისმის შეკითხვა:

---

[447] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 1ივლისის განჩინება საქმეზე №ას-115-109-2013.

[448] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 10 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-1244-1503-09.

[449] იოსელიანი, ხელშეკრულების განმარტება, 2008, 40.

შეიძლება თუ არა, რომ მენარდე განხილული იყოს როგორც რწმუნებული ანუ აქვს თუ არა მენარდეს უფლება, მხოლოდ ნარდობის ხელშეკრულების საფუძველზე განახორციელოს რაიმე მოქმედება შემკვეთის სახელითა და ხარჯით? ამ კითხვაზე უარყოფითად უნდა ვუპასუხოთ. მენარდეს მხოლოდ მაშინ შეუძლია განახორციელოს რწმუნებულის უფლებამოსილებები, თუკი შემკვეთი მასთან დებს დავალების ხელშეკრულებასაც.

V.4. ნარდობის ხელშეკრულების გამიჯვნა ნასყიდობის ხელშეკრულებისაგან.

V.4.1. ზოგადი დებულებები

აქტუალურ საკითხს წარმოადგენს ნარდობისა და ნასყიდობის ხელშეკრულებათა გამიჯვნა. ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვან დებულებას შეიცავს 629-ე მუხლის მე-2 ნაწილი, კერძოდ, თუ ნარდობა ითვალისწინებს რაიმე ნაკეთობის დამზადებას და მენარდე მას ამზადებს თავის მიერ შეძენილი მასალით, მაშინ იგი შემკვეთს გადასცემს საკუთრებას დამზადებულ ნაკეთობაზე. თუ დამზადებულია გვაროვნული ნივთი, მაშინ გამოიყენება ნასყიდობის წესები.[450]

ნასყიდობის ხელშეკრულება მიმართულია უკვე არსებული საქონლის გადაცემასთან და განსხვავებით ნარდობის ხელშეკრულებისაგან, ნასყიდობა საქონლის წარმოება – დამზადებასთან დაკავშირებულ არანაირ ურთიერთობას არ არეგულირებს.[451]ამის შედეგად, მყიდველი მოკლებულია შემოქმედებით შესაძლებლობებს შესაძენ ნივთან მიმართებით.[452]

---

[450] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 21 ივნისის განჩინება საქმეზე #ას-693-650-2012.

[451] Röthel, Herstellungsverträge und Eigentumsordnung _ §651 ,950 BGB nach der Schuldrechtsreform; NJW 2005, S. 625-629.

[452] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 43.

V.4.1.1. ნარდობისა და ნასყიდობის გამიჯვნის კრიტერიუმები

ნარდობის ხელშეკრულების პირობები, უპირველეს ყოვლისა, მიმართულია სამუშაოთა შესრულების პროცესში მხარეთა ურთიერთობის განსაზღვრისაკენ[453], რაც დაკავშირებულია შეკვეთილი ნაკეთობის დამზადებასთან. ნასყიდობის ხელშეკრულების ძირითად შინაარსს კი წარმოადგენს ხელშეკრულების საგნის (უკვე დამზადებული ნივთის) მყიდველისათვის გადაცემა.[454]

მაშასადამე, გამიჯვნისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნარდობის ერთ-ერთ არსებით ნიშანს – ნარდობა მოიცავს არა მარტო სამუშაოს შედეგს, როგორც ასეთს, არამედ სამუშაოს შესრულებასაც (მენარდე კისრულობს ვალდებულებას, შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო). აქედან გამომდინარეობს დასკვნა იმის შესახებ, რომ ნარდობის სახელშეკრულებო მოწესრიგება მოიცავს სამუშაოთა შესრულების მიმდინარეობასაც. ნასყიდობაში კი ასეთი რამ არ არის, რამეთუ ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის (ნივთი) დამზადება ხელშეკრულების ფარგლებს გარეთაა. „საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს, რომ **ნარდობის** ხელშეკრულება მიზნად ისახავს შემკვეთისათვის სამუშაოს შედეგის გადაცემას, ამიტომ მენარდეს ეკისრება ამ შედეგის მიღწევის რისკიც. ნარდობის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შრომითი საქმიანობის შედეგი, მაშინ, როდესაც ნასყიდობის ხელშეკრულების მიზანია ქონების საკუთრებაში გადაცემა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ზემომითითებული მსჯელობის გათვალისწინებით ხელშეკრულების შინაარსის დადგენისათვის არ არის საკმარისი ფორმალურ ნიშნებზე ყურადღების გამახვილება, შესაძლებელია გარეგნული გამოხატულება ქმნიდეს ნასყიდობის ხელშეკრულებად მიჩნევის საფუძველს, მაგრამ მთავარი და მნიშვნელოვანია მხარეთა ნება და ფაქტობრივად არსებული უფლებავალდებულებები, რაც შეიძლება განსხვავდებოდეს ფორმალურად არსებული ურთიერთობისაგან და ქმნიდეს სხვა გარიგებით წარ-

[453] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 3 იანვრის განჩინება საქმეზე #ას-719-678-2011.

[454] Schuhman, Werkvertrag oder Kaufvertrag? -§651 BGB im Lichte der Verbrauchsgüterkaufrichtlinie; ZGS 2005, S.250-256.

მოშობილი ურთიერთობის საფუძველს. ამდენად, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ, საქმეში წარმოდგენილი ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, სადავო ხელშეკრულებით მხარეები კისრულობდნენ მხოლოდ მიწის ნაკვეთის ნასყიდობას თუ მიზნად ისახავდნენ მშენებლობასა და მშენებლობის შედეგის გადაცემას.[455]"

ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ მიუთითა, რომ „თუ რომელი ნორმები უნდა იქნეს გამოყენებული, ნარდობის თუ ნასყიდობის, ამ საკითხის გადაწყვეტას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ნარდობის ხელშეკრულების შესახებ ნორმები განსხვავდებიან იმ ნორმებისაგან, რომლებიც აწესრიგებენ ნასყიდობას. მოცემულ საქმეზე მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, შემკვეთმა შეუკვეთა კონკრეტულ მისამართზე მდებარე მშენებარე სახლში, კონკრეტულ სართულზე მდებარე განსაზღვრული ფართის ბინები. სადავო ხელშეკრულებები მოიცავს სამუშაოთა შესრულების მიმდინარეობასაც, კერძოდ,ბინებს გაუკეთდებათ რკინის კარები, დამკვეთის სურვილისამებრ გაკეთდება შიდა ტიხრები, ბინაში გაიყვანენ ცენტრალურ დგარებს, სახლს დაუმონტაჟდება ლიფტი, შეილესება, კეთილმოეწყობა მიმდებარე ტერიტორია და ა.შ. ამდენად, ხელშეკრულების შინაარსი მოიცავს არა მარტო სამუშაოს შედეგს, არამედ მის შესრულებასაც. ასევე დადგენილია, რომ შემკვეთმა წინასწარ, ხელშეკრულების გაფორმებისთანავე გადაიხადა შეთანხმებული თანხა, რაც მიჩნეული უნდა იქნეს ისეთ გარემოებად, რომ სამუშაო შესრულდა შემკვეთის საშუალებებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, მხარეთა შორის **აღიარებულ უნდა იქნეს სახელშეკრულებო ურთიერთობის – ნარდობის არსებობა** და, შესაბამისად, გამოყენებულ უნდა იქნეს არა ნასყიდობის, არამედ ნარდობის ხელშეკრულების შესახებ მომწესრიგებელი ნორმები.[456]

ნარდობისა და ნასყიდობის ხელშეკრულებების **გამიჯვნასთან დაკავშირებით** მნიშვნელოვანი განმარტებებია მოცემული ერთ-ერთ საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში. კერძოდ, შპს „პ. ა-მა"

[455] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 7 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე #ას-1162-1091-2012.

[456] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 30 დეკემბრის განჩინება საქმეზე #ას-409-1073-03.

სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ც. პ. ს-ის" მიმართ მოპასუხისთვის მოსარჩელის სასარგებლოდ ხელშეკრულების საფუძველზე **გადაცემული თანხის** – 137980 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდის მოთხოვნით შემდეგ გარემოებათა გამო:

2007 წლის 3 აგვისტოს შპს „პ. ა-სა" და შპს „ც. პ. ს-ის" შორის გაფორმდა უძრავი ქონების – მრავალფუნქციური დანიშნულების „სავაჭრო ცენტრში" კომერციული ფართის **ნასყიდობის ხელშეკრულება,** რის გამოც მოსარჩელემ ხელშეკრულების საფუძველზე დადგენილი გრაფიკის მიხედვით გადაიხადა შეთანხმებული თანხის მხოლოდ ნაწილი – 137980 აშშ დოლარი. მოპასუხემ დაარღვია ხელშეკრულების პირობები, შესაბამისად, მოსარჩელემ მიმართა სასამართლოს თანხის დაკისრების მოთხოვნით.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად მიუთითა შემდეგ გარემოებებზე: მხარეთა შორის მართლაც გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელიც შეწყდა ცალმხრივად 2011 წლის 18 ოქტომბერს. მოპასუხემ იშუამდგომლა, მხედველობაში იქნას მიღებული მოპასუხის ფინანსური მდგომარეობა და სარჩელის სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების შემთხვევაში გადანყვეტილების აღსრულების ვადა განისაზღვროს იმგვარად, რომ მოსარჩელის სასარგებლოდ დაკისრებული თანხა გადახადეს სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი წლის შემდეგ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილებით შპს „პ. ა-ის" **სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ,** მოპსაუხე შპს „ც. პ. ს-ის" მოსარჩელე შპს „პ. ა-ის" სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისრა 137980 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, რომლის გადახდაც შპს „ც. პ. ს-ის" მიერ უნდა განხორციელდეს სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი წლის შემდეგ, ამავე გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა მოსარჩელე შპს „პ. ა-ის" მოთხოვნა მოპასუხისათვის სასამართლოს თითოეულ ინსტანციაში ცალ-ცალკე წარმომადგენლის ხარჯების, დავის საგნის 4%-ის ოდენობით, ყოველ ინსტანციაზე ანაზღაურების დაკისრების თაობაზე.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება **სააპელაციო წესით გაასაჩივრა** შპს „პ. ა-მა", მოითხოვა მისი ნაწილობრივ გაუქმება გადაწყვეტილების აღსრულების გადავადებისა და წარმომადგენლის ხარჯების დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღება. **ამავე გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა** შპს „ც. პ. ს-იმ" ახალი გადაწყვეტილების მიღების გზით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვნით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 28 მარტის **გადაწყვეტილებით** შპს „პ. ა-ის" სააპელაციო საჩივარი **დაკმაყოფილდა ნაწილობრივ,** გასაჩივრებულ ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „ც. პ. ს-ის" შპს „პ. ა-ის" სასარგებლოდ დაეკისრა ამ უკანასკნელის მიერ ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის – 7319.34 ლარის ანაზღაურება, აღსრულების გადავადების ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად, შპს „ც. პ. ს-ის" **სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა,** შპს „ც. პ. ს-ის" შპს „პ. ა-ის" სასარგებლოდ დაეკისრა ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილის – 292.77 ლარის ანაზღაურება **შემდეგი საფუძვლებით:** სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ 2007 წლის 3 აგვისტოს შპს „პ. ა-სა" და შპს „ც. პ. ს-ის" შორის გაფორმდა **უძრავი ქონების – მრავალფუნქციური დანიშნულების „სავაჭრო ცენტრში" კომერციული ფართის ნასყიდობის ხელშეკრულება,** რომლის თანახმადაც შპს „ც. პ. ს-იმ" აიღო ვალდებულება, ქ.თბილისში, ხ-ის ქ#29-ში არსებული შენობის რეკონსტრუქციის შედეგად შპს „პ. ა-სთვის" საკუთრებაში გადაეცა კომერციული ფართი – #4 კორპუსში, პირველ სართულზე მდებარე 77.96 კვ.მ #112 ფართი, რომლის ჩაბარება უნდა განხორციელებულიყო შემდეგი პირობებით: შენობის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები დასრულებული; შელესვა ფართის პერიმეტრზე; მოწესრიგებული საერთო სარგებლობის ფართები, ფასადი, სახურავი და საერთო სარგებლობის სველი წერტილები; ჭერის სიმაღლე

არანაკლებ 4 მეტრისა; ფართის იატაკის მოჭიმვა; ფართის კონტურის კედლები; ფართის ექსტერიერზე მეტალო-პლასტმასის ვიტრაჟი კარებით; ელ.გაყვანილობის დგარი; ელ.გაყვანილობა ფართის პერიმეტრზე (ინდივიდუალური მრიცხველის მონტაჟისა და აბონირების ჩათვლით); ფართის ჩართვა გათბობა-ვენტილაცია-კონდიცირების საერთო სისტემაში. **სავაჭრო ცენტრის ექსპლუატაციაში შეყვანის შემდეგ გამყიდველი უზრუნველყოფდა ფართის მყიდველის სახელზე აღრიცხვას საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.** გამყიდველი ვალდებული იყო, სახლის მშენებლობა დაესრულებინა 2009 წლის ივნისში. ხელშეკრულების თანახმად, მყიდველი იღებდა ვალდებულებას გადაეხადა 201916 აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნული ლარი.

ხელშეკრულების მიხედვით, **მყიდველს შეეძლო მოეშალა ხელშეკრულება ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე** გამყიდველისათვის წინასწარი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, რის შემდეგაც გამყიდველი მყიდველს უბრუნებდა გადახდილ თანხას მისი 10%-ის, მაგრამ არანაკლებ მთლიანი ღირებულების 3,5%-ის გამოკლებით. გამყიდველი თავიდან შეეცდებოდა ფართზე უფლების გასხვისებას. ამ შემთხვევაში მყიდველს თანხა დაუბრუნდება 2 თვის განმავლობაში. მყიდველს შეეძლო მოეშალა ხელშეკრულება წინასწარი წერილობითი შეტყობინების გარეშე, თუ გამყიდველი მშენებლობის დასრულების ვადას 6 თვეზე მეტი ხნით გადააცილებდა. ამ შემთხვევაში გამყიდველი მყიდველს უბრუნებდა შეტანილ თანხას მთლიანად. გამყიდველს შეეძლო მოშალა ხელშეკრულება იმ შემთხვევაშიც, თუ მყიდველი 3 თვის განმავლობაში დაარღვევდა მისთვის გრაფიკით დაკისრებული ფულადი თანხის გადახდის ვალდებულებას და გამყიდველი უშედეგოდ გააფრთხილებდა მას ამის შესახებ. ამ შემთხვევაში გამყიდველი 2 თვის ვადაში დაუბრუნებდა მყიდველს გადახდილ თანხას მისი 10%-ის, არანაკლებ მთლიანი ღირებულების 3,5%-ის გამოკლებით. „ბ. ქ-ს" მიერ გაცემული 2011 წლის 3 ნოემბრის ცნობის თანახმად, 2006 წლის 29 დეკემბერიდან 2008 წლის 16 დეკემბრამდე შპს „პ. ა-მა" შპს „ც. პ. ს-ის" გადაუხადა 215 913.60 ლარი. **მხარეთა ახსნა-განმარტებებით სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ 2009 წლის ივნისში სავაჭრო ცენტრის**

მშენებლობა არ დასრულებულა და დღემდეც არ არის დასრულებული. 2011 წლის 14 სექტემბერს შპს „ც. პ. ს-იმ" შპს „პ. ა-ს" შეატყობინა, რომ თუ შპს „პ. ა-ი", მათ შორის არსებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, არ გადაიხდიდა დარჩენილ 63 668 აშშ დოლარს, შპს „ც. პ. ს-ი" შეწყვეტდა ხელშეკრულებას. 2011 წლის 15 სექტემბერს შპს „პ. ა-მა" შპს „ც. პ. ს-ის" მისწერა წერილი, რომლითაც უარი განაცხადა მშენებლობის დასრულებამდე დარჩენილი თანხის გადახდაზე და მიუთითა, რომ ხელშეკრულება დარღვეულ იქნა თავად შპს „ც. პ. ს-ის" მიერ, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების მიხედვით მშენებლობა უნდა დასრულებულიყო 2009 წლის ივნისში, მშენებლობა 2011 წლის 15 სექტემბრის მდგომარეობითაც არ იყო დასრულებული. ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ 2011 წლის 18 ოქტომბრის ბრძანებით 2011 წლის 18 ოქტომბერს შპს „ც. პ. ს-იმ" ცალმხრივად შეწყვიტა შპს „პ. ა-თან" გაფორმებული ხელშეკრულება და ამავე დროს აცნობა მოსარჩელეს, რომ, თუ ახალ მყიდველზე განახორციელებს ფართის რეალიზაციას იმაზე ნაკლებ ფასში, ვიდრე მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით იყო განსაზღვრული, ასეთ შემთხვევაში მყიდველი გამყიდველისაგან მიიღებს თანხას იმ პროპორციით, რა პროპორციითაც შემცირდა მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე გამყიდველისათვის მყიდველის მიერ გადახდილი/გადასახდელი თანხა, გამყიდველის მიერ ახალ მყიდველზე ფართის გაყიდვისას არსებულ საბაზრო ფასთან მიმართებაში. 2011 წლის 21 ნოემბრის იურიდიული მომსახურების ხელშეკრულებითა და 2011 წლის 24 ნოემბრის სალაროს გასავლის ორდერით დადასტურებულად იქნა მიჩნეული, რომ მოცემულ დავაზე შპს „პ. ა-ის" მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში წარმომადგენლის (ადვოკატის) დახმარებისთვის გადახდილია 7319.34 ლარი.

სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ მხარეთა შორის 2007 წლის 3 აგვისტოს ხელშეკრულება სამართლებრივად არა ნასყიდობის, არამედ ნარდობის ხელშეკრულებაა, თანახმად სამოქალაქო კოდექსის 477-ე, 629-ე და 52-ე მუხლებისა.

სასამართლოს განმარტებით, მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში, **მართალია, საუბარია უძრავი ქონების ნასყიდო-**

ბაზე, თუმცა მხოლოდ მითითება ნასყიდობაზე ვერ განაპირობებს აღნიშნული ხელშეკრულების ნასყიდობის ხელშეკრულებად დაკვალიფიცირებას. ხელშეკრულების ცალკეული სახის განსაზღვრისას, უპირველეს ყოვლისა, **გასათვალისწინებელია არა ზოგადი დათქმები, არამედ ის არსებითი უფლება-მოვალეობები,** რომლებსაც მხარეები იძენენ გარიგების შედეგად. სამოქალაქო კოდექსის 340-ე მუხლის თანახმად, კერძო სამართალი შერეული ხელშეკრულების განმარტების ხერხს იმ შემთხვევაში მიმართავს, როდესაც შეთანხმებაში განსხვავებული შინაარსის მქონე დებულებების არსებობა განაპირობებს მხარეთა საერთო განზრახვის დადგენის საჭიროებას, რითიც ისინი ხელმძღვანელობდნენ ხელშეკრულების გაფორმებისას. ასეთ შემთხვევაში, სასამართლო მათ ნებას განმარტავს იმ დათქმებზე აპელირებით, რომლებიც თავისი შინაარსით უფრო ახლოს დგანან იმ მიზნებთან, რისი მიღწევაც მხარეებს სურდათ ამ ხელშეკრულების დადებისას. **პალატამ მიუთითა ხელშეკრულების იმ დებულებებზე, რომლებიც განსაზღვრავენ აღნიშნული ხელშეკრულებების სამართლებრივ შინაარსს.** სადავო ხელშეკრულება ავალდებულებს მოპასუხეს შეთანხმებული ნაკეთობის დამზადებას თავისი მასალით და დამზადებული ნაკეთობის საკუთრებაში გადაცემას მოსარჩელისათვის, მაშინ, როდესაც ნასყიდობის ხელშეკრულების აუცილებელი პირობა იმთავითვე ნასყიდობის საგანზე საკუთრების უფლების გადაცემაა მყიდველისათვის. მოსარჩელე წინასწარ იხდიდა რა გარკვეულ თანხებს და ელოდა, როდის ააშენებდა და სათანადო მდგომარეობამდე მოიყვანდა მოპასუხე კორპუსს, რათა შემდეგ მას საკუთრებაში გადასცემოდა კუთვნილი ფართი შეთანხმებულ მდგომარეობაში, სასამართლომ ჩათვალა, რომ **მოსარჩელის მიერ გაფორმებული ხელშეკრულება, შესრულების არსით, ყველაზე ახლოს დგას ნარდობის ხელშეკრულების შინაარსთან და უფლება-მოვალეობებიც შესაბამისად უნდა გადანაწილდეს.** სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო კოდექსი ნარდობის ხელშეკრულების დადების რაიმე სავალდებულო ფორმას არ ითვალისწინებს. მხარეთა შორის სადავო ხელშეკრულება დაიდო წერილობით, შესაბამისად, **ის ნამდვილია და მისი ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.**

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო

წესით გაასაჩივრა შპს „პ. ა-მა“, მოითხოვა მისი ნაწილობრივ – სადავო ხელშეკრულების ნარდობად კვალიფიკაციის, ასევე გადაწყვეტილების აღსრულების გადავადების ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მხარეთა შორის 2007 წლის 3 აგვისტოს ხელშეკრულების ფორმის დაუცველად დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებად კვალიფიცირება და გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება შემდეგი დასაბუთებით:

გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივ დასაბუთებაში მითითებულია, რომ მხარეთა შორის 2007 წლის 3 აგვისტოს დადებული ხელშეკრულება სამართლებრივად წარმოადგენს არა ნასყიდობის, არამედ ნარდობის ხელშეკრულებას, რაც არასწორია, რადგანაც ხელშეკრულების პირველ მუხლში განმარტებულია ხელშეკრულების არსი და მითითებულია „გამყიდველის“ ვალდებულება, საკუთრებაში გადასცეს „მყიდველს“ კომერციული ფართი მე-2 მუხლით გათვალისწინებული პირობებით ქ.თბილისში, ხ-ის ქუჩა #29-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის რეკონსტრუქციის შედეგად, ხოლო „მყიდველი“ ვალდებულია ამავე ხელშეკრულების მე-5 მუხლით შეთანხმებული პირობების მიხედვით განახორციელოს გადასახადის შეტანა. ხელშეკრულების მე-2 მუხლში განსაზღვრულია პირობები, რა პირობებშიც მყიდველ შპს „პ. ა-ს“ უნდა ჩაბარებოდა შენობა, სასამართლოს მოჰყავს რა გადაწყვეტილებაში აღნიშნული პირობები, იმავდროულად მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 52-ე და 340-ე მუხლებზე და არასწორად განმარტავს ხელშეკრულებაში გამოხატულ მხარეთა ნებას. სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის საწინააღმდეგოდ სააპელაციო სასამართლო ეყრდნობა რა ხელშეკრულების სიტყვასიტყვით განმარტებას, ხელშეკრულებას არასწორად აკვალიფიცირებს ნარდობის ხელშეკრულებად. ხელშეკრულების მე-2 მუხლში განსაზღვრულია ნასყიდობის საგნის ხარისხი. შპს „ც. პ. ს-ი“ აღნიშნული ხელშეკრულებით ასხვისებდა ხელშეკრულების დადების დროისთვის უკვე არსებულ შენობა-ნაგებობას, ხოლო ხელშეკრულების მე-2 მუხლი განსაზღვრავდა იმ მოთხოვნებსა და პირობებს, რა პირობებშიც მყიდველს უნდა ჩაბარებოდა ნასყიდობის საგანი და მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნივთის ჩაბარების პირობები შეესაბამებოდა სამოქალაქო კოდექ-

სის 487-ე და 488-ე მუხლების მოთხოვნებს. აღნიშნულით დასტურ-
დება, რომ ხელშეკრულება შეეხებოდა მხარეთა შორის შეთანხმე-
ბული საგნის ხარისხს და არ ითვალისწინებდა ახალი ნაკეთობის
დამზადებას, რაც ნარდობისთვისაა დამახასიათებელი. სამოქალაქო
კოდექსის 340-ე მუხლის თანახმად, შერეული ხელშეკრულებების
განმარტებისას მხედველობაში მიიღება ნორმები იმ ხელშეკრულე-
ბათა შესახებ, რომლებიც შესრულების არსთან ყველაზე ახლოს
დგანან და მას შეესაბამებიან. ხელშეკრულების დადების დროისთ-
ვის უკვე არსებობდა შენობა, რომელზეც უნდა წარმოშობილიყო
შპს „პ. ა-ის" საკუთრების უფლება, შპს „ც. პ. ს-ის" უნდა შეეს-
რულებინა მხოლოდ სარეკონსტრუქციო სამუშაოები. აღნიშნული
ადასტურებს იმას, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება,
სწორედ, სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლთნაა შესაბამისობაში.
სააპელაციო სასამართლო ხელშეკრულების ნარდობად კვალიფი-
კაციისას, ასევე მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლის
მე-2 ნაწილზე, საყურადღებოა, რომ სადავო ხელშეკრულება ნა-
კეთობის დამზადებას არ ითვალისწინებს, რადგან ხელშეკრულე-
ბით გათვალისწინებული სარეკონსტრუქციო სამუშაოები არ ქმნის
ახალ ნივთს, არამედ აუმჯობესებს უკვე არსებულს, შესაბამისად,
აღნიშნული ნორმა, ისევე, როგორც სასამართლოს მოსაზრებები,
ხელშეკრულების კვალიფიკაციასთან დაკავშირებით საერთოდ არაა
შემხებლობაში არსებულ ფაქტობრივ გარემოებებთან. ფართის შპს
„პ. ა-სთვის" გადაცემის შემთხვევაში, მასზე გადავიდოდა ასევე სა-
კუთრების უფლება მიწის ნაკვეთის შესაბამის წილზეც და შენობა-
ნაგებობის საერთო სარგებლობის იმ ნაწილზეც, რომელიც არ წარ-
მოადგენს ინდივიდუალურ საკუთრებას. აღნიშნული გარემოებაც
გამორიცხავს სადავო ხელშეკრულების ნარდობად კვალიფიკაციის
შესაძლებლობას. სადავო გარიგების ნარდობად კვალიფიკაციას ის
გარემოებაც გამორიცხავს, რომ შენობის ექსპლუატაციაში შესვლის
შემდეგ, გამყიდველი უზრუნველყოფდა მყიდველის საკუთრების
უფლების რეგისტრაციას საჯარო რეესტრში, ამგვარ შესაძლე-
ბლობას ითვალისწინებს, სწორედ, სამოქალაქო კოდექსის 479-ე
მუხლი. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ ნასყიდობის
ხელშეკრულების აუცილებელი პირობა მყიდველისთვის, ნასყიდობის

საგანზე საკუთრების უფლების იმთავითვე გადაცემაა, არასწორია, ამგვარ იმპერატიულ ნორმას სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს. გამყიდველიდან მყიდველზე საკუთრების უფლების გადასვლის დრო და პირობები მხარეებმა თავისუფლად შეიძლება განსაზღვრონ, როგორც ეს გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილიდან. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის მოსაზრებით სადავო გარიგება ფორმადაუცველად დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებაა და მასზე უნდა გავრცელდეს სამოქალაქო კოდექსის 59-ე, 68-ე, 69-ე, 183-ე, 3111, 976-ე მუხლები. საკასაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, შეამოწმა შპს „პ. ა-ის" საკასაციო საჩივრის დასაშვებობის **საკითხი და იგი დაუშვებლად მიჩნია".**[457]

ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ განმარტა, რომ „მოცემულ შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საერთო კრების 2009 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილებით, სწორედ საკუთრების გადაცემის ნება იქნა გამოვლენილი ამხანაგობის მიერ, რაც ვერ აღირიცხა საჯარო რეესტრში, მხარეთა განმარტებით, საცხოვრებელი კორპუსის ექსპლუატაციაში მიუღებლობის გამო. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ ჩათვალა, რომ მოსარჩელეს გააჩნდა სადავო ბინის ფლობის სამართლებრივი საფუძველი (დამზადებული ნივთის სახით მენარდისგან მისი მიღება სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლი)".[458]

ნარდობის ხელშეკრულების საგანს, როგორც წესი, წარმოადგენს ინდივიდუალურად განსაზღვრული ნაკეთობის დამზადება, რაც შეეხება ნასყიდობის ხელშეკრულების საგანს, იგი უმრავლეს შემთხვევაში, როგორც წესი, გვაროვნული ნივთია. ამ სფეროში წარმოშობილი სხვადასხვა პრაქტიკული შემთხვევის სწორად გადაწყვეტისათვის[459] საჭიროა ასევე მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების სხვა პირობების განმარტება (ხელშეკრულების სახელწოდება, მხარეები, ანგარიშსწორების წესი, საგნის გადაცემა

[457] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 21 ივნისის განჩინება საქმეზე#ას -693-650-2012.

[458] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 12 აპრილის განჩინება საქმეზე #ას-1606-1508-2012.

[459] Medicus, Kaufvertrag und Werkvertrag; JuS 1992, S. 273-278.

და ა.შ.).[460]

ერთ-ერთი ყურადსაღები გარემოება რომლითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ მოცემულ სიტუაციაში, მდგომარეობს იმაში, რომ გამყიდველი რეალიზაციას უკეთებს ნაკეთობას, რომელიც უკვე დამზადებულია, ხოლო მენარდე კი იმ ნაკეთობას, რომელიც უნდა დამზადდეს მისი ან შემკვეთის მასალით. აღნიშნული საკითხი „საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის შესახებ კონვენციით" გადაწყვეტილი იქნა შემდეგნაირად: იმ საქონლის მიწოდების ხელშეკრულებები, რომლებიც დამზადებული ან წარმოებული უნდა იქნეს, ითვლება ნასყიდობის ხელშეკრულებად იმ პირობით, თუკი საქონლის შემკვეთი მხარე არ კისრულობს ვალდებულებას მიაწოდოს მწარმოებელს თუ დამამზადებელს იმ მასალის არსებითი ნაწილი, რომელიც აუცილებელია ასეთი საქონლის დასამზადებლად ან სა-წარმოებლად (მე-3 მუხლის პირველი პუნქტი). მაშასადამე, თუკი შემკვეთმა (მყიდველმა) შეუკვეთა რა განსაზღვრული რაოდენობის საქონელი, ასევე თავის თავზე აიღო შეკვეთილი საქონლის დამზადების უზრუნველყოფა მის მიერ მიწოდებული მასალით, მაშინ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების კლასიფიკაცია დამოკიდებულია ამ მასალის რაოდენობაზე, კერძოდ, საკმარისია თუ არა მიწოდებული მასალა შეკვეთილი საქონლის დასამზადებლად (მაშინ სახეზეა ნარდობის ხელშეკრულება), თუ ეს მასალა არ არის საკმარისი და არაარსებითი ხასიათისაა (მაშინ სახეზეა ნასყიდობის ხელშეკრულება).[461]

„კონკრეტულ შემთხვევაში საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ არსებით ნიშნებზე, რომლებსაც მნიშვნელობა ენიჭება ამ დავის გადაწყვეტისათვის, კერძოდ, ნასყიდობის ხელშეკრულებისათვის დამახასითებელია გამყიდველის მიერ მყიდველისათვის ხელშეკრულების საგნის გადაცემა. ნარდობის ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელია, უპირველეს ყოვლისა, სამუშაო პროცესის დასახვა, განსაზღვრა და ა.შ. იმის გათვალისწინებით, რომ ნასყ-

---

[460] Brautigam/Rücker: Softwareerstellung und §651 BGB – Diskussion onhe Ende oder Ende der Diskussion? CR 2006, 361-368.

[461] ძლიერიშვილი,ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულ. სამართლებრივი ბუნება, 2010, 26.

იდობის ხელშეკრულება და ნარდობის ხელშეკრულება ორივე წარმოადგენენ კაუზალური ტიპის ხელშეკრულებებს, აუცილებელია დადგინდეს ხელშეკრულების საფუძველი, მიზანი, რომლის გარეშე შეუძლებელია კონკრეტული ხელშეკრულების სახესთან დაკავშირებული დასკვნების გაკეთება და, შესაბამისად, ქონებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრა. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს შპს „ა -სა" და შპს „აის" შორის 2010 წლის 28 აპრილს დადებული ხელშეკრულებით მხარეებს შორის **წარმოიშვა ნარდობის თუ ნასყიდობის ხელშეკრულება.** აღნიშნული გარემოების დასადგენად უნდა შეფასდეს საქმეში წარმოდგენილი ხელშეკრულებები და სხვა მტკიცებულებები ერთობლივად (სსსკ-ის 105-ე მუხლი). 1980 წლის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების შესახებ ვენის კონვენციის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებად ითვლება იმ საქონლის მიწოდებაზე დადებული ხელშეკრულება, რომელიც მზადდება ან იწარმოება, თუ საქონლის დამკვეთი მხარე არ კისრულობს ასეთი საქონლის დამზადებისათვის ან წარმოებისთვის საჭირო მასალის მნიშვნელოვანი ნაწილის მიწოდების ვალდებულებას. კონვენციის მე-3 მუხლის პირველის ნაწილის თანახმად „საჭირო მასალის მნიშვნელოვან ნაწილში" უნდა მივიჩნიოთ, ასევე მიწის ნაკვეთი, როგორც ძირითადი ნივთი, რომლის გარეშე შეუძლებელია შენობა-ნაგებობის აშენება, ანუ მხედველობაშია მასალა, რომელიც მნიშვნელოვანია სამუშაოს შესრულებისათვის. ამდენად, განსახილველ ნორმის დათქმაში „საჭირო მასალის მნიშვნელოვან ნაწილში" ყურადღება გამახვილებულია ისეთ მასალაზე, რაც აუცილებელია და მნიშვნელოვანია ნივთის დამზადებისათვის და რომლის გარეშე შეუძლებელია ამ ნივთის დამზადება. განსახილველი ნორმა მოითხოვს განმარტებას კონვენციის სხვა ნორმებთან ერთობლიობაში. კერძოდ, ნორმაში მოცემული სამართლებრივი კრიტერიუმები გაგებულ უნდა იქნეს მხარეთა მიერ დასახული მიზნების გათვალისწინებით, რომლის დადგენასა და განმარტებას მოითხოვს ამავე კონვენციის მე-8 მუხლი. კერძოდ, ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კონვენციის მიზნებისათვის მხარის განცხადება ან სხვაგვარი მოქმედება განიხილება მისი განზრახვის შესაბამისად, თუ

მეორე მხარემ იცოდა, ან არ შეიძლება არ სცოდნოდა, როგორი იყო ეს განზრახვა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ წინა პუნქტი არ გამოიყენება, მაშინ მხარის განცხადებას ან სხვაგვარ მოქმედებას განიხილავენ იმის შესაბამისად, თუ როგორ გაიგებდა ამას გონიერი პიროვნება, რომელიც იმოქმედებდა იმავე სახით, როგორც მეორე მხარე ანალოგიურ ვითარებაში. აქედან გამომდინარე, გამოსარკვევია, თუ რა მიზანს ისახავდა შპს „ა. დ-ტი", როდესაც მიწის ნაკვეთი გადასცა შპს „ა-ის" და რა ვალდებულებას კისრულობდა ეს უკანასკნელი მიწის ნაკვეთის მიღების სანაცვლოდ.[462]"

ევროკავშირის ქვეყნებში ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს 1999/44 დირექტივის რეალიზაციის შედეგად,[463] (დირექტივა შეეხება სამომხმარებლო საქონლის რეალიზაციისა და დამზადების გარანტიების გარკვეულ ასპექტებს),[464] იმ ხელშეკრულებების მიმართ,[465] რომელთა საგანია დასამზადებელი ან საწარმოებელი მოძრავი ნივთების მიწოდება,[466] გამოიყენება ნასყიდობის მომწესრიგებელი ნორმები,[467] მიუხედავად იმისა, თუ ვისი მასალისაგან არის ეს ნივთები[468] დამზადებული ან წარმოებული (გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 651-ე პარაგრაფის I წინადადება).[469] ამასთან ზოგჯერ არ გამოირიცხება „საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის შესახებ კონვენციის" მე-3 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პრინციპის მოქმედება.

ფრანგულ სამართალში ნარდობის ხელშეკრულება შეიძლება

---

[462] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 7 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე #ას-1162-1091-2012.

[463] Lehr/Wendel, Die EU _ Richtlinie über Verbrauchsgüterkauf und garantien; EWS 1999, S.321-327.

[464] Dimroth, Johanes Die Umsetzung der Verbrauchsgüterkaufrichtlinie (44/99/EG) in Deutschland und den Niederlanden, Berlin, 2007.

[465] Reich, Die Umsetzung der Richtlinie 1999/44/EG in das deutsche Recht; NJW 1999, S. 2397-2403.

[466] Busche, in MüKo.BGB, Band 4.,5.Aufl. §651, Rn.2.

[467] Rudolph, Jochen Die Abgrenzung zwischen Kauf _ und Werkvertragsrecht gemäß §651 BGB, 1. Aufl. 2009,S.280.

[468] Leistner, Die "richtige"Auslegung des §651 im Grenzbereich von Kaufrecht und Wervertragsrecht; JA 2007, S. 81-90.

[469] Mankowski, Wervertragsrecht _ Die Neuerungen durch §651 BGB und der Abschied vom Werklieferungsvertrag; MDR 2003, S.854-860.

გამოიხატებოდეს მხოლოდ სამუშაოს შედეგის გადაცემის სახით და ასევე შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ სამუშაოს მენარდე შეასრულებს თავისი მასალით (საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1787-ე მუხლი).[470]ასეთი შეთანხმების სამართლებრივი ბუნების განსაზღვრისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება შეკვეთილი საქონლის (ნივთის) დამზადებისათვის საჭირო მასალის რაოდენობას. თუკი სამუშაოს შესასრულებლად საჭირო ძირითადი მასალა წარმოადგენს შემკვეთის საკუთრებას, მაგალითად, ნაგებობის ასაშენებლად საჭირო მიწის ნაკვეთი, მაშინ სახეზეა ნარდობის ხელშეკრულება; ხოლო თუკი ეკუთვნის მეორე მხარეს, მაშინ სახეზეა ნასყიდობის ხელშეკრულება.

სამშენებლო სამუშაოთა წარმოების შესახებ შეთანხმება ყველა განვითარებული ქვეყნის კანონმდებლობასა და პრაქტიკაში განიხილება, როგორც ნარდობის ხელშეკრულება, მიუხედავად იმისა, თუ რომელი მხარე აწვდის სამშენებლო მასალებს.[471] ეს შეიძლება ახსნილი იყოს იმით, რომ მენარდის მიერ მიწოდებული სამშენებლო მასალები, თავისი ღირებულებითა და მნიშვნელობით ჩამოუვარდებიან იმ მიწის ნაკვეთის ღირებულებას, რომელზეც შენდება შეკვეთილი ნაგებობა.[472] მაგრამ როგორ გადაწყდება საკითხი იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი პირი თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე აშენებს სახლს და შემდგომში, როგორც მიწის ნაკვეთს, ასევე მასზე აშენებულ სახლს გადასცემს მეორე პირს? ამ კითხვაზე პასუხს სცემს გერმანიის სასამართლო პრაქტიკიდან შემდეგი მაგალითი: სანოტარო წესით დადასტურებული ხელშეკრულებით, სააქციო საზოგადოებამ იკისრა ვალდებულება თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე აეშენებინა სახლი და გადაეცა „X"-სათვის საკუთრების უფლება როგორც აშენებულ სახლზე, ასევე იმ მიწის ნაკვეთზე, რომელზედაც აშენდა სახლი. ხელშეკრულებით განსაზღვრული „შესასყიდი ფასი" „X"-ის მიერ გადახდილი უნდა ყოფილი-

---

[470] Code civile des Francais. http:// www.napoleon-series.org/research/government/.ccode.html

[471] Konopka/Acker Schuldrechtsmodernisierung: Anwendungsbereich des §651 BGB im Bau _ und Anlangenbauvertrag; BauR 2004, 251-256.

[472] Hertel,Christian Werkvertrag und Bautregervertrag nach der Schuldrechtsreform, DnotZ 2002, 6-23.

ყო ნაწილ-ნაწილ. შეთანხმებული თანხის ბოლო ნაწილის გადახდაზე „X"-მა უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ აშენებულ სახლს ჰქონდა ნაკლოვანებები. სააქციო საზოგადოებამ, სარჩელით მიმართა სასამართლოს. სასამართლოში საქმის წარმოებისას, მოპასუხემ თავის შესაგებელში მიუთითა, რომ მოსარჩელეს გაშვებული ჰქონდა ხანდაზმულობის ვადა. რადგან კანონმდებლობით სხვადასხვა სახის სამართლებრივი ურთიერთობების მიმართ დადგენილი იყო სხვადასხვა ხანდაზმულობის ვადა, საჭირო გახდა სააქციო საზოგადოებას და „X"-ს შორის დადებული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების დადგენა. ის გარემოება, რომ მხარეებმა ამ ხელშეკრულებას უწოდეს ნასყიდობის ხელშეკრულება, პრობლემას ვერ წყვეტდა. სასამართლომ საჭიროდ მიიჩნია, რომ ამოსავალ წერტილად მიჩნეულიყო სადავო სამართლებრივი ურთიერთობის არსი. მხარეთა შეთანხმება ითვალისწინებდა არა მხოლოდ საკუთრების უფლების გადაცემას მიწის ნაკვეთსა და მასზე აშენებულ სახლზე, არამედ ითვალისწინებდა თვითონ სახლის აშენებასაც. ამის შესახებ პირდაპირ იყო მითითებული ხელშეკრულების ტესტში. ამიტომაც, სასამართლომ ხანდაზმულობასთან დაკავშირებული საკითხი გადაწყვიტა ნარდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმების და არა ნასყიდობის ნორმების შესაბამისად.

გერმანული სამართლის მიხედვით, ნარდობის ხელშეკრულების მსგავს ხელშეკრულებად განიხილება ხელშეკრულება, რომელიც დაკავშირებულია მოგზაურის სივრცობრივ გადაადგილებასთან და მისთვის სხვა სახის მომსახურეობის შეთავაზების შერწყმასთან (გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 651ა-ე პარაგრაფის პირველი აბზაცი).[473]

V.5. ნარდობის ხელშეკრულების გამიჯვნა ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებისაგან.

სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლის შესაბამისად, **ერთობლივი** საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებით ორი ან რამდენიმე პირი კისრულობს, ერთობლივად იმოქმედოს საერთო სამეურნეო ან

[473] Bürgerliches Gezertzbuch Deutschlands. http://bundesrecht.Juris.de/bgb/.

სხვა მიზნების მისაღწევად ხელშეკრულებით განსაზღვრული საშუალებებით, იურიდიული პირის შეუქმნელად. სამოქალაქო კოდექსის 937-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ხელშეკრულების მონაწილეები **ერთობლივი** საქმიანობიდან წარმოშობილი ვალებისათვის პასუხს აგებენ სოლიდარულად. ერთმანეთთან ურთიერთობაში პასუხისმგებლობის ოდენობა განისაზღვრება მონაწილეთა წილის შესაბამისად, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო პალატამ განმარტა, „იმისათვის, რომ ამხანაგობის ხელშეკრულება გაიმიჯნოს ნარდობის ხელშეკრულებისგან, აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა დავახასიათოთ ამხანაგობის ხელშეკრულების ის მხარეები, რომლითაც იგი ემსგავსება ნარდობის ხელშეკრულებას. ამხანაგობის ხელშეკრულება, როგორც კონკრეტული მიზნის მისაღწევად პირთა გაერთიანებაზე აგებული ხელშეკრულება, მოითხოვს წევრებისაგან ისეთი მოქმედებების განხორციელებას, რომლებსაც ახასიათებს სხვადასხვა ხელშეკრულებებისათვის დამახასიათებელი თავისებურებები. როდესაც ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ **ერთობლივი** საქმიანობის (ამხანაგობის) ისეთ ხელშეკრულებაზე, რომელიც მიზნად ისახავს, მაგალითად, რაიმე ნაკეთობის დამზადებას, სახლის აშენებას და ა.შ. ამხანაგობის წევრთა უფლება-ვალდებულებები ემსგავსება ნარდობის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ურთიერთობებს, მაგრამ ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება მხარეთა შორის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ისეთ უფლება-ვალდებულებებს, რაც დამახასითებელია კოლექტიური გაერთიანებისათვის, რომელსაც ახასიათებს კორპორაციული სტრუქტურის ისეთი თვისებები, რომელიც მოიცავს, როგორც ორგანიზაციულ, ასევე, ქონებრივ ელემენტებს. ზუსტად ასეთი ტიპის გაერთიანება წარმოადგენს გარკვეულწილად იმ საშუალებათა ერთობას, რითაც საბოლოოდ უზრუნველყოფილია ამ გაერთიანების მონაწილეთა მიერ დასახული მიზნის მიღწევა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ **ერთობლივი** საქმიანობის ხელშეკრულების თავისებურება ვლინდება იმაში, რომ დასახული მიზნის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ მონაწილე პირთა **ერთობლივი** საქმიანობით.

ამდენად, მითითებული უფლებამოსილებები მიუთითებენ **ერთობლივი** საქმიანობის ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელ ნიშნებზე, რომლის თანახმად, საერთო საქმიანობის მიზნის მისაღწევად, საერთო **საქმიანობ**ასთან დაკავშირებით, კეთილსინდისიერად შესრულების მოთხოვნის უფლება აქვს თითოულ მონაწილეს **ერთობლივი** საქმიანობის ყოველი მონაწილისაგან (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 935-ე მუხლის მე-2 ნაწილი) არა უშუალოდ თავისი, არამედ მხოლოდ საერთო საქმიანობის (ამხანაგობის) მონაწილეთა სასარგებლოდ.

ასევე, გასათვალისწინებელია ხელშეკრულების მე-8 თავი, რომელიც ეთმობა **ერთობლივი** საქმიანობის მართვას. ამ თავში მოცემული პუნქტების თანამახმად ხელშეკრულების მონაწილეები საერთო მიზნის მისაღწევად თანხმდებიან **ერთობლივი** მართვის სისტემაზე. გასათვალისწინებელია ხელშეკრულების 8.10 პუნქტი, რომლის თანახმად, წინამდებარე ხელშეკრულების ყველა მონაწილე ვალდებულია, ხელი შეუწყოს ამხანაგობას მიზნის მიღწევაში. ამდენად, ეს შეთანხმება თავისი შინაარსით მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 934-ე მუხლით მოცემულ სამართლებრივი დანაწესზე. აღნიშნული თავისებურებები არ არის დამახასითებელი ნარდობის ხელშეკრულებისათვის.

მნიშვნელოვანია, ასევე ხელშეკრულებიდან გასვლისა და შეწყვეტის თავები, რომლებიც მიუთითებენ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 938-ე და 939-ე მუხლებით მოცემულ დანაწესებზე, ასევე მნიშვნელოვანია, რომ ხელშეკრულების პრეამბულაშიც მონაწილეწევრები მათ შორის წარმოშობილ ურთიერთობის საფუძვლად უთითებენ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 930-940-ე მუხლებზე, რომლითაც გათვალისწინებულია **ერთობლივი** საქმიანობის (ამხანაგობის) ინსტიტუტი.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ 2006 წლის 19 ივნისის ხელშეკრულება წარმოადგენს **ერთობლივი** საქმიანობისა და არა ნარდობის ხელშეკრულებას.

საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ **ერთობლივი საქმიანობა**, რომლის მიზანია სახლის აშენება შეიცავს ნარდობის ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელ ელემენტებს, რომლის

მიზანია კონკრეტული ნაკეთობის დამზადება. როგორც ნარდობის შემთხვევაში, იგი ორიენტირებულია კონკრეტული შედეგის მიღწევაზე. უფრო მეტიც **ერთობლივი** საქმიანობის (ამხანაგობის) ერთერთი წევრი შეიძლება იყოს მენარდე, რომელიც თავისი საქმიანობით მონაწილეობს ერთობლივ **საქმიანობაში**, მაგრამ, როდესაც რამდენიმე პირი (ორი ან მეტი) თანხმდება **ერთობლივი** ძალებით თუნდაც სახლის აშენებაზე ან სხვა ნაკეთობის დამზადებაზე, (რაც შეიძლება განხორციელდეს ნარდობის ხელშეკრულებით), ერთმანეთს შორის და ასევე მესამე პირებთან ურთიერთობები მოითხოვს ნარდობის ხელშეკრულებისაგან განსხვავებულ მოწესრიგებას. შესაბამისად, **ერთობლივი** საქმიანობის ხელშეკრულების საფუძველზე ხდება არა ერთობლივად ან ცალ-ცალკე ნარდობის ხელშეკრულების დადება, არამედ ისეთი ერთეულის ჩამოყალიბება, რომლითაც წესრიგდება ერთმანეთთან, ასევე მესამე პირებთან არსებული ურთიერთობები და საბოლოოდ, უზრუნველყოფილია, კონკრეტულ შემთხვევაში, ნარდობის ხელშეკრულებაში **ერთობლივი** მონაწილეობა.

ამდენად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ 2006 წლის 19 ივნისის, 2006 წლის 11 აგვისტოს და 2006 წლის 14 აგვისტოს ხელშეკრულებების თანახმად, ე. ჭ-ე, ერთ შემთხვევაში, მომსახურების გაწევის სანაცვლოდ, ხოლო, მეორე შემთხვევაში უძრავი ნივთის ამხანაგობისათვის გადაცემის სანაცვლოდ იღებდა სხვადასხვა მოცულობისა და დანიშნულების ფართებს, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ე. ჭ-ე წარმოადგენს ამხანაგობის წევრს, რომელსაც ეკისრებოდა სხვადასხვა ვალდებულებების შესრულება **ერთობლივი** საქმიანობის საერთო მიზნის მისაღწევად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ზემოთ მითითებული ხელშეკრულებები წარმოადგენენ **ერთობლივი** საქმიანობის შესახებ ხელშეკრულებებს, ხოლო ე. ჭ-ე წარმოადგენს **ერთობლივი** საქმიანობის (ამხანაგობის) წევრს".[474]

განვითარებული ქვეყნების სასამართლო პრაქტიკაში მხარეთა მიერ შერჩეული ხელშეკრულების სახელწოდება, სასამართლოსათვის არ არის გადამწყვეტი მნიშვნელობის, რამეთუ შეთანხმების

[474] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 16 იანვრის განჩინება საქმეზე #ას-482-458-2013.

სამართლებრივი ბუნება დგინდება არა შეთანხმების სახელწოდებიდან, არამედ შეთანხმების შინაარსიდან. ამასთან, მხარეთა შეთანხმება დანაწესების ამა თუ იმ სისტემის გამოყენებასთან მიმართებით, დასაშვებია. ამგვარად, თუკი მხარეთა შეთანხმება ითვალისწინებს, რომ სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული მათი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად გამოყენებული იქნეს ნარდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმები, ასეთ შემთხვევაში სასამართლო იყენებს ამ ნორმებს, თუნდაც რომ სინამდვილეში ადგილი ჰქონდეს არა ნარდობას, არამედ მომსახურების ქირავნობას. ურთიერთობათა სამართლებრივი ბუნების პრობლემის გადაწყვეტისას შესაძლებელია დიფერენცირებული მიდომა, რომლის მიხედვითაც, სასამართლო აკვალიფიცირებს არა მთლიანად ხელშეკრულებას, არამედ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ცალკეულ ვალდებულებებს. ამის შედეგად, ერთი და იმავე ხელშეკრულების მიმართ შესაძლებელია გამოყენებული იქნეს სხვადასხვა სამართლებრივი ნორმები, რომლებიც შეეხება, მაგალითად, ნარდობის ხელშეკრულებას, ქირავნობის ხელშეკრულებას, ნასყიდობის ხელშეკრულებას და ა.შ. იმისდა მიხედვით, თუ რა სახის ვალდებულებაზეა საუბარი, ხელშეკრულება შეიძლება პრაქტიკით შეივსოს, როგორც ხელშეკრულების ზუსტი დებულებების, ასევე უსიტყვო აღიარების მეშვეობით.[475]

გერმანული სამართლის ოჯახში გერმანიისა და ავსტრიის სამოქალაქო კოდექსების, ხოლო რომანული სამართლის ოჯახიდან საფრანგეთისა და ესპანეთის სამოქალაქო კოდექსების სათანადო ნორმების ანალიზი, თვით კონტინენტური სამართლის სისტემაში ნებისა და მისი გამოვლენის, ასევე ხელშეკრულების განმარტების საკითხის გარშემო არსებულ განსხვავებებს ცხადყოფს:

1) გერმანიის სამოქალაქო კოდექსში, ასევე ავსტრიის სამოქალაქო კოდექსში ხელშეკრულების განმარტებისას ზოგადად წინა პლანზეა წამოწეული მხარის შინაგანი ნების უპირატესობა მის გამოხატვაზე. მართალია, განმარტების დროს საფრანგეთის და ესპანეთის სამოქალაქო კოდექსებიც სათანადოდ განიხილავენ ნების

[475] Contact Law. Selected source materials. Selected and edited by S.J. Burton. St. Paul. Minn. „West Publishing Co". 1995, p. 41.

მნიშვნელობას, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში შინაგან ნებაზე გამოხატვის უპირატესობასაც აწესებენ.

2) გერმანული სამართლის ოჯახი არ იძლევა განმარტების წესებს მოსამართლეებისათვის. განმარტების წესები მართალია პირდაპირ არ არის ასახული კანონმდებლობაში, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ გერმანული სამართალი არ შეიცავდეს განმარტების დროს გარკვეული სახის ყურადსაღებ გარემოებათა ჩამონათვალს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეს ჩამონათვალი არაა ისეთი ფართო, როგორც ამას ადგილი აქვს რომანულ სამართალში.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი ერთმანეთისაგან ანსხვავებს ნების გამოვლენის განმარტებასა და ხელშეკრულების განმარტებას. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 133-ე პარაგრაფის თანახმად, ნების გამოვლენის განმარტების დროს აუცილებელია მივყვეთ ნამდვილ ნებას გამონათქვამთა სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობის გაუთვალისწინებლად.[476] ხელშეკრულების განმარტების პარაგრაფით გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ადგენს ხელშეკრულების განმარტების დროს ყურადსაღებ გარემოებებს, კერძოდ, 157-ე პარაგრაფის თანახმად, ხელშეკრულებები უნდა განიმარტოს ბრუნვის ჩვეულებათა მხედველობაში მიღებითა და კეთილსინდისიერების მოთხოვნათა შესაბამისად.[477]

ხელშეკრულების განმარტების დროს მხედველობაში მისაღებ გარემოებებს ადგენენ ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპებიც.[478]

განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობასა და დოქტრინაში აქტუალურ საკითხს წარმოადგენს ნარდობისა და ნასყიდობის ხელშეკრულებათა გამიჯვნა. ნასყიდობის ხელშეკრულება მიმართულია უკვე არსებული საქონლის გადაცემასთან და განსხვავებით ნარდობის ხელშეკრულებისაგან, ნასყიდობა საქონლის წარმოება-დამზადებასთან დაკავშირებულ არანაირ ურთიერთობას არ არეგ-

---

[476] Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch. Herausgegeben von Dr. H.G. Bamberger, Dr. Herbert Roth, Verlag C.H. Beck, München, 2003, S. 395.

[477] Staudinger/Roth, §157. Rn.12; Palandt/Heinrichs, §157. Rn.2. Münch Komm BGB §157. /Mayer-Maly. Rn 1.

[478] The principles of European Contract Law.p.293. http://www.jus.uio.no/lm/eu/contract.principles. part 1. 1995/

ულირებს. ამის შედეგად, მყიდველი მოკლებულია შემოქმედებით შესაძლებლობებს შესაძენ ნივთან მიმართებით.

რომის სამართლის მიერ დადგენილი პრინციპი – პირი, რომელიც რეალიზებას უკეთებს საქონელს (ქონებას), დებს ნასყიდობის ხელშეკრულებას, თუკი ეს საქონელი მან დაამზადა თავისი მასალით (ხოლო თუ ეს საქონელი მან დაამზადა შემკვეთის მასალით, მაშინ ის დებს ნარდობის ხელშეკრულებას) დიდი ხნის განმავლობაში მოქმედებდა (მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის 651-ე პარაგრაფის I აბზაცი). ასეთი შეთანხმების სამართლებრივი ბუნების განსაზღვრისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება შეკვეთილი საქონლის (ნივთის) დამზადებისათვის საჭირო მასალის რაოდენობას. თუკი სამუშაოს შესასრულებლად საჭირო ძირითადი მასალა წარმოადგენს შემკვეთის საკუთრებას, მაგალითად, ნაგებობის ასაშენებლად საჭირო მიწის ნაკვეთი, მაშინ სახეზეა ნარდობის ხელშეკრულება; ხოლო თუკი ეკუთვნის მეორე მხარეს, მაშინ სახეზეა ნასყიდობის ხელშეკრულება.

საერთო სამართლის ქვეყნებში, სადაც არ არსებობს ნარდობის განზოგადებული სისტემატიზირებული რეგულირება, ხელშეკრულების კვალიფიკაცია ნაკლებ აქტუალურია. დავის განხილვისას წამოჭრილი სამართლებრივი პრობლემების გადაწყვეტა ხდება მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების პირობების განმარტების შედეგად.

თავი VI. ნარდობასთან დაკავშირებული ხარჯთაღრიცხვა

VI.1. ზოგადი დებულებები

ნარდობის ხელშეკრულებით შეიძლება გათვალისწინებული იქნეს რთული და მოცულობითი ხასიათის სამუშაოს შესრულებაც, მაგალითად, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენება. რთული ან მოცულობითი სამუშაოების შესრულებისას ნარდობის ხელშეკრულებას თან ერთვის სამუშაოთა წარმოების ტექნიკური და საპროექტო დოკუმენტაცია[479] (ნარდობის საგნის ტექნიკური დახასიათება -ხარჯთაღრიცხვა).[480]

ხარჯთაღრიცხვა მოიცავს სამუშაოების ცალკეული ეტაპების, სახეებისა და დანახარჯების მიხედვით ანაზღაურების რაოდენობის ცალ-ცალკე და საბოლოო შეფასებას (ჯამს). თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ხარჯთაღრიცხვის შედგენა არ ანაზღაურდება.

ხარჯთაღრიცხვა შეიძლება იყოს ორი სახის: 1) მყარი, როცა ზუსტადაა განსაზღვრული ხარჯებისა და საზღაურის ოდენობა, რომელიც შემკვეთმა უნდა გადაუხადოს მენარდეს შესრულებული სამუშაოსათვის და 2) მიახლოებითი, რომელიც სამუშაოთა მიმდინარეობის პროცესში შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს.

VI.2 მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვა

მიახლოებითია ხარჯთაღრიცხვა, რომელიც სამუშაოთა შესრულების მიმდინარეობის პროცესში შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს.[481]თუ ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვა და მენარდე მას მნიშვნელოვნად გადააჭარბებს, მას შეუძლია მოითხოვოს მხოლოდ წინასწარ შე-

[479] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 3 მაისის განჩინება საქმეზე #ას-842-1201-06.

[480] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011,45.

[481] ძლიერიშვილი, ნარდობის სამართლებრივი რეგულირება, 2001, 9.

თანხმებული საზღაური (მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული), იმ შემთხვევის გარდა, როცა გადახარჯვის წინასწარ გათვალისწინება შეუძლებელი იყო. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ მიაჩნია, „რომ საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, სააპელაციო სასამართლოს მიერ სრულყოფილად არის გამოკვლეული და შეფასებული ფაქტობრივი გარემოებები და მათ საფუძველზე გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებისას მართებულად არის გამოყენებული სსკ-ის 629 (1) და 631(2) მუხლები, როგორც მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმები".[482]

საკითხი იმის შესახებ, მნიშვნელოვნადაა გადაჭარბებული თუ არა მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვა, უნდა გადაწყდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინებით, რადგან საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ ადგენს რაიმე ციფრობრივ მონაცემს, თუ როდის ჩაითვლება მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვა მნიშვნელოვნად გადაჭარბებულად. ამასთან, მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის გადაჭარბება არ უნდა იყოს გამოწვეული ხელშეკრულების რომელიმე მხარის ბრალით.[483]

ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია აპელანტის მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ „დაირღვა სამოქალაქო კოდექსის 631-ე მუხლი, რამდენადაც მოწინააღმდეგე მხარემ მას არ შეატყობინა ხარჯთაღრიცხვის მნიშვნელოვნად გაზრდის შესახებ. საქმის მასალებით დადგინდა, რომ აპელანტმა 2010 წლის 20 დეკემბერს განცხადებით მიმართა მოწინააღმდეგე მხარეს და ითხოვა ექსპერტიზის ჩატარება დაჩქარებული წესით. უდავო იყო ის გარემოებაც, რომ 2010 წლის 20 დეკემბრისთვის მოქმედებდა საქართველოს მთავრობის №256 დადგენილება „სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების ტარიფების დამტკიცების შესახებ". ამდენად, ნათელია, რომ ტარიფები დადგენილი იყო ნორმატიული აქტით –

[482] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 31 ივლისის განჩინება საქმეზე #ას-362-344-2015.

[483] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 24 მაისის განჩინება საქმეზე #ას- 272-530-08.

სამართლებრივი ანუ შესასრულებლად სავალდებულო აქტით, რომელიც შეიცავდა სათანადო წესით დადგენილ ქცევის ზოგად წესს. ე.ი. მომსახურების ტარიფები ცალმხრივად კი არ იყო დადგენილი თავად მოწინააღმდეგე მხარის მიერ, არამედ დადგენილი იყო შესასრულებლად სავალდებულო აქტით და მისგან გადახვევა ნორმატიული აქტის დარღვევას გამოიწვევდა. იმის გათვალისწინებით, რომ სამოქალაქო კოდექსი 631-ე მუხლი აწესრიგებს ისეთ ვითარებას როდესაც საზღაურის დადგენის უფლებამოსილება მთალიანად მხარეთა ურთიერთშეთანხმებით განისაზღვრება, სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსის 631-ე მუხლი არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული".[484] "საკასაციო პალატამ გაიზიარა კასატორის პოზიცია და მიიჩნია, რომ „მოცემულ შემთხვევაში, საქმის განმხილველ სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 631-ე მუხლი, რომელიც მიახლოებითი ხარჯთაღიცხვის გადაჭარბების მარეგულირებელი ნორმაა".[485]

მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის ისეთი გაზრდის შესახებ, რომლის გათვალისწინებაც შეუძლებელი იყო ხელშეკრულების დადებისას, მენარდემ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს შემკვეთს.[486]თუ შემკვეთი წყვეტს ხელშეკრულებას ხარჯთაღრიცხვის გაზრდის გამო, მაშინ იგი ვალდებულია აანაზღაუროს შესრულებული სამუშაო მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით. (ანალოგიურ დებულებებს შეიცავს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 650-ე პარაგრაფიც.)[487]

„ერთ-ერთ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, იმ ხარჯთაღრიცხვაში, რომელიც 2006 წლის 1-ელ ნოემბერს გაფორმებულ ნარდობის ხელშეკრულებამდე რამდენიმე თვით ადრე შესდგა, ასახული იყო ის სტანდარტული პირობები, რომელიც წინასწარ ჩამოაყალიბა მენარდემ – ანუ შემთავაზებელმა და წარუდ-

[484] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 26 აპრილის განჩინება საქმეზე #ას- 335-320-2012.

[485] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე #ას-226-213-2015.

[486] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 28 მაისის განჩინება საქმეზე #ას-250-306-09.

[487] Voit, Die asßerordentliche Kündigung des Werkvertrags durch den Besteller,BauR 2002, S.1776-1778.

გინა მეორე მხარეს – დამკვეთს. შესაბამისად, ნარდობის ხელშეკრულებაში სწორედ მხარეთა მიერ გამოვლენილი ნების შესაბამისად, საბოლოოდ შეთანხმებული პირობები აისახა, რასაც, კანონმდებლის დათქმის თანახმად, ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებთან ანუ ხარჯთაღრიცხვასთან შედარებით უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება".[488]

მენარდის მიერ შემკვეთისათვის მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის გაზრდის შესახებ შეტყობინების ვალდებულების დაკისრების არსი მდგომარეობს იმაში, რომ თუკი მენარდე არ შეატყობინებს შემკვეთს მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მნიშვნელოვნად გაზრდის შესახებ და გააგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი სამუშაოს შესრულებას, შემდგომში იგი კარგავს უფლებას მოითხოვოს შემკვეთისაგან ფასებს შორის სხვაობის ანაზღაურება. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, „რომ კასატორს (შემკვეთს) მენარდისაგან, გადახარჯვის დასაბუთების მიზნით, რაიმე დადგენილი ფორმით დოკუმენტაციის წარმოდგენა არ მოუთხოვია; შემკვეთს, ხარჯთაღრიცხვის მნიშვნელოვნად გაზრდის გამო, სკ-ის 631-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, არც ხელშეკრულების შეწყვეტა მოუთხოვია".[489]

მაგალითად, თუ ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო ნაგებობის აშენება, რისთვისაც შემკვეთს მენარდისათვის უნდა გადაეხადა 50.000 ლარი, ხოლო მშენებლობის პროცესში გაიზარდა სამშენებლო მასალის ღირებულება და ნაგებობის ასაშენებლად საჭიროა 80.000 ლარი, მენარდემ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს შემკვეთს. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ მენარდე გააგრძელებს ნაგებობის მშენებლობას, მაშინ იგი დაკარგავს ფასებს შორის სხვაობის (80000-50000=30000 ლარი) ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.[490] მას შემდეგ, როდესაც შემკვეთი მიიღებს მენარდისაგან შეტყობინებას მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მნიშ-

[488] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2010 წლის 1 მარტის განჩინება საქმეზე №ას-889-1175-09.

[489] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 31 ივლისის განჩინება საქმეზე #ას-362-344-2015.

[490] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 65.

ვნელოვნად გადაჭარბების შესახებ, შემკვეთს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება, თუკი იგი თანახმაა გადაიხადოს გაზრდილი ანაზღაურება. თუმცა 631 II ნაწილი შემკვეთს უფლებას ანიჭებს მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის გაზრდის გამო შეწყვიტოს ხელშეკრულება 398 -ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. „სამოქალაქო კოდექსის 631-ე მუხლი შემკვეთს შესრულებული სამუშაოს ღირებულების გადახდისაგან ათავისუფლებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მენარდემ მნიშვნელოვნად გადააჭარბა მიახლოებით ხარჯთაღრიცხვას."[491]

ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, „რომ მხარეებს შორის არსებობდა ნარდობის ურთიერთობა, რომლის შესრულების დროს ხარჯების გაზრდის წინასწარ გათვალისწინება შეუძლებელი იყო. სკ-ის 631-ე მუხლის მეორე ნაწილიდან გამომდინარე, მენარდეს დაუყონებლივ უნდა შეეტყობინებინა შემკვეთისათვის, რაც განხორციელდა კიდევაც 2005 წლის 16 მაისს. თუ შემკვეთი შეწყვეტდა ხელშეკრულებას ხარჯთაღრიცხვის გაზრდის გამო, მაშინ იგი ვალდებული იყო აენაზღაურებინა უკვე შესრულებული სამუშაო.[492]

შესასრულებელი სამუშაოს გაძვირების არახელსაყრელი შედეგებისა და ამ საკითხთან დაკავშირებით მხარეთა შორის შესაძლო დავების თავიდან ასაცილებლად, ნარდობის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ხარჯთაღრიცხვაში შესაძლებელია გათვალისწინებული იქნეს დამატებითი და გაუთვალისწინებელი სამუშაოების ხარჯების დასაფარავად რეზერვი ანუ დამატებითი ფულადი სახსრები.

ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან მიმართებით თითქმის ანალოგიური შინაარსის დებულებები გვხვდება გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 650-ე პარაგრაფში.[493]

---

[491] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 26 მარტის განჩინება საქმეზე #ას- 309-295-2012.

[492] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 17 მარტის განჩინება საქმეზე #ას-781-996-08.

[493] Sprau in Palandt BGB Komm.67.Aufl.§650,Rn.12.Peters, in Staudinger BGB Komm. (2005), §650, Rn.7.

VI.3. ნარდობის ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი

VI.3. 1. ზოგადი დებულებანი.

მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის გაზრდის შემთხვევაში, სკ-ის 631 II ნაწილთან მიმართებაში შესაძლებელია დადგეს სკ-ის 398-ე მუხლით გათვალისწინებული – ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი – გამოყენების საჭიროება. საერთო წესის მიხედვით, ხელშეკრულება უნდა შესრულდეს, რადაც არ უნდა დაუჯდეს ეს ვალდებულ პირს და თუ მას ვალდებულების შესრულება გაურთულდა ან მან დაკარგა ხელშეკრულების შესრულების ინტერესი, ეს მისი პრობლემაა.[494] მან თავად იკისრა ვალდებულების შესრულება და თავადვე უნდა ატაროს მისი შეუსრულებლობის რისკი (pacta sunt servanda).

იმის გათვალისწინებით, რომ ხელშეკრულება პირთა მიერ ნებაყოფლობით ნაკისრი ვალდებულებაა, ყველა სახელშეკრულებო ვალდებულების უპირველესი წესი ნაკისრი ვალდებულების უცილობო შესრულებაა.[495] თუმცა უნდა ითქვას, რომ აღნიშნული პრინციპი არ უნდა იქნეს გაგებული აბსოლუტური აზრით.

ვალდებულების შესრულების პროცესში მხარეები შეიძლება აღმოჩნდნენ ისეთი გარემოებების წინაშე, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ ვალდებულების სავალდებულო ხასიათზე. მხარეთა მიერ წინასწარ გათვლილი უცვლელი გარემოებები, შესაძლებელია რომ ცვალებადი აღმოჩნდეს. ეს ახალი გარემოებები გავლენას ახდენს ვალდებულების შემდგომ ბედ-იღბალსა და მხარეთა პასუხისმგებლობის ფარგლებზე.[496] მხარე არ შეიძლება იყოს შესრულების ყოველგვარი რისკის მატარებელი. ეს ისეთი გარემოებებია, რომლებიც არსებითად ცვლის სახელშეკრულებო წონასწორობას და მხარეთა მიერ ვალდებულების ორმხრივი შესრულების არსებით

[494] გეგენავა, ნარდობის ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, 2015, 22.

[495] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის #3ბ/364-01 განჩინება.

[496] ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, 398-ე მუხლი, გვ.399.

დისბალანსს იწვევს.[497] აუცილებელია გამონაკლისის არსებობა, რომელიც ცალკეულ შემთხვევაში გართულებული ვალდებულების მოდიფიცირების ან შეწყვეტის შესაძლებლობას შექმნიდა. ამ მექანიზმს ხელშეკრულების საფუძვლის რღვევის ინსტიტუტი წარმოადგენს, რომლის საფუძველზეც მხარეებს შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების მოთხოვნა[498], ხოლო უარის შემთხვევაში ხელშეკრულებიდან გასვლა შეუძლიათ.[499] უმთავრესია, რომ მხარეები კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად შეეცადონ ურთიერთშეთანხმებას.[500]

VI.3. 2. შეცვლილი გარემოებების სამართლებრივი ბუნება

გართულებული სამოქალაქო ბრუნვის პირობებში კომერციული კონტრაქტები განსაკუთრებით მგრძნობიარე გახდა სახელშეკრულებო ურთიერთობაში აღმოცენებული შეცვლილი გარემოებების მიმართ.[501]

შეცვლილ გარემოებათა პირობებში ვალდებულების შესრულების საკითხის მოწესრიგება ხელშეკრულების ადაპტაციის გზით, მხარეთა და ზოგადად, საზოგადოების საუკეთესო ინტერესებს შეესატყვისება, იმ შემთხვევაში, თუ სახელშეკრულებო ბოჭვის პრინციპისადმი ფორმალური ერთგულება ზემოხსენებული საუკეთესო ინტერესების განხორციელებისათვის დაბრკოლებად იქცევა. ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი ადაპტაციისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს „ხელშეკრულების სტაბილურობისა" და „ხელშეკრულების მოქნილობის" პრინციპთა ბალანსირება.[502]

---

[497] Zweigert/Kötz Einführung in die Rechtsvergleichung, 3. Aufl. Tübingen, 1996, 536.

[498] ჩიტაშვილი, შეცვლილი გარემოებებით წარმოშობილი შესრულების გართულება, სამართლის ჟურნალი, 2011, 158.

[499] ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, 212.

[500] Draetta U., Lake R.B., Nanda V.P., Breach and Adaptation on International Contracts, An Introduction to Lex Mercatoria, Butterworth Legal Publishers, 1992, 197.

[501] Ciematniece I., Contract Renegotiation and Adaptation, Concept of Contract Renegotiation and Adaptation in International Law Contracts, Lambert Academic Publishing, Saarbrücken, 2010,5.

[502] Frick J.G., Arbitration and Complex International Contracts, Kluwer Law Interna-

შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება შესრულების გართულების სამართლებრივ შედეგად განიხილება.[503] ხელშეკრულების ადაპტაცია, ჩვეულებრივ, გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობაში გამოიყენება შეცვლილი გარემოებების გავლენით მხარეთა ეკონომიკურ ინტერესებს შორის წონასწორობის რღვევისას, ეკონომიკური ინტერესის შენარჩუნების გათვალისწინებით სამომავლო თანამშრომლობის უზრუნველყოფის მიზნით.[504]

ხელშეკრულების უზენაესობის პრინციპის თანახმად, ხელშეკრულების გადასინჯვა, შესაძლებელია, ფორმალური სამართლიანობისათვის საფრთხედ იქნეს განხილული. თუმცა, თანამედროვე დოქტრინისთვის პირობათა უცვლელობა-დაურღვევლობა არ შეიძლება სახელშეკრულებო სამართლის უზენაეს ღირებულებად იქნეს ცნობილი. სახელშეკრულებო ურთიერთობების მიმართ მოქმედი ახალი პრინციპები, როგორიცაა პროპორციულობა, განგრძობადობა და უწყვეტობა განიხილება ხელშეკრულების გადასინჯვის კანონიერების დასასაბუთებლად.[505] ხელშეკრულების გადასინჯვა მისი სტაბილურობისა და ურთიერთობის გაგრძელების წინაპირობაა. რისკებისა და შეცვლილი გარემოებების გავლენით წარმოშობილი ზარალისა და სარგებლის ურთიერთგაზიარება მხარეთა მიერ („გაზიარების პრინციპი") უსამართლობის პრევენციას ახდენს.[506]

შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების ადაპტაცია მის შეწყვეტასთან ან მკაცრ აღსრულებასთან შედარებით მნიშვნელოვან წილად უზრუნველყოფს მხარეთა ინტერესების განხორციელე-

---

tional, Schulthess, 2001, 36.

[503] გერმანულ სამართალში ხელშეკრულების საფუძვლის რღვევა ნარმოშობს ხელშეკრულების ადაპტაციის მოთხოვნას, როგორც ავტომატურ სამართლებრივ შედეგს. იხ. BGH, LM §242 (ba) BGB Nr. 38; BGH NJW 1972, 152.

[504] Ciematniece I., Contract Renegotiation and Adaptation, Concept of Contract Renegotiation and Adaptation in International Commercial Law Contracts, Lambert Academic Publishing, Saarbrücken, 2010, 37.

[505] Mazeaud D., La révision du contrat. Rapport Français. In: Société de Législation comparée (Ed.), Le Contrat: Juornées Brésiliennes. Société de Législation comparée: Paris, 2008, 560-561.

[506] Fried C., Contract as Promise: A theory of Contractual Obligations, Harvard University Press: Cambridge, Mass, 1981, 69-73.

ბას. შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების უპირატესობა იმ შემთხვევითაც ვლინდება, როდესაც პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა და ზიანის ანაზღაურება ვერ უბრუნებს მხარეებს მათ თავდაპირველ მდგომარეობას. მაგალითად, თუ გაწეულია მნიშვნელოვანი დანახარჯები იმ ნივთებზე, რომლებიც გამოუყენებელი დარჩება მოვალის შესრულების ვალდებულებისაგან განთავისუფლების შემთხვევაში. თუ სახელშეკრულებო დათქმებით მხარეებმა გამორიცხეს შეცვლილი გარემოებების შესაძლო გავლენა ვალდებულების მბოჭავ ძალაზე და ამ გავლენით გამოწვეული სამართლებრივი შედეგებისათვის პასუხისმგებლობა, სასამართლო უფლებამოსილია უგულებელყოს ეს შეთანხმება სამართლიანობისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპების უზრუნველყოფის მიზნით.[507]

როგორც წესი, მხარეები ინტერესთა ბალანსის აღდგენისათვის შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების წესს ანიჭებენ უპირატესობას ურთიერთობის შეწყვეტასთან შედარებით. აღნიშნული მიზეზით განამტკიცებს უნიფიცირებული კერძო სამართალი და უმრავლესი ეროვნული სამართლის სისტემა შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების მიზნით მხარეთა მოლაპარაკების სავალდებულოობის დანაწესს.[508]

შეცვლილი გარემოებები ართულებს შესრულებას იმ დონემდე, რომ მისი შესრულების მოთხოვნა, როგორი გამამართლებელი საფუძველიც არ უნდა გააჩნდეს მეორე მხარეს, ეწინააღმდეგება სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელ სიკეთეთა სამართლიანი (ეკვივალენტური) გაცვლისა და კეთილსინდისიერების მოთხოვნებს, აღნიშნული კი, შეიძლება განპირობებული იყოს, როგორც შესრულების ღირებულების გაზრდით, ისე მისი შემცირებით. ღირებულების არსებით გაზრდას ექნება ადგილი, როდესაც

---

[507] Ciematniece I., Contract Renegotiation and Adaptation, Concept of Contract Renegotiation and Adaptation in International Commercial Law Contracts, Lambert Academic Publishing, Saarbrücken, 2010, 32.

[508] ვალდებულების შესრულებაზე შეცვლილი გარემოებების გავლენის თაობაზე უფრო დაწვრილებით იხილეთ: ჩიტაშვილი, შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორედ მოთხოვნებზე (შედარებითი ანალიზი), თბ, 2015.

კატასტროფულად იზრდება მისაწოდებელი საქონლისა თუ ნაკისრი მომსახურების ფასი ანდა როცა პროდუქციის უსაფრთხოება მოითხოვს ძირადღირებული საწარმოო ტექნოლოგიის დანერგვას.[509] შესრულების ღირებულების შემცირებას მაშინ აქვს ადგილი, როცა არსებითად მცირდება შესრულების ფასეულობა ანდა საერთოდ ისპობა იგი. ამის მიზეზი შეიძლება იყოს საბაზრო ცვლილებები, როგორიცაა ინფლაციის კატასტროფული ზრდა სახელშეკრულებო ფასებთან მიმართებაში ანდა მიზნის ამაოება, როგორიცაა სამშენებლო სამუშაოების წარმოების აკრძალვა საამისოდ შეძენილ მიწის ნაკვეთზე. შესრულების ღირებულების გაზრდის საზომი ობიექტური გარემოებები უნდა იყოს, მარტო შესრულების მიმღების მხრიდან მისი შეფასება მხედველობაში არ მიიღება.

ხელშეკრულების საფუძვლის რღვევა სიმპტომატურად ხუთი ელემენტისაგან შედგება:

1) ხელშეკრულების დადების შემდეგ შეიცვალა გარკვეული გარემოებები (ობიექტური საფუძველი, სკ-ის 398-ე მუხლის I ნაწილი) ან ერთობლივი წარმოდგენები არასწორი აღმოჩნდა (სუბიექტური საფუძველი სკ-ის 398 მუხლის II ნაწილი);

2) ეს გარემოებები ან წარმოდგენები იქცა ხელშეკრულების საფუძვლად;

3) გარემოებათა ცვლილება იყო მოულოდნელი;

4) ცვლილებათა გათვალისწინების შემთხვევაში მხარეები არ დადებდნენ ხელშეკრულებას ან დადებდნენ ხელშეკრულებას სხვა შინაარსით (ეს საკვანძო ელემენტი მომდინარეობს ვინდშაიდის „პირობის თეორიიდან", რომლის თანახმადაც: განმსაზღვრელია პირობა, რომლის არსებობის გარეშეც ხელშეკრულება არ დაიდებოდა და არა პირობა, რომლის არსებობის შემთხვევაშიც ხელშეკრულება დაიდებოდა);

5) ცვლილება იმდენად არსებითია, რომ ერთ-ერთ მხარეს არ შეიძლება ვალდებულების უცლელად შესრულება ან ხელშეკრულებაში დარჩენა მოეთხოვოს.[510]

---

[509] Принципы международных коммерческих договоров. М., 1999, с. 177.

[510] ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, 213.

ხელშეკრულებით შეთანხმებული ვალდებულება ხელშეკრულების მხარეებისათვის მბოჭავია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ბოჭვა, ხელშეკრულების დადების დროს არსებული მხარეთა ინტერესების გათვალისწინებით, გამართლებულია ვალდებულების შესრულების მომენტისათვისაც.[511] შესაბამისად, ზოგადად მოქმედი პრინციპია ის, რომ გარემოებები, რომელთა გათვალისწინებითაც დაიდო ხელშეკრულება, არსებითად არ უნდა იყოს შეცვლილი ვალდებულების შესრულების მომენტისათვისაც.[512] ცალკეული შემთხვევის თავისებურების გათვალისწინებით უნდა დადგინდეს, არსებითია თუ არა ამა თუ იმ გარემოების ცვლილება და რამდენად უქმნის ეს ცვლილება მხარეთა ინტერესების ბალანსს საფრთხეს. გარემოებათა ცვლილება აშკარა და არსებით ცვლილებად უნდა იქნეს მიჩნეული მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეები ან ერთ-ერთი მათგანი ამ ცვლილებების გათვალისწინების შემთხვევაში ხელშეკრულებას არ დადებდა ან სხვა შინაარსით დადებდა.

შეცვლილი გარემოება უნდა იმყოფებოდეს დაზარალებული მხარის კონტროლს მიღმა. ასევე დაზარალებული არც შეცვლილ გარემოებათა მიერ გამოწვეულ შედეგთა რისკის მატარებელი არ უნდა იყოს. შესაბამისად, ხელშეკრულების შევსებითი განმარტების შედეგად უნდა დადგინდეს, თუ რამდენად მიეკუთვნებოდა ცვლილება კონტრაჰენტის რისკის ან კონტროლის სფეროს[513] ან რამდენად ითვალისწინებდნენ მხარეები მომხდარ ცვლილებებს. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ხელშეკრულების მიზანი და ხასიათი.[514] რისკი კი შეიძლება აღებულ იქნეს როგორც პირდაპირ, ისე შეიძლება საგულისხმოც იყოს.[515] გარემოებები იმდენად მკვეთრად და კარდინალურად უნდა შეიცვალოს, რომ თუკი მხარეები შემდგომში თავდაპირველ შეთანხმებას გაჰყვებიან, ეს გამოი-

[511] Bamberger/Roth (Hrsg)/Grüneberg., Band I, §133, Rn.1-3., Münch Komm BGB/g. Roth., Bd. 2a §313. Rn. 56. Paland/Heinrichs §313., Rn. 6.7.

[512] Unberath, Bamberger/Roth (Hrsg) Beck'scher Online-Kommentar zum BGB, 15. Aufl., 2009, §313. BGB.

[513] Medicus, Dieter/Lorenz, Stephan: Schuldrecht I, Allgemeiner Teil, 18. Auflage, München, 2008, 528.

[514] Palandt/Grüneberg. §313, Rn. 18.

[515] ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გვ.403.

წვევდა სამართლისა და სამართლიანობის ცნებებისადმი აშკარა შეუსაბამობას.[516]გარემოებათა შეცვლას უთანაბრდება ის ვითარებაც, როცა წარმოდგენები, რომელიც ხელშეკრულების საფუძველი გახდა, არასწორი აღმოჩნდა. ამ შემთხვევაში გარემოებათა შეცვლას კი არა აქვს ადგილი, არამედ ცდომილებას.[517]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის III ნაწილის თანახმად, მხარეები ჯერ უნდა შეეცადონ ხელშეკრულება მიუსადაგონ შეცვლილ გარემოებებს. თუკი შეუძლებელია ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი ან მეორე მხარე ამას არ ეთანხმება, მაშინ იმ მხარეს, რომლის ინტერესებიც დაირღვა, შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე.

შეცვლილი გარემოებები ართულებს შესრულებას იმ დონემდე, რომ მისი შესრულების მოთხოვნა, როგორი გამამართლებელი საფუძველიც არ უნდა გააჩნდეს მეორე მხარეს, ეწინააღმდეგება სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელ სიკეთეთა სამართლიანი (ეკვივალენტური) გაცვლისა და კეთილსინდისიერების მოთხოვნებს, აღნიშნული კი, შეიძლება განპირობებული იყოს, როგორც შესრულების ღირებულების გაზრდით, ისე მისი შემცირებით. ღირებულების არსებით გაზრდას ექნება ადგილი, როდესაც კატასტროფულად იზრდება მისაწოდებელი საქონლისა თუ ნაკისრი მომსახურების ფასი ანდა როცა პროდუქციის უსაფრთხოება მოითხოვს ძირადღირებული საწარმოო ტექნოლოგიის დანერგვას. შესრულების ღირებულების შემცირებას მაშინ აქვს ადგილი, როცა არსებითად მცირდება შესრულების ფასეულობა ანდა საერთოდ ისპობა იგი. ამის მიზეზი შეიძლება იყოს საბაზრო ცვლილებები, როგორიცაა ინფლაციის კატასტროფული ზრდა სახელშეკრულებო ფასებთან მიმართებაში ანდა მიზნის ამაოება, როგორიცაა სამშენებლო სამუშაოების წარმოების აკრძალვა საამისოდ შეძენილ მიწის ნაკვეთზე. შესრულების ღირებულების გაზრდის საზომი ობიექტური გარემოებები უნდა იყოს, მარტო შესრულების მიმღების მხრიდან მისი შეფასება მხედველობაში არ მიიღება.[518] „ხელშეკრულების ღი-

[516] Zweigert/Kötz, Einführung in die Rechtsvergleichung, Tübingen. 1996, 521.

[517] ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, 398-ე მუხლი, გვ.404.

[518] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 61.

რებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია მხარეთა წერილობითი შეთანხმების გარეშე, გარდა სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა."[519]

მაშასადამე, აუცილებელია, რომ გარემოებები შეიცვალოს მხოლოდ ხელშეკრულების დადების შემდეგ და მხარეებს ამაში ბრალი არ უნდა მიუძრვოდეთ. ასევე გარემოებების ცვალებადობისათვის არ არის აუცილებელი მათი რაიმე მოვლენასთან მყისიერი დაკავშირება, რადგან შესაძლებელია, მოვლენის დადგომამ მაშინვე არ გამოიწვიოს გარემოებების შეცვლა და უარყოფითი შედეგები მოგვიანებით წარმოშვას.ს. მაგალითად, საომარი მოქმედებები, რომლის უარყოფითი შედეგები ეკონომიკაზე იმწამიერად არ აისახება. ომის უარყოფითი ეკონომიკური შედეგები, როგორც წესი, არ სრულდება საომარი მოქმედებების დასრულებასთან ერტად და მას ზოგ შემთხვევაში საკმაოდ ხანგრძლივი განვიტარება აქვს, რის გამოც, სესაძლებელია შეცვლილ გარემოების პირობად მოგვევლინოს ომის შედეგად გამოწვეული ფინანსური კრიზისი, რომელიც მიზეზობრივ კავშირში უნდა იყოს დამდგარ შედეგთან, შესრულების გართულებასთან და მის უკიდურესად დამძიმებასთან.[520]

VI.3. 3. შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება მხარეთა მოლაპარაკების გზით

შეცვლილ გარემოებებთან ხელშეკრულების მისადაგების თაობაზე მხარეთა მოლაპარაკება უნდა დაემყაროს კეთილსინდისიერების პრინციპს. კონტინენტური ევროპის ქვეყნების უმრავლეს სამართლებრივ სისტემაში ვალდებულებითი სამართალი აღიარებს და იცავს ფუნდამენტურ პრინციპს, რომ ხელშეკრულების ფორმირებისა და მისი აღსრულების ეტაპზე მხარეები უნდა ხელმძღვანელობ-

[519] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალაAტის 2012 წლის 26 მარტის განჩინება საქმეზე # 309-295-2012.

[520] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2010 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე # 7-6-2010.

დნენ კეთილსინდისიერების პრინციპით, რომელიც თავისი არსით სამართლიანობის უზრუნველყოფას გულისხმობს.[521] შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების დოქტრინა, როგორც სახელშეკრულებო ინტერესის რეალიზების მექანიზმი, სწორედ კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე აღმოცენდა. „საუკუნეების განმავლობაში „კეთილსინდისიერების დათქმაზე" დაყრდნობით კერძო სამართლის არაერთი ინსტიტუტი ჩამოყალიბდა და განვითარდა."[522] ამ პრინციპის პირმშოა შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების დოქტრინაც.[523] გერმანულ სამართალში კეთილსინდისიერი ქცევა მხარეთა უპირველესი ვალდებულებაა. ყველა უფლებისა და მოვალეობის განხორციელება კეთილსინდისიერების ძირითად წესს უნდა ეფუძნებოდეს.

კონტინენტური ევროპის ქვეყნებში შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება კეთილსინდისიერებისა და სამართლიანობის პრინციპთა საფუძველზე ხორციელდება.[524] შეცვლილი გარემოებების გავლენით შესრულების გართულების წარმოშობისას, კეთილსინდისიერების პრინციპი მხარეებს აკისრებს ურთიერთთანამშრომლობის ვალდებულებას ხელშეკრულების ადაპტაციის მიზნით, ხოლო სასამართლოს ანიჭებს მისი მისადაგების უფლებამოსილებას, რომელიც მოწოდებულია სახელშეკრულებო სამართლიანობისა და წონასწორობის აღდგენისათვის მხარეთა თავდაპირველი მიზანი განმარტოს კეთილსინდისიერების პრინციპის ჭრილში.მოლაპარაკების სავალდებულოობის პრინციპი კონტინენტური სამართლის სისტემის არსობრივი მახასიათებელია, რამეთუ ის განსაკუთრებით ორიენტირებულია სახელშეკრულებო ურთიერთობის დაცვასა და ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფაზე.[525]

---

[521] Collins H., The Law of Contract, Cambridge University Press, New York, 2003, 216-217.

[522] კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, 84.

[523] ჩიტაშვილი, შეცვლილი გარემოებებით ნარმოშობილი შესრულების გართულება და შეუძლებლობა, „სამართლის ჟურნალი", #2, 2011, გვ. 139-142.

[524] Draetta U., Lake R.B., Nanda V.P., Breach and Adaptation on International Contracts, An Introduction to Lex Mercatoria, Butterworth Legal Publishers, 1992, 183.

[525] Ciematniece I., Contract Renegotiation and Adaptation, Concept of Contract Renegotiation and Adaptation in International Commercial Law Contracts, Lambert Academic Publishing, Saarbrücken, 2010, 65.

შეცვლილი გარემოებების აღმოცენება ავტომატურად არ წარმოშობს ადაპტაციის ვალდებულებას, არამედ მოლაპარაკების მოთხოვნის უფლებას ანიჭებს მხარეს.[526] დათქმა ჩლაუსულა ღებუს შიც შტანტიბუს შეცვლილი გარემოებების არსებობისას ითვალისწინებს მოლაპარაკებათა გამართვას კონტრაქტის ადაპტაციის უზრუნველსაყოფად, შეთანხმების პირობების გადახედვას იმგვარად, რომ შესრულების გაგრძელება შესაძლებელი გახდეს.[527] ამდენად, შეცვლილი გარემოებების პირობებში მხარეთა უმთავრესი მიზანი ხელშეკრულების შენარჩუნება უნდა იყოს.[528]

ხელშეკრულების მისადაგება ყოველთვის მოვალის, როგორც დაზარალებული მხარის, ინტერესებს ეხმიანება, რომლისთვისაც თავდაპირველი პირობებით შესრულება მძიმე შედეგებს უკავშირდება. კრედიტორისათვის უმჯობესია ხელშეკრულების უცვლელი პირობებით შესრულება, რომელიც მნიშვნელოვნად ზრდის მისთვის სახელშეკრულებო ინტერესს, ხელშეკრულების ფასსა და სარგებლიანობას. თუმცა კრედიტორისათვის შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების შესაბამისობაში მოყვანა არ იქნება მძიმე ეკონომიკური შედეგის მომტანი, რამდენადაც მისადაგების დროს სასამართლო მაქსიმალურად ხელმძღვანელობს კეთილსინდისიერებისა (სკ-ის მე-8 III, 361-ე II მუხლები) და სამართლიანობის (სკ-ის 325-ე მუხლი) პრინციპებით.

სასამართლომ შეცვლილი გარემოებებით გამოწვეული უარყოფითი შედეგები მხარეებზე იმ პრინციპით უნდა გადაანაწილოს, რომ შესრულება მოვალისათვის გახდეს გონივრული სიმძიმის.[529] ბუნებრივია, ხელშეკრულების ადაპტაცია არ გულისხმობს სახელშეკრულებო წონასწორობის აბსოლუტურ აღდგენას და სასამართლოს მიერ დაზარალებული მხარის სრულად განთავისუფლებას

[526] BGHZ 10, 44, 51; 350 F; BGH NJW 1967, 1081; BGH WM 1975, 769.

[527] გოგიაშვილი, Clausula Rebus Sic Stantibus, დინამიკა და სტატიკა სამართალში, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა", 9/2006-1/2, 110.

[528] Pizer L.K., Smith M.R. (eds. in Chief), Southerington T., Review of the Convention on Contracts for the International Sale of Goods (CISG) 2002-2003, Kluwer Law International, The Hague, London, New York, 2004, 264.

[529] Brunner Ch., Force Majeure and Hardship under General Contract Principles: Exemption for Nonperformance in International Arbitration, Kluwer Law International: Alphen aan den Rijn, 2009, 499.

შეცვლილი გარემოებებით გამოწვეული ხარჯებისგან.[530]

თუ მხარეები ვერ აღწევენ შეთანხმებას სახელშეკრულებო მოლაპარაკების პროცესში, მაშინ სასამართლოს მიერ უნდა გადაწყდეს ხელშეკრულება უნდა შესრულდეს უცვლელი შინაარსით, მოხდეს მისი ადაპტაცია თუ სახელშეკრულებო პასუხისმგებლობისგან სრული განთავისუფლება. შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების სასამართლოს მიერ მისადაგების პროცესში ერთმანეთს უპირისპირდება მხარეთა ნების ავტონომიის პრინციპი და ხელშეკრულების სტაბილურობის უზრუნველყოფის აუცილებლობა.

შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება სასამართლოს მიერ გულისხმობს განმარტებისა და ხარვეზის შევსების მეთოდების გამოყენებას. შეცვლილი გარემოებების შესაბამისად მოდიფიცირებული ხელშეკრულება ყოველთვის მხარეთა თავდაპირველი სახელშეკრულებო ინტერესებისა და მიზნების ამსახველი უნდა იყოს.[531] სასამართლოს მიზანია ადაპტირებული ხელშეკრულება ახალ პირობებშიც გამოხატავდეს მხარეთა ნებას.

შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგებისას კეთილსინდისიერების პრინციპის თვალთახედვით უნდა შეფასდეს მხარეთა ორმხრივ ვალდებულებათა წონასწორობის რღვევის ხარისხი და მისი შედეგები. ვინაიდან, კეთილსინდისიერების პრინციპი ურთიერთობის შეფასებისათვის უმთავრესი მექანიზმია, ამიტომ, ხელშეკრულების ადაპტაცია არ ინვევს ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის შეზღუდვას,[532] არამედ ბუნებრივი და სამართლიანი შედეგების უზრუნველყოფას ისახავს მიზნად.[533]

შეცვლილი გარემოებებისაგან განსხვავდება ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა. ფორსმაჟორის სამართლებრივ ბუნე-

---

[530] უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპების 6.2.1-ე, ევროპული პრინციპების 6:111-ე (1) და DCFR-ის III – 1:110-ე მუხლები.

[531] Uribe M., The Effect of a Change Circumstances on the Binding Force of the Contracts, Comparative Perspectives, Intersentia, 2011, 237.

[532] Ciematniece I., Contract Renegotiation and Adaptation, Concept of Contract Renegotiation and Adaptation in International Commercial Law Contracts, Lambert Academic Publishing, Saarbrücken, 2010, 11.

[533] შეცვლილი გარემოებებისადმი ნარდობის ხელშეკრულების მისადაგების შესახებ უფრო დაწვრილებით იხილეთ: გეგენავა,ნარდობის ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, თბ., 2015.

ბას არსობრივად საუკეთესოდ გამოხატავს ტერმინი superior force, რომელიც სკ-ში ტერმინ „დაუძლეველი ძალის" სახით არის განმტკიცებული. სკ-ის შეცვლილი გარემოებების მომწესრიგებელი ნორმით (398-ე მუხლი) განსაზღვრული სამართლებრივი წინაპირობები დაუძლეველ ძალაზეც ვრცელდება, იმ განსხვავებით, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში გამოირიცხება ვალდებულების შესრულებისა და შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების მოთხოვნა. დაუძლეველი ძალის არსებობისას, უპირობოდ გამოსაყენებელია ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება. სკ-ის 399-ე I მუხლი დაუძლეველი ძალის არსებობას იმ პატივსადებ გარემოებად აცხადებს, რომელიც ხელშეკრულების მოშლისათვის დაწესებული ვადის დაუცველად, ხელშეკრულების დაუყოვნებლივი მოშლის საფუძველი ხდება.[534] ფორსმაჟორის არსებობა უპირობოდ გამორიცხავს ნატურით შესრულებისა[535] და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებებს.[536]

თუ ფორსმაჟორული გარემოება დროებითი ხასიათისაა, მაშინ შესაძლებელია მოხდეს ვალდებულების შესრულების შეჩერება დროებითი დაბრკოლების არსებობის პერიოდში, თუ ვალდებულების დროული შეუსრულებლობა მოვალისათვის მთავარი სახელშეკრულებო ინტერესის დაკარგვას არ იწვევს. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ განჩინებაში განმარტებულია,[537] რომ ფორსმაჟორული გარემოება სახელშეკრულებო-სამართლებრივ

[534] კერძოდ, სსკ-ის 399-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულების ნებისმიერ მხარეს შეუძლია, პატივსადები საფუძვლით უარი თქვას გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობაზე ხელშეკრულების მოშლისათვის დაწესებული ვადის დაუცველად. პატივსადებია საფუძველი, როცა ხელშეკრულების მომშლელ მხარეს კონკრეტული ვითარების, მათ შორის, დაუძლეველი ძალისა და ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, არ შეიძლება მოეთხოვოს სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელება შეთანხმებული ვადის ან ხელშეკრულების მოშლისათვის დაწესებული ვადის გასვლამდე.

[535] Schwenzer I., Hachem P., Kee Ch., Global Sales and Contract Law, Oxford University Press, New York, 2012, 662.

[536] ევროპული პრინციპების 8:101-ე (2) და უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპების 7.1.7-ე (4) მუხლები.

[537] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2011 წლის 23 მაისის განჩინება საქმეზე #ას-496-470-2011.

ურთიერთობაში არ წარმოადგენს ვალდებულების შესრულებისაგან გათავისუფლების საფუძველს, თუ რა თქმა უნდა, ვალდებულების შესრულება ფორსმაჟორულ გარემოებათა აღმოფხვრის შემდეგაც შესაძლებელია და თუ აღნიშნული შესრულების მიმართ კრედიტორს ინტერესი არ დაუკარგავს.[538]

VI.3. 4. სკ-ის 389-ე მუხლის მიმართება სკ-ის 631-ე და 398-ე მუხლების დანაწესებთან.

პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხია, გამოიყენება თუ არა სკ-ის 389-ე მუხლით გათვალისწინებული დებულებები სკ-ის 398-ე, 631-ე მუხლის II ნაწილთან მიმართებით. სკ-ის 389-ე მუხლის თანახმად, თუ გადახდის ვადის დადგომამდე გაიზარდა ან შემცირდა ფულის ერთეული (კურსი), მოვალე ვალდებულია გადაიხადოს იმ კურსით, რომელიც შეესაბამება ვალდებულების წარმოშობის დროს.

სკ-ის 389-ე და 398-ე მუხლების ურთიერთმიმართების დროს გაუმართლებელია სკ-ის 389-ე მუხლის უპირატესობის უდავოდ აღიარება. ამ საკითხზე მსჯელობისას აუცილებელია ცალკეული შემთხვევის გათვალისწინებით შეფასდეს, რამდენად და რა შემთხვევაში უნდა ჩაითვალოს ფულის ერთეულის ან ფულის კურსის ცვლილება იმგვარ ცვლილებად, რომელიც ხელშეკრულების არსზე არსებით ზეგავლენას ახდენს. კერძოდ, მხარეთათვის აღნიშნული ცვლილება რამდენადაა ისეთი გარემოება, რომლის გათვალისწინების შემთხვევაში ისინი ან ერთ-ერთი მათგანი აღნიშნულ ხელშეკრულებას არ ან სხვა პირობებით დადებდა.[539]

სკ-ის 398-ე და 389-ე მუხლების ურთიერთმიმართებაზე მსჯელობისას უნდა დადგინდეს, რამდენად იყო მხარეების მიერ აღნიშნული გარემოების ცვლილება წინასწარ განჭვრეტადი. ამასთან, გარემოებათა ცვილლება უნდა იყოს აშკარა და იგი მძიმე შედეგებს

---

[538] დანვრილებით იხილეთ: ჩიტაშვილი, შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, 2015, 275.

[539] ჩაჩავა, მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, დისერტაცია, თსუ, 2010, 72.

უნდა იწვევდეს მოვალისათვის. სკ-ის 389-ე მუხლი სსკ-ის 398-ე მუხლთან მიმართებით, ძირითადად უნდა ჩაითვალოს საგამონაკლისო ნორმად, ვინაიდან იგი აწესრიგებს უშუალოდ ფულის ერთეულის (კურსის) შეცვლის შემთხვევაში განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს, სკ-ის 398-ე მუხლის გამოყენების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა ხელშეკრულების დადების შემდეგ გარემოებათა ისეთი აშკარა ცვლილება, რომელთა გათვალისწინების შემთხვევაში შეუძლებელია სავარაუდო იყოს ხელშეკრულების დადებისადმი მხარეების (ან ერთ-ერთი მათაგნის) დაინტერესება. შესაბამისად, გარემოების ცვლილება იმდენად უნდა ამძიმებდეს ერთ-ერთი მხარის მდგომარეობას, რომ მისგან ხელშეკრულების უპირობო შესრულების მოთხოვნა არათანაზომიერად უნდა ხელყოფდეს მის ინტერესებს. შესაბამისად, თუ განხილული წინაპირობები სახეზეა ფულის ერთეულის, მისი კურსისა თუ ვალუტის ცვლილების სახით, ასეთ შემთხვევაში, სკ-ის 398-ე მუხლს, შესაბამისი სამართლებრივი შედეგებით, უპირატესობა უნდა მიენიჭოს, რათა დაცული იქნეს ორივე ნორმის მიზანი. სკ-ის 389-ე მუხლთან მიმართებით, უზენაესმა სასამართლომ არაერთგზის განმარტა, „რომ ფულის კურსის ნორმალური ცვლილება არ ხვდება ამ ნორმის მოქმედების სფეროში დ იგი მხარეთა რისკის სფეროს მიეკუთვნება".[540]

შესაბამისად, ვალუტის კურსის გაუარესება წარმოადგენს ფულადი ვალდებულების კრედიტორის რისკს და ნორმალური ინფლაციის პირობებში მას არ ეძლევა უფლება მოითხოვოს ფულადი ვალდებულების იმ კურსით შესრულება, რომელიც შეესაბამება ვალდებულების წარმოშობის დროს. ეს ცვლილება შესაძლებელია მეტადრე ზიანის ანაზღაურების ანგარიშში იქნეს გათვალისწინებული.[541] (ფულად ვალდებულებებთან მიმართებით დაწვრილებით იხილეთ).[542]

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ სსკ-ის 631-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევის მოსაწესრიგებლად გამოყენებული უნდა იქნეს სკ-ის 398-ე მუხლით დადგენილი წესები.

[540] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი საქმეზე 3ბ/467-01, 3ბ/551-01, 3კ/786-01, 3კ/428-00.

[541] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე 3კ/786-01.

[542] ძლიერიშვილი, ფულადი ვალდებულების შესრულება, 2005.

მიახლოებით ხარჯთაღრიცხვასთან დაკავშირებით მნიშვნელოვან დებულებებს შეიცავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-888-834-2012, კერძოდ, „2011 წლის 8 დეკემბერს გ. კ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე თ. დ-ის მიმართ და მოითხოვა: **1. ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საზღაურის გადაუხდელი ნაწილის – 110629.45 ლარის ანაზღაურება;** 2. საგადასახადო საურავის სახით მოსარჩელის სახელზე დარიცხული თანხის (11000 ლარის) ანაზღაურება; 3. ზიანის – 70000 ლარის ანაზღაურება. სარჩელის მიხედვით, 2009 წლის 13 ოქტომბერს მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის **დაიდო ნარდობის ხელშეკრულება** – ქ.ქუთაისში, წ-ის ქ.№5-ში მდებარე მოპასუხის კუთვნილი სახლის დაშლისა და მის ადგილას, დამტკიცებული პროექტის მიხედვით, ახალი 883 კვ.მ მოცულობის სახლის აგების შესახებ. მოგვიანებით, დასახელებული **ნარდობის ხელშეკრულებით დამტკიცებული პროექტი შეიცვალა არსებითად სხვა სახის პროექტით,** რომლის მიხედვითაც აშენდა ხელშეკრულებაში მითითებული სახლი. აღნიშნული სახლის მშენებლობა დასრულდა 2010 წლის 30 სექტემბერს და იგი ექსპლუატაციაში მიიღო სახელმწიფო კომისიამ. სახლის მშენებლობაზე მოსარჩელის მიერ გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 278604.34 ლარი, საიდანაც მოპასუხემ გადაიხადა 167974.89 ლარი, ხოლო დარჩენილი 110629.45 ლარი, მოსარჩელის არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, არ გადაუხდია. **მოსარჩელის მოსაზრებით, ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საზღაურის დროულად გადაუხდელობამ,** ასევე იმ გარემოებამ, რომ მის ქონებას ედო ყადაღა, გამოიწვია ამ უკანასკნელის საწარმოს პარალიზება და მას მიადგა ზიანი 70000 ლარის ოდენობით. გარდა ზემოაღნიშნულისა, 2011 წლის 15 აგვისტოს მდგომარეობით, მოსარჩელეს დაერიცხა სახელმწიფო ბიუჯეტის ვადაგადაცილებული აღიარებული საგადასახადო დავალიანება 36244.11 ლარის ოდენობით. ხსენებულ დავალიანებას დაერიცხა საურავი. საგადასახადო დავალიანება გამოყვანილ იქნა მოპასუხის სახლის მშენებლობის ღირებულებიდან – 278604.34 ლარიდან, საიდანაც მოსარჩელემ რეალურად მიიღო მხოლოდ 167974.89 ლარი (ტომი 1, ს.ფ. 1-10).

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და თავის შესაგებელში მიუთითა შემდეგზე: მოსარჩელეს არ შეუსრულებია ნარდობის ხელშეკრულებითა და პროექტით გათვალისწინებული პირობა 883 კვ.მ ფართის აშენების თაობაზე. მოსარჩელემ ააშენა მხოლოდ 684 კვ.მ ფართი. ამასთან, მშენებლობა 2010 წლის 30 სექტემბერს არ დასრულებულა. მოსარჩელის მიერ სარჩელზე თანდართული 2010 წლის 30 სექტემბრის სამუშაოების შუალედური ანგარიშით უდავოდ დასტურდებოდა, რომ აღნიშნული დროისათვის სახლი არ იყო გადახურული, არ იყო შესრულებული წყალმომარაგების, კანალიზაციის, ქსელის მონტაჟის სამუშაოები. სახურავი გადაიხურა შპს „კ-ის" მიერ, მოპასუხის ხარჯით, რის გარეშეც შენობა ექსპლუატაციაში ვერ იქნებოდა მიღებული. სახელმწიფო კომისიამ სახლი ექსპლუატაციაში მიიღო სწორედ შპს „კ-ის" მიერ სამუშაოების დასრულების შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელემ ააშენა 684 კვ.მ ფართი, ნაცვლად 883 კვ.მ-ისა, მოპასუხეს მისთვის გადახდილი აქვს 883 კვ.მ ფართის აშენების ღირებულება იმ ოდენობით, რაც ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, კერძოდ, ერთ კვ.მ-ზე 105 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი გადახდის დროისათვის არსებული კურსით. ამდენად, მოპასუხეს მოსარჩელისათვის ზედმეტად აქვს გადახდილი 20895 აშშ დოლარი. მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით არ დასტურდება ის გარემოება, რომ მან შეასრულა მის მიერ მითითებული ღირებულების სამუშაოები (ტომი 1, ს.ფ. 59-69).

2012 წლის 5 იანვარს მოპასუხემ შეიტანა შეგებებული სარჩელი და მოითხოვა:

1. მის მიერ ზედმეტად გადახდილი 20895 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის მოპასუხისათვის დაკისრება; 2. ნაკლის გამოსწორებისათვის გადახდილი თანხის – 23725 ლარის მოპასუხისათვის დაკისრება.

შეგებებული სარჩელის მიხედვით: დამკვეთმა (შეგებებულმა მოსარჩელემ) მენარდეს (შეგებებული სარჩელის მოპასუხეს) გადაურიცხა ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა – 92715 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში, კერძოდ, 167974.89 ლარი. აღნიშნული თანხა დამკვეთს უნდა გადაეხადა ნარდობის ხელშეკრულებით განსაზღვრული ფართის – 883 კვ.მ-ის აშენების

სანაცვლოდ. მენარდემ ნაწილობრივ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება, კერძოდ, 883 კვ.მ ნაცვლად, ააშენა 754 კვ.მ, ანუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე 129 კვ.მ-ით ნაკლები. მითითებული ფართის ღირებულება – 13545 აშშ დოლარი, როგორც ზედმეტად გადახდილი, უკან უნდა დაუბრუნდეს დამკვეთს; მენარდის მიერ სარდაფის სამუშაოების უხარისხოდ შესრულების გამო, სარდაფში წყლის გაჟონვის აღმოსაფხვრელად, დამკვეთმა გასწია 9886.5 ლარის ღირებულების სამუშაო; მენარდის მიერ უხარისხოდ შესრულებული გადახურვის სამუშაოების გამო, დამკვეთმა ხარვეზის გამოსასწორებლად გასწია 1015 ლარის ხარჯი; მენარდის მიერ უხარისხოდ შესრულებული სხვა სამუშაოების გამოსასწორებლად დამკვეთმა გასწია 5110.43 ლარის ხარჯი; მხარეთა შორის 2010 წლის 5 ნოემბერს დადებულ შეთანხმებაში, **მითითებული ხარვეზების გამოსწორება, სკ-ის 642-ე მუხლის შესაბამისად, ევალებოდა მენარდეს. ამ** უკანსკნელის მიერ ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო, დამკვეთმა თავად გამოასწორა ნაკლი საკუთარი ხარჯით, რომლის მოთხოვნის უფლებაც მას გააჩნია ხელშეკრულების 3.5 პუნქტის, სკ-ის 643-ე და 649-ე მუხლების მიხედვით; მენარდეს შენობის სამივე სართულის გარე პერიმეტრის კედლების მოწყობა ევალებოდა მცირე ზომის სამშენებლო ბლოკით, სისქით 40 სმ. ფაქტიურად 1-ლი და მე-2 სართულების გარდა, კედლები მოწყობილია 20 სმ სისქის ბლოკით. მასალების, აშენებისა და სხვა დანახარჯების გათვალისწინებით, შეუსრულებელია 12363 ლარის სამუშაოები; საჯარო რეესტრში დამკვეთის სახელზე რეგისტრირებული 827 კვ.მ-იდან 143 კვ.მ ანტრესოლის სამუშაოები შეასრულა შპს „კ-მა" 5000 აშშ დოლარად, დამკვეთის ხარჯით (ტომი 2, ს.ფ. 1-12).

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილებით: 1. გ. კ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა; 2. თ. დ-ის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა (ტომი 3, ს.ფ. 38-46).

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ. გ. კ-ემ (მოსარჩელემ) სააპელაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება მისი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში

და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება (ტომი 3, ს.ფ. 55-80). თ. დ-მა (შეგებებული სარჩელის ავტორმა) მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება მისი შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილებით შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება (ტომი 3, ს.ფ. 94-102).

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 10 მაისის გადაწყვეტილებით:

გ. კ-სა და თ. დ-ის **სააპელაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;**

გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება, გ. კ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: თ. დ-ს გ. კ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 110629.45 ლარის გადახდა; ნაწილობრივ დაკმაყოფილდა თ. დ-ის შეგებებული სარჩელი; გ. კ-ეს თ. დ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 11362.20 ლარის გადახდა;

- **სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება თ. დ-მა გაასაჩივრა საკასაციო წესით,** მოითხოვს საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება, რომლითაც არ დაკმაყოფილდებოდა გ. კ-ის სარჩელი, ხოლო შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდებოდა.

საკასაციო სასამართლომ დასაშვებად ცნო და წარმოებაში მიიღო საკასაციო საჩივარი, ხოლო საქმის შესწავლისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნია, რომ თ. დ-ის **საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილებულიყო შემდეგ გარემოებათა გამო:** სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილადაა ცნობილი და საქმის მასალებით დასტურდება დავის **გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:** 2009 წლის 13 ოქტომბერს თ. დ-სა (შემკვეთს) და გ. კ-ეს (მენარდეს) შორის **დაიდო ნარდობის ხელშეკრულება,** რომლის მიხედვით, მენარდეს შემკვეთისათვის უნდა აეშენებინა 883 m^2 საცხოვრებელი სახლი (სარდაფი –

235მ², 1-ლი სართული – 215მ², მე-2 სართული – 218მ², მე-3 სართული – 215მ²), ხოლო, შემკვეთს მენარდისათვის უნდა გადაეხადა 105 აშშ დოლარი 1მ² ე.წ. კარკასის აგებისათვის, სულ – 92715 აშშ დოლარი; ხელშეკრულების მიხედვით, **მენარდეს სახლი უნდა ჩაებარებინა შემდეგი სახით:** რკინა-ბეტონის კარკასით, ამოშენებული კედლებით, გარე კარ-ფანჯრებით, წყლისა და კანალიზაციის მილის მიყვანით, მრიცხველამდე ელექტრო-გაყვანილობის მოწყობით. სახლის მშენებლობა უნდა დასრულებულიყო ხელშეკრულების გაფორმებიდან 8 თვეში; მხარეთა შეთანხმებით, **მენარდეს სახლი უნდა აეშენებინა საპროექტო ორგანიზაცია შპს „ა+-ის" მიერ შედგენილი პროექტის მიხედვით**, მაგრამ მშენებლობის პროცესში აღმოჩნდა, რომ თავდაპირველი პროექტით გათვალისწინებული მშენებლობა არღვევდა მეზობელი ნაკვეთის საზღვრებს, ამიტომ მასში ცვლილებების შეტანა გახდა საჭირო. ახალი პროექტის მიხედვით, შეიცვალა შენობის გარე კონტურის ფორმა და ზომები, ასევე დაემატა 1-ლი სართულის სივრცეში ანტრესოლის მოწყობა; სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2011 წლის 13 ოქტომბრის **საინჟინრო-ტექნიკური და საბუღალტრო ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით,** წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, მენარდის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულება შეადგენს 285578.91 ლარს. რეალურად შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 278604.3 ლარი. ამ ღირებულებასა და შემკვეთის მიერ მენარდისათვის გადახდილ თანხას (167974.89 ლარს) შორის სხვაობა შეადგენს 110629.45 ლარს; ხელშეკრულების მიხედვით, **აშენებული სახლის საერთო ფართი უნდა ყოფილიყო 883მ2.** საქმეში წარმოდგენილი აზომვითი ნახაზის თანახმად, დასრულებული ნაგებობის საერთო ფართმა შეადგინა 948.83მ2; **მენარდის მიერ აშენებულ სახლს ჰქონდა ნაკლი,** კერძოდ, გარე პერიმეტრზე არ იყო ჩასმული კარ-ფანჯარა, სარდაფში ჩადიოდა წყალი, ნაგებობა გადახურული იყო უხარისხოდ და სხვა, ამიტომ **მხარეები შეთანხმდნენ, რომ ამ ნაკლს გამოასწორებდა შემკვეთი მენარდის ხარჯით.**

სარჩელის მიხედვით, მენარდემ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო შეასრულა. მის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 278604.34 ლარი. შემკვეთმა მას

გადაუხადა 167974.89 ლარი, შესაბამისად, გადასახდელი დარჩა 110629.45 ლარი. საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, რომ მენარდე სარჩელით მოითხოვს არა ხელშეკრულებით განსაზღვრული მყარი ანაზღაურების – 1მ2-ში 105 აშშ დოლარის – გადახდას (ეს თანხა მას მიღებული აქვს), **არამედ იმ თანხის ანაზღაურებას, რომელიც შეადგენს სხვაობას მის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულებასა და ხელშეკრულებით განსაზღვრულ მყარ ანაზღაურებას შორის (278604.34-167974.89=110629.45), ანუ იგი მოითხოვს გადახარჯვის ანაზღაურებას.**

მოცემული სარჩელის საფუძვლიანობის შესამოწმებლად **პასუხი** უნდა გაეცეს შემდეგ კითხვებს: **შეუძლია თუ არა მენარდეს გადახარჯვის ანაზღაურების მოთხოვნა და თუ შეუძლია, რა შემთხვევაში?**

საერთო წესის მიხედვით, მენარდეს შეუძლია, მოითხოვოს მხოლოდ შეთანხმებული საზღაური. **ამ წესიდან გამონაკლისს ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსის 631-ე მუხლი,** რომლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ მენარდე მიახლოებით ხარჯთაღრიცხვას მნიშვნელოვნად გადააჭარბებს, მას შეუძლია, მოითხოვოს მხოლოდ შეთანხმებული საზღაური, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გადახარჯვების წინასწარ გათვალისწინება შეუძლებელი იყო. ამ მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით კი, მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის ისეთი გაზრდის შესახებ, რომლის გათვალისწინებაც შეუძლებელი იყო ხელშეკრულების დადებისას, მენარდემ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს შემკვეთს. თუ შემკვეთი წყვეტს ხელშეკრულებას ხარჯთაღრიცხვის გაზრდის გამო, მაშინ იგი ვალდებულია, აანაზღაუროს შესრულებული სამუშაო მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით.

მითითებული ნორმის მიხედვით, მენარდეს შეუძლია მოითხოვოს გადახარჯვის ანაზღაურება მხოლოდ **იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შემდეგი წინაპირობები:** ა. მხარეები შეთანხმდნენ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებაზე მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით; ბ. მენარდემ მიახლოებით ხარჯთაღრიცხვას მნიშვნელოვნად გადააჭარბა; გ. მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის გაზრდის გათვალისწინება შეუძლებელი იყო ხელშეკრულების დადებისას; დ. მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის გაზრდის შესახებ მენარდემ დაუყოვნე-

ბლივ შეატყობინა შემკვეთს.

სამოქალაქო კოდექსის 631-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის მისაღებად **აუცილებელია, რომ ყველა ზემოაღნიშნული პირობა ერთდროულად არსებობდეს.** ამასთან, უპირველესად, სასამართლომ უნდა შეამოწმოს, არსებობს თუ არა მხარეთა შეთანხმება შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებაზე მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, ვინაიდან ზემოხსენებული ნორმა განსაზღვრავს სწორედ მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის გადაჭარბების სამართლებრივ შედეგებს. საერთოდ, ხარჯთაღრიცხვა არის სპეციალური დოკუმენტი, რომელიც გამოიყენება ნარდობის ხელშეკრულების ფასის განსაზღვრისათვის რთული სამუშაოების შესრულებისას. ხარჯთაღრიცხვა შეიძლება იყოს მყარი (როცა ზუსტადაა განსაზღვრული საზღაურის ოდენობა, რომელიც შემკვეთმა უნდა გადაუხადოს მენარდეს შესრულებული სამუშაოსათვის) და მიახლოებითი (რომელიც სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს). თუ ხარჯთაღრიცხვა მიახლოებითია და მენარდე მას მნიშვნელოვნად გადააჭარბებს, აღნიშნულის თაობაზე მან დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს შემკვეთს. ასეთი ვალდებულების მენარდისათვის დაკისრების არსი მდგომარეობს იმაში, რომ თუკი მენარდე არ შეატყობინებს შემკვეთს ხარჯთაღრიცხვის მნიშვნელოვნად გაზრდის შესახებ და გააგრძელებს სამუშაოს შესრულებას, შემდეგში იგი კარგავს უფლებას, შემკვეთისაგან მოითხოვოს ფასებს შორის სხვაობის ანაზღაურება. მას შემდეგ, რაც შემკვეთი მენარდისაგან მიიღებს შეტყობინებას მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მნიშვნელოვნად გადაჭარბების შესახებ, მას შეუძლია, მოითხოვოს ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება, თუ იგი თანახმაა, გადაიხადოს გაზრდილი ანაზღაურება. იმ შემთხვევაში, თუ შემკვეთი არ მოისურვებს გაზრდილი ანაზღაურების გადახდას, მას შეუძლია, შეწყვიტოს ხელშეკრულება ხარჯთაღრიცხვის გაზრდის გამო. მითითებული საფუძვლით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, შემკვეთი ვალდებულია, აანაზღაუროს შესრულებული სამუშაო მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით.

ზემოთ აღინიშნა, რომ ხარჯთაღრიცხვა შეიძლება, ასევე იყოს

მყარი, როდესაც ზუსტადაა განსაზღვრული საზღაურის ოდენობა, რომელიც შემკვეთმა უნდა გადაუხადოს მენარდეს შესრულებული სამუშაოსათვის.

მყარი ხარჯთაღრიცხვის გადაჭარბების შემთხვევაში მენარდე გადახარჯვის ანაზღაურების მოთხოვნისას ვერ დაეყრდნობა სამოქალაქო კოდექსის 631-ე მუხლს, ვინაიდან ეს ნორმა განსაზღვრავს მიახლოებითი და არა მყარი ხარჯთაღრიცხვის გადაჭარბების სამართლებრივ შედეგებს. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულია მყარი ხარჯთაღრიცხვა, იგი არ ექვემდებარება გადასინჯვას, მიუხედავად მისი გადასინჯვის მოთხოვნის მიზეზისა. საერთო წესის მიხედვით, ვალდებულება უნდა შესრულდეს, რადაც არ უნდა დაუჯდეს ეს ვალდებულ პირს. თუ მოვალეს ვალდებულების შესრულება გაურთულდა ან მან დაკარგა ხელშეკრულების შესრულების ინტერესი, ეს მას არ ათავისუფლებს ნაკისრი ვალებულების შესრულების მოვალეობისაგან. მან თავად იკისრა ვალდებულების შესრულება და თავადვე უნდა ატაროს მისი შეუსრულებლობის რისკი. ამ საერთო წესიდან არსებობს გამონაკლისი, რომელიც გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით (ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი). შეცვლილი გარემოებები ართულებს შესრულებას იმ დონემდე, რომ მისი შესრულების მოთხოვნა, როგორი გამართლებული საფუძველიც არ უნდა გააჩნდეს მეორე მხარეს, ეწინააღმდეგება სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელ სიკეთეთა სამართლიანი (ეკვივალენტური) გაცვლისა და კეთილსინდისიერების მოთხოვნებს, რაც შეიძლება, განპირობებული იყოს, როგორც შესრულების ღირებულების გაზრდით, ისე – მისი შემცირებით.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ მყარი ხარჯთაღრიცხვის მნიშვნელოვნად გადაჭარბების შემთხვევაში, მენარდეს შეუძლია, შემკვეთს მოსთხოვოს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. **თუ მენარდე ამ უფლებით არ ისარგებლებს** და მაინც გააგრძელებს სამუშაოს შესრულებას, შემდეგში იგი კარგავს უფლებას, შემკვეთისაგან მოითხოვოს გადახარჯვის ანაზღაურება.

განსახილველ შემთხვევაში, დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ ნარდობის ხელშეკრულებით მხარეებმა ზუსტად განსაზღვრეს

საზღაურის ოდენობა, რომელიც შემკვეთს უნდა გადაეხადა მენარდისათვის შესრულებულ სამუშაოში, კერძოდ, შენობის 1მ²-ში – 105 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი. **ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულია მყარი ხარჯთაღრიცხვა,** შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნია, რომ **სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 631-ე მუხლი,** ვინაიდან ეს ნორმა განსაზღვრავს მიახლოებითი და არა მყარი ხარჯთაღრიცხვის გადაჭარბების სამართლებრივ შედეგებს. ასეთ შემთხვევაში, როგორც ზემოთ აღინიშნა, მენარდეს შეეძლო, ესარგებლა სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით მინიჭებული უფლებით და მოეთხოვა ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. ასეთი უფლებით მას არ უსარგებლია. ამასთან, რომც მივიჩნიოთ, რომ ზემოხსენებული ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულია მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვა, მენარდის მოთხოვნა **გადახარჯვის ანაზღაურების თაობაზე დაუსაბუთებელია, ვინაიდან არ არსებობს სამოქალაქო კოდექსის 631-ე მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი არსებითი წინაპირობა,** კერძოდ, მოსარჩელე (მენარდე) ვალდებული იყო, მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მნიშვნელოვნად გაზრდის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობებინა შემკვეთისათვის. **მოსარჩელეს არც სარჩელში მიუთითებია და არც შემდეგში წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება, რომელიც ზემოაღნიშნულ გარემოებას დაადასტურებდა.** უფრო მეტიც, ეს გარემოება არც სააპელაციო სასამართლოს დაუდგენია. სასამართლომ მიიჩნია, რომ შემკვეთს უნდა ცოდნოდა ხარჯთაღრიცხვის გაზრდის შესახებ, ვინაიდან მშენებლობის თავდაპირველი პროექტი სწორედ მისი მოთხოვნით შესწორდა. საკასაციო პალატა, უპირველესად, ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, **რომ მშენებლობის პროექტის კორექტირება ყოველთვის არ იწვევს მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის გაზრდას.** თეორიულად პროექტის კორექტირებამ შეიძლება გამოიწვიოს მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის, როგორც გაზრდა, ასევე, შემცირება, ისევე, როგორც შესაძლებელია ხარჯთაღრიცხვა არც შეიცვალოს. მოცემულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ შენობის კარკასის 1მ²-ის აშენებაში შემკვეთს მენარდისათვის უნდა გადაეხადა 105 აშშ დოლარი, შესაბამისად, **მენარდეს, უპ-**

ირველესად, ის უნდა დაედასტურებინა, რომ სწორედ პროექტის კორექტირებამ გააძვირა 1მ²-ის აშენების ღირებულება და შემკვეთი თანახმა იყო სამუშაოების გაგრძელებაზე გაძვირებული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით. **ასეთი მტკიცებულება მენარდეს არ წარმოუდგენია.** მართალია, იგი უთითებს ფარული სამუშაოების აქტებზე, მაგრამ ამ აქტებით მხოლოდ ის დასტურდება, რომ შემკვეთი პერიოდულად იღებდა შესრულებულ სამუშაოებს საპროექტო დოკუმენტაციის (მათ შორის, კორექტირებული პროექტის) მიხედვით, ხოლო, კორექტირებული პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები 1მ²-ის აშენების ღირებულების გაზრდაზე ახდენდა თუ არა გავლენას, ხსენებული აქტებით არ დასტურდება. **აქედან გამომდინარე, არც ის დასტურდება, რომ შემკვეთმა იცოდა ხარჯთაღრიცხვის გაზრდის შესახებ.** ამასთან, შემკვეთს რომც ევარაუდა ხარჯთაღრიცხვის გაზრდის თაობაზე, მნიშვნელოვანია ასევე ისიც, თანახმა იყო თუ არა იგი სამუშაოების გაგრძელებაზე გაძვირებული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით. **გადახარჯვის ანაზღაურება შედის მენარდის და არა შემკვეთის ინტერესებში,** ამიტომ კანონი სწორედ მენარდეს ავალდებულებს, დაუყოვნებლივ აცნობოს შემკვეთს მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის გაზრდის შესახებ. ამ მოქმედებით მენარდე შემკვეთს ატყობინებს, რომ მას სურს, მიიღოს გადახარჯვის ანაზღაურება, თუ გადახარჯვის მიუხედავად, შემკვეთი მაინც მოისურვებს სამუშაოების დასრულებას. ზემოთ აღინიშნა, რომ მენარდე მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს გადახარჯვის ანაზღაურებას, თუ აღნიშნულის თაობაზე შეტყობინების მიღების შემდეგ შემკვეთი მოითხოვს ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებას გაზრდილი ხარჯთაღრიცხვით, **ანუ იგი თანახმა იქნება გადახარჯვის ანაზღაურებაზე.** წინააღმდეგ შემთხვევაში, შემკვეთს შეუძლია, შეწყვიტოს ხელშეკრულება, რა დროსაც იგი ვალდებული იქნება, აანაზღაუროს შესრულებული სამუშაო მხოლოდ მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, **საკასაციო სასამართლომ დასაბუთებულად მიიჩნია** კასატორის პრეტენზია იმის თაობაზე, რომ, მოცემულ შემთხვევაში, მენარდეს (მოსარჩელეს) **შესრულებული სამუშაო უნდა აუნაზღაურდეს ნარდობის ხელშეკ-**

რულებით გათვალისწინებული ფასის მიხედვით, ვინაიდან მხარეები გადახარჯვის ანაზღაურებაზე არ შეთანხმებულან, **შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია** და გაუქმებას ექვემდებარება მენარდის სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში (სსკ-ის 393-ე მუხლი). ამასთან, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლომ **თავად მიიღოო ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გ. კ-ის (მენარდის) სარჩელი არ დააკმაყოფილა.**[543]

[543] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე #ას – 888-834-2012.

თავი VII. მენარდის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს პირადად შესრულების ვალდებულება

VII.1. ვალდებულების შესრულების სუბიექტები (ზოგადი დახასიათება)

VII.1. 1 ზოგადი დებულებანი

ყველა სამართლებრივ სისტემაში ვალდებულების შესრულება, მიუხედავად ვალდებულების წარმოშობის საფუძვლისა, წარმოადგენს ვალდებულებითი სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს.[544] როგორც წესი, სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარეები მხედველობაში ღებულობენ კონტრაჰენტის პიროვნებას. კრედიტორი ვარაუდობს, რომ მოვალე ვალდებულებას შეასრულებს ხელშეკრულების პირობათა შესაბამისად.უმრავლეს შემთხვევებში ვალდებულების შესრულება ხდება პირადად მოვალის მიერ – მყიდველი თვითონ იხდის ნაყიდი საქონლის ფასს; მსესხებელი აბრუნებს სესხის საგანს და ა.შ.[545]

ვალდებულების შესრულების სუბიექტები არიან ის პირები, რომლებიც ასრულებენ ვალდებულებას ან იღებენ შესრულებას.[546] ვალდებულების შესრულების სუბიექტები შეიძლება არ დაემთხვეს ვალდებულების სუბიექტებს. ვალდებულების სუბიექტები ყოველთვის არიან კრედიტორი და მოვალე, ვალდებულება კი მოვალის ნაცვლად შეიძლება შეასრულოს სხვა პირმა და შესრულება მიიღოს არა კრედიტორმა, არამედ სხვამ.[547]

როგორც წესი, მოვალე თვითონ ასრულებს ვალდებულებას, მაგრამ კრედიტორს შეიძლება შესრულება შესთავაზოს სხვა, მესამე პირმაც, რომელიც არ არის მოცემული ვალდებულებითი ურთიერთობის მონაწილე.[548]

---

[544] Weiler, Schuldrecht Allgemeiner Teil, 2012, 104.

[545] Worlen/Metzler-Muller, Suldrecht AT, 11 Auflage, 2013, 47.

[546] ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, 2001, 40.

[547] Medicus, Schuldrecht, Allgemainer Teil, 14 Neubearbaitete Auflage, Verlag C. H. Beck, 2003, S. 208-209.

[548] Staudinger/Bittner §267, Rn 6; Palandt/Heinrichs, §267, Rn 4; Pruting/Jud, §267, 419-

ზოგჯერ კრედიტორისათვის სულერთია, თუ ვინ შეუსრულებს მას ვალდებულებას – მოვალე თუ მესამე პირი. მისთვის მთავარია მიიღოს შესაბამისი დაკმაყოფილება (მაგ., დაუბრუნდეს ვალი). მართალია, კრედიტორსა და მოვალეს შორის არსებული ე.წ. პირდაპირი კავშირი (ვინცულუმ იურის) არ ქრება საბოლოოდ და ცხადია, რომ რაღაც დოზით მუდამ იარსებებს, მაგრამ არ შეიძლება იმის უარყოფაც, რომ სულ უფრო და უფრო მეტად წარმოიშობა ისეთი ვალდებულებები, რომლის ჯეროვნად შესრულება ერთი პირის მიერ შეუძლებელია. ზოგჯერ საჭიროა მოვალის მხრიდან მრავალრიცხოვანი და სხვადასხვაგვარი მოქმედების შესრულება, ამიტომაც თვითონ კრედიტორი ხშირად დაინტერესებულია, რომ ეს მოქმედებები შეასრულოს მესამე პირმა, რომლებსაც ამისათვის საკმარისი პროფესიული უნარ-ჩვევები და გამოცდილება გააჩნია. ცალსახაა, რომ ვალდებულების შინაარსს ჯერ კიდევ რომის სამართლიდან მოყოლებული უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.[549]

VII.1.2. ზოგადად მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულების შესახებ

ჯერ კიდევ რომის სამართალში,[550] გარკვეული გამონაკლისების გარდა, ცნობილი იყო მოვალის ნაცვლად მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულების შესაძლებლობა.[551]

სამოქალაქო კოდექსის 371 I მუხლის თანახმად, თუ კანონიდან, ხელშეკრულებიდან ან ვალდებულების ბუნებიდან არ გამომდინარეობს, რომ მოვალემ პირადად უნდა შეასრულოს ვალდებულება, მაშინ ეს ვალდებულება შეიძლება შეასრულოს მესამე პირმაც.

მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულების სამართლებრივი ინსტიტუტი მოიცავს სამი სახის სამართალურთიერთობას. პირველ

420; Münch Komm, BGB/Kruge, §267, Rn 1.

[549] Zimmerman, The Law of Obligations, Roman Foundations of The Civilian Tradition, Chapter 2, Oxford, OXFORD University Press, 2005, 58.

[550] Tomas/Mcgin, Obligation in Roman Law Past, Present and Future, Michigan, The university of Michigan Press, 2012,. 57.

[551] Zimmerman, The Law of Obligations. Roman Foundations of The Civilian Tradition, OXFORD University Press, 1996, 752.

ჯგუფში შედის მესამე პირისათვის ვალდებულების შესრულების დაკისრების შემთხვევები; მეორე ჯგუფში შედის მესამე პირის მიერ მოვალის ნაცვლად ვალდებულების შესრულება ნებაყოფლობით; მესამე ჯგუფში შედის მესამე პირის მიერ მოვალის ნაცვლად ვალდებულების შესრულების შემთხვევები ნორმატიული აქტების ძალით.[552]

მესამე პირისათვის მოვალის ნაცვლად ვალდებულების შესრულების ტიპური შემთხვევაა, როცა მესამე პირი თვითონ არის კრედიტორის მოვალის მოვალე. რატომ უნდა მიიღოს მოვალემ შესრულება თავისი „მოვალისაგან", თუ შემდეგ თვითონ უნდა გადასცეს ეს შესრულება კრედიტორს? უფრო მარტივია, მან მისცეს მითითება თავის მოვალეს, ანუ მესამე პირს, რომ მან შესრულება განახორციელოს კრედიტორის მიმართ.

მესამე პირის მხრიდან მოვალის ნაცვლად ვალდებულების შესრულება დაიშვება, თუკი კანონიდან, ხელშეკრულებიდან ან ვალდებულების არსიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.[553] მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 711 I მუხლის თანახმად, რწმუნებულმა დავალება პირადად უნდა შეასრულოს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მას ნება დართეს გადაენდო იგი მესამე პირისათვის ანდა იძულებულია ასე მოიქცეს შექმნილი ვითარების გამო.

თუ ხელშეკრულებაში საგანგებოდ იქნება დათქმული, რომ მხოლოდ მოვალემ უნდა შეასრულოს ვალდებულება, ასეთ შემთხვევებში მან შესრულება პირადად უნდა განახორციელოს. ზოგჯერ ხელშეკრულებაში შეიძლება ასეთი დათქმა არ იყოს, მაგრამ გამომდინარეობდეს თვით ვალდებულების ბუნებიდან. მაგალითად, სკ-ის 632-ე მუხლის თანახმად, მენარდემ პირადად უნდა შეასრულოს სამუშაო მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ეს გამომდინარეობს კონკრეტული გარემოებებიდან, ან სამუშაოს არსიდან (მაგ., სურათის დახატვა ცნობილი მხატვრის მიერ).[554]

კრედიტორს შეუძლია ასევე არ მიიღოს მესამე პირისაგან შემო-

---

[552] ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება, 2006, 15.

[553] ჭეჭელაშვილი, სახელშეკრულებო სამართალი, 2008, 140.

[554] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულებების სამართლებრივი ბუნება, 2011, 68.

თავაზებული შესრულება, თუ მოვალე ამის წინააღმდეგია.[555]

მესამე პირის მიერ მოვალის ნაცვლად კრედიტორისათვის ვალდებულების შესრულება ხდება, როგორც წესი, მოვალესა და მესამე პირს შორის შეთანხმებით.[556] ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, ასეთი შეთანხმებისათვის კრედიტორის თანხმობა საჭირო არ არის.

მოვალესა და მესამე პირს შორის შესრულების შესახებ შეთანხმების ფაქტი არ ხელყოფს კრედიტორის ინტერესებს, რამეთუ კრედიტორის მოთხოვნის უფლება განისაზღვრება არა ამ შეთანხმებით, არამედ მისი მოვალესთან შეთანხმებით. მაშინაც, როცა მოვალის ნაცვლად კრედიტორისათვის ვალდებულებას მესამე პირი ასრულებს, კრედიტორს უფლება აქვს, არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, პასუხისმგებლობა მოვალეს დააკისროს. შესრულების პოტენციური შესაძლებლობა თავისთავად არ წარმოადგენს მოვალესა და მესამე პირს შორის შეთანხმების კანონიერების სავალდებულო მოთხოვნას (გარდა აბსოლუტური შეუძლებლობისა, რომელიც ყველასათვის გამორიცხავს ზოგადად ვალდებულების შესრულების შესაძლებლობას).[557] ანუ მოვალეს უფლება აქვს ნებისმიერ შემთხვევაში შეუთანხმდეს მესამე პირს ვალდებულების შესრულების დაკისრების შესახებ.

ამასთან, კრედიტორის ინტერესი, რომ მოვალემ პირადად შეასრულოს ვალდებულება, დაცულ უნდა იქნეს, წინააღმდეგ შემთხვევაში კრედიტორსა და მოვალეს შორის დადებული ხელშეკრულების მიზანი ვერ იქნება მიღწეული. მაგრამ კეთილსინდისიერი მესამე პირის ინტერესიც უნდა იქნეს დაცული შეთანხმებით.[558] შესაბამისად, ავტომატურად არ უნდა შეწყდეს ხელშეკრულება მოვალის მიერ თავისი ვალდებულების მესამე პირისათვის დაკისრების თაობაზე მხოლოდ იმიტომ, რომ ვალდებულება მოვალეს პირადად უნდა შეესრულებინა. ერთიც და მეორე ხელშეკრულების შენარჩუ-

---

[555] Medicus/Lorenz, Schuldrecht I, Allgemainer Teil, 18 Auflage, Verlag C. H. Beck, 2008, Rn 140.

[556] Weiler, Schuldrecht Allgemeiner Teil, 2012, §10, Rn 9.

[557] Tovards European Civil Code /Ed by Hesselnik/Hondius/Vranken, Dodrecht, Boston, London,1994, 169.

[558] Weiler, Schuldrecht Allgemeiner Teil, 2012, §10, Rn 9.

ნების შემთხვევაში როგორც კრედიტორს, ისე მესამე პირს შეუძლიათ გამოიყენონ შესაბამისი ხელშეკრულების დარღვევასთან დაკავშირებული კანონით განსაზღვრული დაცვის საშუალებები. კრედიტორს უფლება აქვს არ მიიღოს არაჯეროვანი შესრულება, ხოლო მესამე პირსაც, მოვალესთან დადებული ხელშეკრულებით, შეუძლია მოითხოვოს თავისი უფლებების დაცვა.

სამოქალაქო ბრუნვაში მოვალის მიერ მესამე პირისათვის ვალდებულების შესრულების დაკისრება კრედიტორისათვის შეიძლება ცნობილი გახდეს სხვადასხვაგვარი ფორმით.[559] ხშირად მესამე პირი შესაბამის დოკუმენტებში (საგადასახადო დავალება, ზედნადები, მიღება-ჩაბარების აქტი და ა.შ.) მიუთითებს იმის შესახებ, რომ შესრულება ხდება მოვალის ნაცვლად. ზოგჯერ, მესამე პირი ან თვითონ მოვალე წერილობით ატყობინებს კრედიტორს მესამე პირისათვის ვალდებულების შესრულების დაკისრების შესახებ. დავის თავიდან ასაცილებლად, მიზანშეწონილია, თუკი სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეები მესამე პირისათვის ვალდებულების შესრულების დაკისრების შემთხვევაში, კრედიტორს გაუგზავნიან წერილობით შეტყობინებას, რომელშიც მითითებულია იმ იმ ვალდებულების შესახებ, რომელსაც მესამე პირი ასრულებს, ასევე მესამე პირის ზუსტი საიდენტიფიკაციო მონაცემები, ვალდებულების იურიდიული საფუძველი (გარიგება, დელიქტი, უსაფუძვლო გამდიდრება და ა.შ.), და სხვა. ამით შემდგომში თავიდან იქნებოდა აცილებული ყოველგვარი გაურკვევლობა.[560]

თუკი შესრულების მიღებისას კრედიტორმა არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა მოვალის მიერ მესამე პირისათვის ვალდებულების შესრულების დაკისრების ფაქტის არარსებობა, კრედიტორის მიერ ასეთი შესრულების მიღებამ არ შეიძლება მისთვის გამოიწვიოს ნეგატიური შედეგები და მას მაინც რჩება მოვალის მიმართ თავისი უფლებების დაცვის კანონით მინიჭებული საშუალებების გამოყენების შესაძლებლობა.

ვალდებულების შესრულებაში კრედიტორის დაინტერესების

---

[559] Ermann(herausg.)/Ebert, §267, Handkommentar zum BGB, Band I, 13 Auflage, 2011, Rn 8.

[560] ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება, 2006, 16.

პრეზუმფციიდან გამომდინარე, გამოყოფენ მესამე პირის მიერ მოვალის თანხმობის არსებობის ან არარსებობის შესაბამისად, ვალდებულების შესრულების შესაძლებლობის სამ კონცეფციას: 1) პროკრედიტორული; 2) პრომოვალური; 3) მაბალანსირებელი.

VII.1.3. კრედიტორის დაკმაყოფილება მესამე პირის მიერ

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს მესამე პირს უფლებას, საკუთარი სურვილით, საკუთარი ინტერესების დასაცავად (proprio motu) შეასრულოს ვალდებულება მოვალის ნაცვლად. კერძოდ სკ-ის 372-ე მუხლის თანახმად, „თუ კრედიტორი მიმართავს იძულებით აღსრულებას მოვალის კუთვნილ ნივთზე, მაშინ ყოველი პირი, რომელსაც ექმნება საფრთხე, რომ იძულებითი აღსრულებით შეიძლება დაკარგოს უფლება ამ ნივთზე, უფლებამოსილია დააკმაყოფილოს კრედიტორი. თუ მესამე პირი დააკმაყოფილებს კრედიტორს, მაშინ მოთხოვნის უფლება გადადის ამ პირზე". ასეთ შემთხვევებში მესამე პირს არ სჭირდება მოვალის თანხმობა.[561]

პრაქტიკა გამოდის იმ ზოგადი პრინციპიდან, რომ მესამე პირს შეუძლია მოვალის ნაცვლად, ამ უკანასკნელის თანხმობით, შეასრულოს მისი ვალდებულება. გარდა სკ-ის 372-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, როდესაც მესამე პირს ექმნება რეალური საფრთხე, თუკი კრედიტორი მიმართავს იძულებით აღსრულებას მოვალის კუთვნილ ნივთზე (ასევე, სამოქალაქო კოდექსის 269 III მუხლის თანახმად, ყოველი მესამე პირი, რომლის უფლებრივი მდგომარეობა გირავნობის საგნის რეალიზაციის შედეგად შეიძლება გაუარესდეს, უფლებამოსილია დააკმაყოფილოს მოგირავნის მოთხოვნა და ამ გზით შეიძინოს მისი უფლებები დამგირავებლისა და შესაძლო მოვალე მესამე პირების მიმართ).

სკ-ის 372-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა იწვევს განსაკუთრებულ სამართლებრივ შედეგებს. კერძოდ, მესამე პირის მხრიდან კრედიტორის დაკმაყოფილების შედეგად წყდება მოვალესა და კრედიტორს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა. სამაგიეროდ, კანონის ძალით, კრედიტორის მოთხოვნის უფლება

[561] ჭეჭელაშვილი, სახელშეკრულებო სამართალი, 2008, 142.

გადადის მესამე პირზე, მოვალე კი არ თავისუფლდება, არამედ ახალი კრედიტორის წინაშე აღმოჩნდება ვალდებული. ამიტომაცაა, რომ კანონმდებელი საუბრობს „კრედიტორის დაკმაყოფილებაზე" და არა „ვალის გადახდის მიზნით შესრულებაზე".

გერმანული სამართლის სისტემის ქვეყნები[562] აგრეთვე ითვალისწინებენ მესამე პირების უფლებების დაცვის მექანიზმებს იმ შემთხვევაში, თუკი კრედიტორი მიმართავს იძულებით აღსრულებას მოვალის კუთვნილ ქონებაზე.[563] დაკმაყოფილება შეიძლება განხორციელდეს აგრეთვე დეპონირებითა და გაქვითვით.[564]

უფრო ფართო მიდგომაა ამ საკითხთან დაკავშირებით ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპებში, სადაც აღნიშნულია, რომ მესამე პირის მიერ მოვალის ნაცვლად განხორციელებული შესრულების მიღება კრედიტორისათვის სავალდებულოა, თუკი მესამე პირს ამ შესრულების მიმართ გააჩნია თავისი კანონიერი ინტერესი და მოვალე ვერ შეასრულებდა ვალდებულებას საერთოდ, ანდა დათქმულ ვადაში. აქ საუბარი არაა მხოლოდ ისეთ გარემოებაზე, როგორიცაა მოვალის ქონებაზე იძულებითი აღსრულების მიქცევა, არამედ საუბარია ზოგადად მესამე პირის კანონიერ ინტერესებზე.[565] ასეთი ინტერესი ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების მიხედვით შეიძლება გამოიხატოს შემდეგ შემთხვევებშიც:

ა) თავდების მიერ ძირითადი მოვალის ნაცვლად ვალის გადახდა, რათა თავიდან აიცილოს ზედმეტი სასამართლო ხარჯები, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მოვალის ქონების იძულებითი რეალიზაციისას.

ბ) ოჯახის ინტერესებიდან გამომდინარე ერთ-ერთი მეუღლის მიერ მეორე მეუღლის პირადი ვალის გადახდა.

გ) ძირითადი საწარმოს მიერ შვილობილი საწარმოს ვალის გადახდა ამ უკანასკნელის გადახდისუნარიანობის შესანარჩუნებლად.[566] მაშასადამე, ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპებით

---

[562] Staudinger/Bittner, §268, Rn 2; Erman/Ebert, §268, Rn 1; Pruting/Jud, §268, S. 421-422; Münch.Komm, BGB/Kruger, §268, Rn 1.

[563] Larenz, Lerbuch des Schuldrechts, Band I, Algemainer Tail, 14 neubearb Auflage, 1987, 193.

[564] Brox/Walker, Allgemaines Schuldrecht, 32 Auflage, Verlag C.H.Beck, 2007, 108.

[565] ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება, 2006, 26.

[566] Principles of European Contract Law, Parts I and II, Ed. By Lando/Beale, 2000, 342.

გათვალისწინებული მესამე პირის კანონიერი ინტერესის ცნება გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე 372-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა, რომელიც შეეხება მხოლოდ იძულებით აღსრულებასთან დაკავშირებულ მესამე პირის ინტერესს.

პრაქტიკული თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია, თუ რა მომენტიდან დგება მესამე პირისათვის იძულებითი აღსრულების შემთხვევაში მოვალის ნივთზე თავისი უფლებების დაკარგვის საფრთხე. ქონებაზე უფლებების დაკარგვა ხდება მაშინ, როდესაც იძულებითი აღსრულების შედეგად შემძენი შეიძენს ქონებაზე საკუთრების უფლებას. როგორც წესი, იძულებითი აღსრულება ხდება აუქციონის (ან კანონით დადგენილი სხვა წესით) გზით. აუქციონზე ქონების შეძენა კი წარმოშობს სკ-ის 285 მუხლით გათვალისწინებულ სამართლებრივ შედეგს, კერძოდ, გირავნობის საგნის რეალიზაციით შემძენზე გადადის დაუტვირთავი საკუთრება.

მოვალის ქონებაზე უფლების დაკარგვის საფრთხე, თუკი კრედიტორი მიმართავს იძულებით აღსრულებას, მესამე პირისათვის ყოველთვის არსებობს, რამეთუ მოვალეს შეიძლება ჰქონდეს სხვა პირების მიმართ შესასრულებელი რაიმე ვალდებულებები.[567] მოვალე კრედიტორის წინაშე პასუხს აგებს, როგორც წესი, მთელი თავისი ქონებით, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. იმის გამო, რომ სამოქალაქო და განსაკუთრებით სავაჭრო ბრუნვაში ესა თუ ის სუბიექტი პერმანენტულად არის დაკავშირებული ვალდებულებებით სხვა სუბიექტთან, თითქოს ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მოვალის ქონებაზე მესამე პირის უფლების წარმოშობის მომენტშივე წარმოიქმნება საფრთხე, რომ მოვალე კრედიტორს არ შეუსრულებს ვალდებულებას და კრედიტორიც მიმართავს იძულებით აღსრულებას მოვალის იმ ქონებაზე, რომელიც დატვირთულია მესამე პირის უფლებებით. რა თქმა უნდა, ასეთი მიდგომა სწორი არ იქნება. შესაბამისად, მოვალის ქონებაზე მესამე პირის უფლებების დაკარგვის საფრთხის წარმოშობის მომენტი განისაზღვრება სხვა საფუძვლებით.[568]

შეიძლება თუ არა, რომ საფრთხის წარმოშობის მომენტად ჩაით-

---

[567] Weiler, Schuldrecht Allgemeiner Teil, 2012, §10, Rn. 10.

[568] Gray/Erancus Gray, Land Law, 5th edition, Oxford University, 2007, P. 127.

ვალოს მოვალის მიერ შესრულების ვადის გადაცილება? ამ კითხვაზე პასუხი უარყოფითად უნდა იქნეს გაცემული, რადგან საფრთხის საშიშროების ხარისხი არცთუ ისე დიდია, რომ უკვე შესაძლებელი იყოს მესამე პირის მიერ მოვალის ქონებაზე უფლებების დაკარგვის შესახებ საუბარი. მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა დათქმულ ვადაში ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ კრედიტორი აუცილებლად მიმართავს იძულებით აღსრულებას მოვალის იმ ქონებაზე, რომელზეც უფლებები მესამე პირს ეკუთვნის. მოვალის ქონებაზე გადახდევინების მიქცევა და იძულებითი აღსრულების საკითხები მოწესრიგებულია სააღსრულებო წარმოებით. მოვალის კუთვნილ ნივთზე მესამე პირის უფლებების დაკარგვის საფრთხის წარმოშობის მომენტად უნდა ჩაითვალოს არა სააღსრულებო წარმოების აღძვრა, არამედ აღმასრულებლის მიერ მოვალის კუთვნილი იმ ნივთების აღწერა და დაყადაღება, რომლის მიმართაც მესამე პირს გარკვეული უფლებები გააჩნია.

როდესაც მესამე პირი მოვალის ნაცვლად დააკმაყოფილებს კრედიტორს, მაშინ მოთხოვნის უფლება გადადის ამ პირზე.[569] ამ შემთხვევაში თეორიული თვალსაზრისით, კრედიტორის უფლებების გადასვლა მესამე პირზე წარმოადგენს გარკვეულ ანომალიას, რადგან სკ-ის 427-ე მუხლის თანახმად, „ვალდებულებითი ურთიერთობა წყდება კრედიტორის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულებით (შესრულება)". ამდენად, სკ-ის 372-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა წარმოადგენს lex specialis და მიზნად ისახავს იმ მესამე პირის უფლებების დაცვას, რომელმაც მოვალის ნაცვლად შეასრულა ვალდებულება. მესამე პირზე მოთხოვნის უფლების გადასვლა არ იწვევს კრედიტორის სასარგებლოდ დადგენილი უზრუნველყოფის საშუალებების გაუქმებას, რაც წარმოადგენს მესამე პირის უფლებების დაცვის ერთ-ერთ რეალურ გარანტიას.[570] ანალოგიურადაა გადაწყვეტილი ეს საკითხი გერმანულ სამართალშიც.[571]

---

[569] ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება, 2006, 29.
[570] ჭეჭელაშვილი, სახელშეკრულებო სამართალი, 2008, 143.
[571] Brox/Walker, Allgemaines Schuldrecht, 32 Auflage, Verlag C.H.Beck, 2007, 108.

VII.1.4. ზოგადად მესამე პირის მიერ მოვალის ნაცვლად ვალდებულების შესრულების შედეგად წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობის თავისებურების შესახებ

იმ მესამე პირის აღსანიშნავად, რომელმაც მოვალის ნაცვლად შეასრულა ვალდებულება, იურიდიულ ლიტერატურაში გამოიყენება სხვადასხვა ტერმინი, როგორიცაა დამხმარე, უშუალო შემსრულებელი და სხვა.[572]

მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულების შედეგად სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა სამ პირს: კრედიტორს, მოვალესა და მესამე პირს შორის. კრედიტორი და მოვალე ერთმანეთთან იმყოფებიან იმ ვალდებულებით ურთიერთობებში, რომლებიც მოწესრიგებულია შესაბამისი სამართლებრივი ნორმებით. მაგალითად, გამყიდველისა და მყიდველის ურთიერთობები წესრიგდება კანონმდებლობით გათვალისწინებული ნასყიდობის ნორმებითა და ნასყიდობის ხელშეკრულებით. მესამე პირის მიერ მოვალის ვალდებულების ჯეროვანი შესრულება უნდა შეესაბამებოდეს იმ მოთხოვნებს, რომელიც მოცემული ამავე სახის ვალდებულებებისათვის არის კანონით დადგენილი. ამიტომაც, თუკი კანონით ან ვალდებულების პირობებით დადგენილია მოვალის სამართლებრივი სტატუსისადმი გარკვეული მოთხოვნები, შესაბამისად, მესამე პირიც უნდა აკმაყოფილებდეს ასეთ მოთხოვნებს. მაგალითად, თუკი მენარდემ ამა თუ იმ სამუშაოს შესასრულებლად უნდა მიიღოს სპეციალური ლიცენზია (ნებართვა), მესამე პირსაც (ქვემენარდეს), რომელსაც დაეკისრება მენარდის ნაცვლად ასეთი სამუშაოს შესრულების ვალდებულება, უნდა გააჩნდეს შესაბამისი ლიცენზია (ნებართვა).

პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება საკითხის გადაწყვეტას, უნდა იყოს თუ არა მესამე პირი, რომელიც მოვალის ნაცვლად ასრულებს ვალდებულებას, ქმედუნარიანი. რადგან ვალდებულების შესრულება არის იურიდიული მოქმედება, ამიტომაც გამოყენებულ უნდა იქნეს კანონის ის ნორმები, რომლებიც მხარეთა ქმედუნარიანობას აწესრიგებენ.

ხშირად ვალდებულებით სამართალურთიერთობებში მოვალეს

[572] ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, 211.

ეკისრება არა ერთი, არამედ რამდენიმე ვალდებულების შესრულება. პრაქტიკაში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც შესრულდა ერთი მოქმედება (მაგალითად, გადაეცა მყიდველს ნივთი), მაგრამ არ შესრულდა მეორე მოქმედება (არ გადაეცა მყიდველს საბუთები – ტექნიკური პასპორტი და ა.შ.). შეიძლება ასევე, რომ ერთი მოვალეობა შეასრულა მოვალემ, ხოლო მეორე კი – მესამე პირმა. მაშასადამე, ამ შემთხვევებშიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულების მომწესრიგებელი ნორმები. სკ-ის 378-ე მუხლის თანახმად„მოვალეს უფლება აქვს ვალდებულება შეასრულოს ნაწილ-ნაწილ (ვალდებულების ნაწილობრივი შესრულება), თუკი კრედიტორი ამაზე თანახმაა. იმ შემთხვევაში, თუკი მოვალეს უფლება აქვს ვალდებულება შეასრულოს ნაწილ-ნაწილ, ასეთივე უფლება უნდა მიეცეს მესამე პირსაც, როდესაც იგი მოვალის ნაცვლად ასრულებს ვალდებულებას.[573]

ვალდებულებით სამართალში ვალდებულებათა კლასიფიკაციის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს მათი დაყოფა შესრულებელი მოქმედების ხასიათის მიხედვით, როგორიცაა: ქონების გადაცემა, მომსახურების გაწევა, სამუშაოს შესრულება, ზიანის ანაზღაურება. აღსანიშნავია, რომ უმრავლეს შემთხვევებში, კრედიტორისათვის მნიშვნელობა არა აქვს მოვალე პირადად თუ მესამე პირის მეშვეობით შეასრულებს ისეთ ვალდებულებას, როგორიცაა ქონების გადაცემა, რამეთუ ამ შემთხვევებში კრედიტორი სწორედ რომ დაინტერესებულია არა შემსრულებლის პიროვნებით, არამედ გადასაცემი ქონებით.[574]

რაც შეეხება სამუშაოს შესრულების ვალდებულებებს, აქ ზოგჯერ კრედიტორი შეიძლება დაინტერესებული იყოს იმით, რომ ვალდებულება პირადად შეასრულოს მოვალემ. მომსახურების გაწევის ვალდებულების შემთხვევაში, კრედიტორი, უმთავრესად, დაინტერესებულია მოვალის მიერ ვალდებულების პირადად შესრულებით. ვალდებულების ურთიერთობის წარმოშობას საფუძვლად ხშირად ხომ სწორედ მოვალის პირადი თვისებები უდევს.[575] გასათ-

[573] ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, 2001, 320.

[574] Weiler, Schuldrecht Allgemeiner Teil, 2012, §10, Rn. 3.

[575] ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება, 2006, 31.

ვალისწინებელია ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების მიდგომა. კერძოდ, ვალდებულების პირადი ხასიათი ნიშნავს მხოლოდ კრედიტორისათვის მინიჭებულ შესაძლებლობას, უარი თქვას მესამე პირისგან ვალდებულების შესრულების მიღებაზე (7:106-ე მუხლი).[576]

მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულების შედეგად წარმოშობილი სამართალურთიერთობის თითოეულ მონაწილეს გააჩნია შესაბამისი უფლებები და მოვალეობები.[577] ზოგადი წესის მიხედვით, კრედიტორს ვალდებულება უნდა შეუსრულოს პირადად კონკრეტულმა მოვალემ. თეორიული თვალსაზრისით, მესამე პირის მიერ მოვალის ნაცვლად ვალდებულების შესრულება უნდა ჩაითვალოს არაჯეროვან შესრულებად, რამეთუ ვალდებულება სრულდება არა იმ პირის მიერ, ვის მიმართაც კრედიტორს გააჩნია კანონით მინიჭებული მოთხოვნის უფლება. ამიტომაც კრედიტორს შეუძლია უარი თქვას ასეთი შესრულების მიღებაზე. თუმცა კი მრავალ შემთხვევაში ეკონომიკური თვალსაზრისით კრედიტორისათვის სულერთია, თუ ვინ შეასრულებს მოვალის ვალდებულებას (გადასცემს ნივთს, გადაიხდის ვალს და ა.შ.).

კრედიტორის უარი შესრულების მიღებაზე მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ ვალდებულების შესრულებას ახდენს არა მოვალე, არამედ მესამე პირი, ეწინააღმდეგება სამოქალაქო სამართალში დამკვიდრებულ კეთილსინდისიერებისა და გულისხმიერების პრინციპებს. კრედიტორის ასეთი ქმედება მეტისმეტად ფორმალური და არასამართლიანი იქნებოდა. ამიტომაც ვალდებულებითი სამართლის ნორმები ავალდებულებს კრედიტორს, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში (მაგალითად, დავალების ხელშეკრულება), მიიღოს მოვალის ნაცვლად მესამე პირისგან შეთავაზებული ვალდებულების შესრულება. ამასთან, კრედიტორის ეს მოვალეობა ვალდებულებითი ურთიერთობების შეფარდებითი ხასიათიდან გამომდინარე, წარმოადგენს კრედიტორის ვალდებულებას მოვალის და არა მესამე პირის წინაშე. ვალდებულებით სამართალში კრედიტორის მიერ, მოვალის ნაცვლად, მესამე პირის მიერ ჯეროვნად შესრულე-

[576] Principles of European Contract Law,Parts I and II, Ed. by Lando/Beale, 2000, 338.
[577] Duncan/Dixon, The Law of real property mortgages, Sydney, Fed press, 2007,194.

ბულის მიღება დადგენილია კრედიტორის ინტერესების გათვალისწინებით.[578]

კრედიტორის ინტერესები დაცულია ისეთ შემთხვევებში, როდესაც კანონიდან, ხელშეკრულებიდან ან ვალდებულების ბუნებიდან ნათლად და ცალსახად გამომდინარეობს, რომ ვალდებულება უნდა შეასრულოს პირადად მოვალემ. ასეთ შემთხვევებში კრედიტორის ინტერესების დასაცავად, კანონმდებელი მას ანიჭებს უფლებას, უარი თქვას მოვალის ნაცვლად ნებისმიერი სხვა პირისაგან შეთავაზებული შესრულების მიღებაზე.

გამომდინარე იქიდან, რომ მესამე პირის მხრიდან ვალდებულების შესრულების შეზღუდვა დადგენილია კრედიტორის ინტერესების დასაცავად, ამიტომაც იმ შემთხვევებშიც, როდესაც ვალდებულების შესრულება უნდა მოხდეს უშუალოდ მოვალის მიერ და არა მესამე პირის მიერ, ნების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე,[579] კრედიტორმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს, მიიღოს თუ არა მესამე პირის მიერ შეთავაზებული შესრულება. კრედიტორის ინტერესი თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურია. ზოგჯერ, ვალდებულების პირადი ხასიათის მიუხედავად, კრედიტორმა შეიძლება მიზანშეწონილად მაინც ჩათვალოს მესამე პირის მიერ შეთავაზებული შესრულების მიღება. შესაბამისად, მესამე პირის მიერ პირადი ხასიათის ვალდებულების შესრულება მოვალის ნაცვლად ავტომატურად არ უნდა ჩაითვალოს არაჯეროვან შესრულებად. კრედიტორს უნდა ჰქონდეს უფლება, თავად გადაწყვიტოს, მოიწონოს თუ არა ასეთი შესრულება. თუკი მოვალის ნაცვლად მესამე პირის მიერ პირადი ხასიათის ვალდებულების შესრულებაზე კრედიტორი თავიდანვე გასცემს თანხმობას (ნებართვას), მაშინ ასეთი ვალდებულება დაკარგავს პირად ხასიათს. ე.ი. კრედიტორს თავისი ნების გამოვლენით შეუძლია თანხმობა მისცეს მესამე პირს მოვალის ნაცვლად პირადი ხასიათის ვალდებულების შესრულებაზე წინასწარი ნებართვის ან შემდგომი მოწონების გზით.[580] იმის გამო, რომ კანონი ასეთი შემთხვევებისათვის არ ითვალისწინებს კრედი-

---

[578] Faust, Burgerliches Gezetzbuch Allgemeiner Teil, 3 Auflage, 2013, 145.

[579] ზოიძე, ევროპული სამართლის რეცეფცია საქართველოში, 2005, 268.

[580] ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 90.

ტორის ნების გამოვლენისათვის რაიმე ფორმას, დასაშვებია ნების გამოვლენა ნებისმიერი ფორმით – ზეპირად, წერილობით, კონკლიდენტური მოქმედებით – შესრულების მიღებით და სხვ.

თუ მესამე პირი ვალდებულებას ასრულებს მოვალის თანხმობის გარეშე, ანდა მოვალის ნების საწინააღმდეგოდ, ეს წარმოადგენს რისკს თვითონ მესამე პირისათვის. თუკი მოვალის თანხმობის გარეშე მესამე პირის მიერ კრედიტორისათვის განხორციელებული შესრულება არაჯეროვანია და ზიანს აყენებს კრედიტორს[581] (მაგალითად, მესამე პირმა მოვალის ნაცვლად კრედიტორს მიაწოდა ნაკლიანი ნივთი), მოვალეს არ შეიძლება დაეკისროს კრედიტორის წინაშე პასუხისმგებლობა, რადგან კრედიტორის წინაშე პასუხისმგებელია მესამე პირი, რომელმაც მოვალის თანხმობის გარეშე არაჯეროვნად შეასრულა მისი ვალდებულება. იმ შემთხვევაში, თუკი ვალდებულების დარღვევაში ნაწილობრივ ბრალი მოვალესაც მიუძღვის, მაშინ როგორც მოვალეს, ასევე მესამე პირსაც დაეკისრებათ პასუხისმგებლობა კრედიტორის წინაშე.

თუ მესამე პირი მოვალის თანხმობის გარეშე და მისი ნების საწინააღმდეგოდ შეასრულებს ვალდებულებას, მოვალეს უფლება აქვს მოითხოვოს მესამე პირისაგან მიყენებული ზიანის ანაზღაურება[582] (როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი ზიანი).[583] ასეთ შემთხვევებში ზიანის მიყენების ფაქტის მტკიცების ტვირთი მოვალეს ეკისრება.

მოვალის ნაცვლად მესამე პირის მიერ კრედიტორისათვის ვალდებულების ჯეროვანი შესრულება, ათავისუფლებს მოვალეს კრედიტორის წინაშე ვალდებულებისაგან. მესამე პირის მიმართ მოვალის ვალდებულებები განისაზღვრება მასსა და მესამე პირს შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობით.

---

[581] მაჩალაძე, ზიანის ანაზღაურება ვალდებულების დარღვევისას (საქართველოსა და გერმანიის კანონმდებლობათა შედარებითი ანალიზი), ჟურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა" (სპეციალური გამოშვება), 2004, გვ. 72.

[582] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 ნლის 10 ოქტომბრის №ას-342-694-07 გადაწყვეტილება.

[583] Paland/Grüneberg, §249, Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch und Nebengesetzen, 69 Auflage, Verlag C.H. Beck, 2010, Rn 17 .

იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალესა და მესამე პირს შორის არ არის რაიმე სამართლებრივი ურთიერთობა ანდა იგი ბათილად იქნა ცნობილი, თუკი მესამე პირმა უკვე განახორციელა მოვალის ნაცვლად კრედიტორის მიმართ შესრულება, მას აღარ აქვს კრედიტორისგან შესრულების უკან გამოთხოვის უფლება სკ-ის 976 II გ მუხლის თანახმად. მესამე პირს შეუძლია მხოლოდ წარადგინოს მოვალის მიმართ მოთხოვნა უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე.[584]

თუ მესამე პირი ვალდებულების შესრულებისას შეცდომით ფიქრობდა, რომ ასრულებდა თავის ვალდებულებას, თუმცა კი შეასრულა სხვა პირის ვალდებულება, ასეთ შემთხვევაში ვალდებულება არ წყდება და მას შეუძლია მოვალეს წაუყენოს უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნა.[585]

VII.1.5. მესამე პირის მიერ მოვალის ნაცვლად ვალდებულების შესრულების ინსტიტუტის გამიჯვნა სამოქალაქო სამართლის სხვა ინსტიტუტებისაგან

პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება მოვალის ნაცვლად მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულების ინსტიტუტის გამიჯვნას სამოქალაქო სამართლის სხვა ინსტიტუტებისაგან. მესამე პირის მიერ მოვალის ნაცვლად ვალდებულების შესრულება განსხვავდება ვალის გადაკისრებისაგან.[586] ვალის გადაკისრება წარმოადგენს სანივთო-სამართლებრივ გარიგებას, რომელიც აბსოლუტურად ცვლის სამართლებრივი ურთიერთობის თავდაპირველ სუბიექტებს.[587] გარდა ამისა, ვალის გადაკისრებისთანავე წყდება მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული თავდებობა და გირავნობა, თუკი თავდები ან დამგირავებელი თანხმობას არ განაცხადებენ ამ ურთიერთობის გაგრძელებაზე. მესამე პირის მიერ მოვალის ნაცვ-

[584] ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება, 2006, 39.
[585] Brox/Walker, Allgemeines Schuldrecht, 32 Auflage, Verlag C.H. Beck, 2007, 107.
[586] Markesinis S. B., Unberath H., Johnston A., The German Law of Contract _ A Comparative Treatise, 2nd ed., Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 363.
[587] Paland, Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch und Nebengesetzen, 67 neubearbeitete Auflage, Verlag C.H. Beck, 2008, 595.

ლად ვალდებულების შესრულებისას, უზრუნველყოფის საშუალებები ძალას არ კარგავენ და ისინი წარმოადგენენ მესამე პირის მოთხოვნის უფლების დაცვის რეალურ გარანტიებს.

ვალდებულების თავდაპირველი მხარეები შეიძლება შეიცვალონ სხვა პირებით. ვალდებულებაში შეიძლება შეიცვალოს როგორც კრედიტორი, ასევე მოვალეც. კრედიტორის შეცვლას ეწოდება მოთხოვნის დათმობა, ანუ ცესია, ხოლო ვალდებული პირის შეცვლას კი ეწოდება ვალის გადაკისრება. სხვადასხვა სამართლებრივ სისტემას ახასიათებს მთელი რიგი თავისებურებები, რომლებიც დაკავშირებულია ვალდებულებაში პირთა შეცვლასთან.[588]

ვალდებულებაში კრედიტორის შეცვლის შესაძლებლობა ცნობილი იყო ჯერ კიდევ რომის სამართლისათვის. ვალდებულებაში კრედიტორის შეცვლის კლასიკურ საშუალებას წარმოადგენდა მოთხოვნის დათმობა (ცესია). მოთხოვნის დათმობა ჩვეულებრივ ხდებოდა მოთხოვნის მფლობელსა (ძველ კრედიტორსა) და მესამე პირს (ახალ კრედიტორს) შორის დადებული ხელშეკრულებით. ამ ხელშეკრულებით კრედიტორი მოთხოვნის უფლებას გადასცემდა მესამე პირს. თავდაპირველი კრედიტორის ადგილს იკავებდა მესამე პირი. პირს, რომელიც თავის მოთხოვნის უფლებას გადასცემდა, ეწოდებოდა ცენდენტი, ხოლო იმ პირს, რომელიც ღებულობდა მოთხოვნის უფლებას (ახალი კრედიტორი), ეწოდებოდა ცესიონერი.[589] მოთხოვნის დათმობის ნამდვილობისათვის აუცილებელია რამდენიმე წინაპირობის არსებობა, კერძოდ: ა) მოთხოვნის განსაზღვრულობა; ბ) მოთხოვნის მიკუთვნება კრედიტორისათვის; გ) მოთხოვნის გადაცემის შესაძლებლობა.[590]

ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების 12-101(1)-ლი მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, ვალდებულებაში მოვალის შეცვლა მესამე პირით (ვალის გადაკისრება), დაიშვება მხოლოდ კრედიტორსა და მოვალეს შორის შეთანხმებით, ამასთან, ეს იწვევს

---

588 Flessner, Assignement in European Private internat. Law,Cambridge, Cambridge university press, 2008, 42.

589 Jolowicz/Nicholas, Historical introduction the study of Roman Law, Third Edition, Cambridge, Cambridge university press, 2006, 151.

590 Paland, Kommentar zum Bürgerlichen Gezetzbuch und Nebengesetzen, 67 neubearbeitete Auflage, Verlag C.H. Beck, 2008, 587.

თავდაპირველი მოვალის ვალდებულების შეწყვეტას. გარდა ამისა, პრინციპები არ ზღუდავენ კრედიტორს იმის შესაძლებლობაში, რომ თავიდანვე განუცხადოს მოვალეს თანხმობა მომავალში ვალის გადაკისრებასთან დასაშვებობის შესახებ.[591]

საქართველოში მოთხოვნის დათმობისა და ვალის გადაკისრების სამართლებრივი ინსტიტუტები დეტალურადაა მოწესრიგებული 198-206-ე მუხლებით. აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობა ძირითადად იმეორებს გერმანიის სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ სამართლებრივ დებულებებს მოთხოვნის დათმობასა და ვალის გადაკისრებასთან დაკავშირებით.[592]

მესამე პირის მიერ მოვალის ნაცვლად ვალდებულების შესრულება განსხვავდება ასევე მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებისაგან. სკ-ის 349-ე მუხლის თანახმად, მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების შესრულება შეიძლება მოითხოვოს როგორც კრედიტორმა, ასევე მესამე პირმა, თუ კანონით ან ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ანდა თვით ვალდებულების არსიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს (ანალოგიური დებულებებია მოცემული ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების 6-110(1)-ე მუხლში[593]). ამ ორ სამართლებრივ ინსტიტუტს შორის ძირითადი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებით, უფლებამოსილ პირს შეუძლია თავის სასარგებლოდ მოვალისაგან მოითხოვოს შესრულება ან უარი განაცხადოს მის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნაზე. მაშინ, როდესაც, თუკი მოვალე მესამე პირს დააკისრებს კრედიტორისათვის ვალდებულების შესრულებას, კრედიტორს არა აქვს უფლება (გამონაკლისის გარდა) მოითხოვოს შესრულება უშუალოდ მოვალისაგან, ანდა უარი თქვას შესრულების მიღებაზე.[594]

მოვალის ნაცვლად მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულება განსხვავდება შესრულების გადამისამართების ინსტიტუტისაგან.

[591] Definition of reasonableness in Principles of European Contract Law, Overview comments, Ed. by Kritzer. //http://www.cisg.Law.pace.edu/cisg/text/reason/html

[592] ჭეჭელაშვილი, მოთხოვნის დათმობა და ვალის გადაკისრება, 2004, 17.

[593] Treitel, The Law of Contract, Thomson, 11th ed., 2003.

[594] Dirk Looschelders, Schuldrecht Allgemeiner teil, §19, 2013, Rn 39.

მესამე პირისათვის შესრულება (შესრულების გადამისამართება) და ვალდებულების შესრულება მესამე პირის მიერ პასუხობს სრულიად სხვადასხვა კითხვაზე: პირველ შემთხვევაში – ვისთვის ხდება შესრულება; მეორე შემთხვევაში – ვინ ასრულებს ვალდებულებას.

შესრულების გადამისამართება ზოგადად გამოიხატება იმაში, რომ კრედიტორი უთანხმდება მოვალეს, რათა ამ უკანასკნელმა შესრულება განახორციელოს მესამე პირის მიმართ (მაგალითად, სკ-ის 680 IV მუხლის თანახმად, მიმღებს უფლება აქვს განკარგვის უფლებამოსილების განხორციელებისას გასცეს მითითება ტვირთის მიწოდების შესახებ მესამე პირისათვის). შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობა აქ ყალიბდება კრედიტორსა და მოვალეს შორის. ამასთან, შესრულების მიმღები, როგორც წესი, წარმოადგენს იმ კრედიტორის კრედიტორს, რომელიც ახორციელებს შესრულების გადამისამართებას.[595]

VII.1.6. ზოგადად მესამე პირის მიმართ ვალდებულების შესრულების შესახებ

პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხია არა მხოლოდ ის, თუ ვინ ასრულებს ვალდებულებას, არამედ ისიც, თუ ვის მიმართ ხდება შესრულება. სკ-ის 373 (მუხლის თანახმად, „მოვალე ვალდებულია შეუსრულოს ვალდებულება კრედიტორს ან იმ პირს, რომელიც კანონით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით უფლებამოსილია მიიღოს შესრულება". შესრულების მიმღებად, უპირველეს ყოვლისა, ითვლება კრედიტორი. ზოგჯერ შესრულება შეიძლება განხორციელდეს კრედიტორის ნაცვლად, სხვა პირის მიმართ. ჯერ კიდევ რომის სამართალში ცნობილი იყო კრედიტორის ნაცვლად მესამე პირისათვის ვალდებულების შესრულების შესაძლებლობა. ასეთი უფლებამოსილი მესამე პირი შეიძლება ყოფილიყო კრედიტორის მიერ დავალების ხელშეკრულებით (procurator) ანდა სპეციალური სტიპულაციის საშუალებით დანიშნული პირი (adiectus solutionis causa). სამართლებრივი ურთიერთობები კრედიტორსა და შესრულების მიმღებ (accipiens) მესამე პირს შორის წესრიგდებოდა დავალების

[595] ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება, 2006, 40.

ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელით (აცტიონ მანდატი).[596]

შესაძლებელია, გარიგებამ, კანონმა ანდა სასამართლოს გადაწყვეტილებამ მიანიჭოს მესამე პირს კრედიტორის ნაცვლად შესრულების მიღების უფლება. ეს შეიძლება იყოს კრედიტორის მეურვე, მზრუნველი, მშობელი, ანუ ზოგადად კანონისმიერი ან სახელშეკრულებო წარმომადგენელი. შესრულების მიღებაზე უფლებამოსილი პირი სასამართლოს გადაწყვეტილებითაც შეიძლება განისაზღვროს,

მაგალითად, სკ-ის 21-ე მუხლის თანახმად, თუ სასამართლომ პირი ცნო უგზო-უკვლოდ დაკარგულად, სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, კანონით მემკვიდრეები მოიპოვებენ უფლებამოსილებას, უკვალოდ დაკარგულის ქონება მართონ მინდობილი საკუთრების სახით, მათ შორის მიიღონ მისგან სარგებელი. სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე კანონით მემკვიდრეები უფლებამოსილნი ხდებიან მიიღონ მოვალის მიერ შემოთავაზებული შესრულება.[597]

კრედიტორის მიერ ვალდებულების შესრულების მიღების სპეციალურ შემთხვევად შეიძლება იქნეს განხილული, შესრულების მიღების დაყოვნება. ასეთ შემთხვევაში მოვალის მიერ შესრულების საგნის სასამართლოში ან ნოტარიუსთან დეპონირება ჩაითვლება ვალდებულების შესრულებად.[598]

შესრულების გადამისამართების საკითხის განხილვისას, მხედველობაშია მისაღები, რომ ვალდებულების შესრულებამ არა კრედიტორის, არამედ მესამე პირის მიმართ, შეიძლება მოვალისთვის დამატებითი ხარჯები წარმოშვას. მაგალითად, როცა ხდება შესრულების ადგილის შეცვლა. მესამე პირის მიმართ ვალდებულების შესრულებისას, ამ უკანასკნელს არ წარმოეშობა არანაირი მოთხოვნები მოვალის მიმართ, რაც არსებითად განასხვავებს ამ ინსტიტუტს მესამე პირის სასარგებლოდ დადებული იმ ხელშეკრულებისაგან, რომლითაც მესამე პირს გააჩნია შესრულების და-

---

[596] Zimmermann, The Law of Obligations. Roman Foundations of the Civilian Tradition, OXFORD University Press, 1996, 753.

[597] ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, 194.

[598] Weiler, Schuldrecht Allgemeiner Teil, §10, 2012, Rn 8.

მოუკიდებლად მოთხოვნის შესაძლებლობა.[599]

სკ-ის 373 II მუხლის თანახმად, თუ ვალდებულების შესრულება მიიღო იმ პირმა, რომელიც არ იყო უფლებამოსილი, ვალდებულება ჩაითვლება შესრულებულად მაშინ, როცა კრედიტორმა მისცა ამის თანხმობა ან ამ შესრულებისაგან მიიღო სარგებელი. მაშასადამე, კანონმდებლობა ითვალისწინებს ისეთ შემთხვევის არსებობის შესაძლებლობასაც, როდესაც შესრულებას ღებულობს არაუფლებამოსილი პირი, თუმცა ამისათვის აუცილებელია კრედიტორის თანხმობა. თანხმობა შეიძლება იყოს წინასწარი (ნებართვა) ან შემდგომი (მოწონება). თანხმობით სწორდება არაუფლებამოსილების ნაკლი. არაუფლებამოსილების ხარვეზს კრადიტორის მიერ სარგებლის მიღებაც ასწორებს.

კრედიტორის ნაცვლად შესრულების მიმღები მესამე პირის უფლებამოსილება შეიძლება სხვადასხვაგვარად დადგინდეს, მაგალითად, როგორიცაა წერილობითი საბუთი, რომლითაც დგინდება მესამე პირის ვინაობა; მინდობილობა; სადამფუძნებლო დოკუმენტები (იურიდიული პირების მიმართ) ან გამომდინარეობდეს საქმის გარემოებებიდან. იურიდიულ ლიტერატურაში ამ საკითხთან მიმართებით ყურადღება მახვილდება იმ შემთხვევაზე, როცა ფულადი ვალდებულების შესრულებისას გაცემულ უნდა იქნეს შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი. მაგალითად, სკ-ის 430-ე მუხლის თანახმად, კრედიტორის ან საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ შედგენილი დოკუმენტი შესრულების თაობაზე უნდა შეიცავდეს მონაცემებს ვალის მოცულობისა და სახეობის შესახებ, მოვალის ან იმ პირის გვარსა და სახელს, რომელიც იხდის ვალს, შესრულების დროსა და ადგილს. სასამართლო პრაქტიკაში მოქმედებს პრინციპი, რომ ვალდებულება ითვლება უფლებამოსილი პირის მიმართ შესრულებულად მანამ, სანამ კრედიტორი არ დაამტკიცებს საწინააღმდეგოს, ანუ არაუფლებამოსილი პირის მიმართ შესრულების მტკიცების ტვირთი (onus probandi) აკისრია კრედიტორს.[600]

მეტად მნიშვნელოვან სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს ვალ-

---

[599] ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება მესამე პირის მიერ, 2005, 15.

[600] ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, II გამოცემა, 2005, 226.

დებულების შესრულება არაუფლებამოსილი პირის მიმართ. თუ ეს არ ხდება კრედიტორის თანხმობით (წინასწარი ნებართვით ან შემდგომში მოწონებით), მოვალის მიერ ვალდებულება შესრულებულად არ ჩაითვლება. მას, ვალდებულების დარღვევის გამო, დაეკისრება კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. თავის მხრივ, მოვალეს უფლება აქვს არაუფლებამოსილი პირის მიმართ განხორციელებული შესრულებისას, მოითხოვოს მისგან შესრულების უკან დაბრუნება არა რეგრესული მოთხოვნის, არამედ უსაფუძვლო გამდიდრების (სკ-ის 976-ე მუხლი) საფუძველზე.

VII.2. მენარდის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს პირადად შესრულება.

სკ--ს 632-ე მუხლის თანახმად, მენარდემ პირადად უნდა შეასრულოს სამუშაო მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა ეს გამომდინარეობს კონკრეტული გარემოებებიდან ან სამუშაოს ხასიათიდან. ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, „რომ სამუშაოს ხასიათიდან და არც ხელშეკრულებიდან არ გამომდინარეობდა, რომ კონტრაქტორს პირადად უნდა შეესრულებინა ნაკისრი ვალდებულება."[601]

გამომდინარე იქიდან, რომ მენარდეს აქვს გარკვეული გამოცდილება და ცოდნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესასრულებლად, მან, როგორც წესი, სამუშაო უნდა შეასრულოს პირადად. მაგალითად, შემკვეთმა ცნობილ იუველირს შეუკვეთა სამკაულის დამზადება.[602] იმ შემთხვევაში, როდესაც სამუშაოს ხასიათიდან ან კონკრეტული გარემოებებიდან არ გამომდინარეობს, რომ მენარდემ აუცილებლად პირადად უნდა შეასრულოს ხელშეკრულებით გათავლისწინებული სამუშაო, მენარდეს შეუძლია სამუშაოს მთლიანად ან ნაწილობრივ შესასრულებლად გამოიყენოს მესამე პირის შრომაც, რაც ხორციელდება ე.წ. ქვენარდობის ხელშეკრულების

---

[601] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 31 ივლისის განჩინება საქმეზე #ას-362-344-2015. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 28 მაისის განჩინება საქმეზე #ას-250-306-09.

[602] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 69.

საფუძველზე. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო პალატამ მიუთითა," თუ საქმის ხელახალი განხილვისას სასამართლო მივა იმ დასკვნამდე, რომ სადავო ხელშეკრულებით მხარეთა შორის წარმოიშვა ნარდობის ხელშეკრულებისათვის დამახასითებელი ურთიერთობა, გამოყენებულ უნდა იქნეს ნარდობის ხელშეკრულების ინსტიტუტი, რადგან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ მოსაჩვენებლად დადებული გარიგებით მხარეებს სურთ სხვა გარიგების დაფარვა, მაშინ გამოიყენება დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი წესები (თვალთმაქცური გარიგება), კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 632-ე მუხლის თანახმად, მენარდემ პირადად უნდა შეასრულოს სამუშაო მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა ეს გამომდინარეობს კონკრეტული გარემოებებიდან ან სამუშაოს ხასიათიდან".[603]

სამუშაოს პირადად შესრულების ვალდებულებაზე იმსჯელა სასამართლომ საქმეზე Condor v, Barron Knigts, სადაც ცნობილი პოპჯგუფის დრამერის ავადმყოფობის გამო, ხელშეკრულებით ნაკისრი კვირაში შვიდ საღამოს კონცერტის ნაცვლად, სამედიცინო დასკვნის საფუძველზე იგი შეძლებდა მხოლოდ ოთხ საღამოს კონცერტზე გამოსვლას. სასამართლომ სამედიცინო დასკვნა ხელშეკრულების მისადაგების საფუძვლად მიიჩნია და შეცვალა ხელშეკრულების პირობები.[604]

VII.2. 1 ქვენარდობა

მენარდე თვითონ უკეთებს ორგანიზებას თავის მიერ შესასრულებელ სამუშაოს, თვითონ განსაზღვრავს სამუშაოთა წარმოების მეთოდებსა და საშუალებებს, საჭიროების შემთხვევაში შეუძლია გამოიყენოს სხვა პირთა (ქვემენარდე, დამხმარე) შრომაც. (არქიტექტორის შრომა პროექტის მოსამზადებლად).[605] ამ დროს თავდაპირველი მენარდე გამოდის გენერალური მენარდის როლში. ქვემენარ-

[603] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 28 მაისის განჩინება საქმეზე #ას-250-306-09.

[604] Stone R., The Modern Law of Contract, Abingdon, Oxon, 2009, 536.

[605] BGHZ 82, 105 22.10.1981.

დის დახმარების საჭიროება, როგორც წესი, წარმოიშობა რთული და დიდი მოცულობის სამუშაოს შესრულების დროს (შენობა-ნაგებობის აშენება, სატრანსპორტო მაგისტრალის გაყვანა და ა.შ.).

ქვენარდობის ხელშეკრულებას გააჩნია მისთვის დამახასიათებელი თვისებები: ქვენარდობის ხელშეკრულების შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს ძირითად ნარდობის ხელშეკრულებას, რომელიც იდება შემკვეთსა და გენერალურ მენარდეს შორის. განსხვავებით სკ-ის 549-ე მუხლით გათვალისწინებული ქვექირავნობის ხელშეკრუ-ლებისაგან, რომლის დასადებადაც დამქირავებელს ესაჭიროება გამქირავებლის თანხმობა, გენერალურ მენარდეს ქვენარდობის ხელშეკრულების დასადებად არ სჭირდება შემკვეთის თანხმობა. ქვემენარდე უნდა განვავსხვავოთ მიმწოდებლისაგან (გამყიდველი), რომელიც გენერალურ მენარდეს ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების განსახორციელებლად აწვდის მასალებსა და მოწყობილობას. ასეთი მიმწოდებელი გენერალურ მენარდესთან დებს ნასყიდობის ხელშეკრულებას და ამ შემთხვევაში მხარეთა უფლება-მოვალეობები განისაზღვრება არა ნარდობის, არამედ ნასყიდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმებით.[606]

ქვენარდობის ხელშეკრულების სპეციფიკურობა იმაში მდგომარეობს, რომ სამუშაოს მთლიანი შესრულებისათვის შემკვეთის წინაშე პასუხისმგებელი რჩება გენერალური მენარდე.[607] აღნიშნული დებულება გამომდინარეობს სკ-ის 396-ე მუხლის შინაარსიდან, კერძოდ მოვალემ თავისი კანონიერი წარმომადგენლის და იმ პირთა მოქმედებისათვის, რომელსაც იგი იყენებს საკუთარ ვალდებულებათა შესასრულებლად, ისეთივე მოცულობით უნდა აგოს პასუხი, როგორც საკუთარი ბრალეული მოქმედების დროს. ცივილისტურ დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებული აზრით, სკ-ის 396-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში სახეზე გვაქვს სხვისი ბრალის გამო პასუხისმგებლობა. სამოქალაქო ბრუნვაში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც კრედიტორის წინაშე ნაკისრ ვალდებულებას მოვალე ნაწილობრივ ან მთლიანად მესამე

---

[606] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 69.
[607] ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი მეოთხე, ტომი I, 629-ე მუხლი, გვ.247.

პირების მეშვეობით ასრულებს. ეს გამორიცხულია იმ შემთხვევაში, როდესაც ვალდებულების არსიდან გამომდინარე, მოვალემ თავისი ვალდებულება პირადად უნდა შეასრულოს).[608] მოცემული ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ კრედიტორი თავად არ იმყოფება სამართლებრივ ურთიერთობებში იმ პირებთან, რომელთა გამოც მოვალე პასუხს აგებს მის წინაშე. მესამე პირი, მართალია კრედიტორის წინაშე უშუალოდ არაა ვალდებული, მაგრამ მოვალესთან დამყარებული ურთიერთობა მას საამისოდ ხდის, ანუ კრედიტორსა და მესამე პირს შორის არსებობს ერთგვარი „არაპირდაპირი სამართლებრივი ურთიერთობა" და ეს განპირობებულია შესრულების საგნის ერთიანობით.[609]

სკ-ის 396-ე მუხლის დანაწესი ფართო გამოხატულებას პოულობს სახელშეკრულებო ვალდებულებით ურთიერთობებში. აღნიშნულის სანიმუშო მაგალითად გამოდგება მენარდის პასუხისმგებლობა ქვემენარდის მოქმედებისათვის. ეს აზრი გამომდინარეობს სკ-ის 632-ე მუხლის შინაარსიდან. მსგავს ურთიერთობებში მოვალის პასუხისმგებლობის საფუძვლად პრაქტიკა მიიჩნევს მისი მხრიდან მესამე პირის შერჩევაში გამოჩენილ ბრალეულობას.[610] „სკ-ის 632-ე მუხლი ხაზს უსვამს ქვენარდობის ხელშეკრულების თავისებურებაზე, რომლის საფუძველზე შემკვეთის მიმართ პასუხისმგებელია არა ქვემენარდე, არამედ მენარდე. განსახილველი ნორმა მიგვითითებს სხვისი ბრალის გამო პასუხისმგებლობაზე".[611]

არსებული სამოქალაქო ბრუნვის პირობებში ვალდებულების შესრულების მიზნისათვის ხშირად, აუცილებელია შესრულების გადანდობა შესატყვისი და სათანადო პროფესიული გამოცდილების მქონე პირთათვის.[612] მხარე ვალდებულების სხვა პირზე დელეგირებით არ თავისუფლდება შეუსრულებლობისათვის პასუხისმგე-

---

[608] ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, 396-ე მუხლი, გვ.392.

[609] Medicus, Bürgerliches Recht, 19.Aufl.,2002, 155.

[610] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 1 მარტის განჩინება საქმეზე #ას – 889-1175-09.

[611] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 7 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე #ას – 1162-1091-2012.

[612] ძლიერიშვილი ,ვალდებულების შესრულება, 2006, 15.

ბლობისაგან.[613] მესამე პირის ბრალეული ქმედება მიეწერება მხარეს, ვისთვისაც იდება ხელშეკრულება, ან სრულდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება.[614] აღნიშნული წესი არა მკაცრი პასუხისმგებლობის სახე, არამედ სხვისი ბრალისათვის პასუხისმგებლობის პრინციპის გამოვლინებაა.

ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების 1:305-ე მუხლის თანახმად, თუ პირმა, რომელსაც სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარემ მიანდო ხელშეკრულების დადება ან ვალდებულების შესრულება: ა) იცოდა ან ითვალისწინებდა გარკვეული ფაქტის არსებობას, ან ვალდებული იყო სცოდნოდა ან გაეთვალისწინებინა; ბ) მოქმედებდა განზრახვით ან უხეში გაუფრთხილებლობით, ან კეთილსინდისიერებისა და გულისხმიერების პრინციპების საწინააღმდეგოდ, მაშინ აღნიშნული გარემოების ცოდნის, გათვალისწინებისა და ბრალეული ქმედებისათვის პასუხისმგებლობა ხელშეკრულების მონაწილე მხარეს დაეკისრება.

ევროპის სახელშეკრულებო სამართლის 7:106-ე მუხლი აწესრიგებს მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულების საკითხს, სადაც გამოიყოფა ორი შემთხვევა:

1) იმ შემთხვევის გარდა, როდესაც მოვალის მიერ ვალდებულების პირადად შესრულება ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს, კრედიტორს არ შეუძლია უარი თქვას ვალდებულების მესამე პირის მიერ შესრულებაზე, თუ:

ა) მესამე პირი მოქმედებს მოვალის თანხმობით;

ბ) მესამე პირს აქვს ხელშეკრულების შესრულების ლეგიტიმური ინტერესი, ამასთან, მოვალე ვალდებულებას ვერ ასრულებს, ან მომავალში მოსალოდნელია მის მიერ ვადამოსული ვალდებულების დარღვევის ფაქტი;

2) აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე მესამე პირის მიერ ვალდებულების ჯეროვანი შესრულება ათავისუფლებს მოვალეს შესრულების ვალდებულებისგან.

თუ მესამე პირის მიერ ვალდებულების ჯეროვანი შესრულება

---

[613] Lando O., Beale H., Principles of European Contract Law, Part I and II, Kluwer Law International, The Hague/London/Boston, 2000, 134

[614] „იქვე", 135. ასევე, სკ-ის 104-ე მუხლი.

ევროპული პრინციპების 7:106-ე (2) მუხლის ძალით ათავისუფლებს მოვალეს სახელშეკრულებო ვალდებულებისაგან, შესაბამისად, მესამე პირის მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, მოვალე პასუხისმგებელი რჩება კრედიტორის წინაშე და ამ უკანასკნელს მეორადი მოთხოვნის უფლებები წარმოიშობა თავდაპირველი მოვალის მიმართ. კრედიტორთან ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის მხარეა ვალდებულების მესამე პირზე გადამნდობი სუბიექტი და, შესაბამისად, ვალდებულების შეუსრულებლობისათვის პირდაპირი პასუხისმგებლობა კრედიტორის წინაშე მას დაეკისრება.[615]

ვენის კონვენციის 79-ე (1) მუხლის თანახმად, მოვალე პასუხისმგებელია ყველა იმ პირის ბრალისათვის, რომელსაც იყენებს მთლიანად ან ნაწილობრივ საკუთარი ვალდებულების შესასრულებლად. აღნიშნული ზოგადი პრინციპი გულისხმობს, რომ თუ მოვალეს აქვს ან შეეძლო ჰქონოდა გარკვეული წარმოდგენა ფაქტობრივი გარემოებების შესახებ, მაშინ ეს ცოდნა მას ბრალის სახით შეერაცხება.[616]

მსგავსად, უნიფიცირებული სამართლისა, გერმანული სამართალი ცნობს მოვალის პასუხისმგებლობას იმ პირის ბრალისათვის, რომელსაც თავად იყენებს საკუთარი ვალდებულების განხორციელებისათვის. აღნიშნული საკითხის რეგულირებისას ქართველი და გერმანელი კანონმდებლის ნება ერთმანეთს და ვენის კონვენციის რეგულირებას ემთხვევა. გსკ-ის 278-ე პარაგრაფი განამტკიცებს სხვისი ბრალისათვის პასუხისმგებლობის იდენტურ წესს სკ-ის 396-ე მუხლთან მიმართებით: მოვალე თავისი კანონიერი წარმომადგენლის, ასევე იმ პირთა ბრალეული მოქმედებისათვის, რომელთაც იყენებს საკუთარი ვალდებულების შესასრულებლად, ისეთივე მოცულობით აგებს პასუხს, როგორითაც საკუთარი ბრალეული მოქმედებისათვის. ამ შემთხვევაში მოვალისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველია მისი ბრალი, რომელიც გამოიხატება ვალდებულების შემსრულებელ პირთა შერჩევისას საკმარისი წინდახედულებისა და

[615] Lando O., Beale H., Principles of European Contract Law, part I and II, Kluwer Law International, The Hague/London/Boston, 2000, 78.

[616] Schlechtriem P., Schwenzer I., Commentary on the UN Convention on the International Sale of Goods (CISG), 3rd ed., Oxford University Press, 2010, 1065.

მათზე სათანადო მეთვალყურეობის განუხორციელებლობით.

ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ „რაც შეეხება კასატორის განმარტებას იმის შესახებ, რომ მკურნალობის ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება მოსარჩელის წინაშე იკისრა მესამე პირმა და შეასრულა კიდეც ეს ვალდებულება, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 371-ე მუხლის მიხედვით, კრედიტორის წინაშე ვალდებულება შეიძლება შეასრულოს მესამე პირმაც, თუმცა მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა და კასატორს დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია იმ ფაქტობრივი გარემოების საწინააღმდეგოდ, რომ კასატორმა (მოპასუხემ) ვერ დაადასტურა მის მიერ მითითებული გარემოება."[617]

ხშირად ვალდებულების შესრულება დამოკიდებულია მესამე პირის მიერ ხელშეკრულების მონაწილის მიმართ საკუთარი ვალდებულების დროულ შესრულებაზე. მაგალითად, სკ-ის 397-ე მუხლის თანახმად, მოვალე პასუხისმგებელია შესრულებისათვის მაშინაც, როცა შესრულების საგანი სხვა პირისგან უნდა მიეღო და ვერ მიიღო, თუკი ხელშეკრულებიდან ან გარემოებებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. აქ საუბარია მესამე პირის ბრალეულ შეუსრულებლობაზე, რომელიც მოვალეს არ ათავისუფლებს კრედიტორის წინაშე შესრულების ვალდებულებისაგან. თუკი მესამე პირის მიმართ დგება შესრულების ისეთი დამაბრკოლებელი გარემოება, რომელიც ზოგადად პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველს ქმნის, მაშინ შესრულების ვალდებულება ან პასუხისმგებლობა მოვალეს აღარ დაეკისრება.

VII.3 პირთა სიმრავლე ნარდობაში

VII.3 .1 ზოგადი დებულებები

რთული სამუშაოების შესასრულებლად საჭირო ხდება რამდენიმე მენარდის შრომის გამოყენება. მათი ურთიერთობები შემკვეთთან

[617] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 28 ივლისის განჩინება საქმეზე # ას- 539-512-2015.

განისაზღვრება სხვადასხვაგვარად. შესაძლებელია გამოყოფილი იქნეს სამი საბაზისო მოდელი, რომლებიც გამოიყენება ალტერნატიულად ან ერთმანეთთან ურთიერთკავშირში: უფრო ხშირად, შემკვეთი დებს ნარდობის ხელშეკრულებას ერთ მენარდესთან, რომელიც თავის მხრივ დებს ქვენარდობის ხელშეკრულებებს სხვა მენარდეებთან. ამასთან ერთად, გენერალური მენარდე პასუხისმგებელია შემკვეთის წინაშე ქვემენარდეების მხრიდან სამუშაოთა ჯეროვანი შესრულებისათვის.[618] თუკი შემკვეთს შეუძლია თვითონ მოძებნოს და შეარჩიოს ყველა მენარდე, მაშინ თითოეულ მათგანთან შემკვეთს შეუძლია დადოს ინდივიდუალური ხელშეკრულება. ამგვარად, თითოეული მენარდე პასუხს აგებს შესასრულებელი სამუშაოსათვის თავისი წილის ფარგლებში. იმ შემთხვევაში, თუკი მენარდეების საქმიანობა უნდა იქნეს შეთანხმებული, მაშინ შემკვეთს შეუძლია მათთან დადოს ერთიანი ნარდობის ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს მენარდეთა სოლიდარულ პასუხისმგებლობას.[619]

VII.3 .2 თანამენარდეების წილადი ვალდებულება

თუკი ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულია რთული ან დიდი მოცულობის სამუშაოების შესრულება (მაგალითად, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენება), არ არის გამორიცხული, რომ შემკვეთმა ნარდობის ხელშეკრულება დადოს ორ ან მეტ მენარდესთან. ასეთ შემთხვევაში, მენარდის მხარეზე მონაწილე პირებს, თანამენარდეები ეწოდებათ. თანამენარდეთა უფლება-მოვალეობების მოცუ-ლობა დამოკიდებულია ნარდობის ხელშეკრულების საგნის თავისებურებებზე: თუკი ნარდობის ხელშეკრულების საგანი გაყოფადია, მაშინ თანამენარდეები შემკვეთის მიმართ წარმოადგენენ სოლიდარულ მოვალეებს ვალდებულების შესრულების ნაწილში და სოლიდარულ კრედიტორებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებისათვის საზღაურის მოთხოვნის ნაწილში. თუ ნარდობის ხელშეკრულების საგანი გაყოფადია, მაშინ

[618] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 7 მარტის განჩინება საქმეზე # ას-1162-1091-2012.
[619] Bydlinski in MüKo.BGB, Band 2.,5.Aufl. §420, Rn.3

თანამენარდეთა უფლება-მოვალეობების მოცულობა წილობრივი ხასიათისა და წილის ოდენობა, როგორც წესი, განისაზღვრება თვითონ ხელშეკრულებით. თუ ნარდობის ხელშეკრულებაში არაფერია ნათქვამი თანამენარდეების წილის შესახებ, მაშინ მათი წილი ჩაითვლება თანაბრად. მაშასადამე, როდესაც ნარდობის ხელშეკრულებით მენარდის მხარეს მონაწილეობს ორი ან მეტი თანამენარდე, მათი უფლება-მოვალეობები შეიძლება იყოს სოლიდარული ან წილობრივი ხასიათის. წილადი ვალდებულების შინაარსი შეიძლება ასე გამოიხატოს: თითოეული კრედიტორი უფლებამოსილია მოითხოვოს შესრულება მხოლოდ თავისი წილის ფარგლებში და თითოეული მოვალე ვალდებულია შეასრულოს მხოლოდ თავისი წილის ფარგლებში.[620] სხვანაირად რომ ითქვას, ყველა მოქმედებს თავისთვის.[621] წილადი ვალდებულება შეიძლება იყოს მხოლოდ გაყოფადი ვალდებულება. წილად ვალდებულებას წარმოშობის ერთი საერთო- სამართლებრივი საფუძველი გააჩნია.[622]

იმ შემთხვევაში, როდესაც ნარდობის ხელშეკრულების საგანი არის გაყოფადი და მენარდის მხარეზე ადგილი აქვს პირთა სიმრავლეს, ასეთ შემთხვევაში მოქმედებს წილადი ვალდებულებების მომწესრიგებელი ნორმები. მაგალითად, შემკვეთმა ორ სამკერვალო გაერთიანებასთან დადო ნარდობის ხელშეკრულება შემკვეთის მასალით 1000 ცალი სტანდარტული მოდიფიკაციის შარვლის შეკერვის თაობაზე. ამასთან, ნარდობის ხელშეკრულებით ერთ საწარმოს უნდა შეეკერა 600 შარვალი,(40%), ხოლო მეორეს კი – 400 შარვალი (40%). თუკი ნარდობის ხელშეკრულება არ შესრულდა ან არაჯეროვნად შესრულდა, თითოეული თანამენარდე პასუხს აგებს მიყენებული ზიანისათვის თავისი წილის ფარგლებში.[623] თუკი ერთერთმა თანამენარდემ ჯეროვნად შეასრულა თავისი ვალდებულებები, ხოლო მეორემ კი არა, მაშინ კეთილსინდისიერი თანამენარდე

---

[620] Brox/Walker _ Allgemeines Schuldrecht, 32. Auflage, München, 2007, S. 427.

[621] Looschelders, in Staudinger BGB Komm. §420, Rn.3. Böttcher, in Ermann §420, S. 1737.

[622] Larenz, Lerbuch des Schuldrechts, Band I, Algemainer Tail, 14., neu. Auflage, München, 1987. S. 564

[623] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, გვ.69.

პასუხს არ აგებს მეორის მიერ ვალდებულების დარღვევისათვის. თუ თანამენარდეებმა ჯეროვნად შეასრულეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, მათ შემკვეთისაგან შეუძლიათ მოითხოვონ შეთანხმებული საზღაურის გადახდა თითოეულის წილის პროპორციულად და არა მთლიანად.[624]

VII.3 .3 თანამენარდეების სოლიდარული ვალდებულება

სოლიდარული ვალდებულების შინაარსი ასე შეიძლება გამოიხატოს: „ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის". პასუხისმგებლობის ასეთი წესი დამახასიათებელია რთული ვალდებულებისათვის.[625] წილადი ვალდებულებისაგან განსხვავებით, აქ სოლიდარული კრედიტორის მოთხოვნა აღიქმება ყველა სოლიდარული კრედიტორის მოთხოვნად და შესაბამისად, სოლიდარული მოვალის ვალი – ყველა სოლიდარული მოვალის ვალად.[626]ამდენად, ყველა სრულადაა უფლებამოსილი და სრულადვე ვალდებული.[627]

ნარდობის ხელშეკრულებაში სოლიდარულ ვალდებულებას ადგილი აქვს ხელშეკრულების საგნის განუყოფლობის დროს. მაგალითად, შემკვეთმა დადო ნაგებობის აშენების ხელშეკრულება ორ სამშენებლო კომპანიასთან (თანამენარდეები) თითოეულის მიერ შესასრულებელი სამუშაოების ნაწილის მითითების გარეშე. თუკი შემდგომში აღმოჩნდება, რომ ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო არ შესრულდა ანდა არაჯეროვნად შესრულდა, შემკვეთს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება როგორც ორივე თანამენარდის, ისე ერთ-ერთი მათგანისაგან როგორც მთლიანად, ასევე ნაწილობრივ. თუკი ერთ-ერთმა თანამენარდემ სრულად დააკმაყოფილა შემკვეთის მოთხოვნები, მეორე თანამენარდე თავისუფლდება შემკვეთის წინაშე პასუხისმგებლობისაგან. თუკი

[624] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 1 აგვისტოს განჩინება საქმეზე # ას-164-158-2011.

[625] Budinski, in MüKo.BGB, Band 2.,5.Aufl. §421, Rn.2. Looschelders, in Staudinger BGB Komm. §421, Rn.3.

[626] Schwedhelm, Das Gesamtschuldverhätnis, S.25.

[627] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 ივლისის განჩინება საქმეზე # ას-254-239-2010.

თანამენარდეებმა ჯეროვნად შეასრულეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, მაშინ თითოეულ თანამენარდეს უფლება აქვს მოითხოვოს შემკვეთისაგან შეთანხმებული საზღაურის სრული ოდენობით გადახდევინება. ამასთან, შემკვეთის მიერ ერთ-ერთი თანამენარდისათვის ანაზღაურების მთლიანად გადახდა ათავისუფლებს შემკვეთს მეორე მენარდისათვის საზღაურის გადახდისაგან. თუკი შემკვეთმა საზღაური მთლიანად გადაუხადა ერთ-ერთ თანამენარდეს, ამ უკანასკნელმა მეორე თანამენარდეს უნდა გადაუხადოს მისი კუთვნილი წილის ოდენობის საზღაური. როგორც წესი, სოლიდარულ კრედიტორებს ერთმანეთთან მიმართებაში. ეკუთვნით თანაბარი წილი, თუ სხვა რამ არ არის მათ შორის შეთანხმებით დადგენილი.[628]

მაშასადამე, თუკი ადგილი არა აქვს სკ-ის 632-ე მუხლით გათვალისწინებულ წინაპირობებს, მენარდემ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესასრულებლად შეიძლება გამოიყენოს დამხმარე პირებიც, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ მენარდე იმ პირთა მოქმედებისათვის, რომელთაც იყენებს საკუთარი ვალდებულების შესასრულებლად, ისეთივე მოცულობით აგებს პასუხს, როგორც საკუთარი ბრალეული მოქმედების დროს. თუმცა, ყოველივე აღნიშნული სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მესამე პირები საერთოდ თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან. მათ მიმართ მენარდის მხრიდან როგორც სახელშეკრულებო, ისე არასახელშეკრულებო მოთხოვნების მიმართ, რეგრესის უფლება ხელშეუვალია.

თუ ხელშეკრულება იდება მხოლოდ ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად, მაშინ წარმომადგენლის ბრალეული მოქმედებისათვის პასუხისმგებლობის პრინციპი არ გამოიყენება. მაგალითად, მწარმოებელი არ განიხილება „სახელშეკრულებო დამხმარედ" გამყიდველისათვის, რომელსაც აკისრია საქონლის მიწოდების ვალდებულება.[629]

განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა ითვალისწინებს შემთხვევებს, როდესაც რთული სამუშ-

[628] Budlinski, in MüKo.BGB, Band 2.,5.Aufl. §428, Rn.3. Looschelders, in Staudinger BGB Komm. §421, Rn.12.

[629] Markesinis S. B., Unberath H., Johnston A., The German Law of Contract _ A Comparative Treatise, 2nd ed., Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 364.

აოების შესასრულებლად საჭირო ხდება რამდენიმე მენარდის შრომის გამოყენება. მათი ურთიერთობები შემკვეთთან განისაზღვრება სხვადასხვაგვარად. შესაძლებელია გამოყოფილი იქნეს სამი საბაზისო მოდელი, რომლებიც გამოიყენება ალტერნატიულად ან ერთმანეთთან ურთიერთკავშირში: უფრო ხშირად, შემკვეთი დებს ნარდობის ხელშეკრულებას ერთ მენარდესთან, რომელიც თავის მხრივ დებს ქვენარდობის ხელშეკრულებებს სხვა მენარდეებთან. ამასთან ერთად, გენერალური მენარდე პასუხისმგებელია შემკვეთის წინაშე ქვემენარდეების მხრიდან სამუშაოთა ჯეროვანი შესრულებისათვის. თუკი შემკვეთს შეუძლია თვითონ მოძებნოს და შეარჩიოს ყველა მენარდე, მაშინ თითოეულ მათგანთან შემკვეთს შეუძლია დადოს ინდივიდუალური ხელშეკრულება. ამგვარად, თითოეული მენარდე პასუხს აგებს შესასრულებელი სამუშაოსათვის თავისი წილის ფარგლებში. იმ შემთხვევაში, თუკი მენარდეების საქმიანობა უნდა იქნეს შეთანხმებული, მაშინ შემკვეთს შეუძლია მათთან დადოს ერთიანი ნარდობის ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს მენარდეთა სოლიდარულ პასუხისმგებლობას.

თავი VIII. მენარდის ინტერესების დაცვის განსაკუთრებული ღონისძიებები

VIII.1 ზოგადი დებულებები

ნარდობის სამართლებრივი მოწესრიგება ითავლისწინებს მენარდის ინტერესების დაცვის განსაკუთრებულ ღონისძიებებს, რაც წარმოადგენს არანაკლებ აქტუალურ და მნიშვნელოვან საკითხს, რამეთუ ნარდობის ხელშეკრულებით, როგორც წესი, ჯერ მენარდემ უნდა შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო და შესაბამისად, მას ეკისრება დანაკარგების გაწევის რისკიც, თუკი შემკვეთი თავის მხრივ არ შეასრულებს ან არაჯეროვნად შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საზღაურის გადახდის ვალდებულებას.

სკ-ის 634-ე მუხლის თანახმად, მენარდეს თავისი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად შეუძლია გამოიყენოს გირავნობის უფლება მის მიერ დამზადებულ ან შეკეთებულ მოძრავ ნივთზე, თუ ეს ნივთი დამზადების ან შეკეთების მიზნით მენარდის მფლობელობაში იმყოფება.[630] სკ-ის 635-ე მუხლის თანახმად კი, მენარდეს თავისი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად შეუძლია მოითხოვოს იპოთეკა შემკვეთის სამშენებლო მიწის ნაკვეთზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ნარდობის ხელშეკრულების საგანია შენობა-ნაგებობა.

იურიდიულ ლიტერატურასა და კანონმდებლობაში ცნობილია ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის სხვადასხვა საშუალება. მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებები ვალდებულების ჯეროვანი შესრულების საშუალებებია. ისინი იყოფიან უზრუნველყოფის სანივთო და ვალდებულებით-სამართლებრივ საშუალებებად. სანივთო უზრუნველყოფის საშუალებებს მიეკუთვნება გირავნობა და იპოთეკა.[631] სანივთო უზრუნველყოფის საშუალებების თავისებურება ისაა, რომ ისინი გარანტირებულს ხდიან ვალდებულების შესრულებას მისი დარღვევის შემთხვევაში და სწორედ ამ

---

[630] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი IV, ტ. I, 2001, 255.

[631] ჭანტურია, საკუთრება, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება,1999.

მიზანმიმართულებით ხასიათდებიან.[632] სანივთო უზრუნველყოფის საშუალებები მთლიანად შესრულების ფუნქციით არიან დატვირთული და არ წარმოადგენენ რაიმე დამატებით საჯარიმო ხასიათის დატვირთვებს მოვალისათვის. ამიტომაცაა, რომ ისინი ყველაზე გავრცელებული საშუალებებია სამოქალქო ბრუნვაში.[633]

ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის არსი მდგომარეობს იმაში, რომ თუ მოვალე არ ასრულებს, ანდა არაჯეროვნად ასრულებს ვალდებულებას, კრედიტორს აქვს იმის შესაძლებლობა, რომ სხვადასხვა ზომის გამოყენებით აიძულოს მოვალე შეასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულება.

ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებები შეიძლება გათვალისწინებული იქნეს როგორც კანონით, ისე ხელშეკრულებით. ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებათა არსებობა დამოკიდებულია რაიმე ვალდებულების არსებობაზე, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც ისინი არსებობენ.[634]ვალდებულება, რომლის უზრუნველყოფაც ხდება, წარმოადგენს მთავარ (ძირითად) ვალდებულებას, ხოლო მისი შესრულების უზრუნველყოფის საშუალებები დამატებით (აქცესორულ) ვალდებულებებს.[635]

VIII.2. მენარდის კანონისმიერი გირავნობის უფლება

მენარდემ ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, თავისი მოთხოვნების უზრუნველყოფის საშუალებად შეიძლება გამოიყენოს გირავნობის უფლება. სკ-ის 634-ე მუხლით გათვალისწინებული მენარდის გირავნობის უფლება გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუკი მენარდემ ჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, კერძოდ, შემკვეთს დაუმზადა ახალი ნივთი, ანდა შეაკე-

---

[632] Staundinger/Wiegand, §1204, Rn.3.4. Palandt/Heinrichs, § 421. Rn. 3. Budinski, in Münch Komm BGB/,§ 421. Rn. 1.8.

[633] ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, 44.

[634] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 1 ოქტომბრის განჩინება საქმეზე # ას-184-177-2013.

[635] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, 1999, 193.

თა შემკვეთის კუთვნილი დაზიანებული ნივთი, ხოლო შემკვეთი კი თავს არიდებს მენარდისათვის შეპირებული საზღაურის გადახდის ვალდებულების შესრულებას.[636]

გირავნობის ცნება მოცემულია სკ-ის 254-ე მუხლის I ნაწილში, რომლის თანახმადაც, მოვალის ან მესამე პირის მოძრავი ნივთი ან/და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომლის გადაცემაც სხვა პირისათვის დასაშვებია, შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც ფულადი, ისე არაფულადი მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად ისე, რომ კრედიტორი (მოგირავნე) იძენს უფლებას, დაიკმაყოფილოს მოთხოვნა დაგირავებული ქონების (გირავნობის საგნის) რეალიზაციით ან მხარეთა შეთანხმებით – მის საკუთრებაში მიღებით მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში.

ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ განმარტა, რომ „2008 წლის 7 ოქტომბერს მოსარჩელეს სკ-ის 634-ე მუხლის თანახმად მოპასუხეს მიერ დავალიანების დაფარვამდე სადავო ავტომანქანაზე წარმოეშვა კანონისმიერი გირავნობის უფლება. ამასთან, აღნიშნული უფლება კანონით გათვალისწინებული არც ერთი საფუძვლით შეწყვეტილი არ ყოფილა. სადავო ავტომანქანა მოსარჩელის კანონისმიერი გირავნობის უფლების წარმოშობის მომენტისათვის სხვა პირის სასარგებლოდ გირავნობის უფლებით დატვირთული არ ყოფილა, რის გამოც, მოსარჩელემ მოიპოვა პირველი რიგის კანონისმიერი გირავნობის უფლება სადავო ავტომანქანაზე და ეს უფლება დღესაც ძალაშია. 634-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, მენარდის კანონისმიერი გირავნობის უფლების არსებითი შემადგენელი ნაწილია გირავნობის საგნის მფლობელობის უფლება. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მოპასუხეს მოსარჩელესათვის ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხა ჰქონდა გადასახდელი, მოსარჩელეს შეკეთებულ ავტომანქანაზე წარმოეშვა გირავნობის უფლება ნივთის დაკავებით".[637]

გირავნობა, ზოგადად, მოთხოვნის უზრუნველყოფის მეტად

---

[636] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 78

[637] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 სექტემბრის განჩინება საქმეზე # ას-483-457-2012.

გავრცელებული საშუალებაა.[638] ამ დროს ნაკისრი ვალდებულების შესრულებას მოვალის მხრიდან უზრუნველყოფს მოძრავი ნივთი ან არამატერიალური ქონებრივი სიკეთე. მოძრავია ყველა ნივთი, რომელიც არ მიეკუთვნება სკ-ის 149-ე მუხლით გათვალისწინებულ უძრავ ნივთებს. თუმცა, ყველა მოძრავი ნივთი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც გირავნობის საგანი (მაგალითად, პასპორტი, მართვის მოწმობა, სტუდენტის ბილეთი და ა.შ.). დაგირავება დაიშვება მხოლოდ ისეთი მოძრავი ნივთების, რომელთა გადაცემაც შეიძლება სხვა პირისათვის.[639] რაც შეეხება არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებს, სკ-ის 152-ე მუხლის თანახმად, არამატერიალური ქონებრივი სიკეთე არის ის მოთხოვნები და უფლებები, რომლებიც შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს, ან გამიზნულია საიმისოდ, რომ მათ მფლობელს შეექმნას მატერიალური სარგებელი, ანდა მიენიჭოს უფლება მოსთხოვოს სხვა პირებს რამე. მაშასადამე, დაიშვება არა ნებისმიერი მოთხოვნის ან უფლების დაგირავება, არამედ მხოლოდ ქონებრივი ხასიათის, გადაცემადი და გასხვისებადი უფლების ან მოთხოვნისა.[640]

ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ აღნიშნა, რომ „სამოქალაქო კოდექსის 255-ე მუხლით გათვალისწინებული გირავნობის სახეები, სამოქალაქო კოდექსის 257-ე და 258-ე მუხლების შესაბამისად, კერძო ავტონომიის საფუძველზე წარმოიშობა. ამდენად, სანივთო სამართალში ერთგვარად შემოდის ვალდებულებით-სამართლებრივი ელემენტები და სანივთო-სამართლებრივი უფლების წარმოშობა მხარეთა ნების შედეგად. აღნიშნულისაგან განსხვავებით, სამოქალაქო კოდექსის 634-ე მუხლი ამკვიდრებს სანივთო უფლების წარმოშობის შესაძლებლობას მხარეთა ნების ავტონომიის გაუთვალისწინებლად, გარკვეული წინაპირობების არსებობისას, კერძოდ, ამ უფლების წარმოშობისათვის სავალდებულოა, არსებობდეს შემკვეთის მიერ შესასრულებელი ვალდებულებიდან გამომდინარე მენარდის მოთხოვნის უფლება და ნივთი დამზადების ან შეკეთების მიზნით მენარდის მფლობელობაში იმყოფებოდეს. ამდენად, სამოქალაქო

---

[638] ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, 126.
[639] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 78.
[640] ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, 122.

კოდექსის 634-ე მუხლი წარმოადგენს კანონისმიერი გირავნობის უფლების წარმოშობის ნორმატიულ საფუძველს. სასამართლოს მოსაზრებით, განსახილველ შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსის 634-ემუხლით გათვალისწინებული, ზემოთ დასახელებული ორივე გარემოება არსებობდა – შესაბამისად, მოსარჩელეს გააჩნდა სადავო ავტომანქანაზე კანონისმიერი გირავნობის უფლება".[641]

იურიდიულ ლიტერატურაში ერთმანეთისაგან განასხვავებენ სახელშეკრულებო და კანონისმიერ გირავნობას. სახელშეკრულებო გირავნობა გირავნობის ყველაზე გავრცელებული სახეა.[642] ეს ის შემთხვევაა, როცა მხარეები (დამქირავებელი ანუ მოვალე და მოგირავნე ანუ კრედიტორი) დებენ ცალკე ხელშეკრულებას ან ძირითადი ვალდებულების ამსახველ ხელშეკრულებაში უთითებენ გირავნობის შესახებ. რაც შეეხება კანონისმიერ გირავნობას, იგი წარმოიშობა არა კრედიტორსა და მოვალეს შორის შეთანხმებით, არამედ კანონის ძალით. კანონისმიერი გირავნობა ჩვეულებრივ წარმოადგენს მფლობელობით გირავნობას და მისი წარმოშობისათვის აუცილებელია გირავნობის საგნის ყოფნა მოგირავნის მფლობელობაში.[643] სწორედ კანონისმიერ გირავნობასთან გვაქვს საქმე 634-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, როდესაც მენარდეს თავისი მოთხოვნების უზრუნველსაყოფად გააჩნია გირავნობის უფლება შემკვეთის კუთვნილ მოძრავ ნივთზე.[644] მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ მენარდეს, რომლის მართლზომიერ მფლობელობაში იმყოფება შემკვეთისათვის გადასაცემი მისი კუთვნილი მოძრავი ნივთი, უფლება აქვს არ გადასცეს ეს ნივთი შემკვეთს მანამ, სანამ შემკვეთი არ გადაუხდის მენარდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საზღაურს[645].

ანალოგიურ დებულებას ითვალისწინებს გერმანიის[646] სამოქა-

---

[641] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 სექტემბრის განჩინება საქმეზე # ას-483-457-2012.

[642] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 78.

[643] ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, გვ.127.

[644] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 79.

[645] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 1 ოქტომბრის განჩინება საქმეზე # ას-184-177-2013.

[646] Medicus, Bürgerliches Recht., 19. Aufl. München, 2002, 594.

ლაქო კოდექსის 647-ე პარაგრაფიც.[647] კერძოდ, მენარდეს, ხელშეკრულებიდან გამომდინარე, თავისი მოთხოვნების უზრუნველსაყოფად აქვს გირავნობის უფლება მის მიერ დამზადებულ ან შეკეთებულ მოძრავ ნივთზე, თუ ეს ნივთი დამზადების ან შეკეთების მიზნით მენარდის მფლობელობაში იმყოფება.[648]

VIII.3 მენარდის კანონისმიერი გირავნობის განსხვავება უზრუნველყოფის სხვა საშუალებებისაგან.

მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ სკ-ის 634-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში გირავნობა, როგორც კანონისმიერი უზრუნველყოფის საშუალება, განსხვავდება სხვა ისეთი საშუალებებისაგან, როგორიცაა ბე, პირგასამტეხლო, თავდებობა, საბანკო გარანტია, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ ნარდობის ხელშეკრულებით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში. შესაბამისად, იმისათვის, რომ მენარდემ გამოიყენოს სკ-ის 634-ე მუხლით მინიჭებული უფლება, საჭირო არ არის, რომ ამის შესახებ წინასწარ იქნეს მითითებული ნარდობის ხელშეკრულებაში.[649]

გირავნობის უფლება შეიძლება გავრცელდეს მენარდის მიერ დამზადებულ ან შეკეთებულ ნივთზე, ასევე მონარჩენ მასალაზეც (იგულისხმება შემკვეთის მიერ მიწოდებული მასალა), თუკი გირავნობის საგანი (ამ შემთხვევაში დამზადებული ან შეკეთებული ნივთი), ჯერ კიდევ იმყოფება მენარდის მფლობელობაში.[650] კანონისმიერი გირავნობა არ მოქმედებს, თუკი მენარდემ უკვე გადასცა შემკვეთს ნივთი. იმ შემთხვევაში, თუკი შემკვეთი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საზღაურს არ გადაუხდის მენარდეს შეთანხმებულ ვადაში, მენარდეს შემკვეთის მიმართ თავისი მოთხოვნების დაკმაყოფილება შეუძლია გირავნობის საგნის რეალიზაციით კანონით დადგენილი წესით. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო პალატამ

[647] Peters, in Staudinger BGB Komm. §647, Rn.2.
[648] Busche, in MüKo.BGB, Band 4.,5.Aufl. §647, Rn.3.
[649] ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, 48.
[650] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 79.

გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ მენარდის მოთხოვნა გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის სკ-ის 634-ე მუხლის შინაარსიდან. ამ ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ მენარდისათვის კანონით მინიჭებული გირავნობის უფლება ვრცელდება მხოლოდ მის მფლობელობაში არსებულ ნივთზე ე.ი მოცემულ შემთხვევაზე უნდა გავრცელდეს მფლობელობითი გირავნობის მარეგულირებელი ნორმები. პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელე უფლებამოსილი იყო ესარგებლა სამოქალაქო კოდექსის სკ-ის 634-ე მუხლით მინიჭებული უფლებით და მფლობელობით გირავნობაში ჰქონოდა მის მიერ შეკეთებული ნივთი შემკვეთის მიერ თანხის გადაუხდელობის გამო.[651]

VIII.4 მენარდის კანონისმიერი იპოთეკის უფლება

იპოთეკა უზრუნველყოფის სანივთო საშუალებებს განეკუთვნება.[652] ერთი მხრივ, ის განმტკიცებულია სანივთო სამართალში, ხოლო მეორე მხრივ, წარმოადგენს რეგისტრირებულ სანივთო უფლებას ინდივიდუალიზებულ და კონკრეტულ უძრავ ნივთზე. იპოთეკა, როგორც სანივთო უფლება, აფუძნებს სანივთო პასუხისმგებლობას, რომელიც დგება მესაკუთრის ბრალის მიუხედავად.[653] „იპოთეკის შინაარსი კანონით არის დადგენილი და მისი შეცვლა მხარეებს მხოლოდ კანონით განსაზღვრულ ფარგლებში შეუძლიათ."[654]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნის უზრუნველყოფის ერთ-ერთ მეტად გავრცელებულ საშუალებას წარმოადგენს იპოთეკა. იპოთეკის ლეგალური დეფინიცია მოცემულია სკ-ის 286-ე მუხლის I ნაწილში, რომლის თანახმადაც, უძრავი ნივთი შეიძლება მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ისე იქნეს გამოყენებული (დატვირთული), რომ უზრუნველყოფილ კრედიტორს

---

[651] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 სექტემბრის განჩინება საქმეზე # ას-483-457-2012.

[652] ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, 63.

[653] Lüke, Sachenrecht, 2.Aufl.,2010, §18,Rn. 674.

[654] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 მაისის განჩინება საქმეზე # ას-1283-1538-09.

მიეცეს უფლება, სხვა კრედიტორებთან შედარებით პირველ რიგში მიიღოს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება ამ ნივთის რეალიზაციით ან მის საკუთრებაში გადაცემით (იპოთეკა).

მაშასადამე, როგორც გირავნობის, ისე იპოთეკის შემთხვევაში, მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას წარმოადგენს განსაზღვრული ნივთი. მაგრამ, თუკი გირავნობის დროს მოთხოვნის უზრუნველყოფა ხდება მოძრავი ნივთით ან არამატერიალური ქონებრივი სიკეთით, იპოთეკის დროს მოთხოვნის უზრუნველყოფა ხდება მხოლოდ უძრავი ნივთით. სკ-ის 149-ე მუხლის თანახმად, უძრავ ნივთებს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგას მიწაზე.

იპოთეკის უპირატესობა არა მხოლოდ იმაშია, რომ იპოთეკარს (კრედიტორს) კონკრეტული უძრავი ნივთიდან შეუძლია დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა, არამედ იმაშიც, რომ მას სხვა კრედიტორებთან შედარებით პირველ რიგში შეუძლია მიიღოს დაკმაყოფილება.[655]

წარმოშობის საფუძვლების მიხედვით ერთმანეთისაგან განსხვავდება სახელშეკრულებო და კანონისმიერი იპოთეკა.[656] კანონისმიერი იპოთეკა წარმოადგენს გამონაკლისს და ის გამოიყენება მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, მაგალითად, სკ-ის 635-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში.[657]

სკ-ის 635-ე მუხლის თანახმად, მენარდეს თავისი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად შეუძლია მოითხოვოს იპოთეკა შემკვეთის სამშენებლო მიწის ნაკვეთზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ნარდობის ხელშეკრულების საგანია შენობა-ნაგებობა (მაგალითად, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, სასტუმრო, სტადიონი და ა.შ.) ან ამ ნაგებობის ცალკეული ნაწილები. „ამ მუხლში საუბარია მენარდის უფლებაზე – მოითხოვოს იპოთეკის დადგენა. თავისი ბუნებით ეს უფლება ვალდებულებით-სამართლებრივი ხასიათისაა. ამიტომ იპო-

[655] შოთაძე, იპოთეკა, როგორც საბანკო კრედიტის უზრუნველყოფის საშუალება, 2012, 222.

[656] ჭანტურია, საკუთრება, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება, 1999, 18.

[657] ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, 69.

თეკის დადგენა მენარდეს შეუძლია მხოლოდ შემკვეთისაგან – მიწის ნაკვეთის მესაკუთრისაგან მოითხოვოს".[658]

თუ შემკვეთი დაარღვევს ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესრულებული სამუშაოსათვის შეთანხმებული საზღაურის გადახდის ვალდებულებას, მენარდეს უფლება აქვს მოითხოვოს სამშენებლო მიწის ნაკვეთის რეალიზაცია იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია იპოთეკის მიმართ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმებით.[659]

მშენებლის კუთვნილ საუზრუნველყოფო იპოთეკას ითვალისწინებს აგრეთვე გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 648-ე პარაგრაფის I აბზაცი. იმ შემთხვევაში, თუ ნარდობის ხელშეკრულების საგანია ნაგებობა ან ნაგებობის ცალკეული ნაწილები, მაშინ მენარდეს ხელშეკრულებიდან გამომდინარე, თავისი მოთხოვნებისათვის შეუძლია მოითხოვოს შემკვეთის სამშენებლო მიწის ნაკვეთზე საუზრუნველმყოფო იპოთეკის დადგენა. თუ სამუშაო ჯერ კიდევ არ არის დასრულებული, მაშინ მენარდეს შეუძლია მოითხოვოს საუზრუნველმყოფო იპოთეკის დადგენა საზღაურის იმ ნაწილისათვის, რომელიც შეესაბამება შესრულებულ სამუშაოს და საზღაურით გაუთვალისწინებელი ხარჯებისათვის.[660]

---

[658] ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, 69.
[659] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 80.
[660] Busche, in MüKo.BGB, Band 4.,5.Aufl. §648, Rn.2.

თავი IX. ზოგადად ვალდებულების საგანის შესახებ

ვალდებულების საგანია ის ნივთები, სამუშაო, მომსახურება და სხვა, რომლებიც ვალდებულების ძალით მოვალემ უნდა გადასცეს, შეუსრულოს ან გაუწიოს კრედიტორს.[661] მაგალითად, ნარდობის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მენარდის მიერ შესრულებული სამუშაოს შედეგი,[662] ნასყიდობის ხელშეკრულების საგანს – ავტომანქანა, რომელიც გამყიდველმა უნდა გადასცეს მყიდველს.

ვალდებულების საგანი შეიძლება შედგებოდეს ერთი ან რამდენიმე ობიექტისაგან (მოქმედებისაგან). მაგალითად, საბანკო მომსახურების ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს ანგარიშსწორებას, დაკრედიტებასა და საანაბრო მომსახურებას.[663]

მაშასადამე, ვალდებულება შეიძლება ითვალისწინებდეს მოვალის მიერ ერთი ან რამდენიმე მოქმედების შესრულებას.[664] ამასთან, შეიძლება არსებობდეს ისეთი ვალდებულებებიც, რომელშიც მხარეს უფლება აქვს რამდენიმე ვალდებულებიდან შეასრულოს ერთ-ერთი – ამოირჩიოს რომელ ვალდებულებას შეასრულებს, ან ცალკეულ შემთხვევაში შეცვალოს ვალდებულების საგანი სხვა საგნით. იმისდა მიხედვით, თუ რამდენი საგანი აქვს ვალდებულებას, ერთმანეთისაგან განასხვავებენ ალტერნატიულ და ფაკულტატურ ვალდებულებებს.

IX.1. ალტერნატიული ვალდებულებები

თუ ხელშეკრულების მხარეები შეთანხმდნენ რამდენიმე ვალდებულების შესრულებაზე, ისე, რომ მათგან უნდა შესრულდეს ერთ-ერთი, სახეზეა ე.წ. ალტერნატიული ვალდებულება. უმეტესწილად, ვალდებულებით ურთიერთობებში შესრულების საგანი ინდივიდუალიზებულია და მხარეები მოკლებულნი არიან არჩევანის თავისუფლებას.[665] ამისაგან განსხვავებით, ალტერნატიულ ვალდებულებებში

[661] ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი. 2001, 44.

[662] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულებების სამართლებრივი ბუნება, 2011, 45.

[663] ჭეჭელაშვილი, სახელშეკრულებო სამართალი, 2008, 139.

[664] Worlen/Metzler-Müller, Suldrecht AT, 11 Auflage, 2013, 68.

[665] ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/ შენგელია/ხეცურიანი (რედ.) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, 2001, 374-ე მუხლი, გვ. 311.

(obligetio alternativa) ერთი შესრულების გვერდით არსებობს მისი ალტერნატიული შესრულება, რომელთაგანაც რეალურად შეიძლება განხორციელდეს ერთ-ერთი. რამდენიც არ უნდა იყოს ვალდებულების საგანი, შესრულების საგანს წარმოადგენს მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი.[666]

ვალდებულების შესრულების საგნის ალტერნატიულობა შეიძლება გათვალისწინებული იყოს კანონით ან ხელშეკრულებით. ალტერნატიულობის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ვალდებულება ითვალისწინებს კრედიტორისათვის ამა თუ იმ მატერიალური სახის სიკეთის გადაცემას. ალტერნატივის სახით შეიძლება იყოს სამოქალაქო სამართლის ნებისმიერი ობიექტი (მე-7 მუხლის თანახმად, კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი შეიძლება იყოს ქონებრივი ან არაქონებრივი ღირებულების მატერიალური ან არამატერიალური სიკეთე, რომელიც კანონით დადგენილი წესით ბრუნვიდან არ არის ამოღებული). ალტერნატიულობა შეიძლება გამოიხატოს ორ ან მეტ ნივთს, ორი ან მეტი სახის სამუშაოს, ორი ან მეტი სახის მომსახურებას შორის არჩევანში. აუცილებელი არ არის, რომ ალტერნატიულობას ადგილი ჰქონდეს მხოლოდ შესრულების საგნების ერთგვაროვნობის შემთხვევაში. მაგალითად, ვალდებულება მაინც ჩაითვლება ალტერნატიულად, თუკი მოვალე კისრულობს ვალდებულებას, გადასცეს კრედიტორს განსაზღვრული ნივთი ან გაუწიოს შეთანხმებული მომსახურება.[667]

სკ-ის 374-ე მუხლის თანახმად, თუ რამდენიმე ვალდებულებიდან უნდა შესრულდეს ერთ-ერთი (ალტერნატიული ვალდებულებანი), არჩევის უფლება აქვს მოვალეს, თუკი ხელშეკრულებიდან, კანონიდან ან ვალდებულების არსიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

მოვალისთვის არჩევანის უფლების მინიჭება ემყარება იმ მოსაზრებას, რომ შესრულების საგანს განსაზღვრავს კრედიტორი. მასზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ზუსტად იქნება საგანი ჩამოყალიბებული. მაშინ, როცა საგნის განსაზღვრა არ არის მოვალის ვალდებულება, იქ საეჭვო გარემოებანი მის სასარგებლოდ უნდა განიმარტოს.

---

[666] Staudinger/ Bittner, §262, Rn.2.; Pruting/Jud, §262, 410-412.; Kruger, Münch.Komm. BGB, §262, Rn.1.

[667] ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება მესამე პირის მიერ, 2006, 66.

იმ ზოგადი პრინციპიდან, რომ ალტერნატიულ ვალდებულებებში არჩევანის უფლება ეკუთვნის მოვალეს, არსებობს გამონაკლისებიც. მაგალითად, სკ-ის 408 II მუხლის თანახმად, თუ სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს წაერთვა შრომის უნარი ან შეუმცირდა იგი, ანდა იზრდება მისი მოთხოვნილებანი, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ყოველთვიური სარჩოს გადახდით, ხოლო აღნიშნული ნორმის მეოთხე ნაწილის თანახმად კი, სარჩოს ნაცვლად დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს კომპენსაციის მიღება, თუ არსებობს საამისო მნიშვნელოვანი საფუძველი.[668]

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ალტერნატიული ვალდებულებები განსხვავდება მოთხოვნათა ალტერნატიული კონკურენციისაგან. მოთხოვნათა ალტერნატიული კონკურენცია სახეზეა, როდესაც ერთსა და იმავე ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით წარმოიშობა დამოუკიდებელი მოთხოვნები. ეს მოთხოვნები შეიძლება ემყარებოდეს ერთი და იმავე ან სხვადასხვა მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმას.[669] ასეთ შემთხვევაში უფლებამოსილ პირს რამდენიმე, შინაარსობრივად განსხვავებული მოთხოვნა აქვს, რომელთა შორისაც მას მისთვის უპირატესის არჩევა შეუძლია. მაგალითად, თუ მენარდე დაამზადებს ნივთობრივად ნაკლიან ნაკეთობას, შემკვეთს შეუძლია მოითხოვოს დამატებითი შესრულება ან თვითონ აღმოფხვრას ნაკლი და მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება ან შეამციროს საზღაური იმ თანხით, რა თანხითაც ნაკლი ამცირებს ნაკეთობის ღირებულებას.[670] უფლებამოსილი პირის მიერ არჩევის განხორციელებით მოთხოვნათა თანაარსებობა წყდება. [671] მოთხოვნათა ალტერნატიული კონკურენცია გვხვდება ნასყიდობის ხელშეკრულებაშიც, გამყიდველის მიერ ნაკლიანი შესრულების

---

[668] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2010 ნლის 9 ნოემბრის განჩინება საქმეზე #ას-494-463-2010.

[669] ჩაჩავა, მოთხოვნებისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, 2010, 32.

[670] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულებების სამართლებრივი ბუნება, 2011, გვ. 129.

[671] Palandt/Heinrichs, §262, Rn 6.

შედეგად წარმოშობილ ფასის შემცირებასა (სკ-ის 492-ე მუხლი) და ხელშეკრულებიდან გასვლასთან (სკ-ის 491-ე მუხლი) მიმართებით.[672]

მოთხოვნათა ალტერნატიული კონკურენციის შემთხვევაში, მხარის მიერ ერთ-ერთი მოთხოვნის შერჩევისა და მისი განხორციელების შემდეგ ქარწყლდება ის მოთხოვნები, რომლებიც უფლებამოსილმა პირმა არ აირჩია. მაგალითად, თუ ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, გამყიდველმა არ გადასცა მყიდველს ნივთი და მყიდველმა კანონით დადგენილი წინაპირობების არსებობისას მოითხოვა ხელშეკრულებიდან გასვლა, შესაბამისად, მყიდველი ვეღარ მოითხოვს ვალდებულების ნატურით შესრულებას, რადგან ეს მოთხოვნა აღარ არსებობს იმის გათვალისწინებით, რომ მყიდველმა ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების განხორციელებით უარი განაცხადა შესრულების მოთხოვნაზე.

მაშასადამე, ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში წარმოშობილ ე.წ. „მეორად მოთხოვნებს" არანაირი კავშირი არა აქვთ სკ-ის 374-ე მუხლით გათვალისწინებულ ალტერნატიულ ვალდებულებებთან. მეორადი მოთხოვნების მიმართ ალტერნატიული ვალდებულებების მომწესრიგებელი ნორმები არ გამოიყენება.[673]

სკ-ის 375-ე მუხლის თანახმად, „თუ აღმოჩნდა, რომ მოვალეს ორი შესასრულებელიდან შეუძლია უარი თქვას ერთ-ერთზე, მაშინ ძალაში რჩება მეორე მოქმედების შესრულების ვალდებულება". როგორც წესი, მოვალე ვალდებულია ორი შესასრულებელი მოქმედებიდან აირჩიოს ერთ-ერთი. მოვალეს გარემოებანი კარნახობს, თუ რომელ შესრულებაზე შეუძლია თქვას უარი. ორი შესასრულებლიდან ერთ-ერთი შესრულების საგნის შესრულების შეუძლებლობა მოვალეს ართმევს იმ შეღავათით სარგებლობის შესაძლებლობას, რომლითაც იგი არის აღჭურვილი, გააჩნია რა შესრულების ამორჩევის უფლება. ასეთ შემთხვევებში შეიძლება ითქვას, რომ „არჩევა" ხორციელდება მოვალის ნების გარეშე, რადგან ამ შემთხვევაში ალტერნატიული ვალდებულება გადაიქცევა „ორდინალურ" (მარტივი) ვალდებულებად შესრულების ერთადერთი საგნით. ალტერნატიულ ვალდებულებაში ორი შესაძლებლობიდან ერთ-ერთის მოსპობა მხ-

[672] ძლიერიშვილი, ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრ. სამართლებრივი ბუნება, 2010, 55.

[673] Larenz, Lerbuch des Schuldrechts, AT, Bd I, 14 Auflage, 1987, 159.

ოლოდ კვეცს შესრულების საგანს და არანაირ გავლენას არ ახდენს კრედიტორის უფლებაზე, მოითხოვოს შესრულება დარჩენილი შესაძლებლობის ფარგლებში, რადგან კრედიტორს არ ჰქონდა არჩევანის უფლება და ვალდებულების შესრულების საგნის შერჩევა წარმოადგენდა მოვალის უფლებამოსილებას, ერთ-ერთი საგნის გადაცემის შეუძლებლობა არ ხელყოფს კრედიტორის უფლებებს. ამიტომაც, ასეთ შემთხვევაში, კრედიტორს არა აქვს შესრულების მიღებაზე უარის თქმის უფლება, რადგან კრედიტორმა თვითონ შეიზღუდა თავისი ინტერესი შესრულების საგანთან მიმართებით და არ შეუძლია დაეყრდნოს იმ გარემოებას, რომ დარჩენილი შესრულება მისთვის ნაკლებად სასარგებლოა. ჯერ კიდევ რომის სამართალი ითვალისწინებდა შესრულების შეუძლებლობის შემთხვევებს – impossibilium nulla obligatio est.[674]

ერთ-ერთი შესრულების შეუძლებლობა შეიძლება იყოს შემთხვევითი, როცა მხარეთა ბრალეული მოქმედება გამორიცხულია. მაგალითად, გამყიდველს მყიდველისათვის უნდა მიეწოდებინა ან ტელევიზორი ან მუსიკალური ცენტრი. თუკი შემთხვევით განადგურდება ტელევიზორი, მოვალე ვალდებული რჩება მხოლოდ მუსიკალური ცენტრის გადაცემაზე. ის არაა ვალდებული განადგურებული ნივთი შეცვალოს სხვა ნივთით. თუ გაყიდული ნივთი მის გადაცემამდე განადგურდა, მოვალე ვერ შეასრულებს მისი გადაცემის ვალდებულებას.[675]

ერთ-ერთი შესრულების შეუძლებლობა შეიძლება დადგეს მოვალის ბრალითაც (მაგალითად, ტელევიზორი განადგურდა გამყიდველის დაუდევრობით). თუმცა, ვერც ამ შემთხვევაში დაეკისრება მოვალეს დაღუპული საგნის ახლით შეცვლა. მოვალემ ვალდებულება უნდა შეასრულოს დარჩენილი საგნის გადაცემით და ამდენად, ვალდებულების ალტერნატიულობაც ქარწყლდება. სხვა საქმეა, ამ შემთხვევაში არჩევის უფლება კრედიტორის მხარეზე რომ ყოფილიყო. ასეთ შემთხვევაში კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს დარჩენილი შესრულება ან განადგურებული საგნით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.[676]

[674] Zimmermann, The Law of Obligations, Roman Foundations of the Civilian Tradition, 1996, 578.

[675] Medicus/Lorenz, Schuldrecht I, AT, 18 Auflage, 2008, Rn 36.

[676] ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/ხეცურიანი/შენგელია (რედ.) საქართველოს სამოქა-

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 265-ე პარაგრაფის თანახმად, თუ ერთ-ერთი შესრულება თავიდანვე შეუძლებელი იყო ან შემდგომში გახდა შეუძლებელი, მაშინ ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა შემოიფარგლება დარჩენილი შესრულებით. ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა არ იზღუდება, როდესაც შესრულება შეუძლებელი ხდება იმ გარემოებების შედეგად, რომლისთვისაც პასუხისმგებელია არჩევანის უფლების არმქონე პირი.[677]

ალტერნატიული ვალდებულების შემთხვევაში არჩევა შეიძლება განხორციელდეს: ა) ხელშეკრულების მეორე მხარის წინაშე განცხადებით; ბ) ხელშეკრულების მეორე მხარის მიმართ შესრულებით. არჩეული ვალდებულება მიიჩნევა დასაწყისშივე შესასრულებელ ვალდებულებად.

უფლებამოსილი პირის მხრიდან ერთ-ერთი ვალდებულების არჩევა მეორე მხარის წინაშე განცხადების გაკეთებით, შეიძლება ჩაითვალოს ცალმხრივ გარიგებად და იგი საჭიროებს მეორე მხარის მიერ მიღებას. ამდენად, იგი ნამდვილად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როდესაც მიუვა მეორე მხარეს.[678] შესაბამისად, ის მოქმედება ჩაითვლება არჩეულად, რომლის შესახებაც განუცხადებს არჩევაზე უფლებამოსილი პირი მეორე მხარეს.[679] უფლებამოსილი პირის ცალმხრივი ნება აქარწყლებს ვალდებულების ალტერნატიულობას. ამიტომაცაა, თუკი გამყიდველი ვალდებული იყო მყიდველისათვის გადაეცა ტელევიზორი ან მუსიკალურ ცენტრი და მყიდველს შეატყობინებს, რომ უგზავნის მუსიკალურ ცენტრს, შესაბამისად მას მხოლოდ ამ ვალდებულების შესრულება შეუძლია. თუკი შემდგომში მხარეთა შეთანხმებით შეიცვლება შესრულების საგანი, მას არაფერი საერთო არ ექნება ალტერნატიულობასთან. ამდენად, არ არსებობს არჩევანის შეცვლის უფლება. არჩევანის შეცვლა ვალდებულების დარღვევა იქნება.[680]

ლაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი მესამე, 2001, 375-ე მუხლი, გვ. 315.

[677] Palandt/Heinrichs, 69 Auflage, 2010 §265, Rn 8; Kruger, Münch.Komm, BGB, §265, Rn 11.

[678] ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, 300.

[679] Palandt/Heinrichs, 69 Auflage, 2010, §263, Rn 4.

[680] ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/ხეცურიანი/შენგელია (რედ.) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი მესამე, 2001, 376-ე მუხლი, გვ. 316.

პრაქტიკაში უფრო გავრცელებულია შემთხვევები, როდესაც ალტერნატიული ვალდებულებების დროს არჩევანი ხორციელდება შესრულებით. ასეთი არჩევანი შეუქცევადია. შესრულებით ქარწყლდება ალტერნატიულობა. არჩეული ვალდებულება ჩაითვლება დასაწყისიდანვე შესასრულებელ ვალდებულებად, რაც განპირობებულია იმით, რომ ალტერნატიული ვალდებულება არჩევანის უფლების განხორციელებამდე წარმოიშობა.[681] თუკი გამყიდველი ზემოთ აღნიშნულ მაგალითში, მყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში აღნიშნული ორი ნივთიდან (ტელევიზორი ან მუსიკალური ცენტრი) ერთ-ერთს მიაწვდის, არჩევანის უფლებაც განხორციელებულად ჩაითვლება.

ალტერნატიულ ვალდებულებებში არჩევის უფლება მხოლოდ კონკრეტული შესრულების არჩევანის თავისუფლებაა და არა საერთოდ, არჩევანის თავისუფლება.

IX.2. კუმულატიური და ფაკულტატური ვალდებულებები

ალტერნატიული ვალდებულებისაგან განსხვავდება კუმულატიური ვალდებულება, რომლის საგანსაც შეადგენს რამდენიმე მოქმედება, რომელთაგანაც თითოეული შესრულების საგანს და რომელიმე მათგანის არჩევა გამორიცხულია. მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველს უნდა გადაეცა მყიდველისათვის 10 ტონა ქვიშა და 5 ტონა ცემენტი. ასეთ შემთხვევაში ვალდებულება შესრულებულად ჩაითვლება, როდესაც გამყიდველი მყიდველს გადასცემს ორივე სახის სამშენებლო მასალას. მაშასადამე, ალტერნატიული და კუმულატიური ვალდებულებების გასამიჯნავად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება გრამატიკული განმარტების ხერხს („ან" და „და" კავშირებს).[682]

ალტერნატიული ვალდებულებისაგან განსხვავდება ფაკულტატური ვალდებულება. ფაკულტატურია ვალდებულება, რომელსაც შესრულების ერთი საგანი აქვს. ფაკულტატური ვალდებულების შემთხვევაში, შესაძლებელია მოვალემ დაკისრებული მოქმედების ნაცვ-

[681] Kruger, in Münch. Komm, BGB, 5 Auflage, 2007, §263, Rn 10.

[682] ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება, 2006, 67.

ლად შეასრულოს ვალდებულებაში მითითებული სხვა მოქმედება, თუ ეს მხარეების მიერ არის შეთანხმებული. მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველს უნდა გადაეცა მყიდველისათვის ტელევიზორი. მხარეები შეთანხმდნენ დამატებით, რომ, თუკი შეუძლებელი იქნებოდა ტეევიზორის გადაცემა, გამყიდველი ასეთ შემთხვევაში მყიდველს გადასცემდა მუსიკალურ ცენტრს.

ფაკულტატურ ვალდებულებაში ადგილი აქვს არა ამორჩევას, არამედ ერთი საგნის შეცვლას.[683] გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაშიც ალტერნატიული ვალდებულებისაგან განასხვავებენ შესრულების შეცვლის უფლებამოსილებას. შესრულების შეცვლის უფლებამოსილება სახეზეა, როდესაც გათვალისწინებულია ერთი კონკრეტული შესრულება და მის ნაცვლად სხვა შესრულება: ა) უნდა განხორციელდეს მოვალის მიერ (მოვალის მიერ შესრულების შეცვლის უფლებამოსილება) ან ბ) კრედიტორის მიერ იქნეს მოთხოვნილი (კრედიტორის მიერ შესრულების შეცვლის უფლებამოსილება). ალტერნატიული ვალდებულებისაგან განსხვავებით, ამ დროს თავიდანვე ხდება ერთი კონკრეტული შესრულების განსაზღვრა. სხვა შესრულება, როგორც სათადარიგო, შეიძლება განხორციელებულ იქნეს შესრულების ნაცვლად. ასეთ შემთხვევაში არ გამოიყენება ნორმები ალტერნატიული ვალდებულებების შესახებ.[684]

ფაკულტატური ვალდებულებისაგან განსხვავდება შესრულების საგნის შეცვლა – datio pro solutio. შესრულების შეცვლისას მოვალე ასრულებს ისეთ მოქმედებას, რომელიც არ იყო გათვალისწინებული ვალდებულებით.[685] 379-ე მუხლის თანახმად, კრედიტორი არ არის ვალდებული მიიღოს სხვა შესრულება, გარდა იმისა, რაც ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. ეს წესი მოქმედებს მაშინაც, როცა შესრულება დიდი ღირებულების მქონეა.

აღნიშნული ნორმა იმპერატიულ დანაწესს შეიცავს მოვალისათვის, ხოლო დისპოზიციურს კი – კრედიტორისათვის. მოვალემ უნდა შეასრულოს ის მოქმედება, რომელიც ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული. მას უფლება არა აქვს დამოუკიდებლად შეცვალოს

---

[683] ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, 2001, 45.
[684] Brox/Walker, Allgemeines Schuldrecht, 36 Auflage, 2012, 88.
[685] Worlen/Metzler-Muller, Suldrecht AT, 11 Auflage, 2013, 69.

შესრულების საგანი. მაგალითად, ნარდობის ხელშეკრულებით მენარდეს შემკვეთისათვის უნდა დაემზადებინა ხის კარ-ფანჯარა. ამის ნაცვლად, მენარდემ შემკვეთს დაუმზადა მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯარა. სკ-ის 641 II მუხლის თანახმად, ნაკეთობა ნივთობრივად ნაკლიანია, თუ მენარდე დაამზადებს შეკვეთილისაგან განსხვავებულ ნაკეთობას.[686] კრედიტორი (შემკვეთი) უფლებამოსილია მოითხოვოს ხის კარ-ფანჯარის დამზადება.

კრედიტორის უფლებამოსილება, უარი თქვას სხვა შესრულების („ალიუდი") მიღებაზე, გამომდინარეობს იმ ზოგადსამართლებრივი პრინციპიდან, რომ ყოველგვარი შესრულება დგინდება კრედიტორის სასარგებლოდ. ამის დასტურია თუნდაც სკ-ის 316 I -ე მუხლის დისპოზიცია, კერძოდ, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება ანდა მოქმედებისაგან თავის შეკავება. კრედიტორის უფლება, მიიღოს სხვა შესრულება, მოქმედებს ვალდებულებითი ურთიერთობის განვითარების ნებისმიერ ეტაპზე, მაშინაც კი, როდესაც მოთხოვნის დაკმაყოფილება ხდება იძულებით. სასამართლოს არა აქვს უფლება, კრედიტორის ნების საწინააღმდეგოდ შეცვალოს შესრულების საგანი. საქმის განხილვა სასამართლოში ხდება დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების საფუძველზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, მოსარჩელე თვითონ განსაზღვრავს დავის საგანს, ხოლო 248-ე მუხლის თანახმად კი, სასამართლოს არა აქვს უფლება მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ მოუთხოვია ან იმაზე მეტი, ვიდრე ის ითხოვდა.[687] იძულებითი აღსრულება არ გულისხმობს შესრულების საგნის შეცვლას. როცა შეუძლებელია ნატურით შესრულება, ცხადია, მოხდება ფულადი კომპენსაციის გზით ვალდებულების შესრულება.[688]

მოვალის მხრიდან შეთანხმებული მოქმედების ნაცვლად სხვა მოქმედების განხორციელება (ვალდებულების საგნის შეცვლა), განიხილება, როგორც ვალდებულების დარღვევა (არაჯეროვანი შეს-

[686] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულებების სამართლებრივი ბუნება, 2011, 131.
[687] ლილუაშვილი, სამოქალაქო-საპროცესო სამართალი, II გამოცემა, 2005, 79.
[688] ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/ხეცურიანი/შენგელია (რედ.) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, 2001, 379-ე მუხლი, გვ. 322.

რულება). თუკი კრედიტორი თანახმაა მიიღოს სხვა შესრულება, მხოლოდ ამ შემთხვევაში ხდება მოვალე უფლებამოსილი ამ მოქმედების შესრულებაზე. კრედიტორს აღნიშნული უფლება აქვს ყველა შემთხვევაში, მაშინაც, როცა სხვა შესრულება შეთანხმებული შესრულების ტოლფასია და მაშინაც, როცა სხვა შესრულება უფრო მეტი ღირებულების მქონეა. მაგალითად, სესხის ხელშეკრულებით მსესხებელს უნდა დაებრუნებინა გამსესხებლისათვის (კრედიტორი) 1 ტომარა თხილი, თუმცა დაურბუნა ერთი ტომარა დარჩეული ნიგოზი. მიუხედავად იმისა, რომ ნიგვზის საბაზრო ფასი მეტია თხილის საბაზრო ფასზე, კრედიტორს უფლება აქვს არ მიიღოს სხვა შესრულება.[689] ეს განპირობებულია იმით, რომ შესრულება ემსახურება კრედიტორის ინტერესებს და სრულიად შესაძლებელია, რომ მოვალის მიერ შეთავაზებული უფრო მაღალი ღირებულების შესრულება კრედიტორისათვის მიუღებელი იყოს.

კრედიტორის მიერ სხვა შესრულება მიღებულად ჩაითვლება, თუკი იგი განახორციელებს ისეთ მოქმედებას, რომელიც მოწმობს შესრულების მიღებას. ეს შეიძლება მოხდეს კონკლიდენტური მოქმედებითაც, როდესაც კრედიტორი დაეუფლება მოვალის მიერ გამოგზავნილ ნივთს და დაიწყებს ამ ნივთით სარგებლობას ისე, რომ არ განუცხადებს მოვალეს რაიმე პრეტენზიას. მთავარია, რომ კრედიტორის მოქმედებიდან აშკარად იკვეთებოდეს ნება, რომ თანახმაა მიიღოს სხვა შესრულება, ვიდრე ეს ვალდებულებით იყო გათვალისწინებული.[690] თუ კრედიტორი უარს განაცხადებს სხვა შესრულების მიღებაზე, მაშინ ვალდებულება შესრულებულად არ ჩაითვლება. ამ შემთხევვაში სხვა შესრულების ღირებულებას ან მოცულობას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, გარდა მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.[691]

სკ-ის 381-ე მუხლის თანახმად, თუ შესრულების საგანია ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთი, კრედიტორი არ არის ვალდებული მიიღოს სხვა ნივთი, თუნდაც უფრო მაღალი ღირებულების

---

[689] ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება, 2006, 67.

[690] ჭეჭელაშვილი, სახელშეკრულებო სამართალი, 2008, 139.

[691] ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/ხეცურიანი/შენგელია (რედ.) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, 2001, 428-ე მუხლი, გვ. 520.

მქონე. როდესაც ვალდებულების საგანია ინდივიდუალური ნივთი, შესრულების საგანსაც მხოლოდ ეს ნივთი წარმოადგენს.[692] ამიტომაც, როცა ისპობა ეს ნივთი, სახეზეა შესრულების შეუძლებლობა. ამ შემთხვევაში ვალდებულების შესრულება არ ძალუძს არც მოვალეს და არც მესამე პირს. თუ გაყიდული ინდივიდუალური ნივთი მყიდველისათვის მის გადაცემამდე განადგურდა, მოვალე ვერ შეასრულებს ვალდებულებას. იგი ვერ შექმნის ამ ნივთს თავიდან.[693] რადგანაც შესრულება მკაცრად ინდივიდუალიზებულია (მაგალითად, რომელიმე ცნობილი მხატვრის ორიგინალი ნახატი), ამიტომაც შესრულებაც მხოლოდ ამ საგნით უნდა მოხდეს. ახალი საგნით მისი შესრულება, შესრულების საგნის შეცვლად მიიჩნევა. კრედიტორისათვის გადასაცემი ახალი ნივთი უფრო მაღალი ღირებულებისაც რომ იყოს, იგი არაა ვალდებული მიიღოს ახალი შესრულება. კრედიტორისათვის ნივთის ფასეულობა განისაზღვრება არა მისი საბაზრო ფასით, არამედ ამ ნივთის დანიშნულებითა და მის მიმართ კრედიტორის ინტერესებით.

თუკი შეუძლებელია ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთის გადაცემა, კანონით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს შესრულების შეუძლებლობის მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმები.[694]

სკ-ის 382-ე მუხლის თანახმად, თუ შესრულების საგანია გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთი (შეცვლადი ნივთი), მოვალემ ვალდებულება ყოველთვის უნდა შეასრულოს.

ნივთი ინდივიდუალური იქნება თუ გვაროვნული, დამოკიდებულია ნაკისრი ვალდებულების ხასიათზე. შესრულებაც უნდა მოხდეს იმის მიხედვით, თუ როგორია ხელშეკრულების საგანი. როცა სახეზეა გვაროვნული ნივთი, რომელიც რაოდენობით, ზომით ან წონით განსაზღვრული ნივთებია, ვალდებულება ყოველთვის უნდა შესრულდეს,[695] მაშინ, როდესაც ინდივიდუალურად განსაზღვრული

---

692 Brox/Walker, Allgemeines Schuldrecht, 32 Auflage, 2007, Rn 82.

693 Medicus/Lorenz, Schuldrecht I, AT, 18 Auflage, 2008, Rn 366.

694 ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, 104.

695 ზოიძე, ქართული სანივთო სამართალი, მეორე გამოცემა, 2003, 36.

ნივთის განადგურება შესრულების შეუძლებლობას განაპირობებს.[696]

როცა შესრულების საგანია გვაროვნული ნივთი, შესრულების ფარგლები მოიაზრება მოცემული გვარის ყველა ნივთით (მაგალითად, შაქარი, მარცვლეული). მოვალეს შეუძლია ნებისმიერი ნივთი შესთავაზოს კრედიტორს მოცემული გვარიდან.[697] აქ არა გვაქვს კონკრეტული ნივთი, რომლის შეცვლაც არ შეიძლება. მაგალითად, თუ მოვალე ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ვალდებულია მიაწოდოს მყიდველს ერთი ტონა ხორბალი, ეს ვალდებულება მას აკისრია, ვიდრე მოცემული გვარის ნივთი საერთოდ არსებობს სამოქალაქო ბრუნვში. სხვაგვარადაა საქმე ინდივიდუალური ნივთის შემთხვევაში. აქ შესრულების საგანი კონკრეტული ნივთია, რომელიც მისი მსგავსების საერთო გვარიდანაა გამოყოფილი, ან კიდევ ერთადერთია და არ არსებობს მისი შემცვლელი ნივთები. ამ შემთხვევაში ვალდებულების ნატურით შესრულების მოვალეობა არსებობს მანამ, ვიდრე სახეზეა მოცემული ნივთი. მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველს მყიდველისათვის უნდა გადაეცა X მხატვრის ორიგინალი ნახატი. მას ეს ვალდებულება აკისრია მანამ, სანამ სახეზეა მოცემული ნახატი. ამდენად, ამ შემთხვევაში შესრულების საგანი თავიდანვე ინდივიდუალიზებულია. აღნიშნულ კლასიფიკაციას ის მნიშვნელობა აქვს, რომ რიგი ვალდებულების საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთი (მაგალითად, ქირავნობა, იჯარა, თხოვება და სხვა), სხვებისა კი – მხოლოდ გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთი (მაგალითად, სესხი). არსებობს ვალდებულებები, რომლებშიც შესრულების საგანი შეიძლება იყოს როგორც ინდივიდუალური, ისე გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთები (მაგალითად, ნასყიდობა, ჩუქება და სხვა).

გვაროვნული ნივთის გადაცემისას მოვალეს შესრულების უფრო მეტი შესაძლებლობა გააჩნია. მისი ეს ვალდებულება მაშინ გაქარწყლდება, როდესაც მოცემული გვარის ნივთები სამოქალაქო ბრუნვიდან საერთოდ გაქრება, ანდა მათი შეძენა დაკავშირებული იქნება უზომოდ დიდ დანახარჯებთან, რაც სამართლიანობის პრინციპი-

---

[696] ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება, 2006, 67.

[697] Brox/Walker, Allgemeines Schuldrecht, 32 Auflage, 2007, Rn 83.

დან გამომდინარე, მიუღებელი იქნება. მაგალითად, 490 III მუხლის თანახმად, გამყიდველს შეუძლია უარი თქვას ნაკლიანი გვაროვნული ნივთის შეცვლაზე, თუ ეს მოითხოვს შეუსაბამოდ დიდ ხარჯებს.[698]

IX.3. ვალდებულების ნაწილობრივი (ნაწილ-ნაწილ) შესრულება

იმის მიხედვით, შესაძლებელია თუ არა ვალდებულების შესრულება ნაწილობრივ ან მთლიანად, ვალდებულებები იყოფა ორ ძირითად ჯგუფად: გაყოფადი და გაუყოფადი ვალდებულებები. ვალდებულებების გაყოფადობა დამოკიდებულია იმ ნივთის ან მოქმედების გაყოფის შესაძლებლობაზე, რომელიც ვალდებულების საგანს წარმოადგენს. ამასთან, გაუყოფადია ისეთი ვალდებულებებიც, რომელთა საგანი შეიძლება გაყოფადიც იყოს, მაგრამ ვალდებულების პირობებიდან და საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, დაუშვებელია ვალდებულების ნაწილობრივი შესრულება. მაგალითად, მენარდემ ნარდობის ხელშეკრულებით იკისრა შემკვეთისათვის შარვლისა და პიჯაკის შეკერვა. მენარდეს არ შეუძლია ამ შემთხვევაში შეკეროს მხოლოდ შარვალი ან მხოლოდ პიჯაკი (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შემკვეთი ამაზე თანხმობას განაცხადებს).[699]

ვალდებულება ერთბაშად უნდა შესრულდეს თუ ნაწილ-ნაწილ, დამოკიდებულია მრავალ გარემოებაზე, პირველ რიგში – ვალდებულების საგნის თავისებურებებზე. თუ შესრულების საგანი გაუყოფადია, მხარეთა ნებას აქ არანაირი მნიშვნელობა არ ენიჭება და შესრულებაც ერთბაშად უნდა განხორციელდეს. მაგალითად, როდესაც ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი ვალდებულია მიაწოდოს მყიდველს ავტომანქანა, ცხადია, აქ ნაწილობრივი შესრულება გამორიცხულია.[700]

სკ-ის 378-ე მუხლის თანახმად, მოვალეს უფლება აქვს ვალდებულება შეასრულოს ნაწილ-ნაწილ (ვალდებულების ნაწილობრივი შესრულება), თუკი კრედიტორი ამაზე თანახმაა. ეს დებულება წარ-

[698] ძლიერიშვილი, ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრ. სამართლებრივი ბუნება, 2010, 49.

[699] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულებების სამართლებრივი ბუნება, 2011, 72.

[700] ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/ხეცურიანი/შენგელია (რედ.) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, 2001, 378-ე მუხლი, გვ. 319.

მოადგენს გამონაკლისს იმ ზოგადი წესიდან, რომ ვალდებულება მოვალის მიერ უნდა შესრულდეს ერთიანად.[701]

თუ კრედიტორი უარს აცხადებს შესრულების ნაწილ-ნაწილ მიღებაზე, ამ შემთხვევაში ადგილი არ ექნება კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებას.

საქართველოს კანონმდებლობა მოვალის მიერ ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულების მართლზომიერებას მთლიანად უკავშირებს კრედიტორის თანხმობას (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, ასეთი თანხმობა საჭირო არ არის). ე.ი. მოვალემ, როგორც წესი, ვალდებულების შესრულება მთლიანად უნდა განახორციელოს. იმ შემთხვევაში, თუკი მოვალე კრედიტორის თანხმობის არარსებობის მიუხედავად, მაინც ასრულებს ვალდებულებას ნაწილ-ნაწილ, კრედიტორს შეუძლია უარი თქვას ასეთი შესრულების მიღებაზე. ასეთი უარი ჩაითვლება მართლზომიერად და არ გამოიწვევს კრედიტორის მიმართ ვადის გადაცილებისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრებას.[702]

ვალდებულების ნაწილობრივი შესრულება, საერთო წესის მიხედვით, განიხილება, როგორც ვალდებულების დარღვევა. კრედიტორის უფლება, არ მიიღოს ნაწილობრივი შესრულება, წარმოადგენს ვალდებულების ჯეროვანი შესრულების პრინციპის რეალიზაციას.[703]

სკ-ის 378-ე მუხლით დადგენილია ვალდებულების ნაწილობრივი შესრულების დაუშვებლობის პრეზუმფცია. პრეზუმფციას სამართალში დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.[704] ვალდებულების ნაწილობრივი შესრულება, როგორც ვალდებულების დარღვევის ერთ-ერთი სახე, დაუშვებელია კრედიტორის ინტერესების საზიანოდ.[705]

---

[701] ჭეჭელაშვილი, სახელშეკრულებო სამართალი, 2008, 138.

[702] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2010 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-7-6 2010.

[703] ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება, 2006, 69.

[704] ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, 189.

[705] ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/ხეცურიანი/შენგელია (რედ.) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, 2001, 429-ე მუხლი, 524.

მოვალის მიერ ვალდებულების ნაწილ-ნაწილ (ნაწილობრივ) შესრულებასთან მიმართებით საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების პრინციპების („უნიდროას პრინციპები") 6.1.12-ე მუხლის თანახმად, შესაბამის შემთხვევებში მხარეები ვალდებულნი არიან ერთიანად მთლიანად შეასრულონ თავიანთი ვალდებულებები, თუკი ვალდებულება ამგვარად უნდა შესრულდეს და გარემოებებიდანაც სხვა რამ არ გამომდინარეობს.[706]

„უნიდროას პრინციპების" 6.1.12-ე მუხლის მოქმედება განხილულია შემდეგი მაგალითების საფუძველზე: ა ვალდებულებას კისრულობს მიაწოდოს ბ-ს 100 ტონა ქვანახშირი „მარტის თვეში". ა-სათვის უფრო ხელსაყრელი იქნებოდა მიეწოდებინა ქვანახშირი ნაწილ-ნაწილ, ვთქვათ, 25 ტონა მარტის თვის ყოველ კვირაში. თუმცა კი, 6.1.12-ე მუხლის თანახმად, მთელი 100 ტონა ქვანახშირი მიწოდებულ უნდა იქნეს ერთიანად.

სხვა მაგალითში სახეზეა იგივე გარემობა იმ განსხვავებით, რომ ბ-ს სჭირდება ქვანახშირი თავისი წარმოების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ბ-ს აქვს მცირე მოცულობის სასაწყობო ფართი და ამიტომაც არ შეუძლია 100 ტონა ქვანახშირის ერთიანად მიღება. ა-სათვის ცნობილია ამ გარემოებების შესახებ. ამ კონკრეტულ შემთხვევაში გარემოებები მიუთითებს, რომ ა-მ ქვანახშირი უნდა მიაწოდოს ბ-ს ნაწილ-ნაწილ მარტის თვის განმავლობაში.

„უნიდროას პრინციპები" 1.7-ე მუხლი ითვალისწინებს კეთილსინდისიერების პრინციპს, რომლის თანახმადაც, ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან იმოქმედონ საერთაშორისო ვაჭრობაში მიღებული კეთილსინდისიერებისა და პატიოსანი საქმიანი პრაქტიკის პრინციპების გათვალისწინებით (ანალოგიურადაა ეს საკითხი გადაწყვეტილი საქართველოს კანონმდებლობაშიც. კერძოდ, 8 III მუხლის თანახმად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები,[707] ხოლო სკ-ის 339-ე მუხლის თანახმად კი, ხელშეკრულების მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების

---

[706] UNIDROIT, Principles of International Commercial Contracts, 1994, Uniform Law Review, 2004.

[707] ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, 107.

განსაზღვრისას, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული სავაჭრო ჩვეულებები და ტრადიციები).[708]

„უნიდროას პრინციპების" 6.1.3-ე მუხლის თანახმად, როცა შესრულებისათვის განსაზღვრულია დრო, მოვალის მიერ შესრულებაც უნდა განხორციელდეს ამ დროში სრულად. კრედიტორს უფლება აქვს უარი თქვას ნაწილობრივი შესრულების მიღებაზე, თუნდაც რომ მოვალემ იკისროს დანარჩენი ნაწილის შემდგომში შესრულება, თუკი კრედიტორს აქვს ნაწილობრივი შესრულების მიღებაზე უარის თქმის კანონიერი ინტერესი.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 266-ე პარაგრაფის თანახმად, მოვალე არ არის უფლებამოსილი ვალდებულების ნაწილობრივ შესრულებაზე.[709] ამდენად, მოვალე არ არის უფლებამოსილი ვალდებულების ნაწილობრივი შესრულებაზე და შესაბამისად, კრედიტორს შეუძლია ნაწილობრივ შესრულებაზე უარის თქმა ისე, რომ იგი არ ჩაითვლება ვადის გადამცილებლად. ნაწილობრივი შესრულების შეთავაზება არ გამორიცხავს მოვალის მიერ ვადის გადაცილებას მთლიანი შესრულების მიმართ.[710]

საერთო სამართლის სისტემაში ერთ-ერთი მხარის მიერ ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმა იმ საფუძვლით, რომ მეორე მხარის მიერ ვალდებულება შესრულდა მხოლოდ ნაწილობრივ, განიხილება, როგორც დაცვის საშუალება ხელშეკრულების მოშლის სახით, გარდა ამისა, ეს უფლებას ანიჭებს კრედიტორს, მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურებაც.[711]

იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორი უარს განუცხადებს მოვალეს შესრულების ნაწილობრივ მიღებაზე, ხოლო მოვალე ვალდებული იყო ერთიანად სრულად შეესრულებინა ვალდებულება, წამოიჭრება ამ სიტუაციის ვალდებულების შეწყვეტის ისეთი საფუძვლისაგან გამიჯვნის აუცილებლობა, როგორიცაა დეპონირება.[712] სკ-ის 434-ე

---

[708] ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება, 2006, 69.

[709] Palandt/Heinrichs, §266, Rn 5; Staudinger/Bittner, §266, Rn 2; AnwK/Schwab, §266, Rn 1; Pruting/Jud, §266, 418-419; Kruger, in Münch. Komm, BGB, §266, Rn 2.

[710] Brox/Walker, Allgemeines Schuldrecht, 32 Auflage, 2007, Rn 89.

[711] Treitel, Remedies for Breach of Contract, A comparative account, 1988, 300.

[712] Gernhuber, Die Erfüllung und ihre Surrogate sowie das Erloschen der Schuldverhältnisse aus anderen Grunden, Hdb des Schuldrechts, Bd 3, 2 Auflage, 1994, §21.

მუხლის თანახმად, თუ კრედიტორი აყოვნებს შესრულების მიღებას, ან უცნობია მისი ადგილსამყოფელი, მოვალე უფლებამოსილია შესრულების საგანი შეინახოს სასამართლოში ან ნოტარიატში, ხოლო ფული ან ფასიანი ქაღალდი შეიტანოს ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე. დეპონირებით მოვალე თავისუფლდება კრედიტორის წინაშე ვალდებულებისაგან.

ვალდებულებითი ურთიერთობის მიზანი არის კრედიტორის დაკმაყოფილება. ამიტომ მისი დაკმაყოფილების მომენტიდან ვალდებულება წყდება. კრდიტორი, ბუნებრივია, დაინტერესებული უნდა იყოს იმით, რომ ვალდებულება შესრულდეს, რადგან იგი ამით სარგებელს იღებს. მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ვალდებულების შესრულება კრედიტორის ბრალით ყოვნდება. თავის მხრივ კი, მოვალე დაინტერესებულია, რომ დაკისრებული მოვალეობა დროულად შეასრულოს და გათავისუფლდეს ვალდებულების ტვირთისაგან, თუმცა, ამაში მას თავად კრედიტორი უშლის ხელს იმით, რომ თავს არიდებს მოვალის მიერ შეთავაზებული შესრულების მიღებას. სწორედ ასეთი შემთხვევებისათვის ითვალისწინებს კანონმდებლობა დეპონირების გზით ვალდებულების შეწყვეტის შესაძლებლობას.

იმ შემთხვევაში, თუკი კრედიტორი უარს განუცხადებს მოვალეს ვალდებულების ნაწილ-ნაწილ (ნაწილობრივი) შესრულების მიღებაზე, მოვალეს არა აქვს უფლება ასეთი ნაწილობრივი შესრულება შეიტანოს სასამართლოში ან ნოტარიუსის დეპოზიტზე.[713] მართალია, სკ-ის 434-ე მუხლი სიტყვასიტყვით არ ადგენს, რომ კრედიტორის მიერ შესრულების მიღებაზე თავის არიდება არამართლზომიერია, მაგრამ ასეთი დასკვნის გამოტანა შეიძლება ამ ნორმის წანამძღვრების ანალიზის შედეგად. მაშასადამე, სკ-ის 378-ე და 434-ე მუხლებთან მიმართებით, ადგილი აქვს ტერმინოლოგიურ განსხვავებას: სკ-ის 378-ე მუხლში საუბარია კრედიტორის უფლებაზე, უარი თქვას ნაწილობრივი შესრულების მიღებაზე, ხოლო სკ-ის 434-ე მუხლში კი საუბარია კრედიტორის მიერ შესრულების მიღების თავის არიდებაზე, რაც დაკავშირებულია აგრეთვე კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებასთან. რაც შეეხება ნაწილობრივი შესრულების

[713] ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება, 2006, 69.

მიღებაზე კრედიტორის უარის თქმას, ეს არის მართლზომიერი მოქმედება (გარდა სკ-ის 378-ე მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისისა) და არ წარმოადგენს კრედიტორის მირ ვადის გადაცილების შემთხვევას.

იმ შემთხვევაში, თუკი კრედიტორი უარს განუცხადებს მოვალეს შესრულების ნაწილ-ნაწილ (ნაწილობრივ) მიღებაზე, ეს თავისთავად არ იწვევს მხარეთა შორის არსებული ვალდებულებების შეწყვეტას. რადგან ამ შემთხვევაში ადგილი აქვს მოვალის მიერ ვალდებულების არაჯეროვნად შესრულებას. კრედიტორს დარღვეული უფლებების დასაცავად შეუძლია გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობები (ხელშეკრულებიდან გასვლა, ხელშეკრულების მოშლა, ზიანის ანაზღაურება).

IX.4 უნაკლო ნაკეთობის დამზადების ვალდებულება

IX.4.1 ზოგადი დებულებები

სახელშეკრულებო ვალდებულებების ფარგლებში ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ პირველადი და მეორადი/დამატებითი მოთხოვნები[714]. პირველადი მოთხოვნები ის მოთხოვნებია, რომლებიც უშუალოდ გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან; მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულების შემთხვევაში ეს იქნება მყიდველისათვის ქონებაზე საკუთრების უფლების, მასთან დაკავშირებული საბუთების გადაცემა და საქონლის მიწოდება (სკ-ის 477-ე მუხლის I ნაწილი) და ასევე შეთანხმებული ფასის გადახდის ვალდებულება (სკ-ის 477-ე მუხლის II ნაწილი). მეორადი/დამატებითი მოთხოვნები კი ის მოთხოვნებია, რომლებიც წარმოიშობა, როდესაც პირველადი მოთხოვნების შესრულებისას ჩნდება პრობლემა. პრობლემა შესაძლოა მდგომარეობდეს ვალდებულების შეუსრულებლობაში, არაჯეროვნად შესრულებაში ან ხელშეკრულებიდან გამომდინარე სხვა ვალდებულების დარღვევაში.[715]

---

[714] ჰენშელი, სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდიკა, 2007, 84.

[715] ძლიერიშვილი, კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სამოქალაქო სამართალში (თანაავტორობით), 2015, 21.

პირველადი მოთხოვნები უნდა შემოწმდეს მეორადი/დამატებითი მოთხოვნების წინ, ვინაიდან მეორადი მოთხოვნების შემოწმების წინაპირობაა გარკვეული დარღვევების არარსებობა პირველადი მოთხოვნების შესრულებისას. ვალდებულების შესრულების უმთავრესი კანონისმიერი საშუალებაა კრედიტორის უფლება, მოსთხოვოს მოვალეს შესრულება, რომელიც პირველად მოთხოვნას წარმოადგენს.[716]

ლიტერატურაში მიღებულია მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლების შემოწმების შემდეგნაირი რიგითობა:

1. სახელშეკრულებო მოთხოვნები (პირველადი მოთხოვნები; მეორადი/დამატებითი მოთხოვნები);

2. ხელშეკრულების მომზადების სტადიაზე წარმოშობილი მოთხოვნები (სკ-ის 317-ე მუხლის II ნაწილი).

3. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებიდან წარმოშობილი მოთხოვნები (სკ-ის 969-975-ე მუხლები).

4. სანივთო მოთხოვნები;

5. დელიქტური ვალდებულებებიდან და უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილი მოთხოვნები.

პირველადი მოთხოვნა მეორადისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი უშუალოდ ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს და ხელშემკვრელი მხარის მთავარი ინტერესია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის II ნაწილით დაკონკრეტებულია, რომ ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. მხოლოდ ასეთი შესრულება იწვევს ვალდებულების შეწყვეტას შესრულებით. [717]

სამართლებრივი უფლების არსის გაანალიზება შეუძლებელია მისი დარღვევისას გამოსაყენებელი შესაბამისი სამართლებრივი დაცვის საშუალებების შესწავლის გარეშე.[718] ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირველადი სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორადი მოთხოვნის

[716] თოდუა /ვილემსი , ვალდებულებითი სამართალი, 2006, 38.

[717] ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/ხეცურიანი/შენგელია (რედ.) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი მესამე, 2001, 41.

[718] Posner E.A., Sykes A.O., Efficient Breach of International Law: Optimal Remedies, "Legalized Noncompliance" and Related Issues, Mich. L. Rev., Vol. 110, No. 2, 2011, 245,

უფლებების გამოყენების საკითხი განიხილება.[719] მეორადი მოთხოვნის უფლებები იურიდიულ ლიტერატურაში განმარტებულია, როგორც შეუსრულებლობის შედეგები,[720] სამართლებრივი დაცვის მექანიზმები,რომელთა მეშვეობით უზრუნველყოფილია ვალდებულების დარღვევის უარყოფითი შედეგების გადანაწილება ბრალეულ ან რისკის მატარებელ, პასუხისმგებელ მხარეზე.

ნარდობის ხელშეკრულებაში შემკვეთის პირველადი ინტერესია მენარდის მიერ მისთვის ხელშეკრულების შესაბამისი ნაკეთობის დამზადება (სკ-ის 629-ე მუხლის I ნაწილი, 639-ე მუხლი), კერძოდ, თუ მომსახურება მოიცავს რაიმე ნაკეთობის დამზადებას, მენარდემ უნდა წარუდგინოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნაკეთობა.[721] ანალოგიურ დანაწესს შეიცავს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 633-ე პარაგრაფის პირველი აბზაცი.[722] მეორადი მოთხოვნები პირველადი მოთხოვნების ადგილს იკავებს მაშინ, როდესაც პირველადი მოთხოვნა დარღვეულია. ამგვარად, ამ ორი სახის მოთხოვნების ერთდროულად არსებობა შეუძლებელია, ვინაიდან მეორადი მოთხოვნის წარმოშობის წინაპირობაა პირველადი მოთხოვნის დარღვევა ანუ მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება.[723]

სკ-ის 639-ე მუხლიდან გამომდინარე მენარდეს ეკისრება მტკიცების ტვირთი, რომ შესრულებულ სამუშაოს შემკვეთისათვის გადაცემის მომენტში არ გააჩნდა არც უფლებრივი და არც ნივთობრივი ნაკლი.[724]

---

[719] ბიოლინგი ჰ., ლუტრინგჰაუსი პ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, ბრემენი-თბილისი, 2004-2009, 30; ჰენშელი, სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდიკა, 2009, 86.

[720] Lando O., წიგნში: Hartkamp A.S., Hesselink M., Hondius E.H., du Perron E., Joustra C., Veldman M.(eds.), Towards a European Civil Code, 3rd ed., Kluwer Law International, 2004, 505.

[721] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 131.

[722] Busche, in MüKo.BGB, Band 4.,5.Aufl. §641, Rn.2. Peters, in Staudinger BGB Komm. (2005) §641, Rn.3.

[723] თოდუა/ვილემსი, ვალდებულებითი სამართალი, 2006, 38.

[724] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 24 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას -1327-1347-2011.

IX.4.2. უფლებრივად უნაკლო ნაკეთობა

სკ-ის 640-ე მუხლის თანახმად, ნაკეთობა უფლებრივად უნაკლოა, თუ მესამე პირებს არ შეუძლიათ გამოიყენონ რაიმე უფლებები შემკვეთის წინააღმდეგ.

ნაკეთობა უფლებრივად უნაკლოა, თუ მესამე პირებს არ შეუძლიათ გამოიყენონ რაიმე უფლება შემკვეთის წინააღმდეგ. მაშასადამე, ნარდობის ხელშეკრულებით დამზადებული ნაკეთობა ჩაითვლება უფლებრივად ნაკლის მქონედ, თუ იგი დატვირთულია მესამე პირების სანივთო ან ვალდებულებითი უფლებებით, რაც მესამე პირს ანიჭებს კანონიერ უფლებას მიმართოს სარჩელით სასამართლოს და მოითხოვოს შემკვეთისათვის გადაცემული ნაკეთობის უკან დაბრუნება ან თავისი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მოითხოვოს შემკვეთისათვის გადაცემული ნაკეთობის კანონით დადგენილი წესით რეალიზაცია.

შედარებისათვის საინტერესოა ყურადღების გამახვილება გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესაბამის დანაწესებზე. 2002 წელს გერმანიაში განხორციელებული ვალდებულებითი სამართლის რეფორმის შედეგად, ჩამოყალიბებული იქნა ახლებური რედაქციის ნორმები, რომლებიც ითვალისწინებს ნარდობის ხელშეკრულებით შესრულებული სამუშაოს ხარისხის[725] მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს, ასევე შესაბამის სამართლებრივ პასუხისმგებლობას. ასე მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 633-ე პარაგრაფის I აბზაცის თანახმად, თუ ნარდობა მოიცავს რაიმე ნაკეთობის დამზდებას, მაშინ მენარდემ შემკვეთს უნდა წარუდგინოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნაკეთობა. იმავე პარაგრაფის მე-2 აბზაცის თანახმად, ნაკეთობა ნივთობრივად უნაკლოა, თუ იგი შეესაბამება შეთანხმებულ პირობებს და აქვს დათქმული თვისებები. თუ ეს თვისებები შეთანხმებული არ არის, მაშინ ნაკეთობა მიიჩნევა ნივთობრივად უნაკლოდ, თუ იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი გამოყენებისათვის და მას აქვს ანალოგიური ნაკეთობისათვის ჩვეულებრივ დამახასიათებელი ხარისხი[726]. ამავე პარაგრაფის მე-3 აბზაცის თანახმად, ნაკეთობა

[725] Preussner, Das neue Werkvertragsrecht im BGB 2002; BauR 2002, S.231-242.

[726] Reinkenhof, Das neue Werkvertragsrecht; Jura 2002, S. 433-438.

უფლებრივად უნაკლოა, თუ მესამე პირებს არ შეუძლიათ გამოიყენონ რაიმე უფლებები შემკვეთის წინააღმდეგ.[727]

ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ მიუთითა, რომ „სკ-ის 640-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე მენარდეს ეკისრება მტკიცების ტვირთი, რომ შესრულებულ სამუშაოს, შემკვეთისათვის გადაცემის მომენტში არ გააჩნდა არც უფლებრივი და არც ნივთობრივი ნაკლი".[728]

IX.4.3. ნივთობრივად უნაკლო ნაკეთობა

ნარდობის ხელშეკრულება დაკავშირებულია მენარდის ვალდებულებასთან – შეასრულოს ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო და გადასცეს შემკვეთს შეთანხმებული საზღაურის მიღების პირობით შესრულებული სამუშაოს შედეგი.[729]

ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს ჯეროვნად შესრულების ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს სამუშაოს ხარისხიანად შესრულება.

სახელშეკრულებო ვალდებულებათა უმეტეს შემთხვევაში მოვალეს წარედგინება მოთხოვნა შესრულების საგნის ხარისხის შესახებაც, ანუ მოვალის მიერ განხორციელებული შესრულება უნდა შეესაბამებოდეს ხარისხის მოთხოვნას. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, შესრულება უნდა იყოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო. სულ ერთია, ვალდებულების საგანი ინდივიდუალური ნივთი იქნება თუ გვაროვნული.[730] ვალდებულების შესრულების ხარისხი შეიძლება განსაზღვრული იყოს კანონით, მხარეთა შეთანხმებით ან გამომდინარეობდეს ვალდებულების არსიდან. ასე, მაგალითად, სკ-ის 533-ე

---

[727] Busche, in MüKo.BGB, Band 4.,5.Aufl. §633 aF,Rn.65. Peters, in Staudinger BGB Komm.(2005), §633, Rn.39.

[728] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 24 ნოემბრის №ას-1327-1347-2011 განჩინება.

[729] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 28 მაისის განჩინება საქმეზე №ას -250-306-09.

[730] ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.),საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, 380-ე მუხლი, გვ.324.

მუხლის თანახმად, გამქირავებელმა უნდა გადასცეს დამქირავებელს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნივთი. ანალოგიური მოთხოვნებია დადგენილი სკ-ის 487-ე, 488-ე, 639-ე მუხლებით, რომლებიც გამყიდველისა და მენარდის მოვალეობებს აწესრიგებენ შესრულების ხარისხთან დაკავშირებით.

ზოგიერთ შემთხვევაში, ხელშეკრულებით გადასაცემი საგნის ხარისხი შეიძლება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტებით იყოს განსაზღვრული.

IX.5. ზოგადად ვალდებულების შესრულების ხარისხის შესახებ

სახელშეკრულებო ვალდებულებათა უმეტეს შემთხვევაში მოვალეს წარედგინება მოთხოვნა შესრულების საგნის ხარისხის შესახებაც, ანუ მოვალის მიერ განხორციელებული შესრულება უნდა შეესაბამებოდეს ხარისხის მოთხოვნას. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, შესრულება უნდა იყოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო. სულერთია, ვალდებულების საგანი ინდივიდუალური ნივთი იქნება თუ გვაროვნული.[731] ვალდებულების შესრულების ხარისხი შეიძლება განსაზღვრული იყოს კანონით, მხარეთა შეთანხმებით ან გამომდინარეობდეს ვალდებულების არსიდან.

პრაქტიკაში უფრო გავრცელებულია შემთხვევები, როდესაც ვალდებულების საგნის ხარისხი ხელშეკრულებითაა განსაზღვრული. ასეთ შემთხვევაში მოქმედებს ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი. თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან, მაშინ ვალდებულების შესრულების ხარისხთან მიმართებით გამოიყენება კანონით დადგენილი დანაწესები (საშუალო ხარისხი).[732] ამდენად, ასეთ შემთხვევებში კრედიტორი ვერ მოითხოვს მოვალისაგან მაღალი ხარისხის ნივთის გადაცემას და თავის მხრივ, მოვალესაც არა აქვს უფლება განახორციელოს საშუალო ხარისხზე დაბალი შესრულება. მაგალითად, სკ-ის 641-ე მუხლის თანახმად, თუ ნარდობის ხელშეკრულებით შეთანხმებული არ არის შესრულებული

[731] ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/ხეცურიანი/შენგელია (რედ.) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, 2001, 380-ე მუხლი, გვ. 324.
[732] ჭეჭელაშვილი, სახელშეკრულებო სამართალი, 2008, 147.

სამუშაოს ხარისხი, რაც დაკავშირებულია ნაკეთობის დამზადებასთან, ნაკეთობა ნივთობრივად უნაკლოდ ჩაითვლება, თუკი იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი გამოყენებისათვის.[733]

თუ რა იგულისხმება საშუალო ხარისხში, ამაზე ნათლად მეტყველებს ასევე სკ-ის 488 I მუხლით გათვალისწინებული დებულება, კერძოდ, ნივთი ნივთობრივად უნაკლოა, თუ იგი შეთანხმებული ხარისხისაა. თუ ხარისხი წინასწარ არ არის შეთანხმებული, მაშინ ნივთი უნაკლოდ ჩაითვლება, თუ იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი სარგებლობისათვის. ასეთ შემთხვევაში დაცულ უნდა იქნეს 380-ე მუხლის მოთხოვნებიც.[734]

ანალოგიური დებულებებია გათვალისწინებული განვითარებული ქვეყნების სამოქალაქო კანონმდებლობაშიც, რომლებიც ძირითადად გამოიყენება გვაროვნული ნივთების მიმართ.[735] მაგალითად, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1246-ე მუხლის თანახმად, „როცა ვალის საგანია გვაროვნული ნივთი, მაშინ მოვალე ვალდებული არაა მისცეს კრედიტორს საუკეთესო ხარისხის ნივთი, თუმცა, ამასთან, მოვალეს არ შეუძლია შესთავაზოს უარესი ხარისხის ნივთი." გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 243-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „თუ ვალდებულების საგანია გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთი, მაშინ მოვალე ვალდებულია გადასცეს სულ ცოტა საშუალო ხარისხის ნივთი".[736]

---

[733] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულებების სამართლებრივი ბუნება, 2011, 82.

[734] ძლიერიშვილი, ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრ. სამართლებრივი ბუნება, 2010, 44.

[735] The French civil code, translated with an introduction by John H. Crabb. Rev. ed. (as amended to I July, 1994). Littleton. Colo, Rothman, 1995.

[736] Palandt/Heinrichs,69 Aufl.,2010, §243, Rn 5; AnwK/Tettinger, §243,Rn 8;Pruting/Smidt-Kessel,§243,Rn 367.

IX.6. ნარდობის ხელშეკრულებით შესასრულებელი სამუშაოს ხარისხი

შესრულების ხარისხი უმეტესწილად განისაზღვრება კრედიტორსა და მოვალეს შორის შეთანხმებით. თუმცა არ არის გამორიცხული ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ხელშეკრულების საგნის ხარისხი ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული. ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესასრულებელი სამუშაოს ხარისხთან მიმართებაში მნიშვნელოვან დანაწესებს შეიცავს სკ-ის 639-641-ე მუხლები.

თუ ნარდობის ხელშეკრულება მოიცავს რაიმე ნაკეთობის დამზადებას, მაშინ მენარდემ უნდა წარუდგინოს შემკვეთს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნაკეთობა. ნაკეთობა ნივთობრივად უნაკლოა, თუ იგი შეესაბამება შეთანხმებულ პირობებს. მაშასადამე, როგორც წესი, ნარდობის ხელშეკრულების ერთ-ერთ არსებით პირობას წარმოადგენს შეთანხმება ნაკეთობის ხარისხთან მიმართებაში. ნარდობის ხელშეკრულების საგნის თავისებურებების გათვალისწინებით, დასამზადებელი ნაკეთობის ხარისხი შეიძლება განსაზღვრულ იქნეს ან თვითონ ხელშეკრულებით ან მასზე დართული სხვა დოკუმენტებით (პროექტი, ნახაზი და ა.შ.), ან ამა თუ იმ ტექნიკურ ნორმატივზე, მაგალითად, დადგენილი სტანდარტის მითითებით. შესაძლებელია აგრეთვე ნაკეთობის დამზადება ნიმუშის (ესკიზის) მიხედვით.[737]

შესაძლებელი ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ნარდობის ხელშეკრულებით პირდაპირ არ არის განსაზღვრული დასამზადებელი ნაკეთობის ხარისხი. ასეთ შემთხვევაში, ნაკეთობა ნივთობრივად უნაკლოა, თუ იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი გამოყენებისათვის. მაგალითად, შემკვეთმა მენარდეს შეუკვეთა საძინებელი ავეჯის გარნიტურის დამზადება, მაგრამ მხარეები არ შეთანხმებულან გამოსაყენებელი მასალის ხარისხზე (წიფელი, ნაბლი, მუხა და ა.შ.). მენარდემ ავეჯი დაამზადა წიფელის ხის მასალისაგან. შემკვეთმა უარი განაცხადა სამუშაოს მიღებაზე იმ მოტივით, რომ ავეჯი დამზადებული არ იყო მუხის

[737] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 83.

ხის მასალით. შემკვეთის მოქმედება არამართლზომიერია, რადგან, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან, დამზადებული ავეჯი ჩაითვლება ნივთობრივად უნაკლოდ, თუკი იგი აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც ჩვეულებრივ წაეყენება ასეთი სახის ავეჯს. მხედველობაშია მისაღები აგრეთვე სკ-ის 380-ე მუხლით დადგენილი დებულება იმის შესახებ, რომ თუ შესრულების ხარისხი დაწვრილებით არ არის ხელშეკრულებაში განსაზღვრული, მაშინ მოვალე ვალდებულია შეასრულოს, სულ ცოტა, საშუალო ხასრისხის სამუშაო და გადასცეს საშუალო ხარისხის ნივთი. ასეთ შემთხვევაში კრედიტორი ვერ მოითხოვს მოვალისაგან მაღალი ხარისხის ნივთის გადაცემას და თავის მხრივ, მოვალესაც არა აქვს უფლება განახორციელოს საშუალო ხარისხზე დაბალი შესრულება. ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ განმარტა, რომ „ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოსარჩელის მოთხოვნა მენარდის მიერ სამოქალაქო კოდექსის 641-ე მუხლის შეუსაბამო შესრულებას ემყარება“.[738]

IX.7. ნივთობრივი ნაკლის სახეები

სკ-ის 641-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ნარდობის ხელშეკრულებით დამზადებული ნაკეთობა ჩაითვლება ნივთობრივად ნაკლის მქონედ არა მარტო იმ შემთხვევაში, როდესაც ნაკეთობა არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, არამედ იმ შემთხვევაშიც, თუ მენარდე დაამზადებს შეკვეთილისაგან განსხვავებულ ნაკეთობას (მაგალითად, მრგვალი ფორმის მაგიდის ნაცვლად დაამზადა მართკუთხედის ფორმის მაგიდა) ან თუ დაამზადებს შეკვეთილისაგან განსხვავებით უფრო ნაკლები რაოდენობის ნაკეთობას (მაგალითად, ხელშეკრულებით მენარდეს უნდა დაემზადებინა 50 სკამი, მან კი დაამზადა 30 სკამი და ა.შ).

[738] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 9 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას -1673-1569-2012.

თავი X. მენარდის მიერ შემკვეთის გაფრთხილება

X.1. ზოგადი დებულებები

ნარდობის ხელშეკრულებაში მოქმედებს პრეზუმპცია, რომ მენარდე არის ნარდობის ხელშეკრულებით შესასრულებელი სამუშაოს პროფესიონალი, ამიტომაც მას კანონმდებლობა აკისრებს შემკვეთის მიმართ სამი სახის გარემოების შესახებ გაფრთხილების ვალდებულებას.[739] კერძოდ, მენარდე ვალდებულია დროულად გააფრთხილოს შემკვეთი, რომ: ა) შემკვეთისაგან მიღებული მასალა უხარისხო და გამოუსადეგარია; ბ) თუ შემკვეთის მითითება შესრულდება, ნამუშევარი არამტკიცე და გამოუსადეგარი იქნება; გ) არსებობს მენარდისაგან დამოუკიდებელი სხვა გარემოება, რომელიც საფრთხეს უქმნის ნამუშევრის სიმტკიცესა და ვარგისიანობას. თითქმის ანალოგიური შინაარსის დებულებებია მოცემული გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 645-ე პარაგრაფში.[740]

X.2. შემკვეთისაგან მიღებული მასალის ხარისხი

ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება, როგორც წესი, ხდება მენარდის მასალით. ეს არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ სამუშაო შესრულებული იქნეს შემკვეთის მასალით. კანონმდებლობა მენარდეს ავალდებულებს, რომ თუკი სამუშაოს შესრულება ხდება შემკვეთის მიერ მიწოდებული მასალით, რომელიც უხარისხო აღმოჩნდა, ასეთ შემთხვევაში მენარდემ დროულად უნდა შეატყობინოს შემკვეთს ამის თაობაზე და მოსთხოვოს მას გამოუსადეგარი და უხარისხო მასალის გამოცვლა ხარისხიანი მასალით. პრაქტიკაში არსებობს შემთხვევები, როდესაც მენარდე, აღმოაჩენს რა ნაკლს შემკვეთის მიერ გადაცემულ მასალაში (მაგალითად, შემკვეთმა შეუკვეთა მენარდეს სამზარეულოს ავეჯის დამზადება, მიანოდა ავეჯის დასამზადებლად საჭირო ხის მასალა. მენარდემ ხის მასალის გადამუშავებისას აღმოაჩინა, რომ მასალა პარაზიტის მიერ იყო დაზიანებული), არ ატყობინებს ამის

[739] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 86.
[740] Busche, in MüKo.BGB, Band 4.,5.Aufl. §645, Rn.2.

შესახებ შემკვეთს და განაგრძობს სამუშაოს შესრულებას შემკვეთის მიერ მიწოდებული უხარისხო მასალით. ასეთ შემთხვევაში, მენარდე შეკმვეთისათვის შეკვეთილი ავეჯის გადაცემის შემდეგ კარგავს უფლებას, დაეყრდნოს მასალის ნაკლს, როგორც საფუძველს დამზადებული ნაკეთობის ხარისხის გაუარესებისა და შესაბამისად, დაეკისრება პასუხისმგებლობა შემკვეთის წინაშე ნაკლიანი შესრულებისათვის.[741]

სხვაგვარდ წყდება საკითხი იმ შემთხვევაში,[742] თუკი შემკვეთის მიერ მენარდისათვის გადაცემულ მასალას აქვს ფარული ნაკლი, რამაც შემდგომში გამოიწვია შესრულებული სამუშაოს ხარისხის გაუარესება, ასეთ შემთხვევაში, მტკიცების ტვირთი აწევს მენარდეს, რომელმაც უნდა შეძლოს იმის დამტკიცება, რომ სწორედ შემკვეთის მიერ გადაცემული მასალის ფარული თვისებებითაა გამონვეული დამზადებული ნაკეთობის ნაკლი და რომ ნაკლის აღმოჩენა მისი ფარული თვისებების გამო, სამუშაოს შესრულების პროცესში შეუძლებელი იყო.

X.3. შემკვეთის მითითებათა შესრულება

ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს ჯეროვანი შესრულებისათვის კანონმდებლობა შემკვეთს უფლებას ანიჭებს მისცეს მენარდეს გარკვეული მითითებები. ეს დებულება არ ეწინააღმდეგება იმ ძირითად პრინციპს, რომ მენარდე შემკვეთისაგან ორგანიზაციულად და ქონებრივად დამოუკიდებელია. შემკვეთს უფლება აქვს მისცეს მენარდეს მხოლოდ ისეთი მითითებები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს უკეთესად შესრულებასთან (მაგალითად, სახლის რომელ კუთხეში ააშენოს ბუხარი, სად დაამონტაჟოს წყალგაყვანილობა, გათბობა და ა.შ.). მაგრამ გამომდინარე იქედან, რომ მენარდე სამუშაოთა შესრულების სპეციალისტია, იგი მოვალეა დროულად გააფ-

741 ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011,86.
742 ძლიერიშვილი, ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი I, 647-ე მუხლი, გვ.274.

რთხილოს შემკვეთი, რომ თუკი შემკვეთის მითითება შესრულდება, მაშინ ნამუშევარი არამტკიცე და გამოუსადეგარი იქნება. შემკვეთისაგან ახალი მითითებების მიღებამდე, მენარდე მოვალეა შეაჩეროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება. შემკვეთმა გონივრულ ვადაში უნდა მისცეს მენარდეს ახალი მითითებები.[743] თუკი შემკვეთი არ შეასრულებს ამ ვალდებულებას, მენარდეს უფლება აქვს უარი განაცხადოს ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს ამით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ერთერთ სქმეზე სასამართლომ განმარტა, რომ, მენარდის შესაბამისი უფლებამოსილი პირი ვალდებული იყო, შეეტყობინებინა შემკვეთისათვის ლანჟერონის შეცვლის ნაცვლად მისი შეკეთების ფაქტობრივი შედეგი და შესაძლო რისკები. აღნიშნული წინაპირობა კანონისმიერია და განმტკიცებულია სამოქალაქო კოდექსის 647-ე მუხლით".[744]

მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ მენარდე გადაწყვეტს რა ხელშეკრულების შეწყვეტას იმ საფუძვლით, რომ შემკვეთმა არ შეცვალა მითითება სამუშაოთა წარმოების წესის შესახებ, იგი ამით გარკვეულწილად რისკავს, რადგან თუ შემკვეთი შეძლებს იმის დამტკიცებას, რომ მის მიერ მიცემული მითითება სამუშაოთა წარმოების შესახებ სინამდვილეში არავითარ არახელსაყრელ შედეგებს არ იწვევს მისთვის (ანუ საფრთხეს არ უქმნის ნამუშევრის სიმტკიცეს და ვარგისიანობას), ასეთ შეთხვევაში მენარდეს დაეკისრება პასუხისმგებლობა ნარდობის ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტისათვის.

X.4. მენარდისაგან დამოუკიდებელი გარემოებების არსებობა

მენარდე ვალდებულია ასევე დროულად გააფრთხილოს შემკვეთი იმის შესახებ, რომ არსებობს მენარდისაგან დამოუკიდებელი გარემოება, რომელიც საფრთხეს უქმნის ნამუშევრის სიმტკიცესა და ვარგისიანობას. მაგალითად, ნარდობის ხელშეკრულებით მენარდეს

[743] ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.),საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი I, 647-ე მუხლი, გვ.238.
[744] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 ნლის 8 დეკემბრის განჩინება საქმეზე №ას-1432-1447-2011.

უნდა აეშენებინა ნაგებობა, რომელიც გამიზნული იყო სასაქონლო საწყობად. ნაგებობის აშენება უნდა მომხდარიყო შემკვეთის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე. როდესაც მენარდემ ნაგებობის ასაშენებლად შემკვეთის მიერ მისთვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთში გათხარა ნაგებობის ფუნდამენტი (საძირკველი), აღმოჩნდა, რომ მიწის ნაკვეთი დაჭაობებული იყო და თუკი მასზე აშენდებოდა შეკვეთილი ნაგებობა, იგი იქნებოდა ტენიანი და გამოუსადეგარი გახდებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნისათვის. თუკი მენარდე არ შეატყობინებს შემკვეთს ამ გარემოების შესახებ და გააგრძელებს სამუშაოთა წარმოებას, იგი კარგავს შემდგომში უფლებას, რომ დაეყრდნოს ამ გარემოებას, როგორც საფუძველს შესრულებული სამუშაოს ნაკლისა.[745]

ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ მიუთითა, რომ „ნარდობის ხელშეკრულებაში მხარეებმა გააკეთეს დათქმა იმის თაობაზე, რომ თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუსაოს შესრულების პროცესში რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს წააწყდებოდნენ, რომელთა გამოც შეფერხდებოდა ხელშეკრულებების პირობების შესრულება, მასინ მენარდე ვალდებული იყო ამის თაობაზე დაუყონებლივ ეცნობებინა შემკვეთისათვის. როგორც საქმეზე უდავოდ დადგინდა, არანაირი შეტყობინება იმის თაობაზე, რომ პროექტის რეალიზაცია ვერ ხდებოდა მენარდისაგან დამოუკიდებელი გარემოებების გამო, მენარდეს შემკვეთისათვის არ უცნობებია".[746]

სკ-ის 647-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული დებულება, რომ მენარდე ვალდებულია „დროულად" გააფრთხილოს შემკვეთი, განუსაზღვრელი ხასიათის ნორმაა და დავის წარმოშობის შემთხვევაში „დროულობა" განმარტებულ უნდა იქნეს საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით, როგორიცაა: შესრულებული სამუშაოს ხასიათი და სირთულე, მიზანი, შესრულების ვადები, ხელშეკრულების მხარეთა ადგილსამყოფელი, ინფორმაციის მიწოდების საშუალება (კომუნიკაციის საშუალებები) და ა.შ.

ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ განმარტა, რომ „იმ შემთხვევა-

[745] ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი I, 647-ე მუხლი, გვ.275.

[746] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 12 მარტის განჩინება საქმეზე №ას-1729-1711-2011.

ში, თუ შემკვეთი მენარდის დროული გაფრთხილების მიუხედავად, შესაბამის ვადაში არ გამოცვლის გამოუსადეგარ ან უხარისხო მასალას, არ შეცვლის მენარდისათვის მიცემულ მითითებას სამუშაოთა წარმოების შესახებ, ან არ აღმოფხვრის სხვა გარემოებას, რომელიც საფრთხეს უქმნის ნამუშევრის სიმტკიცეს და ვარგისიანობას, მენარდეს უფლება აქვს უარი განაცხადოს ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ზიანის დამტკიცების ტვირთი ეკისრება მენარდეს."[747]

საინტერესო მიდგომაა გერმანულ სამართალში, კერძოდ, მენარდემ არა მარტო უპირობოდ უნდა შეასრულოს შემკვეთისაგან შეკვეთილი სამუშაო[748], არამედ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 242-ე პარაგრაფით გათვალისწინებული კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე, თავისი ცოდნითა და გამოცდილებით შეამოწმოს, თუ რა სასარგებლო შედეგები შეიძლება დადგეს შემკვეთისათვის ამ სამუშაოს შესრულების შედეგად.[749] მენარდემ უნდა შეამოწმოს[750], თუ რამდენად შეესაბამება შეკვეთილი სამუშაო შემკვეთის მოთხოვნილებებს, ხელს შეუწყობს თუ არა იმ მიზნის მიღწევას, რისთვისაც დაიდო ნარდობის ხელშეკრულება. მენარდის მიმართ წაყენებული ეს მოთხოვნები ითვალისწინებს შემკვეთის ვალდებულებას შეატყობინოს მენარდეს შეკვეთილი ნივთის გამოყენებასთან მიმართებით თავისი ზრახვების შესახებ.[751] მენარდის ასეთი სახის საკონსულტაციო ვალდებულებების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად საჭიროებს შემკვეთი შესაბამისი განმარტებების მიცემას, ასევე მენარდის პროფესიონალურ კვალიფიკაციაზე. ამასთან, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მენარდის არა სუბიექტურ ცოდნას, გამოცდილებას, არამედ იმ უნარ-ჩვევებს, რომლებსაც იგი ობიექტურად უნდა ფლობდეს შეკვეთილი სამუშაოს ჯეროვნად შესრულებისათვის.[752]

---

[747] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 8 დეკემბრის განჩინება საქმეზე №ას-1432-1447-2011.

[748] Larenz/Wolf, Allgemeiner Teil des Burgerlichen Rechts, 9.Aufl.,2004, §3, Rn.96.

[749] Busche, in MüKo.BGB, Band 4.,5.Aufl. §645, Rn.3.

[750] Peters, in Staudinger BGB Komm. §645, Rn.4.

[751] Reinkenhof, Das neue Werkvertragsrecht; Jura 2002, S. 433-438.

[752] NJW RR 1996, Helf 13,S.791. 02.11.1995.

თავი XI. სამუშაოს მიღება და საზღაურის გადახდა შესრულებული სამუშაოსათვის

XI. 1. ზოგადი დებულებები

ნარდობა დაკავშირებულია მენარდის ვალდებულებასთან – შეასრულოს ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო და გადასცეს შემკვეთს შეთანხმებული საზღაურის მიღების პირობით შესრულებული სამუშაოს შედეგი.[753] შემკვეთი მოვალეა გადაუხადოს მენარდეს საზღაური სამუშაოს შესრულების შემდეგ.[754]

აღნიშნულ დებულებაში მოცემულია მენარდისათვის შესრულებული სამუშაოსათვის საზღაურის გადახდის ზოგადი წესი.[755]

„საკასაციო სასამართლო დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს განმარტებას, რომ მხარეთა შორის **ნარდობის ხელშეკრულება** გაფორმდა. სამოქალაქო კოდექსის 648-ე მუხლის მიხედვით კი, შემკვეთი მოვალეა მენარდეს გადაუხადოს საზღაური სამუშაოს შესრულების შემდეგ, თუ ხელშეკრულება არ ითვალისწინებს ნაწილ-ნაწილ გადახდას.

საკასაციო სასამართლომ **მიიჩნია,** რომ სააპელაციო სასამართლომ ზემოაღნიშნული მუხლი სწორად განმარტა და მართებულად მიიჩნია, რომ, განსახილველ შემთხვევაში, გ. ხ-ეს საზღაური სამუშაოს შესრულების შემდეგ უნდა გადაეხადა. მსგავს პირობას ითვალისწინებდა, აგრეთვე, მხარეთა **შორის გაფორმებული ხელშეკრულებაც** (იხ. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, პუნქტი 3). **დაკმაყოფილდეს.**[756]მენარდეს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, რიგითობით პირველს ეკისრება ვალდებულების შესრულება, თუმცა ხელშეკრულებით შეიძლება გათვალისწინებული იქნეს შემკვეთის მიერ საზღაურის წინასწარი ან ნაწილ-ნაწილ გადახდის

[753] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 28 მაისის განჩინება საქმეზე №ას-250-306-09.

[754] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 22 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-899-845-2012.

[755] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 89.

[756] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-184-177-2013.

შესაძლებლობაც.[757]საზღაურის გადახდა ხდება იმ პირობის დაცვით, რომ მენარდის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო შესრულებულია კანონითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით. ერთ-ერთ საქმეზე სამოქალაქო კოდექსის 629-ე, 648-ე მუხლის თანახმად, სასამართლომ განმარტა, რომ „საზღაური გადაიხდება მხოლოდ სამუშაოს (მომსახურების) რეალურად განევის შემთხვევაში და არა ამ სამუშაოს (მომსახურების) შემკვეთისათვის მიწოდების პირობების შექმნისას"[758]. სამუშაო შესრულებული უნდა იყოს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და შეთანხმებული ხარისხით.[759] თუ შემკვეთი უარს აცხადებს საზღაურის გადახდაზე იმ მოტივით, რომ სამუშაო შესრულებულია არაჯეროვნად, რაც გამოუსადეგარს ხდის მას ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისათვის, ასეთ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება შემკვეთს.[760] თუ შემკვეთი ვერ დაამტკიცებს ამ გარემოებას, მას შეიძლება დაეკისროს დამატებითი პასუხისმგებლობა საზღაურის არგადახდისათვის. მაგალითად, თუ შემკვეთი გადააცილებს საზღაურის გადახდის ვადას, მას შეიძლება დაეკისროს სკ-ის 403-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული პროცენტის ან სკ-ის 417-ე მუხლით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება, რადგან მენარდისათვის გადასახდელი საზღაური, როგორც წესი, ატარებს ფულად ხასიათს. ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ იხელმძღვანელა სკ-ის 648-ე მუხლით და აღნიშნა, რომ „მოცემულ შემთხვევაში მენარდეს ნარდობის საზღაური სამუშაოს შესრულების შემდეგ უნდა მიეღო."[761]

ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ განმარტა, რომ „მხარე-

---

[757] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 3 იანვრის განჩინება საქმეზე №ას-719-678-2011.

[758] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 8 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-542-515-2013.

[759] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 22 დეკემბრის განჩინება საქმეზე №ას-895-1106-08.

[760] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 12 აპრილის განჩინება საქმეზე №ას-32-31-2010.

[761] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 8 დეკემბრის განჩინება საქმეზე №ას-1432-1447-2011.

თა შორის დადებული ნარდობის ხელშეკრულების 1.3. პუნქტის „ბ"ქვეპუნქტის, სკ-ის 629-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და 648-ე მუხლის თანახმად, შემკვეთს წარმოეშვა მენარდისათვის ხელშეკრულებით შეთანხმებული საზღაურის გადახდის ვალდებულება".[762]

„კასატორს, რომელსაც ორმხრივი ხელშეკრულებით ჰქონდა დაკისრებული ვალდებულება, შეეძლო საპასუხო მოქმედების შესრულებამდე უარი ეთქვა თავისი ვალდებულების შესრულებაზე 648-ე მუხლის საფუძველზე."[763]

როგორც წესი, ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შედეგი შემკვეთს უნდა გადაეცეს მთლიანად და ამის შემდეგ არის შემკვეთი მოვალე, გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური.[764] თუმცა ეს არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ნარდობის ხელშეკრულების მხარეები შეთანხმდნენ, რომ სამუშაო მიღებული იქნება ნაწილ-ნაწილ და საზღაურის გადახდაც მოხდება ნაწილ-ნაწილ.[765] როდესაც სამუშაოს შესრულება ხდება ნაწილ-ნაწილ, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს პრეზუმპციას: შესრულებული სამუშაოს ხარისხი შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს, თუკი შემკვეთი უხდის მენარდეს საზღაურს შესრულებული სამუშაოს პროპორციულად.[766]

პრაქტიკაში შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების შემდეგ შეიცვალა ვალუტა, რომლითაც იყო განსაზღვრული მენარდისათვის საზღაურის გადახდა. ასეთ შემთხვევაში ხდება იმ ზოგადი ნორმების გამოყენება, რომლებიც არეგულირებენ გადახდის ვადის დადგომამდე ვალუტის შეცვლის საკითხს.[767]

---

[762] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 22 დეკემბრის განჩინება საქმეზე №ას-895-1106-08.

[763] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 2 მარტის განჩინება საქმეზე №ას-1297-1317-2011.

[764] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 23 მაისის განჩინება საქმეზე №ას-496-470-2011.

[765] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 90.

[766] Code civile des Francais. http:// www.napoleon-series.org/research/government/.ccode.html

[767] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010

XI.2 შემკვეთის მიერ მენარდისათვის ავანსის ან ბეს გადახდა

ნარდობის ხელშეკრულებით შესაძლებელია გათვალისწინებული იქნეს მენარდისათვის ავანსის ან ბეს გადახდა. ავანსის ცნება მართალია კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული, თუმცა ამ სამართლებრივ ინსტიტუტს ფართო გამოყენება აქვს პრაქტიკაში.[768] ავანსი არის ფულადი თანხის გადახდა, რომელიც ხორციელდება უკვე დადებული ხელშეკრულების შესასრულებლად, მაშინ როდესაც ბე ადასტურებს ხელშეკრულების დადებას.[769] ავანსი არ ატარებს აგრეთვე იმ უზრუნველყოფის საშუალების ფუნქციას, რომელიც დამახასიათებელია ბესთვის.[770]

ავანსი ძირითადად ემსახურება მენარდის ინტერესებს,[771] მაშინ როდესაც ბე უზრუნველყოფს, როგორც მენარდის, ისე შემკვეთის ინტერესებს. თუ მენარდე უარს განაცხადებს სამუშაოს შესრულებაზე ან შემკვეთი უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, ავანსი, როგორც წესი, უკან უნდა იქნეს დაბრუნებული.[772]

მენარდის მიერ შემკვეთისათვის ავანსის დაბრუნებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი დებულებებია მოცემული საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 19 მარტის განჩინებაში საქმეზე №ას-730-698-2014, კერძოდ: „ შპს „ფ. თ.-მა" **სარჩელი აღძრა** სასამართლოში მოპასუხე შპს „ე დის" მიმართ, რომლითაც მოითხოვა, მოპასუხისათვის 9 891 აშშ დოლარის გადახდის დაკისრება. **მოსარჩელის განმარტებით,** მასსა და შპს „ე დს" შორის 2012 წლის 04 დეკემბერს **გაფორმდა ნარდობის ხელშეკრულება,** რომლის თანახმად, შპს „ე დმა" იკისრა ვალდებულება შპს „ფ. თ.-ისათვის", **ავანსის გადარიცხვიდან** 45 დღის ვადაში, დაემზადებინა ხელშეკრულებით **გათვალისწინებული ავეჯი, მიეტანა მის მიერ მითითებულ ფართში და მოეხდინა მისი მონტაჟი.** შპს „ე დმა"

წლის 3 ივნისისგანჩინება საქმეზე №ას-141-134-2010.

768 საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემურ საკითხებზე, 2007,73.

769 ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, 252.

770 ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 105.

771 Busche, in MüKo.BGB, Band 4.,5.Aufl. §632 a, Rn.2

772 ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 90.

ვერ შეძლო ვალდებულების შესრულება ხელშეკრულებით გათავალისწინებულ ვადაში. ამასთან, მიწოდებული საქონლის ნაწილი არ შეესაბამებოდა მხარეთა მიერ **შეთანხმებულ სტანდარტებს.**

მოპასუხემ **სარჩელი არ ცნო** და ძირითად სარჩელთან ერთად განსახილველად შპს „ფ. თ.-ის" მიმართ **შეგებებული სარჩელი წარადგინა,** რომლითაც მოითხოვა, 2012 წლის 04 დეკემბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული **დარჩენილი თანხის** გადახდა 8079 აშშ დოლარის, **ასევე შენახვის ხარჯების** ანაზღაურება 200 ლარის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 18 სექტემბრის **გადაწყვეტილებით,** შპს „ფ. თ.-ის" **სარჩელი დაკმაყოფილდა;** შპს „ე დს" შპს „ფ. თ.-ის" სასარგებლოდ დაეკისრა 9 891 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის გადახდა; შპს „ე დის" **შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.**

გადაწყვეტილება **სააპელაციო წესით** გასაჩივრდა შპს „ე დის" მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 24 აპრილის განჩინებით შპს „ე დის" **სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.**

მოცემულ საქმეზე თბილისის **სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:** – ერთი მხრივ, შპს „ფ. თ.-სა" და მეორე მხრივ, შპს „ე დს" შორის 2012 წლის 04 დეკემბერს **გაფორმდა ნარდობის ხელშეკრულება,** რომლითაც შპს „ე დმა" აიღო ვალდებულება შპს „ფ. თ.-ისათვის" დაემზადებინა საოფისე ავეჯი – 26 930 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის გადახდის სანაცვლოდ. **ამავე ხელშეკრულებით განისაზღვრა ავეჯის რაოდენობა და ხარისხი.** მხარეები ასევე შეთანხმდნენ, ავეჯის **დამზადების ვადასა და თანხის გადახდის წესზე,** რომლის თანახმად, შპს „ე დს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული საოფისე ავეჯი უნდა დაემზადებინა ავანსის მიღების შემდეგ – 45 დღეში. ხოლო, თავის მხრივ, შემკვეთს ავანსის სახით ავეჯის ღირებულების – 70 პროცენტი უნდა გადაეხადა წინასწარ, ხოლო – 30 პროცენტი საქონლის მიწოდებიდან და მონტაჟიდან – 05 კალენდარული დღის ვადაში. ხელშეკრულების თანახმად ავეჯის მიწოდება და დამონტაჟება წარ-

მოადგენდა შპს „ე დის" ვალდებულებას.

უდავო გარემოებაა, რომ შემკვეთმა ხელშეკრულების გაფორმების დღესვე 2012 წლის 04 დეკემბერს შპს „ე დის" ანგარიშზე გადარიცხა 31 290,77 (18 851 აშშ დოლარის ექვივალენტი) ლარი ავანსის სახით. შესაბამისად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული დათქმის თანახმად, შპს „ე დს" დამზადებული ავეჯი დამკვეთისათვის უნდა მიეწოდებინა და დაემონტაჟებინა 2013 წლის 18 იანვარამდე.

შპს „ე დმა" შეკვეთილი **ავეჯის ნაწილი** კერძოდ, 8 960 აშშ დოლარის ღირებულების დამზადებული ავეჯი – 20 ცალი მაგიდა ოფისის პერსონალისათვის **მიაწოდა შემკვეთს,** რომელმაც მიიღო დასახელებული ავეჯი. რაც შეეხება დირექტორის კაბინეტისათვის გათვალისწინებულ ავეჯის (მასიური ხის მაგიდა, ხის ტუმბო, სათათბირო მაგიდა, ტელევიზორის დასადგამი ასევე მასიური ხის, მასიური ხის კარადა, მასიური ხის კარადა კომოდი, მასიური ხის ყავის მაგიდა, მასიური ხის ჟურნალის მაგიდა) მიწოდების ვალდებულებას, რომლის საერთო ღირებულება შეადგენდა 17 970 აშშ დოლარს, **იგი მენარდეს სრულად არ შეუსრულებია,** კერძოდ, შეთანხმებით გათვალისწინებული მასიური ხის მაგიდა და სათათბირო მაგიდა შემკვეთს მიაწოდა 2013 წლის 11 თებერვალს, ნაცვლად 2013 წლის 18 იანვრისა, ხოლო დირექტორის კაბინეტისათვის გათვალისწინებული სხვა ნივთები მაგ: მასიური ხის ტუმბო, ტელევიზორის მასიური ხის დასადგამი, მასიური ხის კარადა, მასიური ხის კარადა კომოდი, მასიური ხის ყავის მაგიდა, მასიური ხის ჟურნალის მაგიდა **მენარდეს შემკვეთისათვის საერთოდ არ მიუწოდებია.**

მხარეებმა სადავო გახადეს დირექტორის კაბინეტისათვის გათვალისწინებულ ავეჯის მიწოდების ნაწილში ხელშეკრულების დათქმულ ვადაში შესრულება და 2013 წლის 11 თებერვალს შემკვეთისათვის მიწოდებული დირექტორის კაბინეტისთვის გათვალისწინებული მასიური ხის მაგიდის და სათათბირო მაგიდის შესაბამისობა **ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარისხთან.**

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის პრეტენზია 2013 წლის 11 თებერვალს მიწოდებული ნივთების **ხარისხის ხელშეკრულებასთან შესაბამისობის შესახებ და მიიჩნია, რომ ამ ნაწილში, მო-**

პასუხის პოზიციას აქარწყლებდა 2013 წლის 14 თებერვლის წერილი, რომელშიც, **გამოთქმული იყო პრეტენზია** დირექტორის კაბინეტისთვის გათვალისწინებულ მასიური ხის მაგიდის და სათათბირო მაგიდის ნაკლზე. ამ წერილით მენარდეს განემარტა, რომ მაგიდა დამზადებული უნდა ყოფილიყო მასიური ხისგან და დამუშავებული უნდა ყოფილიყო მაღალი ხარისხის აკრილის ლაკით, ხოლო მიწოდებული მაგიდები შეიცავდა ე.წ. მდფ—ის დეტალებს და არ იყო დამუშავებული მაღალი ხარისხის აკრილის ლაკით, ამასთან მიწოდებული ნივთები არ შეესაბამებოდა შეთანხმებულ ესკიზს. ამასთან, პალატამ განმარტა, რომ ამ ნაწილში, მოსარჩელის პოზიციის დასადასტურებლად **საჭირო არ იყო** დამატებითი მტკიცებულების (ექსპერტიზის დასკვნა) წარმოდგენის საჭიროება.

ასევე დადგენილ იქნა, რომ **დამკვეთის მიერ** წარდგენილი ამ პრეტენზიის გაცნობის შემდგომ **მენარდემ** 2013 წლის 20 თებერვალს **მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე უკან დაიბრუნა მოსარჩელისათვის გადაცემული ნივთები.** ამ ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ 2013 წლის 11 თებერვალს მიწოდებული **მაგიდები უხარისხო იყო და არ შეესაბამებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულს (ნაკლის არსებობა).** ამასთან, გარდა მასიური ხის მაგიდისა და სათათბირო მაგიდისა, რომლებიც **მენარდემ დამკვეთს მიაწოდა ხელშეკრულების დარღვევით,** როგორც მიწოდების ვადის, ასევე მხარეთა მიერ შეთანხმებული ხარისხის დარღვევის თვალსაზრისით, მენარდეს დამკვეთისათვის 2013 წლის 19 იანვრამდე უნდა მიეწოდებინა ასევე დირექტორის კაბინეტისთვის განკუთვნილი მთელი რიგი ნივთები: მასიური ხის ტუმბო, ტელევიზორის მასიური ხის დასადგამი, მასიური ხის კარადა, მასიური ხის კარადა კომოდი, მასიური ხის ყავის მაგიდა, მასიური ხის ჟურნალის მაგიდა. **ეს ნივთები მენარდეს შემკვეთისათვის არ მიუწოდებია.**

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების **სამართლებრივი შეფასების მიზნით** თბილისის სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 317-ე მუხლით. **ასევე, 629—ე მუხლით რომლის თანახმად, ნარდობის** ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკ-

რულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური. თუ ნარდობა ითვალისწინებს რაიმე ნაკეთობის დამზადებას და მენარდე მას ამზადებს თავის მიერ შეძენილი მასალით, მაშინ იგი შემკვეთს გადასცემს საკუთრებას დამზადებულ ნაკეთობაზე. თუ დამზადებულია გვაროვნული ნივთი, მაშინ გამოიყენება ნასყიდობის წესები და მიიჩნია, რომ 2012 წლის 04 დეკემბერს **მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება თავისი სამართლებრივი ბუნებით წარმოადგენდა ნარდობას** და ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ერთი მხრივ, **შპს „ფ. ტ.-ს" ეკისრებოდა „დამკვეთის" და მეორე მხრივ, შპს „ე დს" „მენარდის" უფლებები და მოვალეობები.** სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას და დადგენილად მიიჩნია, რომ **მენარდემ, რომლის ძირითად მოვალეობასაც წარმოადგენდა ნივთების ვადაში და შეთანხმებული ხარისხით დამზადება, დაარღვია ნაკისრი ვალდებულება.** შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ **შემკვეთი უფლებამოსილი იყო,** მოეთხოვა 2012 წლის 04 დეკემბრის **ხელშეკრულების შეწყვეტა** 17 970 აშშ დოლარის ღირებულების ავეჯის დამზადებისა და მიწოდების ნაწილში და მოეთხოვა, ამ ავეჯის **დამზადებისათვის ავანსის სახით გადაცემული თანხის** – 9891 (საიდანაც, 18 851 აშშ დოლარია ავანსის სახით მენარდისათვის გადახდილი თანხა, რომელსაც გამოკლდა 8 960 მენარდის მიერ დამზადებული და დამკვეთის მიერ მიღებული ავეჯის (20 მაგიდის) ღირებულება) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის **გადახდის დაკისრება მენარდისათვის.** ამასთან, პალატამ მიიჩნია, რომ **შემკვეთს აღარ გააჩნია ხელშეკრულების შესრულების ინტერესი,** ვინაიდან მენარდის მიერ დღემდე არ განხორციელებულა დასახელებული ავეჯის მიწოდება დამკვეთისათვის, რომელიც **იძულებული გახდა იგივე სახეობის ნივთები შეეძინა სხვა პირისაგან.** ასევე, პალატამ **უსაფუძლოდ მიიჩნია შეგებებული სარჩელის მოთხოვნა** ზემოთ მითითებული ავეჯის ღირებულების (დარჩენილი ნაწილის) – 8079 აშშ დოლარის და მისი შენახვის ხარჯების (200 ლარის) ანაზღაურების შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება **შპს**

„ე დმა" გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება.

საკასაციო საჩივრის **ძირითადი დასაბუთება** იმ გარემოებას ემყარება, რომ საქმის განმხილველ სასამართლოს არ შეუფასებია მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების სამართლებრივი შინაარსი, მხარეთა უფლებები და მოვალეობები, რომლებიც განსაზღვრავენ ხელშეკრულების არსებით პირობებს. შესაბამისად, სასამართლოს მსჯელობა პროდუქციის მიღების წესსა და ხარისხზე დაუსაბუთებელია. ამასთან, კასატორის განმარტებით 10.02.2013წ.-ს მენარდემ მიაწოდა შემკვეთს ავეჯი, რომლის მონტაჟს ესწრებოდა შპს „ფ. ტ.-ის" დირექტორი (შახრამა), რომელსაც არ გამოუთქვამს პრეტენზია მიწოდების ვადებთან და მიწოდებული ნივთის ხარსისხთან დაკავშირებით. შემკვეთმა მხოლოდ წერილობითი ფორმით გაუგზავნა მენარდეს პრეტენზია ვადებთან და მიწოდებული ნივთის ხარისხთან დაკავშირებით. მოგვიანებით, 2013 წლის 20 თებერვალს მენარდეს შესთავაზეს ახალი წინადადება და შეთანხმდნენ სამომავლო ურთიერთობის ყველა არსებით პირობაზე ე.ი. დადეს ახალი ხელშეკრულება. შესაბამისად, კასატორის განმარტებით უკან დაბრუნებული დაშლილი მაგიდის სახით მიწოდებულ მასალას ახალი წინადადებიდან გამომდინარე ესაჭიროებოდა სხვაგვარად დამუშავება. შესაბამისად, უსაფუძვლოა გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში ასახული დასკვნა ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულების შესახებ. **კასატორის განმარტებით,** მიწოდებული ნივთის ნაკლთან დაკავშირებით სასამართლოს მსჯელობა დაუსაბუთებელია, რადგან იგი ეყრდნობა მხოლოდ საქმის შედეგით დაინტერესებული მხარის ახსნა-განმარტებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 23 ივლისის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად. საკასაციო სასამართლომ საქმის შესწავლისა და საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნია, რომ შპს „ე დის" საკასაციო

საჩივარი არ აკმაყოფილებდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის **გამოც იგი დაუშვებლად მიიჩნია** შემდეგ გარემოებათა გამო: მოცემულ საქმეზე **დადგენილია ფაქტობრივი გარემოება** იმის თაობაზე, რომ 2012 წლის 04 დეკემბერს ერთი მხრივ, შპს „ფ. თ.-სა" და მეორე მხრივ, შპს „ე დს" შორის გაფორმებული ხელშეკრულებით მხარეებს შორის წარმოიშვა ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც ხელშემკვრელ მხარეებს აკისრებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებებსა და მისგან გამომდინარე ვალდებულებებს, კერძოდ, 26 930 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის გადახდის სანაცვლოდ შპს „ე დი" ვალდებული იყო შემკვეთისათვის დაემზადებინა საოფისე ავეჯი. **ხელშეკრულებით განისაზღვრა ავეჯის რაოდენობა და ხარისხი. ასევე მისი მიწოდების ვადა და წესი.** სახელდობრ, შპს „ე დს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული საოფისე ავეჯი უნდა დაემზადებინა ავანსის მიღებიდან 45 დღეში. თავის მხრივ, შპს „ფ. თ.-ს" ავანსის სახით, ავეჯის ღირებულების 70 პროცენტი უნდა გადაეხადა წინასწარ, ხოლო დარჩენილი 30 პროცენტი კი, – საქონლის მიწოდებიდან და მონტაჟიდან 05 კალენდარული დღის ვადაში. ხელშეკრულების თანახმად ავეჯის მიწოდება და დამონტაჟება წარმოადგენდა შპს „ე დის" ვალდებულებას.

საკასაციო პალატამ **მიიჩნია, რომ აღნიშნული გარიგებით მხარეებს შორის წარმოიშვა ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა.** ვინაიდან მხარეებმა სადავოდ გახადეს დირექტორის კაბინეტისათვის გათვალისწინებული ავეჯის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში შესრულება და 2013 წლის 11 თებერვალს შემკვეთისათვის მიწოდებული დირექტორის კაბინეტისთვის გათვალისწინებული მასიური ხის მაგიდისა და სათათბირო მაგიდის ხარისხი, **საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებებზე, რომლებიც შეეხება ნივთების მიწოდების ვადასა და მიწოდებული ნივთების ხარისხს.**

მოცემულ საქმეზე **უდავო ფაქტობრივ** გარემოებადაა მიჩნეული 2012 წლის 04 დეკემბერს **მენარდის ანგარიშზე ავანსის სახით,** 31 290,77 (18 851 აშშ დოლარის ეკვივალენტი) ლარის გადარიცხვა. **ასევე უდავო გარემოებაა, რომ მენარდემ შემკვეთს მიაწოდა შეკვეთი-**

ლი ავეჯის ნაწილი, სახელდობრ, 8960 აშშ დოლარის ღირებულების დამზადებული ავეჯი – 20 ცალი მაგიდა ოფისის პერსონალისათვის. რაც შეეხება დირექტორის კაბინეტისათვის გათვალისწინებული ავეჯის (მასიური ხის მაგიდა, ხის ტუმბო, სათათბირო მაგიდა, ტელევიზორის დასადგამი ასევე მასიური ხის, მასიური ხის კარადა, მასიური ხის კარადა კომოდი, მასიური ხის ყავის მაგიდა, მასიური ხის ჟურნალის მაგიდა) მიწოდების ვალდებულებას, რომლის საერთო ღირებულება შეადგენდა 17 970 აშშ დოლარს, ამ ნაწილში მენარდემ ვალდებულება სრულად არ შეასრულა, კერძოდ, შეთანხმებით გათვალისწინებული 2013 წლის 18 იანვრის ნაცვლად მასიური ხის მაგიდა და სათათბირო მაგიდა შემკვეთს მიაწოდა 2013 წლის 11 თებერვალს. ხოლო დირექტორის კაბინეტისათვის გათვალისწინებული სხვა ნივთები მაგ: მასიური ხის ტუმბო, ტელევიზორის მასიური ხის დასადგამი და სხვ. **მენარდეს შემკვეთისათვის საერთოდ არ მიუწოდებია.**

ამასთან, **დადგენილ იქნა საქმისათვის** მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ 2013 წლის 11 თებერვალს მიწოდებული ნივთებიდან დირექტორის კაბინეტისათვის გათვალისწინებულ მასიური ხის მაგიდა და სათათბირო მაგიდა **ნაკლიანი იყო,** კერძოდ, **ისინი შეუსაბამო იყო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარისხთან,** რადგან მაღალი ხარისხის აკრილის ლაკით დამუშავებული მაგიდის ნაცვლად შემკვეთს მიეწოდა ე.წ. მდფ—ის დეტალებით დამუშვებული მაგიდა. **გარდა ამისა, მიწოდებული ნივთები არ შეესაბამებოდა შეთანხმებულ ესკიზს.**

ასევე დადგენილ იქნა, რომ მენარდეს დამკვეთისათვის 2013 წლის 19 იანვრამდე უნდა მიეწოდებინა ასევე დირექტორის კაბინეტისთვის განკუთვნილი მთელი რიგი ნივთები: მასიური ხის ტუმბო, ტელევიზორის მასიური ხის დასადგამი, მასიური ხის კარადა, მასიური ხის კარადა კომოდი, მასიური ხის ყავის მაგიდა, მასიური ხის ჟურნალის მაგიდა. **ეს ნივთები მენარდეს შემკვეთისათვის არ მიუწოდებია.** ამდენად, დირექტორის კაბინეტისთვის განკუთვნილი 17 970 აშშ დოლარის ღირებულების ავეჯის დამზადებისა და მიწოდების ნაწილში **მენარდემ ვალდებულება არ შეასრულა.**

საკასაციო პალატამ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მიერ

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება და მიაჩნია, **რომ ხელშეკრულებიდან ცალმხრივად გასვლის ნაწილში,** ძირითადი სარჩელის დაკმაყოფილების მიზნებისათვის სააპელაციო სასამართლომ სწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც ბლანკეტური შინაარსისაა და შეიცავს დათქმას ამავე კოდექსის 405-ე მუხლით გათვალისწინებულ პირობებზე და აწესებს ქცევის იმგვარ წესს, რომლის თანახმად, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ (ნატურით დაბრუნება). **როგორც მოცემულ საქმეზეა დადგენილი მენარდის მიერ დღემდე არ განხორციელებულა დასახელებული ავეჯის მიწოდება დამკვეთისათვის.** ამასთან, სარჩელის დაკმაყოფილებით **მთლიანად გამოირიცხა შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება** 2012 წლის 04 დეკემბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული დარჩენილი თანხის 8079 აშშ დოლარისა და ავეჯის შენახვის ხარჯების ანაზღაურების 200 ლარის ოდენობის ნაწილში.

ამდენად, საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში, არ გამოიკვეთა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობა."[773]

სხვაგვარად წყდება საკითხი ბეს შემთხვევაში.[774] ბედ მიიჩნევა ფულადი თანხა, რომელსაც ხელშეკრულების ერთი მხარე აძლევს მეორე მხარეს და ამით დასტურდება ხელშეკრულების დადების ფაქტი. თუ შემკვეთი დაარღვევს ვალდებულებას, ბე დარჩება მენარდეს. ამასთან ბე ჩაითვლება ზიანის ანაზრაურების ანგარიშში. მაგალითად, თუ ნარდობის ხელშეკრულებით შემკვეთს მენარდისათვის უნდა გადაეხადა 500 ლარის ოდენობის საზღაური და წინასწარ ბეს სახით გადასცა 100 ლარი, შემდეგში კი შემკვეთმა დაარღვია ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულება, მაშინ სკ-ის 423-ე მუხლის საფუძველზე წინასწარ გადახდილი თანხა დარჩება მენარდეს და ეს თანხა ჩაითვლება აგრეთვე მენარდისათვის მიყ-

---

[773] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 19 მარტის განჩინება საქმეზე №ას-730-698-2014.

[774] ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, 253.

ენებული ზიანის ანაზღაურების ანგარიშში (ზიანის ოდენობა განისაზღვრება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის გარემოებების გათვალისწინებით). თუ ვალდებულების დარღვევა გამოწვეული იქნება მენარდის ბრალით, მაშინ მან შემკვეთს ბე უნდა დაუბრუნოს ორმაგად. ამასთან შემკვეთს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურებაც (მისი არსებობის შემთხვევაში).[775]

თუ ნარდობის ხელშეკრულება ჩაითვლება ბათილად, მაშინ მხარეებს არც სკ-ის 423-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგების მოთხოვნა შეეძლებათ.[776] ასეთ შემთხვევაში ბეს უკან დაბრუნება მოხდება სკ-ის 976 I მუხლის „ა" პუნქტის საფუძველზე (უსაფუძვლო გამდიდრება).[777]

მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, თუ მხარეებს სურთ, რომ წინასწარ გადახდილი თანხა მიჩნეული იქნეს ბედ, ამის შესახებ პირდაპირ უნდა მიუთითონ ხელშეკრულებაში.[778] ყოველგვარი ეჭვი გადაწყდება იმის სასარგებლოდ, რომ წინასწარ გადახდილი თანხა არის ავანსი.[779] „განსახილველ შემთხვევაში ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშვა ყოველი შესრულებული სამუშაოს ჩაბარების დროიდან ჩაბარებასთან ერთად წარდგენილი ანგარიშფაქტურით დამტკიცებული კალკულაციის მიხედვით. სასამართლომ დაადგინა, რომ მენარდის მიერ შემკვეთისათვის სამუშაოს ჩაბარების დროისათვის, კერძოდ, 2008 წლის 2 დეკემბრისათვის შესრულებული სამუშაოებისათვის გადასახდელმა თანხამ 21421.70 ლარი შეადგინა."[780]

აღსანიშნავია, რომ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 632a-ე პარაგრაფის I აბზაცის თანახმად, მენარდეს შეუძლია შემკვეთისაგან მოითხოვოს ხელშეკრულების პირობების შესაბამისად განხორ-

---

[775] ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი I, 648-ე მუხლი, გვ.279.

[776] ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, 253.

[777] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 17 იანვრის №ას-3კ/80-01 განჩინება.

[778] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 90.

[779] ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, 236.

[780] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 23 მაისის განჩინება საქმეზე №ას- 496-470-2011.

ციელებული სამუშაოსათვის ავანსის გადახდა, აგრეთვე მოითხოვოს სამუშაოს შესასრულებლად გამოყენებული თავისი კუთვნილი მასალის ღირებულების ანაზღაურება.[781]

XI. 3. სამუშაოს მიღება

ნარდობის ხელშეკრულებით, შემკვეთის ერთ-ერთ ძირითად ვალდებულებას წარმოადგენს მიიღოს შესრულებული სამუშაო და გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური.[782] „ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მტკიცება, რომ, ვინაიდან ექსპერტიზის დასკვნა მოპასუხეს **არ გადასცემია** და არც საქმეშია წარმოდგენილი, **სამუშაოს შესრულების ფაქტი არ დასტურდება,** რის გამოც გ. ხ-ე **ვალდებული არაა,** აანაზღაუროს ექსპერტიზის ჩატარების საფასური. რაც შეეხება **იმ გარემოებას, რომ ექსპერტიზის დასკვნა** გ. ხ-ეს არ გადასცემია, საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ **სამოქალაქო კოდექსის 649-ე მუხლის** მიხედვით, თუ ხელშეკრულების თანახმად ან შესრულებული სამუშაოს ხასიათიდან გამომდინარე, საჭიროა მისი გადაცემა, მაშინ შემკვეთი მოვალეა მიიღოს შესრულებული სამუშაო. მიღებისთანავე შემკვეთი ვალდებულია გადაიხადოს საზღაური. სამუშაო მიღებულად ჩაითვლება, თუ შემკვეთი არ მიიღებს შესრულებულ სამუშაოს მენარდის მიერ დადგენილ ვადაში. მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო ანაზღაურების გადახდა სამუშაოს **შესრულებიდან დასკვნის მიღებამდე.** საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება სააპელაციო სასმართლოს მოსაზრებას, რომ ზემოაღნიშნულ მუხლზე დაყრდნობით, ექსპერტიზის ბიუროს ანაზღაურების მოთხოვნის უფლება დასკვნის გადაცემის შემდეგ წარმოეშობოდა. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ განსხვავებით სკ-ის 648-ე მუხლისაგან, რომელიც განსაზღვრავს საზღაურის მოთხოვნის უფლების წარმოშობის მომენტს, სკ-ის **649-ე მუხლი არ არის იმპერატიული და არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ მხარეთა შეთანხმებით საზღაური გადახდილ იქნეს სამუშაოს**

[781] Busche, in MüKo.BGB, Band 4.,5.Aufl. §632 a, Rn.2

[782] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 89.

შესრულების შემდეგ, მაგრამ მის გადაცემამდე. მით უმეტეს, რომ, სამოქალაქო კოდექსის 634-ე მუხლის თანახმად, მენარდეს თავისი მოთხოვნების უზრუნველსაყოფად შეუძლია გამოიყენოს გირავნობის უფლება მის მიერ დამზადებულ ან შეკეთებულ მოძრავ ნივთზე, თუ ეს ნივთი დამზადების ან შეკეთების მიზნით მენარდის მფლობელობაში იმყოფება. მენარდის ერთ-ერთი მოთხოვნაა შესრულებული სამუშაოსათვის ანაზღაურების მიღება, რომელიც, როგორც ზემომითითებული მუხლი ცხადყოფს, ნივთის დამკვეთისათვის გადაცემამდეც შეიძლება წარმოიშვას. სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ საქმეში წარმოდგენილია მიღება-ჩაბარების აქტი. ვინაიდან გ. ხ-ემ მხარეთა შეთანხმებული საზღაური არ გადაიხადა, **მან უარი განაცხადა,** მიეღო შესრულებული სამუშაო, სწორედ ამ მიზეზით არ არის მისი ხელმოწერა მიღება-ჩაბარების აქტზე. ასევე არასწორია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ კანონი ითვალისწინებს დამკვეთის შესაგებლებს მენარდის მიმართ, რაც აბრკოლებს ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის 642-ე-645-ე მუხლებით გათვალისწინებული დამკვეთის დამატებითი **მოთხოვნის უფლებები არ გამორიცხავს ანაზღაურების გადახდის ვალდებულებას.** ბუნებრივია, თუ დამკვეთის პრეტენზიის საფუძველი საზღაურის გადახდამდე წარმოიშობა, ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება შესაბამისად აისახება ანაზღაურებაზეც, მაგრამ, თუ მხარეთა შეთანხმება ითვალისწინებს საზღაურის გადახდას ნივთის გადაცემამდე, დამატებითი მოთხოვნის უფლების შესაძლო არსებობა ამ ვალდებულებაზე გავლენას არ ახდენს. მით უფრო, რომ სამოქალაქო კოდექსის 655-ე მუხლის მიხედვით, მოთხოვნა შესრულების ნაკლის გამო შემკვეთმა შეიძლება წარადგინოს ერთი წლის მანძილზე, ხოლო ისეთი მოთხოვნა, რომელიც ნაგებობას შეეხება - ხუთი წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს მიღების დღიდან. სააპელაციო სასამართლოს მტკიცებიდან გამომდინარე, თუ მენარდეს მხოლოდ მას შემდეგ წარმოეშობა ანაზღაურების მოთხოვნა, თუ დამკვეთი პრეტენზიას არ წარუდგენს, მაშინ იგულისხმება, **რომ იგი ამ საპრეტენზიო ვადების გასვლასაც უნდა დაე-**

ლოდოს, რაც, ცხადია, უსამართლოა და სამართლებრივად არასწორი.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ასევე დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მითითება, რომ ექსპერტის დასკვნის წარმოუდგენლობის პირობებში სასამართლოს არ შეეძლო, დაედგინა ის ობიექტები, რომელზეც ჩატარდა ექსპერტიზა და საქართველოს მთავრობის 2011 წლის 13 მაისის #215 დადგენილებით დამტკიცებული ტარიფების მიხედვით განესაზღვრა – **მართლაც იმ ოდენობით იყო თუ არა გადასახდელი საზღაური, რასაც მოსარჩელე ითხოვდა.** ის გარემოება, თუ რამდენად სწორად მოითხოვა **მოსარჩელემ მომსახურების ანაზღაურება, მოპასუხის შედავების საგანია.** განსახილველ შემთხვევაში კი, გ. ხ-ე არ მიუთითებდა, რომ მოთხოვნილი ანაზღაურება შესრულებულ სამუშაოს არ შეესაბამებოდა. იგი ამტკიცებდა, რომ ბიუროს ტარიფები მისთვის ცნობილი არ იყო და არა იმას, რომ კონკრეტული სამუშაოს მიმართ სხვა ტარიფები **უნდა ყოფილიყო გამოყენებული.**

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სამართლებრივად დაუსაბუთებელია, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე1" ქვეპუნქტის საფუძველზე, მისი გაუქმების აბსოლუტური საფუძველია. იმავე კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით კი, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იმ მიზეზითაა მიღებული, რომ სააპელაციო სასამართლომ **არასწორად განმარტა ნარდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმები,** ამდენად, საქმის ხელახლა განსახილველად **დაბრუნების საფუძველი არ არსებობს.** საკასაციო სასამართლო მიიჩნია, რომ, განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხეს სამუშაოს შესრულების ფაქტი სადავოდ არ გაუხდია. ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სამუშაოს შესრულება კი, მენარდის მხრიდან ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას წარმოშობს;

ამდენად, ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სარჩელი საფუძვლი-

ანია და უნდა დაკმაყოფილდეს".[783]

თუ შემკვეთი არ ღებულობს მენარდის მიერ შესრულებულ სამუშაოს, ასეთ შემთხვევაში მოქმედებს შესრულების მიღების პრეზუმპცია. ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ მიუთითა, რომ „რადგან შემკვეთმა არ მიიღო შესრულებული სამუშაო მენარდის მიერ დადგენილ ვადაში, სამუშაო მიღებულად ითვლება."[784] ანალოგიურად გადაწყვიტა სასამართლომ ეს საკითხი სხვა შემთხვევაშიც, კერძოდ „სასამართლომ სამუშაო მიღებულად ჩათვალა, ვინაიდან მოპასუხემ არ მიიღო შესრულებული სამუშაო მხარეთა მიერ დადგენილი წესით. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, დადასტურებულად იქნა მიჩნეული, რომ მენარდის მიერ შესრულებულ სამუშაოს არ ჰქონდა ნაკლი და მისი არსებობის შემთხვევაშიც, შემკვეთს არ განუსაზღვრავს ვადა ნაკლის აღმოსაფხვრელად. შესაბამისად, სასამართლომ მოპასუხის უარი დარჩენილი თანხის გადახდაზე მენარდის მიერ ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების საფუძვლით, დაუსაბუთებლად მიიჩნია."[785]

„სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ (მენარდემ) შეასრულა ნაკისრი ვალდებულება, მაგრამ მოპასუხის მიერ არ იქნა შესრულებული ვალდებულება ჯეროვნად და სრულად არ იქნა ანაზღაურებული მიღებული მომსახურების ღირებულება. [786]

შესრულებული სამუშაოს მიღებაში[787] ერთმანეთისაგან არის გამიჯნული ორი ეტაპი: მენარდის მიერ სამუშაოს გადაცემა და შემკვეთის მიერ შესრულებული სამუშაოს მიღება.[788] სამუშაოს გადაცე-

[783] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-184-177-2013.

[784] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 3 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-1072-1102-2011.

[785] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 27 სექტემბრის განჩინება საქმეზე №ას-626-587-2010.

[786] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 ივნისის განჩინება საქმეზე №ას -404-385-2015.

[787] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 9 მარტის განჩინება საქმეზე №ას-36-371-09.

[788] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 14 მაისის განჩინება საქმეზე №ას-307-628-09.

მა, ერთის მხრივ წარმოშობს შემკვეთის ვალდებულებას, მიიღოს მენარდის მიერ შესრულებული სამუშაოს შედეგი, ხოლო მეორეს მხრივ – მენარდის უფლებას, მოითხოვოს შემკვეთისაგან შეთანხმებული საზღაური.[789] ერთერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ „სადავო მოთხოვნის წარმოშობის მომენტის განსაზღვრისას სააპელაციო პალატამ არასწორად გამოიყენა და განმარტა სამოქალაქო კოდექსის 649-ე მუხლის დანაწესი. აღნიშნული ნორმა საზღაურის გადახდის ვალდებულებას უკავშირებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით სრულად შესრულებული სამუშაოს შემკვეთის მიერ მიღების ფაქტს. მოცემულ შემთხვევაში უდავოა, რომ მენარდეს მხარეთა შეთანხმებული სამუშაოები სრულად არ უწარმოებია და მშენებლობა არ დაუსრულებია."[790]

სამუშაოს მიღების ვალდებულება იმაშიც გამოიხატება, რომ შემკვეთმა უნდა შეამოწმოს შესრულებული სამუშაოს შედეგის ხარისხი.[791] ერთერთ საქმეზე სასამართლომ მიუთითა, რომ „საქმის მასალებიდან ირკვევა, ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები დასრულდა 2009 წლის 5 იანვარს. შესაბამისად, შემკვეთს წარმოეშვა ვალდებულება, მიეღო სამუშაო და გადაეხადა საზღაური".[792]

ცალკეულ შემთხვევებში (მაგალითად, ნარდობის ხელშეკრულებით მოხდა ნაგებობის აშენება) შეიძლება წარმოიშვას შესრულებული სამუშაოს ექსპერტიზის ჩატარების საჭიროება.[793] ექსპერტიზის ხარჯებს გაიღებს ის მხარე, რომელიც მოითხოვს ექსპერტიზის ჩატარებას, ხოლო თუ ამას მოითხოვს ორივე მხარე, მაშინ ხარჯები მათ შორის თანაბრად განაწილდება."[794]

---

[789] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 30 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-84-417-09.

[790] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 3 მაისის განჩინება საქმეზე №ას-1580-1579-2011.

[791] Henkel,Werkvertrag –Der abschließende Charakter der abnahmefiktion in §640 Abs.1 BGB; MDR 2003, 913.

[792] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 26 მარტის განჩინება საქმეზე №ას -309-295-2012.

[793] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 90.

[794] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012

სამუშაოს მიღების შესახებ, როგორც წესი, ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი. ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ „სარემონტო სამუშაოების დასრულების შესახებ და ობიექტის მიღება-ჩაბარების პროცედურის დაწყებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმების მოთხოვნით, მენარდემ შემკვეთს პირველად წერილობით 2009 წლის 21 აპრილს, ხოლო განმეორებით 2009 წლის 25 მაისსა და 11 ივნისს აცნობა, რაზეც შემკვეთმა მხოლოდ 2009 წლის 26 ივნისს უპასუხა და მოსარჩელეს აცნობა, რომ შექმნა სამუშაოების მიმღები კომისია. 2009 წლის 21 აპრილის საექსპერტო დასკვნის თანახმად, რომელიც 2008 წლის 10 დეკემბრიდან სარემონტო სამუშაოების ინსპექტირებას მუდმივად ახორციელებდა, სარემონტო სამუშაოები დაიწყო 2008 წლის 4 დეკემბერს და დასრულდა 2009 წლის 21 აპრილს; სასამართლომ მოპასუხის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ მენარდეს მისთვის არ წარუდგენია მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების დედნები, არ გაიზიარა, ვინაიდან აღნიშნა, რომშემკვეთმა მიუხედავად ექსპერტის დადებითი დასკვნისა, მოსარჩელესთან არ გააფორმა მიღება-ჩაბარების აქტი, რითაც მოპასუხემ (შემკვეთმა) დაარღვია ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების შესაბამისი მუხლები. სასამართლომ საქმეში არსებულ მტკიცებულებათა გათვალისწინებით, დადასტურებულად მიიჩნია, რომ მოპასუხის მიერ შექმნილი კომისიის ოქმით გამოვლენილი შესრულებული სამუშაოების ხარვეზის არსებობა არ დასტურდებოდა იმ დროისათვის, როდესაც 2008 წლის 4 დეკემბერის ხელშეკრულების 4.1. მუხლის თანახმად, შემკვეთს სამუშაოს მიღება ევალებოდა. სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 649-ე მუხლის შესაბამისად, სამუშაო მიღებულად ჩათვალა, ვინაიდან მოპასუხემ არ მიიღო შესრულებული სამუშაო მხარეთა შეთანხმებით დადგენილი წესით".[795]

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 640-ე პარაგრაფის I აბზაცის თანახმად, შემკვეთი ვალდებულია მიიღოს შესრულებული სამუშაო.[796] სამუშაო მიღებულად ჩაითვლება, თუ შემკვეთი არ მიიღებს

წლის 6 იანვრის განჩინება საქმეზე №ას-1753-1734-2011.

[795] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 27 სექტემბრის განჩინება საქმეზე №ას-626-587-2010.

[796] Busche, in MüKo.BGB, Band 4.,5.Aufl. §640, Rn.3.

შესრულებულ სამუშაოს მენარდის მიერ დადგენილ ვადაში.[797] შესრულებული სამუშაოს მიღებით შემკვეთი ადასტურებს, რომ მენარდემ ჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო.[798] ამიტომაც, შემკვეთი ამ მოქმედების განხორციელებით კარგავს ნაკლთან დაკავშირებით მოთხოვნის უფლებებს, რომლებიც გათვალისწინებულია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 634-ე პარაგრაფის 1-3 ნაწილების დანაწესებით. ეს წესი არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როცა საუბარია ფარულ ნაკლზე,[799] ასევე იმ შემთხვევებზე, როდესაც შემკვეთი სამუშაოს მიღებისას გააკეთებს დათქმას ნაკლის გამო არსებული უფლებების შენარჩუნების შესახებ (გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 640-ე პარაგრაფის II აბზაცი).[800]

სამუშაოს მიღების მომენტიდან: ა) იწყება ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს არაჯეროვანი შესრულებისათვის კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადების დენა (გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 634-ა პარაგრაფის II აბზაცი); ბ) შემკვეთმა უნდა გადაიხადოს შესრულებული სამუშაოსათვის შეთანხმებული საზღაური. თუ სამუშაო მიღებული უნდა იქნეს ნაწილ-ნაწილ და საზრაური დადგენილია ცალკეული ნაწილებისათვის, მაშინ შემკვეთმა საზღაური უნა გადაიხადოს ცალკეული ნაწილის მიღებისას (გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 641-ე პარაგრაფის I აბზაცი); გ) თუ შემკვეთი ბრალეულად გააჭიანურებს საზღაურის გადახდას, მას დაერიცხება პროცენტები (გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 641-ე პარაგრაფის IV აბზაცი); დ) სამუშაოს გადაცემის მომენტიდან მენარდეს აღარ ეკისრება შემთხვევითი დალუპვის ან დაზიანების რისკი (გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 644-ე პარაგრაფის I აბზაცი); ე) წყდება შემკვეთის უფლება თავისი შეხედულებისამებრ ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულება (გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 649-ე პარაგრაფის I წინადადება). ვ) მტკიცების ტვირთის შეცვლა. როგორც წესი, შემკვეთის მიერ

[797] Wagen , §640 Abs.1.S.3 für die Entbehrlichkeit derartiger Klauseln Basty DNotZ 2000,260.

[798] BGHZ 48, 262 18.09.1967.

[799] Roth, Die Reform des Werkvertragsrechts, JZ 2001, S.543-551.

[800] Busche, in MüKo.BGB, Band 4.,5.Aufl. §640, Rn.7. Peters, in Staudinger BGB Komm. (2005), §640, Rn.5.

სამუშაოს მიღებამდე მენარდეს ეკისრება შესრულებული სამუშაოს უნაკლოობის მტკიცება. სამუშაოს მიღების შემთხვევაში მტკიცების ტვირთი გადადის შემკვეთზე.[801]

ზოგიერთ შემთხვევაში, ნარდობის ხელშეკრულება ითვალისწინებს ისეთი მოქმედებების შესრულებას, რომელთა მიმართაც შეუძლებელია განხორციელდეს ფორმალური მიღების აქტი, მაგალითად, ფეხბურთის მატჩის დროს სტადიონზე სარეკლამო პლაკატების განთავსება. მსგავს შემთხვევებში აღნიშნული სამართლებრივი შედეგები გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 646-ე პარაგრაფის შესაბამისად დგება სამუშაოს შესრულების შემდეგ.[802]

XI. 4. შესრულებული სამუშაოს მიღების სამართლებრივი შედეგები

შესრულებული სამუშაოს მიღება წარმოშობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ შემდეგ სამართლებრივ შედეგებს: ა) იწყება შესრულების ნაკლის გამო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა; ბ) შემკვეთმა უნდა გადაუხადის მენარდეს საზღაური; გ) თუ შემკვეთი გადააცილებს საზღაურის გადახდის ვადას, მას შეიძლება დაეკისროს დამატებითი პასუხისმგებლობა (ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო და ა.შ.);[803] დ) შემკვეთზე გადადის შესრულებული სამუშაოს შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკი; ე) თუ შემკვეთი დროულად არ მიიღებს შესრულებულ სამუშაოს, მენარდეს წარმოეშვება სკ-ის 633-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. ვ) თუ შემკვეთი დროულად არ მიიღებს შესრულებულ სამუშაოს, მენარდეს წარმოეშვება სკ-ის 634-ე მუხლით გათვალისწინებული გირავნობის უფლება.[804]

მეტად მნიშვნელოვან დებულებებს შეიცავს ერთ-ერთ საქმეზე

[801] Sprau, in Palandt BGB Komm.67.Aufl.§634,Rn.8.

[802] Busche, in MüKo.BGB, Band 4.,5.Aufl. §646, Rn.3. Peters, in Staudinger BGB Komm. (2005), §646, Rn.2.

[803] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 10 მაისის განჩინება საქმეზე №ას- 272-530-2008.

[804] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 90.

მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება, კერძოდ „შპს „გ. 2007"-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხეების: ამხანაგობა „თ. მ. ს. 138"-ის, მ. ზ.-ის, გ. ც.-ის, მ. ტ.-ასა და ლ. ჯ.-ის მიმართ, **რომლითაც მოითხოვა, მოპასუხეებისათვის ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე** დავალიანების – 83,945.44 ლარისა და პირგასამტეხლოს – 89,438 ლარის გადახდის დაკისრება. **სარჩელის ფაქტობრივ** გარემოებად მითითებული იქნა, რომ მხარეებს შორის 15.06.2007წ.-ს **გაფორმდა ნარდობის ხელშეკრულება.** მენარდემ შეასრულა გარკვეული სამუშაოები, თუმცა **შემკვეთს სრულად არ აუნაზღაურებია** შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

მოპასუხეებმა სარჩელზე **წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ** ცნეს და განმარტეს, რომ მოპასუხეებს დავალიანება არ გააჩნიათ. **ამასთან, მიუთითეს სარჩელის ხანდაზმულობაზე.**

მოპასუხეებმა პირვანდელ სარჩელთან ერთად **განსახილველად შეგებებული სარჩელი წარადგინეს,** რომლითაც მოითხოვეს შპს „გ. 2007"-ს ამხანაგობა „თ. მ. ს. 138"-ის, მ. ზ.-ის, მ. ტ.-ას და ლ. ჯ.-ის სასარგებლოდ 593,401 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდის დაკისრება. ასევე, შპს „გ. 2007"-ს ამხანაგობა „თ. მ. ს. 138"-ის, მ. ზ.-ის, მ. ტ.-ასა და ლ. ჯ.-ის სასარგებლოდ 239,000 ლარის გადახდის დაკისრება.

შეგებებული სარჩელი ეფუძნება იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ შპს „გ.2007"- ს აქვს ამხანაგობისა და მისი წევრების წინაშე რამდენიმე ასეული ათასი აშშ დოლარის დავალიანება, **რომელიც წარმოშობილია მხარეთა შორის არსებული ნარდობის ხელშეკრულებიდან.** შპს „გ. 2007-მა" ამხანაგობა „თ. მ. ს. 138"-ის **დაკვეთით აწარმოა სამშენებლო სამუშაოები.** აღმოჩნდა, რომ შპს „გ. 2007"-ს ამხანაგობისაგან სახლის **მშენებლობის საფასურად მიღებული** აქვს უფრო მეტი თანხა, ვიდრე ამას ითვალისწინებდა ნარდობის ხელშეკრულება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 12 აგვისტოს გადაწყვეტილებით: შპს „გ. 2007"-ის **სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ:** ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „თ. მ. ს. #138"-ს, მ. ზ.-ეს, გ. ც.-ეს, მ. ტ.-ას და ლ. ჯ.-ს დაეკისრათ 83,985.44 ლარისა (მენარდის საზღაურის სახით) და 20,000 ლარის (პირგასამტეხლოს

სახით) გადახდა.

ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „თ. მ. ს. 138"-ის, მ. ზ.-ის, მ. ტ.-ასა და ლ. ჯ.-ის **შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.**

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „თ. მ. ს. #138"-ის, მ. ზ.-ის, ლ. ჯ.-ისა და მ. ტ.-ას მიერ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 23 დეკემბრის განჩინებით ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „თ. მ. ს. #138"-ის, მ. ზ.-ის, ლ. ჯ.-ისა და მ. ტ.-ას **სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა** ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 12 აგვისტოს გადაწყვეტილება.

მოცემულ საქმეზე **სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე,** რომ 2007 წლის 15 ივნისს ერთი მხრივ, ამხანაგობა „თ. მ. ს. 138"-ს, როგორც „დამკვეთსა" და მეორე მხრივ,შპს „გ. 2007"-ს, როგორც „შემსრულებელს" **შორის გაფორმდა ნარდობის ხელშეკრულება,** რომლის საგანს წარმოადგენდა ქ.ქობულეთში, თ. მ. გამზირზე #138-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო სამუშაოების განხორციელება.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ **სამუშაოთა ღირებულება** იყო 3,697,500 ლარი, დამატებითი ღირებულების გადასახადის ჩათვლით. ეს თანხა გაანგარიშდა 1მ2 მშენებლობის ღირებულების – 238 აშშ დოლარის ეკვივალენტით ლარში, კურსით: 1 აშშ დოლარი = 1.7 ლარს. **მხარეები ასევე შეთანხმდნენ ხარჯთაღრიცხვის შესაძლო ცვლილებებზე, რისთვისაც აუცილებელი იყო დამატებითი შეთანხმების გაფორმება (2.5 პუნქტი).** სამუშაოს შესრულების **პერიოდი განისაზღვრა** 2007 წლის პირველი ივლისიდან 2008 წლის ივნისამდე. დამკვეთის მიერ თანხის **გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში,** შემსრულებელს ქონდა პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება, რაც შეადგენდა გადასახდელი თანხის 0.1%-ს. სააპელაციო სასამართლომ **მიიჩნია, რომ მხარეები ფაქტობრივად შეთანხმდნენ შესრულებული სამუშაოების ანაზღაურებაზე ეროვნულ** ვალუტაში (ლარში), რომლის ოდენობის გაანგარიშებისათვის ერთჯერადად განისაზღვრა ასაშენებელი 1მ2 ფართობის შენობა-ნაგებობის მშენებლობის

ღირებულება 238 აშშ დოლარის ოდენობით. ხელშეკრულებითვე დადგინდა, თუ რა კურსით უნდა მომხდარიყო ანგარიშსწორება: 1 აშშ დოლარი = 1.7 ლარს. ამდენად, 1მ2 ფართობის შენობა-ნაგებობის მშენებლობის ღირებულება იყო 404.6 ლარი (238 აშშ დოლარი X 1.7 ლარზე) და **ეს ღირებულება არ იყო დამოკიდებული ფულის კურსის ცვალებადობაზე.** 2008 წლის 04 აპრილს ერთი მხრივ, ამხანაგობა „თ. მ. ს. 138"-, როგორც „დამკვეთს" და შპს „გ. 2007"-ს, როგორც „მიმწოდებელს" შორის დაიდო დამატებითი ხელშეკრულება ნასყიდობისა და მომსახურების შესახებ (ლიფტების შეძენა და მონტაჟი), რომლის საგანს წარმოადგენდა 3 ცალი 10 სართულიანი (გაჩერებიანი), 630კგ. ტევადობის ლიფტის გადაცემა და მონტაჟი, 96900 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ($ – კ=1.49 ლარი, დღგ-ს ჩათვლით) გადახდის პირობით. 2008 წლის 05 ნოემბერს ამხანაგობა „თ. მ. ს. 138"-ის **თავმჯდომარემ წერილით მიმართა შპს „გ. 2007"-ის დირექტორს, რომელსაც სთხოვა მშენებლობის შეჩერება** 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად ბინების გაყიდვების შემცირებისა და შექმნილი მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო. დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ შპს „გ. 2007"-მა 2007 წლის 15 ივნისისა და 2008 წლის 04 აპრილის **ნარდობის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამუშაოები დაასრულა 2010 წლის 10 დეკემბერს.** სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ აღნიშნული აუდიტორული დასკვნა წარმოდგენილი იყო თავად აპელანტის (მოპასუხე) მიერ და მასში მითითებული იყო, რომ მშენებლობა მიმდინარეობდა 2007-2010წწ.-ში და დასკვნის მომზადების პერიოდშიც იგი დასრულებული არ იყო. სააპელაციო სასამართლომ **დაუსაბუთებლად მიიჩნია აპელანტის პრეტენზია** იმის შესახებ, რომ მშენებლობა 2010 წლის 10 დეკემბრამდე დასრულდა და 10 დეკემბერს უბრალოდ შედგა შესრულებული სამუშაოს მიღება. ამხანაგობა „თ. მ. ს. 138"-მ შპს „გ. 2007"-**ს შესრულებული სამუშაოებისათვის სულ გადაუხადა 5647461 ლარი; გადასახდელი დარჩა 83985.44 ლარი.** სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ზემოაღნიშნული აუდიტორული დასკვნა და აუდიტორის 22.04.2014წ.-ის მიმართვაც წარმოდგენილი იყო თავად აპელანტის (მოპასუხე) მიერ. **მათში აღნიშნული იყო, რომ დავალიანება სწორედ ამ ოდენობისაა** და მისი დადგენისას აუდიტორი დაე-

ყრდნო 2011 წლის 30 სექტემბრის შედარების აქტს, როგორც სათანადო და ნამდვილ ბუღალტრულ დოკუმენტს. ამდენად, აპელანტის პრეტენზია იმის შესახებ, რომ ვინაიდან 2011 წლის 30 სექტემბრის შედარების აქტს ხელს აწერდა მხოლოდ ბუღალტერი, ეს აქტი არ უნდა ყოფილიყო მიჩნეული დავალიანების ოდენობის განმსაზღვრელ შესაბამის მტკიცებულებად დაუსაბუთებლად იქნა მიჩნეული.2012 წლის 15 მაისს შპს „გ. 2007"-ის დირექტორმა წერილობით მიმართა ამხანაგობა „თ. მ. ს. 138"-ის თავმჯდომარეს, **რომელსაც მოსთხოვა დარჩენილი დავალიანების ანაზღაურება.** სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4, 102-ე მუხლებზე და მიიჩნია, რომ ამხანაგობა „თ. მ. ს. 138"-მა **ვერ დაადასტურა ის გარემოება, რომ მან საკუთარი ძალებით შეასრულა სადავო სამუშაოები** (სადარბაზოს კეთილმოწყობის სამუშაოები – 40000 ლარის ღირებულების, ლიფტების მონტაჟის სამუშაოები – 73000 აშშ დოლარის ღირებულების, ეზოს კეთილმოწყობისა და ღობის მოწყობის სამუშაოები – 60000 ლარის ღირებულების, შენობის გარეთა ფასადის შელებვის სამუშაოები – 35000 ლარის ღირებულების), რადგან საქალაქო სასამართლომ სწორად არ გაიზიარა შპს „დ.-ის" 2011 წლის 09 დეკემბრის დასკვნის მონაცემები: მე-3 შეკითხვის ნაწილში, აუდიტორული დასკვნა არანაირ დასაბუთებას და გაანგარიშებას არ შეიცავდა, თუ რა ბუღალტრულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით დაადგინა აუდიტორმა ამ ღირებულების სამუშაოების შესრულების გარემოება ამხანაგობის მიერ. სააპელაციო სასამართლომ **არ გაიზიარა მოპასუხის მითითება შპს „გ. 2007"-ის სარჩელის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით** და აღნიშნა, რომ ვინაიდან 2007 წლის 15 ივნისის და 2008 წლის 4 აპრილის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამუშაოები შემკვეთმა დაასრულა 2010 წლის 10 დეკემბერს, ხანდაზმულობის ვადა უნდა ათვლილიყო სწორედ ამ მომენტიდან. სარჩელი კი, სასამართლოში შპს „გ. 2007"-მა აღძრა 2013 წლის 13 ნოემბერს. **დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასების მიზნით,** სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო **კოდექსის 629-ე მუხლის პირველ ნაწილზე,** რომლის თანახმად, ამ ხელშეკრულებებით მენარდემ – შპს „გ. 2007"-მა იკისრა ვალდებულება – შეესრულებინა სამშენებლო

სამუშაოები და მიეწოდებინა (დაემონტაჟებინა) ლიფტები შემკვეთის – ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „თ. მ. ს. #138"-ის სასარგებლოდ და მის კუთვნილ სამშენებლო ობიექტზე; შემკვეთს კი, დაეკისრა ვალდებულება გადაეხადა მენარდისათვის შეთანხმებული საზღაური. მენარდემ სარჩელი აღძრა შეთანხმებული **საზღაურის აუნაზღაურებელი ნაწილის – 83985.44 ლარისა და მისი გადახდის დაყოვნებისათვის** ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდევინების მოთხოვნით. ამდენად, მოსარჩელეს უნდა მიეთითებინა და დაემტკიცებინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებების არსებობა: ა) მან ჯეროვნად შეასრულა ნაკისრი ვალდებულება; ბ) შემკვეთს სრულად არ გადაუხდია შეთანხმებული საზღაური დადგენილ ვადაში; გ) ვალდებულების ჯეროვანი შეუსრულებლობისათვის დაწესებული იყო პირგასამტეხლო დადგენილი ფორმით და გონივრული ოდენობით. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ **მენარდემ დაამტკიცა ზემოთ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების არსებობა.** შეთანხმებული საზღაურის აუნაზღაურებელი ნაწილის ოდენობა განისაზღვრა, როგორც მოსარჩელის, ასევე, თვითონ აპელანტის (მოპასუხე) მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით. სამოქალაქო კოდექსის 417-ე-418-ე მუხლების თანახმად, პირგასამტეხლო არის მხარეთა წერილობითი ფორმით დადებული შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის. უდავო გარემოებად იქნა მიჩნეული, რომ მხარეები შეთანხმდნენ პირგასამტეხლოზე კანონით დადგენილი ფორმით. დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, გონივრულად იქნა მიჩნეული, რომ მოვალეს გადაეხდა პირგასამტეხლო დავალიანების ძირითადი თანხის 0.07%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამდენად, გადაუხდელი საზღაურის ოდენობის (83985.44 ლარი) და მისი გადახდის ვადის გადაცილების პერიოდის (2010 წლის 10 დეკემბრიდან 2013 წლის ნოემბრამდე) გათვალისწინებით პირგასამტეხლოს თანხა მნიშვნელოვნად აღემატებოდა გასაჩივრებული გადაწყვეტილებით შემკვეთისათვის დაკისრებულ 20000 ლარს (83985.44-ის 0.07%=58.78 ლარს, რომელიც, დაახლოებით 35 თვეზე გაანგარიშებით შეადგენდა 61729 ლარს). **ვინაიდან**

მენარდეს სააპელაციო საჩივარი არ წარმოუდგენია, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირგასამტეხლოს გადახდევინების ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება კანონიერი იყო.სასარჩელო ხანდაზმულობის არსისა და მისი პრაქტიკული მნიშვნელობის განმარტებისათვის **სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის პირველი ნაწილით,** რომლის თანახმად, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა. 129-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს. 130-ე მუხლის მიხედვით ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. 138-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ უფლებამოსილი პირი შეიტანს სარჩელს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ან მის დასადგენად, ანდა შეეცდება დაიკმაყოფილოს მოთხოვნა სხვა საშუალებით, როგორიცაა სახელმწიფო ორგანოსათვის ან სასამართლოში განცხადებით მიმართვა მოთხოვნის არსებობის შესახებ, ანდა აღმასრულებელი მოქმედების განხორციელება. 144-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, კი ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ ვალდებული პირი უფლებამოსილია უარი თქვას მოქმედების შესრულებაზე. **მოხმობილ ნორმათა ანალიზიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ განმარტა,** რომ სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება კრედიტორმა მოვალეს უნდა მოთხოვოს სამი წლის ვადაში იმ მომენტიდან, როცა შეიტყობს (ან უნდა შეიტყოს), რომ მოვალემ, შეთანხმებულ ვადაში, არ შეასრულა თავისი ვალდებულება. მოთხოვნის წარდგენა უნდა განხორციელდეს სარჩელის სასამართლოში აღძვრით, სახელმწიფო ორგანოსთვის განცხადების მიმართვით ან აღმასრულებელი მოქმედების განხორციელებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოვალეს, მითითებული ვადის გასვლის შემდეგ, ენიჭება უფლება – უპირობოდ უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე, რაც სავალდებულოდ გასათვალისწინებელია კრედიტორისა და სასამართლოსთვისაც. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილ იქნა, რომ

შპს „გ. 2007"-მა განსახილველი სარჩელი ბათუმის საქალაქო სასამართლოში აღძრა 2013 წლის 13 ნოემბერს. აპელანტების (მოპასუხეების) მიმართ საზღაურის გადახდევინების მოთხოვნა კი, მას წარმოეშვა 2010 წლის 10 დეკემბერს. ამდენად, შპს „გ. 2007"-ს სარჩელი უნდა აღეძრა არაუგვიანეს 2013 წლის 10 დეკემბრისა. **შესაბამისად, 2013 წლის 13 ნოემბერს აღძრული სარჩელი ვერ იქნებოდა მიჩნეული ხანდაზმულად.**სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „თ. მ. ს. #138"-ის, მ. ზ.-ის, ლ. ჯ.-ის და მ. ტ.-ას **შეგებებული სარჩელი შპს „გ. 2007"-ის წინააღმდეგ ემყარებოდა შემდეგ საფუძვლებს:**2007 წლის 15 ივნისის ხელშეკრულების თანახმად, 1მ2 ფართის მშენებლობის ღირებულება იყო 238 აშშ დოლარი. თუმცა, როგორც აუდიტორული შემოწმებით დადგინდა, **შემკვეთს მენარდისათვის, 238 აშშ დოლარის ნაცვლად, გადახდილი აქვს 279 აშშ დოლარი.** ამდენად, მენარდემ მნიშვნელოვნად გადააჭარბა მიახლოებით ხარჯთაღიცხვას, ისე, რომ მისი მხრიდან არავითარი შეტყობინება შემკვეთს არ მიუღია, რის გამოც შემკვეთის მიერ ზედმეტად და უსაფუძვლოდ გადახდილი თანხა – 593401 აშშ დოლარის ეკვივალენტი თანხა ლარში **უნდა დაუბრუნდეს უკან შემკვეთსვე**. გარდა ამისა, შემკვეთმა, მენარდის ნაცვლად, სამშენებლო ობიექტზე შეასრულა საერთო ჯამში 239000 ლარის ღირებულების აუცილებელი სამუშაოები, რაც, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების მომწესრიგებელი ნორმების (სამოქალაქო კოდექსის 973-ე მუხ.) თანახმად უნდა აუნაზღაურდეს შემკვეთს. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ **შეგებებული სარჩელისა და სააპელაციო საჩივრის საფუძვლების შედარებით ირკვეოდა რომ ისინი განსხვავებული იყო.** ფულის კურსის ცვლილებაზე დაყრდნობით შეგებებული სარჩელის მოთხოვნა პირველი ინსტანციის სასამართლოში არ წარდგენილა. აპელანტ მხარეს არ დაუსაბუთებია, რომ არსებობს საპატიო მიზეზი, რის გამოც ამ ფაქტობრივ გარემოებაზე არ იქნა მითითებული ბათუმის საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვისას, რის გამოც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ვერ შემოწმდებოდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება ამ ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით. **სამოქალაქო კოდექსის 631-ე**

მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მენარდე მიახლოებით ხარ-ჯთაღრიცხვას მნიშვნელოვნად გადააჭარბებს, მას შეუძლია მოითხო-ვოს მხოლოდ შეთანხმებული საზღაური, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გადახარჯვების წინასწარ გათვალისწინება შეუძლებელი იყო. ხოლო მე-2 ნაწილის თანახმად, მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის ის-ეთი გაზრდის შესახებ, რომლის გათვალისწინებაც შეუძლებელი იყო ხელშეკრულების დადებისას, მენარდემ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს შემკვეთს. თუ შემკვეთი წყვეტს ხელშეკრულებას ხარ-ჯთაღრიცხვის გაზრდის გამო, მაშინ იგი ვალდებულია აანაზღაუ-როს შესრულებული სამუშაო მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით.მოცემულ შემთხვევაში, უდავოა, რომ 2011 წლის 30 სე-ქტემბრამდე **შემკვეთმა, ნებაყოფლობით, გადაუხადა მენარდეს 5647461 ლარი,** ისე, რომ გადახდების განხორციელებამდე არავი-თარი **პრეტენზია მენარდის მიმართ არ გასჩენია და არც ხელშეკ-რულება შეუწყვეტია ხარჯთაღრიცხვის მნიშვნელოვანი გადაჭარ-ბების საფუძველზე.** ამდენად, მისი სააპელაციო პრეტენზია **დაუსაბუთებლად იქნა მიჩნეული.** სამოქალაქო კოდექსის 973-ე მუხ-ლის თანახმად, შემსრულებელს უფლება აქვს მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც საქმის გარემოებებიდან გამომ-დინარე, აუცილებლად იქნა მიჩნეული. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მითითებული ნორმის საფუძველზე აპელანტი მოითხოვდა 239000 ლარის გადახდევინებას. თანხის ოდენობის განსაზღვრისას კი, ეყრდნობოდა შპს „დ.-ის" 2011 წლის 9 დეკემ-ბრის აუდიტორულ დასკვნას. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ წარმოდგენილი აუდიტორული დასკვნა, შემკვეთის მიერ საკუ-თარი ხარჯით 239000 ლარის ღირებულების **სამუშაოების შეს-რულების ნაწილში, აბსოლუტურად დაუსაბუთებელი იყო და ემყარე-ბოდა მხოლოდ შემკვეთის მიერ წარდგენილ ზეპირ განმარტებას,** შესაბამისი ბუღალტრული დოკუმენტაციის შესწავლის გარეშე (იხ: 3.1.7 პუნქტი). გარდა ამისა, აპელანტებს (შეგებებული სარჩელის ავტორებს) არ დაუმტკიცებიათ, რომ ამ ხარჯების გაწევა, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, აუცილებელი იყო.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ამხანაგობა „თ. მ. ს. 138"-მა, მ. ზ.-ემ, მ. ტ.-ამ, ლ. ჯ.-მა გაასაჩივრეს **საკასაციო წესით,**

მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივრის განსახილველად დაბრუნება.

კასატორმა **მიუთითა სარჩელის ხანდაზმულობაზე** და აღნიშნა, რომ იმისათვის, რომ საქმის განმხილველ სასამართლოს ხანდაზმულობისათვის გვერდი აევლო მტკიცებულებითი მნიშვნელობა მიანიჭა 2010 წლის 10 დეკემბრის აქტს, რომლითაც დადგენილად მიიჩნია, რომ სამშენებლო სამუშაოები დასრულდა 2010 წლის 10 დეკემბრისათვის. კასატორმა აღნიშნა, რომ 2010 წლის 10 დეკემბრის აქტს **ხელს არ აწერს მ. ზ.-ე, არამედ ხელმოწერა სავარაუდოდ შესრულებულია სხვა პირის მიერ.** შპს „გ. 2007-ის" დირექტორმა გ. ყ.-მა განაცხადა, რომ ამ აქტს ხელს აწერდა გ. ც.-ე (იხ., 15.07.2014წ.-ის სხდომის აუდიო ჩანაწერი). კასატორმა მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ სასამართლოს შპს „გ. 2007-ის" დირექტორის **აღიარება უნდა მიეჩნია სადავო გარემოების დამადასტურებელ მტკიცებულებად.** ამის საპირისპიროდ კი, საქმის განმხილველმა სასამართლომ სამუშაობის დასრულების ფაქტის დასადასტურებლად მიუთითა 2010 წლის 10 დეკემბრის აქტზე და მიიჩნია, რომ სამუშაოები დასრულდა 2010 წლის 10 დეკემბერს. შპს „დ.-ის" 2011 წლის 9 დეკემბრის აუდიტორულ დასკვნასთან დაკავშირებით კი, კასატორმა მიუთითა, რომ **აუდიტის დასკვნით მშენებლობის დასრულების ფაქტი არ დგინდება,** რამდენადაც ეს გარემოება არ განეკუთვნება აუდიტორის შეფასების საგანს. რაც შეეხება დასკვნაში მითითებულ გარემოებას, რომ დამკვეთს შპს „გ. 2007-სათვის" იმაზე მეტი აქვს გადახდილი ვიდრე ეკუთვნოდა, სასამართლომ არ გაიზიარა. ამასთან, კაასატორმა აღნიშნა, რომ 2011 წლის 30 სექტემბრის აქტი, არ წარმოადგენს ვალის აღიარების დოკუმენტს, რადგან მას ხელს აწერს არა ამხანაგობა „თ. მ. ს. 138-ის" თავმჯდომარე და მისი მოადგილე, **არამედ ბუღალტერი თ.ვ-ძე, რომელსაც წარმომადგენლობითი უფლებამოსილება არ ჰქონდა მინიჭებული.** შეგებებული სარჩელის საფუძვლებთან დაკავშირებით კასატორმა აღნიშნა, რომ შპს „გ. 2007-ის" მიერ აშენებულ 1მ2 დამკვეთს უნდა გადაეხადა 238 აშშ დოლარი დღგ-ს ჩათვლით. როგორც აუდიტის დასკვნით დგინდება რეალურად აღმოჩნდა, რომ ამხანაგობამ გადაიხადა 1მ2 მეტრში 279 აშშ დოლარი. **კასა-**

ტორი მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 631-ე მუხლზე და აღნიშ-ნავს, რომ მოპასუხის მხრიდან არ ყოფილა არავითარი შეტყობინება მოსარჩელე მხარის მიმართ, რომ მნიშვნელოვნად იზრდებოდა ხარ-ჯთაღიცხვა. შესაბამისად, ის თანხა, რაც შპს „გ. 2007-მა" მიიღო ზედმეტად უსაფუძვლო გამდიდრების მარეგულირებელი ნორმების თანახმად ექვემდებარება დაბრუნებას. რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს მითითებას, რომ შპს „დ.-ის" დასკვნა გაცემულია ბუღალტრული დოკუმენტაციის შესწავლის გარეშე, კასატორი არ ეთანხმება და აღნიშნავს, რომ დასკვნა შედგენილია ბუღალტრული დოკუმენტაციის საფუძველზე. სააპელაციო სასამართლოს მითითე-ბასთან დაკავშირებით, რომ სარჩელისა და სააპელაციო საჩივრის საფუძვლები არის განსხვავებული, კასატორი აღნიშნავს, რომ მხარე არ არის ვალდებული მიუთითოს მოთხოვნის სამართლებრივ რეგუ-ლირებაზე, **რადგან სამართლებრივი კვალიფიკაცია სასამართლოს უფლებამოსილების სფეროს განეკუთვნება.** კასატორის მოსაზრებით, საქმის განმხილველ სასამართლოს აუდიტის დასკვნის გარეშეც უნდა დაედგინა, რომ დამკვეთმა ზედმეტად გადაიხადა თანხა, კერ-ძოდ, ჯამში აშენებულია 13092მ², ხელშეკრულების თანახმად, 1მ²-ის სამუშაოთა ღირებულებაა 238 აშშ დოლარი, ხოლო მათი ნამრავლი 3115896 აშშ დოლარია. მოსარჩელე აცხადებს, რომ სულ შესრულდა 5 731 602 ლარის სამუშაოები, და დამკვეთს დარჩენილი აქვს გა-დასახდელად 83,985 ლარი. ამდენად, თუ 5731602 ლარს გამოვაკ-ლებთ 83,985-ს მივიღებთ 5647461 ლარს. ე.ი თავად შპს „გ. 2007" ადასტურებს, რომ დამკვეთმა გადაიხადა თუ 5647461 ლარი, რაც სადავო არ არის. სააპელაციო სასამართლო კი ადგენს, რომ ყოვე-ლი აშენებული 1მ2-სთვის ამხანაგობას უნდა გადეხადა 404,6 ლარი. დადგენილია, კერძოდ, ჯამში აშენებულია 13092მ2 ე.ი დამკვეთს უნდა გადაეხდა 13092მ²-ისა და 404,6-ის ნამრავლი, რაც შეადგენს 5297023 ლარს. დადგენილია, **რომ დამკვეთმა გადაიხადა 5647461 ლარი ანუ, 350 438 ლარით მეტი.** ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მოკლებულია როგორც ფაქტობრივ, ისე სამართ-ლებრივ საფუძვლებს, რის გამოც ის უნდა გაუქმდეს და საქმე საა-პელაციო საჩივრის ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს

იმავე სასამართლოს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 მარტის **განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ** იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 06 მაისის განჩინებით **საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად. საკასაციო სასამართლომ** შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და **მიიჩნია,** რომ საკასაციო საჩივარი **ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილებულიყო** შემდეგი გარემოებების გამო:

წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით კასატორი სადავოდ ხდიდა ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების – 83,945.44 ლარისა და პირგასამტეხლოს – 20,000 ლარის გადახდის დაკისრებას. აგრეთვე, შეგებებული სარჩელიდან გამომდინარე, ზედმეტად გადახდილი თანხის უკან დაბრუნების დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

საკასაციო პალატამ სადავო საკითხის კანონიერების შემოწმება მოახდინა მოცემულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით. **დადგენილი** იქნა, რომ 2007 წლის 15 ივნისს ერთი მხრივ, ამხანაგობა „თ. მ. ს. 138"-ს, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის – გ. ც.-ის სახით, როგორც „დამკვეთსა" და მეორე მხრივ, შპს „გ. 2007"-ს, წარმოდგენილი მისი დირექტორის – გ. ყ.-ის სახით, როგორც „შემსრულებელს" **შორის გაფორმდა ნარდობის ხელშეკრულება.** ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა ქ.ქობულეთში, თ. მ. გამზირზე №138-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო სამუშაოების განხორციელება. **ხელშეკრულებით განისაზღვრა სამუშაოთა ღირებულება** – 3,697,500 ლარი, დღგ-ს ჩათვლით ანუ, 1მ2 მშენებლობის ღირებულებას შეადგენდა 238 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში, კურსით: 1 აშშ დოლარი = 1.7 ლარს. სამუშაოს შესრულების **ვადის გადაცილებისათვის ხელშემკვრელ მხარეთა მიერ გათვალისწინებულ იქნა პირგასამტეხლო,** რომლის ოდენობა შეადგენდა გადასახდელი თანხის 0.1%-ს. სამუშაოს **შესრულების ვადად განისაზღვრა** 2007 წლის პირველი ივლისიდან 2008 წლის ივნისამდე პერიოდი. ხელშეკრულებითვე განისაზღვრა **სამუშაოს მიღების წესი,** სახელდობრ **ხელშეკრულების**

მე-6 მუხლით ხელშემკვრელი მხარეები შეთანხმდნენ, რომ „დამკვეთი" **შეამონმებდა** დასრულებული სამუშაოს მოცულობას და **დადასტურების შემთხვევაში, ფორმდებოდა სათანადო აქტი. მშენებლობის ობიექტის დამთავრების შემდეგ ფორმდებოდა მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერდა მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები (კომისიის წევრები).** ამასთან, დადგენილი იქნა, რომ 2008 წლის 04 აპრილს ერთი მხრივ, ამხანაგობა „თ. მ. ს. 138"-ს, როგორც „დამკვეთს" და შპს „გ. 2007-ს", როგორც „მიმწოდებელს" შორის დაიდო დამატებითი ხელშეკრულება ნასყიდობისა და მომსახურების შესახებ (ლიფტების შეძენა და მონტაჟი), რომლის საგანს წარმოადგენდა 3 ცალი 10 სართულიანი (გაჩერებიანი), 630კგ. ტევადობის ლიფტის გადაცემა და მონტაჟი, 96900 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ($ – K=1.49 ლარი, დღგ-ს ჩათვლით) გადახდის პირობით. 2008 წლის 05 ნოემბერს ამხანაგობა „თ. მ. ს. 138-ის" თავმჯდომარემ წერილით მიმართა შპს „გ. 2007-ის" დირექტორს, **რომლითაც თხოვა მშენებლობის შეჩერება** 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებების გამო ბინების გაყიდვების შემცირებითა და შექმნილი მძიმე ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით.

ზემოთ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, **კასატორს სადავოდ არ გაუხდია.** შესაბამისად, მათ საკასაციო სასამართლოსათვის სავალდებულო ძალა გააჩნიათ.

თავდაპირველი სარჩელის მიმართ (ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანებისა და პირგასამტეხლოს დაკისრება) კასატორის პრეტენზია მის ხანდაზმულობას შეეხებოდა, კერძოდ, კასატორი სადავოდ ხდის სამშენებლო სამუშაოების დასრულების დროს და აღნიშნავდა, რომ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ეს ფაქტობრივი გარემოება არ შეიძლება დადასტურებულიყო საქმეში წარმოდგენილი „მშენებლობის დამთავრებული შენობის, ნაგებობის მიმღების კომისიის 2010 წლის 10 დეკემბრის აქტით". კასატორის არგუმენტი კი, ემყარება იმ გარემოებას, რომ შპს „გ. 2007-ის" დირექტორმა გ. ყ.-მა განაცხადა, რომ ამ აქტს ხელს აწერდა გ. ც.-ე (იხ., 15.07.2014წ.-ის სხდომის აუდიო ჩანაწერი), რომელსაც არ ჰქონდა ამხანაგობის სახელით, აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება.

2010 წლის 10 დეკემბრის აქტზე, ამხანაგობა „თ. მ. ს. 138-ის", როგორც „დამკვეთის" მხრიდან არაუფლებამოსილი პირის ხელ-მოწერაზე კასატორის მითითება საკასაციო პალატამ არ გაიზიარა და აღნიშნა, რომ როგორც ეს მოცემული საქმის მასალებითაა დადა-სტურებული სადავო აქტზე „მენარდის" მხრიდან ხელს აწერს გ. ყ.-ი, რომელიც წარმოადგენს შპს „გ.ს 2007-ის" დირექტორს და შესა-ბამისად, საზოგადოების წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირს, ხოლო „დამკვეთის" მხრიდან კი, აქტი ხელმოწ-ერილია ამხანაგობა „თ. მ. ს. 138-ის" ტექნიკური ზედამხედველის – გ. მ-ის მიერ, რომელსაც მშენებლობის ობიექტის დამთავრების შეს-ახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და ხელმოწერის უფლე-ბამოსილება, როგორც ამხანაგობა „თ. მ. ს. 138-ის" უფლებამოსილ წარმომადგენელს (კომისიის წევრს) მიენიჭა მხარეთა შორის გაფორ-მებული 15.06.2007წ.-ის ნარდობის ხელშეკრულების 6.7 პუნქტით, რომლის თანახმად, მშენებლობის ობიექტის დამთავრების შემდეგ ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერს მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები (კომისიის წევრები) (ტ.1. ს.ფ. 18). ამასთან, საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ გ. ც.-ე, რომლის სადავო აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილებასაც სადავოდ ხდის კასატორი, წარმოადგენს ამხანაგობა „თ. მ. ს. 138-ის" ერთ-ერთ დამფუძნებელს (ტ.1. სფ. 37-42).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არაუფლებამოსილი პირის ხელმოწერაზე, როგორც 2010 წლის 10 დეკემბრის აქტის სადავოობაზე კასატორის მითითება, საკასაციო პალატამ უსაფუძვლოდ მიაჩნია და აღნიშნა, რომ „მენარდის" მიერ შესრულებული სამუშაოს დარჩენილი ნაწილის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წარმოშობის სწორად იქნა მიჩნეული 2010 წლის დეკემბერი, რაც თავ[illegible] გამორიცხავს სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულ[illegible] წლიანი ვადის გასვლასა და ამდენად, ვალდებული პირის [illegible] ულებაზე უარის თქმის უფლებით სარგებლობასაც.

რაც შეეხება კასატორის პოზიციას იმასთან დაკ[illegible] „2011 წლის 30 სექტემბრის აქტი არ წარმოადგენს [illegible] დოკუმენტს, რადგან მას ხელს აწერს არა ამხანაგო[illegible] ის" თავმჯდომარე და მისი მოადგილე, არამედ ბ[illegible]

ძე, **რომელსაც წარმომადგენლობითი უფლებამოსილება არ ჰქონდა მინიჭებული", საკასაციო პალატამ ნაწილობრივ გაიზიარა და აღნიშნა,** რომ 2011 წლის 30 სექტემბრის აქტი (ტ.1. ს.ფ. 27-31) შედგენილია ერთი მხრივ, ამხანაგობა „თ. მ. ს. 138-ის" ბულალტერ თ. ვ.-ისა და მეორე მხრივ, შპს „გ. 2007-ის დირექტორ გ. ყ.-ის მიერ. ამ აქტით მხარეებს შორის წერილობითი ფორმით შედგა ანგარიშსწორება და დადასტურდა, რომ 2011 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით ამხანაგობა „თ. მ. ს. 138-ს" ერიცხებოდა დავალიანება – 83,985.44 ლარი. **საკასაციო პალატის მოსაზრებით, მითითებული აქტი ნამდვილად არ წარმოადგენს ვალის აღიარების ხელშეკრულებას და ამ ნაწილში, კასატორის პოზიცია მართებულია.**

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ვალის აღიარების ხელშეკრულების სამართლებრივი განმარტება მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლში, რომელიც თავისი შინაარსითა და გამოხატვის ფორმით შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის, კერძოდ, **კონსტიტუციური ან დეკლარაციული ხასიათის.** კონსტიტუციური ხასიათის ვალის არსებობის აღიარებით ხდება ახალი ხელშეკრულების დადება, რაც იმას ნიშნავს, რომ ვალის აღიარების ხელშეკრულებით დგინდება ახალი დამოუკიდებელი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა, წარმოიშობა ახალი მოთხოვნა, მიუხედავად ძველი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის არსებობისა თუ ნამდვილობისა. ახალი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის სამართლებრივი ძალა არ არის დამოკიდებული ძველი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის სამართლებრივ ძალასა თუ შინაარსზე. სწორედ აღნიშნული სახის ვალის არსებობის აღიარებას ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლის პირველი ნაწილი. ვალის არსებობის აღიარება, როგორც ვალდებულების არსებობის დამოუკიდებელი კომპონენტი ხელწერილის შინაარსიდან უნდა მომდინარეობდეს, კერძოდ, ხელწერილით პირი უნდა აღიარებდეს გარკვეულ ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობის არსებობას და კისრულობდეს მისი შესრულების ვალდებულებას. ვალის არსებობის აღიარების ხელშეკრულების თავისებურება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მასში ვალდებულების შესრულების მზაობა იკვეთება **(იხ., სუს 08.11.2011ნ.-ის**

გადაწყვეტილება №ას-839-890-2011). სადავო აქტი, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, ვერ შეფასდება ვალდებულებითი ურთიერთობის წარმოშობის **ახალ, დამოუკიდებელ კომპონენტად** და შესაბამისად, სარჩელის დაკმაყოფილების დამოუკიდებელ საფუძვლად და ამასთან, მასზე არ არის ამხანაგობის უფლებამოსილი წარმომადგენელის ხელმოწერა, რამდენადაც **ამხანაგობის მიერ ახალი დამოუკიდებელი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის აღიარებისათვის** აუცილებელია მისი აღიარება მოხდეს სათანადოდ უფლებამოსილი პირი მიერ.

თუმცა საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ **სადავო აქტი წარმოადგენს მტკიცებულებას იმისა, რომ ამხანაგობის მხრიდან დადასტურებულ იქნა 15.06.2007წ.-ის ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე** ფულადი დავალიანება (შესრულებული სამუშაოს აუნაზღაურებელი ოდენობა). **სახელდობრ, საკასაციო პალატის ამ მსჯელობის მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველია სამოქალაქო კოდექსის 629-ე და 648-ე მუხლებით დადგენილი შემკვეთის მიერ შესრულებული სამუშაოს ანაზალაურების ვალდებულება.** სკ-ის 629-ე მუხლის მიხედვით ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური, ხოლო 648-ე მუხლის მიხედვით კი, შემკვეთი მოვალეა მენარდეს გადაუხადოს საზღაური სამუშაოს შესრულების შემდეგ, თუ ხელშეკრულება არ ითვალისწინებს ნაწილ-ნაწილ გადახდას.

ზემოთ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან და მოხმობილ ნორმათა სამართლებრივი ანალიზიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ „2011 წლის 30 სექტემბრის აქტი, რომელიც ამხანაგობის მხრიდან ხელმოწერილია მთავარი ბუღალტრის მიერ **წარმოადგენს 15.06.2007წ.-ის ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ფულადი დავალიანების დარჩენილი ნაწილის – 83,985.44 ლარის დამადასტურებელ მტკიცებულებას და მის მტკიცებულებით მნიშვნელობას ვერ გააქარწყლებს კასატორის მიერ სადავოდ გამხდარი ბუღალტრის მიერ აქტზე ხელმოწერის კომპეტენცია. გამომდინარე იქიდან, რომ სადავო აქტი თავისი შინაარსითა და გამოხატვის ფორმით წარმოადგენს ურთიერთანგარიშსწორების აქტს . შესაბამის-**

ად, ბულალტრის მიერ შესრულებული ხელმოწერა საკმარისია აქტის ნამდვილობისა და სადავო გარემოების დადასტურებისათვის.

ამასთან, ვინაიდან **უშუალოდ** დაკისრებული ძირითადი თანხისა და პირგასამტეხლოს **ოდენობა** კასატორს სადავოდ არ გაუხდია, **მის საფუძვლიანობაზე საკასაციო პალატამ ვერ იმსჯელა.** ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის პრეტენზია შესრულებული სამუშაოს აუნაზღაურებული ოდენობისა და მისი გადახდის ვადის გადაცილებისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში **(სარჩელის დაკმაყოფილებული ნაწილი),** დაუსაბუთებელად იქნა მიჩნეული, და **არ** იქნა გაზიარებული, რის გამოც საკასაციო პალატამ ამ ნაწილში, უცვლელად დატოვა გასაჩივრებული განჩინება.

კასატორის შემდეგი პრეტენზია მენარდისათვის ზედმეტად გადახდილი თანხის – 350,438 ლარის უკან დაბრუნებას შეეხებოდა (შეგებებული სარჩელის ერთ-ერთი მოთხოვნა). ამ ნაწილში, **კასატორის დაზუსტებული პოზიცია** იმ დასაბუთებას ემყარებოდა, რომ შპს „გ. 2007-ის" მიერ აშენებულ 1მ²-ში დამკვეთს უნდა გადაეხადა 238 აშშ დოლარი დღგ-ს ჩათვლით. როგორც აუდიტის დასკვნით დგინდება რეალურად აღმოჩნდა, რომ ამხანაგობამ გადაიხადა 1მ² მეტრში 279 აშშ დოლარი. **შესაბამისად, დამკვეთს ზედმეტად აქვს გადახდილი სულ მცირე, 350,438 ლარი.** კასატორი განმარტავს, რომ მოპასუხის მხრიდან არ ყოფილა არავითარი შეტყობინება ხარჯთაღრიცხვის მნიშვნელოვანი გადაჭარბების თაობაზე, შესაბამისად, ის თანხა, რაც მენარდემ მიიღო ექვემდებარება **უკან დაბრუნებას უსაფუძვლო გამდიდრების მარეგულირებელი ნორმების საფუძველზე.**

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ შეგებებული სარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა თავდაპირველი მოსარჩელისათვის 593,401 აშშ დოლარისა და 239,000 ლარის დაკისრება **(იხ., შეგებებული სარჩელი, წინმსწრები გადაწყვეტილებები).** დაზუსტებული საკასაციო საჩივრით კი, მართალია კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მთლიანად გაუქმება, თუმცა იგი რაიმე მითითებას კასაციის საფუძვლებზე (კასაციის მიზეზებზე) **გარდა სადავო 350,438 ლარისა,** არ შეიცავს და ამდენად, საკასაციო პალატამ იმსჯელა მხოლოდ კასატორის იმ არგუმენტზე, რომელიც **შეეხებოდა „სულ მცირე 350,438 ლარის, როგორც ზედმეტად გადახდილი**

თანხის უკან დაბრუნების" მოთხოვნის უფლების კანონიერებას.

კასატორის პოზიცია იმ მსჯელობას ემყარებოდა, რომ 15.06.2007წ.-ის **ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ** ტარიფსა (1მ² მშენებლობის ღირებულება – 238 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში, კურსით: 1 აშშ დოლარი = 1.7 ლარს) და **მენარდისათვის გადახდილ თანხას შორის სხვაობა,** როგორც წინასწარი შეტყობინების გარეშე განხორციელებული გადაჭარბებული ხარჯთაღრიცხვა არ ექვემდებარებოდა ანაზღაურებას. შესაბამისად, კასატორმა არამრთებულად მიაჩნია ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მითითება იმ გარემოებაზე, რომ „თუ ვალდებული პირი ნებაყოფლობით იხდის თანხას, იგი გარკვეულწილად ადასტურებს ამ თანხის გადახდის ვალდებულების არსებობას, რაც გამორიცხავს მისი უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლებასაც".

საკასაციო პალატამ გაიზიარა კასატორის ზემოთ აღნიშნულ პოზიცია და მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, საქმის განმხილველ სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 631-ე მუხლი, რომელიც მიახლოებითი ხარჯთაღიცხვის გადაჭარბების მარეგულირებელი ნორმაა.

დასაბუთებულად იქნა მიჩნეული კასატორის პრეტენზია იმის თაობაზე, რომ, მოცემულ შემთხვევაში, მენარდეს (მოსარჩელეს) შესრულებული სამუშაო უნდა ანაზრაურებოდა ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასის მიხედვით, ვინაიდან მხარეები გადახარჯვის ანაზღაურებაზე არ შეთანხმებულან და მით უფრო, რომ მენარდეს არც სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლითა და 15.06. 2007წ.-ის ხელშეკრულების 2.5 პუნქტით მინიჭებული უფლებით უსარგებლია და არ მოუთხოვია ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი.

კასატორის პრეტენზია სწორედ **ზედმეტად გადახდილი თანხის უკან დაბრუნებას მართლზომიერებას** შეეხება და იმ გარემოებას ემყარებოდა, რომ „მენარდის მიერ ჯამში აშენებულია 13092მ². ხელშეკრულების თანახმად, შემკვეთს უნდა გადაეხადა 238 აშშ დოლარი (კურსით 1,70 ლარი) 404,6 ლარი. შესაბამისად, 13092მ²-ისა და 404,6-ის ნამრავლი შეადგენს 5297023 ლარს. დადგენილია, რომ დამკვეთმა გადაიხადა 5647461 ლარი ანუ, 350 438 ლარით მეტი).

მოცემულ საქმეზე დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ 15.06.2007წ.-ის ნარდობის ხელშეკრულების მიხედვით სამუშაოთა ღირებულება განისაზღვრებოდა 3,697,500 ლარით დღგ-ს ს ჩათვლით. ეს თანხა გაანგარიშდა 1m^2 მშენებლობის ღირებულების – 238 აშშ დოლარის ეკვივალენტით ლარში, კურსით: 1 აშშ დოლარი = 1.7 ლარს, რაც იმას ნიშნავდა რომ ანაზღაურების ოდენობაზე სავალუტო კურსის ცვალებადობა გავლენას ვერ მოახდენდა.

უდავო გარემოებაა, რომ ამხანაგობა „თ. მ. ს. 138"-მ შპს „გ. 2007"-ს შესრულებული სამუშაოებისათვის სულ გადაუხადა 5647461 ლარი.

საქმის მასალებით არ არის სათანადოდ დასაბუთებული და სარწმუნოდ დადასტურებული ის ფაქტობრივი გარემოება მიღებული აქვს თუ არა მენარდეს 350,438 ლარი ზედმეტად. ამ ნაწილში, შეგებებული სარჩელის მოთხოვნის უარსაყოფად სააპელაციო სასამართლო ეყრდობა მხოლოდ შპს „დანი აუდიტის 09.12.2013წ.-ის დასკვნის დაუსაბუთებლობას და რაიმე გაანგარიშებას საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით არ შეიცავს. **ამდენად, საკასაციო პალატამ** მიიჩნია, რომ **ამ ნაწილში,** წამოყენებული იქნა დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია (შედავება).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის ე1 ქვეპუნქტის მიხედვით, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. საკასაციო პალატის მოსაზრებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმება **ამ ნაწილში,** შეუძლებელია, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე (მტკიცების საგანში) შემავალი **ფაქტი იმის შესახებ თუ, რა მოცულობის სამუშაოები შესრულდა მთლიანობაში მენარდის მიერ და რას შეადგენდა მთლიანობაში შესრულებულ სამუშაოთა ღირებულება.**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად

საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ" და „ე" ქვეპუნქტებისა.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ შეგებებული სარჩელის ნაწილში, საქმის ხელახლა განხილვისას უნდა დაადგინოს დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და გამოიკვლიოს მთლიანობაში შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა და შესრულებულ სამუშაოთა შესაბამისად შემკვეთის მიერ გადახდილი გასამრჯელოს ოდენობა და მხოლოდ ამის შემდეგ იმსჯელოს შეგებებული სარჩელის ერთ-ერთ მოთხოვნაზე, რომელიც შეეხება გადახდილი 350,438 ლარის, როგორც უსაფუძვლოდ მიღებული თანხის უკან დაბრუნების მართებულობას სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის კონტექსტში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ **ნაწილობრივ უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება** და საქმე შეგებებული სარჩელის მოთხოვნის, რომელიც შეეხება **მენარდისათვის** ზედმეტად გადახდილი 350,438 ლარის უკან დაბრუნებას, **ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს**".[805]

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეული მხარე ვალდებულია დაამტკიცოს ის გარემოებები, რომელზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნასა თუ შესაგებელს. ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ მიუთითა, „რომ კასატორს შესაგებელში მითითებული ფაქტობრივი გარემოება – ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებისათვის 25000 აშშ დოლარის ოდენობის საზღაურის გადახდის შესახებ შეთანმების არსებობა – კანონით დადგენილი წესით არ დაუდასტურებია და, შესაბამისად მისი მოთხოვნა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე დაუსაბუთებელია".[806]

---

[805] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას -226-213-2015.

[806] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 1 მარტის განჩინება საქმეზე №ას- 889-1175-2010.

თავი XII . ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკი

XII.1 ზოგადი დებულებები

ნარდობის ხელშეკრულებაში მენარდე წარმოადგენს შემკვეთისაგან ქონებრივად და ორგანიზაციულად დამოუკიდებელ სუბიექტს, შესაბამისად იგი თავისი შეხედულებისამებრ წარმართავს შეკვეთილი სამუშაოს შესრულების პროცესს და პასუხს აგებს მისი წარმატებით შესრულებისათვის.[807]

სკ-ის 651 I ნაწილის თანახმად, მენარდეს ეკისრება შესრულებული სამუშაოს შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკი შემკვეთისათვის შესრულების გადაცემამდე. გადაცემასთან ერთად შემკვეთზე გადადის შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკი. გადაცემას უთანაბრდება ისიც, როცა შემკვეთი აყოვნებს მიღებას.

მენარდის რისკი მდგომარეობს იმაში, რომ თუკი შესრულებული სამუშაოს შედეგი დაიღუპება (განადგურდება) ან დაზიანდება შემკვეთისათვის გადაცემამდე მხარეთაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო,[808] მენარდეს არა აქვს უფლება მოსთხოვოს შემკვეთს შესრულებული სამუშაოსათვის შეთანხმებული საზღაურის გადახდა (ანალოგიურ დებულებას[809] შეიცავს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 644-ე პარაგრაფის I აბზაცი).[810]

XII.2 სამუშაოს შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკის განაწილება

მენარდისათვის შესრულებული სამუშაოს შემკვეთისათვის გადაცემამდე შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკის დაკისრება განპირობებულია იმით, რომ ნარდობის ხელშეკრულების საგანს

---

[807] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 28 მაისის განჩინება საქმეზე №ას-250-306-09.

[808] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 4.

[809] Rudolph, J., Die Abgrenzung zwischen Kauf _ und Werkvertragsrecht gemäß §651 BGB,1. Aufl.2009, 334.

[810] Busche, in MüKo.BGB, Band 4.,5.Aufl. §644, Rn.3.

წარმოადგენს მენარდის მიერ შესრულებული სამუშაოს შედეგი. ამიტომაც, თუკი შემკვეთი ვერ ღებულობს სამუშაოს შედეგს მხარეთაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო (ე.წ. „ფორსმაჟორული გარემოებები"), გაუმართლებელი იქნებოდა შემკვეთის მხრიდან იმ სამუშაოსათვის საზღაურის გადახდა, რომლის შედეგადაც მან ვერ ისარგებლა. თუკი სამუშაო შემკვეთის მიერ ნაწილობრივ უკვე იყო ანაზღაურებული, მას უფლება აქვს მოსთხოვოს მენარდეს საზღაურის გადახდილი ნაწილის უკან დაბრუნება.[811]

პრაქტიკაში არ არის გამორიცხული ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მენარდე ნარდობის ხელშეკრულების სტანდარტული პირობებით სხვაგვარად აწესრიგებს სამუშაოს შედეგის შემთხვეითი დაღუპვის ან დაზიანების რისკის საკითხს. ასეთ შემთხვევაში მხედველობაშია მისაღები სკ-ის 344-ე მუხლით დადგენილი წესი. ამ ნორმის მიზანი არის იმ მომხმარებლის ინტერესების დაცვა, რომელიც საკმარისად არ არის გაცნობიერებული შეთავაზებულ პირობებში. უჩვეულოდ ჩაითვლება სტანდარტული პირობების ის დებულებები, რომლებიც მომხმარებელს მისთვის მოულოდნელად დამატებით ვალდებულებებს აკისრებს ანდა შეთანხმებულ შესრულებას არსებითად ცვლის. სტანდარტული პირობების დებულება უჩვეულო უნდა იყოს სწორედ ამ ტიპის ხელშეკრულებისათვის.[812] მაშასადამე, თუ ნარდობის ხელშეკრულებაში გვხვდება სტანდარტული პირობა იმის შესახებ, რომ სკ-ის 651-ე მუხლით გათვალისწინებული რისკი გადადის შემკვეთზე, ნარდობის ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლება ამ პირობის გარეშე და რისკი კანონის ძალით კვლავ დაეკისრება მენარდეს.

შესრულებული სამუშაოს გადაცემის მომენტიდან შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკი გადადის შემკვეთზე. გადაცემას უთანაბრდება ისეთი შემთხვევებიც, როცა შემკვეთი აყოვნებს მიღებას. მაგალითად, მენარდეს ხელშეკრულების თანახმად, შესრულებული სამუშაოს შედეგი შემკვეთისათვის უნდა გადაეცა 10 მარტს. შემკვეთმა გადააცილა ნამუშევრის წაღების ვადას. 12 მარტს შეს-

---

[811] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 103.
[812] ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, 344-ე მუხლი, გვ.180.

რულებული სამუშაოს შედეგი განადგურდა წყალდიდობის შედეგად. ასეთ შემთხვევაში, მართალია შემკვეთმა ვერ მიიღო შესრულებული სამუშაოს შედეგი, მაგრამ იგი მაინც მოვალეა გადაუხადოს მენარდეს შესრულებული სამუშაოსათვის შეთანხმებული საზღაური. პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხია, აქვს თუ არა რაიმე მნიშვნელობა, მიუძღვის თუ არა შემკვეთს ბრალი შესრულებული სამუშაოს მიღების ვადის გადაცილებაში? ამ პრობლემასთან მიმართებაში მნიშვნელოვან დებულებას შეიცავს სკ-ის 393-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტი.

სკ-ის 393-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტისა და 651 I-ლი ნაწილის შესაბამისად, მნიშვნელობა არ ენიჭება იმ გარემოებას, მიუძღვის თუ არა ბრალი შემკვეთს შესრულებული სამუშაოს მიღების ვადის გადაცილებაში. თუკი შესრულებული სამუშაო დაიღუპა ან დაზიანდა შემკვეთის მიერ შესრულების მიღების ვადის გადაცილების შემდეგ, შემკვეთს ყველა შემთხვევაში დაეკისრება მენარდისათვის შეთანხმებული საზღაურის გადახდის ვალდებულება.[813]

სხვაგვარად წყდება საკითხი იმ შემთხვევაში, როდესაც მართალია შემკვეთმა გადააცილა შესრულებული სამუშაოს მიღების ვადას, მაგრამ სამუშაოს დაღუპვა ან დაზიანება გამოწვეული იქნა მენარდის ბრალეული მოქმედებით. ასეთ შემთხვევაში დადგება სკ-ის 392-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი პასუხისმგებლობა. პრაქტიკაში შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს სკ-ის 415-ე მუხლით გათვალისწინებულ „შერეული ბრალის" შემთხვევებსაც.

პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხს წარმოადგენს ისეთი შემთხვევები, როდესაც ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო ნაკეთობის დამზადება, მისი გადაცემა უნდა მომხდარიყო შემკვეთისათვის ხელშეკრულებით შეთანხმებულ ადგილას,[814] მაგრამ შემკვეთის მოთხოვნით მენარდე ნაკეთობას აგზავნის სხვა ადგილასს.[815] მაგალითად, მენარდეს უნდა დაემზადებინა საძინებელი ავეჯის გარნიტური და გადაეცა შემკვეთისათვის თბილისში. სამუშაოს შესრულების შემდეგ, მენარდემ შემკვეთის მოთხოვნით დამზადებული ავეჯი გააგზავნა ბათუმში. ტრანსპორტირების დროს

[813] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 104.

[814] Peters, in Staudinger BGB Komm. §644, Rn.5. Sprau in Palandt BGB Komm.67. Aufl.§644,Rn.4.

[815] Voit, in Bamberger/Roth BGB Komm. §644, Rn.7.

ავეჯი ე.წ. „ფორსმაჟორული გარემოებების" გამო დაზიანდა. რა მომენტიდან გადადის შემკვეთზე შესრულებული სამუშაოს შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკი? ამ კითხვაზე პასუხს ნარდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმები პირდაპირ არ გვცემს. შესაბამისად, გამოყენებული უნდა იქნეს ვალდებულებითი სამართლის ის ზოგადი ნორმები, რომლებიც ვალდებულების შესრულების ადგილის საკითხს აწესრიგებს.[816]

აღნიშნული საკითხი ძალიან კარგად არის მოწესრიგებული გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 644-ე პარაგრაფის მეორე აბზაცით,[817], კერძოდ, „თუ შემკვეთის მოთხოვნით მენარდე ნაკეთობას აგზავნის სხვა ადგილას, ვიდრე ეს ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, მაშინ ანალოგიით გამოიყენება ნასყიდობის მიმართ მოქმედი ნორმა – §447", ანუ შემკვეთზე ნაკეთობის შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკი გადადის იმ მომენტიდან, როდესაც მენარდემ ნარდობის ხელშეკრულებით დამზადებული ნაკეთობა ჩააბარა გადამზიდველს ან ამის შესრულებისათვის პასუხისმგებელ პირს.[818]

XII.3 მასალის შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკი

სკ-ის 651 II ნაწილის თანახმად, მასალის შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკი ეკისრება მასალის მიმცემ მხარეს. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა დაფუძნებულია იურიდიულ ლიტერატურაში აღიარებულ პრინციპზე, რომ „ნივთის შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკი აწევს მის მესაკუთრეს".[819] ამასთან მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ მასალის მიმცემ მხარეს უფლება აქვს ამტკიცოს, რომ მასალის დაღუპვა ან დაზიანება გამოწვეულია ხელშეკრულების მეორე მხარის ბრალით.

მენარდე პასუხს არ აგებს შემკვეთის მიერ მიწოდებული მასალის შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანებისათვის.[820]

---

[816] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 104.
[817] Peters, in Staudinger BGB Komm. §644, Rn.12.
[818] Busche, in MüKo.BGB, Band 4.,5.Aufl. §644, Rn.10.
[819] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011,105.
[820] Voit, in Bamberger/Roth BGB Komm. §644, Rn.9.

თავი XIV. ნარდობის ხელშეკრულების მოშლა მენარდის ან შემკვეთის ინიციატივით

XIV.1. ზოგადი დებულებები

ხელშეკრულების დადების მომენტიდან მხარეები ვალდებულნი არიან შეუდგნენ ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობების შესრულებას. თუმცა სამოქალაქო კანონმდებლობა ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც ესა თუ ის გარემოება უფლებას აძლევს ხელშეკრულების მხარეს, მოშალოს ხელშეკრულება. შესაძლებელია, რომ ხელშეკრულება მოიშალოს როგორც ერთი, ისე მეორე მხარის დაინტერესებით[821]. შემკვეთის ან მენარდის მიერ ნარდობის ხელშეკრულების მოშლასთან მიმართებით მნიშვნელოვან დებულებებს შეიცავს სსკ-ის 636-638-ე მუხლები, თუმცა ნარდობის ხელშეკრულების მოშლასთან მიმართებით გამოყენებული უნად იქნეს აგრეთვე ვალდებულებითი სამართლის შესაბამისი ზოგადი ნორმებიც. ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ მიიჩნია, რომ „მოპასუხე ვალდებულია სკ-ის 636-ე მუხლის თანახმად, აუნაზღაუროს მოსარჩელეს გაწეული ხარჯები".[822] ნარდობის ხელშეკრულების მოშლის შესაძლებლობას კანონმდებელი უშვებს იმ შემთხვევაშიც, როცა სახეზე არ არის სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა.[823]

გარეგნულად ხელშეკრულების მოშლა ძალიან ემსგავსება ხელშეკრულებიდან გასვლას. ორივე შემთხვევაში ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობების შეწყვეტა, მაგრამ მათ შორის არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებაც: მართალია, ხელშეკრულების მოშლა (შეწყვეტა), მიუხედავად მისი საფუძვლისა, იწვევს სახელშეკრულებო უფლებებისა და მოვალეობების შეწყვეტას, მაგრამ სამომავლოდ, და არ იწვევს მხარეების მიერ უკვე მიღებულის უკან დაბრუნებას ანუ მხარეთა აღდგენას პირვანდელ მდგომარეობაში.[824]

---

[821] ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გვ.410.

[822] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 21 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-190-524-05.

[823] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 108.

[824] მაჭარაძე, ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა – განსხ-

ხელშეკრულებათა ტექსტებში ზოგჯერ „გასვლისა" და „მოშლის" ცნებები არეულია. ხელშეკრულების მონაწილენი არასწორად იყენებენ ამ ტერმინებს. მოსამართლის ამოცანაა ხელშეკრულებათა განმარტების შედეგად დაადგინოს ხელშეკრულების მოშლასთან (შეწყვეტასთან) თუ ხელშეკრულებიდან გასვლასთან (უარი ხელშეკრულებაზე) გვაქვს საქმე. "ერთ-ერთ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქალაქო სასამართლომ სწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 636-ე მუხლის შინაარსი და მიიჩნია, რომ იგი შეეხებოდა მენარდისათვის ხელშეკრულების მოშლით მიყენებული რეალური ზიანის ანაზღაურებას."[825]

შემკვეთის მიერ ნარდობის ხელშეკრულების მოშლასთან მიმართებაში მნიშვნელოვან დებულებებს შეიცავს სკ-ის 636 მუხლი, თუმცა ნარდობის ხელშეკრულების მოშლასთან მიმართებაში გამოყენებული უნდა იქნეს აგრეთვე ვალდებულებითი სამართლის შესაბამისი ზოგადი ნორმებიც. ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ მიუთითა, რომ „სადავო შემთხვევაში შემკვეთმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები სრულად შეასრულა. შესაბამისად, არ არსებობს მისთვის თანხის დაკისრების სამართლებრივი საფუძველი".[826]

სკ-ის 636-ე მუხლის თანახმად, შემკვეთს უფლება აქვს სამუშაოს დასრულებამდე ნებისმიერ დროს თქვას უარი ხელშეკრულებაზე, მაგრამ მან უნდა აუნაზღაუროს მენარდეს შესრულებული სამუშაო და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი.

ყოველ ცალკეულ შემთხვევაში სასამართლომ უნდა შეამოწმოს, არსებობს თუ არა სკ-ის 636-ე მუხლის გამოყენების წინაპირობები. „იმის გათვალისწინებით, რომ სამოქალაქო კოდექსის 636-ე მუხლის საფუძველზე შემკვეთს უფლება ჰქონდა, უარი ეთქვა შეთანხმებული მოცულობის სამუშაოს შესრულებაზე და აენაზღაურებინა მხოლოდ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს მოცულობა, საქა-

---

ვავება და სამართლებრივი შედეგები (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით), „ქართული სამართლის მიმოხილვა", სპეციალური გამოცემა, 2008, 127.

[825] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 8 ივნისის განჩინება საქმეზე №ას- 87-82-2010.

[826] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 13 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-502-476-2011.

ლაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხის მხრიდან 394-ე მუხლით გათვალისწინებულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას ადგილი არ ჰქონია."[827]

XIV.2. ნარდობის ხელშეკრულების მოშლის საფუძვლები

ნარდობის ხელშეკრულების მოშლის (შეწყვეტის) ჩვეულებრივ საფუძველს წარმოადგენს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება. მაგრამ შესაძლებელია სამუშაოს დასრულებამდე ნარდობის ხელშეკრულების მოშლა (შეწყვეტა) როგორც შემკვეთის, ისე მენარდის მოთხოვნით. საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ „სააპელაციო პალატამ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 636-ე მუხლი, რადგან მოსარჩელემ დაადასტურა, რომ მას მშენებლობა არ დაუსრულებია და მოპასუხეს ხელშეკრულება არ შეუწყვეტია, არამედ თვითონ მოსარჩელემ მიატოვა სამშენებლო პროცესი, რადგან შემკვეთმა თანხა არ გადაუხადა."[828]

ნარდობის ხელშეკრულების მოშლის შესაძლებლობას კანონმდებელი უშვებს იმ შემთხვევაშიც, როცა სახეზე არ არის სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა. მაგალითად, როდესაც შემკვეთი წყვეტს ხელშეკრულებას მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მნიშვნელოვნად გაზრდის გამო. თუ შემკვეთი წყვეტს ნარდობის ხელშეკრულებას სამუშაოს დასრულებამდე, მან უნდა აუნაზღაუროს მენარდეს როგორც რეალურად უკვე შესრულებული სამუშაო, ასევე ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი (როგორც წესი, მიუღებელი შემოსავლის სახით). ერთ-ერთ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 361-ე მუხლის მეორე ნაწილით და განმარტა, რომ „წინამდებარე საქმესთან მიმართებაში თბილისის საქალაქო სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა სსკ-ს 636-ე მუხლი. აღნიშნული ნორმის გამოყენების საფუძველი არსებობს იმ

[827] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 8 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-87-82-2010.

[828] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 3 მაისის განჩინება საქმეზე №ას-1580-1579-2011.

შემთხვევაში, თუკი საქმეზე დგინდება მხარეთა შორის დადებული ნარდობის ხელშეკრულების მოშლის ფაქტობრივი გარემოება."[829]

თუ შემკვეთი წყვეტს ხელშეკრულებას, მენარდის მხრიდან სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევის გამო (მაგალითად, მენარდე თავისდროულად არ შეუდგა სამუშაოს შესრულებას ან სამუშაოს ისე ნელა ასრულებს, რომ შეუძლებელია მისი დამთავრება ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში, რის გამოც შემკვეთი ინტერესს კარგავს ხელშეკრულების მიმართ), აუცილებლად დაცული უნდა იქნეს სკ-ის 399-ე მუხლის II ნაწილის მოთხოვნები, კერძოდ, თუ საფუძველი სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევაცაა, ხელშეკრულების მოშლა დასაშვებია მხოლოდ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის დადგენილი ვადის უშედეგოდ გასვლის ან უშედეგო გაფრთხილების შემდეგ. შესაბამისად, გამოიყენება 405-ე მუხლის II ნაწილი.[830]

ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 636-ე, 355-ე მუხლებით, აგრეთვე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად და საქმის მასალებზე დაყრდნობით მიიჩნია, რომ „განსახილველ შემთხვევაში მხარეთა შორის არსებობდა ნარდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების თანახმად, მენარდეს შემკვეთის მასალებით უნდა განეხორციელებინა რესტორანის სამშენებლო-სარეკონსტრუქციო, მათ შორის, გადახურვისა და თეთრი კარკასის დონეზე სარემონტო სამუშაოები, ხოლო შესრულებული სამუშაოს ღირებულება უნდა გადახდილიყო სამუშაოს დასრულების შემდგომ. შავი კარკასის მშენებლობის დასრულებისას სამუშაოს გაგრძელებისათვის აუცილებელი მასალებისა და გადახურვისათვის ახალი პროექტის მიწოდება მენარდემ ვერ შეძლო, რამაც გამოიწვია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მშენებლობის დასრულების შეფერხება. მშენებლობის შეფერხების გამო, შემკვეთს მენარდისათვის ხელშეკრულებიდან გასვლის თაობაზე რაიმე სახის შეტყობინება არ გაუგზავნია, ხოლო მენარდემ მხოლოდ 2008 წლის 29 მაისს მოსთხოვა შემკვეთს შესრულებული

[829] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 24 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-307-291-2011.

[830] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 124.

სამუშაოს (რესტორან მ-ის სამსართულიანი შენობის შავი კარკასი) მიღება და თანხის ანაზღაურება, ასევე აცნობა მოქმედი კანონმდებლობით დავის თაობაზე. ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის ხელშეკრულება გრძელდებოდა 2008 წლის 29 მაისამდე."[831]

მაშასადამე, თუ შემკვეთმა სამუშაოს დასრულებამდე მოშალა ნარდობის ხელშეკრულება იმ საფუძვლით, რომ მენარდემ დაარღვია სახელშეკრულებო ვალდებულებები, შემკვეთს არ დაეკისრება მენარდისათვის ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

„საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 636-ე მუხლი. აღნიშნული ნორმა შეეხება ნარდობის ხელშეკრულების მოშლის საკითხს და ადგენს, რომ შემკვეთს უფლება აქვს, სამუშაოს დასრულებამდე ნებისმიერ დროს უარი თქვას ხელშეკრულებაზე, მაგრამ მან უნდა აუნაზღაუროს მენარდეს შესრულებული სამუშაო და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ ნორმაში მითითებულ „ზიანში" იგულისხმება მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისი და არა მიუღებელი შემოსავალი. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ნორმის ამგვარად განმარტების საფუძველი. სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ – მიუღებელი შემოსავლისთვისაც. სკ-ის 636-ე მუხლიდან არ გამომდინარეობს, რომ იგი ნარდობის ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების საკითხს სხვაგვარად არეგულირებს და მიუღებელი შემოსავლის მოთხოვნის უფლებას მხარეს არ ანიჭებს."[832]

ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ დაადგინა, რომ „სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა სსკ-ის 636-ე მუხლი, ისევე როგორც მომსახურების ხელშეკრულებისა და ასანაზღაურებელი ზიანის არსი. პალატამ მიიჩნია, რომ საქმეში წარმოდგე-

[831] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 3 მაისის განჩინება საქმეზე №ას-1580-1579-2011.

[832] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 8 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-87-82-2010.

ნილი არ არის მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მოპასუხის მიერ მითითებულ ფაქტობრივ გარემოებას, მოსარჩელის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო სადავო ნარდობის ხელშეკრულების მოშლის თაობაზე სკ-ის 636-ე მუხლის შესაბამისად. აღნიშნული ნორმის გამოყენების საფუძველი არსებობს იმ შემთხვევაში, თუკი საქმეზე დგინდება მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების მოშლის ფაქტობრივი გარემოება. შესაბამისად, საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, რა ვადით დაიდო მხარეთა შორის ხელშეკრულება, აღნიშნული ხელშეკრულება მოიშალა ვადამდე თუ შეწყდა ვადის გასვლის გამო."[833]

შემკვეთის მიერ სამუშაოს დასრულებამდე ხელშეკრულების შეწყვეტის (მოშლის) შემთხვევაში მენარდისათვის გადასახდელი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას განსხვავებულ წესს ადგენს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 649-ე პარაგრაფი, რომლის თანახმადაც, „თუ შემკვეთი სამუშაოს დასრულებამდე ნებისმიერ დროს წყვეტს ხელშეკრულებას, მენარდეს შეუძლია მოითხოვოს შეთანხმებული საზღაური. ამასთან, მენარდეს ანგარიშში ჩაეთვლება ყველაფერი, რასაც იგი იძენს თავისი სამუშაო ძალის სხვაგვარი გამოყენებით ანდა განზრახ არ იძენს, აგრეთვე რასაც იგი ზოგავს ხელშეკრულების შეყვეტის საფუძველზე. ივარაუდება, რომ მენარმეს ეკუთვნის სამუშაოს ჯერ კიდევ შეუსრულებელ ნაწილზე შეთანხმებული საზღაურის 5%"[834].

XIV.3 ხელშეკრულების მოშლა მენარდის ინიციატივით

XIV.3.1 ზოგადი დებულებები

ნარდობის ხელშეკრულების მოშლის (შეწყვეტის) ჩვეულებრივ საფუძველს წარმოადგენს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება. მაგრამ რადგანაც ნარ-

[833] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 3 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-1146-1166-2011.

[834] Busche, in MüKo.BGB, Band 4.,5.Aufl. §649, Rn.4. Peters, in Staudinger BGB Komm. §649 Rn.6.

დობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ურთიერთობები, როგორც წესი, ატარებს ხანგრძლივ ხასიათს, შესაძლებელია სამუშაოს დასრულებამდე ნარდობის ხელშეკრულების მოშლა (შეწყვეტა) როგორც შემკვეთის, ისე მენარდის მოთხოვნით.[835]

მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ თუკი შემკვეთს სამუშაოს დასრულებამდე ნებისმიერ დროს შეუძლია მოშალოს ხელშეკრულება, მენარდეს, როგორც წესი, ამ შემთხვევაში შეუძლია ისარგებლოს ამ უფლებით, თუკი შემკვეთს შეუძლია მომსახურების სხვაგვარად მიღება. იგულისხმება ისეთი შემთხვევები, როდესაც მენარდეს ბაზარზე არ უკავია საქმიანობის კონკრეტულ სფეროში დომინირებული მდგომარეობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუკი მენარდის მხრიდან ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შედეგად, შემკვეთი განიცდის ზიანს, მენარდეს დაეკისრება მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ შეწყვეტისათვის არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი საფუძველი.[836]

მენარდის მიერ ნარდობის ხელშეკრულების მოშლასთან მიმართებაში მნიშვნელოვან დებულებებს შეიცავს სკ-ის 637-ე მუხლი, თუმცა ნარდობის ხელშეკრულების მოშლასთან მიმართებაში გამოყენებული უნდა იქნეს აგრეთვე ვალდებულებითი სამართლის შესაბამისი ზოგადი ნორმებიც.

XIV.3.2. მენარდის ინიციატივით ნარდობის ხელშეკრულების მოშლის საფუძვლები

მენარდის მხრიდან ხელშეკრულების მოშლის საფუძველი შეიძლება გახდეს სკ-ის 631-ე მუხლით გათვალისწინებული ხარჯთაღრიცხვის გაზრდა. მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის ისეთი გაზრდის შესახებ, რომლის გათვალისწინებაც შეუძლებელი იყო ხელშეკრულების დადებისას, მენარდემ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს შემკვეთს. თუ შემკვეთი წყვეტს ხელშეკრულებას ხარჯთაღრიცხვის

[835] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 1 მარტის განჩინება საქმეზე №-ას-889-1175-09.

[836] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 126.

გაზრდის გამო, მაშინ იგი ვალდებულია აანაზღაუროს შესრულებული სამუშაო მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით.

ნარდობის ხელშეკრულებაში მოქმედებს პრეზუმპცია, რომ მენარდე არის ნარდობის ხელშეკრულებით შესასრულებელი სამუშაოს პროფესიონალი, ამიტომაც მას კანონმდებლობა აკისრებს შემკვეთის მიმართ სამი სახის გარემოების შესახებ გაფრთხილების ვალდებულებას. კერძოდ, მენარდე ვალდებულია დროულად გააფრთხილოს შემკვეთი, რომ: ა) შემკვეთისაგან მიღებული მასალა უხარისხო და გამოუსადეგარია; ბ) თუ შემკვეთის მითითება შესრულდება, ნამუშევარი არამტკიცე და გამოუსადეგარი იქნება; გ) არსებობს მენარდისაგან დამოუკიდებელი სხვა გარემოება, რომელიც საფრთხეს უქმნის ნამუშევრის სიმტკიცესა და ვარგისიანობას (647-ე მუხლი). თუ შემკვეთი მენარდის დროული გაფრთხილების მიუხედავად, შესაბამის ვადაში არ გამოცვლის გამოუსადეგარ ან უხარისხო მასალას, არ შეცვლის მიცემულ მითითებას სამუშაოს შესრულების წესის შესახებ, ანდა არ აღმოფხვრის სხვა გარემოებას, რომელსაც შეუძლია ზიანი მიაყენოს ნამუშევრის ვარგისიანობას ან სიმტკიცეს, მენარდეს უფლება აქვს უარი განაცხადოს ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს ამით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

მაშასადამე, თუ შემკვეთმა სამუშაოს დასრულებამდე მოშალა ნარდობის ხელშეკრულება იმ საფუძვლით, რომ ადგილი აქვს შეცვლილ გარემოებებს ან მენარდემ დაარღვია სახელშეკრულებო ვალდებულებები, შემკვეთს არ დაეკისრება მენარდისათვის ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

იმ შემთხვევაში, თუ მენარდე ხელშეკრულებას წყვეტს თავისი ინიციატივით, მან უნდა დაამტკიცოს, რომ ამისათვის არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი. წინააღმდეგ შემთხვევაში მენარდეს დაეკისრება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის გამო შემკვეთისათვის მიყენებული ზიანის ანაღაურება.

XIV.4. გასამრჯელოს ნაწილის მოთხოვნის უფლება

სკ-ის 638-ე მუხლის თანახმად, თუ მენარდე ვალდებულებას შეწყვეტს სკ-ის 637-ე მუხლის მიხედვით, მაშინ მას შეუძლია მოითხოვოს გასამრჯელოს ნაწილი, რომელიც შეესაბამება მის ადრინდელ მომსახურებას, თუკი შემკვეთს ადრე გაწეული მომსახურების მიმართ აქვს რაიმე ინტერესი. ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ მიუთითა, „მოცემულ შემთხვევაში უდავოა ის გარემოებაც, რომ მენარდემ სამუშაოს ნაწილი შეასრულა, რაც მას აძლევს უფლებას მოითხოვოს გასამრჯელოს ნაწილი, რომელიც შეესაბამება ადრინდელ მომსახურებას (სსკ-ის 638-ე მუხლი).“[837]

ნარდობის ხელშეკრულების მოშლის შესაძლებლობას კანონმდებელი უშვებს იმ შემთხვევაშიც, როცა სახეზე არ არის სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა. მაგალითად, როდესაც შემკვეთი წყვეტს ხელშეკრულებას მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მნიშვნელოვნად გაზრდის გამო. თუ შემკვეთი წყვეტს ნარდობის ხელშეკრულებას სამუშაოს დასრულებამდე, მან უნდა აუნაზღაუროს მენარდეს როგორც რეალურად უკვე შესრულებული სამუშაო, ასევე ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი (როგორც წესი, მიუღებელი შემოსავლის სახით).[838]

თუ მენარდე სამუშაოს დასრულებამდე შეწყვეტს ნარდობის ხელშეკრულებას, მაშინ მას შეუძლია შემკვეთს მოსთხოვოს გასამრჯელოს ის ნაწილი, რომელიც შეესაბამება მის მიერ უკვე შესრულებულ სამუშაოს, თუკი შემკვეთს ადრე გაწეული მომსახურების მიმართ აქვს რაიმე ინტერესი.

---

[837] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 1 მარტის განჩინება საქმეზე №ას-889-1175-09.

[838] ძლიერიშვილი, ნარდობის სამართლებრივი რეგულირება, 2001, 24.

თავი XV. პასუხისმგებლობა ნარდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის

XV.1. პასუხისმგებლობის ცნება და ზოგადი საფუძვლები

ვალდებულების დარღვევისათვის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა გამოხატულებას ჰპოვებს მოვალეზე კანონით დადგენილი ქონებრივი ზემოქმედების ზომებში.[839] სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე, რომელიც არღვევს ვალდებულებას, პასუხს აგებს დაზარალებულის წინაშე. დაზარალებულს უფლება აქვს მოითხოვოს დარღვეული უფლების დაცვა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და სხვა კერძოსამართლებრივი კანონმდებლობა შეიცავს ასევე ისეთ ნორმებს, რომლებიც გამოიყენება მოთხოვნის საფუძვლით გათვალისწინებული წინაპირობების შემოწმებისას და ამდენად ასრულებს დამხმარე ფუნქციას.[840] მოთხოვნის საფუძველია სამართლის ის ნორმა, რომელიც დამოუკიდებლად ან სხვა მოთხოვნის საფუძვლებთან ერთობლიობაში აფუძნებს ამა თუ იმ მოთხოვნას ანუ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა კონკრეტულ უფლება-მოვალეობებს.[841] ხელშეკრულება არ წარმოადგენს მოთხოვნის საფუძველს. მოთხოვნის საფუძველი მხოლოდ კანონშია მოცემული, ხელშეკრულება კი მოთხოვნის წარმოშობის წინაპირობაა.

მოთხოვნის საფუძველი შესაძლოა მიმართული იყოს შესრულების უფლების მინიჭებაზე. მაგალითად, სკ-ის 629-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური. ეს ნორმა ნარდობის მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმების ცენტრალური მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენს. იგი ერთის მხრივ მიუთითებს ნარდობის ხელშეკრულების აუცილებელ

---

[839] თოდუა /ვილემსი , ვალდებულებითი სამართალი 2006, 37.

[840] კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, 80.

[841] ბოელინგი /ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, მეორე გამოცემა, 2004, 39.

ნიშნებზე, რომელიც მას სხვა ხელშეკრულებებისაგან განასხვავებს, ხოლო მეორეს მხრივ ადგენს ვალდებულებათა საბაზისო სისტემას, რომელიც ნარდობის თვისობრივად ახასიათებს: შეკვეთილი სამუშაოს შესრულება და შეთანხმებული საზღაურის გადახდა. რადგან ნარდობის ხელშეკრულება სწორედ აღნიშნული მიზნით იდება და ხელშეკრულების მხარეებს უპირველეს ყოვლისა ამ ვალდებულებების შესრულების მოთხოვნის უფლება აქვთ, ამ სამართლებრივი ნორმის საფუძველზე აღმოცენებულ მოთხოვნას პირველადი მოთხოვნის უფლება ეწოდება.

ნარდობის ხელშეკრულებასთან მიმართებით (როდესაც ხელშეკრულება მოიცავს რაიმე ნაკეთობის დამზადებას, მაშინ მენარდემ უნდა წარუდგინოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნაკეთობა), აღსანიშნავია შემკვეთის შემდეგი მეორადი უფლებები, რომლებიც მას წარმოეშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მენარდემ დაარღვია უნაკლო ნივთის წარდგენის ვალდებულება:

1) დამატებითი შესრულების მოთხოვნა;

2) ნაკეთობის ნაკლის გამოსწორება შემკვეთის მიერ;

3) ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება ნაკეთობის ნაკლის გამო;

4) საზღაურის შემცირება ნაკეთობის ნაკლის გამო;

5) მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

XV.2. დამატებითი შესრულების მოთხოვნა

XV.2.1. ზოგადი დებულებები

მეორადი მოთხოვნის უფლებათა კონკურენციის საკითხი თითქმის ყველა სამართლებრივ სივრცეში განსაზღვრულ იერარქიასა და ეტაპობრიობას ექვემდებარება,[842] ვალდებულების დარღვევის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლებელია კონკრეტული მეო-

[842] Schmidt-Kessel M. (Osnabrück), Remedies for Breach of Contract in European Private Law _ Principles of European Contract Law, Acquis Communautaire and Common und Frame of Reference, in Schulze R. (ed.), New Features in Contract Law, Sellier, European Law Publishers, München, 2007, 194.

რადი მოთხოვნის უფლება იყოს პრიორიტეტული.[843]

სამოქალაქო კოდექსის 642-ე მუხლის თანახმად, დამატებითი შესრულება მეორად მოთხოვნათა შორის უპირატესად გამოსაყენებელი მოთხოვნაა. იგი მენარდისათვის (მოვალისათვის) დამატებითი შანსია „გადაარჩინოს" ხელშეკრულება და დააკმაყოფილოს შესრულების ინტერესი.[844] ამ მოთხოვნის გამოყენების უპირატესობა განპირობებულია უშუალოდ ხელშეკრულების მხარეთა ინტერესებით. კერძოდ, მენარდე და შემკვეთი ნარდობის ხელშეკრულებას შესრულების მიღების და არა მეორადი მოთხოვნების რეალიზების მიზნით დებენ. ნივთის ნაკლის გამოსწორება ან მისი ახლით შეცვლა განხილულ უნდა იქნეს დამატებითი შესრულების მოთხოვნად, რომელიც პრიორიტეტული, უპირატესად გამოსაყენებელია სხვა დანარჩენ მეორადი მოთხოვნის უფლებებს შორის. კერძოდ, სანამ მხარე ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის უფლებას აამოქმედებდეს, ის ვალდებულია მიმართოს დამატებითი შესრულების მოთხოვნის უფლებას[845] იმ პირობით, თუ სახეზე არ არის დამატებითი შესრულების გამომრიცხავი საფუძვლები.[846] აღნიშნული მოტივირებულია კონტინენტური სამართლის სისტემის კონცეფტუალური მიდგომით, რომელიც ორიენტირებულია ხელშეკრულების შესრულებაზე,[847] მოწოდებულია გადაარჩინოს შეთანხმება და უზრუნველყოს მხარეთა ლეგიტიმური სახელშეკრულებო ინტერესის განხორციელება თვით მეორადი მოთხოვნის უფლებების სამართლებრივ რეჟიმში.

დამატებითი შესრულების მოთხოვნა გამორიცხავს სხვა მეორად მოთხოვნას. ამ დროს ადგილი აქვს ე.წ. „მოთხოვნათა გამომრიცხავ"

---

[843] ფიფია ა., ხელშეკრულებიდან გასვლის კონტინენტურევროპული და ანგლოამერიკული სამართლებრივი მონესრიგების ძირითადი მახასიათებლები და მათი გავლენა ქართულ სამართალზე, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა", სპეციალური გამოცემა, 2008, 74.

[844] ბოელინგი/ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, მეორე გამოცემა, 2004, 40.

[845] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2011 წლის 14 მარტის განჩინება საქმეზე #ას-8-5-2011.

[846] იხ. სკ-ის 405-ე II მუხლი.

[847] განსხვავებით ანგლოამერიკული სისტემისგან, რომელიც ზიანის ანაზღაურებაზე ახდენს ორიენტაციას. იხ. Schwenzer I., Hachem P., Kee Ch., Global Sales and Contract Law, Oxford University Press, New York, 2012, 650.

კონკურენციას. მოთხოვნათა გამომრიცხავი კონკურენცია სახეზეა, როდესაც ერთი და იმავე ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისად რამდენიმე მოთხოვნა არსებობს, თუმცა ერთი მოთხოვნის განხორციელება უპირატესია. უპირატესობა ვლინდება ერთი მოთხოვნის განხორციელების ვალდებულებაში სხვა ნებისმიერთან მიმართებით. სანამ არ განხორციელდება ეს მოთხოვნა, უფლებამოსილი პირი ვერ გამოიყენებს სხვა მოთხოვნებს. ნარდობის ხელშეკრულებაში დამატებითი შესრულების მოთხოვნა სხვა მეორად მოთხოვნებთან მიმართებაში, როგორც წესი, უპირატესად გამოსაყენებელი მოთხოვნაა და გამორიცხავს სხვა მეორად მოთხოვნებს.[848]

ნაკლიანი ნაკეთობის გადაცემისას, დამატებითი შესრულების მოთხოვნის უპირატესი გამოყენება, უდავოდ გამომდინარეობს სკ-ის 642-ე და 405-ე მუხლების დანაწესებიდან. მხოლოდ მას შემდეგ, რაც დამატებითი შესრულებისათვის განსაზღვრული ვადა უშედეგოდ გაივლის, შემკვეთს ეძლევა შესაძლებლობა განახორციელოს სხვა მეორადი მოთხოვნები, როგორიცაა ხელშეკრულებიდან გასვლა, საზღაურის შემცირება თუ შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება. ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ განმარტა, რომ „ სკ-ის 642-ე მუხლის ანალიზით ნათელია, რომ თუ შემკვეთი იღებს ნაკეთობას, რომელიც ნაკლის მქონეა, მან უნდა მოსთხოვოს მენარდეს დამატებითი შესრულება. თუ მენარდე არ შეასრულებს მითითებულ სამუშაოს, მაშინ შემკვეთს შეუძლია თვითონ აღმოფხვრას ნაკლი და მოსთხოვოს მენარდეს გაწეული ხარჯების ანაზღაურება“.[849]

XV.2.2. დამატებითი შესრულების მიზნით გაწეული ხარჯები

იმ შემთხვევაში, თუ მენარდე დაამზადებს ნივთობრივად ნაკლის მქონე ნაკეთობას (ნაკეთობა ნივთობრივად უნაკლოა, თუ იგი შეესაბამება შეთანხმებულ პირობებს, ხოლო თუ ეს პირობები შე-

[848] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 131.

[849] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 1 ნოემბრის განჩინება საქმეზე #ას-341-669-05.

თანხმებული არ არის, მაშინ ნაკეთობა ნივთობრივად უნაკლოდ მიიჩნევა, თუკი იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი გამოყენებისათვის. ნივთობრივ ნაკლს უთანაბრდება, თუ მენარდე დაამზადებს შეკვეთილისაგან განსხვავებულ ან უფრო ნაკლები რაოდენობის ნაკეთობას), შემკვეთს შეუძლია მოითხოვოს მენარდისაგან დამატებითი შესრულება. დამატებითი შესრულების მიზნით, მენარდე უფლებამოსილია თავისი არჩევანით ან: ა) აღმოფხვრას ნაკლი, ანდა ბ) დაამზადოს ახალი ნაკეთობა. ნაკლის გამოსწორების საშუალების არჩევა კანონმდელობით დამოკიდებულია თვითონ მენარდეზე. მაგალითად, ნარდობის ხელშეკრულებით დამზადებული წიგნების კარადის ხარისხი არ შეესაბამება ხელშეკრულებით შეთანხმებულ პირობებს. შემკვეთმა მოითხოვა დამატებითი შესრულება ნაკლის აღმოფხვრის მიზნით. მენარდემ ამჯობინა ახალი კარადის დამზადება. თუკი მენარდე დაამზადებს ახალ ნაკეთობას, მას შეუძლია მოსთხოვოს შემკვეთს ნაკლის მქონე ნაკეთობის უკან დაბრუნება. ანუ არ შეიძლება, რომ შემკვეთს დარჩეს როგორც ახალი უნაკლო ნაკეთობა, ისე ნაკლის მქონე ნაკეთობა.[850] ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ განმარტა, რომ, სსკ-ის 642-ე მუხლის შესაბამისად, შემკვეთს შეუძლია მოსთხოვოს მენარდეს ნაკლის აღმოფხვრა, რაც მოცემულ შემთხვევაში შემკვეთმა სარჩელის წარდგენით მოითხოვა".[851]

დამატებითი შესრულების მიზნით მენარდე ვალდებულია გასწიოს აუცილებელი ხარჯები, მათ შორის, ტრანსპორტის, სამუშაოსა და მასალის ხარჯები. მენარდეს შეუძლია უარი თქვას დამატებით შესრულებაზე, თუ იგი მოითხოვს არათანაზომიერ ხარჯებს. არათანაზომიერი ხარჯების განმარტებას სკ-ი პირდაპირ არ მოიცავს. შესაბამისად, ხარჯი არის თუ არა არათანაზომიერი, უნდა გადაწყდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით.[852] შესრულებისათვის აუცილებელი

---

[850] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 133.

[851] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 28 დეკემბრის განჩინება საქმეზე #ას-3კ/992-01.

[852] ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქა-

ხარჯების არაგონივრულობისა და არათანაბარზომიერების საკითხი კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით უნდა შეფასდეს და შეუძლებელია იგი წინასწარ განისაზღვროს.[853]

ევროპული პრინციპების თანახმად, ნატურით შესრულების მეორადი მოთხოვნის უფლება შეზღუდულია. 9:102-ე (2)(ა) მუხლი გამოხატავს პრინციპს – არ არსებობს შეუძლებლობის შესრულების ვალდებულება.[854] ვალდებულების ესრულების დროებითი შეუძლებლობა გამორიცხავს დამაბრკოლებელი გარემოების მოქმედების პერიოდში ვალდებულების იძულებით აღსრულებას. ხოლო თუ ვალდებულებამ შეიძინა კანონსაწინააღმდეგო ხასიათი და ხანგრძლივად გახდა შეუძლებელი, მაშინ ხელშეკრულებიდან გასვლა ავტომატურად გამოიყენება შეტყობინების გარეშე.

შეტყობინების მიზანია კონტრაჰენტს მიენიჭოს დაბრკოლების თავიდან აცილების ან უარყოფითი შედეგების დაძლევის შესაძლებლობა. თუ აღნიშნული მიზანი განუხორციელებელია ვალდებულების აბსოლუტური შეუძლებლობის გამო, მაშინ შეტყობინების ვალდებულება ქარწყლდება. შესრულების შეუძლებლობის არაბრალეულობა ან შესრულების გართულების გამომწვევი გარემოების აღმოცენება მოვალისაგან დამოუკიდებელი, გარეშე მოვლენებით ნატურით შესრულების მოთხოვნასთან ერთად, გამორიცხავს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების არსებობასაც ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპის ძალით[855].

დამატებითი შესრულების მოთხოვნის გამომრიცხავ საინტერესო საფუძველს ითვალისწინებს ევროპული პრინციპები, რომლის თანახმად, დამატებითი შესრულების მოთხოვნა არ გამოყენება თუ ვალდებულების დარღვევა მხარის განზრახვით არის გამოწვეული, რაც პატივსადებ და საფუძვლიან მიზეზს აძლევს მხარეს ივარაუდოს ვალდებულების მომავალში, დამატებით ვადაში შეუსრულებლობა.

დროებითი სახელშეკრულებო დაბრკოლების არსებობისას მხ-

ლაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი I, 642-ე მუხლი, გვ.263.

[853] Lando O., Beale H., Principles of European Contract Law, part I and II, Kluwer Law International, The Hague/London/Boston, 2000, 398.

[854] Lando O., Beale H., Principles of European Contract Law, part I and II, Kluwer Law International, The Hague/London/Boston, 2000, 400.

[855] ევროპული პრინციპების 9:303-ე (4) მუხლი.

არეს აქვს კუთვნილი ვალდებულების შესრულების შეჩერების უფლება კონტრაჰენტის მიერ სანაცვლო ვალდებულების განხორციელებამდე.[856]

დამატებითი შესრულების მოთხოვნის უფლება შემკვეთს ანიჭებს შესაძლებლობას, უარი განაცხადოს თავისი ვალდებულების შესრულებაზე – სამუშაოს შედეგის მიღებასა და შეთანხმებული საზღაურის გადახდაზე, რაც არ გამოიწვევს კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებას.

ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ განმარტა, რომ „მენარდემ ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება სრულად არ შეასრულა, რითაც დაარღვია სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნები და მოსარჩელეს მიაყენა ზიანი. ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს არაჯეროვნად შესრულებასთან დაკავშირებით შემკვეთს სკ-ის 642-ე მუხლის თანახმად შეეძლო, თავისი არჩევანით მოეთხოვა ნაკლის აღმოფხვრა ან ახალი ნაკეთობის დამზადება, თუმცა მას აღნიშნული უფლებებით არ უსარგებლია".[857]

თუ მენარდე არათანაზომიერი ხარჯების გამო უარს იტყვის დამატებით შესრულებაზე, მაშინ შემკვეთს შეუძლია გამოიყენოს სხვა მეორადი მოთხოვნები.

XV.2.3. დამატებითი შესრულების მოთხოვნის რეალიზაციის წინაპირობები

დამატებითი შესრულების მოთხოვნის რეალიზების წინაპირობაა,[858] რომ ვალდებულების შესრულება ვადამოსული იყოს.[859] შესაბამისად, შესრულებისათვის დამატებითი ვადის დაწესება განსაზღვრავს დამატებითი შესრულების კონკრეტულ შინაარსს. ნარდობასთან მიმართებით, შემკვეთის დამატებითი შესრულების

[856] იხ უნიდრუას სახელშეკრულებო პრინციპების 7.1.3-ე და ევროპული პრინციპების 9:201-ე მუხლები.

[857] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 19 აპრილის განჩინება საქმეზე # ას-270-261-2012.

[858] Ernst, in MüKo.BGB, Band 2.,5.Aufl. §323, Rn.45.

[859] Medicus, Schuldrecht I, Allgemeiner Teil, 13. Aufl.,2002, S.507.

მოთხოვნა მენარდის მიმართ ვლინდება ან ნაკლის გამოსწორების, ან ნაკლიანი ნაკეთობის უნაკლო შეცვლის მოთხოვნით. მათი სამართლებრივი შედეგი იდენტურია – შემკვეთი ღებულობს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნივთს ანუ ნარდობის ხელშეკრულების შესაბამის შესრულებას. ამ გზით ხელშეკრულების მიზანი, თუმცა დამატებითი შესრულების მეორადი მოთხოვნის რეალიზების შემდეგ, მაინც მიღწეულია. „სამოქალაქო კოდექსის 642-ე მუხლის თანახმად, პალატამ მიიჩნია, რომ შემკვეთს თავისი არჩევანით შეეძლო მოეთხოვა ნაკლის აღმოფხვრა ან ახალი ნაკეთობის დამზადება, თუმცა მას აღნიშნული უფლებებით არ უსარგებლია. მოსარჩელემ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 645-ე მუხლით მინიჭებული უფლება და მოპასუხეს შეუმცირა საზღაური ნაკეთობის შემცირებული ღირებულების გათვალისწინებით."[860]

ნაკლიანი ნაკეთობის გადაცემისას, დამატებითი შესრულების მოთხოვნის უპირატესი გამოყენება, უდავოდ გამომდინარეობს სკ-ის 642-ე და 405-ე მუხლების დანაწესებიდან. მხოლოდ მას შემდეგ, რაც შესრულებისათვის განსაზღვრული ვადა უშედეგოდ გაივლის, შემკვეთს ეძლევა შესაძლებლობა განახორციელოს სხვა მეორადი მოთხოვნები, როგორიცაა ხელშეკრულებიდან გასვლა, საზღაურის შემცი-რება თუ შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება.[861] აღსანიშნავია, რომ სკ-ის 642-ე მუხლის ანალოგიურ დებულებებს შეიცავს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 635-ე პარაგრაფი.[862]

შესრულების შეუძლებლობის პირობებში კონტინენტურ სამართალში უპირატესად გამოსაყენებელი დამატებითი შესრულების მეორადი მოთხოვნის უფლება აზრს კარგავს[863] და კრედიტორისათვის ხელშეკრულებიდან გასვლისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებებია პრიორიტეტული. ხელშეკრულებიდან გასვლის მეორადი მოთხოვნის უფლება ცენტრალურ ადგილს იკავებს, რამდე-

---

[860] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 19 აპრილის განჩინება საქმეზე #ას-270-261-2012.

[861] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 134.

[862] Busche, in MüKo.BGB, Band 4.,5.Aufl. §635, Rn.5.

[863] გსკ-ის § 326-ე, (German Civil Code _ Bürgerliches Gesetzbuch, Bundesministerium der Justiz, Juris GmbH, Saarbrücken, 2005).

ნადაც აღნიშნულ შემთხვევაში დამატებითი შესრულების მოთხოვნა უბრალო ფორმალობად იქცევა[864] და მისი გამოყენება ყოველგვარ მიზანს მოკლებულია სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით. სკ-ის 405-ე II „ა" მუხლი გამორიცხავს დამატებითი შესრულების მოთხოვნის უფლების გამოყენებას: არ არის აუცილებელი დამატებითი ვადის დაწესება ან გაფრთხილება, თუ აშკარაა, რომ მას შედეგი არ მოჰყვება. სკ-ის 405-ე II „ა" მუხლი მოიცავს შესრულების შეუძლებლობის ინსტიტუტს, რომლის პირობებშიც დამატებითი შესრულების მოთხოვნა უბრალო ფორმალობად იქცევა.[865]

XV. 3. ნაკლის გამოსწორება შემკვეთის მიერ

XV. 3.1. ზოგადი დებულებები

იმ შემთხვევაში, თუკი მენარდე არათანაზომიერი ხარჯების გამო უარს კი არ იტყვის დამატებით შესრულებაზე, მაგრამ ნაკეთობის ნაკლის გამო დამატებითი შესრულებისათვის განსაზღვრული ვადა უშედეგოდ გავიდა, მაშინ შემკვეთს თვითონ შეუძლია აღმოფხვრას ნაკლი და მოითხოვოს გაწეულ ხარჯების ანაზღაურება. ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ განმარტა, რომ „აპელანტის მიერ სამართლებრივ უსწორობად მოყვანილი მოსაზრება მასზე, რომ გარიგების დადება მოხდა არსებითი შეცდომის საფუძველზე და რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არ გამოიყენა სსკ-ის 643-ე მუხლი, სამართლებრივად დაუსაბუთებელია".[866]

არსებობს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სამართლებრივი შედეგის დადგომის წინაპირობები და თვითონ სამართლებრივი შედეგი არ არის მოწესრიგებული ერთი და იგივე ნორმით. ასეთ შემთხვევაში მოთხოვნის საფუძველი შედგება სხვადასხვა ნორმისაგან. ე.წ. მოთხოვნათა ჯაჭვისაგან, რომლებშიც მოცემულია სხვადასხვა

[864] Markesinis S. B., Unberath H., Johnston A., The German Law of Contract – A Comparative Treatise, 2nd ed., Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 386.

[865] ჩიტაშვილი, შეცვლილი გარემოებებით წარმოშობილი შესრულების გართულება, სამართლის ჟურნალი, 2011, 151.

[866] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 24 ნოემბრის განჩინება საქმეზე #ას-1327-1347-2011.

ფაქტობრივი ელემენტის დეფინიცია.[867] ამის თვალსაჩინო მაგალითია სკ-ის 629-ე, 641-ე, 642-ე და 643(I)-ე მუხლების საფუძველზე გაწეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა შემკვეთის მიერ ნაკლის აღმოფხვრისას. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ „სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა 643-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადება, რომლის თანახმად, შემკვეთს შეუძლია თვითონ აღმოფხვრას ნაკლი და მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება."[868]

როდესაც საუბარია შემკვეთის უფლებაზე, თვითონ აღმოფხვრას ნაკლი, იგულისხმება ორი შესაძლებლობა: ა) ნაკლის აღმოფხვრა უშუალოდ შემკვეთის მიერ; ბ) ნაკლის აღმოფხვრა მესამე პირების მიერ შემკვეთთან შეთანხმებით. ორივე შემთხვევაში დამატებითი ხარჯების გადახდის ვალდებულება ეკისრება მენარდეს, რომელმაც დაამზადა ნაკლიანი ნაკეთობა. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ „საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს 643-ე მუხლის შემადგენლობა".[869]

XV. 3.2. შემკვეთის მიერ ნაკლის გამოსწორების უფლების გამოყენების წინაპირობები

იმისათვის, რომ შემკვეთმა გამოიყენოს აღნიშნული მეორადი მოთხოვნის უფლება, საჭიროა შემდეგი წინაპირობების დაცვა: ა) მენარდემ შემკვეთს გადასცა ნივთობრივად ნაკლიანი ნაკეთობა; ბ) შემკვეთმა მენარდეს მოსთხოვა დამატებითი შესრულება, რისთვისაც განუსაზღვრა ვადა; გ) მენარდეს უარი არ უთქვამს დამატებით შესრულებაზე არათანაზომიერი ხარჯების გამო; დ) დამატებითი შესრულებისათვის, მენარდისათვის დაწესებული ვადა უშედეგოდ გავიდა. ერთ-ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ სსკ-ის 643-ე მუხ-

[867] ჰენშელი, სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდიკა, 2009, 78.

[868] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 2 მაისის განჩინება საქმეზე #3კ – 1400-02.

[869] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 9 ოქტომბრის განჩინება საქმეზე #ას-1673-1569-2012.

ლის პირველი ნაწილის საფუძველზე განმარტა, რომ „შემკვეთმა არაერთხელ მიმართა მენარდეს ნაკლიანი შესრულების გამოსწორებისათვის, თუმცა უშედეგოდ. შესაბამისად, მას წარმოეშობა ნაკლის თავად აღმოფხვრის შესაძლებლობა და აღნიშნული ხარჯების მენარდისაგან ანაზღაურების მოთხოვნის უფლება".[870]

დამატებითი შესრულების მიზნით დამატებითი ვადის განსაზღვრა საჭირო არ არის, თუ ადგილი აქვს სკ-ის 405-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევას. შემკვეთს კანონმდებელი შესაძლებლობას ანიჭებს მოსთხოვოს მენარდეს ავანსი ნაკლის აღმოსაფხვრელად საჭირო ხარჯებისათვის. ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, მენარდის მიერ შესრულებულ სამუშაოს არ ჰქონდა ნაკლი.[871]

ნარდობის ხელშეკრულებით შესაძლებელია გათვალისწინებული იქნეს ავანსის ან ბეს გადახდა. ავანსის ცნება მართალია კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული, თუმცა ამ სამართლებრივ ინსტიტუტს ფართო გამოყენება აქვს პრაქტიკაში.[872] ავანსი არის ფულადი თანხის გადახდა, რომელიც ხორციელდება უკვე დადებული ხელშეკრულების შესასრულებლად, მაშინ როდესაც ბე ადასტურებს ხელშეკრულების დადებას.[873]

თუკი შემკვეთი თვითონ გამოასწორებს ნაკეთობის ნაკლს, მას სკ-ის 643-ე მუხლის III ნაწილის თანახმად, შეუძლია მოსთხოვოს მენარდეს ავანსის გადახდა. (ანალოგიურ დანაწესს შეიცავს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 637-ე მუხლის მესამე აბზაცი).[874] მაგალითად, მენარდემ ნარდობის ხელშეკრულებით დაამზადა ნივთობრივად ნაკლიანი ნაკეთობა. შემკვეთმა დამატებითი შესრულების მიზნით მენარდეს დაუწესა დამატებითი ორკვირიანი ვადა. მენარდემ ვერც

---

[870] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 8 დეკემბრის განჩინება საქმეზე # ას-1432-1447-2011.

[871] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 27 სექტემბრის განჩინება საქმეზე #ას-1327-1347-2011.

[872] საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემურ საკითხებზე, 2007, 73.

[873] ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, 252.

[874] Busche, in MüKo.BGB, Band 4.,5.Aufl. §637, Rn.18.

ამ დამატებით მიცემულ ვადაში შეძლო ნაკლის აღმოფხვრა. შემკვეთმა ნაკლის აღმოფხვრა დაავალა მესამე პირს ანდა გადაწყვიტა თვითონ გამოეწორებინა ნაკეთობის ნაკლი. ნაკლის აღმოსაფხვრელად საჭირო იყო 500 ლარის ოდენობის ხარჯი. შემკვეთს უფლება აქვს მოსთხოვოს მენარდეს წინასწარ ავანსი, მაგალითად, 150 ლარის ოდენობით, რომელიც ჩაითვლება ნაკლის აღმოსაფხვრელად საჭირო დამატებითი ხარჯების ჯამში. ანუ თუ დამატებითი ხარჯები შეადგენს 500 ლარს, ავანსი – 150 ლარს, ნაკლის აღმოფხვრის შემდეგ მენარდეს დაეკისრება შემკვეთისათვის დამატებით 350 ლარის გადახდის ვალდებულება.[875]

ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო პალატამ მტკიცებულებათა კვლევის ნაწილში გაიზიარა კასატორის პრეტენზიას და მიიჩნია, „რომ სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლისა და 249-ე მუხლის შესაბამისად არ გამოუკვლევია და გადაწყვეტილებაში არ აუსახავს დასკვნა იმის შესახებ, საქმეში წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნა ადასტურებს თუ არა მოპასუხის მიერ ნარდობის ხელშეკრულების არაჯეროვან შესრულებას, რამაც შემკვეთის მიერ სხვა პირთან ხელშეკრულების დადება და დამატებითი ხარჯების გაწევა განაპირობა. აღნიშნული მნიშვნელოვანია ინდენად, რამდენადაც ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოსარჩელის მოთხოვნა მენარდის მიერ სამოქალაქო კოდექსის 641-ე მუხლის შეუსაბამო შესრულებას ემყარება. საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს ასევე სკ-ის 643-ე მუხლის შემადგენლობა."[876]

შემკვეთის მიერ ნაკეთობის ნაკლის გამოსწორების უფლება გათვალისწინებულია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 637-ე პარაგრაფში.[877]

---

[875] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 131.

[876] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 9 ოქტომბრის განჩინება საქმეზე # ას-1673-1569-2012.

[877] Busche, in MüKo.BGB, Band 4.,5.Aufl. §637, Rn.18. Peters, in Staudinger BGB Komm. §637, Rn.19F. Voit, in Bamberger/Roth (Hrsg.) BGB Komm. §637, Rn.4.

XV.4. ხელშეკრულებაზე უარი ნაკეთობის ნაკლის გამო

XV.4.1. ზოგადი დებულებები

სამოქალაქო კოდექსის 644-ე მუხლის თანახმად, ნაკეთობის ნაკლის გამო შემკვეთს შეუძლია 405-ე მუხლის მიხედვით უარი თქვას ხელშეკრულებაზე. ამ შემთხვევაში მენარდე ვალდებულია აუნაზღაუროს შემკვეთს ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ხარჯები. ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ განმარტა, რომ „კანონი ითვალისწინებს შემკვეთის გარკვეულ შესაგებლებს მენარდის მიმართ, რაც აბრკოლებს საზღაურის მოთხოვნის უფლებას, კერძოდ, შემკვეთს უფლება აქვს, მიიღოს შესრულებული სამუშაო და შეამოწმოს, ხომ არ არის იგი ნაკლის მქონე, რის შემდგომაც მას შეუძლია, მოსთხოვოს მენარდეს შესაბამისი ქმედებების განხორციელება. შემკვეთის მიერ ამ უფლების გამოყენებისას საზღაურის გადახდა არ მოხდება მანამ, სანამ ნაკლი არ აღმოიფხვრება. უფრო მეტიც, 644-ე მუხლის თანახმად ნაკეთობის ნაკლის გამო შემკვეთს შეუძლია 405-ე მუხლის მიხედვით უარი თქვას ხელშეკრულებაზე. ამ შემთხვევაში მენარდე ვალდებულია აუნაზღაუროს შემკვეთს ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ხარჯები. ამდენად, ამ შემთხვევაში შემკვეთი არათუ საზღაურს არ იხდის, არამედ უფლებამოსილია, მოსთხოვოს მენარდეს ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება."[878]

იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, ხელშეკრულების დადების მომენტიდან მხარეები ვალდებულნი არიან შეუდგნენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. მათ არ შეუძლიათ ცალმხრივად თქვან უარი ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე. მაგრამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში ხელშეკრულების მხარეს უფლება აქვს გავიდეს ხელშეკრულებიდან და უარი თქვას ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე. ხელშეკრულების ერთ-ერთი მონაწილის შესაძლებლობას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში უარი თქვას ხელშეკრულების გაგრძელებაზე, ხელშეკრულებიდან გასვლა ეწოდება. იგი ჩვენში

[878] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 1 ოქტომბრის განჩინება საქმეზე #ას-184-177-2013.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსიდანა გადმოღებული და ბევრად ეხმაურება ევროგაერთიანების სამართალს.[879]

ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება აღმჭურველი უფლებაა და განსხვავებით მოთხოვნის უფლებისაგან. მასზე არ ვრცელდება ხანდაზმულობა.[880]

სამოქალაქო კოდექსი და სხვა კერძოსამართლებრივი კანონმდებლობა შეიცავს აგრეთვე ისეთ ნორმებს, რომლებიც გამოიყენება მოთხოვნის საფუძვლით გათვალისწინებული წინაპირობების შემოწმებისას და ამდენად, ასრულებს დამხმარე ფუნქციას. დამხმარე ხასიათის ნორმებს განეკუთვნება ასევე უშუალოდ სამართლებრივი შედეგის დამფუძნებელი უფლების მომწესრიგებელი ნორმები, ისინი პირს სამართლებრივი შედეგის მოდიფიცირების უფლებას ანიჭებს ხელშეკრულების მეორე მხარის თანხმობის არსებობის მიუხედავად.[881]

დამფუძნებელია უშუალო სამართლებრივი შედეგის წარმომშობი უფლება, რომელიც პირს ანიჭებს უფლებამოსილებას, ცალმხრივი ნების გამოვლენით წარმოშვას, შეცვალოს ან გააუქმოს სამართლებრივი შედეგი.[882] დამფუძნებელი უფლების მარეგულირებელი ნორმების ძირითადი თავისებურება ისაა, რომ უფლებამოსილი პირის მიერ უფლება ხორციელდება ნამდვილი, მიღებასავალდებულო ნების გამოვლენით. ასეთ დამფუძნებელ უფლებათა რიცხვს მიეკუთვნება ხელშეკრულებიდან გასვლა, რომელიც სკ-ის 355-ე მუხლის თანახმად, ხდება ხელშეკრულების მეორე მხარისათვის შეტყობინებით. დამფუძნებელი უფლება განხორციელებულია ანუ შესაბამისი ნების გამოვლენა ნამდვილია იმ მომენტიდან, როდესაც იგი ხელშეკრულების მეორე მხარეს მიუვა, კერძოდ, მოხვდება მიმღების ძალაუფლების სფეროში და ამ უკანასკნელს ექნება მისი შინაარსის რეალურად განხორციელების შესაძლებლობა.[883] ამ

---

[879] ზოიძე, ევროპული სამართლის რეცეპცია საქართველოში, 2009, 266.

[880] თოდუა/ვილემსი, ვალდებულებითი სამართალი, 2006, 41.

[881] Krüger, in MüKo.BGB, Band 2.,5.Aufl. §349, Rn.3. Keiser, in Staudinger BGB Komm. §349 aF,Rn.11.

[882] Kramer, in MüKo.BGB, Band 1.,5.Aufl. §145, Rn.6. Bork, in Staudinger BGB Komm. §145, Rn.34.

[883] კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, 246.

უფლებათა განსხვავებული სტატუსი, ცხადია, არ გამორიცხავს მათ განხორციელებას სასამართლოსათვის მიმართვის გზით.[884] ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ მიუთითა: წარმოდგენილი მტკიცებ-ულებებით ირკვევა, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულე-ბა ბეტონის მიწოდების შესახებ შეწყვეტილი იყო მისი ჯეროვნად შეუსრულებლობის გამო. შესაბამისად, მოწინააღმდეგე მხარეს წარ-მოეშვა დამატებითი ხარჯი, რომლის ანაზღაურების ვალდებულება-საც ითვალისწინებს კიდეც სკ-ის 644-ე მუხლი.[885]

დამფუძნებელი უფლების განხორციელება პირდაპირ ზეგავლე-ნას ახდენს ცალკეული მოთხოვნის წარმოშობასა და გაუქმებაზე. მაგალითისათვის, უფლებამოსილი პირის მიერ კანონით დადგენილი წესებისა და პირობების შესაბამისად განხორციელებული ხელშეკ-რულებიდან გასვლა სკ-ის 352-ე მუხლით წარმოშობს ე.წ. რესტი-ტუციის მოთხოვნის უფლებას. დამფუძნებელი უფლება არ არის მოთხოვნა და შესაბამისად მასზე არ ვრცელდება ხანდაზმულობის ვადა. თუმცა ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ, სკ-ის 352-ე მუხ-ლის შესაბამისად, წარმოიშობა ხელშეკრულების დადებამდე არსებ-ული პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის უფლება. ეს უკანასკნე-ლი არის მოთხოვნა და მასზე გავრცელდება სკ-ის 128-ე მუხლით დადგენილი ხანდაზმულობის ვადები.[886]

მხარეებს უფლება აქვთ ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირო-ბები და სამართლებრივი შედეგები წინასწარ შეათანხმონ ხელშეკ-რულებით. თუ მხარეები ამ უფლებით არ ისარგებლებენ, გამოიყ-ენება კანონის დისპოზიციური ნორმები.[887]

---

[884] Larenz/Wolf, Allgemeiner Teil des Bürgerliches Rechts, 9. Aufl.,2004, 69.

[885] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 24 ნოემბრის განჩინება საქმეზე #ას-1327-1347-2011.

[886] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 140.

[887] Medicus/Lorenz, Schuldrecht I, Allgemeiner Teil, 18. Aufl., 2008, 556.

XV.4.2. უნაკლო ნივთის გადაცემის ვალდებულების დარღვევის გამო ნარდობის ხელშეკრულებაზე უარის შედეგები

ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება კანონით გათვალისწინებული უფლებაა. ამიტომ კანონი ამომწურავად განსაზღვრავს ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძვლებსა და წესს, კერძოდ, იმას, თუ როდის შეუძლია ხელშეკრულების მხარეს მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა (სკ-ის 405-ე, 352-389-ე მუხლები). თუმცა, ეს არ გამორიცხავს, რომ მხარეები შეთანხმდნენ ხელშეკრულებიდან გასვლის დამატებით პირობებზე.[888]

ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის კანონისმიერი წინაპირობებია: ა) ხელშეკრულების ნამდვილობა (უნდა აკმაყოფილებდეს გარიგების ნამდვილობის ზოგად პირობებს); ბ) ზოგადი წესის მიხედვით, მოვალის მხრიდან ხელშეკრულების მნიშვნელოვანი (არსებითი) დარღვევა (დარღვევა არსებითი ხასიათისაა, თუ მოვალის მხრიდან ძირითადი ვალდებულების დარღვევის გამო, ფაქტობრივი შესრულების დანიშნულებისამებრ გამოყენება შეუძლებელი ხდება ან იკარგება მომავალში მისი შესრულების იმედი ანდა კრედიტორს ეკარგება შესრულებისადმი ინტერესი; გ) ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ განცხადების გაკეთებით მონაწილე მთლიანად გადის ხელშეკრულებიდან, რადგანაც კანონით დაუშვებელია ხელშეკრულებიდან ნაწილობრივი გასვლა; დ) მიუხედავად ვალდებულების მნიშვნელოვანი დარღვევისა, მოვალეს არ შეუძლია კრედიტორს მოსთხოვოს ხელშეკრულების ძალაში დატოვება; ე) ვალდებულების დარღვევისათვის კრედიტორი მთლიანად ან უმთავრესად არ არის პასუხისმგებელი; ვ) მოთხოვნას არ უპირისპირდება შესაგებელი, რომელიც უკვე წარმოდგენილია ან წარდგენილი იქნება დაუყოვნებლივ მოვალის მიერ, თუკი კრედიტორი უარს იტყვის ხელშეკრულებაზე (მაგალითად, შესაგებელი ვალდებულების გაქვითვაზე); ზ) სახეზეა კრედიტორის მიერ შესაგებელი იურიდიული მოქმედება – ხელშეკრულებიდან გასვლისათვის მოცემული გონივრული ვადა, თუ ხელშეკრულებით ასეთი ვადა არ ყოფილა დადგენილი – ანდა, თუ ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, არ გამოიყენება

[888] ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, 2001, გვ.231.

დამატებითი ვადა – გაფრთხილება.[889]

„ერთ-ერთ საქმეზე კასატორი საკასაციო საჩივრით მოითხოვდა ასევე გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მისი შეგებებული სარჩელი მენარდისათვის ზედმეტად გადახდილი თანხის უკან დაბრუნების თაობაზე. შეგებებული სარჩელის მოთხოვნა ეფუძნებოდა იმ გარემოებას, რომ 2009 წლის 13 ოქტომბრის ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე ვალდებული იყო, აეშენებინა და შემკვეთისათვის გადაეცა 883მ² საცხოვრებელი სახლი. შემკვეთმა მენარდეს სრულად გადაუხადა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასი, კერძოდ, 1მ²-ში – 105 აშშ დოლარის, სულ – 92715 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი. მენარდემ, ნაცვლად ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფართისა, ააშენა მხოლოდ 754მ² ფართი, ანუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე 129მ²-ით ნაკლები, შესაბამისად, შემკვეთის მიერ ზედმეტად გადახდილი ფასი, კერძოდ, 13545 (129X105) აშშ დოლარი მენარდეს უნდა დაებრუნებინა შემკვეთისათვის. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი აზომვითი ნახაზის მიხედვით, მენარდემ ააშენა 948.83მ² ფართი, ანუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე მეტი, შესაბამისად, ვინაიდან შემკვეთს გადახდილი ჰქონდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასი 883მ²-ისათვის, მენარდეს ზედმეტი თანხა არ მიუღია. **სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ზემოხსენებული ფაქტობრივი გარემოების მიმართ კასატორს წარმოდგენილი აქვს დასაბუთებული პრეტენზია,** კერძოდ, კასატორი მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ შეფასების გარეშე დატოვა ის გარემოება, რომ, კორექტირებული პროექტის მიხედვით, შენობის პირველ სართულში უნდა გაკეთებულიყო ანტრესოლი. შემკვეთმა ანტრესოლი მოაწყო თავისი ხარჯით, რაც დასტურდება შემკვეთსა და შპს „კ-ს" (მენარდეს) შორის დადებული ხელშეკრულებით, ასევე შპს „კ-ის" თანხის გადარიცხვის დოკუმენტებით. კასატორის მოსაზრებით, აზომვით ნახაზში მითითებულ ფართში შედის მისი ხარჯით მოწყობილი ანტრესოლის ფართი – 152მ². ამ ფართის გამოკლებით კი, მენარდემ, 883მ²-ის ნაცვლად, ააშენა 129მ²-ით ნაკლები. საკასაციო სა-

[889] თოდუა /ვილემსი, ვალდებულებითი სამართალი, 2006, 56.

სამართლო **ნაწილობრივ დაეთანხმა ზემოაღნიშნულ პრეტენზიას და, უპირველესად,** ყურადღებას მიაქცია იმ გარემოებას, რომ შეგებებულ სარჩელში და საკასაციო საჩივარში მითითებული ფაქტი კასატორის მიერ საკუთარი ხარჯით 152მ² ანტრესოლის მოწყობასთან დაკავშირებით, **მოწინააღმდეგე მხარეს (მენარდეს) საქმის წარმოების არც ერთ ეტაპზე სადავოდ არ გაუხდია,** შესაბამისად, ეს ფაქტი უდავოა. ამასთან, საკასაციო სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ ხსენებული ფაქტობრივი გარემოება დასტურდება შემკვეთის მიერ მითითებული და წარმოდგენილი მტკიცებულებებით – შპს „კ-ან" გაფორმებული ნარდობის ხელშეკრულებითა და თანხის გადარიცხვის ქვითრებით (იხ. ტომი 2, ს.ფ. 36-37). აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, **გადაწყვეტილების გამოტანისას დაეყრდნოს ზემოხსენებულ უდავო ფაქტობრივ გარემოებას.** ამასთან, საკასაციო სასამართლომ ვერ გაიზიარა კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მენარდემ ფაქტობრივად ააგო 129მ²-ით ნაკლები ფართი. სააპელაციო სასამართლოს მიერ მითითებული აზომვითი ნახაზის მიხედვით, მთლიანად აშენებული ფართი შეადგენს 948.83მ²-ს, კერძოდ, სარდაფის ფართია – 179.80მ², პირველი სართულის – 188.52მ², ანტრესოლის – 152.11მ², მე-2 სართულის – 214.20მ², მე-3 სართულის – 214.20მ2. აღნიშნული აზომვითი ნახაზის მიმართ კასატორს რაიმე პრეტენზია არ წარმოუდგენია, შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ ანტრესოლი გააკეთა შემკვეთმა (შეგებებულმა მოსარჩელემ) და არა მენარდემ (შეგებებულ სარჩელზე მოპასუხემ), ხოლო მთლიანი ფართი შეადგენს 948.83მ²-ს, ამ ფართს უნდა გამოაკლდეს ანტრესოლის ფართი – 152.11მ², რითაც მივიღებთ მენარდის მიერ ფაქტობრივად აშენებული ფართის ოდენობას. აღნიშნული **გაანგარიშებით მიღებული ფართი არის 796.72მ² (948.83-152.11=796.72), ხოლო დანაკლისი შეადგენს 86.28მ²-ს** (883-796.72=86.28). 2012 წლის 20 ნოემბერს კასატორმა წარმოადგინა დამატებითი მოსაზრებები, სადაც დააზუსტა დანაკლისი ფართისა და დასაბრუნებელი თანხის ოდენობა, კერძოდ, კასატორი განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ 948.83მ² ფართში შედის 143მ² ანტრესოლი, გ. კ-ემ (მენარდემ) ააშენა 805,83მ² (948.83-143), რაც 77.17მ2-ით (883-805.83) ნაკლებია

ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებაზე, შესაბამისად, ზედმეტად გადახდილია 8102.85 (77.17X105) აშშ დოლარი (იხ. ტომი 3, ს.ფ. 356). სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლის მიხედვით, ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მენარდეს შემკვეთისაგან მიღებული აქვს 883მ²-ის საფასური **სრულად, ხოლო მენარდის მიერ აშენებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე 77.17მ²-ით ნაკლები ფართი.** სამოქალაქო კოდექსის 639-ე მუხლის მიხედვით, თუ მომსახურება მოიცავს რაიმე ნაკეთობის დამზადებას, მაშინ მენარდემ შემკვეთს უნდა წარუდგინოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთი. ამავე კოდექსის 641-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ნივთობრივ ნაკლს უთანაბრდება, თუ მენარდე დაამზადებს შეკვეთილისაგან განსხვავებულ **ან უფრო ნაკლები რაოდენობის ნაკეთობას.** განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან მენარდემ შემკვეთს წარუდგინა ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე 77.17მ²-ით ნაკლები ფართი, **იკვეთება შემკვეთისათვის ნივთობრივი ნაკლის მქონე** – უფრო ნაკლები რაოდენობის ნაკეთობის გადაცემის ფაქტი. **სამოქალაქო კოდექსის 644-ე მუხლის მიხედვით,** ნაკეთობის ნაკლის გამო, შემკვეთს შეუძლია, 405-ე მუხლის მიხედვით უარი თქვას ხელშეკრულებაზე. ამ შემთხვევაში მენარდე ვალდებულია აუნაზღაუროს შემკვეთს ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ხარჯები. მოცემულ შემთხვევაში, ნაკეთობის ნაკლის გამო, შემკვეთი გავიდა ხელშეკრულებიდან, **რაც სადავო არაა,** შესაბამისად, შემკვეთი უფლებამოსილია, მენარდეს მოსთხოვოს ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ხარჯები. ასეთი ხარჯები შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს (მაგ. მასალის ღირებულება, საპროექტო-სამშენებლო დოკუმენტაციის ხარჯები და სხვა). **განსახილველ შემთხვევაში, ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ ხარჯად უნდა მივიჩნიოთ შემკვეთის მიერ მენარდისათვის ზედმეტად გადახდილი თანხა,** ანუ ის თანხა, რაც შემკვეთმა წინასწარ გადაიხადა 77.17მ² ფართის აშენებისათვის და რომელიც მენარდეს არ შეუსრულებია. ეს ხარჯი შეადგენს 8102.85 (77.17X105) აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე,

დაუსაბუთებელია და გაუქმებას ექვემდებარება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც **არ დაკმაყოფილდა შემკვეთის შეგებებული სარჩელი მენარდისათვის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების თაობაზე (სსკ-ის 393-ე მუხლი).** ამასთან, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლომ თავად მიიღო ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილა და გ. კ-ეს თ. დ-ის სასარგებლოდ დააკისრა 8102.85 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა. კასატორი საკასაციო საჩივრით მოითხოვდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას იმ ნაწილშიც, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მისი შეგებებული სარჩელი მის მიერ შენობის ნაკლის გამოსწორებისათვის გაწეული ხარჯის სრულად ანაზღაურების თაობაზე. **საკასაციო სასამართლო მიიჩნია, რომ ამ ნაწილში კასატორის მოთხოვნა დაუსაბუთებელია,** ვინაიდან შემკვეთის მიერ შენობის ნაკლის გამოსწორებისათვის გაწეული ხარჯის ოდენობის დადგენისას, სასამართლო დაეყრდნო თავად შეგებებული მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ ექსპერტზის დასკვნას, რომლის მიხედვით, სარდაფში წყლის ჟონვის აღმოსაფხვრელად საჭიროა დამატებითი სამუშაოების ჩატარება, რომლის ღირებულება წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვით შეადგენს 9886.5 ლარს, ხოლო სახურავი პროექტს რომ შეესაბამებოდეს, საჭიროა დამატებითი სამუშაოების ჩატარება, რომლის ღირებულება შეადგენს 1475.7 ლარს, სულ – 11362.2 ლარს. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, მითითებული თანხა დაკისრებული აქვს მენარდეს შემკვეთის სასარგებლოდ. **კასატორი არ უთითებს, თუ რომელ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ეკუთვნის მას შენობის ნაკლის გამოსწორებისათვის უფრო მეტი თანხა და, საერთოდ, რამდენია ეს თანხა.** რაც შეეხება 40 სმ სისქის სამშენებლო ბლოკის ნაცვლად, 20 სმ სისქის სამშენებლო ბლოკით კედლების ამოშენებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, კასატორის პრეტენზია ამ შემთხვევაშიც დაუსაბუთებელია, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ შესწორებული პროექტი ითვალისწინებდა კედლების ამოშენებას 20 სმ სისქის სამშენებლო ბლოკით, ნაცვლად თავდაპირველი პროექტით გათვალ-

ისწინებული 40 სმ-ისა, შესაბამისად, **სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მენარდეს ხელშეკრულების პირობები არ დაურღვევია, ნაგებობა შეესაბამება საპროექტო მონაცემებს**, ანუ იგი არ არის ნაკლის მქონე და, აქედან გამომდინარე, შემკვეთს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება არ გააჩნია. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ზემოხსენებულ ფაქტობრივ გარემოებაზე **კასატორს დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია**, ამიტომ იგი სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით კი, შეგებებული სარჩელის ზემოხსენებული მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს. აღნიშნულიდან გამომდინარე, **საკასაციო სასამართლომ მიიჩნია**, რომ შეგებებული სარჩელის ზემოხსენებული მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი არ არსებობს და იგი უცვლელად დატოვებას ექვემდებარება (სსკ-ის 410-ე მუხლი)".[890]

ზოგადად, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება წარმოიშობა, მიუხედავად იმისა, თუ რა ტიპის ვალდებულება დაირღვა[891]. ვალდებულება, რომლის დარღვევაც ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველს წარმოადგენს, უნდა იყოს ნამდვილი, ვადამოსული და უპრეტენზიო.[892] თუ ვალდებულებები კერ კიდევ არ არის შესასრულებელი, მხარე ვერ გავა ხელშეკრულებიდან, რადგან მას არ ექნება ამის საფუძველი. თუმცა, სკ-ის 405-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მხარეს შეუძლია შესრულების ვადის დადგომამდე განაცხადოს უარი ხელშეკრულებაზე. ხელშეკრულებიდან გასვლის პირობა ვალდებულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულებაა. თუ მოვალემ ვალდებულება შეასრულა ან კრედიტორმა შეთანხმებულის ნაცვლად სხვა შესრულება მიიღო (დატიო პრო სოლუტიო), კრედიტორი ხელშეკრულებიდან ვერ გავა. კრედიტორს ასევე ეზღუდება ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება,

[890] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე #ას-888-834-2012.
[891] თოდუა/ ვილემსი, ვალდებულებითი სამართალი, 2006, 57.
[892] Ernst, in MüKo.BGB, Band 2., 5.Aufl. §323, Rn.11.

თუ მოვალემ წარადგინა ან დაუყოვნებლივ წარმოადგენს პრეტენზიას (შესაგებელს). ანალოგიური წესი გამოიყენება მაშინაც, როდესაც მოვალეს შეუძლია ვალდებულების გაქვითვა და იგი ამ უფლებას კრედიტორის მხრიდან ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის დაყენებისთანავე გამოიყენებს. [893]

ხელშეკრულებიდან გასვლა წარმოშობს მონაწილეთა შორის ახალ ვალდებულებას: მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებმა ერთმანეთს უნდა დაუბრუნონ. ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის 644-ე მუხლი უფლებას ანიჭებს შემკვეთს, უარი თქვას ხელშეკრულებაზე. ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემდეგ კი ამავე კოდექსის 352-ე მუხლი ითვალისწინებს ორმხრივ რესტიტუციას, ანუ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ.[894]

ნარდობასთან მიმართებაში პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხია მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა კუმულაცია. ეს ისეთი შემთხვევებია, როდესაც მოთხოვნა რამდენიმე მოთხოვნის საფუძვლის ერთობლივი გამოყენების საფუძველზე წარმოიშობა. მაგალითად, თუ მენარდე შემკვეთს გადასცემს ნივთობრივად ნაკლიან ნაკეთობას, სკ-ის 352-ე და 405-ე მუხლების ერთობლიობა ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას წარმოშობს სკ-ის 644-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. შესაბამისად, შესაძლებელია მოთხოვნა გამომდინარეობდეს არა ერთი, არამედ ერთდროულად რამდენიმე მოთხოვნის საფუძვლიდან. ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნის საფუძველია, დანარჩენი ნორმები კი დამხმარე მოთხოვნის საფუძვლები. [895]

ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ განმარტა ვალდებულების დარღვევის პირობებში დამატებითი ვადის მიცემისა თუ შესაბამისი საფუძვლებისას კრედიტორის მიერ მოვალის გაფრთხილების აუცილებლობა და აღნიშნა, „რომ მენარდემ დათქმულ ვადაში კო-

---

[893] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 141.

[894] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 1 მარტის განჩინება საქმეზე #ას-889-1175-09.

[895] Busche, in MüKo.BGB, Band 4.,5.Aufl. §636, Rn.5. Peters, in Staudinger BGB Komm. (2005) §636, Rn.4.

მერციული ფართის გადაცემის ვალდებულება ვერ შეასრულა, შესაბამისად, მოსარჩელეს (შემკვეთს) გააჩნდა კანონიერი საფუძველი, უარი ეთქვა მოპასუხესთან დადებულ ხელშეკრულებაზე და მოეთხოვა ზიანის ანაზღაურება, სსკ-ის 644-მუხლის, 352-ე მუხლის პირველი ნაწილის, 407-ე მუხლის პირველი ნაწილის, 408-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 409-ე მუხლის თანახმად".[896]

ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება კანონით გათვალისწინებული უფლებაა. ამიტომ კანონი ამომწურავად განსაზღვრავს ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძვლებსა და წესს, კერძოდ, იმას, თუ როდის შეუძლია ხელშეკრულების მხარეს მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა. თუმცა, ეს არ გამორიცხავს, რომ მხარეები შეთანხმდნენ ხელშეკრულებიდან გასვლის დამატებით პირობებზე[897].

„პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის პირველი ნაწილით, 405—ე მუხლის პირველი ნაწილით და აღნიშნა შემდეგი: **მხარეები სადავოდ არ ხდიან, რომ მათ შორის 2011 წლის 18 ოქტომბრიდან შეწყდა ხელშეკრულება,** შესაბამისად, მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უკან უნდა დაუბრუნდეთ, ამასთან, არ იქნა გაზიარებული მოპასუხის პოზიცია, რომ, რადგან მოსარჩელემ სრულად არ გადაიხადა ხელშეკრულების ფასი, მას გადახდილი თანხა უნდა დაუბრუნდეს სადავო ფართის რეალიზაციის შემდეგ შემცირებული ოდენობით. სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 369-ე მუხლისა და 644-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ხელშეკრულება დარღვეული იქნა შპს „ც. პ. ს-ის" მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში მშენებლობის დაუსრულებლობის გამო, შესაბამისად, **შპს „პ. ა-ს" გადახდილი თანხა უკან უნდა დაუბრუნდეს სრულად და აღნიშნული თანხის დაბრუნება არ შეიძლება დამოკიდებული იყოს მოპასუხის მხრიდან ფართის შემდგომ რეალიზაციაზე".**[898]

ზოგადი წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს გრძელვადიანი

---

[896] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 24 მაისისგანჩინება საქმეზე #ას-442-418-2013.

[897] ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, 2001, გვ.231.

[898] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 21 ივნისის განჩინება საქმეზე #ას-693-650-2012.

ვალდებულებითი ურთიერთობიდან გასვლა, რომელიც დასაშვებია ვალდებულების დარღვევის გარეშეც პატივსადები საფუძვლის არსებობისას. ხელშეკრულებიდან გასვლა წარმოშობს მონაწილეთა შორის ახალ ვალდებულებას: მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებმა ერთმანეთს უნდა დაუბრუნონ.

ხშირ შემთხვევაში, ერთი ნორმის ფარგლებში მითითება ხდება სხვა სამართლებრივ საფუძველზე ან სხვა ნორმით განსაზღვრულ სამართლებრივ შედეგზე.[899] სამართლებრივ საფუძველზე მითითების მაგალითია სკ-ის 644-ე მუხლი, რომელიც შემდგომ მითითებას ახდენს სკ-ის 405-ე მუხლზე, ის კი თავის მხრივ შემდგომ მითითებას ახორციელებს სკ-ის 352-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართლებრივ შედეგებზე.[900]სამართლებრივ შედეგებზე მითითება გულისხმობს შემთხვევებს, როდესაც ნორმა განსაზღვრავს მისი გამოყენების წინაპირობებს, ხოლო წინაპირობების არსებობისას აკეთებს მითითებას სხვა ნორმის, მოთხოვნის საფუძვლის სამართლებრივ შედეგებზე. მითითებული ნორმის საფუძველზე უნდა განისაზღვროს მხოლოდ მოთხოვნის ფარგლები და შინაარსი.

მეტად მნიშვნელოვან დებულებებს შეიცავს ერთ-ერთ საქმეზე მიღებული სასამართლოს განჩინება, კერძოდ, **„სასამართლომ** მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის პირველ ნაწილსა და მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტზე და აღნიშნა, რომ შპს „ს.რ." **უარს ამბობდა რა ნარდობის ხელშეკრულებებზე, ვალდებული იყო,** აენაზღაურებინა შპს „ო-სთვის" ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულება, **რადგან ამ სამუშაოთა ნატურით დაბრუნება, მათი ხასიათიდან გამომდინარე, შეუძლებელი იყო.** საქმის განხილვის შედეგად დადგინდა, რომ შპს „ო-ის" მიერ სადავო ხელშეკრულებების საფუძველზე სს „ს.რკ-ის" სასარგებლოდ **შესრულებული სამუშაოების ღირებულებაა** 435 796 ლარი (2008 წლის 2 აპრილის ხელშეკ-

[899] Ernst, in MüKo.BGB, Band 2., 5.Aufl. §326, Rn.16.

[900] სკ-ის 644-ე მუხლის თანახმად, ნაკეთობის ნაკლის გამო შემკვეთს შეუძლია 405-ე მუხლის მიხედვით უარი თქვას ხელშეკრულებაზე. ეს უკანასკნელი ნორმა კი მიუთითებს სკ-ის 352-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართლებრივ შედეგებზე, რომლებიც მას შემდეგ წარმოიშობა, რაც სკ-ის 405-ე მუხლის თანახმად, წარმოშობილია ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება და იგი განხორციელებულია სკ-ის 355-ე მუხლის შესაბამისი წესების დაცვით.

რულებიდან გამომდინარე – 326 912 ლარი; 2008 წლის 6 მაისის ხელშეკრულებიდან გამომდინარე – 108 884 ლარი), რაც **შემკვეთს** – სს „ს.რ.-ას" არ აუნაზღაურებია. **პალატამ ასევე იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 639-ე მუხლით, 641-ე მუხლის პირველი ნაწილით** და აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, **შემკვეთმა,** იმის გამო, რომ **მენარდის მიერ** შესრულებული **სამუშაო იყო ნივთობრივად ნაკლიანი,** სამივე ხელშეკრულების შემთხვევაში, გაუგრძელა მენარდეს სამუშაოების შესრულების ვადები, რომლის ფარგლებშიც, ამავე კოდექსის 642-ე მუხლის შესაბამისად, **მოსთხოვა მენარდეს დამატებითი შესრულება, ნაკლის აღმოფხვრის მიზნით.** მოთხოვნა აღმოჩნდა უშედეგო, **რის გამოც შემკვეთმა, სამოქალაქო კოდექსის 644-ე მუხლის საფუძველზე, უარი თქვა ხელშეკრულებაზე,** ასეთი საფუძვლით ხელშეკრულებაზე უარის თქმისას, **მენარდე ვალდებულია აუნაზღაუროს შემკვეთს ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ხარჯები.** სამოქალაქო კოდექსის **643-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად,** პალატამ მიიჩნია, რომ შპს „ს.რ-ას" 2008 წლის 2 აპრილისა და 2008 წლის 6 მაისის ხელშეკრულებების შეუსრულებლობის გამო, ფაქტობრივად არანაირი ქონებრივი დანაკლისი არ განუცდია (ავანსის სახით გადახდილი თანხები მან შპს „ო-საგან" მთლიანად დაიბრუნა და **მენარდეს არ აუნაზღაურა ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულება** – 435796 ლარი), ხოლო 2008 წლის 25 ივნისის ხელშეკრულებასთან მიმართებით **სასამართლომ დადგენილად ცნო,** რომ შპს „ო-ნს" რაიმე სამუშაო არ შეუსრულებია, რის გამოც შპს „ს.რ. -ამ" უარი თქვა ხელშეკრულებაზე და იმავე სამუშაოების შესასრულებლად 2009 წლის 19 ოქტომბერს ხელშეკრულება დადო სს „ხ-თან" და ამ ხელშეკრულებების ღირებულებებს შორის სხვაობა იყო 919 461.26 ლარი".[901]

ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ მიუთითა, რომ „მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელემ გადაიხადა ბინის აშენებისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, ხოლო ამხანაგობამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში არ ააშენა ბინა. ამდენად, მოსარჩელეს სამოქალაქო კოდექსის 644-ე და 405-ე მუხლიდან

[901] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 28 ივლისის განჩინება საქმეზე #ას -255-239-2014.

გამომდინარე, უფლება ჰქონდა უარი ეთქვა ხელშეკრულებაზე და მოეთხოვა გადახდილი თანხის უკან დაბრუნება".[902]

XV.4.3. ნაკეთობის ნაკლის გამო ნარდობის ხელშეკრულებაზე უარის უფლების გაქარწყლება.

ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება ქარწყლდება იმ შემთხვევაში, თუ იგი სხვა მოთხოვნებთან ერთად ალტერნატიულ კონკურენციაში იმყოფება, უფლებამოსილი პირი კი ახორციელებს სხვა ალტერნატულ მოთხოვნას, როგორიცაა, მაგალითად, შემკვეთის მიერ საზღაურის შემცირება. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება ქარწყლდება იმ შემთხვევაშიც, თუკი ხელშეკრულებიდან გასვლისათვის მეორე მხარემ დააწესა ვადა, ხოლო უფლებამოსილმა პირმა აღნიშნულ ვადაში არ განახორციელა ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ შეტყობინება სკ-ის 405-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით. ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნასთან ალტერნატიულ კონკურენციაშია შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.[903] შემკვეთის მიერ აღნიშნულ მოთხოვნათა შორის არჩევანის განხორციელება იწვევს ალტერნატიულ კონკურენციაში მყოფ სხვა დანარჩენ მოთხოვნათა გაქარწყლებას ანუ ალტერნატიული კონკურენციის დასრულებას.[904]

ცალკეული მოთხოვნის განხორციელებისათვის აუცილებელია ადეკვატური მოთხოვნის საფუძვლის შერჩევა. ამასთან, შესაბამისი მოთხოვნის რეალიზებისათვის შეიძლება არ იყოს საკმარისი ერთი კონკრეტული მოთხოვნის საფუძვლის გამოყენება და აუცილებელი გახდეს რამდენიმე მოთხოვნის საფუძვლის ერთობლივი გამოყენება. წინააღმდეგ შემთხვევში, მოთხოვნის მფლობელის ინტერესების რეალიზება შეუძლებელი იქნება. კონკრეტული მოთხოვნის საფუძვლის შერჩევისას, შესაძლებელია არსებობდეს მისი ფორმირების

---

[902] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 24 ნოემბრისგანჩინება საქმეზე #ას-1327-1347-2011.

[903] Ernst, in MüKo.BGB, Band 2., 5.Aufl. §323, Rn.16.

[904] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 142.

რამდენიმე ალტერნატივა ანუ რამდენიმე მოთხოვნის საფუძვლის სხვადასხვა კომბინაცია. ამ მოთხოვნის საფუძვლების ურთიერთმიმართება წარმოშობს კონკურენციის სხვადასხვა სახეს. ამასთან, მოთხოვნის მფლობელისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის მიღწევა შეიძლება დამოკიდებული იყოს სხვადასხვა მოთხოვნის ერთობლივ გამოყენებაზე ანუ კუმულაციაზე.

ნარდობის ხელშეკრულების ფარგლებში, მენარდის მიერ შემკვეთისათვის უნაკლო ნაკეთობის გადაცემის ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, შემკვეთის მეორადი მოთხოვნების წარმოშობის სპეციალური სამართლებრივი საფუძვლებია სკ-ის 642-645-ე მუხლები. იმ შემთხვევაში, თუკი მენარდე დაარღვევს სკ-ის 639-641-ე მუხლების მოთხოვნებს ნივთობრივად უნაკლო ნაკეთობის გადაცემასთან მიმართებით, შემკვეთს წარმოეშობა მეორადი მოთხოვნის უფლებები. შესაბამისად, მას შეუძლია, პირველ ეტაპზე მოითხოვოს დამატებითი შესრულება (ნაკლის გამოსწორება ან ახალი ნაკეთობის დამზადება), ხოლო შემდგომ დამატებითი წინაპირობების არსებობისას, მას წარმოეშობა ხელშეკრულებიდან გასვლის ან საზღაურის შემცირების მოთხოვნის უფლება. გარდა ამისა, შემკვეთს შეუძლია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შესრულებასთან ერთად ან მისგან დამოუკიდებლად. აღნიშნული მოთხოვნების რეალიზებას სკ-ის 642-ე და შემდგომი მუხლები დამოუკიდებლად ვერ უზრუნველყოფენ.

შემკვეთის მეორადი მოთხოვნა ხელშეკრულებიდან გასვლის სახით მხოლოდ სკ-ის 644-ე მუხლზე დაყრდნობით ვერ განხორციელდება, ვინაიდან ამ ნორმაში უშუალოდ არის მითითებული სკ-ის 405-ე მუხლის ზოგადი მოთხოვნის საფუძველზე, რომელიც თავის მხრივ სკ-ის 352-359-ე მუხლებს უთითებს. ეს ცხადყოფს, რომ სკ-ის 644-ე მუხლი არ არის მოთხოვნის დამოუკიდებელი საფუძველი. შესაბამისად, შემკვეთის მიერ ნარდობის ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი იქნება სკ-ის 644-ე მუხლი სკ-ის 352-ე და 405-ე მუხლებთან ურთიერთკავშირში.[905] ხელშეკრულებიდან გასვლასთან ერთად, ზიანის ანაზღაურების საფუძველი გამომდინარეობს სკ-ის 644-ე, 407-ე, 405(5)-ე, 394-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 395-ე მუხლის პირველი ნაწილის კუმულაციის

[905] სუსგ 2010 წლის 1 მარტის განჩინება საქმეზე #ას-889-1775-09.

საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში[906] ადგილი აქვს ე.წ. კომბინირებადი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებს.,[907]

„ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ განმარტა, რომ შემკვეთის მეორადი მოთხოვნა ხელშეკრულებიდან გასვლის სახით მხოლოდ სკ-ის 644-ე მუხლზე დაყრდნობით ვერ განხორციელდება, ვინაიდან ამ ნორმაში უშუალოდ არის მითითებული სკ-ის 405-ე მუხლის ზოგადი მოთხოვნის საფუძველზე, რომელიც თავის მხრივ სსკ-ის 352-359-ე მუხლებს უთითებს. ეს ცხადყოფს, რომ სკ-ის 644-ე მუხლი არ არის მოთხოვნის დამოუკიდებელი საფუძველი. შესაბამისად, შემკვეთის მიერ ნარდობის ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი იქნება სკ-ის 644-ე მუხლი 352-ე და 405-ე მუხლებთან ურთიერთკავშირში".[908]

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ სკ-ის 644-ე მუხლით შემკვეთისათვის მინიჭებული ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება ნაკეთობის ნაკლის გამო, ყოველთვის განხილული უნდა იქნეს სკ-ის 405-ე და 352-ე მუხლებთან ერთობლიობაში. სკ-ის 405-ე მუხლი დეტალურად აწესრიგებს ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის უფლების წარმოშობის წინაპირობებსა და გამონაკლისებს, ისევე, როგორც აღნიშნული უფლების წარმოშობის დამაბრკოლებელ გარემოებებს. სკ-ის 644-ე მუხლი ამ შემთხვევაში, სპეციალური და ამავე დროს, ერთგვარი დამხმარე მოთხოვნის საფუძველია, რომელსაც მითითებით მოთხოვნის საფუძველს უწოდებენ, ვინაიდან იგი შემკვეთისათვის ნაკლიანი ნივთის გადაცემის შემთხვევაში სკ-ის 405-ე მუხლზე მიუთითებს. ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ, სკ-ის 352-ე და 644-ე მუხლების წარმოშობის წინაპირობების არსებობისას წარმოშობს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნის უფლებას. გარდა ამისა, ნიშანდობლივია, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის რეალიზაცია, სკ-ის 355-ე მუხლის თანახმად, დამოკიდებულია მენარდისათვის ანუ ხელშეკრულების მეორე მხარისათვის შეტყობინებაზე. ამდენად, შესაბამისი სამართლებრივი შედეგი არ

[906] ბიოლინგი/ლუტრინგჰაუსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, 2009, 20.

[907] ჰენშელი, სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდიკა, 2009, 30.

[908] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 1 მარტის განჩინება საქმეზე #ას-889-1775-09.

დადგება იმ მომენტამდე, სანამ შემკვეთი კანონის შესაბამისად არ განახორციელებს აღნიშნულ მოთხოვნას.

XV.4.4. ნაკეთობის ნაკლის გამო საზღაურის შემცირება

კანონმდებელი შემკვეთს ანიჭებს მენარდისათვის გადასახდელი საზღაურის შემცირების უფლებას, კერძოდ, სკ-ის 645-ე მუხლის თანახმად, შემკვეთს, რომელიც არც ხელშეკრულების დამატებით შესრულებას მიიღებს საამისოდ განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ და არც უარს განაცხადებს ხელშეკრულებაზე, შეუძლია იმ თანხით შეამციროს საზღაური, რა თანხითაც ნაკლი ამცირებს ნაკეთობის ღირებულებას.[909] ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ მიუთითა, რომ აპელანტის მიერ სამართლებრივ უსწორობად მოყვანილი მოსაზრება მასზე, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არ გამოიყენა სკ-ის 645-ე მუხლი, დაუსაბუთებელია და არ უნდა იქნეს გაზიარებული."[910]

თუ რა თანხით ამცირებს ნაკლი ნაკეთობის ღირებულებას, უნდა გადაწყდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით. მაგალითად, ნარდობის ხელშეკრულებით დამზადებული ნაკეთობისათვის შემკვეთს მენარდისათვის უნდა გადაეხადა 1000 ლარის ოდენობის საზღაური. დამზადებულ ნაკეთობას აღმოაჩნდა ისეთი ნაკლი, რომელიც 25%-ით ამცირებს ნაკეთობის ღირებულებას. შემკვეთს ამ შემთხვევაში, შეუძლია შეამციროს მენარდისათვის გადასახდელი საზღაური 250 ლარით, ანუ შეთანხმებული საზღაურის – 1000 ლარის 25%-ით. საზღაურის შემცირების მოთხოვნა სკ-ის 645-ე მუხლის შესაბამისად, ნარდობის ხელშეკრულებიდან გასვლის – სკ-ის 644-ე მუხლი – ალტერნატიული მოთხოვნაა. ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ „მენარდის მიერ შესრულებული სამუშაო ნივთობრივი ნაკლის მქონეა, შესაბამისად, შემკვეთი სკ-ის 645-ე მუხლის საფუძველზე,

---

[909] ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტ. I, 2001, გვ. 271.

[910] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 24 ნოემბრის განჩინება საქმეზე #ას-1327-1347-2011.

უფლებამოსილია შეამციროს წინასწარ შეთანხმებული საზღაური."[911]

XV.4.4.1. ნაკეთობის ნაკლის გამო საზღაურის შემცირების უფლების გამოყენების წინაპირობები

საზღაურის შემცირების მოთხოვნა სკ-ის 645-ე მუხლის შესაბამისად, ნარდობის ხელშეკრულებიდან გასვლის ალტერნატიული მოთხოვნაა.

ერთი და იმავე ფაქტობრივ გარემოებაზე დაყრდნობით, შესაძლოა წარმოიშვას რამდენიმე დამოუკიდებელი მოთხოვნა ანუ მოთხოვნათა კონკურენცია, რაც შესაძლოა სხვადასხვა სამართლებრივი საფუძვლიდან აღმოცენდეს ან ერთი და იმავე მოთხოვნის საფუძველს ემყარებოდეს. მაგალითად, სკ-ის 644-ე მუხლის თანახმად, ნაკეთობის ნაკლის გამო შემკვეთს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე სკ-ის 405-ე მუხლის მიხედვით. ეს მოთხოვნები სრულიად განსხვავებული, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მოთხოვნებია, თუმცა მათი დამფუძნებელი სამართლებრივი ნორმა ერთია. ამ მოთხოვნათა შორის სახეზეა ე.წ. „ალტერნატიული კონკურენცია", კერძოდ უფლებამოსილმა პირმა უნდა აარჩიოს აღნიშნულ მოთხოვნათაგან ერთ-ერთი და განახორციელოს იგი. შემკვეთის მიერ შერჩეული მოთხოვნის განხორციელების, განსაკუთრებით კი მისი განხორციელებით დასახული მიზნის მიღწევის შემდეგ, მოთხოვნა, რომელიც არ იქნა არჩეული შემკვეთის მიერ, როგორც წესი, ქარწყლდება.

მოთხოვნის საფუძველთა ალტერნატიული კონკურენცია სახეზეა, როდესაც ერთი და იგივე მოთხოვნა რამდენიმე მოთხოვნის საფუძვლის წინაპირობას ერთდროულად შეესაბამება და მათი დაფუძნება თითოეულ მათგანზე დაყრდნობითაა შესაძლებელი, ასეთ შემთხვევაში ერთი და იგივე სამართლებრივი შედეგი (ანუ მოთხოვნა) ერთდროულად რამდენიმე მოთხოვნის საფუძვლით წარმოიშობა.[912] თუმცა ერთ-ერთი სამართლებრივი საფუძვლით მოთხოვნის წარმოშობას გამორიცხავს. მოთხოვნათა ალტერნატიული

[911] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქ*/მეთა პალატის 2005 წლის 19 აპრილის განჩინება საქმეზე #ას-106-442-05.

[912] Kramer, in Münch Komm BGB, Bd. 2a. §241. Rn. 25. 27.

კონკურენცია სახეზეა, როდესაც ორი მოთხოვნა ერთი და იმავე ფაქტობრივი გარემოებების მიმართ ერთდროულად არსებობს და განხორციელებადია, თუმცა აუცილებელია ერთ-ერთი მათგანის არჩევა. შესაბამისად, მოთხოვნათა ალტერნატიული კონკურენციის დროს მხარემ უნდა შეარჩიოს ერთ-ერთი მოთხოვნა, მაგალითად, ხელშეკრულებიდან გასვლა ან საზღაურის შემცირება. უფლებამოსილი პირის მიერ აღნიშნული არჩევანის გაკეთებამდე მას ორივე მოთხოვნის უფლება პარალელურად აქვს.

მოთხოვნათა ალტერნატიული **კონკურენციის მაგალითია**, ნარდობის ხელშეკრულების ფარგლებში ნაკლიანი შესრულების შედეგად წარმოშობილ ხელშეკრულებიდან გასვლისა და საზღაურის შემცირების ურთიერთმიმართება.

მოთხოვნათა ალტერნატიული კონკურენციის შემთხვევაში მხარის (შემკვეთის) მიერ ერთ-ერთი მოთხოვნის შერჩევისა და მისი განხორციელების შემდეგ ქარწყლდება ის მოთხოვნები, რომლებიც უფლებამოსილმა პირმა არ აირჩია. თუ ნარდობის შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს ნაკლიანი ნივთის გადაცემის შემთხვევას, კანონით დადგენილი წინაპირობების გათვალისწინებით შემკვეთი უარს ამბობს ხელშეკრულებაზე ანუ ირჩევს ხელშეკრულებიდან გასვლის მეორად უფლებას, იგი ვეღარ მოითხოვს ვალდებულების შესრულებას შემცირებული საზღაურის გადახდით. ეს უკანასკნელი მოთხოვნა აღარ არსებობს იმის გათვალისწინებით, რომ შემკვეთმა ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების განხორციელებით უარი თქვა შესრულების მოთხოვნაზე.

მაშასადამე, ნაკეთობის ნაკლის გამო მენარდისათვის გადასახდელი საზღაურის **შემცირება წარმოადგენს ალტერნატიულ** მოთხოვნას ხელშეკრულებიდან გასვლასთან მიმართებით. თუ რომელი მეორადი მოთხოვნა გამოიყენოს, დამოკიდებულია შემკვეთზე კანონით დადგენილი წინაპირობების დაცვისას.[913]ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ განმარტა, რომ არ არსებობს 645-ე მუხლის გამოყენების საფუძველი[914].

---

[913] ძლიერიშვილი ზ. ნარდობის სამართლებრივი რეგულირება, 2001, 36.

[914] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 24 ნოემბრის განჩინება საქმეზე #ას-1327-1347-2011.

შემკვეთის მიერ შერჩეული მოთხოვნის განხორციელების, განსაკუთრებით კი მისი განხორციელებით დასახული მიზნის მიღწევის შემდეგ, მოთხოვნა, რომელიც არ იქნა არჩეული შემკვეთის მიერ, როგორც წესი, ქარწყლდება. „პალატამ მიიჩნია, რომ 2006 წლის 3 ოქტომბერს ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს არაჯეროვნად შესრულებასთან დაკავშირებით შემკვეთ შპს „ს. რ-ას" შეეძლო, თავისი არჩევანით მოეთხოვა ნაკლის აღმოფხვრა ან ახალი ნაკეთობის დამზადება, თუმცა მას აღნიშნული უფლებებით არ უსარგებლია. მოსარჩელემ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 645-ე მუხლით მინიჭებული უფლება და მოპასუხეს შეუმცირა საზღაური ნაკეთობის შემცირებული ღირებულების გათვალისწინებით.[915]

ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ „სკ-ის 105-ე მუხლის 2-ე ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შემდეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. პალატა თვლის, რომ საპელაციო სასამართლოს სრულყოფილად არ გამოუკვლევია და არ შეუფასებია ექსპერტის დასკვნა. ექსპერტზის დასკვნის მიხედვით, შესრულებული სამუშაო არის უხარისხო, მაგრამ ამავე დასკვნაში მითითებულია, რომ თვით მასალაც უხარისხოა. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს უნდა გაერკვია ის გარემოება, შეიძლებოდა თუ არა უხარისხო მასალას მოეხდინა გავლენა სამუშაოს შესრულების ხარისხზე, ანუ შესრულებული სამუშაოს უხარისხობა ხომ არ იყო განპირობებული თვითონ მასალის ხარისხით. აღნიშნულ გარემოებას მნიშვნელობა ენიჭება სკ-ის 645-ე მუხლის გამოყენებისას. იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ ნაკლი გამოწვეულია თვით შემკვეთის მასალის უხარისხობით, მაშინ შემცირდება საზღაურის ოდენობაც."[916]

[915] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 19 აპრილის განჩინება საქმეზე #ას-270-261-2012.

[916] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 19 აპრილის განჩინება საქმეზე #ას-106-442-05.

XV.5. ზოგადად ზიანის ანაზღაურების ვალდებულების შესახებ

XV.5. 1. ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის საერთო საფუძვლების ზოგადი დახასიათება

სახელშეკრულებო ვალდებულებები, იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ამ მოთხოვნების შეუსრულებლობა უკვე ვალდებულების დარღვევაა. ნარდობის ხელშეკრულება დაკავშირებულია მენარდის ვალდებულებასთან – ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო და გადასცეს შემკვეთს შეთანხმებული საზღაურის მიღების პირობით შესრულებული სამუშაოს შედეგი.[917] ვალდებულების დარღვევისათვის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა გამოხატულებას ჰპოვებს მოვალეზე კანონით დადგენილი ქონებრივი ზემოქმედების ზომებში. სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე, რომელიც არღვევს ვალდებულებას, პასუხს აგებს დაზარალებულის წინაშე. დაზარალებულს უფლება აქვს მოითხოვოს დარღვეული უფლების დაცვა.[918] ზიანის ანაზღაურების მეორადი მოთხოვნის უფლება შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი სახის ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ზიანის არსებობისას. აღნიშნული უფლება არ არის ალტერნატიული,[919] არამედ შესაძლებელია სხვა მეორადი მოთხოვნის უფლებებთან პარალელურად იქნეს ამოქმედებული.[920]

ვალდებულების შესრულების ლეგიტიმური სახელშეკრულებო ინტერესი სამართლებრივი დაცვის თვალსაზრისით, განსაკუთრებული სიკეთეა ნებისმიერ სამართლებრივ სისტემაში.[921] სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, პასუხისმგებლობის ყველაზე გავრცელე-

---

[917] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 28 მაისის განჩინება საქმეზე #ას-250-306-09 განჩინება.

[918] თოდუა/ვილემსი, ვალდებულებითი სამართალი, 2006, 37.

[919] როგორც მაგალითად, ფასის შემცირება და ხელშეკრულებიდან გასვლა.

[920] იხ. ევროპული პრინციპების 8:102-ე და სკ-ის 407-ე მუხლები.

[921] Zimmermann R. The Law of Obligations. Roman Foundations of the Civilian Tradition. 1996, p. 576-581.

ბული სახეა ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ანუ პასუხისმგებლობა გამოიხატება დამრღვევი მხარის ვალდებულებაში, მიყენებული ზიანი ნატურით ან ფულადი სახით.[922]

ზიანის ანაზღაურება მიეკუთვნება მეორად/დამატებით მოთხოვნებს[923] და იწვევს[924] ქონებრივი ან არაქონებრივი ხასიათის უარყოფითი შედეგების დადგომას.[925] ზიანის ანაზღაურება მოთხოვნა წარმოიშობა, მაშინ, როდესაც პირველადი მოთხოვნის შესრულებისას ჩნდება პრობლემა.[926] პრობლემა შეიძლება მდგომარეობდეს ვალდებულების შეუსრულებლობაში, არაჯეროვნად შესრულებაში ან ხელშეკრულებიდან გამომდინარე სხვა ვალდებულების დარღვევაში. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ვალდებულების დარღვევისას.[927]

ვალდებულების შეუსრულებლობა სამოქალაქო ბრუნვისათვის ნორმალური რისკია. ვალდებულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება ვალდებულების დარღვევაა და მას სამოქალაქო-სამართლებრივი ხასიათი აქვს. სამოქალაქო სამართალდარღვევაა, კერძოდ, ვალდებულების დარღვევა, მოვალის ისეთი ქმედება, რომელიც ობიექტურად არ შეესაბამება ვალდებულებათა წრეს,[928] ვალდებულებით ურთიერთობას და იწვევს პირადი კეთილდღეობის შემცირებას ან განადგურებას, ქონებრივი ან არაქონებრივი ხასიათის უარყოფითი შედეგების დადგომას.[929]

ვალდებულების დარღვევა სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგომის საფუძველია, რომელიც იურიდიული პასუხისმგებლობის სახეა. იურიდიული პასუხისმგებლობა გამოიხ-

[922] ძლიერიშვილი, ქონების საკუთრ. გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება, 2010, 56.

[923] ბიოლინგი/ლუტრინგჰაუსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნების სისტემური ანალიზი, 2009, 33.

[924] ზოიძე, ქონებრივი პასუხისმგებლობა ვალდებულებათა დარღვევისთვის, 1989, 11.

[925] მაჩალაძე, ზიანის ანაზღაურება ვალდებულების დარღვევისას. „ქართული სამართლის მიმოხილვა", სპეციალური გამოცემა, 2004, 74.

[926] ჰენშელი, სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდიკა, 2009, 85.

[927] ბიოლინგი /ლუტრინგჰაუსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, 2009, 33.

[928] მაჩალაძე, ზიანის ანაზღაურება ვალდებულების დარღვევისას, „ქართული სამართლის მიმოხილვა" სპეციალური გამოცემა, 2004, 74.

[929] ხეცურიანი, სამოქალაქო სამართლის ფუნქციები, 1995, 108.

ატება სამართალდამრღვევისათვის განსაზღვრული უარყოფითი შედეგების დადგომით, კერძოდ – ქონებრივი ან პირადი უფლებების შეზღუდვით,[930] რომლებიც ითვალისწინებენ ვალდებულების დამრღვევი პირისათვის იმის ზემოთ დამატებითი მოქმედების შესრულების დაკისრებას, რაც მას ვალდებულებით ევალებოდა.[931] სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ფორმათაგან ზიანის ანაზღაურებას აქვს უნივერსალური მნიშვნელობა და გამოიყენება სამოქალაქო უფლებათა დარღვევის ყველა შემთხვევაში, მაშინ როცა სხვა ფორმების გამოყენებაზე პირდაპირ უთითებს კანონი ან ხელშეკრულება კონკრეტული სამართალდარღვევისას.[932] სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა, პასუხისმგებლობა ერთი კონტრაჰენტისა მეორეს წინაშე, სამართალდამრღვევისა – დაზარალებულის წინაშე, დაკავშირებულია არა პიროვნული თავისუფლების ბოჭვასთან, როგორც ისტორიულ წარსულში, არამედ მოვალის მხოლოდ ქონების შემცირებასთან.[933]

ქონებრივი პასუხისმგებლობის მოვალეზე დასაკისრებლად საჭიროა, რომ სახეზე იყოს სამართალდარღვევის შემადგენლობა.[934] შემადგენლობის ორგანიზმს ჰქმნის სამართლებრივად ფასეულ სუბიექტურ და ობიექტურ გარემოებათა ერთობლიობა, რომელთა თანაარსებობა მოვალეზე პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველია. ამ შემადგენლობის ელემენტებია: სამართალდარღვევის შედეგად მიყენებული ზიანი; დამრღვევის მართლსაწინააღმდეგო ქმედება; მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის; სამართალდარღვევის ბრალი. სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლად სამოქალაქო უფლების დარღვევა მიიჩნევა.[935]

სკ-ის 394-ე I მუხლი ცენტრალური და უზოგადესი ნორმაა,

[930] ზოიძე, ქონებრივი პასუხისმგებლობა ვალდებულებათა დარღვევისთვის, 1989, 11.

[931] ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი,1999, 56.

[932] ქოჩაშვილი, ბრალი, როგორც სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა, „სამართლის ჟურნალი", თსუ, 2009, #1, 81.

[933] Покровский И.А. Основные проблемы гражданского права. М. 1998, с. 240.

[934] ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი III, 2001, 364.

[935] Брагинский М.И., Витрянский В.В. Договорное право. Книга первая. Общие положения. М., с. 705.

რომელიც განამტკიცებს ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს და კრედიტორს ვალდებულების დარღვევის შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას ანიჭებს. აღნიშნული მუხლის გამოყენების წინაპირობებია: 1) მართლწინააღმდეგობა 2) ბრალი 3) მიზეზობრივი კავშირი 4) ზიანი.[936]

XV.5. 2. ზოგადად ზიანის ცნებისა და სახეების შესახებ

სამოქალაქო სამართალში ზიანში მოიაზრება ქონებაზე ან სამართლებრივად დაცულ სხვა სიკეთეზე გარკვეული ზემოქმედებით გამოწვეული უარყოფითი შედეგი.[937] ზიანი წარმოადგენს სამართალდარღვევის შემადგენლობის აუცილებელ ელემენტს. თუ არაა ზიანი, არც ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება დადგეს. ზიანი სწორედ რომ მართლსაწინააღმდეგო მოქმედების შედეგია. იგი წარმოადგენს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შედეგს.[938]

კონტინენტური ევროპის კერძო სამართლის მიხედვით, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა განიხილება ვალდებულების ნატურით შესრულების მოთხოვნასთან მიმართებით, როგორც დამატებითი ხასიათის და გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუკი ვალდებულების ნატურით შესრულება შეუძლებელია ანდა კრედიტორმა დაკარგა ინტერესი ასეთი შესრულების მიმართ. საერთო სამართალი კი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას განიხილავს, როგორც კრედიტორის უფლებების დაცვის ძირითად საშუალებას და მას ყოველთვის შეუძლია მოითხოვოს ფულადი კომპენსაცია ვალდებულების შეუსრულებლობის (დარღვევის) შემთხვევაში.[939]

ზიანის ანაზღაურების საკითხთან მიმართებით, როგორც კონ-

---

[936] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2012 წლის 27 მარტის განჩინება საქმეზე #ას-1300-1320-2011, ასევე, 2011 წლის 27 ივნისის განჩინება საქმეზე #ას-804-858-2011.

[937] Жалинский А., Рерихт А. Введение в немецком праве. М., 2001, с. 369.

[938] ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, 2001, 366.

[939] ძლიერიშვილი, ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრ. სამართლებრივი ბუნება, 2010, 56.

ტინენტური ევროპის, ისე საერთო სამართლის სისტემის ქვეყნები ადგენენ საერთო ზოგად პრინციპებს: ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ფულადი ანაზღაურების მიზანია დაზარალებული მხარის ქონებრივი დანაკარგების კომპენსაცია. კრედიტორი არ უნდა დაზარალდეს მატერიალურად, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში. მოვალის მხრიდან ზიანის ანაზღაურებამ უნა გამოიწვიოს კრედიტორის აღდგენა იმ მდგომარეობაში, რომელშიც იგი იქნებოდა, თუკი მოვალე ვალდებულებას ჯეროვნად შეასრულებდა. დოქტრინაში ასეთ მიდგომას უწოდებენ დადებით სახელშეკრულებო ინტერესების დაცვას, განსხვავებით უარყოფითი სახელშეკრულებო ინტერესების დაცვისაგან, რომლის მიზანსაც წარმოადგენს კრედიტორის იმ მატერიალური მდგომარეობის უზრუნველყოფა, რომელშიც იგი იქნებოდა, თუკი ხელშეკრულება საერთოდ არ დაიდებოდა და რომლის დაცვაც, როგორც წესი, ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულება ბათილად იქნება აღიარებული.[940]

ზიანი წარმოადგენს პირის ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესების მისი ნების გარეშე ხელყოფას, რისი ანაზღაურებაც აღიარებულია ბრუნვის წეს-ჩვეულებებით და შეზღუდული არ არის კანონმდებლობით.[941] როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ასევე განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობა, ერთმანეთისაგან განასხვავებს ქონებრივ და არაქონებრივ ზიანს.[942] ქონებრივი ზიანი ქონებრივი სიკეთის ხელყოფით შემოიფარგლება. არაქონებრივი ზიანი ეტიმოლოგიურად მორალური ზიანის იდენტურია. მორალური ზიანი გულისხმობს იმ ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ თუ ფიზიკურ ტანჯვას, რასაც სამოქალაქო ბრუნვის მონაწილე განიცდის არამატერიალურ ფასეულობათა ხელყოფით.[943] ქონებრივ ზიანში იგულისხმება არა მხოლოდ დაზარალებულის ქონებრივი აქტივების შემცირება, არამედ პასივების გაზრდაც.[944]

---

[940] „იქვე", გვ.57.

[941] AnwKBGB _ Magnus, vor §§249-255. Rn.17.

[942] Medicus, Bürgeliches Recht. 19 neibearbestende Auflage. Verlag C.H. Beck. München, 2002. S. 40-402.

[943] ჩიკვაშვილი, მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, 2002, გვ. 47.

[944] სუსგ 2007 წლის 10 ოქტომბრის განჩინება საქმეზე #ას-342-694-07.

სკ-ის 408-ე მუხლის თანახმად, „პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება".[945] ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც.[946] მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც პირს არ მიუღია და რომელსაც იგი მიიღებდა სამოქალაქო ბრუნვის ნორმალურად განვითარების შემთხვევაში[947] ანუ ვალდებულება რომ ჯეროვნად შესრულებულიყო.[948]

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 280-ე პარაგრაფის თანახმად, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, თუკი მოვალეს არ მიუძღვის ბრალი ვალდებულების დარღვევაში. თუ სახეზეა ხსენებული პარაგრაფით გათვალისწინებული ყველა წინაპირობა: ნამდვილი ვალდებულება, მისი დარღვევა, ზიანი, მოვალის ბრალი და მიზეზობრივი კავშირი, კრედიტორს წარმოეშობა ზიანის ანაზღაურების მეორადი მოთხოვნა.

განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობა განასხვავებს დადებით ზიანს და მიღებულ შემოსავლებს (გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 249-ე პარაგრაფის I აბზაცი, 252-ე პარაგრაფი; საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1140-ე მუხლი, ამერიკის ეთგვაროვანი სავაჭრო კოდექსის 2-708-ე მუხლი). საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ იყენებს ტერმინს „დადებითი ზიანი". ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 411-ე მუხლის მიხედვით სწორედ რომ დადებითი ზიანის ანაზღაურებას გულისხმობს. დადებითი ზიანი ვალდებულების დარღვევის თანმხლები შედეგია. პირის მიერ დადებითი ზიანის სახით განეული ხარჯები გულისხმობს როგორც დაზარალებული მხარის აქტივების შემცირებას, ისე მისი ვალდებულებების გაზრდას.[949] რაც

[945] საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის პრაქტიკის პრობლემურ საკითხებზე, 2007, 33-35.

[946] თოდუა/ ვილემსი, ვალდებულებითი სამართალი, 2006, 38.

[947] სუსგ 2007 წლის 10 მარტის განჩინება საქმეზე #ას-509-893-06.

[948] ძლიერიშვილი, ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულ. სამართლებრივი ბუნება, 2010, 59.

[949] ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი III, 2001, 60.

შეეხება მიუღებელ შემოსავალს, ესაა ანაცდური მოგება, ანუ ის შემოსავალი, რომელიც არ მიუღია უფლებამოსილ პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულ პირს ჯეროვნად რომ შეესრულებინა თავისი ვალდებულებები. მიუღებელი შემოსავალი სავარაუდო შემოსავალია, ამიტომაც დავის შემთხვევაში სასამართლომ ყურადღება უნდა გაამახვილოს იმ გარემოებებზე, რამდენად მოსალოდნელი იყო მისი მიღება.[950] მოვალეს არ შეიძლება დაეკისროს იმის ანაზღაურება, რისი გათვალისწინებაც მას არ შეეძლო. ზიანი მოვალისათვის გონივრულად უნდა იყოს სავარაუდო.[951]

ზიანის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაშია მისაღები ის ინტერესი, რომელიც კრედიტორს ჰქონდა ვალდებულების ჯეროვანი შესრულების მიმართ. ასევე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ვალდებულების შესრულების დრო და ადგილი. ზიანის ოდენობის განსაზღვრისას დოქტრინაში გამოიყენება ე.ნ. „აბსტრაქტული ზიანის" ცნება. იგი გამოითვლება იმ სხვაობის სახით, რომელიც არსებობს შესრულების სახელშეკრულებო ფასსა და საბაზრო ან მიმდინარე ფასს შორის.[952]

ვალდებულების დარღვევის ხასიათის მიხედვით, დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში განასხვავებენ საკომპენსაციო და მორატორულ ზიანს. საკომპენსაციო ზიანი შედეგად მოსდევს ვალდებულების საერთოდ შეუსრულებლობას. ის ცვლის შესრულებას. ამიტომაც, კრედიტორს ასეთ შემთხვევაში არ შეუძლია ერთდროულად მოითხოვოს როგორც ვალდებულების შესრულება, ისე საკომპენსაციო ზიანის ანაზღაურება (სსკ-ის 409-ე მუხლი). იგივე წესია დადგენილი გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §249-ის II აბზაცით.[953]

მორატორული ზიანი მოვალის მხრიდან შესრულების ვადის გადაცილების შედეგია („Mora" – ლათინური სიტყვაა და ნიშნავს „ვადის გადაცილებას"). მოვალის მიერ ვადის გადაცილება ვალდებულების დროულ შეუსრულებლობას უკავშირდება. შესრულების დროულობა კი ხელშეკრულებიდან ან კანონიდან შეიძლება გამომ-

[950] ძლიერიშვილი ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულ. სამართლებრივი ბუნება, 2010, 60.
[951] Комаров А.С. Ответственность в коммерческом обороте. М., 1999, с. 139.
[952] „იქვე", 140.
[953] Palandt/Grüneberg. §249. Rn.2. Münch Komm BGB/Oetker Bd.2a. §249. Rn.158.

დინარეობდეს. მნიშვნელოვანია, რომ კრედიტორმა ვადამოსულობის შემდეგ იმგვარი მოქმედება განახორციელოს, რომელიც მოვალეს შესრულების ვალდებულებას შეახსენებს. კანონით გათვალისწინებულ ასეთ მოქმედებას მოვალის გაფრთხილება წარმოადგენს (სკ-ის მე-400 მუხლი).

მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, კრედიტორს წარმოეშობა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. განსხვავება საკომპენსაციო და მორატორულ ზიანს შორის იმაში მდგომარეობს, რომ საკომპენსაციო ზიანისას გამორიცხულია იმავდროულად ვალდებულების ნატურით შესრულება, ხოლო მორატორული ზიანის დროს ვალდებულება სრულდება, მაგრამ ვადის გადაცილებით.

ყველა სამართლებრივი სისტემის მიხედვით, ანაზღაურებას ექვემდებარება პირდაპირი ზიანი და არა არაპირდაპირი ზიანი. პირდაპირ ზიანს მიეკუთვნება როგორც დადებითი ზიანი, ისე მიუღებელი შემოსავალი. არაპირდაპირი ზიანი, ეს ისეთი ზიანია, რომელიც გონივრული ვარაუდის ცნებიდან გამომდინარე, ვერ იქნებოდა სავარაუდო საერთოდ მოვალისათვის.[954] როგორც ზიანის მიყენების ფაქტი, ასევე განცდილი ზიანის ოდენობის დამტკიცების ტვირთი აწევს დაზარალებულ მხარეს ანუ კრედიტორს, რომელიც სასამართლო პროცესში წარმოადგენს მოსარჩელეს. ზიანის ანაზღაურების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს რეალურად განცდილი დანაკარგების ჯამს. ის არ უნდა ატარებდეს მოვალის მიმართ სადამსჯელო ხასიათს და არ უნდა წარმოადგენდეს საჯარიმო სანქციას, რამეთუ ვალდებულების დარღვევისათვის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის არსი მდგომარეობს კრედიტორისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაში და არა მოვალის დასჯაში.[955]

ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტი მიმართულია ვალდებულების დარღვევის პრევენციისა და მხარეთა ინტერესთა წონასწორობის აღდგენაზე. საჯარიმო სანქციები ქართული სამართლისათვის

[954] Гражд. и торговое право зарубежных стран. Под ред. В.В. Безбаха и В.К. Пучинского. М., 2004, с. 300.

[955] ძლიერიშვილი, ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულ. სამართლებრივი ბუნება, 2010, 62.

უცხოა. ზიანის ანაზღაურება გულისხმობს შემდეგი პრინციპების დაცვას: ზიანის სრულად ანაზღაურება; უსაფუძვლო გამდიდრების არდაშვება; ადექვატურობა; სავარაუდოობა.

სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მხარეს არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა, რომელიც „მიუღებელია" ქონებრივი პასუხისმგებლობის ჩვეულებრივი პრინციპებისათვის. ზიანის ანაზღაურების ოდენობა ისე უნდა განისაზღვროს, რომ ამას არ მოჰყვეს რომელიმე მხრის უსაფუძვლო გამდიდრება. ზიანის ანაზღაურების უმნიშვნელოვანეს დათქმას უსაფუძვლო გამდიდრების აკრძალვა წარმოადგენს.[956] ამ პრინციპის მიხედვით, მოვალემ უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელშიც კრედიტორი იქნებოდა, ვალდებულება რომ ჯეროვნად შესრულებულიყო. მოვალე არ არის ვალდებული კრედიტორი იმაზე უკეთეს მდგომარეობაში ჩააყენოს, ვიდრე იგი ზიანის არარსებობის შემთხვევაში იქნებოდა. ამიტომაცაა, რომ თუკი მიუღებელი შემოსავლის მისაღებად, კრედიტორს უნდა გაეწია გარკვეული ხარჯები, მაშინ ეს ხარჯები უნდა გამოაკლდეს მიუღებელი შემოსავლის ოდენობას. კრედიტორისათვის ამ ხარჯების დაკისრება ემყარება იმ ფაქტს, რომ ვალდებულების შესრულების შემთხვევაში ეს ხარჯები მას უნდა გაეწია.[957]

XV.5. 3. ქმედების მართლწინააღმდეგობა

ზიანი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით უნდა იყოს მიყენებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც წესი, ზიანის ანაზღაურების საკითხი არ დადგება. მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებს ის, ვინც არღვევს სამართლებრივ დანაწესებს, სამართლის ნორმათა მოთხოვნებს. მართლწინააღმდეგობა ობიექტური ნიშანია სამართალდარღვევისა და მისი არსებობა არაა დამოკიდებული მოვალის ცნობიერების ხასიათზე ანუ აცნობიერებდა თუ არა მოვალე თავისი ქმედების სამართლებრივ

---

[956] ძლიერიშვილი, ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებ. სამართლებრივი ბუნება, 2010, 61.

[957] ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, 2001, 463.

ხასიათს. მთავარია, რომ მოვალის ქმედება არ შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.[958] მართლსაწინააღმდეგო ქმედებით სახელშეკრულებო ურთიერთობებში მოვალე ძირითადად კრედიტორის შეფარდებით (რელატიურ) უფლებებს არღვევს. მართლსაწინააღმდეგო ქმედება გულისხმობს როგორც აქტიურ მოქმედებას, ისე უმოქმედობასაც. როცა ხელშეკრულების მხარე არ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებას, იგი მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებს. მისი არსი ისაა, რომ ქმედება არღვევს სამართლის ნორმით გამოხატული მოქმედების ან უმოქმედობის ვალდებულებას. კანონის ან ხელშეკრულების ძალით პირი ვალდებული იყო (სამართლებრივი კრიტერიუმი, რომელიც გულისხმობს განსაზღვრული მოქმედების განხორციელების სამართლებრივ ვალდებულებას) და შეეძლო ემოქმედა (მოქმედების განხორციელების ფაქტობრივი შესაძლებლობა), თუმცა არ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა განსაზღვრული მოქმედება.[959] სამოქალაქო სამართალში მართლსაწინააღმდეგოდ მიიჩნევა სხვა პირთა დაცული ინტერესის ხელყოფა. მართლწინააღმდეგობა მოიცავს როგორც კანონით დადგენილი წესების, ისე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევას.[960]

XV.5. 4 მიზეზობრივი კავშირი

მიზეზობრივი კავშირი[961] სამართალდარღვევის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტია. ანაზღაურდება მხოლოდ ისეთი ზიანი, რომელიც მართლსაწინააღმდეგო ქმედებით იყო გამოწვეული. იმისათვის, რომ მოვალეს დაეკისროს პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა

---

[958] ძლიერიშვილი, ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებ. სამართლებრივი ბუნება, 2010, 64.

[959] Зоидзе Б. Договорная и внедоговорная ответственность в механизме гражданского-правового регулирования, 1988, с. 165.

[960] Palandt/Heinrichs,. §249. Rn.6. Staudinger/Schiemann. §249. Rn.22. Münch Komm BGB/Grundmann Bd.2a. §276. Rn.60. Staudinger/Löwisch, §276. Rn.13ff.

[961] ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, 2001, 368.

გაირკვეს, წარმოადგენს თუ არა ზიანი მოვალის მოქმედების უშუალო შედეგს.[962] თუ მიზეზობრივი კავშირი სახეზეა, არსებული ზიანი ანაზღაურდება სრულად, მიუხედავად იმისა, თუ რა ოდენობისაა ეს ზიანი ან რამდენად მაღალია მოვალის ბრალეულობა დამდგარ შედეგში.[963] ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როდესაც კრედიტორი თავადაც არის პასუხისმგებელი დამდგარი შედეგისათვის (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლი; გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 254-ე პარაგრაფი). ასეთ შემთხვევაში ზიანის რისკი კრედიტორზე და მოვალეზე პასუხისმგებლობის პროპორციულად გადანაწილდება.[964]

სკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, „ანაზღაურდება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს." მეცნიერებამ მიზეზობრივი კავშირის მრავალი თეორია შეიმუშავა (აუცილებელი და შემთხვევითი მიზეზობრივი კავშირის თეორია; შესაძლებლობისა და სინამდვილის თეორია; ეკვივალენტურობის თეორია; უშუალო მიზეზეობრივი კავშირის თეორია და ა.შ.). საქართველოს სამოქალაქო კოდექსი უპირატესობას ანიჭებს უშუალო მიზეზობრივი კავშირის თეორიას. ანუ პირი მხოლოდ მაშინ აგებს პასუხს ზიანისათვის, როცა მისი ქმედება ადეკვატურ კავშირშია დამდგარ შედეგთან/ზიანთან (ცაუსა პრინციპალის სინე ქუა ნონ) ანუ დამდგარი ზიანი დარღვეული ვალდებულების რეალური და მოსალოდნელი შედეგია და მისი მიზეზობრივი კავშირი ქმედებასთან ობიექტური გადმოსახედიდან დასტურდება.[965] სავარაუდობა სახეზეა, თუ შედეგის დაშვება შეგნებული მოვალის პერსპექტივიდან ობიექტურად შესაძლებელი იყო.[966] მაშასადამე, უშუალო ანუ ადექვატური მიზეზობრიობის თეორიის თანახმად, შედეგის მიზეზად ერთი

[962] ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, 1999, 68.

[963] AnwK _ BGB _ Magnus, vor §§249-255. Rn.8. Münch Komm BGB/Oetker Bd.2a. §249, Rn 23; Staudinger/Schiemann. §249. Rn.42. Palandt/Heinrichs,. §249. Rn.11. Bamberger/Roth (Hrsg). Grüneberg, Rd.1. §249, Rn 10.

[964] ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.)საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი III, 2001, 480-482.

[965] სუსგ განჩინება საქმეზე # 3კ/1184-01, 2002 ნლის კრებული, 564.

[966] ბიოლინგი /ლუტრინგჰაუსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, 2009, 48.

პირობაც საკმარისია, თუ ის ქმნის შედეგის დადგომის ობიექტურ შესაძლებლობას ანუ მიზეზობრივი კავშირის დადგენისას გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მოვლენებს შორის ობიექტური კავშირის არსებობას და იმას, რომ მიზეზსა და შედეგს მნიშვნელობა აქვს მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევაში. პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება მხოლოდ მაშინაა ზიანის მიზეზი, როცა ის უშუალოდაა დაკავშირებული დამდგარ ზიანთან.[967] ამგვარად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მისი გამომწვევი ქმედების უშუალო, აუცილებელი, პირდაპირი შედეგია.[968]

XV.5. 5. ზოგადად ზიანის მიმყენებლის ბრალის შესახებ

ბრალი სამართალდარღვევის შემადგენლობის უმნიშვნელოვანესი სუბიექტის ელემენტია. რომის კლასიკური ეპოქიდან დღემდე სამოქალაქო სამართალში მოქმედებს უნივერსალური ფორმულა: თითოეული პასუხს აგებს მხლოდ მისი ბრალით მიყენებული ზიანისათვის. ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი, საყოველთაოდაა აღიარებული სახელშეკრულებო სამართალში. XVII-XVII საუკუნეთა ბუნებითი სამართლის სკოლის წარმომადგენლები ამტკიცებენ ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს: ინდივიდის საქმიანობის თავისუფლება იზღუდება მისი პასუხისმგებლობით მხოლოდ იმ ზიანისათვის, რაც გამოიწვევია მის მიერ საერთო წესის მიხედვით მოქმედების ვალდებულების ბრალეულმა დარღვევამ.[969]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ერთგული დარჩა პასუხისმგებლობის კლასიკური, ევროპულ სამართალში მოცემული ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპისა.[970]

ბრალის სამართლებრივი კატეგორია განასკუთრებული იურიდ-

---

[967] ძლიერიშვილი, ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულ. სამართლებრივი ბუნება, 2010, 66.

[968] ჩიკვაშვილი, დელიქტური ვალდებულებები სამოქალაქო სამართალში, კრებული „სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები", 2003, 186.

[969] Цваигерт Е., Кётц Х. Введение в сравнительное прововедение в сфере частного права. Т. 2, 1998, с. 388.

[970] ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სისტემა, „ქართული სამართლის მიმოხილვა", 1998, I კვარტალი, 28.

იული მნიშვნელობის მქონეა, როგორც კონტინენტური, ისე საერთო სამართლის სისტემაში, თუმცა, თითოეული სამართლებრივი სისტემა ბრალს საკითხისადმი კონცეპტუალურად განსხვავებულ მიდგომას ავლენს: საერთო სამართლის სივრცეში ვალდებულების არაბრალეული შეუსრულებლობა არ აფუძნებს ვალდებულების დარღვევის დასრულებულ შემადგენლობას, იგი მხოლოდ ხელეკრულებიდან გასვლის უფლებას წარმოშობს, ხოლო ზიანის ანაზღაურების მეორადი მოთხოვნის უფლება უპირობოდ ბრალზე დამოკიდებული რჩება. ამრიგად, საერთო სამართალი, ვალდებულების დარღვევის საფუძვლად ბრალის არსებობის განსაზღვრით, დასაწყისშივე გამორიცხავს არაბრალეული შეუსრულებლობისათვის ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას.[971]

კონტინენტურ სამართალში ვალდებულების შეუსრულებლობა, მოვალის ბრალეულობის მიუხედავად, აფუძნებს ვალდებულების დარღვევის ობიექტურ კატეგორიას, რაც განაპირობებს მეორადი მოთხოვნის უფლებისადმი კრედიტორის ხელმისაწვდომობას, ხოლო ბრალი, როგორც სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის უზოგადესი წინაპირობა, მნიშვნელობას იძენს გამოსაყენებელი მეორადი მოთხოვნის უფლების განსაზღვრისათვის მას შემდეგ, რაც სახეზეა ვალდებულების დარღვევის დასრულებული შემადგენლობა. კრედიტორის ბრალი გავლენას ახდენს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების წარმოშობაზე, ანაზღაურებას დაქვემდებარებული ზიანის ოდენობის განსაზღვრაზე და სანაცვლო შესრულების მოთხოვნის უფლების არსებობაზე აისახება.[972]

სკ-ის 395-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, „მოვალეს პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული და ვალდებულების არსიდანაც სხვა რამ არ გამომდინარეობს". ეს დანაწესი მსგავსია გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 276-ე პარაგრაფის I აბზაცისა, რომლის თანახმად, <u>მოვალე პასუხს</u> აგებს განზრახვის ან გაუფრთხილებლობისათვის,

[971] ჩიტაშვილი, ბრალის მნიშვნელობა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის, თსუ იურიდიული ფაკულტეტის „სამართლის ჟურნალი", #1, 2009, 143.

[972] „იქვე", გვ. 144.

თუკი უფრო მკაცრი ან უფრო მსუბუქი პასუხისმგებლობა არ არის დადგენილი, ან არ გამომდინარეობს ვალდებულებითი ურთიერთობის შინაარსიდან.[973]

სამოქალაქო სამართალში განასხვავებენ ბრალის ორ ფორმას: განზრახვა (dolus) და გაუფრთხილებლობა (culpa), რომლებიც პირის ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ელემენტებია. ჯერ კიდევ რომის კერძო სამართალი განზრახვად (dolus) მიიჩნევდა პირის მიერ შეგნებულად მოქმედების ჩადენას მისი მართლწინააღმდეგობის გათვალისწინებით, ხოლო გაუფრთხილებლობად (culpa) – საჭირო წინდახედულობისა და ყურადღებიანობის არგამოჩენას, არასაკმარის სწრაფვას არამართლზომიერი შედეგის თავიდან ასაცილებლად, ოღონდ ბოროტების ჩადენის პირდაპირი სურვილის – განზრახვის გარეშე.[974]

გაუფრთხილებლობა რომის სამართალში იყოფოდა უხეშ (culpa lata) და მარტივ (culpa levis) გაუფრთხილებლობად. მიჩნეული იყო, რომ უხეში გაუფრთხილებლობით მოქმედებდა ის, ვინც არ ღებულობდა ისეთ ზომებს, რომელსაც მიიღებდა სამოქალაქო ბრუნვის მონაწილე ნებისმიერი ნორმალური, გონიერი ადამიანი, ხოლო მარტივ გაუფრთხილებლობად ითვლებოდა ისეთი ზომების მიუღებლობა, რომელსაც მიიღებდა წინდახედული მესაკუთრე.[975]

განზრახვასა და გაუფრთხილებლობას, როგორც ბრალის ფორმებს, იცნობდა ასევე ძველი ქართული სამართალიც, კერძოდ, „მცირე სჯულის კანონი", ასევე მასზე დაფუძნებული ექვთიმე მთაწმინდელის მიერ ჩამოყალიბებული ბრალის კონცეფცია, ხოლო მოგვიანებით დავით ბატონიშვილის სამართლებრივი მოძღვრება.[976]

განზრახვის ცნების დეფინიციას საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს. ცივილისტურ დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში გამოიყენება განზრახ ბრალის ის ცნება, რომელიც სისხლის სამართალშია შემუშავებული. განზრახ მოქმედებს ის, ვინც

---

[973] ჭანტურია, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, 2006, 375.

[974] Гримм, „Лекций по догме римского права", М., 2003, с.178.

[975] Новицкий, Римское право, 2001, с. 152.

[976] გარიშვილი, დავით გიორგის-ძე ბაგრატიონის (ბატონიშვილის) პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებანი, 2004, 145.

აცნობიერებს თავისი მოქმედების როგორც შედეგს, ისე მისი მოვალეობებისადმი წინააღმდეგობას და ამას აკეთებს საკუთარი სირვილით. ამდენად, განზრახვა – ეს არის მართლსაწინააღმდეგო შედეგის ცოდნა და სურვილი.[977] განზრახი ბრალის ფორმა გულისხმობს ვალდებულების დარღვევას სახელშეკრულებო ურთიერთობაში ყველა მნიშვნელოვანი გარემოების ცოდნისა და მოვალის მიერ საკუთარი ვალდებულებების გაცნობიერების პირობებში. შესაძლებელია, ხელშეკრულების მხარეს არასწორი წარმოდგენა ჰქონდეს საქმის ნამდვილ ვითარებაზე – ცდებოდეს როგორც კონკრეტულ ფაქტებში, ასევე სამართლის ნორმის შინაარსში, არ ცნობდეს თავს ვალდებულად. ამ შემთხვევაში განზრახი ბრალის არსებობა გამოირიცხება, სანაცვლოდ მოვალეს დაეკისრება პასუხისმგებლობა გაუფრთხილებლობისათვის, რადგან ვალდებულების დარღვევა განიხილება როგორც მისი დაუდევარი მოქმედების შედეგი.[978]

განზრახვა მოიცავს ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის ფაქტობრივი გარემოებების, მხარეთა უფლება-მოვალეობების ცოდნას, ასევე ქმედების მართლწინააღმდეგობის გაცნობიერებას. განზრახვის აუცილებელი კომპონენტია საკუთარი ქმედების „შედეგის ცოდნა და სურვილი მართლწინააღმდეგობის შეგნებით".[979] ქმედების მართლწინააღმდეგობის შეგნება ბრალის ინტელექტუაური (კოგნიტური) ელემენტია, რომელიც სამართალდამრღვევის ცნობიერების შეფასებას გულისხმობს. სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტებისა და გარემოებების ცოდნა გაადმწყვეტია პირის ბრალეულობის განსაზღვრისათვის. ვალდებულების შეუსრულებლობის ეტაპზე სამართლებრივად მნიშვნელოვანი გარემოებების ცოდნას და გაცნობიერებას იურიდიული დოქტრინა პასუხისმგებლობისათვის განსაზღვრულ დატვირთვას ანიჭებს.[980]

განზრახვის მეორე ისეთი ნიშანი, როგორიცაა ნებელობითობა, გულიხმობს, რომ სამართალდამრღვევს სურს ამა თუ იმ შედეგის

---

[977] „იქვე" გვ.182.

[978] Markesinis/ Unberast/, Johnston, The German Law of Contract _ A Comparative Treatise, 2 nd . Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 447.

[979] Palandt/Heinrichs,. §276. Rn.6. Staudinger/Löwisch, §276. Rn.15.

[980] Principles of European Contract Law. Part I and II _ Revised 1998, Part III, 2003. www.lexmercatoria.org

დადგომა. განზრახვა შეიძლება იყოს ორი სახის: პირდაპირი და არაპირდაპირი. სამოქალაქო სამართალში განზრახი ბრალის სახეებად დაყოფას არა აქვს რაიმე სამართლებრივი მნიშვნელობა, რამეთუ განზრახვა იქნება პირდაპირი თუ არაპირდაპირი, მიყენებული ზიანი სრულად უნდა ანაზღაურდეს.[981]

გაუფრთხილებლობა ბრალის ყველაზე გავრცელებული ფორმაა სამოქალაქო სამართალში. სსკ არც გაუფრთხილებელი ბრალის დეფინიციას იცნობს. თუ განზრახვასთან მიმართებით ცივილისტიკა მთლიანად სისხლის სამართალს ემყარება, გაუფრთხილებლობაში მას გარკვეული კორექტივები შეაქვს. გაუფრთხილებლობა გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელი აუცილებელი წინდახედულობისა და ყურადღებიანობის უგულებელყოფას.

კერძო სამართალში დამკვიდრებული გაუფრთხილებლობის კონცეფცია ძირეულად განსხვავდება სისხლის სამართალში განმტკიცებული ანალოგიისაგან. „გაუფრთხილებლად მოქმედებს ის, ვინც არღვევს სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელ აუცილებელ ყურადღებიანობას", რომელიც განისაზღვრება ობიექტური მასშტაბით და არა კონკრეტული ინდივიდის პიროვნებიდან გამომდინარე.[982] სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეს მოეთხოვება მისი პროფესიის „საშუალო წარმომადგენლისათვის" დამახასიათებელი ჩვეული წინდახედულების დაცვა.[983]

გაუფრთხილებლობის არსი გერმანულ სამართალშიც ობიექტურადაა განსაზღვრული. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 276-ე პარაგრაფის II აბზაცის თანახმად, გაუფრთხილებლობით მოქმედებს პირი, რომელიც ვერ იჩენს სამოქალაქო ბრუნვაში აუცილებელ გონივრულ ყურადღებიანობას.[984]

მხარის ბრალეულობის განსაზღვრისათვის ევროპის სახელეკრულებო სამართლის პრინციპები დიდ მნიშვნელობას ანიჭებს

---

[981] ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ). საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, 2001, 383.

[982] Медицус, Шцхъулдрецхт I. Аллгемейнер теил, 13. Ауфл. 2002. Ш. 149.

[983] цвайгерт/ционтци, Шедарербитни самартамцодненобис шесавали керძо самартлис сферошй, ტომი II, 2001, 290.

[984] Staudinger/Löwisch, §276. Rn. 26. Bamberger/Roth (Hrsg) Grüneberg §276. Bd. 1. Rn.17.

ხელშეკრულების მონაწილე მხარის გონივრულ ქცევას, რომელიც 1:302-ე მუხლის თანახმად, დგინდება იმის მიხედვით, თუ რას მიიჩნევს გონივრულად იმავე პირობებში მოქმედი ობიექტური მესამე პირი კეთილსინდისიერების პრინციპის გათვალისწინებით. გონივრულობის შეფასებისას, მხედველობაში მიიღება: ხელშეკრულების ბუნება და მიზანი, კონკრეტული შემთხვევის ფაქტობრივი გარემოებები, სავაჭრო ჩვეულებები და პრაქტიკა, ასევე მხარეთა პროფესიის თავისებურება.[985]

პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის მნიშვნელობა არა აქვს, კონკრეტული მოვალე სუბიექტურად რამდენად უნარიანია, შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება. მას მოეთხოვება წინდახედულობის ის ხარისხი, რაც ჩვეულებრივ მიღებულია სამოქალაქო ბრუნვაში და მოსალოდნელია მისი პროფესიის საშუალო დონის წარმომადგენლისაგან.[986] გაუფრთხილებლობისას გამოირიცხება სამოქალაქო ბრუნვისათვის აუცილებელი წინდახედულობა და კეთილგონიერება, რასაც ვალდებულება, კონკრეტული ურთიერთობის ხასიათის გათვალისწინებით, აკისრებს სამოქალაქო ურთიერთობის სუბიექტს. ხშირად გაუფრთხილებლობა გულისხმობს გონივრული მოქმედების განუხორციელებლობას მოსალოდნელი დარღვევის აღსაკვეთად ან ზიანის შესამცირებლად, თუმცა განზრახვისაგან განსხვავებით, გაუფრთხილებლობა ხორციელდება მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის სურვილის გარეშე.[987]

გაუფრთხილებლობა სამოქალაქო სამართალში იყოფა ორ სახედ: უხეში გაუფრთხილებლობა და მარტივი გაუფრთხილებლობა. უხეში გაუფრთხილებლობით მოქმედებს ის, ვინც თავისი ქმედებით სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელ აუცილებელი ყურადღებიანობის მოთხოვნებს არღვევს უჩვეულოდ მაღალი ხარისხით, რის გამოც განზრახვა და უხეში გაუფრთხილებლობა ხშირად

---

[985] Lando/ Beale, Principles of European Contract Law. Part I and II. Kluwer Law International. The Hague/London/Boston. 2000, 126.

[986] ჩიტაშვილი, ბრალის მნიშვნელობა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის, თსუ იურიდიული ფაკულტეტის „სამართლის ჟურნალი", #1, 2009, 150.

[987] ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ). საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, 2001, გვ. 386.

ერთ სიბრტყეზე განიხილება. მარტივი გაუფრთხილებლობისას კი გონივრული წინდახედულებისა და ყურადღებიანობის დარღვევის ხარისხი მნიშვნელოვნად შემცირებულია. უხეში გაუფრთხილებლობა, როგორც სამოქალაქო ბრუნვისათვის საჭირო გულმოდგინების განსაკუთრებით მძიმე, უჩვეულო ხარისხით დარღვევა, პასუხისმგებლობის საფუძვლად გამოიყენება, როცა ამის შესახებ პირდაპირ უთითებს კანონი.[988]

ევროპული სამართლებრივი სისტემის ზოგიერთ ქვეყანაში განზრახი ქმედება მოიცავს უხეშ გაუფრთხილებლობასაც, რომელიც ხშირად მიიჩნევა dolus eventualis-ად (არაპირდაპირ განზრახვად)[989]. მაგალითად, ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების 1:301-ე მუხლის III ნაწილის თანახმად, „განზრახ ქმედებად ითვლება პირის გაცნობიერებული ქცევა, რომელიც გამიზნულად (შეგნებულად) მიმართულია ქმედების სამართლებრივი შედეგების წარმოშობისაკენ, ასევე უხეში გაუფრთხილებლობით განხორციელებული ქმედებაც, რომლის დროსაც პირი ითვალისწინებს თავისი ქცევის მოსალოდნელ სამართლებრივ შედეგს, მართალია მიზანმიმართულად არ მიისწრაფვის, მაგრამ გულგრილად ეკიდება მის დადგომას. ამის საპირისპიროდ, მარტივი გაუფრთხილებლობისას პირი არ აცნობიერებს თავისი ქცევის შესაძლო სამართლებრივ შედეგს და, შესაბამისად, ეს არ ჩაითვლება განზრახ ქმედებად. ამრიგად, ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები ერთმანეთისაგან განასხვავებს განზრახ და მარტივ გაუფრთხილებლობას.

ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების მიერ განზრახვის კატეგორიაში უხეში გაუფრთხილებლობის გაერთიანებას განსაზღვრული საფუძველი აქვს. ამის მიზეზი უნდა იყოს განზრახვისა და უხეში გაუფრთხილებლობისათვის დამახასიათებელი ნიშნის არსებობა – ორივე შემთხვევაში პირის მიერ საკუთარი ქმედების სამართლებრივი მნიშვნელობის გაცნობიერებისა და მისი შედეგების გათვალისწინების შესაძლებლობა, რაც არ ახასიათებს მარტივ გაუფრთხილებლობას. ამრიგად, ევროპის სახელშეკრულებო სამარ-

[988] ჭანტურია, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, 2006, 377.

[989] Lando/ Beale, Principles of European Contract Law. Part I and II. Kluwer Law International. The Hague/London/Boston, 2000, 125.

თლის პრინციპებში განვითარებული პოზიციის მიხედვით, განზრახვა და უხეში გაუფრთხილებლობა აუცილებლად გულისხმობს მხარის გაცნობიერებულ ქმედებას.

აღსანიშნავია, რომ სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისათვის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი, ძირითადად შეესაბამება გერმანიის სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ ანალოგიური შინაარსის ნორმებს, ეს გასაკვირი არ არის, რამეთუ სკ-ი ემყარება პანდექტური სამართლის სისტემას და ცალკეული სამართლის ინსტიტუტების მოწესრიგებისას ძირითადად ორიენტირებულია გერმანიის სამოქალაქო კოდექსზე.[990]

სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის შედეგად დამდგარი ზიანი შესაძლებელია ერთდროულად იყოს როგორც მოვალის, ისე თავად კრედიტორის ბრალეული ქმედების შედეგი. ამ შემთხვევაში სახეზეა შერეული ბრალის სამართლებრივი კატეგორია, როდესაც ბრალეულ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

სკ-ის 415-ე მუხლის თანახმად, თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის გამოწვეული ზიანი. ეს წესი გამოიყენება მაშინაც, როდესაც დაზარალებულის ბრალი გამოიხატება მის უმოქმედობაში – თავიდან აეცილებინა ან შეემცირებინა ზიანი.[991]

ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების 9:504-ე მუხლის თანახმად, ვალდებულების დამრღვევი მხარე არ არის პასუხისმგებელი დამდგარი ზიანისათვის იმდენად, რამდენადაც დაზარალებულმა საკუთარი ქმედებით ხელი შეუწყო ვალდებულების დარღვევას და მისი სამართლებრივი შედეგების წარმოშობას

---

[990] ჩაჩავა, მყიდველის მეორადი უფლებების შედარებითი სამართლებრივი ანალიზი, „ქართული სამართლის მიმოხილვა", სპეციალური გამოცემა, 2004, 35.

[991] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 29 მაისის განჩინება საქმეზე #ას-1685-1671-2011; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 14 მარტის განჩინება საქმეზე #ას-8-5-2011.

ანუ დაზარალებულის ბრალი გამოიხატება ვალდებულების შეუსრულებლობაში ხელის შეწყობითა და ზიანის შესამცირებლად მისთვის შესაძლებელი გონივრული ზომების მიუღებლობით.[992] რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის 404-ე მუხლის თანახმად, დაზარალებულის ბრალი გულისხმობს განზრახ ან გაუფრთხილებლობით ზიანის მოცულობის გაზრდაში ხელის შეწყობას შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით, ასევე ზიანის შესამცირებლად გონივრული ზომების მიუღებლობას.[993]

შერეული ბრალის არსებობისას სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრა გულისხმობს არა ზიანის ანაზღაურებას დაზარალებულის მიერ, არამედ ზიანის მიმყენებლის პასუხისმგებლობის შემცირებას და ზიანის შესაბამისი ნაწილის დაზარალებულზე დაკისრებას. ამ ვითარებაში არსებული ზიანი მოვალისა და დაზარალებულის ერთობლივი მოქმედების განუყოფელი შედეგია. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ანაზღაურების მოცულობა განისაზღვრება მხარეთა ბრალეულობის ხარისხით – უფრო მეტად თუ რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამოწვეული.[994] სსკ-ის 415-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევის ანალოგიურ დებულებებს ითვალისწინებს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 254-ე პარაგრაფი – „თანაბრალეულობა".[995]

თუ დაზარალებულს ვალდებულების დარღვევის უარყოფითი შედეგების შემცირების ან აღმოფხვრის შესაძლებლობა აქვს და ბრალეული უმოქმედობით ამ ვალდებულებას არ ასრულებს, მაშინ ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების 9:505-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, ვალდებულების დამრღვევი მხარე თავისუფლდება დამდგარი ზიანისათვის პასუხისმგებლობისაგან იმ ოდენობით, რამდენითაც დაზარალებულს გონივრული მოქ-

[992] ჭეჭელაშვილი, ევროპული სახელშეკრულებო სამართლის ძირითადი დებულებები, ქართული კერძო სამართლის კრებული, 2003, 259.

[993] Брагинский, М.И., Витрянский В.В., Договорное право, Книга первая, М., 1999, с. 576.

[994] ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი III, 2001, 481.

[995] Münch Komm BGB/Oetker §254. Bd 2a. Rn. 10. Palandt/Heinrichs, §254. Rn.15. Staudinger/Schiemann. §254. Rn.67. Bamberger/Roth., Grüneberg §254. Bd. 1. Rn.11. 19.

მედების საფუძველზე შეეძლო შეემცირებინა იგი. ამ შემთხვევაში ბრალი დაზარალებულის მიერ ზიანის შესამცირებლად სათანადო ღონისძიებების განუხორციელებლობაში გამოიხატება. "მხარის ვალდებულება – კეთილგონივრული მოქმედებებით შეამციროს ხელშეკრულების კონტრაჰენტის მიერ ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ზიანის ოდენობა, კეთილსინდისიერების პრინციპისა და გულისხმიერების ვალდებულების გამოხატულებაა.[996] ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების 9:505-ე მუხლის შინაარსიდან კი ვლინდება, რომ კეთილსინდისიერების პრინციპისა და გულისხმიერების ვალდებულების დარღვევის მსგავსად, აისახება მხარის სახელშეკრულებო პასუხისმგებლობაზე და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების არსებობას განსაზღვრავს.

კრედიტორის ბრალი ვალდებულების შეუსრულებლობაში მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მისი მხრიდან მეორადი მოთხოვნის უფლებების გამოყენების შესაძლებლობაზე. „კეთილსინდისიერებისა და სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, კრედიტორს ვალდებულების დარღვევისას ეზღუდება სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენების უფლებამოსილება."[997] მაგალითად, ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების 8:101-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, კრედიტორი მოკლებულია სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენების შესაძლებლობას იმდენად, რამდენადაც საკუთარი ქმედებით ხელი შეუწყო ვალდებულების შეუსრულებლობას. თუ მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ზიანი ნაწილობრივ კრედიტორის ქმედების შედეგიცაა, მაშინ კრედიტორი სამართლებრივი დაცვის საშუალებებს სრულად ვერ გამოიყენებს, იმ შემთხვევისაგან განსხვავებით, როდესაც შეუსრულებლობისათვის მხოლოდ მოვალეა პასუხისმგებელი.[998] „თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის გაუფრთხილებელ ბრალს უპირისპირდება კონტრაჰენტის შემხვედრი განზრახი ბრალი, მაშინ ამ უკანასკნელს არ დაეკისრება ზიანის სრული ოდენობით ანაზღაუ-

[996] Lando/ Beale, Principles of European Contract Law, Part I and II. Kluwer Law International, The Hague/London/Boston, 2000, 125.
[997] Lando/ Beale, Principles of European Contract Law, Part I and II. Kluwer Law International, The Hague/London/Boston, 2000, 360.
[998] „იქვე", 360.

რების ვალდებულება.[999] შერეული ბრალის არსებობისას დამდგარი ზიანის სრული ოდენობით ანაზღაურება არ დაეკისრება ზიანის მიმყენებელს, პირიქით, მისი პასუხისმგებლობა მცირდება იმ ნაწილში, რითაც დაზარალებულმა ხელი შეუწყო ზიანის წარმოშობას.[1000] ამდენად, თუ დამდგარი ზიანი ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა ერთობლივი ბრალეული ქმედების შედეგია, მაშინ პასუხისმგებლობა ორივე მხარეზე გადანაწილდება თითოეულის ბრალეულობის ხარისხის გათვალისწინებით.[1001]

ქართული სამოქალაქო სამართალი, ზოგადი პრინციპის სახით აფუძნებს ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს, მაგრამ გამონაკლისის სახით ითვალისწინებს ასევე ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის შესაძლებლობასაც. ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა შეიძლება გათვალისწინებული იყოს, როგორც სახელშეკრულებო, ისე არასახელშეკრულებო ვალდებულებით ურთიერთობებში (ბრალის, როგორც სამოქალაქო სამართალებრივი პასუხისმგებლობის პირობის საკითხთან დაკავშირებით უფრო დაწვრილებით იხილეთ)[1002],. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისათვის ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი, სრულად შეესაბამება განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობითა და დოქტრინით გათვალისწინებულ აღნიშნული საკითხის მოწესრიგებას.[1003]

---

[999] Palandt/Heinrichs, §254. Rn.51. Münch Komm BGB/Grunsky §254. Rn. 7.

[1000] ძლიერიშვილი, ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულ. სამართლებრივი ბუნება, 2010, 69.

[1001] ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, 2001, 482.

[1002] ქოჩაშვილი, ბრალი, როგორც სამოქალაქო სამართალებრივი პასუხისმგებლ. პირობა (შედარებითი სამართლის კვლევა), თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის „სამართლის ჟურნალი", #1, 2009, 78-114.

[1003] ჩიტაშვილი, ბრალის მნიშვნელობა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის,თსუ იურიდიული ფაკულტეტის „სამართლის ჟურნალი", #1, 2009, 143-216.

XV.5. 6 ზიანის ანზღაურება ნარდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაღვევისათვის

ნარდობის ხელშეკრულებიდან აღმოცენებული ვალდებულებების დარღვევა წარმოშობს ზიანის ანაზღაურების მეორადი მოთხოვნის უფლებას. თანამედროვე იურიდიულ ლიტერატურაში ერთმანეთისაგან იმიჯნება, ერთის მხრივ, შესრულების ნაცვლად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, რომელიც როგორც წესი, ალტერნატიული მოთხოვნაა ხელშეკრულებიდან გასვლასა და საზღაურის შემცირების მოთხოვნებთან მიმართებით და მეორეს მხრივ, ე.წ. „ჩვეულებრივი ზიანის" ანაზღაურების მოთხოვნა, რომლის განხორციელებაც შესაძლებელია სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების მიმართ არსებული ინტერესის მიუხედავად. ეს უკანასკნელი შესაძლებელია განხორციელდეს მათ შორის დამატებითი შესრულების მოთხოვნის პარალელურად.[1004]

შესრულების ნაცლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისაგან განსხვავებით, ნარდობის ხელშეკრულებიდან გასვლასთან ერთად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა წარმოიშობა, როგორც წესი, უფლებამოსილი პირის მიერ ვალდებული პირისათვის დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. შესაბამისად, მისი გამოყენების წინაპირობაა მეორად მოთხოვნათაგან უპირატესად გამოსაყენებელი – დამატებითი შესრულების (სკ-ის 642-ე მუხლი) მოთხოვნის უშედეგოდ განხორციელება.

შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა დამოუკიდებელი მოთხოვნაა და მისი სხვა მოთხოვნებთან ერთად განხორციელება დაუშვებელია. ამის საპირისპიროდ, ე.წ. კუმულირებადი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შეიძლება წარმოიშვას ვალდებულების დარღვევისთანავე. შესრულებასთან ერთად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მეორად მოთხოვნათა შორის გამონაკლისია, ვინაიდან იგი შესაძლოა წარმოიშვას და განხორციელდეს როგორც პირველადი, ისე დამატებითი შესრულების მოთხოვნასთან ერთად. ამ სახის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ასევე განსხვავდება მისი ურთიერთმიმართებით სხვა მეორად მოთხოვნებთან, კერძოდ, ზია-

[1004] Ernst, in Münch Komm BGB/, §280. Rn. 5. Staudinger/Löwisch, §280. Rn. 20. Palandt/Heinrichs, §280. Rn.34. Bamberger/Roth (Hrsg) Grüneberg §280. Rn.11.

ნის ანაზღაურება ხელშეკრულებიდან გასვლასა თუ დამატებით შესრულებასთან კომბინირებადი თუ კუმულირებადია[1005] და მისი განხორციელება ამ მოთხოვნებთან ერთად არის შესაძლებელი.

ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა, თუკი შემკვეთმა წინასწარ იცოდა ნაკეთობის ნაკლის შესახებ და იგი მაინც მიიღებს მას პრეტენზიის განუცხადებლად (სკ-ის 652-ე მუხლი). სკ-ის 652-ე მუხლი არ არის მოთხოვნის დამოუკიდებელი საფუძველი, ვინაიდან იგი არ განსაზღვრავს ზიანის ანაზღაურების წინაპირობების ამომწურავ ჩამონათვალს. იგი ასევე არ აწესრიგებს ზიანის ანაზღაურების წესსა და პირობებს.[1006]

ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შედეგად წარმოშობილი ზიანის გათვალისწინებით, შესაძლებელია შემკვეთს კვლავ ჰქონდეს ხელშეკრულების შესრულების მიმართ ინტერესი, თუმცა ამის მიუხედავად, იგი უფლებამოსილია, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. შესაბამისად, შესაძლებელია ზიანის ანაზღაურების კომბინირება, როგორც ნაკეთობის ნაკლთან დაკავშირებული დამატებითი შესრულების, ისე ნარდობის ხელშეკრულებიდან გასვლის მეორად მოთხოვნასთან.

ნარდობის ხელშეკრულებიდან გასვლასთან ერთად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი გამომდინარეობს სკ-ის 639-ე, 407-ე, 394-ე, მუხლის პირველი ნაწილისა და 395-ე მუხლის პირველი ნაწილის კუმულაციის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში საუბრობენ კომბინირებადი მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლების შესახებ.[1007],[1008] შესაბამისად, მოთხოვნის საფუძველი, ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნაკლიანი შესრულების გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შემთხვევაში, სკ-ის 639-ე, 644-ე, 394-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 395-ე მუხლის პირველი ნაწილის ერთობლიობაა.

ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული **ვალდებულების**

[1005] ბიოლინგი/ლუტრინგჰაუსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, 2009, 30.

[1006] ძლიერიშვილი, ნარდობის სამართლებრივი რეგულირება, 2001, 51.

[1007] ბიოლინგი/ლუტრინგჰაუსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, 2009, 30.

[1008] ჰენშელი, სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდიკა, 2009, 85.

დარღვევის ერთ-ერთ გავრცელებულ შემთხვევას წარმადგენს ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილება.[1009] მენარდის მხრიდან ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებად ითვლება, თუ: ა) შესრულებისათვის დადგენილ დროში ვალდებულება არ შესრულდა; ბ) შესრულების ვადის დადგომიდან შემკვეთის მიერ გაფრთხილების შემდეგაც იგი არ ასრულებს ვალდებულებას.

მენარდის მიერ ვადის გადაცილება ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს დროულ შეუსრულებლობას უკავშირდება. შესრულების დროულობა კი ნარდობის ხელშეკრულებიდან ან კანონიდან შეიძლება გამომდინარეობდეს. თუ შესრულების ვადა არც ხელშეკრულებიდან და არც სხვა გარემოებებიდან არ გამომდინარეობს, მაშინ სკ-ის 365-ე მუხლის თანახმად, შემკვეთს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს ვალდებულების შესრულება, ხოლო მენარდეს შეუძლია იგი ნებისმიერ დროს შეასრულოს. მას შემდეგ, რაც შემკვეთი მოითხოვს ვალდებულების შესრულებას, მენარდე მოვალე გახდება შეასრულოს იგი. თუ შემკვეთის მოთხოვნის მიუხედავად მენარდე არ ასრულებს სამუშაოს, იგი არღვევს ვალდებულებას სკ-ის 394-ე მუხლის I ნაწილის მნიშვნელობით.

მნიშვნელოვანია, რომ შემკვეთმა ვადამოსულობის შემდეგ იმგვარი მოქმედება განახორციელოს, რომელიც მენარდეს შესრულების ვალდებულებას შეახსენებს და მის შესრულებას ვადაგადაცილებულად აქცევს. კანონით გათვალისწინებულ ასეთ მოქმედებას მენარდის გაფრთხილება წარმოადგენს.

გაფრთხილება ვალდებულების შესრულების უპირობო და არაორაზროვან მოთხოვნას წარმოადგენს.[1010] გაფრთხილება იმგვარად უნდა იყოს ფორმულირებული, რომ გამორიცხავდეს ყოველგვარ ეჭვს კრედიტორის ინტერესში მიიღოს დროული შესრულება.[1011] კრედიტორი არ არის ვალდებული განუმარტოს მოვალეს, რომ შეუსრულებლობის შემთხვევაში იგი მოთხოვნის დაკმაყოფილების

[1009] სუსგ 2009 წლის 20 ოქტომბრის განჩინება საქმეზე # ას-562-871-09.

[1010] მაჩალაძე, ზიანის ანაზღაურება ვალდებულების დარღვევისას (საქართველოსა და გერმანიის კანონმდებლობათა ანალიზი), „ქართული სამართლის მიმოხილვა", სპეციალ. გამოცემა, 2004, 77.

[1011] Münch Komm BGB/Ernst, §286. Bd. 2a. Rn 48 ff.

მეორად საშუალებებს მიმართავს.[1012] თუ ეს ვალდებულების ხასიათს არ ეწინააღმდეგება, კრედიტორს შეუძლია შესრულების მოთხოვნა და გაფრთხილება ერთდროულად, ერთი აქტის მეშვეობით განახორციელოს.[1013] თუმცა ვალდებულების შესრულების ვადის დადგომამდე გაკეთებულ გაფრთხილებას სამართლებრივი ძალა არა აქვს (სკ-ის 400-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტი"), მაშინაც კი თუ იგი უპირატესად ვადის დაზუსტებას ისახავს მიზნად.

გაფრთხილება არ გულისხმობს გარკვეული ვადის დადგენას.[1014] თუმცა კრედიტორს შეუძლია დაადგინოს დამატებითი ვადა (სკ-ის 394-ე მუხლის II ნაწილი), რომლის ამოწურვამდეც ვადა არ ჩაითვლება გადაცილებულად. ეს ვადა უნდა იყოს გონივრული, რომლის განმავლობაშიც კრედიტორი მეორადი მოთხოვნის დაყენების უფლებაში იზღუდება.[1015] კრედიტორს ასევე უფლება აქვს, დამატებითი ვადა ვალდებულების დროულად შესრულების პირობით დააწესოს, რა შემთხვევაშიც, თუ მოვალე ვალდებულებას დამატებითი ვადის განმავლობაში არ შეასრულებს, ვადა გადაცილებულად ჩაითვლება გაფრთხილების მომენტიდან (ex tunc).[1016]

შესრულების ვალდებულება უნდა იყოს ნამდვილი, ვადამოსული და მას არ უნდა უპირისპირდებოდეს მენარდის პრეტენზია. თუ შემკვეთის მოთხოვნას მენარდის პრეტენზია უპირისპირდება (მაგალითად, საპასუხო ვალდებულების შეუსრულებლობა), ვადა გადაცილებულად არ ჩაითვლება. იგივე წესი მოქმედებს მაშინაც, როცა შესრულების დაყოვნება თავად შემკვეთის ბრალითაა გამოწვეული ან მან არ განახორციელა ის ქმედება, რომელიც მას ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე უნდა შეესრულებინა (სკ-ის 369-ე, 633-ე I მუხლები). შემკვეთის მხრიდან გაკეთებულ გაფრთხილებას სამართლებრივი ძალა არ ექნება, თუ მას ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე საპირისპირო ვალდებულება არ შეუსრულებია (მაგალითად, როცა სამუშაოს შესრულება ხდება შემკვეთის მა-

[1012] Staudinger/Löwisch, §286. Rn. 28.
[1013] Palandt/Grüneberg §286. Rn. 16.
[1014] სუსგ განჩინება საქმეზე # ას-946-1203-05.
[1015] სუსგ განჩინება საქმეზე # ას-48-401-07.
[1016] Medicus/Lorenz, Schuldrecht , Allgemeiner Teil, 18. Auflage, C.H. Beck, München, 2008, 399.

სალით და შემკვეთმა არ მიაწოდა მენარდეს საკმარისი მასალა, ან არ შეცვალა უხარისხო მასალა).[1017]

ყველა შემთხვევაში, მენარდის მიერ სკ-ის 629-I, 394-I-ისა და მე-400 მუხლს პირობათა დარღვევა ვადის გადაცილებას წარმოადგენს და მენარდე ვალდებულია სკ-ის 404-ე მუხლის საფუძველზე აუნაზღაუროს კრედიტორს ვადის გაადცილებით მიყენებული ზიანი (mora debitoris).[1018]

თუ ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებისათვის დადგენილია კონკრეტული კალენდარული თარიღი ან მოვლენა და ვალდებულება არ სრულდება, შესრულების ვადა ითვლება ავტომატურად გადაცილებულად და შემკვეთი აღარ არის ვალდებული გააფრთხილოს მენარდე (dies interpellat pro homine). თუმცა მას შეუძლია განსაზღვროს დამატებითი ვადა სამუშაოს შესრულებისათვის და დაელოდოს შესრულებას (სკ-ის 394-ე მუხლის II ნაწილი).

დამატებითი ვადის დაწესების აუცილებლობა არ არსებობს ე.წ. „აბსოლუტურად ფიქსირებული" (absolutes Fixgeschäft)[1019] ვალდებულების შემთხვევაში, როდესაც ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს დროულად შეუსრულებლობა, როგორც წესი, შესრულების შეუძლებლობას იწვევს (მაგალითად, საქორწილო კაბის შეკერვა ქორწილის შემდეგ; საკონდიტრო ნაწარმის დამზადება დაბადების დღის შემდეგ და ა.შ.) ასეთ შემთხვევაში, შემკვეთს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე (სკ-ის 405-ე მუხლის II ნაწილის „ა" ქვეპუნქტი) და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

სკ-ის 401-ე მუხლის თანახმად, ვადა გადაცილებულად არ ჩაითვლება, თუკი ვალდებულება არ შესრულდა ისეთ გარემოებათა გამო, რომლებიც მოვალის ბრალით არ არის გამოწვეული. ამ მუხლიდან გამომდინარეობს თეზა, რომ ვადის გადაცილება ყოველთვის ბრალეული ქმედებით გამოიხატება. თუ მოვალე არ არის პასუხისმგებელი ვალდებულების შესრულების დაყოვნებისათვის, მაშინ შესაძლოა, სახეზე იყოს კრედიტორის მხრიდან ვადის გადაცილება

[1017] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 179.
[1018] ბიოლინგი/ლუტრინგჰაუსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, 2009, 41.
[1019] Münch Komm BGB, Ernst, §286, Rn. 55.

ან დაუძლეველი ძალა, რაც ვადამოსული ვალდებულების შესრულებას შეუძლებელს ხდის და გამორიცხავს სახელშეკრულებო ზიანის ანაზღაურების სახით.[1020] ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ განმარტა, რომ „სკ-ის 401-ე მუხლის მიხედვით, ვადა გადაცილებულად არ ჩაითვლება, თუკი ვალდებულება არ შესრულდა ისეთ გარემოებათა გამო, რაც მოვალის ბრალით არ არის გამოწვეული. ამ მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, ვადის გადაცილება ბრალეული მოქმედებით ხორციელდება, როდესაც მოვალე განზრახ ან გაუფრთხილებლობით დროულად არ შეასრულებს ობიექტურად განხორციელებად ვალდებულებას. მითითებული გარემოებების დადგომა არც მოვალის პასუხისმგებლობას იწვევს. მოვალე არ ჩაითვლება ვადის გადამცილებლად, თუ ვალდებულების შეუსრულებლობის მიზეზია დაუძლეველი ძალა და შესრულება შეუძლებელია მოვალის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ან ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია კრედიტორის მიერ შესრულების მიღების დაყოვნებით.[1021]

სკ-ის 649-ე მუხლის თანახმად, „თუ ხელშეკრულების თანახმად ან შესრულებული სამუშაოს ხასიათიდან გამომდინარე, საჭიროა მისი გადაცემა, მაშინ შემკვეთი მოვალეა მიიღოს შესრულებული სამუშაო. მიღებისთანავე შემკვეთი ვალდებულია გადაიხადოს საზღაური. სამუშაო მიღებულად ჩაითვლება, თუ შემკვეთი არ მიიღებს შესრულებულ სამუშაოს მენარდის მიერ დადგენილ დროში."

შემკვეთის მიერ სამუშაოს მიღების ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში დგება სკ-ის 633-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი, კერძოდ: „მენარდეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, თუ შემკვეთი არ მიიღებს შესრულებულ სამუშაოს".[1022]

კრედიტორისა და მოვალის მიერ ვადის გადაცილება ურთიერთსაპირისპირო ცნებებია, რომლებიც ერთმანეთს გამორიცხავს. ორ-

---

[1020] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე #ას-84-74-201.

[1021] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 18 აპრილის განჩინება საქმეზე #ას-218-204-2011.

[1022] ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტ. I, 2001, გვ. 280.

მხრივ ხელშეკრულებაში (ნარდობა) ერთი და იგივე პირი მოვალეცაა და კრედიტორიც. თუ ეს პირი დროულად არ ასრულებს ვალდებულებას, იგი არის მოვალე, ხოლო თუ იგი დროულად არ იღებს შესრულებას – მაშინ კრედიტორი, რომელიც შესრულების მიღების ვადას აცილებს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ორივე შემთხვევას უწოდებს ვადის გადაცილებას, აუცილებელია მათი დიფერენცირება. სკ-ის 390-ე, 392-393-ე მუხლები მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუკი შესრულების მიღება უფლებაა, ამ უფლებით არსარგებლობა კი შესრულების მიღების დაყოვნებაა. ხოლო თუ შესრულების მიღება ვალდებულებაა (სკ-ის 649-ე მუხლი), შესრულების დროულად მიუღებლობა ვადის გადაცილებას წარმოადგენს და მასზე სკ-ის 391-ე და სხვა ზოგადი მოთხოვნის საფუძვლები ვრცელდება (სკ-ის 394-ე მუხლი). ასეთ შემთხვევაში კრედიტორი მოვალის პოზიციაზე ინაცვლებს. განსხვავება კი იმაში მდგომარეობს, რომ ზიანის ანაზღაურების ვალდებულების მიმართ გამოიყენება არა სკ-ის 404-ე, არამედ 391-ე მუხლი.[1023] ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, „რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სკ-ის 633-ე მუხლის პირველი ნაწილი.[1024]

გერმანიის სამოქალაქო კოდექსში კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების საკითხი მოწესრიგებულია 293-304-ე პარაგრაფებით.[1025]

შემკვეთის მიერ ვადის გადაცილებად (შესრულების მიღების დაყოვნებად) ითვლება, თუ იგი შეთავაზებულ შესრულებას არ იღებს ან არ ახორციელებს შესრულების მისაღებად აუცილებელ ქმედებას (სკ-ის 390-ე მუხლის I ნაწილი).

შესრულების შეთავაზებად ჩაითვლება ვალდებულებით გათვალისწინებული ქმედების განხორციელება ან შესაბამისი შედეგის დადგომა, რაც ვალდებულების სახეზეა დამოკიდებული. თუ სახეზეა მიტანის ვალდებულება, ვალდებულება შესრულებულად ითვლება,

---

[1023] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 181.

[1024] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 ნლის 17 დეკემბრის განჩინება საქმეზე #3კ-337-03.

[1025] Münch Komm/Ernst, §293, Bd.2a. Rn. 3. Palandt/Heinrichs, §293. Rn.2. Bamberger/Roth (Hrsg) Grüneberg §293. Bd.1. Rn.3.

თუკი მოვალე შეთანხმებულ ადგილას მიუტანს კრედიტორს ხელშეკრულების საგანს. თუ ვალდებულება ითვალისწინებს საგნის წაღებას კრედიტორის მიერ, მოვალის მხრიდან ვალდებულება შესრულებულად ჩაითვლება, როდესაც იგი შესრულების საგანს წასაღებად გაამზადებს და ამის შესახებ შეატყობინებს კრედიტორს. თუ ხელშეკრულებით შეთანხმებულია გაგზავნის ვალდებულება, ვალდებულება შესრულებულად ჩაითვლება, თუ მოვალე შესრულების საგანს გადასცემს გადამზიდველს ან კრედიტორის უფლებამოსილ წარმომადგენელს. კრედიტორს შესრულების მიღება ჩაეთვლება ვადაგადაცილებულად, მიუხედავად მისი ბრალისა.[1026] ასევე მნიშვნელობა არა აქვს თუ რა მიზეზით არ იღებს კრედიტორი შესრულებას.[1027]

მაშასადამე, სკ-ის 633-ე მუხლით გათვალისწინებული მენარდის უფლება, მოითხოვოს შემკვეთისაგან ზიანის ანაზღაურება, თუკი შემკვეთი არ მიიღებს შესრულებულ სამუშაოს, განხილული უნდა იქნეს სკ-ის 391-ე მუხლთან ერთობლიობაში. თუკი შემკვეთის მხრიდან ადგილი აქვს შესრულების მიუღებლობას არაბრალეული ქმედებით, მაშინ დადგება სკ-ის 393-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები. „სასამართლომ მიუთითა, რომ სკ-ის 633-ე მუხლით გათვალისწინებულია შემკვეთის მიერ ზიანის ანაზღაურება, თუკი შემკვეთი არ შეასრულებს სამუშაოს შესრულებისათვის აუცილებელ მოქმედებას."[1028]

შემკვეთი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი მაშინაც, როცა იგი არ შეასრულებს სამუშაოს შესრულებისათვის აუცილებელ მოქმედებას (სსკ-ის 633-ე I მუხლი). მხედველობაშია ისეთი შემთხვევები, როდესაც ადგილი აქვს ვალდებულების შესრულებაში შემკვეთის „თანამონაწილეობას" (venire contra factum proprium). კერძოდ, შემკვეთს უნდა მიეწოდებინა მენარდისათვის სამუშაოს შესასრულებლად საჭირო მასალა; მოწყობილობა-დანადგარები; ტექნიკური დოკუმენტაცია და ა.შ. რადგან შემკვეთმა არ განახორციელა სამუშაოს შეს-

---

[1026] ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, 2001, გვ. 352 და შემდ.

[1027] Palandt/Grüneberg, §293. Rn.10. Münch Komm/Ernst, §293, Bd.2a. Rn.18.

[1028] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 22 მარტის განჩინება საქმეზე #ას-852-1076-04.

რულებისათვის აუცილებელ მოქმედება, ამით მენარდემ განიცადა ზიანი, რომლის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაც მენარდეს გააჩნია სკ-ის 633-ე მუხლის I-ისა და სსკ-ის 390-ე მუხლის II და 391-ე მუხლების საფუძველზე.[1029] ანალოგიურ დებულებას ითვალისწინებს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 642-3 პარაგრაფის I აბზაცი.[1030]

სკ-ის 633-ე მუხლის II ნაწილის თანახმად, ზიანის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება, ერთის მხრივ ვადის გადაცილების ხანგრძლივობისა და საზღაურის ოდენობის შესაბამისად, ხოლო მეორეს მხრივ – იმისდა მიხედვით, რასაც მენარდე მიიღებდა თავისი სამუშაო ძალის სხვაგვარი გამოყენებით, შემკვეთს რომ ვადისათვის არ გადაეცილებინა.

მაშასადამე, თუ შემკვეთი დროულად არ მიიღებს ნარდობის ხელშეკრულებით შესრულებულ სამუშაოს, ან არ განახორციელებს სამუშაოს შესრულებისათვის აუცილებელ მოქმედებას, მენარდეს წარმოეშობა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. ასეთ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება: ა) ვადის გადაცილების ხანგრძლივობისა და საზღაურის ოდენობის შესაბამისად; ბ) რასაც მენარდე მიიღებდა თავისი სამუშაო ძალის სხვაგვარი გამოყენებით, შემკვეთს რომ ვადისათვის არ გადაეცილებინა (მიუღებელი შემოსავალი სსკ-ის 411-ე მუხლის შესაბამისად). ერთერთ საქმეზე სასამართლომ მიუთითა, რომ „სკ-ის 633-ე და 411-ე მუხლების შესაბამისად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისათვისაც. მიურებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. ზემოთ მითითებული ნორმების საფუძველზე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ზიანის გაანგარიშება უნდა მოხდეს მიუღებელი შემოსავლისთვისაც, რაც მოცემულ შემთხვევაში მოიცავს მიუღებელ შემოსავალს ყოველ ტონა კაპროლაქტზე 600 აშშ დოლარის ოდენობით, რასაც მენარდე მიიღებდა თავისი სამუშაო ძალის სხვაგვარი გამოყენებით,

---

[1029] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 182.
[1030] Staudinger/Peters, §642, Rn.9. Palandt/Sprau, §642, Rn.4. Busche, in MüKo.BGB, Band 4.,5.Aufl. §642, Rn.3.

შემკვეთს რომ ვადისათვის არ გადეცილებინა.[1031]

ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევაში შეიძლება ბრალი მიუძღვოდეს როგორც შემკვეთს, ასევე მენარდესაც (ე.წ. „შერეული ბრალი"). ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ „სკ 633-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მენარდეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, თუ შემკვეთი არ მიიღებს შესრულებულ სამუშაოს. შემკვეთი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი მაშინაც, როცა იგი არ შეასრულებს სამუშაოს შესრულებისათვის აუცილებელ მოქმედებას. ზიანის ანაზრაურების ოდენობა განისაზღვრება, ერთის მხრივ, ვადის გადაცილების ხანგრძლივობისა და საზღაურის ოდენობის შესაბამისად, ხოლო მეორე მხრივ, – იმის მიხედვით, რასაც მენარდე მიიღებდა თავისი სამუშაო ძალის სხვაგვარი გამოყენებით, შემკვეთს რომ ვადისათვის არ გადაეცილებინა. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა რა აღნიშნულ ნორმებზე, არ დაადგინა შეთანხმებული სამუშაოს შესრულებისათვის რა აუცილებელი მოქმედება არ შეასრულა შემკვეთმა, რამაც განაპირობა მენარდის მიერ ნარდობის ხელშეკრულების შეუსრულებლობა, ასევე შემკვეთის მიერ დაკისრებული ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულებით გამოირიცხა თუ არა მენარდის ბრალი ხელშეკრულების შეუსრულებლობაში სკ-ის 415-ე მუხლიდან გამომდინარე (შერეული ბრალი)".[1032]

შემკვეთის მიერ შესრულებული სამუშაოს მიღების ვადის გადაცილება მენარდეს არ აქცევს შესრულების ვალდებულებისაგან გაუცხოებულ სუბიექტად. სულერთია, შემკვეთი ვადის გადაცილებაში ბრალეული იქნება თუ არაბრალეული, მენარდე ვალდებულია გამოიჩინოს გულისხმიერება (სკ-ის 316-ე მუხლის II ნაწილი) და იზრუნოს იმგვარი შესრულებისათვის, რაც მიღების ვადის გადაცილების შემთხვევაშია კანონმდებლობით გათვალისწინებული, კერძოდ, სსკ-ის 392-ე მუხლის თანახმად: „კრედიტორის მიერ ვადის

[1031] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 16 ივლისის განჩინება საქმეზე #3კ-572-03.

[1032] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 22 მარტის განჩინება საქმეზე #ას-852-1076-04.

გადაცილებისას მოვალე მხოლოდ მაშინ არის პასუხისმგებელი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, თუკი შეუძლებელი აღმოჩნდა მოვალის განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის გამო".[1033]

აღნიშნული ნორმის ანალიზიდან ნათლად ჩანს, რომ სამოქალაქო სამართალში ვალდებულების შესრულებაა მთავარი და არა მისი შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობა. ამიტომაცაა, რომ მენარდის მხრიდან შესრულების ვალდებულება არსებობს მაშინაც, როცა შემკვეთი თავად არაფრად აგდებს შესრულებას და არ ღებულობს დროულ შესრულებას. თუ მენარდისათვის ამას შედეგად მოჰყვება ზიანი (სკ-ის 633-ე მუხლი), მხოლოდ მისი ანაზღაურება შეიძლება მოითხოვოს მან, თორემ ვალდებულება, გადასცეს შემკვეთს შესრულებული სამუშაოს შედეგი, კვლავაც მოვალეობად რჩება. შესაძლებელია შემკვეთმა საერთოდ დაკარგა ინტერესი შესრულების მიმართ და ესაა მიღების ვადის გადაცილების მიზეზი. ვიდრე შემკვეთი თავად არ განუცხადებს მენარდეს შესრულების მიღებაზე უარს, მარტოოდენ ვადის გადაცილების ფაქტმა არ შეიძლება გამოიწვიოს მოვალეობის უფლებად ტრანსფორმაცია.[1034] ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ დაადგინა, „რომ სკ-ის 633-ე მუხლის საფუძველზე ზიანის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტისას, სასამართლომ უპირველესად ხელშეკრულების შინაარსის მიხედვით უნდა დაადგინოს მხარეთა ვალდებულებების ფარგლები და მხოლოდ ორივე მხარის ბრალეულობის გათვალისწინებით იმსჯელოს მათ პრეტენზიების კანონიერებაზე და პასუხისმგებლობის შესაბამისობაზე ვალდებულების დარღვევასთან".[1035]

ნარდობის ხელშეკრულებით, შემკვეთი მოვალეა მენარდეს გადაუხადოს საზღაური სამუშაოს შესრულების შემდეგ, თუ ხელშეკრულება არ ითვალისწინებს ნაწილ-ნაწილ გადახდას. შემკვეთის მხრიდან მენარდისათვის შეთანხმებული საზღაურის გადახდის ვადის გადაცილებამ შეიძლება წარმოშვას სკ-ის 403-ე, 417-ე, 423-ე,

---

[1033] ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, 2001, გვ. 357.

[1034] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2001, 184.

[1035] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 22 მარტის განჩინება საქმეზე #ას-852-1076-04.

981-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები.[1036]

ნარდობის ხელშეკრულებასთან მიმართებით, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება გათვალისწინებულია ასევე სკ-ის 636-ე მუხლში (ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი), აგრეთვე სკ-ის 647-ე მუხლის II ნაწილში (დროული გაფრთხილების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში მიყენებული ზიანის ანაზღაურება).[1037]

აღსანიშნავია, რომ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 634-ე პარაგრაფის მე-4 აბზაცის შესაბამისად, ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურება ხდება 636-ე, 280-284-ე და 311-ე პარაგრაფების მიხედვით.[1038]

შესაძლებელია მენარდის მიერ შესრულებული სამუშაოს გადაცემის ვადის გადაცილება საკანონმდებლო აკრძალვით იყოს განპირობებული. ასეთ შემთხვევაში მართალია, გამორიცხულია მოვალის ბრალი ვადის გადაცილების ფაქტის მიმართ,[1039] მაგრამ მოცემულ შემთხვევაში მაინც არ ფუძნდება არაბრალეული ვადის გადაცილება, არამედ – შესრულების შეუძლებლობა, როგორც ვალდებულების დარღვევის ერთ-ერთი სახე და პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძვლად სწორედ შესრულების არაბრალეული შეუძლებლობის (სამართლებრივი შეუძლებლობა) მითითება მოხდება.

XV.6. შემკვეთის მიერ ნაკლის მქონე ნაკეთობის მიღების შედეგები

სკ-ის 652-ე მუხლის თანახმად, თუ შემკვეთისათვის ნაკეთობის ნაკლი ცნობილია და იგი მაინც მიიღებს მას პრეტენზიის განუცხადებლად, მაშინ შემკვეთს არ წარმოეშობა მოთხოვნის უფლე-

---

[1036] სუსგ 2010 წლის 3 თებერვლის განჩინება საქმეზე #ას-1014-1286-09.

[1037] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 185.

[1038] Staudinger/Peters, §634 aF. Rn.13. Busche, in MüKo.BGB, Band 4.,5.Aufl. §634, Rn.5.Bamberger/Roth (Hrsg) Voit §634. Rd.2. Rn.12.

[1039] ბიოლინგი/ ლუტრინგპაუსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, 2004-2009, 30. ჰენშელი, სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდიკა, 2009, 42.

ბა ამ ნაკლის გამო. ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ მიუთითა, რომ კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლომ შეფასების გარეშე დატოვა სამოქალაქო კოდექსის 652-ე მუხლი, თუ რატომ არ მოხდა მენარდესთან საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება. იმ შემთხვევაში, თუ კასატორი საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტს გააფორმებდა, იგი სრულად დაკარგავდა სსკ-ის 643-ე მუხლის საფუძველზე შედავების უფლებას.[1040]

შემკვეთის ერთ-ერთ ვალდებულებას წარმოადგენს, სამუშაოს მიღებისას შეამოწმოს ნაკეთობის ხარისხი. იმ შემთხვევაში, თუკი შემკვეთი აღმოაჩენს, რომ ნაკეთობას აქვს ნაკლი, მაგრამ იგი მაინც მიიღებს ნაკლიან შესრულებას მენარდისათვის პრეტენზიის განუცხადებლად, ასეთ შემთხვევაში შემკვეთი კარგავს ნაკეთობის ნაკლთან დაკავშირებით სკ-ის 642-645-ე მუხლებით გათვალისწინებულ მეორად მოთხოვნებს. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ სკ-ის 652-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში საუბარია იმ ნაკლზე, რომელიც შეიძლება აღმოჩენილი იყოს შესრულებული სამუშაოს შედეგის ანუ დამზადებული ნაკეთობის მიღებისას მისი გარეგნული დათვალიერების შედეგად ე.წ. "ხილული ნაკლი". ფარული ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში შემკვეთს უნარჩუნდება ნაკლთან მიმართებით მეორადი მოთხოვნები.[1041]

მეტად საინტერესო დებულებას შეიცავს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 640-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცი[1042], კერძოდ, თუ შემკვეთისათვის ნაკეთობის ნაკლი ცნობილია, მაშინ მას ნაკლთან დაკავშირებული უფლებები მხოლოდ იმ შეთხვევაში წარმოეშობა,[1043] თუკი ნაკლიანი ნაკეთობის მიღებისას გააკეთებს დათქმას[1044] ნაკეთობის ნაკლის გამო არსებული უფლებების შენარჩუნების შესახებ.[1045]

[1040] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 27 სექტემბრის განჩინება საქმეზე #ას-626-587-2010.

[1041] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 148.

[1042] Koler, Verfassungswidrigkeit des §640 Abs.2 BGB? Oder: Handwerk und Gerechtigkeit in der Gesetzgebung; JZ 2003, S. 1081-1088.

[1043] Rudolph, Jochen, Die Abgrenzung zwischen Kauf _ und Werkvertragsrecht gemäß §651 BGB, 1. Aufl. 2009,S.288.

[1044] Staudinger/Peters, §640, Rn.57. Münch Komm BGB/Soergel/§640. Rn.19. Bamberger/Roth (Hrsg). Voit, §640. Rn.31.35.

[1045] Busche, in MüKo.BGB, Band 4.,5.Aufl. §640, Rn.19. Peters, in Staudinger BGB

თავი XVI. მენარდის პასუხისმგებლობა სამუშაოს შესასრულებლად გამოყენებული მასალის ხარისხისათვის

XVI.1. ზოგადი დებულებები

ნარდობის ხელშეკრულებისათვის ტრადიციულად დამახასიათებელია, რომ მენარდე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოს ასრულებს როგორც წესი, თავისი მასალით. თუ მენარდე სამუშაოს ასრულებს თავისი მასალით, იგი პასუხს აგებს უხარისხო მასალისათვის, ანუ მენარდის მიერ სამუშაოს შესასრულებლად გამოყენებული მასალა უნდა იყოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო.[1046]

მასალა ჩაითვლება უფლებრივად ნაკლის მქონედ, თუკი მესამე პირებს გააჩნიათ მასზე უფლებები. მაგალითად, მენარდემ შეკვეთილი სამუშაოს შესასრულებლად გამოიყენა თავისი მასალა, რომელიც იყო დაგირავებული ანდა სხვაგვარად უფლებრივად დატვირთული. სამუშაოს შესასრულებლად გამოყენებული მასალა ჩაითვლება ნივთობრივად უნაკლოდ, თუკი მისი ხარისხი შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი გამოყენებისათვის წაყენებულ მოთხოვნებს.[1047] მაგალითად, მენარდემ თავისი მასალით უნდა დაამზადოს წაბლის ხისაგან კარ-ფანჯარა. თუკი მენარდემ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესასრულებლად გამოიყენა ნაკლის მქონე მასალა, რამაც გამოიწვია ნამუშევრის ხარისხის გაუარესება, ასეთ შემთხვევაში მენარდეს დაეკისრება პასუხისმგებლობა შემკვეთის წინაშე. თუ მენარდე სამუშაოს შესრულებისას გამოიყენებს უხარისხო სამშენებლო მექანიზმებსა და ინვენტარს, მოუმზადებელ და არაკვალიფიციურ მუშახელს, არასწორ ორგანიზაციას გაუკეთებს სამუშაოს შესრულებას და ა.შ., რამაც გამოიწვია შესრულებული სამუშაოს ნაკლი, მენარდეს ამ შემთხვევაშიც დაეკისრება პასუხისმგებლობა.[1048]

Komm. §640,Rn.57. Voit, in Bamberger/Roth (Hrsg.) BGB Komm. §640, Rn.31.

[1046] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011,186.

[1047] Busche, in MüKo.BGB, Band 4.,5.Aufl. §633, Rn.3.

[1048] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 187.

ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება შეიძლება მოხდეს შემკვეთის მასალითაც. ასეთ შემთხვევაში მენარდემ შემკვეთის მიერ მისთვის გადაცემული მასალა უნდა გამოიყენოს დანიშნულებისამებრ და ეკონომიურად. სკ-ის 646 II-ე ნაწილის თანახმად, მენარდე პასუხს აგებს შემკვეთის მასალის არასწორად გამოყენებისათვის. იმის გასარკვევად, სწორად გამოიყენა თუ არა მენარდემ შემკვეთის მასალა, მენარდემ უნდა შეადგინოს წერილობითი ანგარიში მასალის ხარჯის შესახებ, სადაც მითითებული იქნება სად, რაში, რატომ, რამდენი და ა.შ. დაიხარჯა. ეს ანგარიში მონარჩენ მასალასთან ერთად, უნდა გადაეცეს შემკვეთს. არ არის გამორიცხული შემთხვევები, როდესაც ნარდობის ხელშეკრულებით მხარეები თანხმდებიან იმის შესახებ, რომ შემკვეთის მიერ მენარდისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესასრულებლად გადაცემული მასალის მონარჩენი ნაწილი (ე.წ. „მონარჩენი მასალა") დარჩეს მენარდეს და მისი ღირებულება ჩაითვალოს ხელშეკრულებით გადასახდელი საზღაურის ანგარიშში.

ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ „საააპელაციო სასამართლო ვერ გამოიყენებდა 646-ე მუხლს, რადგან ამ მუხლში საუბარია მენარდის პასუხისმგებლობაზე უხარისხო მასალით სამუშაოს შესრულებისას. მოცემულ შემთხვევაში კი მასალა წარმოადგენდა შემკვეთის საკუთრებას".[1049]

თუ მენარდე არ გადასცემს შემკვეთს მონარჩენ მასალას, მის მიმართ შეიძლება დადგეს არა მხოლოდ სამოქალაქო-სამართლებრივი, არამედ სხვა სახის სამართლებრივი პასუხისმგებლობაც.

XVI.2. მენარდის პასუხისმგებლობა შემკვეთის მიერ გადაცემული მასალის განადგურებისათვის.

ნარდობის ხელშეკრულებით მენარდის ერთ-ერთ ძირითად ვალდებულებას წარმოადგენს უზრუნველყოს შემკვეთის ქონების დაცვა დაღუპვისა და დაზიანებისაგან. საუბარია შემკვეთის იმ ქონებაზე,

[1049] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 19 აპრილის განჩინება საქმეზე #ას-106-442-05.

რომელიც ნარდობის ხელშეკრულების საფუძველზე აღმოჩნდება მენარდის მფლობელობაში. სკ-ის 650-ე მუხლის თანახმად, მენარდე პასუხს აგებს შემკვეთის ქონების დაღუპვის ან დაზიანებისათვის გაუფრთხილებლობის დროსაც. მენარდე მოვალეა დაიცვას შემკვეთის ქონება იმგვარად, როგორც შემნახველს ეკისრება მიბარებული ნივთების დაცვა. მენარდე ასევე ვალდებულია შემკვეთის ქონება დაიცვას ყოველგვარი სხვა საშიშროებისაგან, კერძოდ, მან უნდა განახორციელოს ხანძარსაწინააღმდეგო, სანიტარული და სხვა სახის ღონისძიებებიც. მენარდემ ისვე კეთილსინდისიერად უნდა შეინახოს შემკვეთის ქონება, როგორც საკუთარ ნივთს შეინახავდა. ეს დებულება არ შეიძლება გაგებული იქნეს იმგვარად, რომ თუკი მენარდე მინიმალურ აუცილებელ ყურადღებას არ ავლენს თავისი ქონების მიმართ, მას თითქოსდა არ მოეთხოვება ყურადღების გამოვლენა შემკვეთის ქონების მიმართ. შესაბამისად, საკუთარი ნივთების მიმართ უყაირათო დამოკიდებულება არ ათავისუფლებს მენარდეს პასუხისმგებლობისაგან, თუკი იგი ასევე მოეპყრობა შემკვეთის ქონებას.[1050] ამასთან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ აქ მოქმედებს ის ზოგადი წესი, რომ ბრალის ფორმას ზიანის ანაზღაურებისათვის სამოქალაქო სამართალში, განსხვავებით სისხლის სამართლისაგან, მნიშვნელობა არა აქვს.

ვალდებულების შესრულების ლეგიტიმური სახელშეკრულებო ინტერესი სამართლებრივი დაცვის თვალსაზრისით, განსაკუთრებული სიკეთეა ნებისმიერ სამართლებრივ სისტემაში.[1051] სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, პასუხისმგებლობის ყველაზე გავრცელებული სახეა ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ანუ პასუხისმგებლობა გამოიხატება დამრღვევი მხარის ვალდებულებაში, მიყენებული ზიანი ნატურით ან ფულადი სახით.[1052] ზიანის ანაზღაურება მიეკუთვნება მეორად/დამატებით მოთხოვნებს[1053] და

[1050] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 186.

[1051] Zimmermann R. The Law of Obligations. Roman Foundations of the Civilian Tradition. 1996, p. 576-581.

[1052] ძლიერიშვილი, ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრ. სამართლებრივი ბუნება, 2010, გვ.56.

[1053] ბიოლინგი/ ლუტრინგჰაუსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეუ-

ინვევს[1054] ქონებრივი ან არაქონებრივი ხასიათის უარყოფითი შედეგების დადგომას.[1055]

სკ-ის 650-ე მუხლი კიდევ ერთხელ განამტკიცებს იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ზიანის ანაზღაურებისათვის ბრალის ფორმას (გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა) არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. ე.ი. მენარდე პასუხს აგებს შემკვეთის ქონებას დაღუპვისა და დაზიანებისათვის როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობის დროსაც. მენარდე პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლდება, თუკი დაამტკიცებს, რომ შემკვეთის ქონებას დაღუპვაში და დაზიანებაში მას ბრალი არ მიუძღვის ანუ მან მიიღო ყველა აუცილებელი და საჭირო ზომები, მაგრამ შემკვეთის ქონება დაიღუპა ან დაზიანდა დაუძლეველი ძალის ან მენარდისაგან დამოუკიდებელი სხვა გარემოებების შედეგად. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ საუბარია შემკვეთის მხოლოდ იმ ქონებაზე, რომელიც ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებით აღმოჩნდა მენარდის მფლობელობაში, მაგალითად, შესაკეთებლად გადაცემული ნივთი, მონყობილობები, დანადგარები, სამშენელო მასალები, სატრანსპორტო საშუალებები, დამზადებული ნაკეთობა და ა.შ.[1056]

როგორც ზიანის მიყენების ფაქტი, ასევე განცდილი ზიანის ოდენობის დამტკიცების ტვირთი აწევს დაზარალებულ მხარეს ანუ კრედიტორს, რომელიც სასამართლო პროცესში მოსარჩელეა. [1057] სკ-ის 650-ე მუხლიდან გამომდინარე როგორც ქონების დაღუპვის ან დაზიანების ფაქტი, ასევე განცდილი ზიანის ოდენობის დამტკიცების ტვირთი ეკისრება შემკვეთს, ხოლო მენარდემ კი უნდა დაამტკიცოს, რომ მას ბრალი არ მიუძღვის შემკვეთის ქონების განადგურებასა თუ დაზიანებაში.

ლი მოთხოვნების სისტემური ანალიზი, 2009, 33.

[1054] ზოიძე, ქონებრივი პასუხისმგებლობა ვალდებულებათა დარღვევისთვის, 1989, 11.

[1055] მაჩალაძე, ზიანის ანაზღაურება ვალდებულების დარღვევისას, „ქართული სამართლის მიმოხილვა", სპეციალური გამოცემა, 2004, 74.

[1056] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 186.

[1057] ძლიერიშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები, 2007, 11.

თავი XVII. მენარდის პასუხისმგებლობის გამორიცხვა

XVII.1. ზოგადი დებულებები

ნარდობის ხელშეკრულება დაკავშირებულია მენარდის ვალდებულებასთან – შეასრულოს ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო[1058] და გადასცეს შემკვეთს შეთანხმებული საზღაურის მიღების პირობით შესრულებული სამუშაოს შედეგი.[1059] შესრულებული სამუშაოს მიღებაში[1060] ერთმანეთისაგან არის გამიჯნული ორი ეტაპი: მენარდის მიერ სამუშაოს გადაცემა და შემკვეთის მიერ შესრულებული სამუშაოს მიღება. სამუშაოს მიღების ვალდებულება იმაშიც გამოიხატება, რომ შემკვეთმა უნდა შეამოწმოს შესრულებული სამუშაოს შედეგის ხარისხი.[1061]

ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის გათვალისწინებით მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ ვალდებულების შინაარსი – საკუთარი უფლება-მოვალეობები კონკრეტულ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობებში. შესაბამისად, ხელშეკრულების მონაწილენი უფლებამოსილნი არიან შეთანხმდნენ ვალდებულების შეუსრულებლობის სამართლებრივ შედეგებზე, კერძოდ, შეზღუდონ ან გამორიცხონ თავიანთი პასუხისმგებლობა ვალდებულების შეუსრულებლობისათვის.[1062] ნარდობის ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც მასზეა დამოკიდებული ხელშეკრულების მხარეთა უფლე-

---

[1058] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 14 მაისის განჩინება საქმეზე #ას-307-628-09.

[1059] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 28 მაისის განჩინება საქმეზე #ას-250-306-09.

[1060] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 9 მარტის განჩინება საქმეზე #ას-36-371-09.

[1061] Henkel, Werkvertrag –Der abschließende Charakter der abnahmefiktion in §640 Abs.1 BGB; MDR 2003, 915.

[1062] Principles of European Contract law. PartsI and II / Ed. By O.lando, H. Beale. The hague, London, Boston, 2000, 385.

ბამოვალეობების წარმოშობის თავისებურებები, ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება და სხვა.[1063]

პასუხისმგებლობის გამომრიცხველ შეთანხმებას დოქტრინა უარყოფითად აფასებს. მიიჩნევა, რომ სახელშეკრულებო თავისუფლების ამგვარი გამოვლენა არ ჯდება სამართლებრივ ფასეულობათა წესრიგის ფარგლებში.[1064] ასეთ შეთანხმებას სამოქალაქო ბრუნვაში შემოაქვს ვალდებულების შეუსრულებლობის განწყობა. ის პრინციპულად ეწინააღმდეგება სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელ მხარეთა ურთიერთნდობის, კეთილსინდისიერების პრინციპებს და ეთიკურ-ზნეობრივი თვალსაზრისითაც ბათილობას იმსახურებს.[1065]

სახელშეკრულებო შეთანხმებით უმთავრესად წესრიგდება ვალდებულების დარღვევისათვის ზიანის ანაზღაურების საკითხი. კონტრაჰენტებს შეუძლიათ ხელშეკრულების ცალკეული პირობების დაცვა თავიანთი ვალდებულების სფეროდან გამორიცხონ. დაუშვებელია მსგავსი შეთანხმება ხელშეკრულების არსებით პირობებზე, რომელთა შეუსრულებლობა არსებით დარღვევას აფუძნებს. მხარეთა მიერ განსაზღვრული ან კანონით დადგენილი არსებითი პირობების დაცვა ხელშეკრულების მონაწილეთა ძირითადი ვალდებულებაა.[1066]

XVII.2. ნაკეთობის ნაკლის გამო მენარდის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება

ნარდობის ხელშეკრულებით შესაძლოა მოხდეს მხარეთა შეთანხმებით სახელშეკრულებო ვალდებულებებთან მიმართებით პასუხისმგებლობის სრულად ან ნაწილობრივ გამორიცხვა ან შეზღუდვა. პასუხისმგებლობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული

[1063] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 22 ნოემბრის განჩინება საქმეზე #ას-899-845-2012.

[1064] ზოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, 2005, 268.

[1065] ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, 395-ე მუხლი, გვ.238.

[1066] Principles of European Contract law. PartsI and II / Ed. By O.lando, H. Beale. The hague, London, Boston, 2000, 385.

განსხვავებული მოწესრიგება უპირატესად გამოსაყენებელი დებულებაა და გამორიცხავს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნათა წარმოშობას, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ აღნიშნული შეთანხმება კანონით დადგენილ იმპერატიულ ნორმებს ეწინააღმდეგება და შესაბამისად, სკ-ის 54-ე მუხლის მიხედვით არის ბათილი. იგივე წესი ვრცელდება კანონით გათვალისწინებულ საგამონაკლისო მოთხოვნის საფუძვლებთან მიმართებაში, რომლებიც განსაზღვრავენ პასუხისმგებლობის განსხვავებულ ფარგლებს და წესს, რაც შესაძლოა ასევე გამოიხატოს მოთხოვნათა განხორციელების განსხვავებულ ვადებსა და ბრალის განსხვავებულ ფორმაში. მაგალითად, სკ-ის 652-ე მუხლის თანახმად, თუ შემკვეთი არ განუცხადებს მენარდეს პრეტენზიას ნივთის ნაკლთან დაკავშირებით, იგი კარგავს ნაკლის გამო მეორადი მოთხოვნების განხორციელების უფლებას. განხილული რეგულირება პირდაპირ განსაზღვრავს შემკვეთის ვალდებულებას, რომლის შეუსრულებლობის შემთხვევაშიც არ წარმოიშობა სკ-ის 639-641-ე მუხლების მოთხოვნების დარღვევის მიუხედავად, სკ-ის 642- 645-ე მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნები.[1067]

სკ-ის 10-ე 2 ნაწილითა და 319-ე მუხლის I ნაწილით გარანტირებული ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის თანახმად, ხელშეკრულების მხარეებს უფლება აქვთ ხელშეკრულებით გამორიცხონ ან შეზღუდონ სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა ან შეავიწროონ მისი ფარგლები იმისდა მიუხედავად, აღნიშნული უფლებამოსილება არის თუ არა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული. ამასთან, სკ-ის 654-ე მუხლში უშუალოდ არის გათვალისწინებული მენარდის პასუხისმგებლობის შეზღუდვისა და გამორიცხვის შესაძლებლობა შემკვეთისათვის ნაკლიანი ნივთის გადაცემისას.[1068] ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი, როგორც მხარეთა ინტერესების დაბალანსების მექანიზმი, მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმ ფარგლებში, თუ უზრუნველყოფილია ხელშეკრულების მხარეთა შესაძლებლობების

[1067] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 191.

[1068] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 22 ნოემბრის განჩინება საქმეზე #ას-899-845-2012.

თანაფარდობა.[1069]

მხარეთა წინასწარი შეთანხმების საფუძველზე პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საკითხის მეტად საინტერესო გადაწყვეტას ითვალისწინებს ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები. კერძოდ, 8:109-ე მუხლის თაანხმად, ხელშეკრულებით შეიძლება შეიზღუდოს ან გამოირიცხოს მხარეთა პასუხისმგებლობა ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, იმ პირობით, თუ ამგვარი სახელშეკრულებო დათქმა არ ხელყოფს კეთილსინდისიერებისა და გულისხმიერების პრინციპებს. პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებისათვის აუცილებელია, რომ თავად პირველადი ვალდებულების შეუსრულებლობა აფუძნებდეს მხარეთათვის უარყოფით სამართლებრივ შედეგს კეთილსინდისიერებისა და სამართლიანობის პრინციპების გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მხარემ გაცნობიერებულად განახორციელა ხელშეკრულების პირობის იგნორირება თუნდაც კონტრაჰენტისათვის ზიანის მიყენების განზრახვის გარეშე, პასუხისმგებლობის გამომრიცხავი პირობაც ძალას კარგავს. მისი გამოყენება, მიუხედავად მხარეთა შეთანხმების არსებობისა, კეთილსინდისიერებისა და გულისხმიერების პრინციპების საწინააღმდეგოა.[1070]

ხელშეკრულების მხარეთა კანონერი ინტერესებისა და თანასწორუფლებიანობის დაცვის მიზნით, კანონმდებლობა მკაცრად აკონტროლებს პასუხისმგებლობის გამომრიცხავი ან შემზღუდველი შეთანხმებების მოქმედებას.[1071]

[1069] Schulze/Zimmerman (Hrsg.), Basistexte zum Europeischen Privatrecht, Textsammlung., 2.Aufl., Baden-Baden, 2002, 437.

[1070] Principles of European Contract law. PartsI and II / Ed. By O.lando, H. Beale. The hague, London, Boston, 2000, 386.

[1071] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 191.

XVII.3. მენარდის პასუხისმგებლობის გამორიცხვა ხელშეკრულების სტანდარტული პირობებით

ნარდობის ხელშეკრულებით პასუხისმგებლობის გამორიცხვა ან შეზღუდვა შესაძლებელია ხელშეკრულების სტანდარტული პირობებითაც მოხდეს. სკ-ის 342-ე მუხლის თანახმად, „ხელშეკრულების სტანდარტული პირობები წინასწარ ჩამოყალიბებული, მრავალჯერადი გამოყენებისათვის გამიზნული პირობებია, რომელთაც ერთი მხარე (შემთავაზებელი) უდგენს მეორე მხარეს და რომელთა მეშვეობითაც უნდა მოხდეს კანონით დადგენილი ნორმებისაგან განსხვავებული ან მათი შინაარსის შემვსები წესების დადგენა."[1072] თუ ხელშეკრულების პირობები მხარეთა მიერ დეტალურადაა განსაზღვრული, ეს არ მიიჩნევა ხელშეკრულების სტანდარტულ პირობად. უშუალოდ მხარეთა მიერ შეთანხმებულ პირობებს უპირატესობა ენიჭება სტანდარტულ პირობებთან შედარებით.[1073]

პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესახებ შეთანხმება ხელშეკრულების სტანდარტული პირობების სახით ნამდვილია, თუ იგი არ ეწინააღმდეგება სკ-ის 346-ე მუხლით გათვალისწინებულ ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპებს ან სკ-ის 347-348-ე მუხლებით გათვალისწინებულ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ბათილობის რომელიმე სპეციალურ საფუძველს[1074].

ხელშეკრულების სტანდარტული პირობების საფუძველზე პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესახებ შეთანხმება არ უნდა ჩაითვალოს ასევე ნამდვილად, თუ იგი არათანაზომიერად აუარესებს ხელშეკრულების მხარის მდგომარეობას ან თუ სტანდარტული პირობა საკანონმდებლო მოწესრიგების მიზნებთან შეუსაბამოა[1075].

სკ-ის 346-ე მუხლით გათვალისწინებული ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგოდ უნდა ჩაითვალოს

[1072] ჭანტურია, ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, 342-ე მუხლი, გვ.180.

[1073] Heinrichs ,in Palandt BGB Komm.67.Aufl., §305,Rn.2.

[1074] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 12 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე #ას-772-1045-05.

[1075] საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, 2007.

პირობა, რომელიც ხელშეკრულების ბუნებიდან გამომდინარე, მხარის უფლებებს იმგვარად ზღუდავს, რომ ხელშეკრულების მიზნის მიღწევას საფრთხე ექმნება.[1076]

სკ-ის 348-ე მუხლის „ი" ქვეპუნქტით გათვალისწინებულია ხელშეკრულების სტანდარტული პირობის ბათილობის სპეციალური შემთხვევა, რომელიც უკავშირდება კანონით გათვალისწინებული წესებისაგან განსხვავებულ ახალწარმოებული საქონლის მიწოდებისა და სამუშაოების შესრულებისათვის შემთავაზებლის პასუხისმგებლობას ნივთის ნაკლის გამო. პასუხისმგებლობის გამორიცხვა ან შეზღუდვა ამ შემთხვევაში დაუშვებელია. აღნიშნული მიზანად ისახავს პასუხისმგებლობის გამორიცხვის ბოროტად გამოყენების შესაძლებლობის იმგვარად შეზღუდვას, რომ არ იქნეს ხელყოფილი კეთილსინდისიერებისა და მხარეთა სახელშეკრულებო თანასწორობის პრინციპები.

ხელშეკრულების სტანდარტული პირობების მომწესრიგებელი ნორმებით გათვალისწინებული ბათილობის საფუძვლები უპირატესად გამოსაყენებელი ნორმებია იმ შემთხვევაში, თუ პასუხისმგებლობის გამორიცხვა ხელშეკრულების სტანდარტული პირობებით მოხდა.[1077]

იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებთან ერთად ნარდობის ხელშეკრულების მხარეთა შორის არსებობს ინდივიდუალური შეთანხმება პასუხისმგებლობის გამორიცხვის ან შეზღუდვის თაობაზე, ამ უკანასკნელს მიენიჭება უპირატესობა.[1078] შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში იმოქმედებს მხოლოდ სახელშეკრულებო სამართლის შესაბამისი მოწესრიგებით გათვალისწინებული შეზღუდვა. მაგალითისთვის, სკ-ის 654-ე მუხლით დასაშვებად მიიჩნევა პასუხისმგებლობის გამორიცხვა სახელშეკრულებო შეთანხმებით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მენარდე ნაკეთობის ნაკლს განზრახ დაფარავს. შესაბამისად, ინდივიდუალური შეთანხმებით პასუხისმგებლობის გამორიცხვა ბათილია მხოლოდ ამ უკანასკნელ

[1076] ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/ხეცურიანი/შენგელია (რედ.) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, 2001, გვ.193.

[1077] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011,194.

[1078] ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/ხეცურიანი/შენგელია (რედ.) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, 2001, გვ.193.

შემთხვევაში. ხელშეკრულების ამ პირობის ბათილობისას შემკვეთს შეუზღუდავად წარმოეშობა ნაკეთობის ნაკლთან დაკავშირებული კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა შესაძლო მოთხოვნა.[1079]

მენარდის მიერ ნაკეთობის ნაკლის განზრახ დაფარვასთან მიმართებით, ანალოგიურ დებულებებს შეიცავს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 639-ე პარაგრაფი, კერძოდ, მენარდეს შეუძლია მიუთითოს შეთანხმებაზე, რომლითაც შემკვეთის უფლებები ნაკლის გამო გამორიცხული ან შეზღუდულია, თუკი მენარდემ ბოროტი განზრახვით დამალა ნაკლი ან იკისრა ნაკეთობის ხარისხის გარანტია.[1080]

მსგავსი მოწესრიგებაა დადგენილი ნაკლის მქონე ნივთის გაყიდვისას, კერძოდ, მხარეებს უფლება აქვთ შეზღუდონ ან გამორიცხონ მეორადი მოთხოვნის უფლებების გამოყენება. პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესახებ დათქმა ბათილია როგორც ნივთის ნაკლის განზრახ დაფარვის, ასევე ნივთის ხარისხზე წინასწარი გარანტიის გაცემის შემთხვევაშიც.[1081]

XVII.4. მენარდის მიერ ნაკლის განზრახ დაფარვის შედეგები (პასუხისმგებლობის გამორიცხვის დაუშვებლობა)

სკ-ის 654-ე მუხლის თანახმად, თუ მენარდე ნაკლს განზრახ დაფარავს, მას არ შეუძლია მიუთითოს შეთანხმებაზე, რომელიც გამორიცხავს ან ზღუდავს შემკვეთის უფლებებს ნაკეთობის ნაკლის გამო. სკ-ის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილისა და სკ-ის 319-ე მუხლის I ნაწილით გარანტირებული ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის თანახმად, ხელშეკრულების მხარეებს უფლება აქვთ ხელშეკრულებით გამორიცხონ ან შეზღუდონ სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა ან შეავიწროონ მისი

[1079] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 196.

[1080] Palandt/Sprau, §639, Rn 5; Busche, in MüKo.BGB, Band 4.,5.Aufl, §639, Rn 5., Staudinger/Peters, §639, Rn 10., Bamberger/Roth (Hrsg.), §639, Rn 1.5.

[1081] იხ. გსკ-ის §444. (German Civil Code _ Bürgerliches Gesetzbuch, Bundesministerium der Justiz, Juris GmbH, Saarbrücken, 2005).

ფარგლები იმისდა მიუხედავად, აღნიშნული უფლებამოსილება არის თუ არა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული. ამასთან, სკ-ის 654-ე მუხლში უშუალოდ არის გათვალისწინებული მენარდის პასუხისმგებლობის შეზღუდვისა და გამორიცხვის შეუძლებლობა შემკვეთისათვის ნაკლიანი ნივთის გადაცემისას.[1082]

ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი, როგორც მხარეთა ინტერესების დაბალანსების მექანიზმი, მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმ ფარგლებში, თუ უზრუნველყოფილია ხელშეკრულების მხარეთა შესაძლებლობების თანაფარდობა.[1083] ამდენად, სკ-ის 654-ე მუხლში ნაკეთობის ნაკლთან დაკავშირებით მენარდის პასუხისმგებლობის გამორიცხვა ან შეზღუდვა დაუშვებლად ცხადდება, თუ მენარდე ნაკლს განზრახ დაფარავს. ამ შემთხვევაში სახელშეკრულებო დათქმა ბათილია. ანალოგიურ მოწესრიგებას ითვალისწინებს სკ-ის 497-ე მუხლი – გამყიდველის პასუხისმგებლობის გამორიცხვა.[1084], ასევე სკ-ის 539-ე მუხლი ითვალისწინებს ქირავნობის ხელშეკრულებაში პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების შესახებ შეთანხმების ბათილობას.

ვინაიდან გასაკიცხი მოქმედების ყველაზე მძიმე შემთხვევას ვალდებულების განზრახ დარღვევა წარმოადგენს, ამიტომაც კრძალავს კანონმდებელი ასეთ ვითარებაში მხარეთა წინასწარ შეთანხმებას მოვალის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებაზე.[1085] გარდა ამისა, სკ-ის მე-10 მუხლის III ნაწილის შესაბამისად, უფლებათა ბოროტად გამოყენებისაგან სხვათა თავისუფლებას იცავს კანონის იმპერატიული ნორმები.[1086]

აღნიშნული აკრძალვების გათვალისწინებით, მხარეთა მიერ პასუხისმგებლობის გამორიცხვა დასაშვები და ნამდვილია, თუ ის

[1082] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 193.

[1083] ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/ხეცურიანი/შენგელია (რედ.) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, 2001, გვ.65.

[1084] ძლიერიშვილი, ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებ. სამართლებრივი ბუნება, 2010, 63.

[1085] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 193.

[1086] ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/ხეცურიანი/შენგელია (რედ.) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, 2001, გვ.458.

კანონით ზუსტად განსაზღვრულ აკრძალვას არ ეწინააღმდეგება. ასეთი აკრძალვა კი, როგორც წესი, უკავშირდება მოვალის მიერ განზრახი მოქმედებით ვალდებულების დარღვევას. შესაბამისად, კანონის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ დადებული შეთანხმება პასუხისმგებლობის შეზღუდვისა და გამორიცხვის შესახებ ბათილია ან უშალოდ სპეციალური ნორმიდან გამომდინარე, ან თუ შესაბამისი ნორმა არ არსებობს, მაშინ სკ-ის 54-ე მუხლის ზოგადი დანაწესიდან გამომდინარე. ამასთან, პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესახებ შეთახმების ბათილობა, ცხადია, არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას იმ შემთხვევაში, თუკი სკ-ის 62-ე მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულება დაიდებოდა მისი ბათილი ნაწილის გარეშეც.

მაშასადამე, თუ ნარდობის ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ, რომ ნაკეთობის ნაკლის გამო შემკვეთს არ შეუძლია გამოიყენოს მენარდის მიმართ სკ-ის 642-645-ე მუხლებით გათვალისწინებული მეორადი მოთხოვნები, ასეთი შეთანხმება ნამდვილია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენარდე ნაკლს განზრახ დაფარავს.[1087]

კანონმდებელმა სამოქალაქო კოდექსის 410-ე მუხლში 2009 წლის 4 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებებით დაუშვა პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესახებ შეთანხმების შესაძლებლობა. იგი განხორციელებადი უნდა იყოს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დაინტერესებული მხარე ბოროტად იყენებს ამ უფლებას.

იურიდიულ ლიტერატურაში მიღებული მოსაზრებით, პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესახებ ნამდვილი შეთანხმების მიუხედავად, დელიქტური პასუხისმგებლობა უნდა წარმოიშვას მაშინაც, როდესაც ვალდებულების დარღვევა უშუალოდ ხელშეკრულების საგნის იმ თვისებებს უკავშირდება, რომელთა თაობაზეც მოხდა პასუხისმგებლობის გამორიცხვა, თუ სახეზეა მოვალის განზრახი ბრალი ან უხეში გაუფრთხილებლობა. თუ პასუხისმგებლობის გამორიცხვა შეეხება ნივთის გარკვეულ თვისებებს, შეთანხმება ამასთან დაკავშირებით უნდა გავრცელდეს მხოლოდ ნივთის ამ თვისებების, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ხელშეკრულების მხარის ნებისმიერი ძირითადი თუ დამატებითი სახელშეკრულებო დ განსაკუთრებით,

[1087] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011,194.

არასახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევაზე.[1088]

მაშასადამე, თუ ნარდობის ხელშეკრულებით გამორიცხულია მენარდის პასუხისმგებლობა ნაკეთობის ნაკლთან დაკავშირებით, ასეთი შეთანხმების ნამდვილობის შემთხვევაშიც (როდესაც მენარდე ნაკლს განზრახ არ დაფარავს), შემკვეთს მაინც წარმოეშობა არასახელშეკრულებო მოთხოვნები, მაგალითად, დამზადებული ნაკეთობის ნაკლით მიყენებული დელიქტური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, როდესაც აღნიშნული სცილდება სახელშეკრულებო ვალდებულების ფარგლებს.[1089]

[1088] Westermann, in MüKo.BGB, Band 3.,5.Aufl. §444, Rn.2.

[1089] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2006 წლის 14 თებერვლის განჩინება საქმეზე #ას-992-1245-05.

თავი XVIII. საგარანტიო ვადა

XVIII.1. ზოგადი დებულებები

ვადას სამოქალაქო უფლების განხორციელებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, ვინაიდან უფლების განხორციელება, როგორც წესი, სწორედ დროის გარკვეულ მონაკვეთშია შესაძლებელი.[1090]ვადაში იგულისხმება დროის განსაზღვრული პერიოდი (მომენტი), რომელსაც სამოქალაქო კანონმდებლობა უკავშირებს ამა თუ იმ იურიდიული შედეგის დადგომას.[1091] ამდენად, ვადა ადამიანის ნებას დაქვემდებარებული დროის განსაზღვრული ან განსაზღვრადი მონაკვეთი ან კონკრეტული კალენდარული თარიღია, რომელიც სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე რაიმე მოვლენის დადგომის, შესრულების ან დამთავრების მომენტს განსაზღვრავს.

საგარანტიო ვადები – ეს არის ვადა, რომლის განმავლობაშიც მოვალე კისრულობს ნაკეთობის შეუფერხებელ გამოყენებას და გამოვლენილი ნაკლის თავისი ხარჯით გამოსწორებას ან ნაკეთობის შეცვლას. „საგარანტიო ვადებში განასხვავებენ ვარგისიანობის და ტრანსპორტაბელურობის ვადებს. ვარგისიანობის ვადები წესდება კვების პროდუქტებზე, მედიკამენტებზე და სხვა ნაწარმზე. ეს ვადა მოიცავს დროს, რომლის განმავლობაშიც შეიძლება პროდუქციის შენახვა, რეალიზაცია და მისი გამოყენება. ტრანსპორტაბელურობის ვადა არის ის დრო, რომლის განმავლობაშიც გარანტირებულია პროდუქციის თვისებების შენარჩუნება მისი დადგენილი წესით ტრანსპორტირების დროს".[1092]

XVIII.2. სამართლებრივი მნიშვნელობა

სკ-ის 653-ე მუხლის თანახმად, „თუ მენარდემ იკისრა საგარანტიო ვადა, მაშინ ამ ვადის განმავლობაში გამოვლენილი ნაკლი წარ-

[1090] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 10 მაისის განჩინება საქმეზე #ა-1282-ა-11-2011 განჩინება,

[1091] ახვლედიანი, ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, 121-ე მუხლი, გვ.307.

[1092] კობახიძე, სამოქალაქო სამართალი, ზოგადი ნაწილი, 2001, 355-356.

მოშობს შესაბამის უფლებებს". საგარანტიო ეწოდება ვადას, რომლის განმავლობაშიც ნარდობის ხელშეკრულებით დამზადებული ნაკეთობის ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, შემკვეთს წარმოეშობა ნაკეთობის ნაკლთან დაკავშირებული უფლებები, თუკი მენარდე ვერ შეძლებს იმის დამტკიცებას, რომ ნაკეთობის ნაკლი წარმოიშვა შემკვეთისათვის ნაკეთობის გადაცემის შემდეგ იმ გარემოებათა შედეგად, რაზედაც მენარდე პასუხს არ აგებს, კერძოდ, შემკვეთის მიერ ნაკეთობის არადანიშნულებისამებრ გამოყენების ან შენახვის შედეგად. ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ განმარტა რომ „აპელანტის მითითება იმის შესახებ, სასამართლომ სამართლებრივი შეფასების გარეშე დატოვა ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 5-ე მუხლი და ასევე სამოქალაქო კოდექსის 653-ე მუხლი, დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა".[1093]

სკ-ის 653-ე მუხლი არ მიუთითებს გარანტიის ვადასა და მისი გამოთვლის წესზე. ნარდობის ხელშეკრულებაში საგარანტიო ვადის დაწყების მომენტი განსაზღვრულია სკ-ის 649-ე მუხლით – შემკვეთის მიერ სამუშაოს მიღება.

რაც შეეხება გარანტიის მოქმედების ვადას, იგი განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით ან ცალმხრივად, მენარდის მიერ, როგორც წესი, სტანდარტული პირობის სახით.[1094] ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ განმარტა, სკ-ის 121-ე მუხლის დანაწესი, რომ კანონებში, სასამართლო გადაწყვეტილებებსა და გარიგებებში მითითებული ვადების მიმართ გამოიყენება ამ თავში დადგენილი წესები, გამოიყენება კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით რაიმე ქმედების განხორციელების ან მისი განხორციელების შეზღუდვისა თუ აკრძალვისათვის მოდავე მხარისათვის დაწესებული ვადის ათვლისას.[1095]

[1093] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 27 სექტემბრის განჩინება საქმეზე #ას-626-587-2010.

[1094] ძლიერიშვილი ზ. ნარდობის სამართლებრივი რეგულირება, 2001, 53.

[1095] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 10 მაისის განჩინება საქმეზე #ა-1282-ა-11-2011.

თავი XIX. შესრულების ნაკლთან დაკავშირებული ხანდაზმულობის ვადები

XIX. 1. ხანდაზმულობის ზოგადი დახასიათება

სამოქალაქო კოდექსის 128 I-ლი მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადა ვრცელდება სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე. ამასთან, „სასარჩელო ხანდაზმულობა გულისხმობს დროს, რომლის განმავლობაშიც პირს შეუძლია მოითხოვოს თავისი დარღვეული უფლების აღდგენა".[1096] ხანდაზმულობის ვადების დაწესებით, კანონმდებლის მიზანია გამორიცხოს კრედიტორის უფლების განხორციელების არათანაზომიერად ან ბოროტად გამოყენების საფრთხე.[1097] გარდა ამისა: ა) ხანდაზმულობის ვადა სასამართლოს უმსუბუქებს ფაქტების დადგენისა და შესწავლის პროცესს და ამ გზით ხელს უწყობს დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანას; ბ) ხელს უწყობს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილიზაციას; გ) აძლიერებს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტების ურთიერთკონტროლსა და იძლევა დარღვეული უფლების დაუყონებლივ აღდგენის სტიმულიზაციას.[1098]

ხანდაზმულობა არის ვადა, რომლის განმავლობაშიც პირს, რომლის უფლებაც დაირღვა, შეუძლია მოითხოვოს თავისი უფლების იძულებით განხორციელება ან დაცვა. უმეტეს ემთხვევაში, დარღვეული უფლების განხორციელების და დაცვის მიზნით უფლებამოსილი პირი სარჩელით მიმართავს სასამართლოს, თუმცა ნორმატიული აქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში დარღვეული უფლების განხორციელება და აღდგენა შეიძლება სხვა ორგანოს მიერაც. ამდენად, უფლების დაცვა შეიძლება განხორციელდეს როგორც სასარჩელო, ისე არასასარჩელო გზით და ამიტომ ხანდაზმულობის ცნება მხოლოდ სასარჩელო ხანდაზმულობას კი არ

[1096] საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, 2007, 63.

[1097] Larenz/Wolf, Allgemainer Teil des Burgerlichen Rechts, 9.Aufl.,2004, §17,Rn.2.

[1098] საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, 2007, 63.

მოიცავს, არამედ ასევე ვადებს, რომლის განმავლობაშიც უნდა მოხდეს უფლების არასასარჩელო დაცვა.[1099]

ხანდაზმულობის ვადის გასვლით ისპობა სასამართლოს ან სხვა ორგანოს მეშვეობით პირის მოთხოვნის იძულებით განხორციელების შესაძლებლობა, მაგრამ არა სასამართლოსათვის ან სხვა ორგანოსათვის მიმართვის უფლება. სასამართლოსათვის ან სხვა ორგანოსათვის მიმართვის უფლება რაიმე დროით შეზღუდული არ არის.[1100] პირს ყოველთვის შეუძლია წარადგინოს მოთხოვნა მაშინაც კი, როცა ხანდაზმულობის ვადა გასულია. ხანდაზმულობის ვადა სპობს უფლების იძულებით განხორციელების შესაძლებლობას მატერიალური და არა პროცესუალური თვალსაზრისით.

ხანდაზმულობის ვადის საფუძველია უფლების დარღვევა, რომელიც შესაძლოა კანონიდან გამომდინარეობდეს ან ხელშეკრულების საფუძველზე წარმოიშვას. ხანდაზმულობის ვადების გათვალისწინება სასამართლოს მიერ ხორციელდება არა საკუთარი ინიციატივით, არამედ მხოლოდ საქმის განხილვაში მონაწილე მხარეების (მხარის) მიერ აღნიშნულზე მითითების შემთხვევაში. „აშკარად არ შეესაბამება კანონს ფართოდ გავრცელებული პრაქტიკა, როდესაც საქართველოს საერთო სასამართლოებს გამოაქვთ გადაწყვეტილებები სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო, მაშინ, როდესაც არც მოპასუხეს არც პროცესში მონაწილე სხვა პირს ასეთი შესაგებელი არ წამოუყენებია".[1101]

სკ-ის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს ათ წელს. ეს ვადა დადგენილია ყველა იმ სამართლებრივი ურთიერთობისათვის, რომელთა სპეციალური მოწესრიგება კანონმდებლობით არ არის დადგენილი.

[1099] ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/ხეცურიანი/შენგელია (რედ.) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, 1997, გვ.316.

[1100] ძლიერიშვილი, ხანდაზმულობის ვადების გავლენა სარჩელზე, 1997, 10

[1101] ბოელინგი/ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, II გამოცემა, 2004, 170.

XIX. 2. შესრულების ნაკლთან დაკავშირებული ხანდაზმულობა

სკ-ის 129-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისა – ექვს წელს.

სკ-ის 129-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ცალკეულ შემთხვევებში კანონით შეიძლება გათვალისწინებული იქნეს ხანდაზმულობის სხვა ვადებიც. ხანდაზმულობის სხვა ვადებზეა საუბარი სწორედ სკ-ის 655-ე მუხლში, რომელიც ითვალისწინებს, რომ მოთხოვნა შესრულების ნაკლის გამო, შემკვეთმა შეიძლება წარადგინოს ერთი წლის მანძილზე, ხოლო ისეთი მოთხოვნა, რომელიც ნაგებობას შეეხება – ხუთი წლის განმავლობაში.

მაშასადამე, ნარდობის ხელშეკრულებაში შესრულების ნაკლთან მიმართებით მოქმედებს სპეციალური ხანდაზმულობის ვადები, რომლებსაც უპირატესობა ენიჭებათ სკ-ის 129-ე მუხლის I ნაწილით დადგენილ ზოგად ხანდაზმულობის ვადებთან მიმართებაში.[1102]როდესაც საუბარია შესრულების ნაკლთან დაკავშირებული შემკვეთის მოთხოვნების ხანდაზმულობაზე, მხედველობაშია სკ-ის 642-ე (დამატებითი შესრულების მოთხოვნა), სკ-ის 643-ე (ნაკეთობის ნაკლის გამოსწორება შემკვეთის მიერ), სკ-ის 645-ე (საზღაურის შემცირება ნაკეთობის ნაკლის გამო) გათვალისწინებული მეორადი მოთხოვნის უფლებები. აღნიშნული ვადა არ ვრცელდება სკ-ის 644-ე მუხლით გათვალისწინებულ – ხელშეკრულებაზე უარი ნაკეთობის ნაკლის გამო – მეორადი მოთხოვნის უფლებაზე.

XIX. 2.1. შესრულების ნაკლთან დაკავშირებული ხანდაზმულობის დენის დაწყება

პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხია, საიდან აითვლება შესრულების ნაკლის გამო შემკვეთის მოთხოვნების კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადები. საერთო წესის მიხედვით, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის

[1102] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011,197.

წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. ე.ი. თუ ხანდაზმულობის წარმოშობის მომენტის დადგენა ობიექტურად შეუძლებელია, ყურადღება უნდა მიექცეს სუბიექტურ მომენტს, ამასთან იგულისხმება, რომ ხანდაზმულობის წარმოშობის ობიექტური და სუბიექტური მომენტები თანმხვედრია, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე არ ეთანხმება ხანდაზმულობის წარმოშობის ობიექტური და სუბიექტური მომენტების თანხვედრას, მაშინ მტკიცების თვირთი ეკისრება მას, იმის გასარკვევად, თუ როდიდან უნდა დაიწყოს ხანდაზმულობის ვადის ათვლა.[1103] სკ-ის 130-ე მუხლის თანახმად, ყურადღება ექცევა, როდის შეიტყო პირმა უფლების დარღვევის შესახებ.

ხანდაზმულობის ათვლის სპეციალურ მომენტთან გვაქვს საქმე ნარდობის ხელშეკრულებით შესრულებული სამუშაოს ნაკლთან მიმართებაში. კერძოდ, ხანდაზმულობის ერთწლიანი ვადა აითვლება იმ დღის მომდევნო დღიდან, როდესაც შემკვეთმა მიიღო შესრულებული სამუშაო.

რაც შეეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც ნარდობის ხელშეკრულებთ მენარდემ გადასცა შემკვეთს ნაგებობა, შესრულებული სამუშაოს ნაკლთან მიმართებაში ხანდაზმულობის ხუთწლიანი ვადა აითვლება იმ დღის მომდევნო დღიდან, როდესაც შემკვეთმა მიიღო შესრულებული სამუშაო.

XIX. 3. შესრულების ნაკლთან დაკავშირებული ხანდაზმულობის ვადების კონკურენცია.

უფრო შემცირებული სახელსეკრულებო ხანდაზმულობის ვადების მოწესრიგების მიზანია უფლების დროულად დაცვისა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის დაჩქარება. თუმცა, ამ მიზნის მიუხედავად, ზოგჯერ გამართლებული არ იქნება, გავრცელდეს სახელშეკრულებო ხანდაზმულობის ვადა და გამოირიცხოს დელიქტური ხანდაზმულობის ვადის გამოყენება (სკ-ის 1008-ე მუხლი). სკ-

[1103] საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, 2007, 64.

ის 1008-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის სპეციალური ვადა მოსარჩელეს უდავოდ უპირატეს მდგომარეობაში აყენებს სახელშეკრულებო და ცალკეულ შემთხვევებში, თვით საერთო ხანდაზმულობის ვადებთან მიმართებითაც კი, მისი დენის ათვლის განსხვავებული წესიდან გამომდინარე.[1104] ამიტომაც, თუკი ნარდობის ხელშეკრულებით დამზადებული ნაკეთობის ნაკლმა სკ-ის 655-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ გამოიწვია სხეულის თუ ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი დაზიანება, ასეთ შემთხვევაში, დელიქტის საფუძველზე წარმოშობილი მოთხოვნა, მისი დამოუკიდებელი ხანდაზმულობის ვადის შესაბამისად, კვლავ არსებობს და განხორციელებადია.

აღსანიშნავია, რომ სკ-ის 655-ე მუხლით დადგენილი ხანდაზმულობის ვადები შეეხება მხოლოდ შესრულების ნაკლთან დაკავშირებულ შემკვეთის მეორად მოთხოვნებს. ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა სხვა მოთხოვნის მიმართ ვრცელდება სკ-ის 129-ე მუხლის I ნაწილით დადგენილი ვადები. „საქმეში წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებითა და მხარეთა შორის შედგენილი ფორმა #3-ით სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2005 წლის 29 სექტემბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოებზე ბოლო საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა შედგენილ იქნა 2007 წლის 29 იანვარს. 2005 წლის 29 სექტემბრის ხელშეკრულების 2.3. პუნქტის შესაბამისად, შპს „ა-98"-ს შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება წარმოეშვა 2007 წლის 11 მარტს"[1105].

ასეთივე ვადები გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც მენარდემ, სკ-ის 654-ე მუხლის შესაბამისად, ნაკეთობის ნაკლი განზრახ დამალა. ასეთ შემთხვევებში ხანდაზმულობის ათვლა დაიწყება არა შესრულებული სამუშაოს მიღების დღიდან (სკ-ის654-ე მუხლი), არამედ სკ-ის 130-ე მუხლით დადგენილი წესით.[1106]

[1104] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 31 ოქტომბრის განჩინება საქმეზე #ას-254-939-03.

[1105] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 26 იანვრის განჩინება საქმეზე #ას-493-467-2015.

[1106] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 197.

თითქმის ანალოგიურადაა[1107] გადაწყვეტილი ეს საკითხი გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 634-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცისა და 634-ა პარაგრაფის 1-3 აბზაცების შესაბამისად.[1108] გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 634-ე პარაგრაფით გათვალისწინებული მოთხოვნების მიმართ (გარდა ხელშეკრულებიდან გასვლისა[1109]), მოქმედებს ხანდაზმულობის სპეციალური ვადები. ეს ვადა შეადგენს 2 წელს იმ შემთხვევაში, როდესაც სამუშაოს შედეგი მდგომარეობს ნივთის დამზადებაში, შეკეთებასა თუ შეცვლაში, ან ამ მიზნით სამუშაოთა შესრულების დაგეგმვასა თუ მათ შესრულებაზე ზედამხედველობაში. სამშენებლო სამუშაოთა მიმართ ან ამ მიზნით სამუშაოთა შესრულების დაგეგმვასა თუ მათ შესრულებაზე ზედამხედველობის მიმართებაში კი მოქმედებს ხანდაზმულობის ხუთწლიანი ვადა. ყველა დანარჩენ შემთხვევებში მოქმედებს ხანდაზმულობის საერთო ვადები.[1110]

XIX. 4. შესრულების ნაკლთან დაკავშირებული ხანდაზმულობის ვადის გასვლის შედეგები

შემკვეთის მიერ შესრულებული ნაკლის გამო მენარდისათვის მოთხოვნის ხანდაზმულობის გასვლის შემდეგ, დადგება სკ-ის 144-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი, კერძოდ, ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ მენარდე უფლებამოსილია უარი თქვას ნაკეთობის ნაკლთან დაკავშირებული შემკვეთის მეორადი მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. ხანდაზმულობის ვადების გათვალისწინება სასამართლოს მიერ ხორციელდება არა საკუთარი ინიციატივით, არამედ მხოლოდ საქმის განხილვაში მონაწილე მხარეების (მხარის) მიერ აღნიშნულზე მითითების შემთხვევაში. „აშკარად არ შეესაბამება კანონს გავრცელებული პრაქ-

---

[1107] Rudolph, J., Die Abgrenzung zwischen Kauf _ und Werkvertragsrecht gemäß §651 BGB, 1. Aufl. 2009, 322.

[1108] Peters, in Staudinger BGB Komm. §634, Rn.5.

[1109] Schwab, Schuldrechtsmodernisierung 2001/2002 _ Die Rückabwicklung von Verträgen nach §346 ff. BGB n.F.,Jus 2002, S.630.

[1110] Busche, in MüKo.BGB, Band 4.,5.Aufl. §634, Rn.8.

ტიკა, როდესაც საქართველოს საერთო სასამართლოებს გამოაქვთ გადაწყვეტილებები სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო, მაშინ, როდესაც არც მოპასუხეს არც პროცესში მონაწილე სხვა პირს ასეთი შესაგებელი არ წამოუყენებია."[1111]

იმ შემთხვევაში, თუკი მენარდე, ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შემკვეთის მეორად მოთხოვნებს შეასრულებს ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, მას სკ-ის 144-ე მუხლის II ნაწილის თანახმად, არა აქვს უფლება მოითხოვოს შესრულების დაბრუნება, თუნდაც მოვალეობის შესრულების მომენტში მას არ სცოდნოდა, რომ ხანდაზმულობის ვადა გასული იყო.

XIX. 5. შესრულების ნაკლთან დაკავშირებული ხანდაზმულობა სამუშაოს ნაწილ-ნაწილ მიღებისას.

იმის მიხედვით, შესაძლებელია თუ არა ვალდებულების შესრულება ნაწილობრივ ან მთლიანად, ვალდებულებები იყოფა ორ ძირითად ჯგუფად: გაყოფადი და გაუყოფადი ვალდებულებები. ვალდებულებების გაყოფადობა დამოკიდებულია იმ ნივთის ან მოქმედების გაყოფის შესაძლებლობაზე, რომელიც ვალდებულების საგანს წარმოადგენს. ამასთან, გაუყოფადია ისეთი ვალდებულებებიც, რომელთა საგანი შეიძლება გაყოფადიც იყოს, მაგრამ ვალდებულების პირობებიდან და საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, დაუშვებელია ვალდებულების ნაწილობრივი შესრულება. მაგალითად, მენარდემ ნარდობის ხელშეკრულებით იკისრა შემკვეთისათვის შარვლისა და პიჯაკის შეკერვა. მენარდეს არ შეუძლია ამ შემთხვევაში შეკეროს მხოლოდ შარვალი ან მხოლოდ პიჯაკი (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შემკვეთი ამაზე თანხმობას განაცხადებს).[1112]

სკ-ის 378-ე მუხლის დანაწესი წარმოადგენს გამონაკლისს იმ ზოგადი წესიდან, რომ ვალდებულება მოვალის მიერ უნდა შესრულდეს ერთიანად. თუ კრედიტორი უარს აცხადებს შესრულების

[1111] ბიოლინგი/ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, მეორე გამოცემა, 2004, 170.

[1112] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 72.

ნაწილ-ნაწილ მიღებაზე, ამ შემთხვევაში ადგილი არ ექნება კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებას.[1113]

საქართველოს კანონმდებლობა მოვალის მიერ ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულების მართლზომიერებას მთლიანად უკავშირებს კრედიტორის თანხმობას (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, ასეთი თანხმობა საჭირო არ არის). ე.ი. მოვალემ, როგორც წესი, ვალდებულების შესრუ¬ლება მთლიანად უნდა განახორციელოს. იმ შემთხვევაში, თუკი მოვალე კრედიტორის თანხმობის არარსებობის მიუხედავად, მაინც ასრულებს ვალდებულებას ნაწილ-ნაწილ, კრედიტორს შეუძლია უარი თქვას ასეთი შესრულების მიღებაზე. ასეთი უარი ჩაითვლება მართლზომიერად და არ გამოიწვევს კრედიტორის მიმართ ვადის გადაცილებისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრებას.[1114]

სკ-ის 378-ე მუხლით დადგენილია ვალდებულების ნაწილობრივი შესრულების დაუშვებლობის პრეზუმფცია. ვალდებულების ნაწილობრივი შესრულება, როგორც ვალდებულების დარღვევის ერთ-ერთი სახე, დაუშვებელია კრედიტორის ინტერესების საზიანოდ.

მოვალის მიერ ვალდებულების ნაწილ-ნაწილ (ნაწილობრივ) შესრულებასთან მიმართებაში საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების პრინციპების („უნიდროას პრინციპების") 6.1.3-ე მუხლის თანახმად, როცა შესრულებისათვის განსაზღვრულია დრო, მოვალის მიერ შესრულებაც უნდა განხორციელდეს ამ დროში სრულად. კრედიტორს უფლება აქვს უარი თქვას ნაწილობრივი შესრულების მიღებაზე, თუნდაც რომ მოვალემ იკისროს დანარჩენი ნაწილის შემდგომში შესრულება, თუკი კრედიტორს აქვს ნაწილობრივი შესრულების მიღებაზე უარის თქმის კანონიერი ინტერესი.[1115]

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 266-ე პარაგრაფის თანახმად, მოვალე არ არის უფლებამოსილი ვალდებულების ნაწილობრივ შეს-

---

[1113] ჭეჭელაშვილი, სახელშეკრულებო სამართალი, 2008, 138.

[1114] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 14 მაისის განჩინება საქმეზე #ას-307-628-09.

[1115] Unidroit, Principles of International Commercial Contracts, 1994, Uniform Law Rewiew, 2004

რულებაზე. ამდენად, მოვალე არ არის უფლებამოსილი ვალდებულების ნაწილობრივი შესრულებაზე და შესაბამისად, კრედიტორს შეუძლია ნაწილობრივ შესრულებაზე უარის თქმა ისე, რომ იგი არ ჩაითვლება ვადის გადამცილებლად.[1116] ნაწილობრივი შესრულების შეთავაზება არ გამორიცხავს მოვალის მიერ ვადის გადაცილებას მთლიანი შესრულების მიმართ.[1117]

საერთო სამართლის სისტემაში, ერთ-ერთი მხარის მიერ ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმა იმ საფუძვლით, რომ მეორე მხარის მიერ ვალდებულება შესრულდა მხოლოდ ნაწილობრივ, განიხილება, როგორც დაცვის საშუალება ხელშეკრულების მოშლის სახით, გარდა ამისა, ეს უფლებას ანიჭებს კრედიტორს, მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურებაც. [1118]

იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორი უარს განუცხადებს მოვალეს შესრულების ნაწილობრივ მიღებაზე, ხოლო მოვალე ვალდებული იყო ერთიანად სრულად შეესრულებინა ვალდებულება, წამოიჭრება ამ სიტუაციის ვალდებულების შეწყვეტის ისეთი საფუძვლისაგან გამიჯვნის აუცილებლობა, როგორიცაა დეპონირება.[1119] სკ-ის 434-ე მუხლის თანახმად, თუ კრედიტორი აყოვნებს შესრულების მიღებას, ან უცნობია მისი ადგილსამყოფელი, მოვალე უფლებამოსილია შესრულების საგანი შეინახოს სასამართლოში ან ნოტარიატში, ხოლო ფული ან ფასიანი ქაღალდი შეიტანოს ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე. დეპონირებით მოვალე თავისუფლდება კრედიტორის წინაშე ვალდებულებისაგან.

ხანდაზმულობის ათვლის სპეციალურ მომენტთან გვაქვს საქმე ნარდობის ხელშეკრულებით შესრულებული სამუშაოს ნაკლთან მიმართებაში, კერძოდ, თუ ხელშეკრულების მიხედვით სამუშაო მიღებულია ნაწილ-ნაწილ, ნაკლის გამო ხანდაზმულობის ვადა იწყება სამუშაოს მთლიანად მიღების დღიდან. ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ განმარტა, „რომ კონკრეტულ შემთხვევაში, 656-ე მუხ-

---

[1116] Kruger, in MüKo.BGB, Band 2.,5.Aufl. §266, Rn.2. Bittner, in Staudinger BGB Komm. §266, Rn.2, Schwab, in AnwK, §266, Rn.1; Jud, in Pruting §266, 418-419.

[1117] Brox/Walker, Allgemeines Schuldrecht, 32. Aufl.,2007, Rn.89

[1118] Treitel, Remedies for Breach of Contract, A comparative account, 1988, P.300.

[1119] Gernhuber, Die Erfüllung und ihre Surrogate sowie das Erloschen der Schuldverheltnisse aus anderen Grunden, Hdb des Schuldrechts, Bd 3, 2. Aufl., 1994, §21.

ლის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადის დენა უნდა აითვალოს იმ დღიდან, როდესაც მოპასუხემ დაარღვია ხელშეკრულების 4.1. პუნქტის მოთხოვნა".[1120]

ნარდობის ხელშეკრულებით შესაძლებელია მენარდემ სამუშაო შეასრულოს ნაწილ-ნაწილ, თუკი შემკვეთი ამაზე თანახმაა. მაგალითად, მენარდეს უნდა დაემზადებინა 300 სკამი. მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრა, რომ მენარდე შეკვეთილ სკამებს დაამზადებდა სამი თვის განმავლობაში, ნაწილ-ნაწილ, ყოველთვიურად (მარტი, აპრილი, მაისი) 100 სკამს. მენარდის მიერ მარტის თვეში დამზადებულ სკამებს აღმოაჩნდა ნივთობრივი ნაკლი. ასეთ შემთხვევაში შესრულე-ბის ნაკლთან დაკავშირებით შემკვეთის მოთხოვნების ხანდაზმულობასთან მიმართებაში მხედველობაშია მისაღები 656-ე მუხლით დადგენილი წესი განხილულ მაგალითში, შემკვეთის მოთხოვნების 1-წლიანი ხანდაზმულობა ნაკეთობის ნაკლთან დაკავშირებით დაიწყება არა მარტის თვიდან, როდესაც მენარდემ დაამზადა ნივთობრივად ნაკლიანი ნაკეთობა, არამედ მაისის თვიდან, როდესაც მენარდემ სრულად შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო – გადასცა შემკვეთს სამასივე სკამი.[1121]

[1120] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 28 დეკემბრის განჩინება საქმეზე #ას-1560-1463-2012.

[1121] ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011, 201.

თავი XX. ნარდობის ხელშეკრულების საგადასახადო-სამართლებრივი ანალიზი

XX. 1. ნარდობის ხელშეკრულების ბუნება საგადასახადო კანონმდებლობის ჭრილში-განსხვავება ანალოგიური ინსტიტუტებისაგან

სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით შესაძლებელია ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს ხელშეკრულებათა ოთხი ძირითადი ტიპი: ქონების საკუთრებაში გადაცემის, სარგებლობაში გადაცემის, სამუშაოს შესრულების და მომსახურების გაწევის ხელშეკრულებები[1122]. თავის მხრივ, საგადასახადო სამართალი მოცემულ გარიგებებს განიხილავს საქონლის მიწოდებად ან მომსახურების გაწევად. საქართველოს საგადასახადო კოდექსის (შემდგომში სსკ-ი)[1123]მე-16 მუხლის თანახმად, საქონლის მიწოდებად ითვლება პირის მიერ საქონელზე საკუთრების უფლების გადაცემა სასყიდლით (მათ შორის საქონლის რეალიზაია, გაცვლა, ხელფასის ან ნატურალური ფორმით ანაზღაურება) ან უსასყიდლოდ. რაც შეეხება მომსახურების გაწევას, ცნების ლეგალური დეფინიციის თანახმად, ასეთად მიიჩნევა პირის მიერ სხვა პირისათვის მისივე ნებით ისეთი მოქმედების შესრულება, რომელიც არ არის საქონლის მიწოდება.

აღნიშნულ გამიჯვნას სამართალი მთელ რიგ სამართლებრივ შედეგებს უკავშირებს. პირველ რიგში აღნიშნული გულისხმობს გადასახადის სახეების მიხედვით დაბეგვრის ობიექტის[1124] განსაზღვრსა და დასაბეგრი ბაზის დადგენას; დარიცხვის მეთოდის[1125]

[1122] ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, 1999.

[1123] საქართველოს საგადასახადო კოდექსი, საკანონმდებლო მაცნე, №3591.

[1124] **გადასახადით დაბეგვრის ობიექტი** იურიდიულ ფაქტს ან იურიდიული ფაქტების (იურიდიული შემადგენლობის) ერთობლიობას ნარმოადგენს, რომლის საფუძველზეც გადასახადის გადამხდელს ეკისრება გადასახადის გადახდის ვალდებულება. პირს გადასახადის გადახდის ვალდებულება დაეკისრება იმ შემთხვევაში, თუ მას გადასახადით დაბეგვრის ობიექტი გააჩნია. დამატებით იხ. როგავა, გადასახადები, საგადასახადო სისტემა და საგადასახადო სამართალი, თბ.2003.

[1125] საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა შემოსავლების მიღებისა და ხარჯების განევის მომენტის განსაზღვრის ორ მეთოდს იცნობს: საკასოსა და დარიცხვის. დამატებით იხ. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 თავი – შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა.

მიხედვით შემოსავლად ან ხარჯად აღიარების მომენტისდაფიქსირებას. ტერმინ ნარდობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის მოქმედი რედაქცია არ იცნობს. ამავე კოდექსის მე-2 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, საგადასახადო ურთიერთობების რეგულირებისას ამ კოდექსში გამოყენებული საქართველოს კანონმდებლობის ტერმინები და ცნებები გამოიყენება იმ მნიშვნელობით, რა მნიშვნელობაც მათ აქვთ შესაბამის კანონმდებლობაში, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. მონესრიგების საგნის იდენტურობიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნარდობის მნიშვნელობით საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს დამკვეთის ნედლეულით საქონლის წარმოების შემთხვევას[1126], კერძოდ, დამკვეთის ნედლეულით (მასალით) საქონლის წარმოებად ითვლება საქონლის ნებისმიერი წარმოება, მათ შორის, მისი დამზადება, გადამუშავება, დამუშავება, ან აღნიშნული ნედლეულის (მასალის) სხვაგვარი ტრანსფორმაცია, რომლის პროცესშიც როგორც ნედლეულის (მასალის), ისე საბოლოო პროდუქტის მესაკუთრე არის პირი, რომელმაც მიაწოდა ნედლეული (მასალა) და ფულადი ან ნატურალური ფორმით აანაზღაურა ამ ნედლეულით (მასალით) საქონლის წარმოებასთან დაკავშირებული მომსახურების ღირებულება (მიუხედავად იმისა, წარმოებისას მწარმოებელმა გამოიყენა თუ არა საკუთარი ნედლეული (მასალა), მაკომპლექტებლები ან სხვა კომპონენტები, რომელთა ღირებულებაც ჩაითვალა ასეთ წარმოებასთან დაკავშირებული მომსახურების ღირებულებაში) (სსკ-ის მუხლი 14; ნაწილი მე-2).

[1126] ნარდობა შეიძლება ითვალისწინებდეს ნივთის ან ნივთების (მოძრავის ან უძრავის, ინდივიდუალურად განსაზღვრულის ან გვაროვნულის) დამზადებას მთლიანად დამკვეთის ნედლეულით, მთლიანად მენარდის ნედლეულით ან შერეული კომბინაციით. ყველა შემთხვევაში მენარდის მიერ ადგილი აქვს საკუთრების უფლების გადაცემის ფაქტს დამკვეთისათვის, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ნაკეთობა მზადდება მთლიანად დამკვეთის მასალით. საკუთრების უფლების გადასვლის ობიექტი ხან მენარდის საკუთარი მასალაა (სკ-ს193-ე მუხლი), ხან – მენარდის ქონებრივი ნილი ახალ ნაკეთობაში (სკ-ის 194-195-ე მუხლები), ხან – თვით დამზადებული ნაკეთობა (სამოქ. კოდექსი, 629.2-ე მუხლი). ეს კი, თავის მხრივ, ნიშნავს იმას, რომ დამკვეთის ნედლეულით საქონლის ნარმოების განმარტება ხარვეზიანია – იხ. ნადარაია/როგავა/ბოლქვაძე/რუხაძე- საქართველოს საგადასახდო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, გვ. 146, თბ., 2012.

რაც შეეხება ურთიერთობის მონაწილე სუბიექტებს, ნაცვლად შემკვეთისა გათვალისწინებულია დამკვეთი, ხოლო მენარდის შესატყვისად ცალკეულ შემთხვევებში გამოიყენება მწარმოებელი (მაგ. აქციზისას)[1127].

ნარდობის ხელშეკრულკების გამიჯვნა ნასყიდობის ხელშეკრულებისაგან არსებითი მნიშვნელობის მატარებელია არა მხოლოდ სამოქალაქო სამართალში, არამედ საგადასახადო სამართლებრივი მოწესრიგების თვალსაზრისითაც. თავდაპირველად შესაფასებელია კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით ადგილი აქვს დამკვეთის მასალით საქონლის წარმოებას (ნარდობას), რასაც, როგორც წესი, გრძელვადიანი ხასიათი გააჩნია და აწესრიგებს არა მხოლოდ შესრულებული სამუშაოს შედეგის გადაცემას-მიწოდებას, არამედ ამ პროცესში მონაწილე მხარეთა ურთიერთობასთან დაკავშირებულ საკითხებსაც, თუ ნასყიდობის ხელშეკრულებას – საქონლის მიწოდებას, გამიჯვნის მნიშვნელობა პრაქტიკული ხასიათისაა, ვინაიდან თითოეული ზემოხსენებული ტიპის ურთიერთობის მიმართ კანონმდებელი განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს განსაზღვრავს, რასაც ქვევით დაწვრილებით შევეხებით. ზემოაღნიშნული ურთიერთობის სწორი შეფასებისათვის მთავარი წყალგამყოფია შემდეგი გარემოებანი: წარმოებული საქონლისათვის გამოყენებული ნედლეულის არსებითი ნაწილის მესაკუთრის დადგენა და ნარდობის ხელშეკრულების საგნის ინდივიდუალური/გვაროვნული ნიშნების არსებობა.

საგადასახადო კოდექსის თანახმად, ფაქტობრივი გარემოების ნარდობად შეფასების მიზნთ, აუცილებელია როგორც ნედლეულის, ასევე აქედან წარმოებული პროდუქტის მესაკუთრე იყოს დამკვეთი (შემკვეთი), თუმცა სსკ-ის მე-14 მუხლის მე-2 ნაწილის დისპოზიცია დასაშვებად მიიჩნევს მენარდის (მწარმოებლის) მიერ საკუთარი მაკომპლექტებელი ან სხვა კომპონენტების სახით საკუთარი ნედლეულის (მასალის გამოყენებას. სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და ამავე კოდექსის 646-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებია სამუშაოს შესრულება მენარდის მასალითაც. სამართლის ნორმათა სისტემური ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ,

[1127] იხ. სსკ-ის მე-14 მუხლის მე-2 ნაწილი, ასევე ამავე კოდექსის 184-ე მუხლი.

რომ ნარდობის ხელშეკრულებისას მენარდე არ გახლავთ მოკლებული შესაძლებლობას სამუშაოს შესრულების პროცესში გამოიყენოს საკუთარი ნედლეული, განსაკუთრებით მაშინ, თუ საქმე ეხება მაკომპლექტებელ და სხვა სახის აქცესესორულ დეტალებს, რომელიც, თვის მხრივ, ზრდის მენარდის მიერ შესრულებული სამუშაოს ფასს. როგორც სამოქალაქო კოდექსი, ასევე საგადასახადო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საქონლის დამზადების პროცესში გამოყენებული მენარდისა ნედლეულის ღირებულებათა ხვედრითი წონის განსაზღვრას მთლიანად წარმოების პროცესში გამოყენებული ნედლეულის ღირებულებასთან მიმართებით.

თუ მწარმოებლის (მენარდის) ნედლეულის ხვედრითი წონის მოცულობა არსებითი მნიშვნელობის იქნება, ცალკეული შემთხვევის შეფასება საგადასახადო კოდექსის მე-14 მუხლის მე-2 ნაწილით გართულდება და დიდი ალბათობით ამოირიცხება მისი მოწესრიგების სფეროდან. პრობლემის გადაჭრის გზას გვთავაზობს სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესი, სახელდობრ, თუ ნარდობა ითვალისწინებს რაიმე ნაკეთობის დამზადებას და მენარდე მას ამზადებს თავის მიერ შეძენილი მასალით, მაშინ იგი შემკვეთს გადასცემს საკუთრებას დამზადებულ ნაკეთობაზე. თუ დამზადებულია გვაროვნული[1128] ნივთი, მაშინ გამოიყენება ნასყიდობის წესები.[1129]

საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, პირის მიერ სხვა პირისათვის საქონელზე საკუთრების უფლების გადაცემა სასყიდლით (მათ შორის, საქონლის რეალიზაცია, გაცვლა, ხელფასის ან ნატურალური ფორმით ანაზღაურება) ან უსასყიდლოდ ითვლება

[1128] ინდივიდუალური და გვაროვნული ნივთების შესახებ იხ., ზოიძე, ქათული სანივთო სამართალი, თბილისი, 2003.

[1129] მართალია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა საქონლის მიწოდებად განიხილავს საქონელზე საკუთრების უფლების გადაცემას, თუმცა ამავდროულად ითვალისწინებს საკუთრების ტიტულის გადასვლის საფუძვლად განსაზღვრულ ოპერაციათა სახეებს: საქონლის რეალიზაცია, გაცვლა, ხელფასის ან ნატურალური ფორმით ანაზღაურება. შესაბამისად, თუ მენარდე ამზადებს ინდივიდუალურ ნივთს ნარდობისა და ნასყიდობის გამიჯვნის საკითხი საერთოდაც არ დგება, დამოუკიდებლად საქონლის საწარმოებლად გამოყენებული ნედლეულის მესაკუთრისა, სახეზეა ნარდობის და არა ნასყიდობის ხელშეკრულება. მოცემული გამიჯვნა აქტუალურია გვაროვნული ნივთის დამზადებისას.

საქონლის მიწოდებად (სსკ-ის 16-ე მუხლი). ამავდროულად, თუ სახეზეა საქონლის მიწოდება, ფაქტობრივი გარემოება ვერ შეფასდება მომსახურების გაწევად (მე-2 ნაწილი).

მიუხედავად ზემოხსენებული საკანონმდებლო დანაწესებისა, ჩვენს მიერ განხილული შიდანაციონალური საკანონმდებლო აქტების საფუძველზე არ განისაზღვრება მენარდისა და შემკვეთის ნედლეულის ღირებულებათა ურთიერთმიმართების ხვედრითი წონის კოეფიციენტი, რომლის საფუძველზეც ურთიერთობას ნარდობად ან ნასყიდობად შევაფასებდით, ხოლო შედეგს -დამკვეთის ნედლეულით მასალის წარმოებად (მომსახურების გაწევად) ან ნასყიდობად (საქონლის მიწოდება). აღნიშნული საკითხის გადაჭრას ისახავს მიზნად 1980 წლის 11 აპრილის გაეროს ვენის კონვენცია საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის შესახებ, კერძოდ, იმ საქონლის მიწოდების ხელშეკრულებები, რომლებიც დამზადებული ან წარმოებული უნდა იქნეს, ითვლება ნასყიდობის ხელშეკლრულებად იმ პირობით, თუკი შემკვეთი მხარე არ კისრულობს ვალდებულებას გადასცეს მწარმოებელს იმ მასალის არსებითი ნაწილი, რომელიც აუცილებელია ასეთი საქონლის დასამზადებლად ან საწარმოებლად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ: დამკვეთის ნედლეულით საქონლის წარმოება-მომსახურების გაწევა სახეზეა მაშინ, თუ წარმოების პროცესში გამოყენებული ნედლეულის არსებითი ნაწილის მესაკუთრე გახლავთ შემკვეთი, დამოუკიდებლად იმისა, დამზადებულია გვაროვნული თუ ინდივიდუალური ნივთი, მიუხედავად წარმოების პროცესში მენარდის მიერ საქონლის წარმოებისას მაკომპლექტებელი ან/და სხვა სახის მასალის გამოყენების ფაქტისა. რაც შეეხება არსებითი ნაწილის ცნებას, ეს უკანასკნელი პირობითია და დგინდება შესასრულებელი სამუშაოს სფეციფიკიდან გამომდინარე.

XX. 2. სახელშეკრულებო ურთიერთობათა სათანადო სამოქალაქო სამართლებრივი შეფასების ეფექტი ეკონომიკური საქმიანობის პროცესში

სახელშეკრულებული ურთიერთობის სათანადო შეფასება არა მხოლოდ თეორიული, არამედ პრაკტიკული ხასიათის მატარებელიცაა. საიულტრაციოდ რამდენიმე კონსტალაციის მოხმობაც საკმარისია: დარიცხვის მეთოდით შემოსავლის მიღების მომენტის განსაზღვრის, უკუდაბეგვრის წესით დღგ-ის დარიცხვის, საქონლის საბაჟო ღირებულების დადგენის, რეზიდენტისა და არარეზიდენტის შემოსავლის წყაროსთან დაბეგვრის, დამატებითი ღირებულების გადასახადის დარიცხვის მომენტისა და ცალკეულ შემთხვევებში საგადასახადო შეღავათით სარგებლობის უფლების მოპოვების, უცხო ქვეყნის რეზიდენტის მიმართ ორმაგი დაბეგვრის თავის არიდების ხელშეკრულების საფუძველზე საგადასახადო შეღავათის განსაზღვრის, აქციზით დაბეგვრის მომენტისა და დაბეგვრაზე ვალდებული პირის დადგენის კუთხით.

საგადასახადო კოდექსის 141-ე მუხლის მიხედვით რეგლამენტირებულია დარიცხვის მეთოდის მიხედვით შემოსავლების მიღების მომენტის განსაზღვრის ზოგადი წესი, კერძოდ, გადასახადის გადამხდელის შემოსავლების მიღების უფლება მოპოვებულად ითვლება, თუ შესაბამისი თანხა ექვემდებარება გადახდას ან/და პირმა შეასრულა გარიგებით (ხელშკრულებით) გათვალისწინებული ყველა ვალდებულება. ამავე მუხლის მე-2 ნაწილი აყალიბებს მომსახურების გამწევი პირის მიმართ შემოსავლების მიღების უფლების მოპოვების სპეციალურ წესს: თუ გადასახადის გადამხდელი სწევს მომსახურებას, ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული უფლება მის მიერ გარიგებით (ხელშეკრულებით) გათვალისწინებული მომსახურების გაწევის დამთავრების მომენტში მოპოვებულად ითვლება.

მაგალითი №1

მენარდესა და შემკვეთს შორის 2013 წლის 1-ელ აგვისტოს დადეო ნარდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, მენარდეს-გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებულ პირს, 3 თვის ვადაში

უნდა დაესრულებინა შემკვეთის საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. მენარდისათვის გადასახდელი ანაზღაურება განისაზღვრა 15 000 ლარით. შეცვლილი გარემოებების საფუძველზე ნარდობის ხელშეკრულება დასრულდა 5 თვის შემდეგ – 2014 წლის იანვარში. მოცემულ შემთხვევაში, ურთიერთობა შეფასდება მომსახურების გაწევად და მენარდე 15 000 ლარს ასახავს არა 2013 წლის, არამედ 2014 წლის ერთობლივ შემოსავალში და მოახდენს სათანადო წესით დეკლარირებას.

ნარდობის ხელშეკრულების საქონლის მიწოდებად მიჩნევის შემთხვევაში, შემოსავალზე უფლების მოპოვების განსაზღვრის მიზნით, უნდა ვიხელმძღვანელოთ ზოგადი წესის საფუძველზე -საგადასახადო კოდექსი 141-ე მუხლის 1-ელი ნაწილით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არარეზიდენტი[1130] ფიზიკური პირის (გარდა საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირისა) ან არარეზიდენტი საწარმოს მიერ საგადასახადო აგენტისათვის საქართველოს ტერიტორიაზე გაწეულ მომსახურებას უქვემდებარებს უკუდაბეგვრას. უკუდაბეგვრის ინსტიტუტი მიზანად ისახავს კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევაში (კერძოსამართლებრივ ურთიერთობაში არარეზიდენტი ფიზიკური პირის, (გარდა საქართველოს მოქალაქე პირისა) მონაწილეობისას)) გაწეულ მომსახურებაზე დამატებული ღირებულების გადასახადის დარიცხვას მომსახურების მიმღების მიერ.

მაგალითი №2

საქართველოს რეზიდენტმა საწარმომ, რომლის ძირითადი საქმიანობის საგანს წარმოადგენს მშენებლობა, საპროექტო სამუშაოების შესასრულებლად ნარდობის ხელშეკრულება დადო იტალიის რეზიდენტ საწარმოსთან. გასამრჯელო განისაზღვრა 10000 ლარით.

[1130] სსკ-ის მე-8 მუხლის 4 ნაწილის თანახმად, არარეზიდენტია პირი, რომელიც არ არის რეზიდენტი. თავის მხრივ რეზიდენტ ფიზიკურ პირად მიიჩნევა პირი, რომელიც მთელი მიმდინარე საგადასახადო წლის განმავლობაში, ფაქტობრივად იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე 183 დღე ან მეტ ხანს ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის პერიოდში, რომელიც მთავრდება ამ საგადასახადო წელს, ან ფიზიკური პირი, რომელიც ამ საგადასახადო წლის განმავლობაში იმყოფებოდა უცხო ქვეყანაში საქართველოს სახელმწიფო სამსახურში.

ვინაიდან იტალიის რეზიდენტის საქმიანობა წარმოადგენს მომსახურებას, სახეზეა უკუდაბეგვრის წესით დღგ-ის დარიცხვის ვალდებულება საქართველოს რეზიდენტი საწარმოს მიერ თუ მომსახურება გაწეულია საქართველოს ტერიტორიაზე. კაზუსის ფაბულიდაბნ გამომდინარე, მომსახურების ფაქტობრივად გაწევის ადგლილი იტალიაა – სამუშაო შესრულებულია იტალიაში. მოცემულ შემთხვევაში საქადასახადო კოდექსის მიზნებისათვის მომსახურების გაწევის ადგილად უნდა განვიხილოთ საქართველო, რადგან საგადასახადო კოდექსის მიზნებისათვის ცალკეულ შემთხვევაში მომსახურების გაწევის ადილად მიიჩნევა ადგილი, სადაც მდებარეობს უძრავი ქონება (სსკ-ის 166 I- ლი მუხლი). რაც შეეხება მომსახურების გაწევის დროსა და თანხას, აღნიშნულ შემთხვევაში უნდა მივმართოთ სსკ-ის 161-ე მუხლის 1-ელი ნაწილის ა პუნქტის „აა"; „აბ" ან „აბა" ქვეპუნქტებს. საქართველოს რეზიდენტი პირი ვალდებული იქნება, უკუდაბეგვრის წესით მიღებული მომსახურების საკომპენსაციო თანხას დაარიცხოს დღგ-ის გადასახადი 1800 ლარის ოდენობით[1131]/[1132].

ნარდობის ხელშეკრულების შესრულების საგნის მსგავსება შრომის ხელშეკრულებასთან ხშირ შემთხვევაში ართულებს ურთიერთობის შეფასებას. გამიჯვნის პრაქტიკული მნიშვნელობას ურთიერთობის მონაწილე მხარეთა კერძო სამართლებრივ თუ საჯარო სამართლებრივ ვალდებულებათა განსაზღვრის კუთხით საკმაოდ დიდია. საგადასახადო კანონმდებლობა ერთმანეთისგან მიჯნავს კერძოსამართლებრივ ურთიერთობათა ფარგლებში მოწესრიგებულ

[1131] თუ შემოსავალი მიღებულია საქართველოში არსებული წყაროდან და ანაზღაურება უკავშირდება არარეზიდენტ პირს, რომელიც საქართველოში სწევს მომსახურებას მუდმივი დაქწესებულებისა და რწმუნებული პირის გარეშე, მოცემულ შემთხვევაში მიღებული შემოსავალი ასევე ექვემდებარება გადახდის წყაროსთან დაკავებას 10%-იანი განაკვეთით ყოველგვარი გამოქვითვი გარეშე. დამატებით იხ. ნადარაია/ როგავა/ რუქაძე/ ბოლქვაძე/, საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარი, გვ 664-667, თბ., 2012.

[1132] ნასყიდობისას უკუდაბეგვრის ინსტიტუტი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ნასყიდობის საგანის მინოდება ხორციელდება ინტერნეტით ან ელექტრონული კომუნიკაციის სხვაგვარი საშუალებით და შესაბამისად არ კვეთს საქართველოს საბაჟო საზღვარს ინტეგრირებული სქემის ან სხვა სახის ინფორმაციის მატარებლის საშუალებით.

საქმიანობის შემდეგ სახეებს: ეკონომიკური საქმიანობა; საქველმოქმედო საქმიანობა; რელიგიური საქმიანობა; დაქირავებით მუშაობა.

ცნებათა ლეგალური განმარტების მიხედვით, ეკონომიკურ საქმიანობას განეკუთვნება ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მისაღებად, მიუხედავად ასეთი საქმიანობის შედეგებისა, თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. (სსკ-ის მე-9-ე მუხლის პირველი ნაწილი), ხოლო დაქირავებით მუშაობად ითვლება: ფიზიკური პირის მიერ ვალდებულების შესრულება იმ ურთიერთობათა ფარგლებში, რომლებიც რეგულირდება საქართველოს ან/და უცხო ქვეყნის შრომის კანონმდებლობით; ფიზიკური პირის მიერ იმ ვალდებულების შესრულება, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს შეიარაღებულ ძალებში, სამართალდამცავ და მასთან გათანაბრებულ ორგანოებში მის სამსახურთან; ფიზიკური პირის მიერ საწარმოს ან ორგანიზაციის ხელმძღვანელად (დირექტორად) ყოფნა ან ხელმძღვანელის (დირექტორის) მოვალეობის შესრულება. დაქირავებით მომუშავე ფიზიკური პირი ამ კოდექსის მიზნებისათვის იწოდება დაქირავებულად, პირი, რომელიც ანაზღაურებს ასეთი ფიზიკური პირის მიერ შესრულებულ სამუშაოს, – დამქირავებლად, ხოლო ასეთი ანაზღაურება – ხელფასად[1133].

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თუ სახეზეა შრომით სამართლებრივი ურთიერთობა, ადგილი აქვს დაქირავებით მუშაობას, ხოლო ნარდობის შემთხვევაში – ეკონომიკურ საქმიანობას.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 161-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის თანახმად, დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციაა საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის მიწოდება ან მომსახურების გაწევა. ამავე კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, დამატებული ღირებულების გადასახადის მიზნებისათვის მომსახურების მიწოდებას არ მიეკუთვნება ისეთი მომსახურების გაწევა, რომელიც გულისხმობს დაქირავებულ მუშაობას.

[1133] იხ. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-12 მუხლი

მაგალითი №3

შპს-მ „მშენებელმა" დაქირავებულ პირს – გიორგის შრომითი ურთიერთობის ფარგლებში დაავალა საკუთარ ოფისში მოსაპირკეთებელი სამუშაოების ჩატარება და ხელფასის სახით დამატებით გასცა ანაზღაურება 500 ლარი. მოცემულ შემთხვევაში გიორგის მიერ განხორციელებული საქმიანობა დამატებითი ღირებულების გადასახადის მიზნებისათვის არ წარმოადგენს მომსახურების გაწევას და შესაბამისად სახეზე არ გვაქვს დღგ-თი დასაბეგრი ოპერაცია.

მაგალითი №4

წინამდებარე მაგალითისგან განსხვავებით, შპს-მ „მშენებელმა" ნარდობის ხელშეკრულების საფუძველზე დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული ინდივიდუალური მეწარმისაგან მიიღო ანალოგიური მომსახურება. მოცემულ მაგალითში ვინაიდან სახეზეა საქართველოს ტერიტორიაზე მომსახურების გაწევის ფაქტი, ინდივიდუალური მეწარმისათვის გადახდილი თანხა განიხილება არა ხელფასად, არამედ მომსახურების საკომპენსაციო თანხად და მომსახურების გამწევი ვალდებული იქნება გაწეულ მომსახურების ღირებულებას დაარიცხოს დამატებული ღირებულების გადასახადი, ვინაიდან სახეზეა დასაბეგრი ოპერაცია.

სამოქალაქო კოდექსის 632-ე მუხლი მენარდეს მხოლოდ მაშინ ავალებს სამუშაოს პირადად შესრულებას, თუ ეს გამომდინარეობს კონკრეტული გარემოებიდან ან სამუშაოს ხასიათიდან. შესაბამისად, შრომის სამართლისაგან განსხვავებით, სამოქალაქო კანონმდებლობა დასაშვებად მიიჩნევს მენარდის მიერ მომსახურების გაწევის პროცესში სხვა პირთა შრომის ან/და შრომის შედეგის გამოყენებასაც. პირები რომელთაც მენარდე საკუთარი ვალდებულების შესასრულებლად იყენებს, შეიძლება წარმოადგენდნენ სხვა სახელმწიფოს რეზიდენტებს. განვიხილოთ პრაქტიკული მაგალითი.

მაგალითი №5

სამშენებლო კომპანია, რომელიც შემკვეთთან დადებული ხელშეკრულების ფარგლებში აშენებს საცხოვრებელ სახლს, საპროექტო სამუშაოების შესასრულებლად ერთ შემთხვევაში დებს შრომის ხელშეკრულებას ავსტრიის რეზიდენტ ფიზიკურ პირთან, ხოლო მეორე შემთხვევაში მხარეთა შორის (სამშენებლო კომპანია და პორტუგალიის რეზიდენტი ფიზიკური პირი) ანალოგიური სამუშაოს შესრულება წესრიგდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით (ნარდობის ხელშეკრულება). ნარდობის ხელშეკრულების თანახმად, შესრულებული სამუშაო ანაზღაურებას ექვემდებარება (1000 ლარი) მენარდის მიერ შესრულებული სამუშაოს შედეგის დამკვეთისათვის გადაცემისას. იმავე პირობას ითვალისწინებს ქართულ სამშენებლო კომპანიასა და ავსტრიის რეზიდენტ ფიზიკურ პირს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულება. პორტუგალიის, ასევე ავსტრიის რეზიდენტებმა საპროექტო ნახაზი ხელშეკრულების დადებიდან 15 დღის განმავლობაში დაასრულეს და გადასცეს შემკვეთს. ორივე ზემოხსენებული ხელშეკრულება შეწყდება ვალდებულების ჯეროვანი შესრულებისთანავე, ამასთან ხელშეკრულების საფუძველზე გაწეული ანაზღაურების მოცულობა გადასახადების გარეშე შეადგენს 1000 ლარს. მეორე მაგალითში სამშენებლო კომპანია, როგორც შემკვეთი, ვალდებულია საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული არარეზიდენტის (პორტუგალიის რეზიდენტის) საქართველოში მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავალი დააკავოს გადახდის წყაროსთან 10-პროცენტიანი განაკვეთით საქართველოს საგადასახადო კოდექსის 134-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „ე" ქვეპუნქტისა და 154-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „გ" ქვეპუნქტის საფუძველზე. შესაბამისად, სამშენებლო კომპანია ვალდებული ბიუჯეტში გადარიცხოს 111.1 ლარი; ამასთან საქართველოს კომპანიას უკუდაბეგვრის წესით დღგ-ის დარიცხვის ვალდებულებაც წარმოეშვება. პირველ მაგალითში სამშენებლო კომპანია, როგორც შემკვეთი, ვალდებულია არარეზიდენტის მიერ საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული მომსახურების ღირებულების თანხა

გადახდის წყაროსთან დააკავოს 20%[1134]-იანი განაკვეთით და ამავდროულად დასაბეგრ ოპერაციაზე უკუდაბეგვრის წესით დღგ-ს დარიცხვის ვალდებულება არ წარმოეშვება, ვინაიდან დაქირავებით მუშაობა არ განეკუთვნება მომსახურების გაწევას.

ეკონომიკური ურთიერთობები, რისკებთანაა დაკავშირებული, სამეურნეო ოპერაცია, რომელიც მიზნად ისახავს მატერიალური სიკეთის მიღებას, ხშირად საპირისპირო შედეგით სრულდება და პირი საგადასახადო პერიოდს მოგების ნაცვლად ზარალით ასრულებს. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა დასაშვებად მიიჩნევს ზარალის შემდეგ პერიოდებში გადატანას, თუმცაღა აწესებს გარკვეულ შეზღუდვებსაც. მეწარმე ფიზიკური პირის შემთხვევაში. მეწარმე ფიზიკური პირის მიმართ გამოქვითვების გადამეტება ეკონომიკური საქმიანობით მიღებულ ერთობლივ შემოსავალზე, რომელიც დაკავშირებული არ არის დაქირავებით მუშაობასთან, არ გამოიქვითება ამ პირის მიერ მიღებული ხელფასის ხარჯზე. იგი გადაიტანება 5 წლამდე ვადით და დაიფარება მომავალი პერიოდების ერთობლივი შემოსავლის გამოქვითვებზე გადამეტების ხარჯზე, რომელიც დაკავშირებული არ არის დაქირავებით მუშაობასთან.

[1134] თანამედროვე ეკონომიკურ ურთიერთობათა ინტერნაციონალიზმის პირობებში, საქართველოს მიერ 45 სახელმწიფოსთან რატიფიცირებულია და ძალაში შესულია ორმაგი დაბეგვრისაგან ტავის არიდების შესახებ ორმხრივი ხელსეკრულებები. საქართველოსა და ავსტრიის რესპუბლიკას შორის შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ არსებული შეთანხმების მე-14-ე მუხლის პირველი პუნქტის"ა" ქვეპუნქტის თანახმად, ამ შეთანხმების მე-15, მე-17, მე-18 და მე-19 მუხლების დებულებათა გათვალისწინებით, ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტის მიერ დაქირავებული შრომის შედეგად მიღებული ხელფასი, გასამრჯელო ან სხვა მსგავი ანაზღაურება იბეგრება მხოლოდ ამ სახელმწიფოში, თუ დასაქმება არ განხორციელებულა მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში. თუ დასაქმება ხორციელდება ამგვარი სახით, მაშინ ასეთი ანაზღაურება შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე სახემწიფოში. საქართველოსა და ავსტრიის რესპუბლიკას შორის არსებული შეთანხმება დასაშვებად მიიჩნევს საქართველოსი არსებული წყაროდან დაქირავებით მუშაობის შედეგად მიღებული შემოსავლის დაბეგვრას ავსტრიაში. მოცემულ შემთხვევაში, თუ ავსტრიის რეზიდენტის შემოსავალი დაიბეგრება ავსტრიაში, მაშინ საქართველოს საწარმოს აღარ დაეკისრება საშემოსავლო გადასახადის წყაროსთან დაკავების ვალდებულება.

მაგალითი №6

ინდ. მეწარმე დათომ, რომელიც არ გახლავთ დღგ-ის გადამხდელი პირი, 2012 წლის საანგარიშო პერიოდში განიცადა 100 ლარის ზარალი. 2013 წლის მარტში ინდ. მეწარმე დათომ, შპს „დურგალთან" დადო ნარდობის ხელშეკრულება გარკვეული სამუშაოს შესასრულებლად, ვალდებულების შესრულების ვადა განისაზღვრა 1 თვით. ხელშეკრულების საფუძველზე ინდ. მეწარმე დათოს შემოსავალმა შეადგინა 1000 ლარი; მას 2013 წლის საგადასახადო პერიოდში სხვა სახის შემოსავლები არ უფიქსირდება. 2014 წელს ინდ. მეწარმე დათომ, საგადასახადო ორგანოში წარადგინა საგადასახადო დეკლარაცია, სადაც დასაბეგრი შემოსავალი განსაზღვრა 900 ლარით (დათომ გამოქვითა 2012 წლის ზარალი), ხოლო ბიუჯეტში გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი 900*20=180 ლარით. ფაქტობრივი გარემოებების ანალიზის საფუძველზე ცხადი გახდა, რომ მხარეთა შორის არსებული სამართალურთიერთობა თავისი ბუნებით, ზემოაღნიშნული განმასხვავებელი ელემენტების გათვალისწინებით, წარმოადგენდა შრომის კანონმდებლობის მოწესრიგების საგანს და ადგილი ჰქონდა არა ნარდობას, არამედ დაქირავებულ მუშაობას. ამ შემთხვევაში შპს „დურგალი"-ს მიერ გაცემული ანაზღაურება განიხილება ხელფასის სახით განაცემად, შესაბამისად, დამქირავებელი ვალდებული გახლდათ წყაროსთან დაეკავებინა და ბიუჯეტში გადაეხადა წყაროსთან დაკავებული საშემოსავლო გადასახადის თანხა -1000*0.2=200 ლარი.

XX. 3. ნარდობის და ანალოგიური ხელშეკრულებათა შეფასების საგადასახადო სამართლებრივი სტანდარტი

სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი, თუმცა სამოქალაქო ბრუნვა მრავლად იცნობს შემთხვევებს, როდესაც მხარეები კანონმდებლობის იმპერატიულ დანაწესებს უგულვებელყოფენ მატერიალური სარგებლის არამართლზომიერი გზით მოპოვების ან/და დაზოგვის მიზნით.

მხარეთა მიერ გარეგნულად დაფიქსირებული ნება ზოგჯერ არ

ემთხვევა ნაგულისხმევ ნებას, ან მხარეებს საერთოდაც არ გააჩნიათ ფორმალურად გამოვლენილი ნების საფუძველზე სამართლებრივი შედეგის წარმოშობის სურვილი. სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლი მსგავს ურთიერთობებს მოჩვენებით და თვალთმაქცურ გარიგებათა ცნების ქვეშ მოისაზრებს და უცილოდ ბათილად მიიჩნევს. ცნებათა ლეგალური დეფინიციის თანახმად, მოჩვენებითია გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყვეს (მოჩვენებითი გარიგება). იმ შემთხვევაში თუ მხარეებს სურთ გარიგებით სხვა გარიგების დაფარვა, მაშინ სახეზეა თვალთმაქცური გარიგება და გამოიყენება დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი წესები. დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი წესები აყალიბებენ მხარეთა შორის ერთმანეთის მიმართ კერძოსამართლებრივ ვალდებულებათა რეალურ მასშტაბს. საგადასახადო კოდექსის 73-ე მუხლის მე-9 ნაწილის მიხედვით, საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრის მიზნით მხედველობაში არ მიიღოს სამეურნეო ოპერაციები, რომლებსაც არა აქვს არსებითი ეკონომიკური გავლენა („ა" ქვეპუნქტი); სამეურნეო ოპერაციის ფორმისა და შინაარსის გათვალისწინებით შეცვალოს მისი კვალიფიკაცია, თუ ოპერაციის ფორმა არ შეესაბამება მის შინაარსს („ბ" ქვეპუნქტი). ზემოაღნიშნულ მაგალითში (მაგალითი 5[1135]), როდესაც ნარდობის ხელშეკრულების ნაცვლად მხარეთა შორის ურთიერთობა წესრიგდება შრომის ხელშეკრულების საფუძველზე, რაც გავლენას ახდენს საქართველოს რეზიდენტის ვალდებულებაზე ბიუჯეტის მიმართ, ფაქტობრივი გარემოებათა ანალიზის საფუძველზე უნდა დადგინდეს ყველა იმ ნიშნის კუმულაციურად არსებობა, რაც შრომით სამართლებრივ ურთიერთობას განასხვავებს ნარდობისაგან, კერძოდ: ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა შრომის კონკრეტული რეზულტატის მიღწევა, თუ უშუალოდ სამუშაოს შესრულების პროცესი; ხელშეკრულების დასრულებისას, გაწეული სამუშაოს შედეგად სახეზეა თუ არა რაიმე სახით ხელშესახები შედეგი (მაგალითად, დამზადებული ნაკეთობა, გარემონტებული ავტომობილი, აშენებული სახლი); ადგილი ჰქონდა თუ არა მხარეთა შორის

[1135] იგივე წესი მოქმედებს მე-6 მაგალითთან მიმართებითაც.

ორგანიზაციულ დაქვემდებარებას, ერთი პირი სამუშაოს ასრულებდა მეორე პირის მითითებებისა და ზედამხედველობის ქვეშ, თუ კონტრაჰენტები, როგორც ორგანიზაციული, ისე ქონებრივი თვალსაზრისით წარმოადგენენ ურთიერთდამოუკიდებელ სუბიექტებს. ასევე სამუშაოს შესრულების პროცესში მწარმოებელი იყენებდა საკუთარ მასალას, თუ დამკვეთის ნედლეულს; ეკისრებოდა თუ არა მწარმოებელს სამუშაოს შემთხვევითი დაღუპვის რისკი; მწარმოებელი ვალდებული იყო პირადად შეესრულებინა ნაკისრი სამუშაო, თუ მას ამ პროცესში შეეძლო მესამე პირთა შრომის გამოყენება.

ამავდროულად ყოველივე ზემოაღნიშნულ პირობასთან ერთად, სავალდებულოა დასტურდებოდეს შრომის ხელშეკრულების არსებითი ეკონომიკური ეფექტი ნარდობის ხელშეკრულებასთან მიმართებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახეზეა ყველა ის წინაპირობა, რომლის საფუძველზეც მხრეთა შორის ურთიერთობა საგადასახადო ორგანოს მიერ, ნაცვლად შრომის ხელშეკრულებისა, განიხილება ნარდობად ან პირიქით – ნარდობა-შრომის ხელშეკრულებად და საგადასახადო ვალდებულება განისაზღვრება უშუალოდ ურთიერთობის შინაარსიდან გამომდინარე. საგადასახადო ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებისას პირის მიმართ გამოყენებულ იქნება სამართლებრივი ზემოქმედების სათანადო ზომები.

XX.3. 1. გრძელვადიანი კონტრაქტი

კანონმდებელი სპეციალურ მოწესრიგებას უქვემდებარებს იმ კატეგორიის ურთიერთობებს, რომელიც უკავშირდება კონტრაქტს წარმოებაზე, მონტაჟზე, მშენებლობაზე ან ასეთ საქმიანობასთან დაკავშირებულ მომსახურების გაწევაზე, რომელიც არ დასრულებულა იმ კალენდარულ წელს, რომელშიც დაიწყო კონტრაქტით გათვალისწინებული მომსახურება, გარდა იმ ხელშეკრულებისა, რომელიც დასრულდა გარიგებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის დაწყებიდან 6 თვის განმავლობაში.

გრძელვადიანი კონტრაქტი გახლავთ რამდენიმე საგადასახადო პერიოდში გაგძელებულ ნარდობის ხელშეკრულების კონკრეტული

შემთხვევა, რასაც საგადასახადო სამართალი განსაკუთრებულ მოწესრიგებას უქვემდებარებს. სამართლებრივი შედეგები აისახება როგორც მოგება საშემოსავლო გადასახადებთან მიმართებით, ასევე დამატებული ღირებულების გადასახადი კუთხითაც. საგადასახადო კოდექსის 144-ე მუხლის თანახმად, თუ გადასახადის გადამხდელი აღრიცხვისას დარიცხვის მეთოდს იყენებს, გათვალისწინებული უნდა იქნეს შემოსავლები და გამოქვითვები გრძელვადიანი კონტრაქტების მიხედვით, საგადასახადო წლის განმავლობაში პროპორციულად, მათი ფაქტობრივი შესრულების შესაბამისად. ამავე მუხლის მე-2 ნაწლის ითვალისწინებს, რომ, გრძელვადიანი კონტრაქტის მიხედვით ფაქტობრივი შესრულების მოცულობა განისაზღვრება საგადასახადო წლის ბოლომდე კონტრაქტის ფარგლებში გაწეული ხარჯების კონტრაქტით გათვალისწინებულ ერთობლივ ხარჯებთან შეპირისპირებით.

მაგალითი №7

სამშენებლო კომპანიამ – მენარდემ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ხელშეკრულება დადო ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „კორპუსთან". ხელშეკრულების თანახმად სამშენებლო სამუშაოების დაწყების თარიღია 2013 წლის 20 მარტი, ხოლო დასრულება დაგეგმილია 2015 წლის 22 დეკემბერს. მენარდე სამუშაოებს ასრულებს საკუთარი მასალით. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება განისაზღვრა 2000000 ლარით.

2013 წელს ფაქტობრივად გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 700 000 ლარი, მეორე წელს 800 000 ლარი. ზემოაღნიშნული წესის თანახმად, მენარდემ ერთობლივი შემოსავალი 2013 წელს უნდა განსაზღვროს 700000/1500000*2000000=933333ლარი, ხოლო 2014 წელს – 800000/1500000*2000000=1066667 ლარით.

დამატებული ღირებულების გადასახადის მიზნებისათვის დასაბეგრი ოპერაციის თანხა კალენდარული წლისათვის განისაზღვრება ფაქტობრივი შესრულების მოცულობის მიხედვით, რომელიც გაიანგარიშება გაწეული ხარჯების კონტრაქტით გათვალისწინებულ ერთობლივ ხარჯებთან შეპირისპირებით. ამ მუხლის მიზნებისათვის

ხარჯების გაწევის მომენტი განისაზღვრება ამ კოდექსის 142-ე მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილი შეზღუდვის გაუთვალისწინებლად; დასაბეგრი ოპერაციის მომენტად ითვლება არა უგვიანეს ყოველი წლის დეკემბერი. ამასთანავე, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა გამოიწერება და საგადასახადო კოდექსის 174-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ" და „ე" ქვეპუნქტებით განსაზღვრული შეზღუდვების ვადა აითვლება, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული პირობის დადგომის საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან.

მოცემულ მაგალითის შემთხვევაში, სამშენებლო კომპანია ვალდებული გახლდათ 2013 წლის დეკემბერში დასაბეგრი ოპერაციის თანხაზე დაერიცხა დღგ-ის თანხა 933333*0.18=167999.9 ლარი, 2014 წელს კი – 1066667*0.18=192000,1 ლარი. აღსანიშნავია საგადასახადო კოდექსის 161-ე მუხლის მე-6 ნაწეილის „ა" ქვეპუნქტის დათქმაც, რომლის თანახმადაც დამოუკიდებლად ცალკეულ შემთხვევებში თანხის ფაქტობრივი გადაუხდელობა გავლენას არ ახდენს შესრულებული სამუშაოს მოცულობის განსაზღვრაზე.

XX. 4. ხარჯთაღრიცხვის წარმოების წესი და და ნარდობის ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი.

პრაქტიკისათვის ცნობილია არაერთი შემთხვევა, როდესაც ნარდობის ხელშეკრულების პირობები სამუშაოს შესრულების პროცესში, აგრეთვე გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა. ამავდროულად ცვლილება არსებითი ხასიათის მატარებელია, რაც გულისხმობს შემდეგს: მხარეებს ხელშეკრულების დადების მომენტში რომ სცოდნოდათ ამ ცვლილებათა შესახებ, არ დადებდნენ ხელშეკრულებას ან დადებდნენ განსხვავებული შინაარსით.

სამოქალაქო კანონმდებლობა, რომელის მიზანია სამოქალაქო ურთიერთობის პროცესში მხარეთა თანასწორობის პრინციპის განუხრელი დაცვა, მხარე(ებ)ს აღჭურავს შემდეგი შესაძლებლობით – მოახდინონ ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებათა მიმართ მისადაგება ან იმ მხარეს, რომელის ინტერესიც მნიშვნელოვნად ილ-

ახება, შესაძლებლობას აძლევს ცალმხრივი ნების გამოვლენის გზით შეწყვიტოს ხელშეკრულება. მხარეთა ნების ავტონომიის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება ცვლის არა მხოლოდ კერძოსამართლებრივ ვალდებულებებს, არამედ გავლენას ახდენს საგადასახადოსამართლებრივი ვალდებულებების ტრანსფორმაციაზე.

მაგალითი №8

სამშენებლო კომპანია შპს „მშენებელსა" – მენარდე და შპს „X" – შემკვეთს შორის დადებულია გრძელვადიანი კონტრაქტი მშენებლობაზე. ხელშეკრულების თანახმად, სამშენებლო სამუშაოების შესრულების დაწყების თარიღია 2012 წლის 10 იანვარი, ხოლო დასრულება დაგეგმილია 2014 წლის 11 იანვარს. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარჯების ჯამური ოდენობა შეადგენს 20,000,000 ლარს, ხოლო მენარდისათვის გადასახდელი თანხა შესრულებული სამუშაოს სანაცვლოდ 2,500,000 ლარს დღგ-ის გარეშე. მენარდე სამუშაოს აწარმოებს მის მიერ შეძენილი მასალით.

2012 წელს მენარდის მიერ გაწეული ხარჯების ფაქტობრივმა მოცულობამ შეადგინა 800 000 ლარი. 2013 წელს სამშენებლო მასალის ნაწილი, რომლის იმპორტიც იბეგრებოდა 5%-იანი განაკვეთით, დაექვემდებარა იმპორტის გადასახადის 12%-იანი განაკვეთით დაბეგვრას. აღნიშნული გარემოების ცვლილებამ გაზარდა მენარდის მიერ შესასრულებელი სამუშაოს ღირებულება 300,000 ლარით. მხარეებმა ხელშეკრულების პირობა მიუსადაგეს შეცვლილ გარემოებას, შედეგად ხარჯების მოცულობამ ნაცვლად 20,000,000 ლარისა, შეადგინა 20,300,000, ხოლო გაწეული მომსახურების საპასუხო ანგარიშგებამ 3,000,000ლარი.

გრძელვადიანი კონტრაქტისათვის დადგენილი სპეციალური რეგულაციის მიხედვით, მენარდემ ერთობლივი შემოსავალი განსაზღვრა საანგარიშო პერიოდში ფაქტობრივად გაწეული ხარჯების კონტრაქტით გათვალისწინებულ ერთობლივ ხარჯებთან შეპირისპირებით, შესაბამისად 2012 წლის დასაბეგრმა მოგებამ შეადგინა 800 000/20 000 000*2 500 000=1 000 000 ლარი. ამავე თანხით განისაზღვრა დღგ-ით დასაბეგრი ბრუნვა, რომელსაც დეკემბრის თვეში

მენარდემ დაარიცხა 180 000 ლარის დღგ. მოცემულ შემთხვევაში მენარდე ვალდებულია ხელშეკრულების შეცვლილი პირობების შესაბამისად გადაიანგარიშოს დღგ-ით დასაბეგრი ბრუნვის მოცულობა, წინა საანგარიშო პერიოდში მიღებული ერთობლივი შემოსავალი და მოახდინოს მოგებისა და დღგ-ის დეკლარაციათა დაზუსტება. მოგებისა დღგ-ის დაზუსტებულ დეკლარაციებში ერთობლივი შემოსავალი და დღგ-ით დასავბეგრი ბრუნვა მიიღებს შემდეგ სახეს; 800 000/20 300 000*3 000 000=1043478.

XX. 5. კრედიტორის მიერ პატივსადები საფუძვლით ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების მიღებაზე უარი

სამოქალაქო კოდექსი მოვალეს უფლება ანიჭებს ვადამდე შეასრულოს ვალდებულება, თუკი პატივსადები მიზეზით კრედიტორი უარს არ იტყვის შესრულების მიღებაზე. კანონმდებლობა პატივსადები მიზეზის შემთხვევათა ამომწურავ ჩამონათვალს არ გვაძლევს. სავარაუდოდ, პატივსადებ მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ დამატებითი საგადასახადო ვალდებულებისაგან მართლზომიერად თავის არიდება.

მაგალითი №9

შემკვეთის საქმიანობის საგანს წარმოადგენს ფინანსური მომსახურების გაწევა, რაც დღგ-ისაგან განთავისუფლებულია ჩათვლის უფლების გარეშე. შემკვეთმა მენარდესთან, რომელიც არ გახლავთ დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული, დადო ნარდობის ხელშეკრულება ახალი ოფისის აშენებასთან დაკავშირებით. ხელშეკრულების თანახმად, სამშენებლო სამუშაოების შესრულების სანაცვლოდ მენარდისათვის გადასახდელი თანხა განისაზღვრა 100,001ლარით,ხოლო შესრულების ვადა – 18 თვით. შესრულებული სამუშაოს შედეგის გადაცემა და სანაცვლოდ ანაზღაურება მოხდებოდა ყოველთვიურად შესრულებული სამუშაოს პროპორციულად. მენარდემ შემკვეთს მე-8 თვეს შესთავაზა საკუთარი სამუშაო ძა-

ლების გაზრდის მეშვეობით ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს დასრულება 16 თვის ნაცვალად 11 თვეში, ნარდობის ხელშეკრულების თანხის შეუცვლელად. მოცემულ შემთხვევა მართალია არ ცვლის ანაზღაურების თანხა, თუმცა მას სსკ-ის 157-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, წარმოეშობა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება და იგი შესრულების საბოლოო შედეგის გადაცემისას ვალდებული იქნება გაწეული მომსახურების ღირებულებაას დაარიცხოს დღგ. მოცემულ შემთხვევაში კრედიტორის უარი ვალდებულების ვადაზე ადრე შესრულებასთან დაკავშირებით მართლზომიერია. სხვაგვარად შეფასდებოდა ურთიერთობა, თუ შემკვეთის საქმიანმობის საგანი იქნებოდა ჩათვლის უფლებით გათავისუფლებული ან/და დასაბეგრი ოპერაციები. ამ შემთხვევაში მას შეეძლებოდა ჩაეთვალა („დაებრუნებინა") მენარდისათვის გადახდილი მომსახურების თანხაზე დარიცხული დღგ.

XX. 6. ნარდობა, როგორც ხელშეკრულების დამატებითი პირობა

სავაჭრო პრაქტიკაში იშვიათ შემთხვევას არ წარმოადგენს მანქანა-დანადგარებისა თუ სხვა ტიპის რთული ხელსაწყოების მიწოდება კერძო სამართლებრივ ურთიერთობათა ფარგლებში. აღნიშნულ დანადგარები, როგორც წესი, შემძენს გადაეცემა დაშლილი სახით და სამეურნეო დანიშნულებისამებრ ვარგის მდგომარეობაში შესაყვანად საჭიროებს დამატებითი მომსახურების გაწევას.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი ასეთი შემთხვევების გარკვეულ კატეგორიას სპეციალურად ეხება დღგ-ის ნაწილში (177ე მუხლი – შერეული ოპერაციები). ზოგადად კი უნდა გამოვიყენოთ შერეული ხელშეკრულებების განმარტების მომწესრიგებელი ნორმა სამოქალაქო კოდექსიდან (სკ-ის 340-ე მუხლი). შესაბამისად, შერეული ხელშეკრულების განმარტებისას მხედველობაში მიიღება ნორმები იმ ხელშეკრულებათა შესახებ, რომლებიც შესრულების არსთან ყველაზე ახლოს დგანან და მას შეესაბამებიან. ამას გარდა, ხელშეკრულების განმარტებისას უნდა გაირკვეს საქმე გვაქვს რამდენიმე ხელშეკრულების კომბინაციასთან, თუ დამატებით ვალდე-

ბულებებთან. ხშირად ამის გარკვევა არ არის მარტივი. თუ გამყიდველი ცალკე საზღაურს მოითხოვს დაზგის მიტანისათვის, ცალკე აწყობისათვის, ხოლო ცალკე – დაზგის გაყიდვისათვის, მაშინ სახეზე იქნება 3 ხელშეკრულების (გადაზიდვა, ნარდობა, ნასყიდობა) კომბინაცია, რომელთაგან თითოეული მოწესრიგდება შესაბამისი საკანონმდებლო ნორმებით. თუ გამყიდველი არ მოითხოვს ცალკე საზღაურს მიტანისა და აწყობისათვის, მაშინ გამყიდველის ეს მოქმედებები (მიტანა და აწყობა) იქნება დამატებითი ვალდებულებები, ვინაიდან მყიდველი გამყიდველისაგან ელის საბოლოო შესრულებას – აწყობილ დაზგას[1136].

მაგალითი №10

საქართველოს რეზიდენტმა საწარმომ, რომლის ფაქტობრივი საქმიანობის ადგილი მდებარეობს გარდაბნის მუნიციპალიტეტში, შემდგომი ექსპლუატაციის მიზნით შეიძინა ბლოკის დამამზადებელი დანადგარი პორტუგალიური კომპანიისგან. ხელშეკრულების პირობების თანახმად, ნასყიდობის საერთო ფასმა შეადგინა 1 მილიონი ლარი, აღნიშნული გადანაწილებულია შემდეგნაირად: დანადგარის ფასი 800 000 ლარი, სამონტაჟო სამუშაოების ღირებულება 150 000 ლარი, ტრანსპორტირება „CIF[1137]" პირობით-50 000ლარი. საქონლის საინვოისო ღირებულება განსაზღვრულია 850 000 ევროთი (მონტაჟის ღირებულების გარეშე). ამავდროულად, სამონტაჟო სამუშაოების ღირებულება ცალკეა ასახული სხვა სასაქონლო ინვოისში. მეორე შემთხვევაში-გამყიდველმა დანადგარის ღირებულება, ტრანსპორტირებისა და მონტაჟის ხარჯები ასახა ერთ სასაქონლო ინვოისში. მოცემულ შემთხვევაში საქონლის საბაჟო ღირებულება განისაზღვრება 850 000 ლარით და მასზე გავრცელდება სავაჭრო პოლიტიკის ღონისძიებანი; გადაიხდევინება იმპორტის გადასახადი (თუ საქონლი იმპორტი არ გახლავთ განთავისუფლებული) ამავ-

---

[1136] ნადარაია/ როგავა/რუხაძე/ ბოლქვაძე, საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარები, ნიგნი 1-ელი, გვ. 143, თბ., 2012.

[1137] საერთაშორისო სავაჭრო სამრეწველო პალატის მიერ შემუშავებული მიწოდების პირობები იხ. http://www.iccwbo.org/products-and-services/trade-facilitation/incoterms-2010/

დროულად იმპორტი, როგორც დღგ-ის დაბეგვრის ობიექტი წარმოშობს დღგ-ის დარიცხვის ვალდებულებას 18%-იანი განაკვეთით გარდა იმ შემთხვევისა თუ საქონლის იმპორტი არ გახლავთ განთავისუფლებული დღგ-ისგან. რაც შეეხება სამონტაჟო სამუშაოთა ღირებულებას – 150 000 ლარი, რომელზეც ცალკე ინვოისია გამოიწერილი დაერიცხება დღგ უკუდაბეგვრის წესით 150 000*0,18=27 000 ლარი. ამავდროულად ვინაიდან სახეზეა არარეზიდენტის, რომელიც საქართველოში საქმიანობას ახორციელებს მუდმივი დაწესებულების გარეშე, მიერ საქართველოში არსებული წყაროდან შემოსავლის მიღების ფაქტი, მიღებული თანხა 150 000 ლარი დაიბეგრება გადახდის წყაროსთან 10 %-იანი განაკვეთით. ამასთან არარეზიდენტის მიერ მომსახურებისათვის მიღებული საკომპენსაციო თანხა გამიქვითება მხოლოდ მომსახურების ღირებულების ფაქტობრივი ანაზღაურებისას (საკასო მეთოდით).

მაგალითი №11

წინამდებარე მაგალითის პირობებისაგან განსხვავებით, საქართველოსა და პორტუგალიის კომპანიებს შორის დადებული ხელშეკრულებათა თანახმად, მინოდებული საქონლის ღირებულება სამონტაჟო და ტრანსპორტირების ხარჯების ჩათვლით განისაზღვრა 1000000 ლარით და შესაბამისად, პორტუგალიურმა კომპანიამ გასცა სასაქონლო ინვოისი ერთიანი თანხის (ჯამური ღირებულების) 1,000, 000 ლარის მითითებით.

მოცემულ შემთხვევაში არსებით პირობას წარმოადგენს ნივთზე – დანადგარზე საკუთრების უფლების გადაცემა. რაც შეეხება გამყიდველის მხრიდან ტრანსპორტირებისა და სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების ხარჯებს, ეს უნდა განვიხილოთ, როგორც ხელშეკრულების შემთხვევითი პირობა – დამატებითი ვალდებულება, რომელიც ძირითადი შესრულების მიმართ დამხმარე ხასიათისაა.

როგორც ავღნიშნეთ სამოქალაქო კოდექსი მსგავს გარიგებებს შერეულ ხელშეკრულებებად მოიხსენიებს, რომელთა განმარტებისას მხედველობაში მიიღება ნორმები იმ ხელშეკრულებათა შესახებ, რომლლებიც შესრულების არსთან ყველაზე უფრო ახლოს დგან-

ან. საგადასახადო კოდექსი დამატებითი ღირებულების გადასახადის მიზნებისათვის, მსგავს ურთიერთობებს შერეული ოპერაციის ცნების ქვეშ მოიაზრებს. საგადასახადო კოდექსის 177-ე მუხლის 1-ელი ნაწილში მოცემულია შერეული ოპერაციის ლეგალური დეფინიცია, კერძოდ, შერეულ ოპერაციად ითვლება ისეთი ოპერაცია, რომელიც მოიცავს საქონლისა და მომსახურებუის კომბინირებულ მიწოდებას. ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, თუ საქონლის/მომსახურების მიწოდება ძირითადი საქონლის/მომსახურების მიმართ დამხმარე ხასიათისაა, ითვლება ამ საქონლის/მომსახურების ნაწილად. ამასთან თუ მომსახურების გაწევა საქონლის იმპორტის მიმართ დამხმარე ხასიათისაა, ითვლება ამ საქონლის იმპორტის ნაწილად.

ყოველივე ზემოაღნიშნულ შემთხვევაში ნარდობის ხელშეკრულებისა და საქონლის ტრანსპორტირების ღირებულება უნდა მივიჩნიოთ დანადგარის ღირებულების ნაწილად. საინვოისო ღირებულება – 1,000,000 ლარი იმპორტის სასაქონლო რეჟიმში მოქცევისას მთლიანად დაიბეგრება დამატებული ღირებულების გადასახადით და შემდგომ მომსახურება ცალკე უკუდაბეგვრას აღარ დაექვემდებარება. ამავდროულად, ვინაიდან სახეზეა პორტუგალიური საწარმოს მხრიდან მხოლოდ საქონლის მიწოდება და ადგილი არ აქვს ცალკე მომსახურების გაწევას, შემოსავალი არ მიჩნევა საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 104-ე მუხლის საფუძველზე და შემძენს, საქართველოს საწარმოს არარეზიდენტისათვის გადახდილი თანხის წყაროსთან დაკავების ვალდებულება არ წარმოეშვება ამავე კოდექსის 134-ე ნაწილის საფუძველზე.

XX. 7. მომსახურების დღგ-ით დარიცხვის მომენტის განსაზღვრა ნარდობისას

ნარდობის ხელშეკრულების ნასყიდობისაგან გამიჯვნის პრაქტიკული მნიშვნელობა იკვეთება ასევე დამატებითი ღირებილების გადასახადისა და აქციზის გადასახადის დარიცხვის მომენტის დად-

გენისას. ზოგადი წესის თანახმად, დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროა საქონლის მიწოდების ან მომსახურების გაწევის მომენტი, მაგრამ არაუგვიანეს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლისათვის ან გაწეული მომსახურებისათვის ანაზღაურების მოთხოვნის წარდგენის მომენტისა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ვალდებულების როგორც ერთიანად, ისე ნაწილ-ნაწილ შესრულების შემთხვევას. ნარდობის ხელშეკრულება განეკუთვნება ორმხრივ – სინალაგმატურ სასყიდლიან ხელშეკრულებათა კატეგორიას. ორმხრივმავალდებულებელი ხელშეკრულების ბუნება გამოხატულია სამოქალაქო კოდექსის 369-ე მუხლში, კერძოდ, „იმ პირს, რომელსაც ვალდებულება აკისრია ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე საპასუხო მოქმედების განხორციელებამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი ვალდებული იყო თავისი ვალდებულება წინასწარ შეესრულებინა".

ნარდობის ხელშეკრულება როგორც უკვე აღინიშნა, საკმაოდ ხშირად ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს. მოცემულ შემთვევაში მნიშვნელოვანია განისაზღვროს მენარდის მიერ შესრულების სანაცვლოდ ანაზღაურების მოთხოვნის მომენტი. მომენტის განსაზღვრის მრავალი კონსტალაციაა დასაშვები: ყოველდღიურად, ყოველთვიურად, ყოველკვარტალურად. მენარდეს გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, საკუთარი ვალდებულების ჯეროვანი შესრულებისას, სწორედ ამ პერიოდების – დღის, თვის, კვარტლის დასრულების შემდეგ, შეუძლია მოითხოვოს საპასუხო შესრულება – ფულადი ანაზღაურება და შესაბამისად, ამ პერიოდის დასრულებისთანავე ვალდებულია დაბეგროს გაწეული მომსახურება დღგ-თი.

მაგალითი №12

დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულმა ინდ. მენარმე დათომ, შემკეთთან დადებული ხელშეკრულებით იკისრა 3 თვის განმავლობაში შემკვეთის სახლის შელესვა. ხელშეკრულების პირობათა თანახმად, შემკვეთი ყოველდღიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობიდან გამომდინარე შემსრულებელს აუნაზღაურებდა

შესრულებული სამუშაოს ღირებულებას. მეორე შემთხვევაში – აანაზღაურებდა ყოველთვიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულებას. მესამე შემთხვევაში – ანაზღაურება მოხდებოდა მხოლოდ სამუშაოს სრულად დამთავრების შემდეგ. ვინაიდან საგადასახადო კოდექსის 161-ე მუხლის 1-ელი ნაწილის, „ა" პუნქტის „ა.ბ." ქვეპუნქტის თანახმად, დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროდ ითვლება საქონლის მიწოდების ან მომსახურების გაწევის მომენტი, მაგრამ არა უგვიანეს მიმწოდებლის მიერ განხორციელებული საქონლის მიწოდებისათვის ან მომსახურების გაწევისათვის ანაზღაურების მოთხოვნის (ინვოისის) წარდგენის ან/და თანხის გადახდის ვალდებულების მომენტისა, შესაბამისად, სამივე შემთხვევაში დღგ-ის დარიცხვის მომეტი იქნება განსხვავებული.

XX.8. ნარდობის ხელშეკრულებაში დასაბეგრი ოპერაციის აქციზით დაბეგვრის მომენტის განსაზღვრა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ნარდობის ხელშეკრულების ობიექტის თავისებურებას, თუ მხედველობაში არ მივიღებთ გვაროვნულ და ინდივიდუალურ ნივთებს, განსხვავებულ მოწესრიგებას არ უქვემდებარებს. საგადასახადო კანონმდებლობა კი აქციზის გადასახადით დაბეგვრის ობიექტს უშუალოდ აკავშირებს საქონლის მკაცრად განსაზღვრული ჯგუფის მიმართ განხორციელებულ განკარგვასთან – დასაბეგრი ოპერაცია. საგადასახადო კოდექსის 183-ე მუხლის თანახმად, აქციზით დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი ოპერაცია – საქონლის იმპორტი, საქონლის ექსპორტი. თავის მხრივ, ამავე კოდექსის 184-ე მუხლი გვაწვდის აქციზის გადასახადით დასაბეგრი ოპერაციათა სახეების ჩამონათვალს, კერძოდ, სსკ-ის 184-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, დასაბეგრ ოპერაციად მიიჩნევა დამკვეთის ნედლეულით აქციზური საქონლის წარმოება. თავის მხრივ, დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროდ განისაზღვრება მწარმოებლის მიერ დამკვეთის ნედლეულით საქართველოში წარმოებული აქციზური საქონლის დამკვეთისათვის გადაცემის მომენტი.

მაგალითი №13

შპს „ლუდმა" შპს „ლუდის ტექნოლოგიას" ლუდის დამზადების მიზნით გადასცა სათანადო ნედლეული (ალაო, სვია, ქერი). შპს „ლუდის ტექნოლოგიამ" ნარდობის ხელშეკრულების პირობები ჯეროვნად შეასრულა და შესრულებული სამუშაოს შედეგი – ლუდი მიაწოდა დამკვეთს (შემკვეთს). შპს „ლუდის ტექნოლოგიამ" კონტრაჰენტისაგან გაწეული მომსახურების საკომპენსაციოდ ყოველ 100 ლიტრზე მიიღო შეთანხმებული საზღაური 100 ლარი. აღნიშნულ შემთხვევაში შპს „ლუდის ტექნოლოგიას" წარმოეშვება შემდეგი სახის საგადასახადო სამართლებრივი ვალდებულებები – მიღებულ კომპენსაციის თანხას უნდა დაერიცხოს დამატებული ღირებულების გადასახადის თანხა, ამასთან სსკ-ის 184-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტის, 185-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტისა და 188-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, მენარდე ვალდებულია შემკვეთისათვის გადაცემულ 1000 ლიტრ ლუდზე გადაიხადოს 400 ლარი აქციზის სახით.

კაზუსები

კაზუსი №1

დალი ხვედელიძემ სამკერვალო ატელიეს შეუკვეთა კაბის შეკერვა ატელიეს მასალით და წინასწარ გადაიხადა შეკვეთილი კაბის საფასური. კაბის შეკერვის პროცესში მენარდემ შემკვეთს მოსთხოვა თანხის დამატება იმ მოტივით, რომ კაბის შესაკერი მასალის ღირებულება გაიზარდა, რამაც, შესაბამისად, გამოიწვია ხარჯების გადიდებაც. დალი ხვედელიძემ უარი განაცხადა დამატებით თანხის გადახდაზე და სარჩელით მიმართა სასამართლოს მენარდის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების შესახებ.

რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სასამართლომ?

კაზუსი №2

გიორგი გოგიჩაიშვილმა სამშენებლო ფირმა „მშენებელთან" დადო საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების თანახმად სახლის მშენებლობა უნდა დამთავრებულიყო 2008 წლის ნოემბრის თვეში. აღნიშნულ ვადაში სახლის მშენებლობა ვერ დამთავრდა. გიორგიმ კიდევ ორი თვე მოიცადა და რადგან მშენებლობის დამთავრებას საშველი არ დაადგა, ახალი ხელშეკრულება დადო სხვა სამშენებლო ორგანიზაციასთან სახლის მშენებლობის დამთავრების შესახებ. იმავდროულად გიორგიმ მიმართა სასამართლოს სარჩელით და მოითხოვა ფირმა „მშენებლისაგან" ხელშეკრულებით განსაზღვრული მშენებლობის დამთავრების ვადის გადაცილებისთვის ყოველ გადაცილებულ დღეზე პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ფასის 0,5%-ის ოდენობით, ასევე მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება.

სასამართლოში საქმის განხილვისას ფირმა „მშენებლის" წარმომადგენელი არ დაეთანხმა შემკვეთის მოთხოვნებს შემდეგი გარემოებების გამო: ა) მშენებლობის დამთავრების შეფერხება გამოიწვია იმან, რომ ფირმა „მშენებელს" მისმა კონტრაგენტებმა დროულად ვერ მიაწოდეს სამშენებლო მასალები; ბ) ხელშეკრულებაში მითითე-

ბული არ იყო სამუშაოთა დამთავრების კონკრეტული თარიღი; გ) ხელშეკრულებაში არაფერი იყო ნათქვამი შეთანხმებულ ვადაში მშენებლობის დაუმთავრებლობის შემთხვევაში პირგასამტეხლოს გადახდის შესახებ; დ) მორალური ზიანის ანაზღაურება კი ხდება მხოლოდ პირადი არაქონებრივი ხასიათის უფლებების დარღვევისთვის, ხოლო ხელშეკრულება კი ამ შემთხვევაში ატარებს ქონებრივ ხასიათს.

რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სასამართლომ?

კაზუსი №3

ნარდობის ხელშეკრულებით ლეონიძეს რუხაძისათვის უნდა აეშენებინა აგარაკი. ლეონიძემ ააშენა აგარაკი და გადასცა რუხაძეს 2005 წლის 5 აგვისტოს. რუხაძემ აღმოაჩინა, რომ შესრულებულ სამუშაოს გააჩნდა ნაკლი, რამეთუ ჭერის სიმაღლე არ შეესაბამებოდა დამტკიცებულ პროექტს. მან პრეტენზია განუცხადა ლეონიძეს 2010 წლის 10 ოქტომბერს და მოსთხოვა ნაკლის გამოსწორება დამატებითი შესრულების სახით. ლეონიძემ რუხაძის ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ შემკვეთმა გაუშვა მენარდისათვის მოთხოვნის წაყენების ვადა. რუხაძემ მიმართა სარჩელით სასამართლოს და მოითხოვა ლეონიძისაგან შესრულებული სამუშაოს ნაკლის გამოსწორება, ასევე მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

კაზუსი №4

გიორგი ლომიძემ სამშენებლო ორგანიზაციის მუშაკებთან – ყიფიანთან, ძნელაძესთან და გიორგაძესთან დადო ხელშეკრულება, რომლებსაც მხარეებმა შრომის ხელშეკრულება უწოდეს. დადებული ხელშეკრულების მიხედვით, აღნიშნულ მუშებს გიორგი ლომიძის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთზე უნდა აეშენებინათ საცხოვრებელი სახლი როგორც ლომიძის სამშენებლო მასალით, ისე ნაწილობრივ თავიანთი ხის მასალით. თუ ვის რა და რა რაოდენობის მასალა უნდა მიეწოდებინა, გათვალისწინებულ იქნა ხელშეკ-

რულებით. სახლის მშენებლობის დამთავრების ვადად განისაზღვრა 20 ივნისი. 18 ივნისისათვის სამუშაო თითქმის მთლიანად იყო შესრულებული, დარჩა მხოლოდ უმნიშვნელო სახის შიდა კოსმეტიკური სამუშაო, მაგრამ იმ ღამით მოვიდა კოკისპირული წვიმა, რასაც თან მოჰყვა მეხის ჩამოვარდნა, გაჩენილმა ხანძარმა კი მნიშვნელოვნად დააზიანა თითქმის უკვე აშენებული სახლი, რომელიც თავიდან გახდა ასაშენებელი, რამეთუ სახლისაგან დარჩა მხოლოდ საძირკველი და კედლები. მუშებმა გიორგი ლომიძისაგან მოითხოვეს შეპირებული გასამრჯელოსა და დაღუპული ხის მასალის ღირებულების ანაზღაურება იმ მოტივით, რომ დადებული ხელშეკრულება არის არა შრომის, არამედ ნარდობის ხელშეკრულება, ლომიძემ უარი განაცხადა როგორც გასამრჯელოს გადახდაზე, რამეთუ სამუშაოს შედეგი მის მიერ მიღებულ არ იქნა, ასევე ხის მასალის ღირებულების ანაზღაურებაზე, რადგან იგი დაიღუპა მისი ბრალის გარეშე და, შესაბამისად, მასალის დაღუპვის რისკი მასალის მიმცემ მხარეს უნდა დაჰკისრებოდა.

ყიფიანმა, ძნელაძემ და გიორგაძემ სარჩელით მიმართეს სასამართლოს და მოითხოვეს ლომიძისაგან მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

კაზუსი №5

დათო მაჭავარიანმა სამშენებლო ორგანიზაციასთან დადო საცხოვრებელი სახლის აშენების ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით სახლი უნდა აშენებულიყო მდინარის ნაპირას. სამუშაო უნდა შესრულებულიყო მენარდის მასალით, ხოლო შემკვეთი კი კისრულობდა ვალდებულებას სამუშაოს შედეგის ჩაბარებისთანავე აენაზღაურებინა მასალის ღირებულება და გაწეული ხარჯები მენარდისათვის. მარტის თვეში მენარდემ მშენებლობის ადგილას მიიტანა სამშენებლო მასალები, მათ შორის 10 ტონა ცემენტიც, მაგრამ გაზაფხულზე ხშირმა კოკისპირულმა წვიმებმა გამოიწვიეს მდინარის ადიდება, იგი გადმოვიდა კალაპოტიდან და მთელი სამშენებლო მასალა დატბორა, რამაც უვარგისი გახადა ცემენტი თავისი

დანიშნულებით გამოსაყენებლად. მენარდემ მოსთხოვა შემკვეთს გაფუჭებული ცემენტის ღირებულების ანაზღაურება იმ მოტივით, რომ შემკვეთმა სახლის მშენებლობა შეუკვეთა მდინარის ნაპირთან ახლოს, მაშინ, როდესაც სახლი უნდა აშენებულიყო უფრო მოშორებით. შემკვეთმა უარი განაცხადა მენარდის ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ მენარდეს შეეძლო ცემენტი შეენახა სამშენებლო მიწის ნაკვეთის მეორე მხარეს, რომელიც უფრო მოშორებული იყო მდინარისაგან.

ექვემდებარება თუ არა მენარდის მოთხოვნა დაკმაყოფილებას?

კაზუსი №6

ფერმერულმა მეურნეობამ ხორცის გადამამუშავებელ კომბინატთან დადო ნარდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით ფერმერული მეურნეობა გადასცემდა ხორცის კომბინატს ოცდაათ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს დასაკლავად და მათი ხორცისაგან ქილებში კონსერვის დასამზადებლად. თავისი ვალდებულების შესასრულებლად ხორცის კომბინატმა დახმარება სთხოვა საკონსერვო ქარხანას. დამზადებული მოთუშული ხორცის კონსერვის მიღებისას, შემკვეთმა გახსნა ერთ-ერთი მათგანი და აღმოაჩინა, რომ მასში მოთავსებული ხორცი საკვებად უვარგისი იყო. საკონსერვო ქარხანამ აღიარა, რომ ერთ-ერთი მაცივარი გაუფუჭდა და ამან გამოიწვია დამზადებული ხორცის კონსერვის უმნიშვნელო ნაწილის გაფუჭება, ხოლო სხვა მაცივარში მოთავსებული კონსერვის ხარისხი შეესაბამებოდა დადგენილ სტანდარტებს. ფერმერული მეურნეობის წარმომადგენელმა საერთოდ უარი განაცხადა დამზადებული კონსერვის ქილების მიღებაზე და სარჩელით მიმართა სასამართლოს ხორცის კომბინატის მიმართ და მოითხოვა მისგან ოცდაათი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ღირებულებისა და ნარდობის ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

კაზუსი №7

საავადმყოფომ სამკერვალო ფაბრიკასთან დადო ნარდობის

ხელშეკრულება 1000 ცალი ზეწრის შეკერვის შესახებ. ხელშეკრულების მიხედვით, ზეწარი უნდა ყოფილიყო 150 x 200 სმ-ის ზომის და უნდა შეკერილიყო მენარდის მასალით. შემკვეთმა წინასწარ გადაიხადა სამუშაოს ღირებულება. სამკერვალო ფაბრიკამ ზეწრები, მართალია, შეკერა ხელშეკრულებით დათქმულ ვადაში, მაგრამ 140 x 190 სმ-ის ზომის, ხოლო ეკონომიის შედეგად დაზოგილი ფულადი თანხა კი დაურიგა თავის მუშებს პრემიის სახით. საავადმყოფომ სამკერვალო ფაბრიკას მოსთხოვა დაზოგილი თანხის უკან დაბრუნება ანდა იმ ზომის ახალი ზეწრების შეკერვა, როგორც ეს ნარდობის ხელშეკრულებაში იყო მითითებული.

ექვემდებარება თუ არა დაკმაყოფილებას შემკვეთის მოთხოვნები?

კაზუსი №8

გიორგი შელიამ დავით მაჭავარიანთან დადო ნარდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით დავითს გიორგისთვის უნდა აეშენებინა საკუჭნაო და შეეღება ეზოს მესერი გიორგის სამშენებლო მასალით. მენარდემ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს დასრულების შემდეგ დარჩენილი სამშენებლო მასალები გაყიდა და მიღებული თანხით შეიძინა ალკოჰოლური სასმელი. ყველაფერი ეს მოხდა გიორგი შელიას მეზობლების თანდასწრებით, რომლებმაც დაუყოვნებლივ შეატყობინეს გიორგის მომხდარის შესახებ. გიორგიმ ამ ამბის შეტყობისთანავე შეუმცირა მენარდეს გასამრჯელოს ოდენობა იმ თანხის ოდენობით, რომელიც მენარდემ მიიღო სამშენებლო მასალის უნებართვოდ გაყიდვის შედეგად და დაემუქრა მენარდეს, რომ თუკი იგი რაიმე პრეტენზიას განაცხადებდა, მაშინ გიორგი მიმართავდა სამართალდამცავ ორგანოებს მენარდის მიერ სამშენებლო მასალების მითვისების შესახებ.

მართლზომიერია თუ არა გიორგი შელიას მოქმედებები?

კაზუსი №9

ნარდობის ხელშეკრულებით ლიანა გაბელიამ სამკერვალო ატელიეში შეიკერა კაბა თავისი მასალით. შეკვეთილი სამუშაოს მიღებიდან ექვსი თვის შემდეგ კაბა გაირღვა და გამოუსადეგარი გახდა

ჩასაცმელად. ლიანამ მიმართა სამკერვალო ატელიეს და მოითხოვა მისგან კაბის ხელახლა შეკერვა გამძლე და არა ისეთი უხარისხო ძაფით, რომლითაც კაბა იქნა შეკერილი. სამკერვალო ატელიემ უარი განაცხადა დამატებითი სამუშაოს უსასყიდლოდ შესრულებაზე.

აქვთ თუ არა უფლება ლიანა გაბელიას მოითხოვოს შესრულებული სამუშაოს შედეგში აღმოჩენილი ნაკლის უსასყიდლოდ გამოსწორება?

კაზუსი №10

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ო. მოსიძემ ნარდობის ხელშეკრულება დადო ფერმერ დ. კიღურაძესთან. ხელშეკრულების მიხედვით დ. კიღურაძე კისრულობდა ვალდებულებას, რომ წინასწარ შეთანხმებული ფასის მიიხედვით, მოუხნავდა და დაუთესავდა ო. მოსიძეს ერთ ჰექტარ მიწის ნაკვეთს 2009 წლის 5 აპრილიდან 10 აპრილამდე ვადაში. დ. კიღურაძემ შეთანხმებულ ვადაში ვერ შეძლო თავისი ვალდებულების შესრულება იმ მიზეზით, რომ მწყობრიდან გამოვიდა სახნავი ტრაქტორი. ო. მოსიძე იძულებული შეიქნა დაედო ახალი ნარდობის ხელშეკრულება ი. მესხთან, რომელმაც ისარგებლა რა მოსიძეს გამოუვალი მდგომარეობით, ორჯერ უფრო მეტი გასამრჯელო მოსთხოვა შესასრულებელი სამუშაოსთვის, ვიდრე მოსიძეს კიღურაძისთვის უნდა გადაეხადა. მესხმა დათქმულ ვადაში ჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო.

ო. მოსიძემ მიმართა სარჩელით სასამართლოს და მოითხოვა დ. კიღურაძისაგან ფასებს შორის იმ სხვაობის ანაზღაურება, რომელიც წარმოიქმნა თავდაპირველად შეთანხმებულ გასამრჯელოსა და შემდეგ ი. მესხისათვის გადახდილ გასამრჯელოს ოდენობებს შორის იმ მოტივით, რომ დ. კიღურაძემ დათქმულ ვადაში არ შეასრულა ნარდობის ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული მოვალეობა.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

კაზუსი №11

ნარდობის ხელშეკრულებით ო. ცერცვაძემ სამკერვალო ატელიეს შეუკვეთა პიჯაკისა და შარვლის შეკერვა. სამუშაო უნდა შეს-

რულებულიყო ატელიეს მასალით. სამკერვალო ატელიემ შემკვეთს პიჯაკისა და შარვლის გარდა შეუკერა ჟილეტიც და მოსთხოვა შემკვეთს ჟილეტის ღირებულების ანაზღაურებაც. ო. ცერცვაძემ თანხმობა განაცხადა გადაეხადა პიჯაკისა და შარვლის ღირებულება, ხოლო ჟილეტის ღირებულების გადახდაზე კი უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ მხარეთა შორის დადებულ ნარდობის ხელშეკრულებაში საერთოდ არ ყოფილა საუბარი ჟილეტის შესახებ.

როგორ გადავწყვიტოთ დავა?

კაზუსი №12

ნათელა ჭოხონელიძემ სამკერვალო ატელიეს შეუკვეთა მის მიერ დამზადებული ესკიზის მიხედვით ქურქის შეკერვა. ხელშეკრულების მიხედვით ქურქი შეკერილი უნდა ყოფილიყო შემკვეთის მასალით 5 დღეში, რადგან შემკვეთი ხარგრძლივი სამსახურებრივი მივლინებით მიდიოდა საზღვარგარეთ, თანაც შემკვეთი შეუთანხმდა სამკერვალო ატელიეს ადმინისტრაციას, რომ გადაუხდიდა სამუშაოსთვის ორმაგ გასამრჯელოს თუკი ქურქი შეკერილი იქნებოდა შეთანხმებულ ვადაში. ქურქის შეკერვისას, მკერავმა მ. მაკარიძემ აღმოაჩინა, რომ შემკვეთის მიერ გადაცემულ შესაკერ მასალას ჰქონდა ლაქა, რომელიც ვერაფრით ვერ მოაშორა, ხოლო თუკი ქურქი შეკერილი იქნებოდა იმგვარად, როგორც შეკვეთილი იყო, იგი იქნებოდა ნაკლის მქონე, რამეთუ ზურგის მხარეს დაემჩნეოდა ლაქა. მ. მაკარიძე მრავალი მცდელობის მიუხედავად ვერანაირად ვერ დაუკავშირდა ნათელა ჭოხონელიძეს, რომ შეეტყობინებინა აღმოჩენილი ლაქის შესახებ და თანაც, რადგან შეკვეთის შესრულების ვადაც იწურებოდა, ამიტომაც მკერავმა შეკერა სხვა ფორმის ქურქი, რომელსაც, მართალია, ლაქა არ ემჩნეოდა, მაგრამ არსებითად განსხვავდებოდა შეკვეთილი ქურქისაგან.

ხელშეკრულებით დათქმულ ვადაში შემკვეთი მივიდა ნამუშევრის წამოსაღებად, მაგრამ, როდესაც მას შეკვეთილის ნაცვლად სულ სხვა ფასონის ქურქი გადასცეს, შემკვეთმა უარი განაცხადა მის მიღებაზე და ყურად არ იღო სამკერვალო ატელიეს წარმომადგენლის მოსაზრებები, თუ რატომ შეკერეს სხვა ფასონის ქურქი.

შემკვეთმა სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა სამკერვალო ატელიესაგან მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

კაზუსი №13

ზურაბ მაჭარაძემ ავეჯის საამქროსთან დადო ნარდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით ავეჯის საამქროს უნდა დაემზადებინა მისთვის საძინებელი ავეჯის გარნიტური მის მიერ მიტანილი ესკიზის მიხედვით. სამუშაო შესრულებული უნდა ყოფილიყო მენარდის მასალით. ხელშეკრულებით მხარეებმა განსაზღვრეს, რომ მასალა უნდა ყოფილიყო კაკლის ხის, სამუშაო უნდა შესრულებულიყო 2000 წლის 15 მაისისთვის, ამასთან, შემკვეთმა წინასწარ გადაიხადა შესრულებული სამუშაოს ღირებულების 50%. მენარდემ სამუშაო ფაქტობრივად შეასრულა 20 მაისისათვის. სამუშაოს შედეგის მიღებისას შემკვეთმა აღმოაჩინა, რომ საწოლის ერთი ფეხი სხვა ფორმის იყო, ვიდრე მეორე, ამიტომაც მოსთხოვა მენარდეს ნაკლის გამოსწორება და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების ვადის გადაცილებისათვის პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ გადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ფასის 3%-ის ოდენობით. ავეჯის საამქრომ შემკვეთის ამ მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა, უფრო მეტიც, თავის მხრივ, მოსთხოვა შემკვეთს შეთანხმებული გასამრჯელოს 50%-ით გაზრდა, იმ მოტივით, რომ ნარდობის ხელშეკრულების დადებიდან ათი დღის შემდეგ კაკლის ხის მასალა გაძვირდა 50%-ით.

ზურაბ მაჭარაძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მენარდისგან ნაკლის გამოსწორება.

რა გადასწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

კაზუსი №14

ნარდობის ხელშეკრულებით გია ხერკელაძემ იკისრა ვალდებულება გაეკრა არჩილ ოქრუაშვილის აბაზანაში კაფელის ფილები.

სამუშაო შესრულებულ იქნა მენარდის მასალით დათქმულ ვადაში. შემკვეთმა შესრულებული სამუშაო მოიწონა და მენარდეს გადაუხადა შეპირებული გასამრჯელო და კაფელის ფილების ღირებულება. სამუშაოს შესრულებიდან სამი დღის შემდეგ კედლიდან ჩამოვარდა ხუთი ცალი კაფელის ფილა, რომლებიც კაფელის იატაკზე დაცემისას დაიმსხვრა. ერთ-ერთი ფილა მახვილი კუთხით დაეცა აბაზანაში მობანავე არჩილს მუცელზე და მსუბუქად გაუჭრა კანი.

არჩილმა მოსთხოვა გიას უსასყიდლოდ გამოესწორებინა შესრულებული სამუშაოს ნაკლი. გია დათანხმდა, მაგრამ იმ პირობით, რომ არჩილი თვითონ იყიდდა საკუთარი სახსრებით დამტვრეული კაფელის ფილების ნაცვლად ახალს. არჩილმა ამაზე უარი განაცხადა, ხოლო გია უარს აცხადებდა თავისი სახსრებით შეეძინა ახალი კაფელის ფილები. არჩილმა სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მენარდისაგან გადახდილი გასამრჯელოს 50%-ის უკან დაბრუნება სამუშაოს უხარისხო შესრულებისთვის, რაც იმაში გამოიხატა, რომ მენარდემ კაფელის ფილებს დამჭერი წებო წაუსვა მხოლოდ შუაგულში და არა კუთხეებში, რამაც გამოიწვია კიდევაც ფილების ჩამოვარდნა.

ვალდებულია თუ არა არჩილი, რომ საკუთარი სახსრებით იყიდოს ახალი ფილები?

მართლზომიერია თუ არა არჩილის მოთხოვნა გადახდილი გასამრჯელოს 50%-ის უკან დაბრუნების შესახებ სამუშაოს არაჯეროვანი შესრულების გამო?

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

კაზუსი №15

დავით ლომიძემ გადაწყვიტა, რომ ჩაეტარებინა თავის საცხოვრებელ ბინაში მიმდინარე რემონტი ზაფხულში, შვებულების დროს. ამ მიზნით მან ნარდობის ხელშეკრულება დადო ირაკლი სიხარულიძესთან. ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობდა შეეღება თეთრი საღებავით შემკვეთის ბინაში კარ-ფანჯრები და ჭერი შემკვეთის მასალით, ხოლო შემკვეთი კი კისრულობდა ვალდებულას, გადაეხადა მენარდისათვის შეპირებული გასამრჯელო

სამუშაოთა წარმოების დამთავრებისთანავე. მუშაობის პროცესში, როდესაც მენარდე საღებავს ასხამდა გამხსნელ სითხეს, მას ხელიდან დაუვარდა ბოთლი, რომელშიც სითხე იყო მოთავსებული, სითხე დაიღვარა ხის იატაკზე და გამოიწვია იატაკის შეფერილობის გახუნება, ხოლო მეორე დღეს კი იატაკი ამოიყარა.

შემკვეთმა მოსთხოვა მენარდეს, რომ მას თავისი საკუთარი სახსრებით შეეძინა დაქცეულის ნაცვლად სხვა გამხსნელი სითხე, ასევე შეეკეთებინა დაზიანებული ხის იატაკი და მოეყვანა იგი პირვანდელ მდგომარეობაში. მენარდემ უარი განაცხადა და შეწყვიტა სამუშაოთა წარმოება. დავით ლომიძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ირაკლი სიხ'არულიძისგან სამუშაოთა არაჯეროვანი შესრულების გამო მიყენებული მატერიალური და შვებულების უსარგებლო დაკარგვის გამო მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

კაზუსი №16

ფეხის სისხლძარღვებით დაავადებულმა ლ. ქობალაძემ ფეხსაცმლის ატელიეს შეუკვეთა სპეციალური ფეხსაცმლის შეკერვა. ნარდობის ხელშეკრულების გაფორმებისას ქობალაძემ შეარჩია ნიმუშების მიხედვით შესაბამისი ფერის ტყავის მასალა და წინასწარ გადაიხადა როგორც მასალის, ისე შესასრულებელი სამუშაოს ღირებულება. მაგრამ ატელიემ შეთანხმებულ ვადაში შეკვეთა ვერ შეასრულა იმ მიზეზით, რომ არ ჰქონდა ქობალაძის მიერ შერჩეული ფერის შესაკერი ტყავის მასალა. დამატებით შეთანხმებულ ვადაში ატელიემ ფეხსაცმელი შეკერა, მაგრამ ლ. ქობალაძემ ფეხსაცმლის ფეხზე მორგებისას აღმოაჩინა, რომ მარჯვენა ფეხსაცმლის ყელი ვიწროა და ფეხი ვერ ეტეოდა თავისუფლად, თანაც ფეხსაცმლის გახდისას გაფუჭდა ელვა შესაკრავი.

ლ. ქობალაძემ მოსთხოვა სამკერვალო ატელიეს ადმინისტრაციას მარჯვენა ფეხსაცმლის მეორედ შეკერვა, რათა მასში ისევე თავისუფლად ჩაედგა ფეხი, როგორც მარცხენა ფეხსაცმელში.

ატელიეს ადმინისტრაცია არ დაეთანხმა ლ. ქობალაძის მოთხოვნას, შესთავაზა რა მას ახალი ფეხსაცმლის დამზადების ნაცვლად, უკვე დამზადებული მარჯვენა ფეხსაცმლისათვის ყელის გადაკეთება, რასაც არ დაეთანხმა შემკვეთი იმ მიზეზით, რომ გადაკეთება გამოიწვევდა ფეხსაცმლის ხარისხის გაუარესებას. ლ. ქობალაძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა სამკერვალო ატელიესაგან გადახდილი თანხის უკან დაბრუნება და ასევე მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

კაზუსი №17

შპს „რძის კომბინატმა" სამშენებლო ფირმა „მშენებელთან" 2009 წლის 10 აპრილს დადო ნარდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით მენარდეს შემკვეთის მასალით, შეთანხმებულ საზღაურად უნდა აეშენებინა საძეხვე საამქრო და დაემონტაჟებინა ძეხვის დამფასოებელი ხაზი. სამუშაოთა დასრულების ვადად განისაზღვრა 2009 წლის 10 ოქტომბერი.

სამუშაოთა წარმოების პროცესში მენარდემ შემკვეთის მიერ გადაცემულ ტექნიკურ დოკუმენტაციაში აღმოაჩინა შეცდომები და შეიტანა მასში ცვლილებები. ამ ცვლილებებმა გამოიწვია დამატებითი სამუშაოების განხორციელების საჭიროება, რამაც განაპირობა ხელშეკრულებით გათვალისწიებული ხარჯთაღრიცხვის 20%-ით გაზრდა. მენარდემ მოსთხოვა შემკვეთს დამატებითი ხარჯების ანაზღაურება, რაზეც შემკვეთმა უარი განაცხადა. მენარდემ შეაჩერა სამუშაოთა წარმოება, სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა შემკვეთისაგან ტექნიკური დოკუმენტაციაში დაშვებული შეცდომის შედეგად წარმოშობილი დამატებითი ხარჯების ანაზღაურება.

რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სასამართლომ?

კაზუსი №18

შპს „ფრინველმა" სამშენებლო ფირმა „მშენებელთან" 2008

წლის 5 აპრილს დადო ნარდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით მენარდე ვალდებულებას კისრულობდა შეთანხმებულ ვადაში აეშენებინა შემკვეთისთვის ახალი საფრინველე, ხოლო შემკვეთს დროულად უნდა მიეწოდებინა მენარდისათვის სამშენებლო მასალები და აენაზღაურებინა შესრულებული სამუშაო.

სამუშაოთა მიმდინარეობის პროცესში მენარდემ აღმოაჩინა, რომ შემკვეთის მიერ მიწოდებული აგური უხარისხოა, ხოლო ცემენტი კი გამოუსადეგარი გარეთა მოსაპირკეთებელი სამუშაოებისთვის. მენარდემ დაუყოვნებლივ შეატყობინა შემკვეთს გადაცემულ სამშენებლო მასალაში გამოვლენილი ნაკლის შესახებ და მოსთხოვა მისი შეცვლა ხარისხიანი მასალით, რამეთუ ნაკლის მქონე მასალის გამოყენების შემთხვევაში, შესრულებული სამუშაო უხარისხო იქნებოდა. შემკვეთმა მენარდეს უარი განუცხადა სამშენებლო მასალის შეცვლაზე იმ მოტივით, რომ მან ძვირად შეიძინა და მისი გამოცვლის სახსრები არ გააჩნდა. მენარდემ ამის შემდეგ ცალმხრივად შეწყვიტა ხელშეკრულება და მიმართა სასამართლოს სარჩელით – შემკვეთისაგან უკვე შესრულებული სამუშაოს ნაწილის ღირებულების ანაზღაურებისა და შეთანხმებული გასამრჯელოს გადახდის შესახებ. თავის მოთხოვნას მენარდე იმით ასაბუთებდა, რომ უხარისხო მასალით აშენებული საფრინველე ვერ გაუძლებდა სულ მცირე ძალის მქონე მიწისძვრასაც კი და ამიტომ მას არ სურდა, რომ შემდგომში პასუხისმგებლობა შენობის უხარისხოდ აშენებისთვის მას დაჰკისრებოდა. თავის მხრივ, შემკვეთმა მიმართა სასამართლოს მენარდის წინააღმდეგ შეგებებული სარჩელით და მენარდისაგან მოითხოვა ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

მართლზომიერია თუ არა მენარდის მოთხოვნა?

მართლზომიერია თუ არა შემკვეთის მოთხოვნა?

როგორ გადავწყვიტოთ დავა?

კაზუსი №19

შპს „მინამ“ სამშენებლო ფირმა „მშენებელთან“ 2009 წლის 10 მაისს დადო ნარდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით

მენარდეს შემკვეთისთვის შეთანხმებულ ვადაში უნდა აეშენებინა მინის ტარის მწარმოებელი ქარხანა, ხოლო შემკვეთს კი უნდა გადაეხადა მენარდისათვის შეთანხმებული საზღაური სამუშაო დამთავრების შემდეგ.

შემკვეთის მიერ გამოყოფილ სამშენებლო ტერიტორიაზე საძირკვლის გათხრის შემდეგ მენარდემ აღმოაჩინა, რომ მიწის გრუნტი მერყევი და ფხვიერი იყო და მისი გამაგრება საჭიროებდა დამატებით ხარჯებს. მენარდემ შეაჩერა სამუშაოთა წარმოება და შეატყობინა შემკვეთს, რომ არსებობდა მისგან დამოუკიდებელი გარემოება, რომელიც ხელს უშლიდა სამუშაოთა წარმოებაში და მოსთხოვა შემკვეთს ხარვეზების აღმოფხვრა ათი დღის ვადაში. შემკვეთმა მენარდეს დათქმულ ვადაში არ შეატყობინა პასუხი. ამის შემდეგ მენარდემ საკუთარი სახსრებით ჩაატარა გასამაგრებელი სამუშაოები, რისთვისაც გასწია ხარჯები და გააგრძელა სამუშაოთა წარმოება.

ქარხანა აშენებულ და ჩაბარებულ იქნა შემკვეთისათვის შეთანხმებულ ვადაში. შემკვეთმა გადაუხადა მენარდეს მხოლოდ თავდაპირველად შეთანხმებული გასამრჯელო. მენარდემ დამატებით მოსთხოვა შემკვეთს საძირკვლის გასამაგრებლად გაწეული გაუთვალისწინებელი ხარჯების ანაზღაურება, რაზედაც შემკვეთმა უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ მისი ანაზღაურება ხელშეკრულებით არ ყოფილა შეთანხმებული.

მენარდემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა შემკვეთისაგან დამატებითი გაუთვალისწინებელი ხარჯებისა და სამუშაოთა წარმოების ათი დღით შეჩერებისათვის მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურება. თავის მოთხოვნას მენარდე ასაბუთებდა იმით, რომ გასამაგრებელ სამუშაოთა ჩატარების გარეშე აშენებული ნაგებობა უმოკლეს დროში დაინგრეოდა.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

კაზუსი №20

სამკერვალო ფაბრიკამ სამშენებლო ფირმა „მშენებელთან" დადო ნარდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით მენ-

არდეს უნდა აეშენებინა საცხოვრებელი სახლი სამკერვალო ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებისათვის შემკვეთის მიერ გამოყოფილ მინის ნაკვეთზე შემკვეთისავე სამშენებლო მასალით, ხოლო შემკვეთი კი ვალდებულებას კისრულობდა დროულად მიეწოდებინა მენარდისათვის სამშენებლო მასალა და დამტკიცებული ტექნიკურ-საპროექტო დოკუმენტაცია, გადაეხადა შეპირებული გასამრჯელო სამუშაოთა ცალკეული ეტაპის დასრულებისთანავე. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დამთავრების ვადად განისაზღვრა 2006 წლის 7 ოქტომბერი.

მენარდემ შეძლო სამუშაოთა დამთავრება შეთანხმებულ ვადაში. შემკვეთმა სახლის ჩაბარებისას აღმოაჩინა, რომ ზოგიერთი ოთახის იატაკზე ხის პარკეტის ფილები არათანაბრად იყო დაგებული, ასევე უხარისხოდ იყო შელესილი კედლები, ხოლო ზოგიერთი ფანჯარა კი საერთოდ არ იღებოდა. შემკვეთმა უარი განაცხადა სახლის მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე მანამ, სანამ მენარდე საკუთარი სახსრებით უსასყიდლოდ არ გამოასწორებდა შესრულებულ სამუშაოში გამოვლენილ ნაკლს.

მენარდემ ცალმხრივად მოაწერა ხელი სამუშაოს ჩაბარების აქტს და დაურთო მას ორივე მხარის მიერ ხელმოწერილ სამუშაოთა ცალკეული ეტაპის წინასწარი მიღება-ჩაბარების აქტები. მეორე დღეს მოხდა მიწისძვრა, რასაც შედეგად მოჰყვა აშენებული შენობის ნაწილობრივი დაზიანება. შემკვეთმა მოითხოვა მენარდისაგან სახლის დაზიანებული ნაწილის უსასყიდლოდ შეკეთება. მენარდემ უარი განაცხადა როგორც დაზიანების უსასყიდლოდ გამოსწორებაზე, ასევე შემკვეთის მიერ შენობაში გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე იმ მოტივით, რომ წინასწარი ჩაბარების აქტებით შემკვეთს მიღებული აქვს სამუშაოს შედეგი, შესაბამისად, იგი არის მესაკუთრე და ამიტომაც შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკიც მას ეკისრება.

შემკვეთმა სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მენარდისაგან დამატებითი სამუშაოების განხორციელება მენარდის სახსრებით, ასევე მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება.

ვინ უნდა აანაზღაუროს შენობაში გამოვლენილი ნაკლის გამოსწორების ხარჯები?

ვინ უნდა აანაზღაუროს მიწისძვრის შედეგად შენობის დაზიანებული ნაწილის აღდგენის ხარჯები?

როგორ გადავწყვიტოთ დავა?

კაზუსი №21

დავით ნემსაძემ გაიგო, რომ მისი მეზობელი გია იმედაძე იღებს შეკვეთებს ხის ავეჯის დასამზადებლად. დავითი მივიდა გიასთან და მიუტანა სამზარეულოს ავეჯის ნახატი და შეეკითხა, შეეძლო თუ არა მას ამ ნახატის მიხედვით დავითისთვის დაემზადებინა ავეჯი. გიამ თანხმობა განაცხადა. დავითმა გიასთან დადო ნარდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით ავეჯი უნდა დამზადებულიყო მენარდის მიერ წაბლის ხის მასალით, ხოლო შემკვეთი კი კისრულობდა ვალდებულებას სამუშაოს შედეგის მიღების შემდეგ აენაზღაურებინა შესრულებული სამუშაოს ღირებულება 2500 ლარის ოდენობით.

ავეჯის დამზადების პროცესში გია წააწყდა გარკვეულ სირთულეებს ცალკეული დეტალის დამზადების დროს. ამიტომ მან თავის მხრივ, ივანე საყვარელიძესთან დადო ქვენარდობის ხელშეკრულება, რითაც ივანემ იკისრა ავეჯის იმ დეტალების დამზადება, რომელსაც ვერ ამზადებდა გია. გარდა ამისა, რადგან ასეთი ტიპის ავეჯს გია პირველად ამზადებდა, იგი იძულებული შეიქნა შეეძინა ახალი დაზგა.

ავეჯი დამზადებულ იქნა შეთანხმებულ ვადაში. როდესაც შემკვეთი მივიდა ავეჯის წამოსაღებად და მენარდისათვის გასამრჯელოს გადასახდელად, მენარდემ მას განუცხადა, რომ გასამრჯელოს სახით ეკუთვნოდა 4000 ლარი. თავისი მოთხოვნა მენარდემ იმით დაასაბუთა, რომ შეთანხმებული 2500 ლარი იყო მხოლოდ მიახლოებული თანხა, რადგან ავეჯის დამზადებისას მან გამოიყენა სხვა მენარდის შრომაც, რომელსაც გადაუხადა 500 ლარი, გარდა ამისა, შეძენილ დაზგაში გადაიხადა 1000 ლარი და, შესაბამისად, გასწია 4000 ლარის ხარჯი.

შემკვეთი არ დაეთანხმა მენარდის ამ მოთხოვნას იმ საფუძვლით, რომ ხელშეკრულების მიხედვით მენარდემ იკისრა სამუშაოს

შესრულება 2500 ლარად, ხოლო თუ მან უფრო მეტი ხარჯი გასწია, რეალურად, ამაში შემკვეთს არანაირი ბრალი არ მიუძღოდა.

მართლზომიერია თუ არა მენარდის მოთხოვნა და შემკვეთის მოქმედება მენარდის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ?

როგორ გადავწყვიტოთ დავა?

კაზუსი №22

ლამარა მსხილაძემ მიმართა სარჩელით სასამართლოს შპს „ქიმწმენდის" მიმართ ზიანის ანაზღაურების შესახებ. სასარჩელო განცხადებაში მოსარჩელე მიუთითებდა, რომ მოპასუხეს ნარდობის ხელშეკრულების საფუძველზე გასაწმენდად ჩააბარა ძვირადღირებული პიჯაკი, რომელიც გაწმენდის შედეგად ზოგიერთ ადგილას გაუფერულდა და გამოუსადეგარი გახდა გამოსაყენებლად.

სასამართლო სხდომზე მოპასუხე არ დაეთანხმა მოსარჩელის მოთხოვნას იმ მოტივით, რომ დადებულ ნარდობის ხელშეკრულებაში შემკვეთი გაფრთხილებულ იქნა წინასწარ იმის შესახებ, რომ ასეთი პიჯაკი გაწმენდის შედეგად ზოგჯერ ფერს იცვლის, მაგრამ შემკვეთმა მაინც მოითხოვა პიჯაკის გაწმენდა, ამიტომაც მენარდეს არ შეიძლება დაეკისროს არანაირი ზიანის ანაზღაურება, რამეთუ ასეთს რეალურად ადგილი არც ჰქონია.

მოსარჩელის მოთხოვნით, სასამართლომ დანიშნა ექსპერტიზა, რომელმაც დაადგინა, რომ პიჯაკი სხვადასხვაფრად, არათანაბარად იყო შელებილი. ექსპერტის დასკვნის მიუხედავად, სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა იმ მოტივით, რომ მისთვის ნარდობის ხელშეკრულებით წინასწარ იყო ცნობილი, რომ გაწმენდის შედეგად პიჯაკს შეიძლება ფერი დაჰკარგვოდა, მაგრამ მას უარი არ უთქვამს თავის შეკვეთაზე.

სწორი გადაწყვეტილება მიიღო თუ არა მოსამართლემ?

კაზუსი №23

გიორგი ბუზალაძემ დავით ხაჭაპურიძესთან დადო ნარდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით მენარდეს თავისი მა-

სალით უნდა ჩაეტარებინა შემკვეთის სამოთახიან ბინაში კოსმეტიკური რემონტი, ხოლო შემკვეთს კი უნდა გადაეხადა მენარდისათვის გასამრჯელო 1000 დოლარის ოდენობით. სამუშაო უნდა დაწყებულიყო 2009 წლის 10 ივნისს და დამთავრებულიყო 15 ივნისს.

2009 წლის 9 ივნისს დავითმა დაურეკა გიორგის, რომ სხვა საქმეზე წასვლასთან დაკავშირებით, ვერ მოახერხებდა სამუშაოს დაწყებას 10 ივნისს და სთხოვა შემკვეთს ვადის გადაწევა 14 ივნისისათვის. გიორგიმ ამაზე კატეგორიული უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ მან თავის ხარჯით აიღო ერთკვირიანი შვებულება და დავითს შეთანხმებულ დროს ელოდებოდა.

მენარდემ ვერ შეძლო სამუშაოს დაწყება 10 ივნისს და დაიწყო მხოლოდ 12 ივნისს და სამუშაო დაასრულა 2009 წლის 20 ივნისს. შემკვეთმა მას გასამრჯელოს სახით გადაუხადა 500 ლარი, ხოლო დანარჩენი 500 ლარის გადახდაზე უარი განუცხადა იმ მოტივით, რომ მენარდის მიერ სამუშაოს შესრულების ვადის გადაცილებით მან განიცადა ზიანი და ამ თანხას ზიანის ანაზღაურების ანგარიშში უქვითავდა.

მენარდემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა შემკვეთისაგან ხელშეკრულებით შეთანხმებული გასამრჯელოს გადახდა და მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასმართლო?

კაზუსი №24

შპს „მშენებელმა" სარჩელით მიმართა სასამართლოს კოოპერატივ „იმედისაგან" მიყენებული ზიანის სახით 10000 ლარის გადახდის მოთხოვნით. სასარჩელო განცხადებაში მოსარჩელე თავის მოთხოვნას იმით ასაბუთებდა, რომ მან მოპასუხესთან დადო ნარდობის ხელშეკრულება, რითაც მისთვის უნდა აეშენებინა რძის ნაწარმის გადამამუშავებელი საამქრო, ხოლო მოპასუხეს კი უნდა გადაეხადა შეპირებული გასამრჯელო შეთანხმებულ ვადაში. მოსარჩელემ სამუშაო ჯეროვნად და დროულად შეასრულა, ხოლო მოპასუხემ კი გადააცილა თანხის გადახდის ვადას ოცდაათი დღით. ნარდობის ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იყო პირსაგამტეხლოს გადახ-

და შემკვეთის მიერ ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის ყოველ გადაცილებულ დღეზე მთლიანი თანხის 0,5%-ის ოდენობით. მართალია, შემკვეთმა მენარდეს გადაუხადა პირსაგამტეხლო, მაგრამ მისმა ოდენობამ მთლიანად ვერ დაფარა ის ზიანი, რაც მენარდემ განიცადა და სხვაობამ შეადგინა 10000 ლარი.

მოპასუხე არ დაეთანხმა მოსარჩელეს მოთხოვნას იმ მოტივით, რომ პირსაგამტეხლო მან გადაიხადა სწორედ მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად და იგი აღარ არის ვალდებული დამატებით კიდევ რაიმე გადაუხადოს მოსარჩელეს.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

კაზუსი №25

2009 წლის 10 მაისს გიორგი კვიჟინაძესა და შპს „გზას" შორის დაიდო ნარდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით მენარდე კისრულობდა ვალდებულებას შემკვეთის სახლიდან გაეყვანა ერთი კილომეტრის სიგრძის მოასფალტებული გზა ცენტრალურ მაგისტრალთან დასაკავშირებლად, ხოლო შემკვეთი კი იღებდა ვალდებულებას გადაეხადა მენარდისათვის შეპირებული გასამრჯელო და აენაზღაურებინა შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

მენარდე ჯეროვნად ასრულებდა თავის ვალდებულებას, ხოლო შემკვეთმა კი ორჯერ გადააცილა თანხის ნაწილის გადახდის ვადებს. იმისათვის, რომ ამაღლებულიყო შემკვეთის პასუხისმგებლობა და შემდგომში მასაც დროულად უზრუნველეყო თავისი მოვალეობის შესრულება, მენარდემ მას მოსთხოვა ნარდობის ხელშეკრულებაში დამატებითი პირობის სახით შეეტანათ შემკვეთის მიერ პირსაგამტეხლოს გადახდის ვალდებულება შესრულებული სამუშაოს ღირებულების გადახდის ვადის გადაცილებისათვის ყოველ გადაცილებულ დღეზე დავალიანების თანხის 0,5%-ის დარიცხვის შესახებ. მენარდის ამ მოთხოვნაზე შემკვეთმა კატეგორიული უარი განაცხადა. უარის მიღების შემდეგ მენარდემ ცალმხრივად შეწყვიტა ხელშეკრულება და მოითხოვა შემკვეთისაგან როგორც შეპირებული გასამრჯელოს გადახდა, ისე მიყენებული ზიანის ანაზღაურება. თავის მხრივ, შემკვეთმა მოსთხოვა მენარდეს ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვე-

ტის შედეგად მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

როგორ გადავწყვიტოთ დავა?

კაზუსი №26

ნარდობის ხელშეკრულების მიხედვით, შემკვეთი ვალდებული იყო გადაეცა მენარდისათვის ასაშენებელი საცხოვრებელი სახლის ტექნიკურ-საპროექტო დოკუმენტაცია 2007 წლის 25 ივლისისთვის, რაც მან ფაქტობრივად განახორციელა მხოლოდ 29 ივლისს. 2007 წლის 10 სექტემბერს მენარდემ მიმართა შემკვეთს მოთხოვნით, გადაეხადა მისთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო ტექნიკურ-საპროექტო დოკუმენტაციის გადაცემის ვადის გადაცილებისთვის. მენარდის აზრით, გადაცილების ვადამ შეადგინა ორმოცდახუთი დღე, რამეთუ მისთვის 29 ივლისს გადაცემულ ტექნიკურ დოკუმენტაციაში არაფერი იყო მითითებული სამშენებლო მასალებისა და მოწყობილობების მიწოდების გრაფიკის შესახებ, რომლითაც მენარდეს უნდა აეშენებინა შენობა. ეს ხარვეზი კი შემკვეთმა მენარდის არაერთგზის მოთხოვნის მიუხედავად გამოასწორა და აღმოფხვრა მხოლოდ 8 სექტემბერს.

შემკვეთმა თანხმობა განაცხადა გადაეხადა პირგასამტეხლო ოთხი გადაცილებული დღისათვის – 25 ივლისიდან 29 ივლისამდე, თანაც მენარდეს განუცხადა, რომ, მართალია, გადაცემულ დოკუმენტაციაში არ იყო მითითებული სამშენებლო მასალებისა და მოწყობილობების მიწოდების გრაფიკი, მაგრამ ამას არავითარი გავლენის მოხდენა არ შეეძლო მენარდის მუშაობაზე, რამეთუ გრაფიკით გათვალისწინებული სამშენებლო მასალები და მოწყობილობები მენარდეს სჭირდება ოქტომბრისთვის, ხოლო რაც შეეხება გრაფიკის გადაცემის დაგვიანებას, ეს გამოიწვია იმან, რომ შემკვეთს უარი განუცხადა ფირმა „ცემენტმა", რომელთანაც მას ჰქონდა სამშენებლო მასალებისა და მოწყობილობების მოწოდების ხელშეკრულება და ამიტომაც შემკვეთი იძულებული გახდა სხვასთან დაედო სამშენებლო მასალებისა და მოწყობილობების ნასყიდობის ხელშეკრულება.

როგორ გადავწყვიტოთ დავა?

კაზუსი №27

გიორგი მჭედლიშვილმა სამშენებლო-სარემონტო ფირმა „სერვისთან" დადო ნარდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით მენარდეს შემკვეთის ხუთოთახიან ბინაში უნდა ჩაეტარებინა კოსმეტიკური სარემონტო სამუშაოები (ჭერის, იატაკის კარ-ფანჯრების შეღებვა, ორ საძინებელში კარ-ფანჯრის შეცვლა და ლინოლეუმის დაგება). მენარდემ სამუშაო შეასრულა ჯეროვნად, ხარისხიანად და დათქმულ ვადაში, ხოლო შემკვეთმა კი მას გადაუხადა შეპირებული გასამრჯელო.

ერთი თვის შემდეგ კი გიორგის ბავშვებს, ხოლო ცოტა მოგვიანებით კი მის მეუღლესაც დაეწყოთ სულის ხუთვა და სუნთქვის შეკვრა, რამაც თანდათანობით უფრო და უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო. გიორგის ცოლ-შვილმა მიმართა ექიმს, რომელმაც დაადგინა, რომ მათ სულის ხუთვასა და სუნთქვის შეკვრას იწვევს ქიმიური წარმოშობის მომწამლავი ნივთიერებების თავმოყრა. მოწამვლის წყაროს დასადგენად გიორგიმ დასახმარებლად მიმართა სანეპიდსადგურს, რომლის წარმომადგენლების მიერ გიორგის სახლში ჩატარებულმა ექსპერტიზამ დაადგინა, რომ მომწამლავ ქიმიურ ნივთიერებებს გამოყოფდა ფირმა „სერვისის" (ანუ მენარდის) მიერ დაგებული ლინოლეუმი, რამაც გამოიწვია სწორედ გიორგის ცოლ-შვილის დაავადება.

გიორგი მჭედლიშვილმა სარჩელით მიმართა სასამართლოს ფირმა „სერვისის" წინააღმდეგ და მოითხოვა მისთვის და მისი ოჯახის წევრებისათვის ჯანმრთელობის დაზიანებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, რომელიც გამოიწვია მენარდის მიერ მომწამლავი ნივთიერებების შემცველი ლინოლეუმის გამოყენებამ. სასამართლო სხდომაზე ფირმა „სერვისის" წარმომადგენელი არ დაეთანხმა მოსარჩელის მოთხოვნას იმ მოტივით, რომ ლინოლეუმის დამამზადებელი არის შპს „პლასტიკატი" და, შესაბამისად, მან უნდა აანაზღაუროს ზიანი, ხოლო რაც შეეხება თვითონ მას, მან ჯეროვნად და დათქმულ დროში შეასრულა ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო და მისთვის არ იყო ცნობილი გამოყენებული ლინოლეუმის ფარული მავნე თვისებების შესახებ.

როგორ გადავწყვიტოთ დავა?

ტესტები

№1

ნემსაძემ შეუკვეთა ივანიძეს ხის კარ-ფანჯრის დამზადება. სამუშაო უნდა შესრულებულიყო მენარდის მასალით. მენარდემ მასალის გადამუშავებისას აღმოაჩინა, რომ შემკვეთის მიერ გადაცემული მასალა უხარისხო იყო, თუმცა მაინც დაამზადა შეკვეთილი კარ-ფანჯარა, რადგან იწურებოდა სამუშაოს შესრულების ვადა. ნაკეთობის მიღებისას შემკვეთმა უარი განაცხადა მიღებაზე ნაკეთობის ნაკლის გამო. ამ შემთხვევაში აქვს თუ არა შემკვეთს ნაკეთობის ნაკლის გამო ნარდობის ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება?

ა.დიახ, რადგან ნაკეთობის ნაკლის გამო შემკვეთს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე;

ბ.არა, რადგან მენარდე მოვალეა დროულად გააფრთხილოს შემკვეთი, რომ შემკვეთისაგან მიღებული მასალა უხარისხო და გამოუსადეგარია;

გ.დიახ, რადგან ნაკეთობის ნაკლის გამო შემკვეთს შეუძლიაუარი თქვას ნაკეთობის მიღებაზე ან მოითხოვოს საზღაურის შემცირება;

დ.არა, რადგან ნაკეთობის ნაკლი გამოწვეულია შემკვეთის უხარისხო მასალით.

№2

ივანიძემ ნემსაძესთან დადო ნარდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების თანახმად, ნემსაძეს ივანიძისათვის უნდა დაემზადებინა საძინებელი ავეჯის გარნიტური. მენარდემ შეთანხმებულ ვადაში დაამზადა ავეჯი და გადასცა შემკვეთს. შემკვეთისათვის ავეჯის გადაცემიდან 14 თვის შემდეგ ავეჯს ამოაჩნდა ნივთობრივი ნაკლი. ამ შემთხვევაში რა ვადაში შეიძლება წარუდგინოს შემკვეთმა მენარდეს მოთხოვნა შესრულების ნაკლის გამო?

ა.სამი წლის მანძილზე შესრულებული სამუშაოს მიღების დღიდან;

ბ.ხუთი წლის მანძილზე შესრულებული სამუშაოს მიღების დღიდან;

გ.სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობა შეადგენს სამ წელს. ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ;

დ.ერთი წლის მანძილზე შესრულებული სამუშაოს მიღების დღიდან.

№3

რომელი მსჯელობაა მცდარი?

მენარდე მოვალეა დროულად გააფრთხილოს შემკვეთი, რომ:

ა.თუ შემკვეთის მითითება შესრულდება, ნამუშევარი არამტკიცე და გამოუსადეგარი იქნება;

ბ.არსებობს მენარდისაგან დამოუკიდებელი სხვა რამ გარემოება, რომელიც საფრთხეს უქმნის ნამუშევრის სიმტკიცესა და ვარგისიანობას;

გ.შემკვეთისაგან მიღებული მასალა უხარისხო და გამოუსადეგარია;

დ.თუ შემკვეთის მითითება შესრულდება, ნამუშევარი არამტკიცე ან გამოუსადეგარი იქნება;

№4

შემკვეთმა სამუშაოს დასრულებამდე მოშალა ნარდობის ხელშეკრულება. მენარდემ შემკვეთისაგან მოითხოვა როგორც ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს, ასევე ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. შემკვეთმა უარი განუცხადა მენარდეს ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე და გადაუხადა მენარდეს მხოლოდ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს საზღაური. მენარდემ სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა შემკვეთისაგან ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. სასამართლომ გადაწყვეტილებით უარი უთხრა მენარდეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ მას არ ჰქონდა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. სწორი გადაწყვეტილება მიიღო თუ არა სასამართლომ?

ა.დიახ, რადგან თუ შემკვეთი სამუშაოს დასრულებამდე უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მან უნდა აუნაზღაუროს მენარდეს მხოლოდ შესრულებული სამუშაო;

ბ.არა, რადგან ამ შემთხვევაში მენარდეს ჰქონდა ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება;

გ.დიახ, რადგან მენარდეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება მაშინ, თუ შემკვეთი არ მიიღებს შესრულებულ სამუშაოს;

დ.არა, რადგან შემკვეთი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი მაშინაც, როცა იგი არ ასრულებს სამუშაოს შესრულებისათვის აუცილებელ მოქმედებას.

№5

ნარდობის ხელშეკრულებით მენარდეს შემკვეთისათვის უნდა დაემზადებინა ნაკეთობა. დამზადებული ნაკეთობის შემკვეთისათვის გადაცემისას შემკვეთმა აღმოაჩინა, რომ ნაკეთობას ჰქონდა ნივთობრივი ნაკლი. შემკვეთმა მოითხოვა მენარდისაგან დამატებითი შესრულება ახალი ნაკეთობის დამზადების სახით. მენარდემ თავისი არჩევანით ახალი ნაკეთობის დამზადების ნაცვლად, აღმოფხვრა დამზადებულ ნაკეთობაში აღმოჩენილი ნაკლი. აქვს თუ არა მენარდეს უფლება, თავისი არჩევანით ახალი ნაკეთობის დამზადების ნაცვლად, აღმოფხვრას ნაკლი უკვე დამზადებულ ნაკეთობაში?

ა.არა, რადგან თუ ნაკეთობა ნაკლის მქონეა, შემკვეთს შეუძლია მოითხოვოს ახალი ნაკეთობის დამზადება;

ბ.დიახ, რადგან თუ ნარდობა მოიცავს რაიმე ნაკეთობის დამზადებას, მაშინ მენარდემ შემკვეთს უნდა წარუდგინოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნაკეთობა;

გ.არა, რადგან მენარდეს შემკვეთის თანხმობის გარეშე, არა აქვს უფლება ახალი ნაკეთობის დამზადების ნაცვლად, აღმოფხვრას ნაკლი დამზადებულ ნაკეთობაში;

დ.დიახ, თუ ნაკეთობა ნაკლის მქონეა, დამატებითი შესრულების მიზნით, მენარდეს შეუძლია თავისი არჩევანით ან აღმოფხვრას ნაკლი, ან დაამზადოს ახალი ნაკეთობა.

№6

ნარდობის ხელშეკრულება მოიცავდა მენარდის მიერ ნაკეთობის დამზადებას. შემკვეთისათვის დამზადებული ნაკეთობის გადაცემისას შემკვეთმა აღმოაჩინა ნაკეთობის ნაკლი, თუმცა მიიღო იგი მენარდისათვის პრეტენზიის განუცხადებლად. ნაკეთობის გადაცემიდან ერთი კვირის შემდეგ, შემკვეთმა მენარდეს მოსთხოვა ნაკლის გამოსწორება, რაზედაც მენარდემ უარი განაცხადა. მართლზომიერია თუ არა მენარდის მოქმედება?

ა. დიახ, რადგან თუ შემკვეთისათვის ნაკეთობის ნაკლი ცნობილია და იგი მაინც მიიღებს მას პრეტენზიის განუცხადებლად, მაშინ შემკვეთს არ წარმოეშობა მოთხოვნის უფლებები ამ ნაკლის გამო;

ბ. არა, რადგან თუ ნარდობა მოიცავს რაიმე ნაკეთობის დამზადებას, მაშინ მენარდემ შემკვეთს უნდა წარუდგინოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნაკეთობა;

გ. დიახ, რადგან ნარდობის ხელშეკრულებით შეიძლება გამოირიცხოს ან შეზღუდოს შემკვეთის უფლებები ნაკეთობის ნაკლის გამო;

დ. არა, რადგან სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი.

№7

ნარდობის ხელშეკრულებით მენარდეს შემკვეთის მასალით უნდა დაემზადებინა ნაბლის ხისაგან კარ-ფანჯარა. შემკვეთისათვის შესრულებული სამუშაოს შედეგის გადაცემამდე, დამზადებული კარ-ფანჯარა განადგურდა მეხის ჩამოვარდნის შედეგად გაჩენილი ხანძრის გამო. ვის ეკისრება შესრულებული სამუშაოსა და მასალის შემთხვევითი დაღუპვის და დაზიანების რისკი შემკვეთისათვის შესრულების გადაცემამდე?

ა. მენარდეს ეკისრება როგორც შესრულებული სამუშაოს, ასევე მასალის შემთხვევითი დაღუპვის და დაზიანების რისკი შემკვეთისათვის შესრულების გადაცემამდე;

ბ. მენარდეს ეკისრება შესრულებული სამუშაოს შემთხვევითი

დაღუპვის ან დაზიანების რისკი, ხოლო შემკვეთს კი ეკისრება მასალის შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკი;

გ. შემკვეთს ეკისრება როგორც შესრულებული სამუშაოს, ისე მასალის შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკი;

დ. შემკვეთს ეკისრება შესრულებული სამუშაოს შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკი, ხოლო მენარდეს კი – მასალის შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკი.

№8

მოთხოვნა შესრულების ნაკლის გამო, რომელიც ნაგებობას შეეხება, შემკვეთმა შეიძლება წარადგინოს:

ა.ერთი წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს მიღების დღიდან;

ბ.სამი წლის განმავლობაში შესრულებულ სამუშაოში ნაკლის აღმოჩენის დღიდან;

გ.ხუთი წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს მიღების დღიდან;

დ.უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს ექვს წელს იმ მომენტიდან, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

№9

ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო, რომ მენარდეს უნდა გადაეხადა პირგასამტეხლო, თუ ვალდებულებას არ შეასრულებდა დადგენილ დროში. მენარდემ გადააცილა ვალდებულების შესრულების დროს. შემკვეთმა მოითხოვა ვალდებულების შესრულებაც და პირგასამტეხლოს გადახდაც. მართლზომიერია თუ არა შემკვეთის მოთხოვნა?

ა.ნაწილობრივ, რადგან კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს მხოლოდ შესრულება;

ბ.დიახ, რადგან კრედიტორს ამ შემთხვევაში შეუძლია მოითხოვოს ვალდებულების შესრულებაც და პირგასამტეხლოს გადახდაც;

გ.არა, რადგან კრედიტორს არ შეუძლია ერთდროულად მოითხოვოს პირგა-სამტეხლოს გადახდაც და ვალდებულების შესრულებაც;

დ.დიახ, რადგან კრედიტორს შეუძლია ერთდროულად მოითხოვოს ვალდებულების შესრულებაც და ზიანის ანაზღაურება.

№10

ივანიძემ ნარდობის ხელშეკრულების საფუძველზე პეტრიაშვილს გადასცა შესრულებული სამუშაოს შედეგი – სამზარეულო ავეჯი. ნარდობის ხელშეკრულებაში მხარეები შეთანხმდნენ, რომ გამოირიცხებოდა მენარდის პასუხისმგებლობა, თუკი ავეჯს აღმოაჩნდებდა ნაკლი. ნაკეთობის გადაცემიდან სამ დღეში შემკვეთმა დამზადებულ ავეჯში აღმოაჩინა ნაკლი, რაც ამცირებდა მის სასარგებლო თვისებებს. შემკვეთმა მენარდეს მოსთხოვა ნაკლის გამოსწორება, რაზედაც უარი მიიღო იმ საფუძვლით, რომ ნარდობის ხელშეკრულებით გამორიცხული იქნა მენარდის პასუხისმგებლობა ნაკლის მქონე ნივთის დამზადებისას. მართლზომიერია თუ არა მენარდის უარი?

ა.დიახ, რადგან ნარდობის საგნის შემკვეთზე გადაცემის მომენტიდან მასზე გადადის გაფუჭების რისკი;

ბ.არა, რადგან დაუშვებელია ვალდებულების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმა წინასწარი შეთანხმებით;

გ.დიახ, რადგან ნარდობის ხელშეკრულებით შეიძლება გამოირიცხოს მენარდის პასუხისმგებლობა შემკვეთისათვის ნაკლის მქონე ნაკეთობის გადაცემისას;

დ.არა, რადგან თავისი შინაარსისა და ხასიათის გათვალისწინებით ვალდებულება შეიძლება ყოველ მხარეს აკისრებდეს მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებულ გულისხმიერებას.

ნარდობის ხელშეკრულების ნიმუშები
ხელშეკრულების ზოგადი სტრუქტურა

ყოველი ტიპის ხელშეკრულება ინდივიდუალური ხასიათისაა. შესაბამისად, ყოველ ცალკეულ ხელშეკრულებას შეიძლება განსხვავებული სტრუქტურა ჰქონდეს. მაგრამ არსებობს დებულებები, რომლებიც მეტ-ნაკლები სახესხვაობით, ხელშეკრულებათა უმეტესობაში გვხვდება. ხელშეკრულების ზოგადი სტრუქტურა შემდეგი სახის შეიძლება იყოს:

1. მხარეები, თარიღი, ადგილი;
2. პრეამბულა;
3. განმარტებები, დეფინიციები;
4. ხელშეკრულების საგანი;
5. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები;
6. მხარეთა პასუხისმგებლობა;
7. ფორსმაჟორი;
8. კონფიდენციალურობა;
9. დავათა გადაწყვეტა;
10. გამოსაყენებელი სამართალი (საერთაშორისო კერძოსამართლებრივ ხელშეკრულებებში);
11. დამატებითი/გარდამავალი დებულებები;
12. მხარეთა მისამართები და ხელმოწერები.

ნარდობის ხელშეკრულების პროექტი №1

უძრავი ნივთის დამზადების შესახებ ნარდობის ხელშეკრულება

ქ. თბილისი 30 ივნისი, 2012 წ.

შპს „მშენებელი" (შემდგომში „მენარდე"), რომელიც წარმოდგენილია წესდების საფუძველზე მოქმედი დირექტორის ---------- სახით, ერთის მხრივ, და ფიზიკური პირი ---------- (შემდგომში „შემკვეთი") მეორეს მხრივ, ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი.

1.1. შემკვეთი უკვეთავს, ხოლო მენარდე აუშენებს და საკუთრებაში გადასცემს შემკვეთს დამტკიცებული პროექტის მიხედვით 64 კვ.მ.-ის ოდენობის კომერციულ ფართს, ქ.თბილისში, „X"ქუჩაზე.

1.2. შემკვეთი კისრულობს ვალდებულებას გადაუხადოს მენარდეს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საზღაური და მიიღოს ნარდობის საგანი ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და პირობებით.

მუხლი 2. ნარდობის საგანი.

2.1. ნარდობის საგანი წარმოადგენს ქ. თბილისში „X"ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე, რომლის მახასიათებლებია: სარეგისტრაციო ზონა – თბილისი, კოდი – 01, სექტორი – მთაწმინდა, კოდი 15, კვარტალი – №03, ნაკვეთის №11/79, ნაკვეთის წინა №10/10, 13, 25. ნაკვეთის ფუნქცია – არასასოფლო-სამეურნეო, ფართობი 1999 კვ.მ., მშენებარე ნაგებობის არსებით შემადგენელ ნაწილს. ამ ფართის შესახებ ზუსტი მონაცემები ასახულია დანართ №1-ში დაფიქსირებულ ნახაზებში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.2.მენარდე გადასცემს შემკვეთს კომერციულ ფართს შემდეგ სტადიაზე:

ფართის კონტურის კედლები და/ან ვიტრაჟები

- ჭერის სიმაღლე მინიმუმ 3..3 მეტრი;
- ელ. გაყვანილობის დგარი ფართში (ინდივიდუალური მრიცხველით, რომელიც განთავსებულ იქნება ცალკე, სპეციალურად გამოყოფილ ოთახში);
- იატაკის მოჭიმვა;
- გათბობის, ვენტილაციისა და კონდიცირების სრული სისტემა;
- მოწესრიგებული საერთო სარგებლობის ფართი, ფასადი, სახურავი და საერთო სარგებლობის სველი წერტილები.

2.3 მენარდე ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მიწის ნაკვეთსა და შენობას განავითარებს დამოუკიდებლად, მათ შორის, აწარმოებს და დაასრულებს სამშენებლო და ნებისმიერი სხვა სახის სამუშაოებს, საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს შენობის პროექტის შეცვლას/კორექტირებას და ა.შ. შემკვეთი არ სარგე-

ბლობს შენობის ან/და მისი ნაწილის შეძენის უპირატესი უფლებით ან შენობის და/ან მისი ნაწილის დაქირავების (იჯარით აღების) უპირატესი უფლებით. თუ ამ მუხლში მოცემული ნებისმიერი ქმედებისთვის საჭიროა მისი თანხმობა/ნებართვა, ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით შემკვეთი ადასტურებს, რომ ნებისმიერი ასეთი თანხმობა/ნებართვა გაცემულია მენარდის სასარგებლოდ.

2.4 იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება ცდომილებას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფართსა და რეალურად გადასაცემ ფართს შორის მეტობით, შემკვეთი დამატებით აუნაზღაურებს მენარდეს სხვაობის თანხას, ხოლო თუ ცდომილება იქნება დაფიქსირებულ ფართსა და რეალურ ფართს შორის ნაკლებობი, მენარდე აუნაზღაურებს შემკვეთს სხვაობის თანხას.

მუხლი 3. ნარდობის საგნის ღირებულება და ანგარიშსწორების წესი.

3.1 ნარდობის საგნის ჯამური ღირებულებაა 128000 (ასოცდარვაათასი) დოლარის ექვივალენტი ლარებში გადახდის დღისათვის თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე დაფიქსირებული კურსის შესაბამისად დღგ-ს ჩათვლით.

3.2 ანგარიშსწორება მოხდება დანართი №2-ში მითითებული გრაფიკის შესაბამისად.

3.3. ნარდობის საგნის ღირებულების სრულად გადახდის შემდეგ შემკვეთი ნივთზე უფლების რეგისტრაციის უზრუნველსაყოფად, ამ ხელშეკრულებისა და გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარდგენით, მოახდენს საჯარო რეესტრში (უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრი) საკუთრების უფლების წინასწარ რეგისტრაციას.

3.3 გადახდა მოხდება ქვემოთ მითითებულ საბანკო ანგარიშზე. გადახდის დროს შემკვეთმა უნდა მიუთითოს ხელშეკრულების ნომერი და უნდა შეინახოს გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. გადახდა იწარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების გზით, დ.ღ.გ.-ს ჩათვლი, შემდეგ საბანკო ანგარიშზე:

შპს „მშენებელი"

მიმღები ბანკი: ს/ს „ ბანკის" ცენტრალური ფილიალი

ბანკის კოდი:

ა/ნ: ----------

მუხლი 4. ქონების გადაცემის დრო და ადგილი.

4.1 ქონების გადაცემის ადგილია მისი ადგილსამყოფელი.

4.2ქონების მფლობელობაში გადაცემა მოხდება სამშენებლო სამუშაოების დამთავრებისთანავე, არაუგვიანეს ოთხი თვისა. ზუსტი თარიღის თაობაზე მენარდე წინასწარ ატყობინებს შემკვეთს.

4.3 შენობის ექსპლუატაციაში ჩაბარება მენარდის მიერ მოხდება არაუგვიანეს 2013 წლის 30 დეკემბრისა.

4.4იმ შემთხვევაში, თუ შენობის დასრულება და ექსპლუატაციაში მიღება არ განხორციელდება 4.3 მუხლით გათვალისწინებულ ვადაში და ნარდობის საგნის გადაცემა შემკვეთისათვის დაგვიანდა, აღნიშნული არ ჩაითვლება „მენარდის" მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევად და არ გახდება ხელშეკრულების ფასის, ან ნარდობის საგნის მიღებაზე უარის თქმის, ან ამ ხელშეკრულებაზე უარის თქმის ან მოშლის საფუძველი, თუ დაგვიანება გრძელდება მითითებული თარიღიდან არაუგვიანეს ოთხი თვის განმავლობაში, რომელიც შეიძლება საჭირო იქნეს კომერციული ცენტრის საბოლოო იერსახის დასასრულებლად.

4.5 ფართის საკუთრებაში გადაცემა მოხდება ქონების ღირებულების სრულად გადახდის შემდეგ, მაგრამ არა უადრეს პუნქტ 4.2.-ში აღნიშნული ვადისა, (ზუსტი თარიღი წინასწარ ეცნობება შემკვეთს).

4.6 ქონებაზე მფლობელობის გადაცემა განხორციელდება ორმხრივი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით, რომელსაც ხელს მოაწერს შემკვეთი და მენარდე. აქტის ხელმოწერის შემდეგ შემკვეთზე გადადის ქონების დაზიანების ან სხვა შესაძლო რისკები.

4.7 მენარდე შესაძლებელს გახდის შემკვეთის შესვლას სამშენებლო უბანზე, სადაც მდებარეობს შენობა, წინასწარ შეთანხმებულ დროს და მხოლოდ მენარდის წარმომადგენლის თანდასწრებით.

4.8 მშენებლობის განმავლობაში მენარდის მიერ მოხდება შენობის, რომელშიც მდებარეობს ფართი, ჩაკეტვა საჭირო დროის განმავლობაში იმ მიზნით რომ განხორციელდეს შიდა მოსაპირკეთებელი და სამონტაჟო სამუშაოები. ამ ხნის მანძილზე შემკვეთს შეზღუდული ექნება შენობაში შესვლის უფლება. ამის თაობაზე მენარდე წი-

ნასწარ, 1 კვირით ადრე შეატყობინებს შემკვეთს მშენებარე შენობაზე განცხადების გამოკვრით.

მუხლი 5. ქონების გადაცემასთან დაკავშირებული ხარჯები.

5.1„შემკვეთი" იღებს ყველა ხარჯს, რომელიც დაკავშირებულია ხელშეკრულების დადებასთან და უძრავი ქონების მის სახელზე საჯარო რეესტრში რეგისტრაციასთან.

მუხლი 6. ნარდობის საგნის მიღებისა და შემკვეთზე საკუთრების გადაცემის წესი

6.1 მენარდის მიერ აშენებული ნარდობის საგანი უნდა იყოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო და მისი მიღება ხდება მხარეთა მიერ მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერით.

6.2 შემკვეთის განცხადება ნაკლის შესახებ არ აძლევს მას უფლებას უარი თქვას ხელშეკრულებაზე.

6.3 ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში მენარდე ვალდებულია 10 დღის ვადაში უსასყიდლოდ გამოასწოროს ყველა აღმოჩენილი ნაკლი.

6.4 მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ მიღება-ჩაბარების აქტის ორივე მხარის მიერ ხელმოწერის შემდეგ შემკვეთი (შემკვეთები) უფლებამოსილია წარადგინოს ხელმოწერილი აქტი ამ ხელშეკრულებასთან ერთად საჯარო რეესტრში და მოახდინოს ნარდობის საგანზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. ნარდობის საგნის გასხვისება. უპირატესი შესყიდვის უფლება.

7.1 ნარდობის საგნის გადაცემის შემდეგ, „შემკვეთის" მიერ ნარდობის საგნის ან მისი ნაწილის გასხვისების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, „შემკვეთი" ვალდებულია წერილობით აცნობოს „მენარდეს" ამის თაობაზე ღირებულების მითითებით, რადგან „მენარდეს" გააჩნია ნასყიდობის საგნის უპირატესი შეძენის უფლება სხვა შესაძლო „მყიდველებთან" შედარებით.

7.2"შემკვეთის" წერილობითი შეტყობინების მიღებიდან ათი

კალენდარული დღის ვადაში „მენარდე""ვალდებულია წერილობით შეატყობინოს „შემკვეთს" თავისი გადაწყვეტილება ნარდობის საგნის შეძენის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში „შემკვეთი" უფლებამოსილია სხვა პირს მიჰყიდოს ნასყიდობის საგანი ან მისი ნაწილი, ამასთან, სხვა პირთან დადებულ ხელშეკრულებაში შეთანხმებული ნასყიდობის საგნის ღირებულება არ უნდა იყოს „მენარდისათვის" შეთავაზებულ ღირებულებაზე ნაკლები.

მუხლი 8. ხელშეკრულების მოქმედება

8.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე, ხოლო საკუთრების უფლების შემკვეთზე გადასვლა ხდება მისი საჯარო რეესტრში რეგისტრაციისთანავე.

8.2 მენარდეს უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულებზე ცალმხრივად, თუ შემკვეთი გადააცილებს გადახდის გრაფიკს და მენარდის მიერ წერილობითი შეტყობინებით მიცემული 3 კვირიანი დამატებითი ვადა უშედეგოდ გავა. ამ შემთხვევაში მენარდე უკან უბრუნებს შემკვეთს გადახდილ თანხას ამ ხელშეკრულებით დადგენილი საურავისა და პროცენტების გამოკლებით. თანხის ანაზღაურება ხდება მხოლოდ ფართის გაყიდვის შემდეგ.

8.3 შემკვეთს უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულებაზე ღირებულების სრულ გადახდამდე, ამასთან მას გადახდილი თანხა (ხელშეკრულებით გათვალისწინებული საურავისა და პროცენტების გამოკლებით) აუნაზღაურდება მხოლოდ ფართის გაყიდვის შემდეგ.

მუხლი 9. მომსახურება, მომსახურების საფასური

9.1 შენობის და ნარდობის საგნის მომსახურების განხორციელების მიზნით, ნარდობის საგნის გადაცემიდან ან/და შენობის ექსპლუატაციაში შესვლიდან არაუგვიანეს ოცდაათი კალენდარული დღისა, მხარეები იღებენ ვალდებულებას დადონ მომსახურების ხელშეკრულება დანართი №3-ის მიხედვით.

9.2 მენარდე იმავდროულად წარმოადგენს შენობის ოპერატორს. მხარეები აცნობიერებენ და თანხმდებიან, რომ მენარდის მიერ შენობის და მისი ცალკეული ნაწილების მოვლის, მართვისა და ოპერირების მიზნით, ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახ-

ურების განხორციელება აუცილებელია ნარდობის საგნის მოვლისა და ჯეროვანი გამოყენებისთვის.

9.3.მომსახურების გაწევა განხორციელდება უშუალოდ მენარდის ან/და მის მიერ დაქირავებული სხვა პირების მიერ.

9.4 შემკვეთი თანახმაა, რომ მენარდემ განახორციელოს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურება, რომლისთვისაც იგი გადაუხდის მენარდეს მომსახურების საფასურს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით.

9.5 მომსახურება მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით: (ა) შენობისა და ძირითადი მოწყობილობების სარემონტო სამუშაოები; (ბ) წყლით მომარაგების სისტემისა და კანალიზაციის გამართულობა; (გ) ნარდობის საგნის გათბობის, ელექტროენერგიით მომარაგების, ჰაერის კონდიცირებისა და ვენტილაციის უზრუნველყოფა, შენობის წყალმომარაგებისა და გამდინარე წყლების კანალიზაციის გამართულობა, შენობის საერთო ტერიტორიების, გარე ფანჯრების, ლიფტების, ექსკალატორების და საერთო გამოყენების ფართის მოვლა და დასუფთავება, შენობის ზედამხედველობა, უსაფრთხოება და კონტროლი, შენობის საზედამხედველო/დაცვის სამსახურის ჩათვლით; (დ) შესაბამისი დაზღვევა,როგორიცაა, შენობის და პასუხისმგებლობის დაზღვევა; (ე) მიწის ნაკვეთის და შენობის საერთო უბნებისა და მოწყობილობების, ასევე სხვა დამხმარე მოწყობილობების შენარჩუნებასა და ოპერირების ხარჯები, თოვლისაგან გაწმენდა, ნარჩენების გატანა, ავტოსადგომის შენახვა და შეკეთება, ნარჩენების ლიკვიდაცია და იმ ოფიციალურ ნორმებთან შესაბამისობა, რაც მოქმედებს შენობის ოპერირებასთან მიმართებით; (ვ) შენობის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული სხვა მომსახურება.

9.6 მომსახურების საფასური გამოთვლილი იქნება მენარდის მიერ შენობაში კომპანიის წილის პროპორციულად და ინვოისის სახით წარედგინება შემკვეთს გადასახდელად ყოველთვიურად, ყოველი მომდევნო თვის 5 რიცხვამდე. შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს მომსახურების საფასური, მენარდის მიერ ინვოისის წარდგენიდან სამი (3) საბანკო დღის ვადაში. გადახდა უნდა განხორციელდეს საბანკო გადარიცხვების გზით. იმ შემთხვევაში, თუ გადახდის დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, გადახდა განხორციელ-

დება უახლოეს სამუშაო დღეს. გადახდა ჩაითვლება განხორციელებულად, როდესაც შემკვეთი მიიღებს გადახდილ თანხას თავის საბანკო ანგარიშზე.

9.7შემკვეთის მიერ საერთო მოწყობილობების გამოუყენებლობა (როგორიცაა, მაგალითად, ლიფტი) არ გაათავისუფლებს შემკვეთს თავისი წილი მომსახურების საფასურის გადახდისაგან.

მუხლი 10. მხარეთა პასუხისმგებლობა.

10.1ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

10.2მენარდე იძლევა გარანტიას, რომ ქონება ნამდვილად მას ეკუთვნის, მოპოვებული აქვს კანონიერი გზით, არ არსებობს არავითარი პრეტენზია ან სარჩელი სასამართლოში ან არბიტრაჟში ქონების საკუთრების უფლებაზე.

10.3 შემკვეთი გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, დამოუკიდებლად ბრალისა, უხდის მენარდეს გადასახდელილი თანხის წლიური 16%-ის დღიურ პროპორციულ წილს ყოველ დაგვიანებულ დღეზე. ათვლა დაიწყება გრაფიკით გათვალისწინებული ვადის გადაცილების დღიდან.

10.4მენარდე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფართის გადაცემის ვადის დარღვევის შემთხვევაში უხდის შემკვეთს გადახდილი თანხის წლიური 16%-ის დღიურ პროპორციულ წილს ყოველ დაგვიანებულ დღეზე. ათვლა დაიწყება ხელშეკრულებით გათვალისწინებული დამატებითი ვადის გასვლის შემდეგ.

10.5 თუ შემკვეთის მიერ გადახდილი თანხა არ იქნება საკმარისი ვალდებულების და საურავის საერთო თანხის დასაფარად, ჯერ იფარება საურავი და შემდეგ ძირითადი ვალდებულების თანხა.

10.6 თუ ერთ-ერთი მხარე დაარღვევს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას, ვალდებულია მეორე მხარეს აუნაზღაუროს ამ ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ნებისმიერი სახის ზიანი.

10.7ნარდობის საგნის შემკვეთისათვის გადაცემამდე სამი თვით

ადრე „შემკვეთი" უფლებამოსილია საკუთარი ხარჯით დაიწყოს ნარდობის საგნის შიდა მოწყობის სამუშაოები და შიდა რემოდელირება, რომელიც უნდა დასრულდეს ნარდობის საგნის გადაცემიდან სამი თვის ვადაში. შიდა სამუშაოები და შიდა რემოდელირება წინასწარ, წერილობით შეთანხმებულ უნდა იყოს „მენარდესთან" და შესაბამისობაში უნდა იყოს შენობის პროექტისა და კანონმდებლობის მოთხოვნებთან. შიდა მოწყობის სამუშაოები და შიდა რემოდელირება არ უნდა ცვლიდეს შენობის არქიტექურულ სახეს, ფასადს, აგრეთვე ნარდობის საგნის ფორმას, მზიდი კედლების განლაგებას, „მენარდის" მიერ აშენებული შიდა კედლების და ინფრასტუქტურის (ელექტრობა, გათბობის სისტემა, ვენტილაცია, უსაფრთხოების მოწყობილობა და ა.შ.) განლაგებას. მხარეთა შეთანხმებით, შიდა მოწყობისა და რემოდელირების სამუშაოები შესაძლოა განახორციელოს „მენარდემ" „შემკვეთის" ხარჯით.

10.8 ნარდობის საგნის „შემკვეთისათვის" გადაცემის შემდეგ, „შემკვეთი" იღებს ვალდებულებას შეინარჩუნებს ნარდობის საგანი კარგ მდგომარეობაში და მიიღოს საჭირო ხანძარსაწინააღმდეგო, სანიტარული და სხვა ზომები. შენობის შენახვის, მოვლისა და შენარჩუნებისათვის საჭირო ყველა სახის სამუშაოს შესახებ ეცნობება „მენარდეს".

10.10 „შემკვეთი" პასუხისმგებელია ნარდობის საგნის რეგულარული შენახვისათვის, მათ შორის ზიანის აცილებასა და იმ დამდგარი ზიანის სწრაფ ლიკვიდაციაზე, რომელმაც შესაძლოა რაიმე ზეგავლენა იქონიოს ნარდობის საგანზე ან/და შენობის მდგომარეობაზე. 10.11 „შემკვეთი" ასევე ვალდებული იქნება აღმოფხვრას ნებისმიერი ზიანი, რომელიც მიადგება შენობას მისი ან/და მასთან დაკავშირებული პირების მიერ.

10.12 შემკვეთი ვალდებულია სარემონტო სამუშაოების წარმოებისას ხელი არ შეუშალოს მისი მეზობელი ფართის მესაკუთრეთა სარემონტო სამუშაოებს ან კომერციული ფართების ფუნქციონირებას, არ გამოიწვიოს დასაშვებზე მეტი ხმაური ან მტვერი, ასევე სარემონტო სამუშაოების წარმოების ყოველი დღის ბოლოს დაასუფთაოს მისი ფართის მოსაზღვრე და მიმდებარე ტერიტორია და დროულად გაიტანოს ნარჩენები. აღნიშნული მოქმედებები განახ-

ორციელოს მომსახურების ხელშეკრულებაში მითითებულ დროსა და საშუალებებით.

10.13 შემკვეთი ვალდებულია ტიხრების აშენებისას გამოიყენოს მხოლოდ გიფსოფილა.

10.14 მენარდე არ არის პასუხისმგებელი იმ ზიანზე, რომელიც ფართში განხორციელებული სარემონტო სამუშაოების შედეგად შემკვეთის ან მესამე პირის მიერ მიადგება შენობის გათბობის სისტემასა და შესაბამისად ამის გამო საკუთარ და/ან მეზობელ ფართებს (ავტოსადგომს). ზიანის მიმყენებელი ვალდებულია დაუყონებლივ, საკუთარი ხარჯით აღმოფხვრას მიყენებული ზიანი.

10.15 შემკვეთს ეკრძალება კომერციული ფართის შემდეგი დანიშნულებით გამოყენება:

- საზ/კვების ობიექტების მოწყობა;
- ქარხანა, საამქრო;
- არაპირადი მოხმარების საწყობი;
- საცხოვრებელი ფართი;
- სამედიცინო-სამკურნალო ხასიათის დაწესებულების განთავსება;
- სამორინე, პოკერ კლუბი, საბილიარდო, აზარტული სათამაშო ავტომატების ან სხვა მსგავსი მოწყობილობების განთავსება, დისკოთეკა.
- ნებისმიერი სხვა სახით ობიექტის განთავსება, რომლის ფუნქციონირება გამოიწვევს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმაზე მეტი ხმაური ან კვამლის გავრცელებას.
- შემკვეთს ასევე ეკრძალება კომერციულ ფართში ბანკომატის განთავსება.

10.16. შემკვეთი კისრულობს ვალდებულებას, ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე არ აწარმოოს:

– ალათების, მოაჯირების და ფასადის სხვა ელემენტების შეცვლა;

– დარაბები „გისოსების, როლადების, ჟალუზების დამონტაჟება;

– კონდინცირების და გათბობის დანადგარების დამონტაჟება;

– სხვადასხვა დანიშნულების კონსტრუქციების დამონტაჟება;

– ფასადის რომელიმე ელემენტის (მათ შორის ფანჯრების ჩარ-

ჩოების, გისოსების, მოაჯირების, დარაბების) სხვა ფერად შეღებვა (ან სხვა ფერით შეცვლა);

– ფასადის შეკეთება – რემონტი;

– ახალი მაჩვენებელი ნიშნების და სხვა ელემენტების დამონტაჟება;

– სხვა ნებისმიერი ცვლილების შეტანა ფასადის იერსახეში.

– საერთო სარგებლობის ფართის ამოშენება გადატიხვრა;

– საერთო სარგებლობის ფართის ელემენტების (იატაკი, კედლები, მოაჯირი, საფეხურები და ა.შ.) კედლების სხვა ფერად შეღებვა;

– საერთო სარგებლობის ფართში განათების დამონტაჟება;

– ვიტრაჟის კარის ან მისი რომელიმე ელემენტის შეცვლა ან სხვა ფერად შეღებვა;

– საერთო სარგებლობის ფართში ნებისმიერი გაყვანილობის და კაბელების დამონტაჟება;

– საერთო სარგებლობის ფართში მეტლახის სხვა მეტლახით შეცვლა.

მუხლი 11. ფორს-მაჟორი

11.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ვალდებულებების სრული და ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

11.2 „დაუძლეველი ძალის" ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობდნენ წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დროს და რომელთა დადგომა და ზემოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ, კერძოდ, წყალდიდობა, მიწისძვრა, ომი და საომარი მოქმედებები.

11.3 თუ ნებისმიერმა ზემოთნახსენებმა გარემოებებმა უშუალოდ იმოქმედეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადებზე, მაშინ ეს ვადები ამ გარემოებების მოქმედების დროს თანაბარზომიერად გაიზრდება.

11.4 მხარემ, რომლისთვისაც ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო შეუძლებელი შეიქმნა ვალდებულებების შესრულე-

ბა ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში არაუგვიანეს ხუთი დღისა ამ გარემოებების დადგომიდან და დასრულებიდან წერილობით აცნობოს მეორე მხარეს.

11.5 შეუტყობინებლობის და/ან დაგვიანებული შეტყობინების შემთხვევაში მხარე კარგავს უფლებას, დაეყრდნოს ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველს.

11.6 შეტყობინებაში მითითებული ფაქტები დადასტურებულ უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ. დადასტურება არ არის საჭირო, თუ აღნიშნული ფაქტები ცნობილია საზოგადოდ.

11.7 თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება ერთ თვეზე მეტხანს, მხარეები უფლებამოსილნი არიან შეცვალონ ხელშეკრულება. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს სასამართლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12. საავტორო უფლება

12.1 მენარდე აცხადებს, რომ მას შპს „მშენებელი"არის საავტორო უფლების მქონე შენობაზე და მის პროექტზე და რომ მას აქვს უფლება შეიტანოს ცვლილებები პროექტში შემკვეთის ნებართვის გარეშე, ეს არ ეხება ფართის პროექტს. შემკვეთს არა აქვს უფლება ისარგებლოს აღნიშნული პროექტით მენარდის თანხმობის გარეშე.

მუხლი 13. განსაკუთრებული პირობა.

13.1 მხარეები შეთანხმდნენ რომ შენობის გარე და შიდა სარეკლამო სივრცე ეკუთვნის მენარდეს და შემკვეთს მასზე არ შეიძლება გააჩნდეს რაიმე უფლება.

13.2 იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ შენობაში ჩამოყალიბდება კანონმდებლობით არჩეული ფართის მესაკუთრეთა ამხანაგობა და არჩეული იქნება ამხანაგობის თავმჯდომარე, მენარდე თანახმაა, რომ წინამდებარე ხელშეკრულებაში „შემკვეთი"ჩაანაცვლოს ამხანაგობამ, თუ სხვა ანალოგიურ ხელშეკრულებებშიც მოხდება ამდაგვარი ჩანაცვლება და შესაბამისად დაჯამდება მომსახურების თანხა.

13.3 შენობის მე-2 სართულზე მოეწყობა თანამედროვე სტანდ-

არტებით შექმნილი საცალფეხო ხიდი, რომელიც დააკავშირებს კომერციულ ცენტრს მომიჯნავე სავაჭრო ცენტრის მიმდებარე ტერიტორიასთან.

მუხლი 14. კონფიდენციალურობა

მხარეები ვალდებულნი არიან არ გაახმაურონ კონფიდენციალური ინფორმაცია ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში და მის დასრულების შემდეგაც 1 წლის განმავლობაში, მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. კონფიდენციალური ინფორმაცია გულისხმობს ხელშეკრულების შინაარსს და ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

მუხლი 15. დავის გადწყვეტა

15.1 მხარეთა შორის წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა და უთანხმოება გადაწყდება მოლაპარაკების გზით.

15.2შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საქმეს განიხილავს სასამართლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 16. დამატებითი დებულებები

16.1 შემკვეთი იღებს ვალდებულებას ხელი მოაწეროს მომსახურების ხელშეკრულებას მენარდის მიერ ხელშეკრულებაზე თანდართული დანართის ფორმით.

16.2 წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად. ერთი ინახება მენარდესთან, ერთი შემკვეთთან.

16.3 ყოველი ცვლილება და დამატება წინამდებარე ხელშეკრულებაში ნამდვილია, მისი წერილობითი გაფორმებისა და მხარეთა ხელმოწერის შემთხვევაში.

16.4 ყველა შეტყობინება ამ ხელშეკრულებით ითვლება გაგზავნილად, თუ ის გაიგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ მხარის მისამართზე, ან ჩაბარდა მხარეს ხელზე.

16.5 ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებული მხარეთა ურთ-

იერთობა რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით და კანონით და ყველა სახის ზეპირი მოლაპარაკება ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით იურიდიული ძალის არმქონეა.

მუხლი 17. მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები:
მენარდე:

მენარდე:
შემკვეთი:

ნარდობის ხელშეკრულების პროექტი #2

ნარდობის ხელშეკრულება /კვლევითი სამუშაოების წარმოებაზე/

25 მაისი, 2015 წელი

წინამდებარე ხელშეკრულება (შემდგომში „ხელშეკრულება") დადებულია არაკომერციული (არასამეწარმეო) იურიდიული პირი რეგისტრირებული კავშირი „ბუნება," შემდგომში „შემკვეთად" წოდებული, რომელიც წარმოდგენილია კავშირის წესდების საფუძველზე მოქმედი გამგეობის თავმჯდომარის ---------- სახით, ერთის მხრივ და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება – „ინსტიტუტი" (შემდგომში „შემსრულებელი") წარმოდგენილი დირექტორის ---------- მეორეს მხრივ.

ვეყრდნობით რა თანასწორუფლებიანობის, კანონიერების, ნებაყოფლობითობისა და პარტნიორობის პრინციპებს, ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში აღნიშნული ტერმინების განმარტება

1.1. „ნებართვა" – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე შემსრულებლისათვისკანონით დადგენილი პირობების დაკმაყოფილების საფუძველზე მინიჭებული განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების უფლება

1.2. „ფორს-მაჟორული გარემოებები" -ხნძარი, სტიქიური უბე-

დურებები, საომარი და სამხედრო მოქმედებები და ა.შ., ანუ გარემოებები, რომლებიც მხარეთა ნების გარეშე შეუძლებელს ხდიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულებას.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

კვლევითი სამუშაოების განხორციელება

2.1. შემსრულებელი ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული საზღაურის (გასამრჯელოს) მიღების პირობით კისრულობს ვალდებულებას შეასრულოს შემდეგი სახის სამუშაოები:

2.2. სამუშაოების ჩამონათვალი დაერთვის ხელშეკრულებას, რომელიც წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2.3. შემკვეთი უხდის შემსრულებელს საზღაურს ნაწილ-ნაწილ, რომლის ოდენობა განისაზღვრება ამ უკანასკნელის მიერ ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოთა მოცულობის მიხედვით.

მუხლი 3. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები.

3.1. შემსრულებელი ვალდებულია:

3.1.1 კვლევითი სამუშაოების წარმოებისას იმოქმედოს საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3.1.2 სამუშაოს დაწყებამდე მიიღოს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისაგან ნებართვა კვლევითი სამუშაოების წარმოებაზე და მათი ასლები წარუდგინოს შემკვეთს.

3.1.3 კვლევითი სამუშაოების ჩამონათვალისა და მათი წარმოების ვადების ნებისმიერი ცვლილება წინასწარ შეათანხმოს შემკვეთთან.

3.1.4 მისცეს შემკვეთს აუცილებელი ინფორმაცია, ხოლო ამ უკანასკნელის მოთხოვნით – მიაწოდოს ცნობები კვლევების მიმდინარეობის შესახებ, შესრულების შემდეგ კი ჩააბაროს მას ანგარიში 5 კალენდარული დღის ვადაში.

3.1.5 დაიცვას შემკვეთის კომერციული საიდუმლოება.

3.1.6.კვლევითი სამუშაოების წარმოებისას მხედველობაში მიიღოს (გაითვალისწინოს) შემკვეთის დასაბუთებული მითითებები.

3.1.7.შემსრულებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემკვეთს იმ დამატებითი ხარჯების ანაზღაურება, რომელიც მას წარმოეშვა შემკვეთის მითითების მიღებისა და შესრულების გამო. მოთხოვნა არ არსებობს, თუ გაუთვალისწინებელი ხარჯები შემსრულებლის ბრალითაა გამოწვეული

3.2. შემკვეთის უფლებები და ვალდებულებები.

3.2.1. შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს შემსრულებელს საზღაური ამ ხელშეკრულების პ.2.3.-ითა და პ.4-ით დადგენილი წესის მიხედვით.

3.2.2 შემკვეთი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს კვლევითი სამუშაოების მიმდინარეობისას/ან შემდგომში შეამოწმოს საკუთარი ძალებით/ან სპეციალისტების დახმარებით შემსრულებლის მიერ შესრულებული სამუშაოები.

მუხლი 4. ანგარიშსწორების წესი.

4.1. ამ ხელშეკრულების მეორე მუხლით გათვალისწინებული სამუშაოების საორიენტაციო ფასი (ღირებულება) შეადგენს 15000 (თხუთმეტი ათასი) ლარს, რომელიც განსაზღვრულია შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით სამუშაოთა მოცულობების შესაბამისად.

4.2 ჩატარებული კვლევითი სამუშაოების შესახებ შემსრულებელი ყოველთვიურად ადგენს წერილობით აქტს, რომლის ნამდვილობა დადასტურებული უნდა იყოს მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

4.3 ხელშეკრულების 4.1 პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოების ღირებულებას შემკვეთი უხდის შემსრულებელს ყოველთვიურად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების თაობაზე ხელმოწერილი წერილობითი აქტის წარმოდგენიდან ხუთი საბანკო დღის ვადაში.

მუხლი 5. მხარეთა პასუხისმგებლობა.

5.1 ზოგადი დებულებები.

5.1.1. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულების მიხედვით თავისი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არასათანადო

შესრულებისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5.1.2. თითოეულმა მხარემ სათანადოდ (ჯეროვნად და კეთილსინდისიერად) უნდა შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები და ყველანაირი დახმარება გაუწიოს მეორე მხარეს.

5.1.3. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ნაწილობრივი ან სრული შეუსრულებლობისათვის, თუ ასეთი შეუსრულებლობა გამოუწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით (დაუძლეველი ძალა). თუ მხარეებს ამ გარემოებების გასვლის შემდეგ კიდევ ექნებათ ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესრულების ინტერესი, შესრულების ვადები გადაიწევს აღნიშნულ გარემოებათა მოქმედების ვადით.

5.1.4. ხელშეკრულების შესრულების ხელშემშლელ ფორს-მაჟორული გარემოებების შესახებ მხარემ მეორე მხარეს დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს წერილობით და საამისოდ დადგენილი ფორმით. შეტყობინება ითვლება სათანადოდ გაგზავნილად, თუ იგი ადრესატს გადაეცემა კურიერის მეშვეობით, ან დაზღვეული წერილით, ან ფაქსით ამ ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე და ხელმოწერილი იქნება უფლებამოსილი პირის მიერ.

5.1.5. შემსრულებელი ვალდებულია შემკვეთს აუნაზღაუროს მისი ბრალით გამოწვეული ზიანი, რომელიც მიყენებულია ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით.

5.1.6 ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში, მეორე მხარეს უფლება აქვს წერილობითი გაფრთხილების შემდეგ ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

მუხლი 6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

6.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს სამი თვის ვადით.

6.2. ხელშეკრულება ხელმოწერის მომენტისათვის წარმოადგენს მხარეთა შორის მიღწეულ ამომწურავ შეთანხმებას და აუქმებს მხარეთა შორის დადებულ ყველა წინარე შეთანხმებას.

6.3. ხელშეკრულების შემდგომი ცვლილება და დამატება შესა-

ძლებელია ნებისმიერ დროს მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ეს დამატება და ცვლილება ნამდვილი იქნება წერილობითი ფორმის დაცვისა და მხარეთა ხელმოწერის შემდეგ.

6.4. ნებისმიერი სახის დანართები, დამატებები და ცვლილებები, წარმოადგენენ ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

6.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად; თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს. თითოეულ მხარესთან ინახება ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი.

მუხლი 7. დავის გადაწყვეტის წესი

7.1.ამ ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა დავებს, უთანხმოებებსა და პრეტენზიებს მონაწილეები მოლაპარაკებების გზით წყვეტენ.

7.2 ხელშეკრულების შესრულების დროს წარმოშობილი პრეტენზიები წერილობითი ფორმით წარდგენილი უნდა იყოს ასეთი საფუძვლის აღმოჩენიდან შვიდი დღის ვადაში.

7.3. პრეტენზიის წარდგენის თარიღად ითვლება საფოსტო ორგანიზაციის შტემპელის თარიღი, რომელიც მეტყველებს წერილის მიღებაზე.

7.4. მხარე, რომელმაც მიიღო პრეტენზია, ვალდებულია განიხილოს ისინი და პასუხი გასცეს პრეტენზიის არსზე (დაადასტუროს თანხმობა მის სრულ ან ნაწილობრივ დაკმაყოფილებაზე ან შეატყობინოს მისი დაკმაყოფილების სრულ ან ნაწილობრივ უარზე) არა უგვიანეს 5 დღისა პრეტენზიის მიღების თარიღიდან.

7.5. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავაზე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად მხარე (ეები) მიმართავს(ენ) სასამართლოს.

მუხლი 8. მხარეთა მისამართები და ხელმოწერები.

„შემკვეთი“ „შემსრულებელი“

RESUME

Zurab Dzlierishvili

Employment Contract's Law Nature

Georgian Laws recognize one of the foundermental principles of the Private Law, such as the Sides' Private Autonomy. In the condition of the Civil Society and the Market Economic, when there is a private property on the means of production, the Private Autonomy makes economic advances and the fundation of the material wellfare. Civil Low makes a profitable way for the private interests and initiatives. It's expressed by the free contract that is affirmed by the Civil Code, paragraph 319, part one, "The representatives of the Private Law can make a free contract and assign its contet accoarding to the Law. They can also make contracts which are neither in the Law non against it".

free principle of contract in Georgian Civil Code is expressed by two forms:

a) making a contract freely; b) contract's free content.

Contracts have been made according to the Georgian Civil Code, may be divided into Four groups: 1. property assignation contracts; 2. profit assignation contracts; 3. Job implementing contracts; 4. servicing contracts.

Employment Contract is legal according to the Georgian Civil Code. It like Purchase Contract is the most spreading contract in the commodity _ money turnover sphere Employment regulates the relationships in the process of production as it's connected to the emplyer's obligation _ to the job and give the client the result of the job as a concreted payment.

Moving to the market Economic in Georgia increases considerably the opportunity of effective uasge the Employment Contract. It also expands its area. It may be not only making things but reconstracting, changing, repairing and building them. It consists of building the international and local meaning roads, ports, gastubes, etc. It is the sphere where we can use the Employment Contract. Georgian Civil Code pays great attenion to the justific regulation of Employment in the paragraphs 629-656.

In this work on the basis of Comparable Law mathods, doctrins and

studing the Court practice, are discussed the subjects which are connected to the employment theorically and practically, the are: the originate and development of Employment Contract; Employment Contract's notion; main features; the condition of reality, defferences between Employment, Purchase, Labour and Service Contracts; the sides of the Employment Contract's rights and obligations (the first and the second demands), responsibility for breaking taken obligation of the Employment Contract; the periods of remoteness relating to the Employment.

In this book it's also examined developed countries (Germany, France, Switzerlend, England, the USA). Laws and practice relating to the Employment Contract; in 1980 years United Nations `Convention on Contracts~, marking off the Employment and Purchase Contracts. The book will help those who are interested in these subjects make no difference they are theorists or practicians.

ბიბლიოგრაფია

ქართულ ენაზე[1138]

ახვლედიანი, ზურაბ, ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 1999. (ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი)

ბურდული, ირაკლი, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი მეორე, თბილისი, 2013. (ბურდული, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი მეორე)

ბიოლინგ ჰაინ/, ლუტრინგჰაუს, პეტერ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, ბრემენი-თბილისი, 2004-2009. (ბიოლინგი/ლუტრინგჰაუსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი)

ბიოლინგ, ჰაინ/, ჭანტურია, ლადო, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, II-ე გამოცემა, თბილისი, 2004. (ბიოლინგი/ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, II-ე გამოცემა)

გაბისონია, ზვიად, ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, მეორე გამოცემა, თბილისი, 2011. (გაბისონია, ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, მეორე გამოცემა)

გაგუა, ილონა, მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, თბილისი, 2013. (გაგუა, მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში)

გარიშვილი, მარინა, დავით გიორგის-ძე ბაგრატიონის (ბატონიშვილის) პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებანი, თბილისი, 2004. (გარიშვილი, დავით გიორგის-ძე ბაგრატიონის (ბატონიშვილის) პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებანი)

გეგენავა, ავთანდილ, ნარდობის ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, თბილისი, 2015 წელი. (გეგენავა, ნარდობის ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი)

გოგიაშვილი, გიორგი, Clausula Rebus Sic Stantibus, დინამიკა და

[1138] ფრჩხილებში მითითებულია ტექსტში გამოყენებული ციტირების ფორმა.

სტატიკა სამართალში, „ქართული სამართლის მიმოხილვა", 9/2006-1/2.

გოლოშვილი, გივი, შრომის სამართალი, თბილისი, 2000. (გოლოშ-ვილი, შრომის სამართალი)

დუნდუა მზია, დელიქტური პასუხისმგებლობისა და სახელშეკ-რულებო პასუხისმგებლობის თანაფარდობა, თსუ იურიდიული ფაკულტეტის „სამართლის ჟურნალი", #1, 2009.

დუმბაძე, მარიამ, ნარდობის ხელშეკრულება, როგორც შრომი-თი ხელშეკრულების დადების გვერდის ავლის საშუალება, შრომის სამართლის სტატიათა კრებული, თბილისი, 2014.

ვაშაკიძე, გიორგი, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდე-ბულებათა სისტემა, თბილისი, 2010. (ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექ-სის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა)

ვაშაკიძე, გიორგი, კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქა-ლაქო კოდექსის მიხედვით – აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, „ქართული სამართლის მიმოხილვა", #10, 2007.

ზაალიშვილი, ვახტანგ, სამომხმარებლო და შრომითი ხელშეკ-რულებების კოლიზიურ-სამართლებრივი ასპექტები, „ქართული სამართლის მიმოხილვა", #7, 2004.

ზარანდია, თამარ, სახელშეკრულებო ვალდებულების შეს-რულების ადგილი და ვადები, თბილისი, 2005. (ზარანდია, სახელშეკ-რულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები)

ზოიძე, ბესარიონ, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქა-რთველოში, თბილისი, 2005. (ზოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია)

ზოიძე, ბესარიონ, რეცენზია იაკობ ფუტკარაძის სადოქტორო დისერტაციაზე „ქართული ვალდებულებითი სამართლის ინსტი-ტუტები", ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია", #1, 2002.

ზოიძე, ბესარიონ, ქართული სანივთო სამართალი, თბილისი, 2003.

თოდუა, მზია/ვილემსი, ჰუუბ, ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 2006. (თოდუა,ვილემსი, ვალდებულებითი სამართალი)

იოსელიანი, ნინო, ხელშეკრულების განმარტება, თბილისი, 2008.

(იოსელიანი, ხელშეკრულების განმარტება)

იოსელიანი, ალექსანდრე, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში (შედარებითი-სამართლებრივი გამოკვლევა), „ქართული სამართლის მიმოხილვა", სპეციალური გამოცემა, 2007.

კანდელჰარდი, რ, რეალური შესრულება თუ ზიანის ანაზღაურება: საერთაშორისო კონსესუსი? სერგო ჯორბენაძის 70 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბილისი, 1996.

კერესელიძე, დავით, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009. (კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები)

კობახიძე, ავთანდილ, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2001.(კობახიძე, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი)

კროპჰოლერი, იან, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, თბილისი, 2014 წელი. (კროპჰოლერი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასნავლო კომენტარი)

ლაზარაშვილი, ლალი, სასამსახურო ხელშეკრულება საწარმოს დირექტორთან. პარტნიორი და დირექტორი შიდასაზოგადოებრივ ურთიერთობებში, თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, თბილისი, 2009.

ლილუაშვილი,თენგიზ, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბილისი, 2005. (ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა)

მაჩალაძე, სოფო, ზიანის ანაზღაურება ვალდებულების დარღვევისას (საქართველოს და გერმანიის კანონმდებლობათა შედარებითი ანალიზი). „ქართული სამართლის მიმოხილვა", სპეციალური გამოცემა, თბილისი, 2004.

ნადარაია/როგავა/ბოლქვაძე/რუხაძე, საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბილისი, 2012.

როგავა, ზვიად, გადასახადები, საგადასახადო სისტემა და საგადასახადო სამართალი, თბილისი, 2003

ქარდავა, ეკატერინე, შრომისა და ნარდობის ხელშეკრულების ურთიერთმიმართების საკითხისათვის, თსუ იურიდიული ფაკულტე-

ტის „სამართლის ჟურნალი“, #2, 2009.

ქოჩაშვილი, ქეთევან, ბრალი, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა, თსუ იურიდიული ფაკულტეტის „სამართლის ჟურნალი“, #1, 2009.

შოთაძე, თამარ, იპოთეკა, როგორც საბანკო კრედიტის უზრუნველყოფის საშუალება, თბილისი, 2012. (შოთაძე, იპოთეკა, როგორც საბანკო კრედიტის უზრუნველყოფის საშუალება)

ჩაჩავა, სოფიო, მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, თბილისი, 2010. (ჩაჩავა, მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში)

ჩაჩავა, სოფიო, მყიდველის მეორადი უფლებების შედარებითი სამართლებრივი ანალიზი, ჟურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, თბილისი, 2004.

ჩიტოშვილი, თამარ, ვალდებულებით-სამართლებრივი და სანივთო-სამართლებრივი უფლებების ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტი, მართლმსაჯულება, #1, 2007.

ჩიტაშვილი, ნათია, შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორედ მოთხოვნებზე (შედარებითი ანალიზი),თბილისი, 2015. (ჩიტაშვილი, შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორედ მოთხოვნებზე)

ჩიტაშვილი, ნათია, ბრალის მნიშვნელობა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის, თსუ იურიდიული ფაკულტეტის „სამართლის ჟურნალი“, #1, 2009.

ჩიტაშვილი, ნათია, შეცვლილი გარემოებებით წარმოშობილი შესრულების გართულება და შეუძლებლობა, თსუ იურიდიული ფაკულტეტის „სამართლის ჟურნალი“, #2, 2012.

ჩიკვაშვილი, შალვა, მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2000. (ჩიკვაშვილი, მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში)

ცვაიგერტი, კონრად/კიოტცი, ჰაინ, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, მეორე ტომი,

თბილისი, 2001. (ცვაიგერტი/კიოტცი, შედარებითი სამართალმ-ცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, მეორე ტომი)

ძამუკაშვილი, დავით, შრომის სამართალი, თბილისი, 2013 წელი. (ძამუკაშვილი, შრომის სამართალი)

ძლიერიშვილი, ზურაბ, (თანაავტორობით), კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2015. წიგნი გამოცემულია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით. ელექტრონული ვერსიის ჩამოტვირთვა შესაძლებელია ვებ გვერდიდან: www.giz.de/law-caucasus

ძლიერიშვილი,ზურაბ, (თანაავტორობით), სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014. (ძლიერიშვილი (თანაავტორობით), სახელშეკრულებო სამართალი)

ძლიერიშვილი, ზურაბ, (თანაავტორობით), სამოქალაქო საპროცესო სამართალი (პირველი ნაწილი), სახელმძღვანელო, თბილისი, 2014. (ძლიერიშვილი (თანაავტორობით), სამოქალაქო საპროცესო სამართალი)

ძლიერიშვილი, ზურაბ, ვალდებულების შესრულების ნავარაუდევი და გონივრული ვადები, პროფესორ აკაკი ლაბარტყავას 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კრებული (გვ.151-178), თბილისი, 2013.

ძლიერიშვილი, ზურაბ, ვალდებულების შესრულებაზე უარის სამართლებრივი ბუნება, პროფესორ ბესარიონ ზოიძის 60 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კრებული (გვ.296-314), თბილისი, 2013.

ძლიერიშვილი, ზურაბ, ნარდობის ხელშეკრულების გამიჯვნა სხვა მსგავსი ხელშეკრულებებისაგან, პროფესორ რომან შენგელიას 70 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კრებული (გვ.314-329), თბილისი, 2012.

ძლიერიშვილი, ზურაბ, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, თბილისი, 2011. (ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება)

ძლიერიშვილი, ზურაბ, ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება, თბილისი, 2010. (ძლიერიშვილი, ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრი-

ვი ბუნება)

ძლიერიშვილი, ზურაბ, ვალდებულებითი სამართალი (კაზუსები და ტესტები), თბილისი, 2009.

ძლიერიშვილი, ზურაბ, სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები, თბილისი, 2007. (ძლიერიშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები)

ძლიერიშვილი, ზურაბ, ნასყიდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, თბილისი, 2010. (ძლიერიშვილი, ნასყიდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება)

ძლიერიშვილი, ზურაბ, ვალდებულების შესრულება, თბილისი, 2006. (ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება)

ძლიერიშვილი, ზურაბ, ვალდებულების შესრულება მესამე პირის მიერ, თბილისი, 2005. (ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება მესამე პირის მიერ)

ძლიერიშვილი, ზურაბ, ფულადი ვალდებულების შესრულების თავისებურებანი, თბილისი, 2005. (ძლიერიშვილი, ფულადი ვალდებულების შესრულების თავისებურებანი)

ძლიერიშვილი, ზურაბ, ნარდობის სამართლებრივი რეგულირება, თბილისი, 2001.

ძლიერიშვილი ზურაბ, ხანდაზმულობის ვადების ზეგავლენა სარჩელზე, თბილისი, 1997. (ძლიერიშვილი, ხანდაზმულობის ვადების ზეგავლენა სარჩელზე)

ჭანტურია, ლადო, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი, 2012. (ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი)

ჭანტურია, ლადო, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011. (ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი)

ჭანტურია, ლადო, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006. (ჭანტურია,კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში)

ჭანტურია, ლადო, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამარ-

ოლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 1997. (ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში)

ჭანტურია,ლადო/ზოიძე,ბესარიონ/ნინიძე,თევდორე/შენგელია,რომან/ხეცურიანი, ჯონი,(რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი I, თბილისი, 2001. (ძლიერიშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი I, მუხლი,გვ.)

ჭანტურია,ლადო/ზოიძე,ბესარიონ/ნინიძე,თევდორე/შენგელია,რომან/ხეცურიანი, ჯონი,(რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბილისი, 2001.(ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, მუხლი, გვ.)

ჭეჭელაშვილი, ზურაბ, ევროპული სახელშეკრულებო სამართლის ძირითადი დებულებები, ქართული კერძო სამართლის კრებული, თბილისი, 2003.

ჭეჭელაშვილი, ზურაბ, სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2008. (ჭეჭელაშვილი, სახელშეკრულებო სამართალი)

ჭეჭელაშვილი, ზურაბ, მოთხოვნის დათმობა და ვალის გადაკისრება, თბილისი, 2004. (ჭეჭელაშვილი, მოთხოვნის დათმობა და ვალის გადაკისრება)

ჰენშელი, სანდრა, სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდიკა, თბილისი, 2009. (ჰენშელი,სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდიკა)

უცხოურ ენებზე:

Bambereger Heinz Georg/Roth Herbert (Hrsg.) Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch. Band 1, Verlag C.H. Beck, München, 2003.

Bambereger Heinz Georg/Roth Herbert (Hrsg.) Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch. Band 2, Verlag C.H. Beck, München, 2003.

Bambereger Heinz Georg/Roth Herbert (Hrsg.) Kommentar zum

Bürgerlichen Gesetzbuch, Band 3, Verlag C.H. Beck, München, 2003.

Bambereger Heinz Georg/Roth Herbert (Hrsg.). Beck'scher Online _ Kommentar zum BGB, 15, Aufl., 2009.

Brautigam/Rücker: Softwareerstellung und §651 BGB _ Diskussion onhe Ende oder Ende der Diskussion? CR 2006.

Brox/Walker, Allgemeines Schuldrecht, 36 Auflage, Munchen, 2012.

Dimrot, Johanes, Die Umsetzung der Verbrauchsgüterkaufrichtlinie (44/99/EG) in Deutschland und den Niderlanden, Berlin, 2007.

Ermann,(herausg.), Handkommentar zum BGB, Band I, 13 Auflage, 2011.

Faust, Bürgerliches Gezetzbuch, Allgemeiner Teil, 3.Aufl., 2013.

Gernhuber, Die Erfüllung und ihre Surrogate sowie das Erloschen des Schuldverheltnisse aus anderen Grunden, Hdb des Schuldrechts, Bd.3, 2.Aufl., 1994.

Hertel, Christian, Werkvertrag und Bautregervertrag nach der Schuldrechtsreform, DnotZ, 2002.

Henkel, Werkvertrag -Der abschließende Charakter der abnahmefiktion in §640 Abs.1 BGB, MDR ,2003.

Kirschnek, A., Der unverbindliche Kostenanschlag gemäß §650, BGB, Dissertazion, Tübingen, 1998.

Koler, Verfassungswidrigkeit des §640 Abs.2 BGB? Oder: Handwerk und Gerechtigkeit in der Gesetzgebung, JZ, 2003.

Kötz, Hein, Vertragstecht, Tübingen, 2009.

Konopka/Acker Schuldrechtsmodernisierung: Anwendungsbereich des §651 BGB im Bau _ und Anlangenbauvertrag, BauR, 2004.

Larenz/ Wolf, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 9. Auflage, 2004.

Larenz, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 9 Auflage, 2004.

Larenz, Lehrbuch des Sculdrechts, Band 1, Allgemeiner Teil, 14 Auflage, 1987.

Leistner, Die `richtige~Auslegung des §651 im Grenzbereich von Kaufrecht und Werkvertragsrecht, JA, 2007.

Lehr/Wendel, Die EU _ Richtlinie über Verbrauchsgüterkauf und garantien; EWS 1999.

Reich, Die Umsetzung der Richtlinie 1999/44/EG in das deutsche Recht, NJW, 1999.

Looschelders, Dirk, Schuldrecht Allgemeiner teil, 2013.

Lüke, Sachenrecht, 2.Aufl.,2010.

Mankowski, Werkvertragsrecht _ Die Neuerungen durch §651 BGB und der Abschied vom Werklieferungsvertrag, MDR, 2003.

Medicus, Dieter, Schuldrecht I, Allgemeiner Teil, 14, neubearbeitete Auflage, Verlag C.H.

Beck, München, 2003.

Medicus, Dieter, Bürgerliches Recht, 19. Auflage, Verlag C.H. Beck, München, 2002.

Medicus, Dieter, Schuldrecht, Allgemeiner Teil, 3 Auflage, Verlag C.H. Beck, 2006.

Medicus, Kaufvertrag und Werkvertrag, JuS, 1992.

Medicus, Dieter/Lorenz, Stephan, Schuldrecht/ Allgemeiner Teil, 15. Auflage, C.H. Beck, München, 2010.

Meub, Schuldrechtsreform: Das neue Werkvertragsrecht, DB, 2002.

Münchener Kommentar zum BGB, hrsg.v.Prof. Dr. Kurt Rebman, Prof. Dr. Roland Rixecker und Prof. Dr. Dr. Dr. h.c. Frans Iürgen Säcker, Band 1., Einladung, 5. Auflage, München, 2006.

Münchener Kommentar zum BGB, hrsg.v.Prof. Dr. Kurt Rebman, Prof. Dr. Roland Rixecker und Prof. Dr. Dr. Dr. h.c. Frans Iürgen Säcker, Band 2., Schuldrecht Allgemeiner Teil. 7. Auflage, München, 2015.

Münchener Kommentar zum BGB, Band 4, Schuldrecht, Besonderer Teil II, §§611-704., 7. Auflage, München, 2015.

Paladant, Otto, (Begründer) Bürgerliches Gesetzbuch, bearbeitet von Bassenge, Diederichsen, Edenhofer, Heinrichs, Heldrich, Putzo, Tomas, 67. neubearbeitete Auflage, Verlag C.H. Beck, München, 2008.

Preussner, Das neue Werkvertragsrecht im BGB 2002, BauR, 2002.

Reinkenhof, Das neue Werkvertragsrecht, Jura, 2002.

Roth, Die Reform des Werkvertragsrechts, JZ, 2001.

Röthel, Herstellungsverträge und Eigentumsordnung -§651,950 BGB nach der Schuldrechtsreform, NJW, 2005.

Rudolph, Jochen, Die Abgrenzung zwischen Kauf _ und Werkvertragsrecht gemäß §651 BGB, 1. Aufl. 2009.

Staüdinger, Iahn, Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einfuhrungsgesetzen und Nebengesetzen, Berlin, 2004.

Schudnagies, Das Werkvertragsrecht nach der Schuldrechtsreform, NJW, 2002.

Schulze R. /Zimmerman R. (Hrsg.). Basistexte zum Europäischen Privatrecht. Textsammlung. 2. Aufl., Baden-baden, 2002.

Schuhman, Werkvertrag oder Kaufvertrag? _ §651 BGB im Lichte der Verbrauchsgüterkaufrichtlinie, ZGS, 2005.

Schwab, Schuldrechtsmodernisierung 2001/2002 _ Die Rückabwicklung von Verträgen nach §346 ff. BGB n.F.,Jus 2002.

Wagen , §640 Abs.1.S.3 für die Entbehrlichkeit derartiger Klauseln Basty, DnotZ, 2000.

Weiler, Frank, Schuldrecht Allgemeiner Teil, 2012.

Worlen/ Metzler-Muller, Schuldrecht AT, 11 Vollig uberarbeitete und verbesserte Auflage, 2013, 44.

Voit, Die asßerordentliche Kündigung des Werkvertrags durch den Besteller,BauR 2002.

Zänker, Der Funktionnswandel des Werkvertragsrechts _ Der Werkvertrag als Regelungsgefüge für Arbeit, Baden-Baden, 2006.

Zweigert Konrad/ Kötz, Hein, Einführung in die Rechtsvergleichung: auf dem Gebitet des Privatrechts, 3. Aufl., Tübingen, 1996.

Alessi, The Distinction between Obligations de Resultat and Obligationis de Moyens and the Enforceability of promises, ERPL 5/2005.

Borchardt/Wellens , Soft Law in European Community Law. Euro L. Rev. 14, 1989.

Brunner Ch., Force Majeure and Hardship under General Contract Principles: Exemption for Nonperformance in International Arbitration, Kluwer Law International: Alphen aan den Rijn, 2009.

Collins H., The Law of Contract, Cambridge University Press, New York, 2003.

Draetta U., Lake R.B., Nanda V.P., Breach and Adaptation on International Contracts, An Introduction to Lex Mercatoria, Butterworth Legal Publishers, 1992.

Flechter, Comparing the General Good Faith Provisions of the PECL and the UCC: Appearance and Reality, Pace Int. Law. Rev., 2001.

Hondius E.H.,/Grigoleti H.Ch., Unexpected Circumstances in European Contract Law, Cambridge University Press, 2011.

Hultmark, A New Approach to International Commercial Contracts, The UNIDROIT Principles of International Commercial Contracts, XVth International Congress of Comparative Law/Ed, by Bonell, The Hague, London, Boston, 1999.

Herbots, Contract Law in Belgium, 2003.

Jolowicz/Nicholas, Historical introduction the study of Roman Law, Third Edition, Cambridge, Cambridge university press, 2006.

Lando O.,/Beale H., Principles of European Contract Law, Part I and II, Kluwer Law International, The Hague, London, Boston, 2000.

Lando,O. Salient Features of the Principles of European Contract Law: A Comparison with the UCC, Pace International Law Review, Vol.13, Issue 2, 2001.

Lando,O., A Vision of a Future World Contact Law: impact of European and UNIDROIT Contract Principles, Uniform Commercial Code Law Journal, Vol. 37, Issue 2, 2004.

Lubbe, Fundamental breach under the GISG: A source of fundamentally divergent results, RabelsZ 3/2004.

Marsh, Comparative Contract Law: England, France, Germany, Hampshire, 1996. Ciematniece I., Contract Renegotiation and Adaptation, Concept of Contract Renegotiation and Adaptation in International Commercial Law Contracts, Lambert Academic Publishing, Saarbrücken, 2010.

Markesinis/Lorenz/ Dannemann, The German Law Obligations, Vol.1. The Law of Contract and Restitutions: A Comparative Introduc-

tion, 1997.

Markesinis S.B., Unberaht H., Johnston A. The German Law of Contract. A Comparative Treatise , 2nd, Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2001;

Perillo J.M., UNIDROIT, Principles of International Commercial Contracts: The Black Letter Text and a Review, Fordham L.Rev.,Vol.43, 2004.

Senden , Soft Law, self-regulation and coregulation in European Law: where do they meet? //Electronic Journal of Comparative Law. January 2005. Vol. 9.1. //http:www.ekcl.org/91/art91-3. PDF.

Shantimal J. Contract of Servise and Contract for Servise, 2003.

Stathopoulos, S, Contract Law in Hellas, The Hague, London, Boston, Sakkoulas. Athens, Kluwer Law International, 1995.

Shlechtriem P., Shwenzer I., Commentary on the UN Convention on the International Sale of Goods (CISG), 3rd ed., Oxford University Press, 2010.

Shmidt-Kessel, M., (Osnabrück), Remedies for Breach of Contract in European Private Law _ Principles of European Contract Law, Acquis Communautaire and Common und Frame of Reference, in Schulze R. (ed.), New Features in Contract Law, Sellier, European Law Publishers, München, 2007.

Surhone.L.M/Timpledon M.A./ Marseken S.F.` Pacta Sunt Servanda: Brocard, Civil Law, Contract, Clause, Law, Good Faith Peremptory Norm, Clausa Rebus Sic Stantibus, Betascript Publishers, 2010.

Shwenzer I., Hachem P., Kee Ch., Global Sales and Contract Law, Oxford University Press, New York, 2012.

Tomas/Mcgin, Obligation in Roman Law Past, Present and Future, Michigan, The university of Michigan Press, 2012.

Towards a European Civil Code, ed. by Hartkamp/Hesselink/Hondius/Perron/Vranken, Nijmegen, Dodrecht, Boston, London, 1994.

Vliet ,Transfer of movables in German, French, England and Dutch Law, 2000.

Zimmermann, Reinhard,/Whittaker, Simon, (eds.) Good Faith in European Contract Law, Cambridge University Press, 2000.

Zimmerman, Reinhard, The Law of Obligations, Roman Foundations of the Civilian Tradition, OXFORD University Press, 1996.

Барон, Система римского гражданского права, Изд. 3, Выпуск третий, Книга IV, Обязательственное право, 1998.

Бернгефот, Ф., Колер И. Гражданское право Германии, СПБ, 1910.

Брагинский М.И., Витрянский В.В. Договорное право, Книга первая, Общие положения, М., 2000.

Брагинский, М.И., Витрянский В.В. Договорное право, Книга вторая, Договоры о передаче имущества, М., 2000.

Гай, Институции, М., 1997.

Гражданское и торговое право зарубежных государств, Под ред. Е.А. Васильева и А.С. Комарова, Т.II., М., 2005.

Гражданское и торговое право зарубежных государств. Под ред. В.В. Безбаха и В.К. Пучинского, М., 2004.

Гримм Д.Д. Лекций по догме римского права, М., 2003.

Зоидзе, Б. Договорная и внедоговорная ответственность в механизме гражданского-правового регулирования, Тбилиси, 1988.

Жалинский А., Рерихт А, Введение в немецком праве, М., 2001.

Комаров, А.С. Ответственность в коммерческом обороте, М., 1999.

Покровский, И.А. История Римского права, СПБ, 1998.

Покровский, И.А. Основные проблемы гражданского права, М., 1988.

Принципы Международных коммерческих договоров, Пер. с англ. А.С. Комарова, М., 1999.

Римское частное право под ред. И.Б. Новицкого и И.С. Перетерского, М., 1996;

Гай. Институции, М., 1997.

Савиньи, Обязательственное право (пер. с немецкого), 2004.

Эрделевский А.М. Трудовой и гражданско-правовой договоры: сходство и различия. Трудовое право. #2, М., Интелсинтез, 2003.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები (განჩინებები)

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 3 თებერვლის განჩინება საქმეზე # ას-1303-1223-2015.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 26 იანვრის განჩინება საქმეზე # ას-493-467-2015.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 31 ივლისის განჩინება საქმეზე # ას-362-344-2015.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 28 ივლისის განჩინება საქმეზე #ას -539-512-2015.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე #ას-1338-1376-2015.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 ივნისის განჩინება საქმეზე #ას -404-385-2015.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე #ას-226-213-2015.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე #ას -226-213-2015.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 19 მარტის განჩინება საქმეზე #ას-730-698-2014.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 28 ივლისის განჩინება საქმეზე # ას -255-239-2014.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 16 იანვრის განჩინება საქმეზე # ას-482-458-2013.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე # ას-888-834-2012.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 9 ოქტომბრის განჩინება საქმეზე # ას-1673-1569-2013.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 1 ოქტომბრის განჩინება საქმეზე #ას-184-177-2013.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 27 სექტემბრის განჩინება საქმეზე # ას-155-148-2013.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 20 სექტემბრის განჩინება საქმეზე #ას-348-331-2013.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 23 ივლისის განჩინება საქმეზე # ას-546-519-2013.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 8 ივლისის განჩინება საქმეზე #ას-542-515-2013.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 1 ივლისის განჩინება საქმეზე # ას- 539-512-2013.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 1 ივლისის განჩინება საქმეზე # ას- 115-109-2013.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 24 მაისის განჩინება საქმეზე # ას-442-418-

2013.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 12 აპრილის განჩინება საქმეზე # ას-1606-1508-2012.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 7 მარტის განჩინება საქმეზე # ას-1162-1091-2012.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 28 დეკემბრის განჩინება საქმეზე #ას-1560-1463-2012.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 22 ნოემბრის განჩინება საქმეზე #ას-899-845-2012.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 სექტემბრის განჩინება საქმეზე # ას-483-457-2012.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 21 ივნისის განჩინება საქმეზე #ას-693-650-2012.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 29 მაისის განჩინება საქმეზე #ას-1685-1671-2011.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 3 მაისის განჩინება საქმეზე #ას-1580-1579-2011.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 26 აპრილის განჩინება საქმეზე #ას-335-320-2012.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 19 აპრილის განჩინება საქმეზე #ას-270-261-2012.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 27 მარტის განჩინება საქმეზე #ას-1300-1320-2011

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა

პალატის 2012 წლის 26 მარტის განჩინება საქმეზე #ას- 309-295-2012.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 15 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე #ას-66-63-2012.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 12 მარტის განჩინება საქმეზე # ას-1729-1711-2011.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 2 მარტის განჩინება საქმეზე # ას-1297-1317-2011.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 6 იანვრის განჩინება საქმეზე #ას-1753-1734-2011.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 3 იანვრის განჩინება საქმეზე #ას-719-678-2011.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 8 დეკემბრის განჩინება საქმეზე #ას-1432-1447-2011.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 24 ნოემბრის განჩინება საქმეზე #ას -1327-1347-2011.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 3 ნოემბრის განჩინება საქმეზე #ას-1146-1166-2011.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 24 ოქტომბრის განჩინება საქმეზე #ას-307-291-2011.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 3 ოქტომბრის განჩინება საქმეზე #ას-1072-1102-2011.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 1 აგვისტოს განჩინება საქმეზე # ას-164-158-2011.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატი2011 წლის 27 ივნისის განჩინება საქმეზე #ას-804-858-2011.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 13 ივნისის განჩინება საქმეზე#ას-502-476-2011.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 23 მაისის განჩინება საქმეზე #ას -496-470-2011.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 10 მაისის განჩინება საქმეზე #ა-1282-ა-11-2011 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 18 აპრილის განჩინება საქმეზე #ას-218-204-2011.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე #ას-84-74-2011.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე #ას-282-266-11.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 14 მარტის განჩინება საქმეზე #ას-8-5-2011.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე # ას-1191-1051-2010.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2010 წლის 9 ნოემბრის განჩინება საქმეზე #ას-494-463-2010.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2010 წლის 27 სექტემ-

ბრის განჩინება საქმეზე #ას-616-587-2010.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2010 წლის 20 ივლისის განჩინება საქმეზე # ას-254-239-2010.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2010 წლის 12 ივლისის განჩინება საქმეზე #ას-535-503-2010.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2010 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე # 7-6-2010.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2010 წლის 10 ივნისის განჩინება საქმეზე #ას-1244-1503-09.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2010 წლის 8 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-87-82-2010.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2010 წლის 3 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-141-134-2010.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2010 წლის 25 მაისის განჩინება საქმეზე # ას-1283-1538-09.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2010 წლის 25 მაისის განჩინება საქმეზე #ას-1220-1480-09.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2010 წლის 12 აპრილის განჩინება საქმეზე №ას-32-31-2010.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2010 წლის 1 მარტის განჩინება საქმეზე #ას-889-1175-09.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამე-

წარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2010 წლის 3 თებერვლის განჩინება საქმეზე №ას-1014-1286-09.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 27 ნოემბრის განჩინება საქმეზე #ას-1090-1354-09.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 20 ოქტომბრის განჩინება საქმეზე #ას-562-871-09.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე #ას-84-417-09.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 28 მაისის განჩინება საქმეზე #ას-250-306-09.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 14 მაისის განჩინება საქმეზე №ას-307-628-09.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 17 მარტის განჩინება საქმეზე #ას-781-996-08.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 9 მარტის განჩინება საქმეზე №ას-36-371-09.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 22 დეკემბრის განჩინება საქმეზე №ას-895-1106-08.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე #ას-654-876-08.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 24 მაისის განჩინება საქმეზე #ას-272-530-08.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 22 აპრილის განჩინება საქმეზე #ას-678-1008-07

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 23 იანვრის განჩინება საქმეზე #ას-954-1260-07.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 10 ოქტომბრის განჩინება საქმეზე #ას-342-694-07.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 8 ივნისის განჩინება საქმეზე #ას-48-401-07.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 3 მაისის განჩინება საქმეზე #ას-842-1201-06

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 10 მარტის განჩინება საქმეზე #ას-509-893-06.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემურ საკითხებზე, 2007.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2006 წლის 14 თებერვლის განჩინება საქმეზე #ას-992-1245-05.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2006 წლის 20 იანვრის განჩინება საქმეზე #ას-946-1203-05.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 1 ნოემბრის განჩინება საქმეზე #ას-341-669-05.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 21 ივნისის

განჩინება საქმეზე #ას-298-628-05.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 21 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-190-524-05.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 12 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე #ას-772-1045-05.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 19 აპრილის განჩინება საქმეზე #ას-106-442-05.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 22 მარტის განჩინება საქმეზე #ას-852-1076-04.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 11 ნოემბრის განჩინება საქმეზე #ას-639-913-2004.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 30 დეკემბრის განჩინება საქმეზე #ას-409-1073-2003.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 17 დეკემბრის განჩინება საქმეზე #3კ-337-03.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 31 ოქტომბრის განჩინება საქმეზე #ას-254-939-03.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 2 მაისის განჩინება საქმეზე #3კ – 1400-02.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 12 ივნისის განჩინება საქმეზე # 3კ-631-02.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამე-

წარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 28 დეკემბრის განჩინება საქმეზე #ას-3კ/992-01.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 17 იანვრის #ას-3კ/80-01 განჩინება.

Entscheidungen des BGH in Zivilsachen (BGHZ). (გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები).

BGHZ 31, 224 26.11.1959.

BGHZ 62, 204 07.03. 1974.

BGHZ 82, 105 22.10.1981.

BGH, LM §242 (ba) BGB Nr. 38;

BGH NJW 1972, 152.

BGHZ 10, 44, 51; 350 F;

BGH NJW 1967, 1081;

BGH WM 1975, 769.

BGHZ 48, 262 18.09.1967.

ნორმატიული აქტები

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბილისი, 1997.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თბილისი, 1999.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თბილისი, 2011.

The French civil code, translated with an introduction by Crabb, Rev. ed. as amended to I July, 1994, Littleton, Colo, Rothman, 1995.

German Civil Code _ Bürgerliches Gesetzbuch, Bundesministerium der Justiz, Juris GmbH, Saarbrücken, 2005.

The civil code the Netherlands. Hans Warendorf, Richard Thomas, Jan Curry-Sumner, Alphenean den Rijn, Kluwer Law International, 2009.

Code civil des Francais. http://www.napoleon-series.org/research/government/.c code.html.

Bürgerliches Gesetzbuch Deutschlands. http://bundesrecht.juris.de/bgb/

ГражданскийКодексРФ.М.,2006. http://www.garweb.ru/project/law/doc/10064072/10064072-001.htm

უნიფიცირებული სამართლებრივი აქტები

Definition of reasonableness in Principles of European Contract Law, Overview comments, Ed. by Kritzer. //http://www.cisg.Law.pace.edu/cisg/text/reason/html

UNIDROIT, Principles of International Commercial Contracts, Rom, 1994, Uniform Law review, 2004.

United Nations Convention Contracts for the International Sale of Goods. http://www.cisg.ru/content/download/cisg ru.pdfl;

Principles of European Contact European contact law (PECL). // http:// frontpage.cbs.dk/low/commission_on_european_contact_law/Skabelon/pecl_engel sk.htm – ევროპის სახელშეკრულებო სამართლის კომისიის ოფიციალური გვერდი.

ტექნიკური რედაქტორი მაგდა ტატიშვილი
კომპ. უზრუნველყოფა თამარ სტეფნაძე

გამომცემლობა „მერიდიანი“,
ალ. ყაზბეგის გამზ. №47
E _ mail: meridiani777@gmail.com ტ. 239-15-22